საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანი გელოვანი

ქალი ისლამში

(VII-X სს.)

თბილისი
2005

ნაშრომში შესწავლილია ქალის რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური როლი ისლამში (VII-X სს.): ქალის სტატუსი წინაისლამურ ხანაში; ქალთა მონაწილეობა მუსლიმური თემის რელიგიურ ცხოვრებაში; ქალი ყურანსა და ჰადისებში; ქალის ფაქტორი მდგომარეობა მუსლიმურ საზოგადოებაში, ქალის უფლებები და ვალდებულებები; ნაშრომში საგანგებო განხილვის საგანს წარმოადგენს ქალისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების საკითხი, რადგანაც ეს პრობლემა მუსლიმურ აღმოსავლეთში დღესაც აქტუალურია და მთელი რიგი პრინციპული დებულებები მოითხოვს სერიოზულ კორექტივებს.

The study deals with the women's religious, social, economic and political role in Islam (7th – 10th cent.): the status of women in the pre-Islamic period; women's participation in the religious life of Muslim community; woman in the Qur'ān and Hadith; the real position of women in Muslim society, the rights and duties of women; The present study pays special attention to the relationship between women and power because currently this problem is very acute in the Muslim East and many principle problems need serious amends.

რედაქტორი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **გოჩა ჯაფარიძე**
Editor	Professor **Gocha Japaridze**
რეცენზენტები:	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები პროფ. **გიული ალასანია** პროფ. **ნანა გელაშვილი** პროფ. **მერაბ ტიკაძე**
Critiques	Professor **Giuli Alasania** Professor **Nana Gelashvili** Professor **Merab Tikadze**

ISBN 99940-32-47-X

© ნ. გელოვანი
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კაცობრიობის მთელ ისტორიაში, უძველესი დროიდან დღემდე, მიმდინარეობს შეუნელებელი ბრძოლა ქალისა და მამაკაცის ოჯახური, საზოგადოებრივი, უფლებრივი და პოლიტიკური თანასწორობის დადგენისა და განმტკიცებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებაში ქალს განსხვავებული უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა ჰქონდა. ყოველივე ეს დამოკიდებული იყო კონკრეტული ხალხის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეზე, რელიგიურ შეხედულებებზე, რწმენა-წარმოდგენებსა და რიგ სხვა ფაქტორებზე.

ქალის ადგილისა და როლის განსაზღვრა საზოგადოებაში ყოველთვის წარმოადგენდა ისლამის რელიგიის განსაკუთრებული ყურადღების საგანს სხვადასხვა განზომილებითა და ასპექტით.

მუსლიმი იდეოლოგებისათვის, როგორც ტრადიციონალისტებისათვის, ისე მოდერნისტებისათვის, დამახასიათებელია ქალებთან დამოკიდებულებაში ორი განსხვავებული თვალსაზრისი: ა) ისინი მხარს უჭერენ ქალის ბიოლოგიური და გონებრივი ჩამორჩენილობის მოძველებულ კონცეფციას და ხედავენ ქალში მხოლოდ დედას და ცოლს. ბ) ან ისინი ქალის სტატუსის იდეალიზებას ცდილობენ და ამტკიცებენ, რომ ისლამმა მისცა ქალს ისეთი უფლებები, რომლებიც უცნობია ქალებისათვის ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში. ასეთ ვითარებაში ქალის შესახებ არსებული მცდარი მოსაზრებებისა და შეხედულებების კრიტიკულ ანალიზს, უდავოდ დიდი მნიშვნელობა და ღირებულება ენიჭება.

საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესები, ისლამის აღმსარებელი მოსახლეობის არც თუ უმნიშვნელო წილი, ისლამური ფაქტორის მზარდი გავლენა მსოფლიოში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკურ პროცესებზე, მუსლიმთა რელიგიური თვითშეგნების ამაღლების პროცესი პოსტსაბჭოურ სივრცეში არის კატალიზატორი ისლამის ისტორიის მკვლევართათვის. ქალებთან დაკავშირებით განსახილველი საკითხების მნიშვნელობამ და სიმრავლემ, მეტადრე საერთაშორისო მასშტაბით, ჩვენს საუკუნეს განსაკუთრებული სპეციფიკურობა შესძინა. დღეს, როდესაც ასე აქტუალურია გენდერული კვლევა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სრული გენდერული თანასწორობის მიღწევას და სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის ლიკვიდაციას, აუცილებელია განისაზღვროს ქალის ადგილი და როლი ტრადიციულ არაბულ-მუსლიმურ საზოგადოებაში, ისლამურ პრინციპებთან და ნორმებთან სრულ შესატყვისობაში.

წინამდებარე ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ქალის რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური როლი ისლამში (VII-X სს.): ქალის სტატუსი წინაისლამურ ხანაში, რადგანაც ისლამზე გავლენა მოახდინა ისლამამდელი არაბეთის ყოფამ, სოციალურმა ინსტიტუტებმა და იქ გაბატონებული კანონებმა; მუჰამადის მიმდევარი ქალების როლი ისლამის განმტკიცების საქმეში; ქალთა ერთგულების ფიცი მუჰამადისადმი, როგორც მუსლიმური თემის ლიდერისადმი; ქალთა მონაწილეობა მუსლიმური თემის რელიგიურ ცხოვრებაში; ნაშრომში გარკვეული ადგილი დაიკავა ისლამურ-ქრისტიანულმა დიალოგის თემამ – მარიამი და ქალის იდეალი ყურანში; შესწავლილია „მორწმუნეთა დედების“ სტატუსი ყურანსა და ჰადისებში; მოცემულია ჰიჯაბის გარდმოვლენასთან დაკავშირებული ყველა მიზეზის სინთეზი ძირითადად ყურანსა და ჰადისებზე დაყრდნობით; შესწავლილია ქალის ფაქტობრივი მდგომარეობა, ქალების მონაწილეობა მუსლიმური თემის სოციალ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქალის უფლებები (ქორწინება, განქორწინება მემკვიდრეობა, განათლება) და ვალდებულებები; რელიგიური ტექსტების საფუძველზე ახლებურად არის დასმული და გააზრებული ისეთი სოციალური, კულტურული და ისტორიული ფენომენი, როგორიც არის მხევალთა ინსტიტუტი; ნაშრომში საგანგებო განხილვის საგანს წარმოადგენს ქალისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების საკითხი, რადგანაც ეს პრობლემა მუსლიმურ აღმოსავლეთში დღესაც აქტუალურია და მთელი რიგი პრინციპული დებულებები მოითხოვს სერიოზულ კორექტივებს; კომპლექსურად ამ საკითხების შესწავლამ საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა არაბულ-მუსლიმური საზოგადოების დამოკიდებულება ქალის მიმართ.

მართალია, ისლამმა ბევრი რამ დაისესხა ისლამამდელი ხანის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, ქრისტიანობიდან და იუდაიზმიდან, ის ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ამ მონოთეისტური რელიგიისათვის. ისლამის რელიგიის სწორედ ამ თავისებურებათა გამოვლენა ქალთან მიმართებაში არის ჩვენი უპირველესი ამოცანა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები განსაზღვრულია ისლამის რელიგიური სისტემის განვითარების სხვადასხვა ეტაპების შესაბამისად. ისლამმა თავისი განვითარების პერიოდში პირობითად სამი სტადია გაიარა: 1) ყურანისეული. სწორედ ყურანში ჩამოყალიბდა მთელი რიგი რელიგიურ-პოლიტიკური და სოციალური შეხედულებების, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების კომპლექსი. 2) VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ისლამში, (როგოც სახალიფოს შიგნით მიმდინარე პროცესების, ისე მეზობელი მუსლიმი

ხალხების ზეგავლენის შედეგად) წარმოიშვა იდეური განსხვავებები თეოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. მაგალითად, უზენაესი ხელისუფლების საკითხზე აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია ისლამში სამი ძირითადი მიმართულების წარმოშობა: შიიზმი, ხარიჯიზმი და სუნიზმი. 3). „კლასიკური ისლამი", რომელიც ჩამოყალიბდა VIII-X საუკუნეებში ერაყსა და სირიაში და თავის თავში გააერთიანა არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების კულტურული მონაპოვარი, განსხვავდება „არაბული" ისლამისაგან. დაპყრობითი ომების შედეგად არაბთა სახელმწიფომ მრავალი ქვეყანა შემოიერთა. არაბები მოექცნენ მაღალი ეკონომიკისა და უფრო განვითარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გავლენის ქვეშ, რაც გაბატონებული იყო არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. სხვადასხვა კულტურული ტრადიციების ხალხებმა მოიტანეს ისლამში თავისი რელიგიურ-პოლიტიკური წარმოდგენები, სამართლებრივი ნორმები, ჩვეულებები. ახალმა ურთიერთობებმა ახალი მოთხოვნილებები წამოაყენა, რომელიც ძნელი შესათავსებელი იყო იმ კანონებთან, რომლითაც მოციქული და მისი უახლოესი მემკვიდრეები ხელმძღვანელობდნენ. საჭირო გახდა მუჰამადის ჰადისებზე დაყრდნობით ახალი წესების დაკანონება, მთელი ცხოვრების შეთანხმება რელიგიურ მოთხოვნებთან. მაგრამ კანონების დასადგენად მარტო ყურანი არ კმაროდა. საჭირო გახდა ახალი გზების ძიება – მუჰამადის სუნას, ჰადისების შესწავლა. ყურანის შემდეგ ჰადისები იქცა სამართლის მეორე წყაროდ. ჰადისები მოიცავენ მუსლიმთა ცხოვრების ყველა სფეროს. ამავე დროს, ჰადისების განმარტება სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა[1], გამომუშავდა განსხვავებები შეხედულებებსა და მეთოდში. ამან გამოინვია განსხვავებული მოძღვრებებისა და სკოლების ჩამოყალიბება, რომელთაც მაზჰაბები ანუ მიმართულებები ეწოდათ. ამდენად, ნაშრომში ქალის მიმართ დამოკიდებულება – მისი როლი, ფუნქცია, დანიშნულება, ადგილი – სოციალურ და ისტორიულ რეალობაშია განსაზღვრული.

ჩვენი ყურადღება ფოკუსირდება ყურანის სოციალურ კანონებზე ქალის უფლებებსა და მოვალეობებთან დამოკიდებულებაში. მექის პერიოდის სურებში ქალი არის ნიმუში მთელი კაცობრიობისათვის, ხოლო მედინის პერიოდის სურები (მისი უმრავლესობა ქალებს ეძღვნება) იყო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური

---

[1] ჰადისების ჭეშმარიტებისა და უტყუარობის საკითხი მკვლევართა დავას იწვევს. ჰადისების მნიშვნელოვანი ნაწილი ნამდვილად ასახავს ისლამის ჩასახვის ეპოქის რეალურ ამბებს და სიტუაციას, მაგრამ ბევრი მათგანი დაკავშირებულია ისლამის რელიგიური სისტემის განვითარების მომდევნო ეტაპებთან [82;129].

კატალიზატორი იმ ცვლილებებისათვის, რაც განხორციელდა ადრეული მუსლიმური თემის ქალთა ცხოვრებაში. თუმცა, ნაშრომში ყველა საკითხი შესწავლილია ტრადიციული ისლამთმცოდნეობის ძირითადი დარგების შესაბამისად: სირა – მუჰამადის ცხოვრება და ბიოგრაფიული ლიტერატურა, ყურანი და ეგზეგეტიკა, მოციქულის სუნა და ჰადისთმცოდნეობა; ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით – დოგმატიკა და ალ-ფიკჰი. ამ პრობლემის სწორედ ასეთი სქემით განხილვამ საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ტრადიციული ისლამური ინსტიტუტების ევოლუცია ქალთან მიმართებაში.

მკაცრი იდეოლოგიური ჩარჩოების პირობებში, საბჭოთა და შესაბამისად ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურანი და მუსლიმური სამართლის სხვა წყაროები, ქალისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხებზე, საგანგებო შესწავლის საგანი არ გამხდარა. წინამდებარე ნაშრომი ერთი ნაბიჯია ამ ამოცანის შესრულების გზაზე. მართალია, ამ პრობლემამ დიდი ხანია მიიპყრო დასავლეთის მკვლევართა ყურადღება, გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სტატია, მაგრამ საკითხი ასეთი ფართო სპექტრით არ განხილულა. წყაროების შერჩევით, მეთოდოლოგიით, ყურანის ცალკეული პასაჟის შესაბამის ისტორიულ და ტექსტოლოგიურ კონტექსტში განხილვით, მრავალი საკითხის ახლებურად გაშუქებით ეს ნაშრომი განსხვავდება სხვა გამოკვლევებისაგან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ ისლამის ისტორიის განსაზღვრულმა ქრონოლოგიურმა პერიოდმა (VII-X სს.) საშუალება მოგვცა სისტემურად გაგვეანალიზებინა აღნიშნული პრობლემა. ამასთან, სხვადასხვა ხასიათის აღმოსავლურ წერილობით ძეგლებში და რელიგიურ ტექსტებში მოიპოვება საგულისხმო მასალები, რომლებიც დღემდე არ ყოფილა გულდასმით შესწავლილი და გათვალისწინებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული მასალების ფართო მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანისა და საგანგებო განხილვის პირველ ცდას წარმოადგენს.

უპირველესი წყარო ამ პრობლემის შესასწავლად არის ყურანი. ქალებთან მიმართებაში ძირითადი რელიგიურ-სამართლებრივი მითითებები მედინურ პერიოდში ჩამოყალიბდა. ყურანის, სუნას და ჰადისების საფუძველზე შემდეგში არაბული მეცნიერების არაერთი დარგი განვითარდა. მუსლიმური რელიგიური დოქტრინის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ყურანის კომენტარებმა – თაფსირებმა. ჩვენს მიერ შერჩეული იქნა თაფსირები X-XX საუკუნეების ცნობილი მუსლიმი ეგზეგეტიკოსებისა (დაწყებული ატ-ტაბარიდან და დამთავრებული მუსლიმი ძმების იდეოლოგით საიიდ კუტბით), რომლებიც ეკუთვნოდნენ სხვადასხვა სკოლებს და მიმართულებებს ისლამში. ამდენად, მათი განმარტებები ასახავენ ყურანის ცალკეული პასაჟების განსხვავებულ გაგებას

სხვადასხვა ეპოქაში და განსხვავებულ ეთნო-კულტურულ გარემოში. ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი თაფსირები: 1. აბუ ჯა'ფარ მუჰამმად ბ. ჯარირ ატ-ტაბარის (838-923) *„ჯამი' ალ-ბაიან თაფსირ ალ-კურ'ან"*, რომელშიც ავტორმა შეაჯამა მუსლიმური ეგზეგეტიკის მონაცემები [159,123-24]. 2. აბუ-ლ-კასიმ მაჰმუდ ბ. 'უმარ აზ-ზამახშარის (1075-1144) *„ალ-ქაშშაფ 'ან ჰაკა'იკ ათ-თანზილ"* [159,133-34]. 3. ფახრ ად-დინ 'აბდ ალ-ლაჰ ბ. მუჰამმად არ-რაზის (1149-1209) *„მაფათიჰ ალ-ღაიბ"* ან *„თაფსირ ალ-ქაბირ"* [159,150-51]. 4. ნასირ ად-დინ 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'უმარ ალ-ბაიდავის (გარდ. 1286წ.) *„ანვარ ათ-თანზილ ვა ასრარ ათ-თა'ვილ"* [74,39]. 5. *„თაფსირ ალ-იმამაინ ალ-ჯალილაინ"* შედგენილია ორი მეცნიერის — ჯალალ ად-დინ აბუ 'აბდ ალ-ლაჰ მუჰამმად ბ. აჰმად ალ-მაჰალლის (1388-1459) და მისი მონაფის აბუ-ლ-ფადლ 'აბდ არ-რაჰმან ბ. აბი ბაქრ ას-სუიუტის (1445-1505) მიერ [159,165-66]. 6. ცნობილი ისტორიკოსის და ტრადიციონალისტის — 'იმად ად-დინ ისმა'ილ ბ. 'უმარ იბნ ქასირის (გარდ.774/1373წ.) — *„თაფსირ ალ-კურ'ან ალ-'აზიმ"* [9;47]. 7. საიდ კუტბის (1906-1966) ცნობილი კომენტარები *„ფი ზილალ ალ-კურ'ან"* [157;159,172-73].

ჰადისების შესახებ ვრცელი ლიტერატურა ხაზს უსვამს ქალის როლს ისლამში სამი ასპექტით: ქალები, როგორც ჰადისების გადმომცემი, ქალის სახე ჰადისებში და კრიტიკის ალტერნატიული მეთოდების გამოყენება, რათა განისაზღვროს ქალთა მიერ მოციქულის სიტყვებისა და გამონათქვამების გადმოცემის სანდოობა. ჰადისების კრებულებიდან ნაშრომში გამოყენებულია ალ-ბუხარის (810-870) *„ალ-ჯამი' ას-ს̣ა̣ჰიჰ"* [159,118-19], მუსლიმ ან-ნიშაბურის (817-875) *„ას̣-ს̣ა̣ჰიჰ"* [53] და აბუ და'უდ ას-სიჯისთანის (275/889წ.) *„ქითაბ ას-სუნნან"* [32;123;129]. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული ჰანბალიტთა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის (მაზჰაბის) ფუძემდებლის — აჰმად იბნ ჰანბალის (780-855) ჰადისების კრებულში — *„ალ-მუსნად"*, რომლის მეექვსე ტომი მთლიანად ქალებს ეთმობა [11].

ჩვენი გამოკვლევისათვის მნიშვნელოვანია არაბული ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურა, რომელიც განვითარდა სირას[2]

---

[2] პირველი ავტორი არის აბუ 'აბდ ალ-ლაჰ მუჰამმად ბ. ისჰაკი (704-767), რომლის ნაშრომს („მუჰამადის ცხოვრების აღწერა") სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწეია. ჩვენთვის ცნობილია მისი თხზულების 'აბდ ალ-მალიქ ბ. ჰიშამის (833 ან 828წ.) მიერ გადამუშავებული რედაქცია, რომელსაც გადმოგვცემს ზიად ალ-ბაკკა'ი (799წ.). ამ ნაშრომში 50 ქალია მოხსენიებული სახელით.

(მუჰამადის ბიოგრაფია) საფუძველზე, როდესაც დაიწყო არა მარტო მუჰამადისა და მისი მიმდევრების, არამედ ისლამის ისტორიაში სხვა ცნობილ პირთა ბიოგრაფიების შესწავლა. ამ ბიოგრაფიათა შესწავლა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რათა თვალი გავადევნოთ რა დამსახურებათა საფუძველზე შეიძლებოდა დაემკვიდრებინა მუსლიმ ქალს სათანადო ადგილი ბიოგრაფიულ კრებულებში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ქალთა ბიოგრაფიების წილი პროპორციულად დაბალია და სულ ბიოგრაფიულ კრებულებში მოცემულია დაახლ. 1 500 ქალის ბიოგრაფია, რომელთაგან მხოლოდ ყველაზე გამორჩეულნი თუ გამხდარან სპეციალური შესწავლის საგანი. ამ თვალსაზრისით ჩვენ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ იბნ სა'დის (გარდ.230/845) ტაბაკათების სისტემის კრებული[3] – *„ქითაბ ატ-ტაბაკათ ალ-ქუბრა“* (ტაბაკათების ვრცელი წიგნი), რომლის მერვე ტომი მთლიანად ქალებს ეძღვნება. ნაშრომში დაცულია 4 250 პირის ბიოგრაფია, აქედან 629 ქალია. ის იწყება მოციქულის ცოლის – ხადიჯას ბიოგრაფიით, შემდეგ მოდის მოციქულის ქალიშვილების, მისი მამიდების, ბიძაშვილების, ცოლების და უახლოესი მიმდევრების ბიოგრაფიები. ტაბაკათების სისტემამ დიდი განვითარება ჰპოვა არაბებთან და წარმოიშვა რეგიონალური ბიოგრაფიული ლიტერატურა – ნანარმოებები ცალკეული ქალაქებისა და ოლქების შესახებ, თუმცა ეს არ იყო უშუალოდ ქალაქების ისტორია პირდაპირი გაგებით, არამედ წარმოადგენდა ამა თუ იმ კონკრეტულ ქალაქთან დაკავშირებული ყველა ცნობილი პირის ბიოგრაფიათა კრებულს. განსახილველი ლიტერატურის ტიპიურ ნაწარმოებად ითვლება აჰმად ბ. 'ალი ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის (463/1071წ) *„თა'რიხ ბაღდად ავ მადინათ ას-სალამ“* („ბაღდადის ისტორია“). 7 800 ბიოგრაფიიდან მხოლოდ 31 ბიოგრაფია ეთმობა ქალებს. არაბი ისტორიკოსის იბნ 'ასაქირის (გარდ. 571/1176წ) ნაშრომში – *„თა'რიხ მადინათ ად-დიმაშქ“* („დამასკოს ისტორია“) მოტანილია დაახლოებით 13 500 პირის ბიოგრაფია, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ დამასკოსთან. მათ შორის 196 ქალის ბიოგრაფია, რომელთა უმრავლესობა უმაიიანთა საგვარეულო დინასტიის წარმომადგენელი იყო. აჰმად ბ. მუჰამმად ბ. ხალლიქანის, (681/ 1282წ.) ბიოგრაფიულ ლექსიკონში – *„ვაფაიათ*

---

[3] ბიოგრაფიული კრებულები დგებოდა რომელიმე კერძო პრინციპის მიხედვით. პირთა ბიოგრაფიების კლასიფიკაცია მოხდა ამ პირთა საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პროფესიათა განრიგის მიხედვით გარკვეული სისტემით, რომელმაც მიიღო სახელწოდება ატ-ტაბაკათ (რიგი, ფენა, თაობა). თავდაპირველად წარმოიშვა მუჰამადის მიმდევართა რიგები, შემდეგ უკვე მეცნიერთა, პოეტთა, სამართლისმცოდნეთა და სხვა ბიოგრაფიები.

ალ-ა'იან ვა-ანბა' აბნა' აზ-ზამან" („წიგნი სახელგანთქმული ადამიანების გარდაცვალებისა და ცნობები თანამედროვეთა შესახებ") — 826 ბიოგრაფიიდან მხოლოდ 7 ეთმობა ქალებს [10; 48]. ნაშრომში უმაიიანთა და 'აბბასიანთა პერიოდის ცნობილ ქალთა ცხოვრება ახსნილია სწორედ ქალთა ბიოგრაფიებით და ისტორიული ქრონიკების ინფორმაციის ინტერპრეტაციით.

მუსლიმური სამართალი არის ისლამური ღვთისმეტყველების განუყოფელი ნაწილი. ცალკეული საკითხებთან დაკავშირებით, რაც სამართლებრივ განხილვას მოითხოვს, ვეყრდნობით არაბი სამართლისმცოდნის, აბუ ჰანიფას მიმდევარის და მონაფის — აბუ იუსუფ ია'კუბ ბ. იბრაჰიმ ალ-ანსარის (182/798წ.) ნაშრომს *„ქითაბ ალ-ხარაჯ"* („ხარაჯის წიგნი") [2; 18] და შაფი'ითური მაზჰაბის წარმომადგენლის, აბუ-ლ-ჰასან ალ-მავარდის (974-1058) თხზულებას — *„ალ-აჰქამ ას-სულტანია"* („მმართველობის კანონები") [51].

ისლამში ქალის იდეალის ჩამოყალიბებაში ყურანთან, ჰადისებთან, მოციქულის სუნასთან და მუსლიმურ სამართალთან ერთად გარკვეული როლი შეასრულა ცნობილი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეების სხვადასხვა რეკომენდაციებმა და მითითებებმა. ასეთია სელჩუკი სულთნების ალფ-არსლანის და მალიქ შაჰის ვაზირის ნიზამ ალ-მულქის (1018/1020-1092) *„სიასათნამე"* (*სიასათ-ნამა* — „წიგნი გამგებლობის შესახებ"), რომლის 42-ე თავი ეძღვნება ქალებს, „მათ, ვინც ატარებს ჩადრს" [29; 54].

ნაშრომში მოხმობილი და გამოყენებულია არაბი ავტორების: ალ-ბალაზურის (გარდ. 892წ.), ალ-ია'კუბის (გარდ. 897წ.), ატ-ტაბარის (გარდ.923 წ.), ალ-მას'უდის (გარდ.956/ 57წ.), იბნ ალ-ასირის (გარდ.1239წ.) ისტორიული თხზულებები.

წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა აგრეთვე საცნობარო ხასიათის შრომებს: კონკორდანსი [1;41;382;383], ისლამის ენციკლოპედიური ლექსიკონის სხვადასხვა გამოცემები და ახლად გამოცემული „ყურანის ენციკლოპედიის" სტატიები[4].

წყაროების პარალელურად ნაშრომში სათანადოდ აისახა საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით დასავლური ისტორიოგრაფიის მიღწევები. ჩვენთვის საინტერესო საკითხები გარკვეული კუთხით შესწავლილ იქნა ნაბია ებოთის, ლეილა აჰმედის, ანვარ ჰექმათის, აიშა ლემუს, ფატიმა მერნისის, დენის სპელბერგის, გერტრუდ სტერნის, ბარბარა სთოვასერის მონოგრაფიებში. ამინა

---

[4] ჯ. მაკ-ოლიფფი (ტორონტოს უნივერსიტეტის რელიგიური კვლევების დეპარტამენტის თავმჯდომარე) არის „ყურანის ენციკლოპედიის" (4 ტომი) მთავარი რედაქტორი.

ვადუდ-მუჰსინი და აზიზა ალ-ჰიბრი ითვლებიან ფემინისტ ეგზეგეტიკოსებად [241; 374].

ნაშრომში დასმულ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ქართველ მკვლევართა (ლ. ნადირაძე, გ. ჯაფარიძე, გ. სანიკიძე, გ. ლობჟანიძე და სხვ.) და ცნობილ უცხოელ ორიენტალისტთა (ვ. ბარტოლდი, ა. ბელიაევი, ო. ბოლშაკოვი, ი. გოლდციერი, მ. ვაგაბოვი, ფ. კლეინი, ლ. კლიმოვიჩი, ა. ლამმენსი, რ. ლევი, ლ. მასინიონი, ა. მასსე, მ. მომენი, ვ. მუირი, ა. მეცი, ი. პეტრუშევსკი, მ. პიოტროვსკი, ს. პროზოროვი, ე. რეზვანი, მ. უოტტი, ჯ. შახტი, ა. შიმელი და სხვ.) ისლამოლოგიური შრომები.

ნაშრომში არაბული ტერმინები და არაბული საკუთარი სახელები გადმოცემულია სამეცნიერო ტრანსლიტერაციით[5]. სიტყვა იბნ (ძე) მოცემულია შემოკლებით – ბ.

ყურანის ციტირებისას ვეყრდნობით ყურანის ევროპულ გამოცემას. ყურანის ციტატების თარგმანისას გათვალისწინებულია გ. საბლუკოვის, ე. კრაჩკოვსკისა და ნ. ოსმანოვის რუსული, იუსუფ 'ალის, მ. პიქტჰოლის, მ. მუჰამად ალის, მ. ასადის, ა. არბერრის ინგლისური და პ. მირიანაშვილის ქართული (ფრანგულიდან) თარგმანები. ყურანის აიების ნუმერაცია მისდევს ევროპულ (გ. ფლიუგელის) გამოცემას[6].

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ :

წიგნის რედაქტორს, ბატონ გოჩა ჯაფარიძეს, წლების მანძილზე მეცნიერულ მუშაობაში განსაკუთრებული ხელშეწყობისათვის და ქმედითი დახმარებისათვის.

წიგნის რეცენზენტებს: ქალბატონებს გიული ალასანიას და ნანა გელაშვილს, ბატონ მერაბ ტიკაძეს ნაშრომის განხილვაში მონაწილეობის, საყურადღებო რჩევებისა და თანადგომისათვის.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ გიორგი სანიკიძეს, რომელიც ყოველმხრივ გვიჭერდა მხარს მუშაობის დროს.

---

[5] დაშვებულია რამდენიმე გამონაკლისი. მაგალითად, მოციქული მუჰამადი (მუჰამმადის ნაცვლად), ყურანი, ჰადისი, სუნა, ყადი.

[6] Corani Textus ad fidem librorum manuscriptorum et ad praeciporum interpretum lectiones et auctoritatem recensuit indicesque triganta sectionum et suratarum adidit Gustavus Fluegel, Lipsiae, 1958.

I თავი
ქალის სტატუსი ისლამში (VII-X სს.)

1. ქალის სტატუსი წინაისლამურ ხანაში

ადრეული ისლამი მჭიდროდ არის დაკავშირებული ისლამამდელი ხანის კულტურასთან, მსოფლმხედველობასთან და ტრადიციებთან. ამდენად, ისლამურ საზოგადოებაში ქალის სტატუსის განსაზღვრა და სრული სახით წარმოჩენა შეუძლებელია წინაისლამურ ხანაში ქალის ადგილის, როლის და უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე.

ჯაჰილიიას[1] პერიოდში არაბთა ყოფის, მათ შორის ქალის უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია ყურანი. იქ ასახულია ისლამამდელი არაბების რელიგიური ცხოვრება, ტრადიციები და რიტუალები.

ყურანი მიუთითებს, რომ არაბები ჯაჰილიიას ხანაში ახალშობილ გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ (81:8-9; 16:57-58).[2] წყაროებში ეს ბარბაროსული ჩვეულება სხვადასხვა მიზეზებით არის ახსნილი. არაბი ბედუინებისათვის გოგონას დაბადება მძიმე ტვირთი იყო, რადგანაც ის უნდა გამოეკვებათ და ის ვერასოდეს ვერ გახდებოდა მეომარი [280,2]. ყურანში (17:31) არის მოწოდება: *„არ დახოცოთ შვილები სიღარიბის შიშით"*. მეორე ძირითადი მოტივი იყო – სირცხვილის შიში (16:58,59). მშობლებს ეშინოდათ, რომ მათი გოგონები ტყვედ არ წაეყვანათ, რაც თავისთავად მთელი ტომის სირცხვილი იქნებოდა და ეს გამოწვეული იყო ამ საზოგადოების ბუნებით. უშუალოდ ისლამის წარმოშობის წინარე ხანაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე გაბატონებული იყო გვარტომობრივი წყობა. ტომთა შორის გამუდმებული ომები საძოვრებისა და წყლის რესურსების გამო მამაკაცებისაგან მოითხოვდა ტომის დაცვას. ამდენად, არაბულ ტომობრივ საზოგადოებაში დიდი იყო მოთხოვნა მეომრებზე. ქალი არ წარმოადგენდა სამხედრო ღირებულებას. მისი მთავარი ფუნქცია იყო დედობა. მაგრამ არაბული ტომების კრე-

---

[1] ჯაჰილიია („უმეცრება") – წინაისლამური, წარმართული ხანა.

[2] ტერმინი მავ'უდა (ცოცხლად დამარხვა) არის გამოყენებული (81:9). ცნობილია, რომ ყველა რელიგიაში ადამიანისა და ღვთაების ურთიერთობის მთავარ შემადგენელ ნაწილად მსხვერპლშეწირვა ითელება. ტრადიციების თანახმად, ისლამამდელი არაბები მსხვერპლად სწირავდნენ ახალშობილ გოგონებს თავიანთ წარმართ „ღვთაებებს". ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის ეს ბარბაროსული წესი ლახმიდიანთა სახელმწიფოში ჯერ კიდევ VI საუკუნის 40-იან წლებში სრულდებოდა [96,86-87; 251,14].

დო ასეთი იყო: თუ იქნება ომები, იქნება სიმდიდრე და კეთილდღეობაც. თუ იქნება სიმდიდრე, ყოველთვის იქნება ქალი ტომის გამრავლებისათვის, მით უმეტეს შეიძლება ქალების ყიდვა, ნადავლის სახით მოპოვება სხვა ქვეყნებში [167,9]. ამასთან, ტომთა შორის კონფლიქტის დროს, მტერი ყოველთვის მიისწრაფოდა ტყვედ შეეპყრო ქალები და ამდენად მაშინ გამოსასყიდი უნდა გადაეხადა მათ ტომს, ან შეიძლება მონებად ექციათ და თავისთან დაეტოვებინათ. ორივე შემთხვევაში ქალები პრობლემას უქმნიდნენ თავიანთ ტომს. თუ ეს უკანასკნელნი გამოსასყიდს გადაუხდიდნენ მტერს, კარგავდნენ ქონებას, თუ არა და მათი ქალების სიწმინდე, ისევე როგორც მათი ღირსება, შელახული იყო [250,2; 197,1-2; 235,18].

„ქითაბ ალ-აღანის"[3] მიხედვით, ახალშობილი გოგონების ცოცხლად დამარხვის ტრადიციას სათავე დაუდო თამიმის ტომის ბელადმა — კაის ბ. 'ასიმ ალ-მინკარიმ (სა'დის გვარი[4]), მოციქულ მუჰამადის თანამედროვემ[5]. ყურანის ცნობილი კომენტატორის, აზ-ზამახშარის თანახმად, ხშირად გოგონებს ზრდიდნენ 6 წლის

---

[3] ცნობილმა ფილოლოგმა, აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანიმ (გარდ. 967 წ.) შეადგინა ანთოლოგია „ქითაბ ალ-აღანი"(„სიმღერათა წიგნი"). მან შეკრიბა და თავის ნაშრომში ჩართო 100 ყველაზე პოპულარული სიმღერა, თან დაურთო ავტორთა და კომპოზიტორთა ბიოგრაფიები. ნაშრომში დაცულია ისტორიული ხასიათის მასალაც.

[4] ეს გვარი ეკუთვნოდა თამიმს (ტომთა კავშირი).

[5] ამ გადმოცემის თანახმად, „მუშამრაჯ იაშკური თავს დაესხა სა'დს და სხვა ქალებთან ერთად ტყვედ წაიყვანა კაისის დისშვილი გოგონა, რომელზედაც იქორწინა დამპყრობლის ვაჟმა. როცა კაისი მივიდა მათთან გამოსასყიდის გადასახდელად, გოგონამ უარი განაცხადა დაეტოვებინა თავისი ქმარი. კაისი ისე აღშფოთდა, რომ მან ყველა თავისი ქალიშვილი ცოცხლად დამარხა და ამის შემდეგ არასოდეს სიცოცხლის უფლება აღარ მიუცია ახალშობილი გოგონებისათვის. ერთი მათგანი დაიბადა მისი არყოფნის დროს. დედამ გოგონა გასაზრდელად თავის საკუთარ გვართან გააგზავნა, ხოლო კაისს დაბრუნებისას უთხრა, რომ მკვდარი ბავშვი დაბადა. გოგონა გაიზარდა და ერთ დღეს მივიდა დედის სანახავად. კაისმა დაინახა გოგონა და იკითხა, ვინ იყო ეს მშვენიერი არსება. დედამ ტირილი დაიწყო და ბოლოს გაუმხილა, რომ ეს მათი შვილი იყო. ერთი დღის შემდეგ, კაისმა გათხარა საფლავი, დატოვა იქ თავისი შვილი, რომელიც ყვიროდა: მამა, რას მიპირებ? ნუთუ დამარხვას მიპირებ? მაგრამ კაისმა ის მიწით დაფარა და გააგრძელა გზა იქამდე, ვიდრე აღარ ესმოდა მისი ტირილი. კაისმა უთხრა მუჰამადს, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მან სინანული იგრძნო თავისი გოგონას ცოცხლად დამარხვის გამო" [3,aXII:150]. სხვა გადმოცემით, კაისის ქალიშვილი ტყვედ წაიყვანა ნუ'მანმა – ჰირას მეფემ (580-602). მოგვიანებით, გოგონას შეუყვარდა თავისი დამპყრობელი და უარი თქვა მამასთან დაბრუნებაზე. თუმცა ის მზად იყო გამოესყიდა თავისი ქალიშვილი. განრისხებულმა მამამ ფიცი დადო, რომ ის დახოცავდა ყველა ახალშობილ გოგონას. სულ მოხსენიებულია ათი [340,293].

ასაკამდე, მერე მამას მიყავდა შორს, უდაბნოში და იქ მარხავდა ორმოში [7,II,140]. მექის ახლოს დასახელებულია მთა – აბუ დულᾱმა, სადაც კურაიშის ტომის წევრები თავიანთ ახალშობილ გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ [3,ა.IX:122]. მრავალი მუსლიმი მწერალი მოგვითხრობს სევდიან ისტორიებს ამ პრაქტიკის შესახებ. 'უსმᾱნმა, მომავალმა მესამე ხალიფამ, მოციქულთან საუბრისას აღნიშნა, რომ ის ვერასოდეს შეძლებდა დაევიწყებინა თავისი ქალიშვილის ცოცხლად დამარხვის სანახაობა. მან ჩასვა ის თხრილში და რამდენჯერაც მიწას მიაყრიდა, გოგონა ცდილობდა წამოწევას და 'უსმᾱნი სახეს ხელით იფარავდა, რათა არ დაენახა [240,203]. მართალია, ეს არ იყო ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, მაგრამ ის არსებობდა მუჰᾱმადის დროსაც და ყურანში 5-ჯერ არის მოხსენიებული (6:137; 17:31; 16:58; 81:8; 60:12). ყველა აია, 60:12-ის გარდა მექური პერიოდის სურებს განეკუთვნება. მუჰᾱმადმა ეს წესი[6] აკრძალა და 630 წელს, მექის აღების დღეს მან მუსლიმებს დაადებინა ფიცი, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ასეთი იყო: „არ დაეხოცათ ბავშვები" [349,193]. ეს იყო მნიშვნელოვანი ცვლილება ქალის სტატუსთან დაკავშირებით [52,545,შენ.59].

არაბთა აღნიშნული ტრადიცია გამომდინარეობდა, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ფაქტორებიდან, თუმცა ძნელია ვივარაუდოთ, რომ ეს ყველაფერი ნარმართული რელიგიის სანქციის გარეშე ხდებოდა [64,90-91].

წყაროებში ამ ტრადიციის აშკარა მოწინააღმდეგეებად დასახელებული არიან: ზაიდ ბ. 'ამრ ბ. ნუფაილი — 'უმარ ბ. ალ-ხატტᾱბის[7] ბიძაშვილი და ᾱ'ᾱ'ა ბ. ნაჯია ალ-თამიმი – პოეტ ალ-ფარაზდაკის (641-732) ბაბუა[8] [6,II,46; 40,5/108]. მოციქულმა მუჰᾱმადმა თქვა: „ვისაც გოგონა დაებადება და არ დამარხავს

---

[6] ა. ლამმენსის აზრით, მუჰᾱმადმა თვითონ მიითვისა ამ ჩვეულების გაუქმება, მაგრამ სინამდვილეში, ის პრაქტიკაში იყო მხოლოდ თამიმის ტომში [266,77,შენ.3]. ა. ჰექმათის აზრით, ნინაისლამურ პოეზიაში ქალები ხშირად შექებულია ღვინოსა და აქლემებთან ერთად, როგორც სიამოვნების და სიამაყის წყარო. აქედან გამომდინარე საეჭვოა, რომ გოგონების ცოცხლად დამარხვა სანქციონირებული ყოფილიყო [240,204].

[7] 'უმარ ბ. ალ-ხატტᾱბ ალ-ფარუკ – მოციქულ მუჰᾱმადის უახლოესი მიმდევარი, მექის კურაიშის ტომის, ალ-'ადი ბ. ქა'ბის გვარიდან. მეორე მართლმორწმუნე ხალიფა 634-644 წწ.

[8] ზაიდ ბ. 'ამრი და ᾱ'ᾱ'ა ამ პრაქტიკის გაუქმების მიზნით ყიდულობდნენ მამებისაგან მათი ბავშვების სიცოცხლეს (ისინი უზრუნველყოფდნენ მათ იქამდე, ვიდრე გაიზრდებოდნენ), რადგანაც მათი აზრით, ძირითადი მიზეზი იყო სიღარიბე [340, 292; 59,122].

ცოცხლად, არ შეურაცხყოფს მას, არ ამჯობინებს ვაჟიშვილს – გოგონას, ალაჰი გააგზავნის მას სამოთხეში"[6,III,93].

თანამედროვე მუსლიმი იდეოლოგებისათვის, მათ შორის პროგრესული არაბი მოღვაწეებისათვის, დამახასიათებელია გაზვიადებული წარმოდგენა, რომ ისლამამდელ არაბეთში ქალი იმყოფებოდა უუფლებო მდგომარეობაში, რამდენადაც ქალის სტატუსს, მის ადგილს საზოგადოებაში არ განსაზღვრავდა კანონი [277,8; 250,1-4]. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ზოგიერთ მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ქალებს ისლამამდელ ხანაში ჰქონდათ გარკვეული უფლებები [177,259-284; 337,20;185,42]. დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ შევეცდებით წყაროთა მონაცემების სათანადო კონტექსტში განხილვის საფუძველზე პასუხი გავცეთ კითხვებს: როგორი იყო ქალის სტატუსი უშუალოდ ისლამის წარმოშობის წინარე პერიოდის ჯიჰაზში? როგორ აისახა მუჰამადის მოძღვრებაში ისლამამდელი ხანის არაბეთის ნახევარკუნძულის სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ნორმები ქალთან მიმართებაში?

პირველი ქალი ჯიჰაზიდან, რომლის შესახებაც ინფორმაციამ ჩვენამდე მოაღწია იყო – ჯუბბა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, მექის ხუზა'ას ტომის ბოლო მეფე-ქურუმმა – ჯულაილ ბ. ჰაბაშიიამ[9] თავის ქალიშვილს – ჯუბბას გადასცა ქა'აბას (ალ-ქა'ბა) ტაძრის გასაღები. წყაროთა მონაცემებით, ჯუბბა მამამ გაათხოვა კუსაიი ბ. ქილაბზე – კურაიშის ტომის წინამძღოლზე. მათ შეეძინათ 4 ვაჟი ('აბდ ად-დარ, 'აბდ მანაფ, 'აბდ ალ-'უზზა, 'აბდ კუსაიი) და 2 ქალიშვილი: თახმური და ბარრა [8, I,64]. ჯულაილი როცა მოხუცდა, მან თავის ქალიშვილს ჩააბარა ქა'აბას ტაძრის გასაღები, რომელსაც ის ხანდახან გადასცემდა თავის ქმარს. გარდაცვალებამდე, ჯულაილმა სცნო თავისი სიძე და შვილიშვილები – მემკვიდრეებად, საკუთარი სურვილით გადასცა მათ სასულიერო და საერო ძალაუფლება, მაგრამ ამას არ დაეთანხმა ხუზა'ას ტომი და აიძულა კუსაიი და კურაიშის ტომი ებრძოლათ თავიანთი უფლებებისათვის [45, 68-75; 21,48; 8, I, 64].

როგორც ცნობილია, კურაიშელებმა თავიანთი წინამძღოლის – კუსაიის მეთაურობით გააძევეს ხუზა'ას ტომი მექიდან V-საუკუნის შუა ხანებში. მათ დაიკავეს მექა და მისი სანახები. კურაიშელები განსახლდნენ ქა'აბას ტაძრის გარშემო. შუა საუკუნეების არაბი ავტორები ამ ტომში 25 გვარს ითვლიან. თუმცა კუსაიის მექაში გადასახლებისას, მისი ოჯახი შედგებოდა 16 გვარისაგან. კუ-

---

[9] იგივე – ჯულაილ ბ. სალულ ბ. ქა'ბ ბ. 'ამრი.

საიიმ თავის თანატომელებს შორის გაანაწილა ქა'აბას გარშემო ტერიტორია. კუსაიიდ გახდა ქა'აბას მცველი და მექის მმართველი. თვითონ კუსაიის სახლი, ქა'აბას დასავლეთით, იყო უხუცესთა შეკრების ადგილი და მიიღო სახელწოდება – „დარ ან-ნადვა" (საკრებულო სახლი). არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის თანახმად, „როგორც ქალი, ისე მამაკაცი კურაიშის ტომიდან ქორწინდებოდა მხოლოდ კუსაიიდ ბ. ქილაბის სახლში და ისინი [კურაიშელები] თათბირობდნენ ერთმანეთში იმ საქმეებზე, რომლებიც მათ წინაშე წამოიჭრებოდა" [58,I,1097-1098; 21,43-44]. ამ საკონსულტაციო ორგანოში შედიოდნენ უხუცესები ან მამაკაცები 40 წლის და ზემოთ. კურაიშელთა შეკრებებს არც ერთი ქალი არ ესწრებოდა.

წინაისლამურ ხანაში ქალები აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდნენ მექის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქალს არ ჰქონდა უფლება საჯაროდ გამოეხატა თავისი აზრი. მისი გავლენა მამაკაცზე შემოიფარგლებოდა მხოლოდ თავისი ოჯახით და საგვარეულოთი [337,23]. ამდენად, გადმოცემებში ქალები ძირითადად მოხსენიებული არიან გენეალოგიებთან დაკავშირებით. აღნიშნულ პერიოდში და ისლამის ადრეულ წლებშიც, დედის მხრიდან შთამომავლობა ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მამის მხრიდან. ამდენად, ქალები გარკვეულწილად დაკავშირებული იყვნენ პოლიტიკურ საქმეებთანაც [177, 266].

წყაროთა მონაცემებით, როცა ჰულაილმა დანიშნა ჰუბბა ქა'აბას ტაძრის მცველად, მან უთხრა თავის მამას, რომ არ შეეძლო ქა'აბას ჭიშკრის გაღება და დაკეტვა. ჰულაილმა დაავალა იბნ ღუბშანს[10] შეესრულებინა ეს მოვალეობა. მოგვიანებით, ჰულაილის სიკვდილის შემდეგ, კუსაიიმ დაათრო იბნ ღუბშანი და მიიღო მისგან ტაძრის ზედამხედველობის უფლება და ქა'აბას გასაღები 1 ტიკი ღვინის და რამდენიმე აქლემის სანაცვლოდ [8,I,64,70; 58,I,1094].

თუ ამ გადმოცემას ვირწმუნებთ, ჰუბბამ გადასცა ქა'აბას ტაძრის გასაღები ან თავის ქმარს ან თავის ასისტენტს. ამის შემდეგ ის აღარ ჩანს გადმოცემებში. ჰუბბა არის მხოლოდ ქა'აბაზე კონტროლის გადამცემი ხუზა'ას ტომიდან კურაიშზე. მეორეს მხრივ, არაფერია უჩვეულო იმაში, რომ მეფე-ქურუმის ქალიშვილს

---

[10] ზოგიერთი გადმოცემით, ის იყო ჰულაილის ვაჟი, თუმცა ამის დამადასტურებელი ცნობები წყაროებში არ არის. ღუბშანის გვარი შედიოდა ხუზა'ას ტომში. ჰულაილამდე ქა'აბას მცველი იყო 'ამრ ბ. ალ-ჰარის ალ-ღუბშანი. შესაძლოა, სწორედ მისი შვილი იყოს.

სხვა ქალებზე უკეთესად შეესრულებინა ტაძარში ეს ფუნქცია. გარკვეულნილად საქმე გვაქვს პოლიტიკურ ქორწინებასთან.

წინაისლამურ არაბეთში უამრავი მაგალითია, როცა პოლიტიკური ძალაუფლება გადადიოდა ერთი დინასტიიდან მეორეზე სწორედ ამგვარი ქორწინებებით. თვითონ კურაიშელები პოლიტიკური კავშირების განმტკიცების მიზნით, ცოლად თხოულობდნენ მეზობელი ტომის ქალებს. მაგალითად, 'აბდ მანაფის (კუსაიის ვაჟი) ერთ-ერთი ცოლი იყო სულაიმის ტომიდან, მეორე – მაზინ ბ. ხა'�ა'ადან. ამავე დროს ერთ-ერთი მისი ქალიშვილი გათხოვილი იყო ქინანის ტომის მამაკაცზე, მეორე – საკიფის ტომის; 'აბდ ალ-მუტტალიბის (მუჰამადის ბაბუა) დედა იყო ბანუ ან-ნაჯარიდან (იასრიბი), ხოლო მისი ხუთი ცოლიდან – სამი არ იყო კურაიშის ტომიდან [108,51].

VI საუკუნის 30-იან წლებამდე, მექის რელიგიურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია კუსაიის ერთ-ერთი ვაჟის – 'აბდ ად-დარის ხელში იყო. ბანუ 'აბდ ად-დარ კი იყო ქა'აბას ტაძრის გასაღების მცველი და სარგებლობდა პრივილეგიებით: მლოცველთა ნყლით მომარაგება, საკრებულო სახლში წარმომადგენლობა, უქონელი პილიგრიმებისათვის საარსებო სახსრების შეგროვება, კურაიშელთა დროშის ფლობის უფლება [58, I, 1097]. ამან გამოინვია კურაიშელთა მზარდი და ეკონომიკურად ძლიერი გვარის – 'აბდ მანაფის უკმაყოფილება. მათ პრეტენზია განაცხადეს ამ პრივილეგიებზე.

პრიორიტეტული მდგომარეობის მოპოვების გამო ბრძოლას უკავშირდება სწორედ ისლამამდელ არაბეთში კარგად ცნობილი კავშირის – *„ჰილფ ალ-მუტაიიაბინ“* [11] შექმნა. ტრადიციის თანახმად, 'აბდ ალ-მუტტალიბის ქალიშვილმა მომავალ მოკავშირეებს გამოუტანა თასი კეთილსურნელებით სავსე და აქედან მიიღო სახელწოდება ამ კონფედერაციამ. ცერემონიალის დროს კონფედერაციის მონაწილენი თავდაპირველად ხელს ყოფდნენ საერთო თასში, რომელიც სურნელებით იყო სავსე, შემდეგ ეხებოდნენ ხელით ქა'აბას და ტოვებდნენ მასზე ნაკვალევს რწმუნების, აღთქმის ნიშნად, რომ შეასრულებდნენ განსაზღვრულ ვალდებულებებს და არ უღალატებდნენ ერთმანეთს. 'აბდ ალ-მუტტალიბის ექვსი ქალიშვილიდან ორი არის მოხსენიებული ამ კონფედერაციასთან და-

---

[11] არაბ. *ტრბ* – ნიშნავს სუნამოს, კეთილსურნელებას. ალ-მუტაიიაბინ – სუნამო დაპკურებულები. ეს კავშირი შეიკრა ბანუ 'აბდ მანაფს, ბანუ ასადს, ბანუ ზუპრას, ბანუ ტაიმს და ალ-ჰარიხს შორის. მისი შექმნის ინიციატივა ეკუთვნის 'აბდ მანაფს. ეს ურთიერთობა განმტკიცდა საქორწინო კავშირებითაც [259,82].

კავშირებით. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ეს იყო უმმ ჰაქრმი. სხვა მონაცემებით – ʻპთიქა, რომელმაც მოამზადა სუნამოს თასი [21,47].

ʻპთიქა ბინთ მურრა - ʻაბდ მანაფ ბ. კუსაიის ცოლი და მისი რამდენიმე ვაჟის, მათ შორის ჰაშიმის, მუტტალიბის და ʻაბდ აშ-შამსის დედა, მონაწილეობდა *„ჰილფ ალ-აჰაბრშ“*-ში[12]. ის აერთიანებდა რამდენიმე ტომს, რომლებიც კურაიშელთა მოკავშირეები იყვნენ და ხშირად იბრძოდნენ მათთან ერთად საერთო ინტერესების დასაცავად. თუმცა დეტალები ამ კონფედერაციის შესახებ საიდუმლოებითაა მოცული და ამდენად გაურკვეველია ʻპთიქას როლიც. შესაძლოა, ის მონაწილეობდა ცერემონიალის გამართვაში [177, 266; 362,388].

რამდენიმე თანამედროვე მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ მექის დაპყრობის დღეს (630 წ.) ქაʻაბას ტაძრის გასაღები იყო ქალის (სულაფა) ხელში [177,265; 348,298]. გადმოცემებში დასახელებულია ʻუსმან ბ. ტალჰა[13], კუსაიის შთამომავალი მისი ვაჟის – ʻაბდ ად-დარისაგან, რომელიც იყო ქაʻაბას ტაძრის მცველი. არის ცნობა, რომ მან გასაღები შესანახად მისცა თავის დედას – სულაფას. სწორედ ʻუსმანისაგან მოითხოვა ალაჰის მოციქულმა – მუჰამადმა ქაʻაბას გასაღები. სულაფამ გადასცა ʻუსმანს და ამ უკანასკნელმა ის მუჰამადს ჩააბარა. როცა მუჰამადმა გასაღები კვლავ ʻუსმანს დაუბრუნა, დედა აღარ ჩანს [45,821; 177,265-266]. მუსლიმური წყაროების თანახმად, ორივე ქალს ქაʻაბას ტაძრის გასაღები ჰქონდა მხოლოდ შესანახად: ჰუბბას – მამისაგან და სულაფას – ვაჟიშვილისაგან. მუსლიმმა ტრადიციონალისტებმა სათანადო ადგილი არ დაუთმეს ჰუბბას და სულაფას. თუმცა იმ საზოგადოებაში, სადაც იყვნენ ტაძრის ქურუმი ქალები, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ჰუბბა იყო მამის ძალაუფლების მემკვიდრე ანდა მისი გადამცემი თავის შთამომავლებზე.

როდესაც საუბარია ქალის რელიგიურ სტატუსზე წინაისლამურ ხანაში, ასახელებენ მისნებს (*ქაჰინა*), კულტის მსახურებს, ტაძრის ქურუმ ქალებს (*რაბბათ ალ-ბაით*[14]), ქალ-წინასწარმეტყვე-

---

[12] ამ ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობებია მოცემული ლიტერატურაში. ერთ-ერთი განმარტებით, ეს კავშირი შეიკრა მექის ტერიტორიაზე მთა ჰაბიშთან.

[13] ისლამი მიიღო 629 წელს.

[14] მუჰამადის დროს იყო 2 ან 3 რაბბა ალ-ბაით. ერთმა მათგანმა – სარრაʻ ბინთ ნაბპანმა (არაკურაიშმა) მიიღო ისლამი. მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ „სარრაʻ იყო რაბბა ბაით ჯაპილიაში“ [8,VIII, 310].

ლებს (*ნაბიდა*). ისინი იმავე ფუნქციებს ასრულებდნენ, რასაც ამავე სტატუსის მქონე მამაკაცები [203,82,შენ.223].

ნინაისლამურ ხანაში, *„ქაჰინ"* იყო ადამიანი, რომელსაც თითქოსდა ურთიერთობა ჰქონდა ღვთაებასთან ან მის წარგზავნილთან (ანგელოზთან, ჯინთან) ტრანსის მდგომარეობაში. *ქაჰინებს* არა მარტო ძალუძდათ დაფარულის ცოდნა, არამედ ისინი თამაშობდნენ არბიტრის (*ჰაქიმ)* როლს საკამათო საკითხების განხილვის დროს [70,195; 265,109,135]. ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ გადაწყვეტილებებს – იყო ის სწორი თუ არასწორი. ამდენად, მათ ჰქონდათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში [243,162; 317,82-83; 153,24]. სწორედ ჰაქიმის როლი ითამაშა ჩრდილოეთ არაბეთში ხუზაიმმა (ბანუ სა'დ), რომელიც ცხოვრობდა სირიაში. მან მონაწილეობა მიიღო მექაში ზამზამიდან წყლების განაწილების შესახებ დისპუტებში. საკითხი გადაწყდა მუჰამადის ბაბუის – 'აბდ ალ-მუტტალიბის სასარგებლოდ [45,151-158;21,52-53]. სწორედ 'აბდ ალ-მუტტალიბს უკავშირდება კიდევ ერთი შემთხვევა. 'აბდ ალ-მუტტალიბმა, რომელსაც დიდხანს არ ჰყავდა ვაჟი, საჯაროდ აღთქმა დადო, რომ თუ ეყოლებოდა 10 ვაჟი, ერთ-ერთს მსხვერპლად შესწირავდა. მართლაც, როცა შეეძინა 10 ვაჟი, წილი ჰყარა და ეს აღმოჩნდა ყველაზე უმცროსი და ყველაზე საყვარელი – 'აბდ ალ-ლაჰი, მომავალი მოციქულის მამა. მექელები შეეცადნენ გადაერწმუნებინათ და მათი რჩევით ის მივიდა წინასწარმეტყველთან – *'არრაფა*[15], რომელმაც დაუდგინა მსხვერპლად 10 აქლემი. მათ კენჭი უნდა ეყარათ 'აბდ ალ-ლაჰზე და აქლემებზე. თუ 'აბდ ალ-ლაჰს მოუწევდა, უნდა გაეზარდათ აქლემების რიცხვი იქამდე, ვიდრე თვითონ ღმერთი საკმარისად არ მიიჩნევდა ამ მსხვერპლს. მართლაც, როცა აქლემების რიცხვმა 100-ს მიაღწია, ისარმა მიუთითა უკვე აქლემებზე. 'აბდ ალ-მუტტალიბმა ქა'აბას შვილის ნაცვლად 100 აქლემი[16] შესწირა. ასე გადარჩა ქალი-წინასწარმეტყველის რჩევით 'აბდ ალ-ლაჰი. ამ უკანასკნელმა იქორწინა ამინა ბინთ ვაჰბზე, რომელიც იყო კურაიში, საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი ქალი და დაიბადა მოციქული მუჰამადი [167,14; 218,35].

---

[15] ტრადიციებში *ქაჰინები* ხშირად აღწერილია უბრალოდ, როგორც მისნები. ისლამამდელ ხანაში არაბეთის ნახევარკუნძულზე ფართოდ იყო გავრცელებული მკითხაობის, მისნობის სხვადასხვა სახე და მეთოდი, რასაც შესაბამისად შეესატყვისებოდა მისნების განსხვავებული კატეგორია. მათ შორის უმაღლესი კატეგორია იყო – 'არრაფ. მკითხავები, წინასწარმეტყველები თვითონ იყვნენ უცხო ძალებთან „კონტაქტის" ინიციატორები. ისინი ეკითხებოდნენ და იღებდნენ პასუხს [152,11].

[16] სწორედ ამის გამო მუჰამადმა, როცა სისხლის აღება შეზღუდა, ადამიანის სიცოცხლის საფასურად 100 აქლემი დაადგინა.

თითოეულ ტომს თავისი *ქაჰინა* (ქალი-წინასწარმეტყველი) ჰყავდა. ზოგიერთი სარგებლობდა დიდებით თავისი ტომის გარეთაც და მასთან მიდიოდნენ რჩევისათვის. მაგალითად, დასახელებულია კურაიში ('აბდ მანაფ) – ალ-ღაიტალა, რომელმაც იწინასწარმეტყველა მოციქულის დაბადება 20 წლით ადრე მუჰამადის მოციქულობამდე [11,I,332; 45,132; 177,262]. წყაროებში დასახელებულია აგრეთვე აშ-შიქქა და სატრ̄ჰ, რომელთაც იწინასწარმეტყველეს მოციქულ მუჰამადის მოვლინება [58,I,910-914,981-984; 152,11-12]. სამხრეთ არაბეთში იყო ქაჰინა 'აფირა, რომელსაც შეეძლო სიზმრების ახსნა-განმარტება. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩრდილოეთ არაბეთში ქაჰინა – აფლაქა, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ ის მოხსენიებულია სამუდიელთა[17] წარწერებში [218,34]. ქალმა-წინასწარმეტყველებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს *ბასუსის*[18] ბრძოლაში ბანუ თაღლიბსა და ბაქრს შორის და *ზუ ლ-ყარის* ბრძოლაში არაბებს და სპარსელებს შორის[19] [274,42].

ტიპოლოგიურად *ქაჰინები* არაბეთის წინასწარმეტყველთა („ცრუ წინასწარმეტყველთა") წინამორბედები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი თავდაპირველად ქაჰინი იყო[20] [70,195].

ზოგჯერ *ქაჰინა* ასოცირდებოდა ტაძართან (იგულისხმებოდა წმინდა ადგილების დაცვა ან ღვთისმსახურება) და ეწოდებოდა *რაბბა ალ-ბაით* ან ტაძრის მეუფე ქალი [265,152]. რამდენიმე მოხსენიებულია მოციქულის დროს: ქაჰინა-ბანუ ჰ̣ადასის, ჰუსაიმი-ბანუ სა'დის, ფატიმა ბინთ ან-ნუ'მან მექაში ჰიჯრას დროს [8,I,49].

წარმართულ ხანაში ქალები იშვიათად თხოვდებოდნენ სხვა ტომის მამაკაცებზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებული იყვნენ მიეღოთ კერპი ან კერპები იმ ტომის, რომლის წევრებიც ისინი ხდებოდნენ [348,290].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინაისლამურ ხანაში არაბი ქალები სხვადასხვა როლს ასრულებდნენ ბრძოლებში[21]. ზოგჯერ

---

[17] სამუდ – ძველი არაბული ტომი, რომელიც გაუჩინარდა არაბეთის ეთნოგრაფიული რუკიდან ისლამის წარმოშობამდე.

[18] *„აიიამ ალ-'არაბ"*-ის ერთი გადმოცემა – *„ალ-ბასუსის" ომი* სწორედ ქალს უკავშირდება. ამ ბრძოლაში ალ-ბასუს ბინთ მუნკიდჰ ბ. სალმან ალ-თამიმიიამ მოკლა ქულაიბ ბ. რაბი'ა ალ-თაღლიბი.

[19] ზულ-ყარ – თანამედროვე ქუფის რაიონში. ეს ბრძოლა მოხდა 604 წ.

[20] საჯჯ̣ჰ, უმმ ს̣ადირ ბინთ აუს (თამიმის ტომი) ქაჰინა იყო. მოციქულის სიკედილის შემდეგ საჯჯ̣ჰმა თავი გამოაცხადა წინასწარმეტყველად [177,276].

[21] Lichtenstädter I. [274] თავის მონოგრაფიაში „ქალები წინაისლამურ ბრძოლებში" საუბრობს ბედუინ ქალებზე, რომლებიც ხშირად იყვნენ ბრძოლის

ქალი თვითონ იყო მიზეზი ტომთა შორის ომის. უმრავლეს შემთხვევაში ის იყენებდა თავის გამჭრიახობას, რათა დახმარებოდა საკუთარ ოჯახს და ტომს[22]. მრავალი ქალი მოუწოდებდა თავის ძმას, ქმარს და ვაჟს საგმირო მოქმედებისაკენ [299,88]. იყვნენ ქალები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ბრძოლებში ან ბრძოლის შემდეგ დაჭრილებს მკურნალობდნენ. თვითონ მუჰამადის დროსაც, წარმართი არაბი ქალები მონაწილეობას იღებდნენ მოციქულის წინააღმდეგ ბრძოლებში. უჰუდთან (625 წ.) ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჰინდა ბინთ 'უთბამ[23]. ის ხელმძღვანელობდა მექელ არისტოკრატ ქალთა დიდ ჯგუფს[24], რომელთაც შურისძიება სურდათ ბადრთან ბრძოლის (624 წ.) დროს მუსლიმთა მიერ მოკლული მათი ახლობლების გამო. მუჰამადის ბიძის – ჰამზას მკვლელობისათვის ჰინდა ბინთ 'უთბამ თავისუფლება აღუთქვა თავის აფრიკელ მონას. ამ უკანასკნელმა მართლაც დაიმსახურა თავისუფლება [240, 200].

ქალების მიერ იყო შექმნილი კარგად ცნობილი და ორგანიზებული ინსტიტუტი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს *„გამარჯვების ქალბატონის"* კულტი. ქალი, გამორჩეული თავისი სოციალური მდგომარეობით, ასოცირდებოდა ადგილობრივი ღვთაების კერპსიმბოლოსთან და ნინ მიუძღოდა ქალთა ჯგუფს ბრძოლის ველზე. ისინი ამხნევებდნენ მეომრებს სიმღერით, ბარბითზე დაკვრით.

ველზე. ისინი ამხნევებდნენ მეომრებს, აწვდიდნენ წყალს და სამედიცინო დახმარებას უწევდნენ, ხოცავდნენ დაჭრილ მონინააღმდეგეებს და ასახიჩრებდნენ მათ გვამებს. დასახელებულია რამდენიმე ქალი, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ.

[22] გადმოცემით, სალმა ბინთ 'ამრი (მუჰამადის ბაბუის – 'აბდ ალ-მუტტალიბის დედა) გათხოვდა უჰაიჰა ბ. ალ-ჯულუ̄ჰზე (იასრიბის არაბული ტომის – აუსის წინამძღოლი და წინაისლამური ხანის პოეტი), რომელმაც დაგეგმა ლაშქრობა მისი ხალხის წინააღმდეგ. ის იყო უჰაიჰასთან ერთად ციხესიმაგრეში და მასთან ერთად იყო მისი ვაჟი 'ამრი (მაშინ ძალიან პატარა იყო). სალმამ ბავშვი ისე მჭიდროდ შეკრა, რომ ის ტიროდა მთელი ღამე და უჰაიჰამ ვერ დაიძინა. დილით მან გაათავისუფლა ბავშვი, რომელმაც დაიძინა და მასთან ერთად უჰაიჰამაც. სალმა თოკით დაეშვა ციხესიმაგრიდან (ამის გამო მიიღო საპატიო ზედმეტსახელი –„მუთადალლიბ" – „დაკიდებული") და წავიდა თავის ხალხთან, რათა შეეტყობინებინა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ამ ლაშქრობას მაინც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ცოტა სისხლი დაიღვარა [3,ბ.XIII:124; 339,149].

[23] ჰინდა ბინთ 'უთბა – მუჰამადის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგის, აბუ სუფიან ბ. ჰარბის ცოლი და პირველი უმაი

ქალთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო *„გამარჯვების ქალბატონი“* და სამხედრო თვალსაზრისით, მისი დატყვევება ნიშნავდა ბრძოლის წაგებას. ბრძოლა ფაქტობრივად ამ ქალების გარშემო მიმდინარეობდა [177,262-263]. ზოგიერთ შემთხვევაში ქალები იყვნენ უფრო აქტიურები ბრძოლის დროს, ვიდრე მამაკაცები. წინაისლამურ ხანაში გაბედული, მამაცი ქალის მაგალითი არის ფუკაიჰა. მან ხმლით დაიცვა მტრისაგან მამაკაცი, რომელიც თავშესაფარს ეძიებდა მის კარავში [410]. ხშირად ქალები მედიატორის როლს ასრულებდნენ ბრძოლებში.

წყაროთა მონაცემებით წინაისლამურ ხანაში ქალთა შორის იყვნენ პოეტები[25], მსაჯულები და საქმიანი პარტნიორები. ისინი მონაწილეობას იღებდნენ ტომობრივ დისპუტებში და მოსამართლის[26] ფუნქციასაც ასრულებდნენ. აღნიშნულია, რომ უძველეს არაბეთში ქალებმა დედოფლის რანგსაც მიაღწიეს: ჰიმიარიელი – ბალკისი, ღასანიანი – მავიყა და ლახმიდიანი – ჰინდა განთქმული იყვნენ თავიანთი სილამაზით[27] [178, 1-22].

წინაისლამურ ხანაში მემკვიდრეობის შესახებ კანონი არ არსებობდა. ყურანის ცნობილი კომენტატორის არ-რაზის თანახმად, ჯაჰილიყას პერიოდში მემკვიდრეობის მისაღებად ორი კრიტერიუმი არსებობდა: 1. *ნათესაობა* და 2. *ფიცი*. პირველი კრიტერიუმის თანახმად, მემკვიდრეობით ქონებას იღებდნენ მამრობითი სქესის ნათესავები, ვინც მონაწილეობდა ლაშქრობებში და მოიპოვებდა ნადავლს, მაშინ, როცა მდედრობითი სქესის ნათესავები ამოღებული იყვნენ მემკვიდრეთა სიიდან. მეორე კრიტერიუმის შესაბამისად ორი ადამიანი იტყოდა: *„შენი სისხლი ჩემი სისხლია, შენი სამოსი ჩემი სამოსია, შენ ჩემი მემკვიდრე ხარ, მე შენი“* – ასე ეფუძნებოდა სისხლით ნათესაობა. მემკვიდრეობას იღებდა ნაშვილები შვილიც [13,V,210].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინაისლამურ ხანაში ქალს არ ჰქონდა მემკვიდრეობის უფლება. მას არ შეეძლო მემკვიდრეობით მიეღო თავისი ქმრის, მამის ან თავისი ნათესავების ქონება. პირიქით, ის თვითონ იყო მემკვიდრეობის ობიექტი. ყურანის

---

[25] წინაისლამურ ხანაში ცნობილი არაბი პოეტი ქალი იყო ხანსა'. დაიბადა 575 წელს. გადმოცემით, ის თავისი ტომის (სულაიმ) წევრებთან ერთად 629 წელს ჩავიდა მედინაში, რათა მოქცეულიყო ისლამზე. გარდაიცვალა 'უმარის (634-644) ხალიფობის ბოლოს ან სხვა გადმოცემით, მუ'ავიყას ხალიფობის დასაწყისში.

[26] ყველაზე ცნობილი იყო 'ამირ ბ. აზ-ზარიბის ქალიშვილი, რომელიც ეხმარებოდა თავის მამას მოხუცებულობის დროს გამოეტანა გადაწყვეტილება [3,IV:119].

[27] ნ. ებოთი სპეციალურ გამოკვლევას უძღვნის ამ საკითხს და ჩამოთვლის დაახლოებით 24 დედოფალს თექვსმეტი საუკუნის მანძილზე [178,1-22].

კომენტატორთა აზრით, ჯაჰილიიას პერიოდში, *„მემკვიდრეობას იღებდა მხოლოდ ის, ვისაც შეეძლო შუბის ფლობა, თავისი ქონების დაცვა და ნადავლის მოპოვება. მემკვიდრეობას იღებდა ის, ვისაც შეეძლო ბრძოლა და უპირატესობა ენიჭებოდა უფროსს ასაკით“* [4,104; 52,1210,შენ.19]. ისლამამდე მემკვიდრეობა გადადიოდა მამაკაცის ხაზით: ქონება იყო ოჯახის უფროსის – ბაბუის, უფროსი ბიძის, უფროსი ძმის ხელში. ქალიშვილები იღებდნენ მზითევს და საქორწინო საჩუქარს და ეს იყო მათი ერთადერთი საკუთრება. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქალი საარსებო სახსრების გარეშე რჩებოდა. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა მუჰამადის დედაც. ამდენად, თვითონ მუჰამადს, რომელიც ბაბუასთან ცხოვრობდა, ქორწინებამდე საკუთარი სახლი არ ჰქონდა.

ტრადიციის თანახმად, ხადიჯას[28] გარდაცვალების შემდეგ (619წ.) მუჰამადს სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდა. ეს იყო ჰაშიმის გვარისადმი ბოიკოტის[29] შემდგომი ხანა. მუჰამადმა დაკარგა თავისი გვარის მფარველობა და ფაქტობრივად გაკოტრდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხადიჯას ანდერძის მიუხედავად, მისი ქონება გადასცემოდა თავის ქმარს და ქალიშვილს, ის გადაეცა მის ძმებს, მათ ვაჟებს ან მის ბიძაშვილებს, როგორც ამას არსებული წესი მოითხოვდა [272,96; 300,153]. არის მოსაზრება, რომ ხადიჯამ ბოიკოტის დროს დაკარგა თავისი ქონება.

წყაროთა მონაცემებით, მემკვიდრეობის გადაცემასთან დაკავშირებით განსხვავებული მდგომარეობა იყო ვაჭრობისა და მიწათმოქმედების ცენტრებში – მექაში, ტაᲑ'იფში, იასრიბში, სადაც ქალიშვილებს თავიანთ კანონიერ მემკვიდრეებად სცნობდნენ[30]. თუმცა ეს არ იყო ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა. სხვაგვარად იყო საქმე ფულად კაპიტალთან დაკავშირებით, რომელიც უფრო ინდივიდუალიზებული იყო. მოგება პირადი კაპიტალიდან მის პირად საკუთრებაში რჩებოდა. ეს წესი ვრცელდებოდა ქალებზეც.

---

[28] ხადიჯა ბინთ ხუვაილიდ – მუჰამადის პირველი და ერთადერთი ცოლი მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

[29] მექელებმა აიღეს ვალდებულება, რომ არ ექნებოდათ საქმე ჰაშიმის გვართან – არ დაქორწინდებოდნენ ამ გვარის წარმომადგენლებზე, არაფერს არ მიყიდიდნენ და არ იყიდიდნენ. ეს სიგელი ქა'აბაში იყო მოთავსებული.

[30] მუჰალპილ ბ. ზაიდის ქალიშვილმა და პინდამ – Ბა'Ბა'ას (ალ-ფარაზდაკის ბაბუა) ქალიშვილმა, მიიღეს მამის მემკვიდრეობის ნაწილი. იხსენიება აგრეთვე, 'ამირ ბ. ჯუშამა ბ. იაშკურის სახელი, რომელმაც ტრადიციის თანახმად, პირველად ისლამამდელ არაბეთში თავისი ქალიშვილი ჩართო მემკვიდრეების რიცხვში და გამოუყო მას ორჯერ მცირე თანხა, ვიდრე თითოეულ თავის ვაჟიშვილს [148,89-90]. მემკვიდრეობა ძმებთან ერთად მიიღო ღანიია ბინთ 'არიფიმ, ხოლო მისმა ვაჟმა – ხატიმმა თავისი ქალიშვილი მემკვიდრედ აქცია [148,90].

მექაში ისინი შედარებით დამოუკიდებლები იყვნენ[31]. ქალებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი ქონების განკარგვის უფლება, ისინი დაკავებულნი იყვნენ ვაჭრობით და მევახშეობით. მექაში ყველაზე საპატიო წოდება იყო თაჯირ (ვაჭარი). მაგალითად, 'ასმᾶ' ბინთ მუხარრიბა ბ. ჯანდალ [8,VIII,300-301; 377,290] იყო თაჯირა – ვაჭარი-ქალი, რომელიც პარფიუმერიით ('ატტᾶრ) ვაჭრობდა, იემენიდან შემოჰქონდა იასრიბში [377,290; 27,47]. დასახელებულია აგრეთვე სხვა ქალი, რომელიც ყიდდა სუნამოს ('იტრ) მექაში. გადმოცემით, მისი სუნამო ისე პოპულარული გახდა, რომ მამაკაცები იპკურებდნენ მას საბრძოლველად ნასვლამდე [218, 32]. კაილა (უმმ ბანᾒ ანმᾶრ) – არაკურაიში ვაჭარი იყო, ყიდულობდა და ყიდდა [8,VIII,311]. გადმოცემით, ბადრთან ბრძოლის შემდეგ (624წ.) მუსლიმები არ ჩქარობდნენ გამოსასყიდის ფასად გადაეცათ აბᾒ 'აზᾒზ ბ. 'უმაირი (ბანᾒ ჰᾶშიმ), რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ უფრო დიდ თანხას მიიღებდნენ მისი დედის – კაილასაგან. მართლაც, მან გადაიხადა ყველაზე მაღალი თანხა კურაიშელის გამოსასყიდად – 4000 დირჰამი[32] [148,91; 21,303-34]. წყაროებში დასახელებულია აგრეთვე მულაიქა, რომელიც კეთილსურნელებებით და ხორბლით ვაჭრობდა. აბᾒ სუფიᾒნის ცოლი – ჰინდა ბინთ 'უთბა ანარმოებდა ვაჭრობას სირიაში ქალბიტებთან (ქალბის ტომი). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქალებს გარკვეული სიმდიდრე მოჰქონდათ ჰᾒჯᾒზისათვის. საუკეთესო მაგალითია ხადᾒჯა – მოციქულის ცოლი, რომელიც ფლობდა დიდ ფინანსურ რესურსებს და მისი სავაჭრო ქარავნები მიემართებოდა სირიაში. ხადᾒჯას პარტნიორები მამაკაცები იყვნენ. მათ შორის იყო მუჰამადიც[33], რომელსაც კეთილსინდისიერებისათვის უფრო მეტს უხდიდა, ვიდრე სხვებს. ფაქტია, რომ ხადᾒჯა, რომელსაც მამის თანხმობის გარეშე არ შეეძლო გათხოვება მოციქულზე, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა, ფლობდა ქონებას. ცნობილია აგრეთვე, რომ ხადᾒჯამ ისლამამდე სახლი აჩუქა თავის ქალიშვილს – ზაინაბს [340,120].

---

[31] მექის განსაკუთრებული მდგომარეობა და სტატუსი – სარწყავი წყლის არარსებობა, მინათმოქმედებისა და ნადირობის აკრძალვა წმინდა ტერიტორიაზე, მეზობელი ტომების მხრივ მისი ხელშეუხებლობის აღიარება – ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. შემდგომში მრავალმა მექელმა მოიპოვა ხელისუფლება და გავლენა სნორედ იმ სიმდიდრის წყალობით, რომელიც შეიძინეს ინტენსიური ვაჭრობის შედეგად. სამხედრო ლაშქრობების დროსაც კი თან მიჰქონდათ საგნები ვაჭრობისა და გაცვლისათვის. მექის სავაჭრო ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალებიც.

[32] დირჰამი – ვერცხლის ფული, წონით 2,97 ან 3,13 გრ.

[33] მუჰამადი ქორწინებამდე ხადᾒჯასთან მუშაობდა სავაჭრო მოურავად.

ჩვენ არ ვიცით, საიდან მიიღო ხადიჯამ ეს ქონება, შესაძლოა, თავისი ყოფილი ქმრისაგან. თუმცა გადმოცემით, მემკვიდრეობის მიღების თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობა იყო მექაში, ვიდრე იასრიბში.

ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ მუჰამადი რეკომენდაციას უწევდა ობლებს, ქვრივებს, რათა მათ დახმარებოდა ხადიჯა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქმარს არ შეეძლო დაეხარჯა, რაც ეკუთვნოდა თავის ცოლს ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე [218,130].

წინაისლამური ხანის არაბული ოჯახი იყო ძირითადად მატრიარქალური, სადაც მამაკაცები და ქალები ეკუთვნოდნენ დედის გვარს[34] [376,152]. თუმცა მექაში პატრიარქალური პრაქტიკა ძლიერი იყო. მატრიარქატის შეცვლა პატრიარქატით ისლამის წარმოშობის პროცესში უკავშირდება ქონებრივი საკითხის წინა პლანზე წამოწევას. პატრიარქატის სტადიაზე მოქმედებს მამის უფლება, რის მიხედვითაც გენეალოგია მომდინარეობს მამაკაცის ხაზით და მემკვიდრეობა განუხრელად გადაეცემა მამიდან შვილებზე (ვაჟებზე). მატრიარქატის დროს კი მამაკაცს არ შეეძლო კონტროლი გაენია თავისი ქონებისათვის და მემკვიდრეობა უნდა გადასცემოდა თავისი დის ვაჟს [377,272-73].

ისლამის წარმოშობამდე არაბებს არ ჰქონდათ კანონი, რომელიც დაარეგულირებდა საქორწინო ურთიერთობებს, აქ მოქმედებდა პატრიარქალურ-გვაროვნული ტრადიციები. აღნიშნულ პერიოდში მამაკაცებს აბსოლუტური უფლება ჰქონდათ ქალებზე ქორწინების და განქორწინების დროს. ქორწინებამდე ქალზე უფლება ჰქონდა მის მამას, ქორწინების შემდეგ – ქმარს, დაქვრივების შემთხვევაში – ქმრის უახლოეს ნათესავებს. ცოლების რაოდენობა არ იყო შეზღუდული [269,100].

ჯაჰილიჰას დროს არაბებთან იყო როგორც ეგზოგამიური, ისე ენდოგამიური ქორწინებები. თუმცა ისინი უპირატესობას აძლევდნენ ეგზოგამიურს, რადგანაც ის კრძალავდა ნათესავებთან ქორწინებას. სხვადასხვა თეორიები არსებობს ეგზოგამიური ქორწინების წარმოშობის თაობაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო შთამომავლობაზე სისხლის ნათესავთა შორის ქორწინების მავნე ბიოლოგიური გავლენის თავიდან აცილება. წარმართ არაბთა დაკვირვებით, სხვა ტომის ქალიშვილებთან და ქვრივებთან ქორწინების შედეგი იყო ჯანმრთელი და ძლიერი შთამომავ-

---

[34] მუჰამადის დედა – ამინა დარჩა თავის ტომთან 'აბდ ალ-ლაჰზე გათხოვების შემდეგ. მისი ქმარი გარდაიცვალა მუჰამადის დაბადებამდე, თუმცა მუჰამადი მხოლოდ დედის გარდაცვალების შემდეგ წაიყვანეს აღსაზრდელად მამის ნათესავებმა [377,375].

ლობა. თუმცა მშობლებს არ სურდათ მათი ქალიშვილები გამხდარიყვნენ თავიანთი ტომის მონინააღმდეგეთა შესაძლო დედები [340,74; 191,130-35]. ეგზოგამიური ქორწინებები[35] მექაში აიხსნებოდა ძირითადად იმ მისწრაფებით, რომ განემტკიცებინათ გვარებს შორის კავშირი. იბნ სა'დის თანახმად, ენდოგამიური ქორწინება[36] (ახლო ნათესავებს შორის) უფრო გავრცელებული იყო კურაიშელებში, ვიდრე მომთაბარე ტომებში. ამასთან ენდოგამია იყო ქორწინების უპირატესი ფორმა იასრიბში – აუსის და ხაზრაჯის არაბულ ტომებში. ქორწინებების ორი მესამედი ამ ტომებში იყო ენდოგამიური [8,VIII,239-246,251-255,306-319,321-337]. თუ ქალი თხოვდებოდა ერთ-ერთ ნათესავზე თავისი ტომიდან (*'აშირ*), მაშინ მამა ან ძმა ეუბნებოდა მას: „თუ შენ გათხოვდები მასზე, შენთვის იოლი იქნება შენი გადაწყვეტილება და შენ დაბადებ ვაჟებს და არა გოგონებს. ალაჰი ნარმოშობს შენგან მრავალრიცხოვან, ძლიერ და სიცოცხლისუნარიან შთამომავლობას. იყავი კეთილსინდისიერი და პატივი ეცი შენს ქმარს". თუ უცხოზე თხოვდებოდა – „დაე, . . არ დაბადო ვაჟები. შენ დაგვიახლოვებ ჩვენ უცხოებს და დაბადებ მტრებს" [27,87]. ენდოგამიური ქორწინების მოტივი ძირითადად იყო ქონების ახლო ნათესავებში შენარჩუნება.

ისტორიულ ლიტერატურაში არ არის სარწმუნო ცნობები პოლიგამიის შესახებ წარმართ არაბებთან. მართალია, იყო მრავალცოლიანობის ცალკეული შემთხვევები ტომის ნინამძღოლებთან, მაგრამ ყურანში არსად არაა მოხსენიებული ისლამამდელ არაბებთან მრავალცოლიანობის შესახებ. თუ პოლიგამიური ქორწინება ასე ფართოდ იყო გავრცელებული წარმართ არაბებში, როგორც ამას მუსლიმი ავტორები ამტკიცებენ, მაშინ ეს რაღაც ფორმით აისახებოდა ყურანში ისლამამდელი ეპოქის სხვა სოციალურ მოვლენებთან ერთად. არაფერია ნათქვამი ბიოგრაფიული ტიპის თხზულებებშიც. მუჰამადის მამას ერთი ცოლი ჰყავდა, მისი ბიძა – აბუ ლაჰაბი ძალზე მდიდარი იყო, მაგრამ ერთი ცოლი ჰყავდა. აბუ

---

[35] ეგზოგამიური ქორწინების დროს დედის გვარის და მამის გვარის ინტერესები ეჯახებოდა ერთმანეთს. იბნ ჰიშამის თანახმად, პირველი ემიგრანტი მედინაში ჰიჯრას (622) დროს იყო აბუ სალამა ('აბდ ალ-ასად ბ. მახზუმის გვარი). ცოლის ნათესავებმა გადაწყვიტეს ხელი შეეშალათ ოჯახის გამგზავრებისათვის და არ მისცეს უმმ სალამას (ალ-მუღირა ბ. მახზუმის გვარი) საშუალება გაჰყოლოდა თავის ქმარს. მაგრამ ვერ შეძლეს დაუფლებოდნენ აბუ სალამას ვაჟს. ის წაიყვანეს აბუ სალამას ნათესაეებმა და ბავშვი მოგვიანებით (თითქმის ერთი წლის შემდეგ) დედას გადასცეს. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა საშუალება უმმ სალამას წასულიყო მედინაში თავის ქმართან [21,199-200].

[36] ქორწინება მამის მხრიდან, უფრო იშვიათად დედის მხრიდან ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე, გარე ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე – ორთოკეზენური ქორწინება.

სუფიანს – კურაიშის ტომის, უმაიიას გვარის გავლენიან წევრს და წარმატებულ ვაჭარს, ასევე ერთი ცოლი ჰყავდა [116,63; 347,62]. თუმცა მრავალცოლიანობა არ იყო აკრძალული. ტომის წინამძღოლებს ჰყავდათ მრავალი ცოლი, რათა განემტკიცებინათ კავშირი სხვა ოჯახებთან.

საინტერესოა როგორი იყო ქორწინების ფორმები წინაისლამურ არაბეთში:

ა) *ზავაჯ ალ-ბა'ლ* – ასეთი ქორწინების დროს ქმარი იყო ქალის „მფლობელი", „გამგებელი" (ბა'ლ) [225,175]. ეს იყო ქორწინების საუკეთესო ფორმა.[37] თუ მამაკაცს სურდა დაქორწინება ქალზე, უნდა შეეთავაზებინა წინადადება მისი მამის, ძმის, ბიძის ან ბიძაშვილისათვის. ქალს უნდა ჰქონოდა მამაკაცის თანაბარი სოციალური სტატუსი. ქორწინების დღეს იკრიბებოდნენ ტომის წევრები, მსხვერპლს სწირავდნენ და ხუტბას [სიტყვა] წარმოსთქვამდნენ. სწორედ ასე მოხდა ხადიჯასთან მოციქულის ქორწინების დღეს. ხუტბა წარმოთქვა მისმა ბიძამ – აბუ ტალიბმა: *„დიდება ალაჰს, რომელმაც შეგვქმნა ჩვენ, იბრაჰიმის შთამომავლები და შემდეგ ისმა'ილმა გაგვხადა ჩვენ ალლაჰის სახლის [ალ-ქა'ბა] გამგებლად და გაგვხადა ჩვენ არაბთა წინამძღოლად. ხოლო შემდეგ, ჩემმა ძმისშვილმა – მუჰამმად ბ. 'აბდ ალ-ლაჰმა, არავის შეუძლია შეედაროს მას და [თუ ასე მოხდება], მაშინ კეთილშობილება, აღმატებულება და ინტელექტი გადაიხრება მის მხარეზე. თუმცა ის არის ღარიბი, სიღარიბე კი არ არის მუდმივი და მან ითხოვა ენთუზიაზმით თქვენი ქალიშვილის – ხადიჯას ხელი და ის [მუჰამმადი] არის მისი მეწყვილე და მან მისცა მას 20 ახალგაზრდა მდედრი აქლემი, როგორც საქორწინო საჩუქარი და მე, კურაიში, ვამონმებ ამას"* [89,23].

ბ) *ზავაჯ ალ-დაიზან ან ალ-მაკთ* (არასამართლიანი, საძულველი) – ეს იყო ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქალის მემკვიდრეობით მიღება. ქვრივზე უპირატესი უფლება ჰქონდა გარდაცვლილის უფროს ვაჟს. თუ ვაჟები არ ჰყავდა გარდაცვლილის ძმას, ძმისშვილს ან ნებისმიერ მემკვიდრეს შეეძლო დაეკავებინა გარდაცვლილი ქმრის ადგილი მაჰრის[38] მეორეჯერ გადახდის გარეშე. მემკვიდრეს შეეძლო ეს უფლება სხვისთვის დაეთმო მის სასარგებლოდ მაჰრის გადახდის პირობით. მემკვიდრეს შეეძლო აგ-

---

[37] ისლამის ხანაში მას ეწოდა ნიქაჰ. ეს სიტყვა მიუთითებს კანონიერ ქორწინებაზე და მას ადგილი აქვს მაჰრის გადახდის შემდეგ საქმროს მიერ საცოლისათვის.

[38] მაჰრი — ჯაჰილიიაში გამოსასყიდი, საპატარძლოს ფასი. ის იყო კანონიერი ქორწინების აუცილებელი პირობა.

რეთვე ხელი შეეშალა მისთვის გათხოვილიყო სხვაზე. ქალის გარდაცვალების შემთხვევაში ის იღებდა მის ქონებას. ქალს შეეძლო თავის ახლობლებთან დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი ქმრის მემკვიდრეს დაუბრუნებდა ოდესღაც მისთვის გადახდილ მაჰრს [218,23-25; 148,91; 340,107; 84,148]. ქორწინების ეს ფორმა – მამის ერთ-ერთი ცოლის მემკვიდრეობა, აიკრძალა ყურანით [4:19].

გ) *მუთ'ა* – დროებითი ქორწინება, რომლის ხანგრძლივობაც განსაზღვრულია და ამ ვადის გასვლის შემდეგ ქორწინება ირღვევა ავტომატურად. ქორწინების ეს ფორმა შემოღებულ იქნა ხანგრძლივი საქარავნო მოგზაურობის დროს. მამაკაცები ქორწინდებოდნენ დროებითი ქორწინებით იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ქარავანთა ხანგრძლივი შესვენების ადგილი იყო. ა. ლამმენსი ამტკიცებს, რომ მდიდარ მექელ ვაჭარ-მექარავნეებს ასეთ დასახლებულ პუნქტებში ჰყავდათ უამრავი ცოლი[39] [27,72]. დროებითი ქორწინების დროს ქალი რჩებოდა თავის სახლში და დაბადებული ბავშვი არ ეკუთვნოდა ქმარს, რომელიც ტოვებდა თავის ცოლს საქორწინო ვადის გასვლის შემდეგ. თუმცა ბავშვებს უფლება ჰქონდათ მემკვიდრეობით მიეღოთ თავიანთი მამის ქონება[40] [84,197; 191,101; 272,111].

დროებითი ქორწინების დროს საჭირო არ იყო არც მოწმეები და არც ვალი (მეურვე). ქალი არ ტოვებდა თავის სახლს, მაგრამ მემკვიდრეობის უფლება არ ჰქონდა [340,85-86; 290,610].

დ) *ზავაჯ ალ-ბადალ* (სამაგიერო) – ორმხრივი გაცვლა ცოლების. ერთ მამაკაცს შეეძლო ეთხოვა მეორისათვის უარი ეთქვა თავის ცოლზე მის სასარგებლოდ და სამაგიეროდ თვითონ უარს

---

[39] თუმცა სხვა ცნობებით, ნინაისლამურ არაბეთში არ იყო მმართველი კლასები, არ იყო დიდი ჰარემები, სადაც ქალებს ისე ექცეოდნენ, როგორც საკუთრებას. შეიძლება შევნიშნოთ, რომ არის ცნობები მომღერალი და მოცეკვავე, განსაკუთრებით უცხოური წარმოშობის, ქალების შესახებ, ჯერ კიდევ ღასანიანთა კარზე.

[40] ზოგიერთი მკვლევარი ჰაშიმ ბ. 'აბდ მანაფის ქორწინებას სალმა ბინთ 'ამრზე – დროებით ქორწინებად მიიჩნევს. მასზე იქორწინა ჰაშიმმა იასრიბში მოგზაურობის დროს. დაიბადა 'აბდ ალ-მუტტალიბი (მუჰამადის ბაბუა). ჰაშიმმა დატოვა ის თავის დედასთან. სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ, მასთან ჩავიდა ბავშვის ბიძა – ალ-მუტტალიბი, თავის ქვეყანაში წამოსაყვანად, რადგანაც ის იყო უცხო ხალხში. სალმამ თავდაპირველად წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ შემდეგ ნება დართო [45,88; 21,50]. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, 'აბდ ალ-მუტტალიბს კონფლიქტი მოუხდა თავის ბიძასთან (მამის ძმასთან) მემკვიდრეობის თაობაზე და როცა მხარდაჭერა ვერ პოვა მამის საგვარეულოში ('აშირ), დახმარებისათვის მიმართა დედის ნათესავებს. მათ დაიცვეს მისი ინტერესები [148,84; 58,I,1086].

იტყოდა თავის ცოლზე მეორის სასარგებლოდ. ეს გაცვლა ხდებოდა მაჰრის შეთავაზების გარეშე [218,24].

ე) *ზავაჯ აშ-შილარ* (გაცვლით ქორწინება) – მამაკაცი ათხოვებდა თავის ქალიშვილს ან დას მამაკაცზე, რომელსაც სანაცვლოდ უნდა მიეთხოვებინა თავისი ქალიშვილი ან და ამ მამაკაცისათვის. მუჰამადმა აკრძალა ეს ფორმა. ეს იყო მაჰრის გარეშე ქორწინება [6,67:29; 84,148].

ვ) *ზავაჯ ალ-ისთიბდ'ა* – „ურთიერთობის ძიება". ამ დროს ქმარი სთხოვდა თავის ცოლს სქესობრივი კავშირი დაემყარებინა სხვა მამაკაცთან. ეს იყო ქორწინების ძალზე იშვიათი ფორმა არაბებთან. მას მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა მამაკაცი იმპოტენტი იყო. ზოგიერთი გადმოცემით, ის გამოიყენებოდა მონა-ქალებთან დაკავშირებით. ამის მიზანი იყო ჯანმრთელი ბავშვების დაბადება, რომლებიც ისევ პატრონთან რჩებოდნენ სამუშაოდ ან მათ ყიდიდნენ მონათა ბაზარზე. ეს იყო ბიზნესის ერთ-ერთი სახე [191,100-101; 270,150; 290,606] და ამ ქორწინების ძირითადი მოტივი იყო მოგების მიღება.

ზ) *ნიქაჰ ალ-ზა'ინა* (მორჩილება). ეს ის ფორმაა, როცა ომის დროს მამაკაცი ტყვედ იყვანდა ქალს და სურდა მასზე ექორწინა. ქალს არ შეეძლო უარი ეთქვა, რადგანაც მისი ტყვე იყო. ამ დროს არ ხდებოდა არც ხუტბას წარმოთქმა, არც მაჰრის გადახდა. უბრალოდ, მამაკაცს უფლება ჰქონდა ექორწინა თავის მონა-ქალზე. თუ ის დაბადებდა ბავშვებს, მას შეეძლო ისინი ან გაეთავისუფლებინა, თავის შვილებად ეღიარებინა ან ისევ მონებად დაეტოვებინა [323,912-913]. მკვლევართა აზრით, ქალების ტყვედ შეპყრობას ნადავლის სახით ოთხი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: 1. დატყვევებული ქალების გათავისუფლება ხდებოდა მხოლოდ გამოსასყიდის ფასად. გამარჯვებული, დამპყრობელი ტომი ამ გზით თავის ფინანსურ მდგომარეობას იუმჯობესებდა და თავიდან იცილებდა განადგურების და შიმშილის საშიშროებას. ზოგჯერ ამ ქალებს ყიდიდნენ სხვა ტომებზე შემოსავლის მიღების მიზნით. ასე მოიქცა მუჰამადი, როცა მან გაანადგურა იუდეველთა ტომი – ბანუ კურაიზა. 2. მამაკაცისათვის თავის ტყვეზე ქორწინება უფრო იაფი[41] იყო, ვიდრე კონტრაქტით ქორწინება. თვითონ მუჰამადმა იქორწინა ორ ტყვე ქალზე (ს̣აფიიდ და ჯუვაირიიდ). 3. მოწინააღმდეგე, მტრულ ტომებს სურდათ ჰყოლოდათ მრავალი ქალი, რათა გამოეზარდათ უფრო მეტი მებრძოლი მამაკაცი. მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, მრავალი მეომარი – მუჰამადის მიმდევართა მესამე თაობიდან დაბადებული იყო ტყვე ქალებისაგან. 4. ის ტომები, სა-

[41] მაჰრის სანაცვლოდ თავისუფლებას ანიჭებდა.

დაც ნაკლები იყო მდედრობითი სქესის მოსახლეობა, მრავლდებოდა სხვა ტომის ქალების დაპყრობის გზით. ეს პრაქტიკა – ქორწინება დაპყრობის გზით, ფართოდ იყო გავრცელებული მუჰამადის მექიდან მედინაში გადასვლამდე [240,100-101].

თ) ზოგიერთ ტომში ჩვეულებრივი იყო *მომსახურებით ქორწინება*. თუ მამაკაცს არ ჰქონდა საშუალება გადაეხადა მაჰრი, ის თანხმდებოდა მომსახურებოდა საცოლის მამას ან მის ნათესავებს იმ დროით, რაც საჭირო იყო საქორწინო საჩუქრის ღირებულების გამოსამუშავებლად [240,101].

ი) ზოგიერთ ტომში გავრცელებული იყო *„ექსპერიმენტული თანაცხოვრება" – სიფაჰ*. ეს სიტყვა ნიშნავს მრუშობას. მამაკაცს შეეძლო ეცხოვრა ახალგაზრდა ქალთან ქორწინებამდე და თუ მათ მოეწონებოდათ ერთმანეთი, შეეძლოთ საქორწინო ხელშეკრულება დაედოთ. სხვა შემთხვევაში მათ არანაირი ვალდებულება არ ჰქონდათ ერთმანეთთან [191,101].

კ) *ქორწინება მეგობრობით*. მამაკაცი სთავაზობდა ქალს თავის მეგობრობას. ამ ტიპის ქორწინების შესატყვისი არაბული სიტყვა იყო – *ხადრა* (ქალი-მეგობარი). ხშირად მამაკაცის *ხადრა* იყო სხვა მამაკაცის ცოლი. ამ დროს არ იყო მონმეები და საქორწინო ცერემონიალი. მამაკაცი აძლევდა საჩუქარს საპატარძლოს (ხადაკ). ასეთი ქორწინების შემდეგ დაბადებული ბავშვები დედასთან რჩებოდნენ [11,101; 340,93-94; 269,135].

ლ) არსებობდა *„ერებუ"* ქორწინებაც (ზედსიძედ გახდომა). როცა სემიტ მამას არ ჰყავდა საკუთარი ვაუები, ის შვილად იყვანდა ახალგაზრდა მამაკაცს, ღებულობდა როგორც საკუთარ შვილს და ათხოვებდა მასზე თავის ქალიშვილს ნათესაური კავშირის განმტკიცების მიზნით [191, 101; 71,83].

საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, თუ რა კატეგორიის ადამიანებს შორის იკრძალებოდა ქორწინება (*ნიქაჰ ალ-მუჰარამ* – აკრძალული). მამას არ შეეძლო ექორწინა თავის ქალიშვილზე, ბაბუას არ შეეძლო თავის შვილიშვილ გოგონაზე ქორწინება, დედას – თავის ვაჟზე, ბებიას თავის შვილიშვილ ვაჟზე, ძმას – დაზე. იკრძალებოდა ქორწინება დედასთან, ქალიშვილებთან, დებთან, მამიდებთან და დეიდებთან, ძმისშვილებთან, დისშვილებთან. აკრძალული იყო აგრეთვე ნაშვილები შვილის ცოლთან ქორწინება. თუმცა ორ დაზე ერთდროულად, თავისი მამის ცოლზე, ასევე ბიძაშვილებს და დეიდაშვილებს შორის შეიძლებოდა ქორწინება [84,148-49].

მამაკაცის *„ბინთ 'ამმ"* – მისი მამის ძმის ქალიშვილი, როგორც წესი, იყო მისი პირველი ცოლი და რჩებოდა ამ სახლის ქალბატონად. ამ ტიპის ქორწინების უპირატესობა ის იყო, რომ ეს ტო-

მი ინარჩუნებდა კონტროლს ახლადდაქორწინებულებზე და ქონება რჩებოდა ამავე ტომში, ისევე როგორც ქალის მხრიდან შვილები, რაც საბოლოოდ ამ ტომის გამრავლებას უწყობდა ხელს. თუმცა ერთადერთი, რაშიც ქალს ძალას არ ატანდნენ, იყო ბიძაშვილზე გათხოვება. ქალს შეეძლო უარი ეთქვა ასეთ ქორწინებაზე, მაგრამ განმტკიცებული იყო აზრი, რომ ბიძაშვილს უპირატესი უფლება ჰქონდა მასზე სხვა მამაკაცებთან შედარებით. წყაროებში მოტანილია მაგალითები, სადაც დედა საყვედურობს თავის ქალიშვილს, რომელმაც არ მოისურვა მამის ძმისშვილზე ქორწინება [272,102]. მუჰამადის ქალიშვილები – ზაინაბი და უმმ ქულსუმი გათხოვდნენ თავიანთ ბიძაშვილებზე.

ალ-ბუხარის თანახმად, „წარმართობის ხანაში იყო ქორწინების 4 ტიპი: *პირველი ტიპი* არის იმის მსგავსი, რაც არის დღეს. მამაკაცი სთხოვდა ვიღაცას ქალიშვილის ხელს მისი მეურვის საშუალებით, ან მამას თავისი ქალიშვილის ხელს და აძლევდა მას მზითევს და მერე ქორწინდებოდა მასზე. *მეორე ტიპია*, როცა მამაკაცი ეუბნებოდა თავის ცოლს [რიტუალურად წმინდა მდგომარეობაში], წასულიყო ვიღაც მამაკაცთან, რომელთანაც ექნებოდა სქესობრივი ურთიერთობა. ქმარს კი თავი უნდა შეეკავებინა მასთან ურთიერთობისაგან, ვიდრე ის დაფეხმძიმდებოდა სხვა მამაკაცისაგან. როცა ქალის ფეხმძიმობა შესამჩნევი გახდებოდა, ქმარს შეეძლო ჰქონოდა მასთან სქესობრივი ურთიერთობა, თუ მოისურვებდა. ქმარი ასე იქცეოდა, რადგანაც სურდა ჰყოლოდა კეთილშობილი გვარის ბავშვი. ასეთი ქორწინება იწოდებოდა – *ალ-ისთიბდ'ა. მესამე ტიპის* ქორწინება (*ნიქაჰ ალ-რაჰტ*) არის, ის, როცა ჯგუფი მამაკაცების, არანაკლებ ათისა, შეგროვდებოდა და ყველა მათგანს ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა ამ ქალთან. თუ ის დაფეხმძიმდებოდა და დაბადებდა ბავშვს, მშობიარობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ის მოუხმობდა ყველა მამაკაცს და არც ერთს არ უნდა ეთქვა უარი მისვლაზე. როცა ისინი შეიკრიბებოდნენ მის წინ, ქალი შეახსენებდა, რაც ჩაიდინეს. შემდეგ აცხადებდა, რომ დაბადებული ბავშვი იყო მავანის და მავანის შვილი – ასახელებდა იმას, ვისაც სურდა. ბავშვი უნდა წაეყვანა იმ მამაკაცს, რომელსაც ის დაასახელებდა და მას არ შეეძლო უარი ეთქვა მის წაყვანაზე. *მეოთხე ტიპია*, როცა მამაკაცს ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა ქალთან, რომელსაც უარი არ უთქვამს არავისათვის, ვინც მასთან მისულა. ასეთი ქალები იყვნენ მეძავეები[42], რომლებიც ამაგრებდნენ დრო-

[42] ესენი იყვნენ თავისუფალი ქალები ან მონები. თეთრი დროშა სახლის სახურავზე გამოარჩევდა მათ. არსად არაა მითითებული, რომ მამაკაცებს რცხვენოდათ ამ სახლების მონახულება [340,168-169]. თუმცა აღნიშნულია, რომ ისინი ცხოვრობდნენ თავიანთი ტომიდან მოშორებით, რადგანაც ეს

შას თავიანთი სახლის კარებზე, როგორც ნიშანს და ვინც მოისურვებდა, შეეძლო ჰქონოდა მათთან სქესობრივი ურთიერთობა. თუ რომელიმე მეძავი ქალი დაფეხმძიმდებოდა და ბავშვს გააჩენდა, მაშინ ყველა მამაკაცი შეგროვდებოდა, მოუხმობდნენ იმათ, ვინც დახელოვნებული იყო ბავშვის მსგავსების დადგენაში მამასთან (ფიზიოგნომისტი –*ق ا ئ ف*). მეძავს უნდა გაეყოლებინა ბავშვი მამაკაცისათვის, რომელსაც ამოიცნობდნენ როგორც მამას. ქალს ნება უნდა დაერთო შვილისათვის - მამა დაეძახებინა და მისი მემკვიდრე გამხდარიყო. მუჰამადმა აკრძალა ქორწინების ყველა ტიპი, გარდა ერთისა, რომელიც ისლამში იწოდება კანონიერ ქორწინებად (ნიქაჰ) [6,III,154; 40,7/44].

წინაისლამურ ხანაში არსებობდა აგრეთვე საიდუმლო ქორწინება (*ნიქაჰ ას-სირრ*) ანუ შეყვარებულთა საიდუმლო თანაცხოვრება. მისაღები იყო, რომ ქალებს და მამაკაცებს ეცხოვრათ საიდუმლოდ, ყოველგვარი კონტრაქტის გარეშე განუსაზღვრელი ვადით. ამ დროს მამაკაცი ხშირად ეკუთვნოდა მოწინააღმდეგე ტომს. მაგრამ ასეთი სახის ქორწინება განიხილებოდა, როგორც სამარცხვინო და განსჯის საგანი ხდებოდა. ასეთი ქალები იწოდებოდნენ – *სურრრიდა*. ამ სახელით მოგვიანებით აღინიშნებოდა მხევალი (მონა-ქალი). მამაკაცს შეეძლო იმდენი მხევალი ჰყოლოდა, რამდენსაც მოისურვებდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა სემიტებთან, სადაც პოლიგამია იყო გავრცელებული. მხევლების შენახვა უფრო ადვილი იყო, რადგანაც მათ მიმართ კანონიერი ვალდებულებები არ ჰქონდათ. მუჰამადმა აკრძალა პროსტიტუცია, მიუხედავად იმისა, რომ ის კარგად ცნობილი ფაქტი იყო მექისა და სხვა დიდი ქალაქების ცხოვრებაში [44,IV,160; 240,142].

ჯაჰილიიას ხანაში იდეალური ცოლი იყო ის, რომელსაც ჰქონდა ღირსება და კეთილშობილური წარმომავლობა, კარგი მანერები, ახალგაზრდობა, ქალიშვილობა, სიწმინდე, სილამაზე და განათლება.

წინაისლამურ ხანაში არაბთათვის კარგად იყო ცნობილი *„ტალაკ"*, რაც ნიშნავს ცოლ-ქმრული ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას. თუ ქმარს სურდა გაყრა თავის ცოლთან, უნდა ეთქვა: *„დაუბრუნდი შენს მშობლებს"*, ან *„მე გცილდები შენ"*, ან სხვა მსგავსი სიტყვები.

საქმიანობა არ იყო საპატივსაცემო [269,118]. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხარეა – ბანუ 'ამირის ტომიდან, რომელსაც პილიგრიმებთან ჰქონდა ურთიერთობა[269,119; 340,171]. ბედუინთა წრეში მრუშობა ცოდვად არ ითვლებოდა [27,80].

გაყრის ინიციატივა მამაკაცს ეკუთვნოდა და მას ნებისმიერი მიზეზით შეეძლო გაყრა [144,126]. თუმცა იყვნენ ქალები, რომელთაც მაღალი სოციალური მდგომარეობა ჰქონდათ და სურვილისამებრ შეეძლოთ ქორწინებაც და განქორწინებაც. მაგალითად, სალმა ბინთ 'ამრის ('აბდ ალ-მუტტალიბის დედა) გათხოვების პირობა ასეთი იყო – ერთადერთი ცოლი იქნებოდა და გაეყრებოდა, როცა მოისურვებდა [58,I,1086]. დასახელებულია სხვა ქალიც – ფატიმა ბინთ ალ-ხაუშაჰ, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ ჰყავდა უფრო მეტი შვილი, ვიდრე სხვა ქალებს და ხშირი საქორწინო კონტრაქტებით გამოირჩეოდა. იყვნენ სხვა ქალებიც, რომლებიც თავისუფლად გაეყარნენ თავიანთ ქმრებს და ხელახლა გათხოვდნენ [269,134; 218,27]. დასახელებულია სამი ბედუინი ქალი, რომელთაც არა მარტო თავისუფლება ჰქონდათ ქმრის 'არჩევაში, არამედ უარი თქვეს გათხოვილიყვნენ მამაკაცზე, რომელსაც უკვე ჰყავდა ცოლი და ასევე თავისუფლად მიიღეს გაყრის უფლება თავიანთი ქმრებისაგან. 'აბბას ბ. მირდასის (პოეტ ალ-ხანსა'ს ვაჟი) ცოლმა, როცა მოისმინა თავისი ქმრის ისლამზე მოქცევის შესახებ, მოშალა კარავი და დაბრუნდა თავის საკუთარ ხალხთან. 'ა'იშა ბინთ იაჰ̣ირამ უარი თქვა გათხოვილიყო, თუ მისი საქმრო არ დატოვებდა ჰ̣იჯაზს, სადაც ის იმ დროს ცხოვრობდა და არ წავიდოდა ბასრაში მასთან ერთად საცხოვრებლად. ამასთან ერთადერთი ცოლი უნდა ყოფილიყო. ამდენად ქორწინება არ შედგა [339,149]. გადმოცემით, ხადიჯა ბინთ ხუვაილიდმა თვითონ შესთავაზა მუჰ̣ამადს ქორწინება (595 წ.).

ქალები ზოგჯერ თვითონ იპყრობდნენ მამაკაცთა ყურადღებას და სთავაზობდნენ საჩუქარს, რათა გვერდით ჰყოლოდათ ის მამაკაცი, რომელიც მათ მოეწონებოდათ. გადმოცემით, სამსხვერპლო ცერემონიალის შემდეგ, 'აბდ ალ-მუტტალიბი უკან ბრუნდებოდა ქა'აბადან თავის ვაჟთან – 'აბდ ალ-ლაჰთან ერთად. ბანუ ასადის ქალმა – უმმ კითალ ბინთ ნავფალმა[43], რომელიც იყო ქა'აბაში, შეხედა 'აბდ ალ-ლაჰს სახეში და უთხრა: „მე მოგცემ შენ იმდენ აქლემს, რამდენიც დაიკლა შენს ნაცვლად. დაქორწინდი ჩემზე ახლავე!" მან უპასუხა: „მე ჩემს მამასთან ერთად ვარ და არ შემიძლია მისი სურვილის საწინააღმდეგოდ წასვლა და მისი დატოვება" [21,57; 46,68]. თუმცა განსხვავებული მდგომარეობა იყო არაბეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა კუთხეში.

გაყრასთან დაკავშირებით, საინტერესო მეთოდი ჰქონდათ ბედუინებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მატყლის კარვებში. ქალები

---

[43] ვარაკა ბ. ნავფალის (ხადიჯას ბიძაშვილი, რომელიც იცნობდა ქრისტიანობას) და.

კარვის შესასვლელის მიმართულებას ცვლიდნენ ხოლმე. თუ მამაკაცი ამ ცვლილებას აღმოაჩენდა, იცოდა, რომ ცოლი გაეყარა და ტოვებდა მას. კარვები ქალების საკუთრება იყო [185,44; 3,ა.XVI:106]. ზოგჯერ ქალი გადასცემდა თავის ქმარს კარავს და შუბს. ამით აგებინებდა, რომ მათი თანაცხოვრება დამთავრდა და მის ყოფილ ქმარს ამიერიდან დამოუკიდებლად უნდა ეცხოვრა და ენადირა [101,72].

გაყრის დროს მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რამდენჯერ წარმოთქვამდა ქმარი სიტყვას *„ტალაკ“*. ერთხელ ან ორჯერ წარმოთქმის დროს შეეძლო ცოლის უკან დაბრუნება, ხოლო სამჯერ წარმოთქმის დროს უფლებას კარგავდა ცოლზე (*ტალაკ ალ-ბა'ინ*). ამ შემთხვევაში თუ მამაკაცი მოისურვებდა ცოლის დაბრუნებას, ის დროებით სხვაზე უნდა გაეთხოვებინა [84,209-210]. თუმცა ატ-ტაბარის თანახმად, წინაისლამურ ხანაში მამაკაცს შეეძლო გაყროდა თავის ცოლს 100-ჯერ და დაებრუნებინა ისევ უკან [14,IV,547][44].

წინაისლამურ ხანაში კარგად იყო ცნობილი გაყრის ფორმა – *ზიჰარ* (ზურგი) ან *მუზაჰირა*. მამაკაცს შეეძლო ეთქვა ცოლისათვის, რომ ის უყურებს მას, როგორც თავისი დედის ზურგს, როგორც მის კისერს და სხვ. ქალს არ ჰქონდა უფლება დაეტოვებინა ქმრის სახლი და გათხოვილიყო. ის რჩებოდა იმავე სახლში, როგორც გაყრილი ცოლი. ყურანმა აკრძალა *ზიჰარის* პრაქტიკა [251, 27-29].

გაყრის სხვა ფორმა იყო *ტალაკ ალ-ილა'* (ფიცის მიცემა). მამაკაცი დებდა ფიცს, რომ დატოვებდა თავის ცოლს, რაღაც დროით, შეიძლება რამდენიმე თვით, 1 ან 2 წლით[45], რომლის განმავლობაშიც, სასჯელის სახით, მასთან ახლოს არ უნდა მისულიყო [84, 236].

ხულ'ა – თუ ცუდად ეპყრობოდნენ, ქალს უფლება ჰქონდა ეთხოვა თავისუფლება თავისი მამის ან მეურვის საშუალებით იმ პირობით, რომ უკან დაუბრუნებდა ქმარს საქორწინო საჩუქარს [191,239].

ალ-'ადლ – ეს ნიშნავდა გაყრის შემდეგ ქალისათვის მეორეჯერ გათხოვების აკრძალვას. მამაკაცი, რომელიც იქორწინებდა ქალზე, მაგრამ აღმოაჩენდა, რომ არ მოსწონს ის, შეეძლო გაყროდა მას. თუმცა წინასწარ იძულებით იღებდა მისგან თანხმობას,

---

[44] არ-რაზი აგრეთვე ამბობს, რომ მამაკაცს შეეძლო გაყროდა თავის ცოლს 1000-ჯერ და ამდენჯერვე უკან დაებრუნებინა [13,II,373].

[45] გადმოცემით, ეს ვადა არ უნდა აღმატებოდა 4 თვეს [191,238].

რომ ის ხელახლა არ გათხოვდებოდა მისი ნებართვის გარეშე. ყურანმა აკრძალა ეს წესი [9,1,368-369].

ქალს ქმრის გარდაცვალების ან გაყრის შემდეგ მაშინვე შეეძლო გათხოვება სხვა მამაკაცზე თავისი ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად. *'იდდა*[46]-ს (თავშეკავების) პერიოდი არ იყო. ქალი, რომელიც მუცლით ბავშვს ატარებდა, თხოვდებოდა და ქმარი აღიარებდა ამ ბავშვს, თუმცა ყოფილი ქმარი იყო სინამდვილეში მამა. გაყრილ ქალს უფლება არ ჰქონდა პრეტენზია განეცხადებინა შენახვის პირობებზე და არანაირი ფინანსური დახმარება არ ჰქონდა ყოფილი ქმრისაგან [214,83]. გლოვის პერიოდი [*იფთიდად*[47]] ჯაჰილიიაში იყო ერთი წელი. ქვრივი რჩებოდა თავისი გარდაცვლილი ქმრის სახლში. გადადიოდა ცალკე, პატარა ოთახში, და ეკრძალებოდა ბევრი რამ, მათ შორის ფრჩხილების და თმების მოჭრა. ამ პერიოდის განმავლობაში ქალებს უნდა ჩაეცვათ ყველაზე უარესი სამოსი [40,6/190-192; 120,39-43]. სამგლოვიარო ვადის გასვლის შემდეგ ქვრივი იღებდა მეორეჯერ გათხოვების უფლებას [214,83; 254,445].

წყაროებში ცნობები არა გვაქვს ისლამამდელ არაბეთში ქალიშვილებისათვის მზითევის გამოყოფის თაობაზე. თუმცა ისინი ალბათ ღებულობდნენ ოჯახიდან ტანსაცმელს, სამკაულებს და საოჯახო მოხმარების ნივთებს.

მაჰრი ჯაჰილიიაში იყო საპატარძლოს ფასი. ისლამამდელი არაბების ჩვეულების მიხედვით მაჰრს უხდიდნენ ქალის ოჯახს, რათა დაეჯილდოვებინათ ის ქალიშვილის დაკარგვის გამო [151,174]. მაჰრის გადაცემა ხდებოდა ვალისათვის – მამის, ძმის ან ნათესავისათვის, ვისი მზრუნველობის [*ვალ*] ქვეშაც გოგონა იყო [346, 78-79]. მეურვეს უნდა დაეხარჯა ის იმ ნივთების ყიდვაზე, რომელიც მიჰქონდა პატარძალს თავისი ქმრის სახლში, მაგრამ ზოგჯერ ის არ ხარჯავდა არაფერს და უმატებდა მაჰრს თავის ქონებას. ყურანმა აკრძალა მაჰრის მითვისება (4:2). მაჰრის ოდენობა არ იყო მკაცრად განსაზღვრული. უბრალოდ ის არ იყო 100 ან 150 აქლემზე მეტი ღირებულების. მაგალითად, 'აბდ ალ-მუტტალიბმა, მუჰამადის ბაბუამ, მისცა მაჰრის სახით 100 მდედრი აქლემი და 100 გირვანქა ოქრო თავის ცოლს – ფატიმა ბინთ 'ამრს, რომელიც გახდა შემდგომში მისი 5 ქალიშვილის და 3 ვაჟიშვილის (მათ შორის 'აბდ ალ-ლაჰის) დედა. მოციქულმა ხადიჯას, თავის პირველ

---

[46] დროის განსაზღვრული მონაკვეთი, როცა თავისუფალ ქალს გაყრის ან ქმრის გარდაცვალების შემდეგ არ შეუძლია ხელმეორედ გათხოვება, რათა დადგინდეს შესაძლო ფეხმძიმობა. ის აუცილებელი იყო მონა-ქალისთვისაც ერთი პატრონიდან მეორესთან გადასვლის დროს.

[47] სიტყვა-სიტყვით ნიშნავს – „დაძლევა", „გატეხვა", „მოდრეკვა".

ცოლს, რომელზედაც იქორწინა ჯაჰილიიაში, მისცა 20 ახალგაზრდა აქლემი ან 500 დირჰამი ან დაახლ. 12 უკიია[48] ოქრო [8,VIII,161]. მაჰრის პარალელურად არსებობდა – სადაკ (საჩუქარი), რომელსაც ღებულობდა თვითონ საპატარძლო [218,33].

ჩადრის გამოყენება უცნობი იყო არაბეთის ნახევარკუნძულის მცხოვრებთათვის ისლამამდე [388,6; 251,8]. თუმცა, წინაისლამურ ხანაში არსებობდა გათხოვილი არაბი ქალების თავის დაფარვის ჩვეულება, რათა მომხდარიყო მათი განსხვავება მარტოხელა ქალებისაგან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგალითად, ქა'აბასთან 'უქაჟის[49] ბაზრობა), სადაც მამაკაცები ეძიებდნენ ახალგაზრდა ქალებს – მომავალ საპატარძლოებს. იმ დროს ჩადრი იყო მარტივი დიდი შარფი, რომელსაც ქალები ატარებდნენ თავზე და მხრებზე, იშვიათად ნელამდე. სახე და ხელები დაუფარავი რჩებოდა. ჩადრი კლასობრივი განსხვავების ნიშანი იყო და მხოლოდ თავისუფალი გათხოვილი ქალები ატარებდნენ [240,206; 272,124].

მკვლევართა აზრით, წინაისლამურ ხანაში, „მთლიანობაში, მათი [ქალების] მდგომარეობა იყო მაღალი და მათი გავლენა დიდი. ისინი თავისუფალი იყვნენ ქმრების არჩევაში და შეეძლოთ, თუ უკმაყოფილო იქნებოდნენ, დაბრუნება თავიანთ ხალხთან. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი თვითონ სთავაზობდნენ ქორწინებას და გაყრის უფლებაც ჰქონდათ. ისინი არ განიხილებოდნენ, როგორც მონები და ტვირთი, არამედ თანაბარი და თანამოაზრე. ისინი შთააგონებდნენ მუსიკოსებს ემღერათ და მებრძოლებს ებრძოლათ" [299,130; 273,XXXI]. არის მოსაზრება, რომ „წინაისლამური ხანის არაბი ქალები ასრულებდნენ გარკვეულ როლს თავიანთი ტომების ცხოვრებაში და გავლენაც ჰქონდათ, რაც მათ დაკარგეს მხოლოდ მოგვიანებით, მუსლიმური საზოგადოების განვითარების შემდეგ" [274,81].

ჩვენი აზრით, წინაისლამური ხანის ქალების უმეტესობა, როგორც ჩანს, ცხოვრობდა იმ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცები დომინირებდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ ეს იყო ისლამამდელი არაბეთი, ტომობრივი საზოგადოება, გაერთიანებული სისხლის ნათესაობის პრინციპით და ამ საზოგადოებას ჰქონდა თავისი სოციალური კანონები, რაც მხოლოდ ტრადიცია

---

[48] 1 უკია (მრ.რ. უკიია) = 37,44გრ. ან 12 დირჰამს.

[49] ჩრდილოეთ არაბეთის მთავარი სავაჭრო ცენტრი, მდებარეობდა მექიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლ. 100 კმ.-ზე. ქალაქებს – ტა'იფსა და ნახლას შორის. აქ ყოველწლიურად იმართებოდა ბაზრობა ზუ-ლ-კა'დას თვეში, პილიგრიმობის წინ. წინაისლამურ ხანაში იქ იმართებოდა პოეტებს შორის შეჯიბრებები [248,465].

და წლების მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკა იყო. ამის საფუძველზე, განსხვავებული იყო ქალის სტატუსიც არაბეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა კუთხეში. მართალია, მექის ღმერთების პანთეონში ქალი ღვთაებები დომინირებდა (ქალღმერთთა ტრიადა), ქალები იყვნენ ქურუმები, მისნები (ქაهინები), მონაწილეობდნენ ბრძოლებში, დაჭრილებს უვლიდნენ, ინახავდნენ მექაში წმინდა ტაძრის (ქა'აბას) გასაღებს, ვაჭრობას აწარმოებდნენ და დიდ ქონებას ფლობდნენ, არსებობდა კანონიერი ქორწინების უამრავი ფორმა, ქორწინების დროს შეეძლოთ მიეღოთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და ეს დამოუკიდებლობა მათი სოციალური სტატუსიდან მომდინარეობდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ მონაწილეობას იღებდნენ, ხადიჯა – მუჰამადის ცოლი (მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მისი გათხოვება მეურვის გარეშე, ბევრად უმცროსზე, ვიდრე თვითონ იყო, მონოგამიური ქორწინება არის ჯაهილიიას დამახასიათებელი და არა ისლამური პრაქტიკა) იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, როგორც ამას ხაზს უსვამს ზოგიერთი მკვლევარი, მაგრამ ეს მაგალითები არ გამოდგება ჯაهილიიას საზოგადოების ქალების ზოგადი დახასიათებისათვის. ამის პარალელურად, არ შეიძლება კატეგორიულად განცხადება, რომ ქალების სტატუსი იყო დაბალი და მათი უფლებები უმნიშვნელო, რადგანაც სხვა შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ გამხდარიყვნენ მუჰამადის „რელიგიური რევოლუციის" აქტიური მონაწილენი. თუმცა, ისლამმა მნიშვნელოვნად აამაღლა ქალის სტატუსი: მოხდა გოგონების ცოცხლად დამარხვის ნარმართული ჩვეულების გაუქმება, ქალთა ქონებრივი და საოჯახო-საქორწინო ურთიერთობის რეგლამენტაცია, მუსლიმთა წმინდა წიგნში – ყურანში გამოცხადდა, რომ ალაჰის წინაშე ქალი თავისი უფლებებით და ვალდებულებებით მამაკაცის თანასწორია.

2. მუჰამადის მიმდევარი ქალები

ისლამი, როგორც ცნობილია, წარმოიშვა VII ს-ის პირველ მესამედში, არაბეთის ნახევარკუნძულზე. ის იქადაგა მუჰამადმა, რომელმაც ახალ სარწმუნოებაზე მოაქცია ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი. თავდაპირველად ისლამის პროპაგანდა ფარულად მიმდინარეობდა. ქალები მამაკაცებისაგან განცალკევებით არ ერთვებოდნენ რელიგიურ მოძრაობაში. თუმცა ადრეულ პერიოდში მათ ჰქონდათ გარკვეული რელიგიური თავისუფლება – ქალს შეეძლო მიეღო ან უარი ეთქვა ახალ რწმენაზე თავისი ქმრის, ძმის, მამის ან პატრონის სურვილის საწინააღმდეგოდ.

მუჰამადის მიმდევარი ქალები ასე იწოდებოდნენ - ṣაḥაბიᲐთ. ზოგადად მუჰამადის მიმდევრებს ეწოდებოდათ აṣḥაბები[50]. თავდაპირველად ეს ტერმინი იხმარებოდა ადრინდელი მუსლიმების აღსანიშნავად, რომელთაც მუჰამადის სიცოცხლეში მიიღეს ისლამი, თან ახლდნენ მას სამხედრო ლაშქრობების დროს და მონაწილეობა მიიღეს არაბულ-მუსლიმური სახელმწიფოს შექმნაში. მოგვიანებით, ამ ტერმინმა შეიძინა ტექნიკური მნიშვნელობა. ასე უწოდებდნენ ყველას, ვისაც სიცოცხლეში ერთხელ მაინც, თუნდაც ბავშვობაში, ნანახი ჰყავდა მუჰამადი. ბოლო კომპანიონი, გადმოცემით, გარდაიცვალა ჰიჯრის 100/718 წლის შემდეგ და რა თქმა უნდა, პატარა ბავშვი იქნებოდა, როცა ნახა მუჰამადი. აṣḥაბების ბირთვს შეადგენდნენ: მუჰაჯირები[51] და ანსარები[52]. აṣḥაბებს შორის იყვნენ სრულიად სხვადასხვა ადამიანები: ღარიბები და მდიდრები, მონები და თავისუფლები. რელიგიური თვალსაზრისით, აṣḥაბების ყველაზე დიდი დამსახურება იყო ის, რომ მათ პირველებმა აღიარეს მუჰამადი მოციქულად, მის სიცოცხლეში მიიღეს ისლამი და შევინროება განიცადეს ისლამის რწმენის გამო [111,23-24].

ბიოგრაფიულ კრებულებში მოცემულია მუჰამადის მიმდევართა, მათ შორის დაახლოებით 1200 ქალის ბიოგრაფია, რომელთაც პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ მუჰამადთან. იბნ სა'დის ბიოგრაფიულ კრებულში [8] მე-8 ტომი მთლიანად ეთმობა ქალებს და მოიცავს ძირითადად ქალთა 2 კატეგორიას: ა) ისინი, ვინც შეხვდნენ მუჰამადს და ბ) ისინი, ვინც გადმოგვცემენ ტრადიციებს იმ პირთაგან, რომელთაც კონტაქტი ჰქონდათ მუჰამადთან.

თითოეული ქალის ბიოგრაფიაში მოცემულია სრული სახელი – ჩამოთვლილია წინაპრები, ძირითადად მამის მხარე, ხანდახან დედის მხარეც. შემდეგ აღნიშნულია ქალთა ყველა ქორწინება თანმიმდევრობით და მითითებულია, როდის გახდა მისი ქმარი მუსლიმი. მრავალი ქალი თავის ქმართან ერთად მოექცა ისლამზე, ზოგიერთი – დამოუკიდებლად. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა პრობლემა წამოიჭრებოდა, რაც რეგულირდებოდა ალაჰის გამოც-

---

[50] ალ-აṣḥაბ ან აṣ-ṣაḥაბა, მრ.რ. სიტყვისა ṣაḥიბ – „თანამგზავრი", „მეგობარი", „კომპანიონი".

[51] მუჰაჯირები (არაბ. მხ. რ. ალ-მუჰაჯირ) ის მუსლიმებია, რომლებიც 622 წ. ჰიჯრის დროს გადასახლდნენ მექიდან იასრიბში (მედინაში).

[52] ანსარებმა (არაბ. მრ. რ. ალ-ანṣარ) დახმარება აღმოუჩინეს მუჰამადს და მის თანმხლებ მუსლიმებს მედინაში და მიიღეს ისლამი.

ხადებებით. ხშირად მოხსენიებულია ქალის ქუნია[53]. შემდეგ მოთხრობილია მისი ცხოვრების ძირითადი მომენტები.

თავდაპირველად ქალთა მიერ ისლამის მიღება გამოიხატებოდა ფრაზით: მავანი და მავანი (ქალი) გახდა ღმერთის მორჩილი და ფიცი დადო ალაჰის მოციქულთან (*ასლამათ ფულანა ბინთ ფულან ვა ბანია'ა რასულ ალლაჰი*). მოგვიანებით, აუცილებელი გახდა შაჰადას[54] წარმოთქმა, მაგრამ ეს იყო მუჰამადის სიკვდილის შემდეგ [8,VIII,14; 349,185; 384,6,9,21].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი, ვინც მუჰამადის ირწმუნა, იყო მისი პირველი ცოლი – ხადიჯა ბინთ ხუვაილიდ[55]. შემდეგ - შვილობილი ზაიდ ბ. ალ-ჰარისი, ბიძაშვილი – 'ალი ბ. აბი ტალიბი და სხვ. ქალებმა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მონაწილეობა მიიღეს ისლამის გავრცელების საქმეში.

ხადიჯას უდიდეს დამსახურებად ითვლება ის, რომ მან დაარწმუნა მუჰამადი თავისი ზმანებების ჭეშმარიტებაში და ამოიცნო მუჰამადში სამოციქულო მისიის წინასწარმეტყველური ნიშნები. ხადიჯა ახლდა მოციქულს, როცა ის წავიდა წმინდა ქა'აბაში, რათა შეესრულებინა ალაჰის მოთხოვნა და ხალხში გამოეცხადებინა ალაჰის სიტყვა – ყურანი. სწორედ ხადიჯას ბიძაშვილმა – ვარაკა ბ. ნავფალმა დაარწმუნა მუჰამადი, რომ მას შეემთხვა იგივე, რაც მოსეს, როცა მას ღმერთი, მთავარანგელოზის – ჯაბრა'ილის პირით, ესაუბრებოდა.

ერთ-ერთი გადმოცემით, ჯაბრა'ილი წარუდგა ალაჰის მოციქულს და უთხრა: *„წაუკითხე ხადიჯას მისალმება მისი ღმერთისაგან“*. მოციქულმა უთხრა ხადიჯას: *„ო, ხადიჯა, ეს ჯაბრა'ილი გადმოგცემს შენ ღმერთისაგან მისალმებას“* [345,46].

ხადიჯა იყო კურაიშის ტომის წევრი, მდიდარი ქვრივი, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მისმა მოქცევამ ისლამზე, ალბათ, მნიშვნელოვა-

---

[53] *ქუნია* არის მამობის ან დედობის აღმნიშვნელი სახელი რთულ არაბულ-მუსლიმურ სახელში. უპირატესად უფროსი, იშვიათად უმცროსი ვაჟის, ან ქალიშვილის სახელს წინ უძღვის აბუ (მამა), ან უმმ (დედა).

[54] შაჰადა - („მოწმობა ') - მუსლიმური რწმენის აღიარება, რაც გამოიხატება ფორმულით *„არ არის ღვთაება გარდა ალაჰისა და მუჰამმადია მოციქული ალაჰისა“*.

[55] წყაროები არ გვაწვდიან ცნობებს, ხადიჯას რელიგიური მრწამსის შესახებ ისლამის მიღებამდე. თუმცა აღნიშნულია, რომ მისი ბიძაშვილი ვარაკა ბ. ნავფალი იყო ერთ-ერთი ჰანიფი და კარგად იცნობდა ქრისტიანობას. შესაძლოა, ვარაკა ზეგავლენას ახდენდა მუჰამადის თავდაპირველ მისიაზე არა პირდაპირ, არამედ ხადიჯას საშუალებით. მუჰამადმა სწორედ ვარაკას სთხოვა რჩევა, ვიდრე იქორწინებდა ხადიჯაზე [253,198-99].

ნი ზეგავლენა მოახდინა კურაიშელთა ტომზე[56]. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ხადიჯა არ იყო ახალგაზრდა ქალი, რომელიც ადვილად შეიძლებოდა მოქცეულიყო ვინმეს გავლენის ქვეშ. არც მატერიალურად იყო დამოკიდებული მუჰამადზე, პირიქით მას ჰქონდა საკუთარი ქონება [348,290; 243,158-160]. სწორედ ხადიჯაზე ქორწინებამ უზრუნველყო მატერიალურად მუჰამადი და შესაძლებლობა მისცა რელიგიური საქმეებისათვის მეტი დრო დაეთმო. შესაძლოა, სწორედ მუჰამადის რწმენისადმი ერთგულების გამო დაკარგა ხადიჯამ თავისი ქონება ბოიკოტის[57] დროს, რადგანაც არსად არაა მოხსენიებული, რომ მუჰამადმა ან მისმა შვილებმა მიიღეს რაიმე მემკვიდრეობა მისგან.

ხადიჯას შემდეგ, კურაიშის ტომიდან მრავალი ქალი მოექცა ისლამზე. ისინი ძირითადად იყვნენ მუჰამადის ახლობლები – ბიძაშვილები, მამიდები და ახლო ნათესავები. მათ შორის - 'აბდ ალ-მუტტალიბის ქალიშვილები: ს̣აფიჲა, არვა და 'ათიქა (მუჰამადის მამიდები). იბნ სა'დის თანახმად, არვა ბინთ 'აბდ ალ-მუტტალიბის ვაჟმა – ტულაიბ ბ. 'უმაირმა მიიღო ისლამი ალ-არკამის სახლში[58]. ამის შემდეგ ის წავიდა თავის დედასთან – არვასთან და უთხრა, რომ ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს, თან მოუწოდა მიეღო ისლამი. არვამ უთხრა, რომ თუ ქალებს შეეძლებოდათ გაეკეთებინათ ის, რასაც მამაკაცები აკეთებდნენ, ისინი აუცილებლად გაჰყვებოდნენ მოციქულს ლაშქრობებში და დაიცავდნენ მას. ტულაიბმა შეძლო დედის დარწმუნება და მან გამოხატა თავისი მხარდაჭერა მოციქულისადმი. არვამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ისლამის პროპა-

---

[56] იბნ სა'დთან დაცულია გრძელი გადმოცემა, რომელიც ეკუთვნის ქინდას ვაჭარს 'აფიფას. ის ჩავიდა მექაში სავაჭროდ და ქა'აბას ტაძარში მუჰამადის ბიძის - ალ-'აბბასის მონახულებისას, დაინახა, რომ სამი ადამიანი: მუჰამადი, 'ალი და ხადიჯა ასრულებდნენ დილის ლოცვას დიდი მონდომებით. მან უყურა მათ ლოცვას, ძალზე გაუკვირდა ქალის დასნრება ლოცვაზე და 'აფიფმა მოისურვა ყოფილიყო მეოთხე [8,VIII,17].

[57] მუჰამადის ქადაგებისა და მოღვაწეობის მოწინააღმდეგე მექის გავროვნული არისტოკრატიის ინიციატივით, ჰაშიმის გვარს, რომელსაც თვითონ მოციქული ეკუთვნოდა, მექელმა წარმართებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. მათ დაიფიცეს, რომ არ ექნებოდათ არანაირი საქმე ჰაშიმიანებთან, არ დაქორწინდებოდნენ ალაჰის მოციქულის ნათესავებზე, არ ანარმოებდნენ ვაჭრობას მათთან. ფიცი ჩაწერეს ტყავის ნაჭერზე და ის ჩამოკიდეს ქა'აბაში. ბოიკოტი გაგრძელდა 2 ან 3 წელი.

[58] ალ-არკამ ბ. არკამ – მუჰამადის მიმდევარი (კურაიშის ტომის მახზუმის გვარიდან). როცა მუსლიმთა რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა, მათ თავიანთი შეხვედრა მის სახლში (ას̣-ს̣აფას ბორცვზე) გადაიტანეს და ის ალ-არკამის ან ისლამის სახლად მოიხსენიება.

განდაში. მის ოჯახში იკრიბებოდნენ მუსლიმი ქალები და გეგმებს აწყობდნენ, როგორ გამოეხატათ თავიანთი ერთგულება ახალი რწმენისადმი. არავ ყოველთვის მიუთითებდა თავის ვაჟს, დახმარებოდა მოციქულს და მისი მითითებების შესაბამისად მოქცეულიყო [8,VIII,42].

კურაიშის ტომის ქალებს შორის ადრე მიიღო ისლამი 7 შვილის დედამ ფ̄ატიმა ბინთ ასადმა - მუჰამადის ბიძის, ზ̄ა'იდ ბ. ალ-ახ̣ამის (ხადიჯას დიდი ბაბუა დედის მხრიდან) ქალიშვილმა [8,VIII,222], რომლის სახლშიც, ხადიჯასთან დაქორწინებამდე, მოციქული 8 წლის ასაკიდან ცხოვრობდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კურაიშის ტომიდან მრავალი დარჩა წინაისლამურ რწმენაზე. მაგალითად, მახზ̄უმის გვარი, რომელიც მუჰამადის მიმართ ანტაგონისტურად იყო განწყობილი. იყო გამონაკლისებიც: უმმ სალამა ბინთ აბი̄ უმაიჲა და მისი ქმარი – აბ̄უ სალამა, რომლებიც ეკუთვნოდნენ ამ გვარს, მაგრამ ადრე მოექცნენ ისლამზე მექაში.

მრავალი ქალი იყო ისლამზე ახლადმოქცეულთა შორის კურაიშის მონათესავე გვარის ნევრებს შორის, რომელთაც მაღალი სოციალური მდგომარეობა ეკავათ თემში. ის განცხადება, რომ უმმ ალ-ფადლ ბინთ ალ-ჰ̣არის ('ა̄მირ ხ̣ა'ხ̣ა-ს გვარიდან) – 'აბბ̄ასის[59] ცოლი, ხადიჯას შემდეგ პირველი მოექცა ისლამზე, ეჭვს ინვევს და შესაძლოა 'აბბ̄ასიჲანთა გამოგონილი იყოს[60]. გადმოცემით, ის წავიდა მედინაში 'აბბ̄ასის ისლამზე მოქცევის შემდეგ. ეს მოხდა 630 წელს, მექის აღების შემდეგ. შესაძლოა, სწორედ ამ დროს მიიღო მისმა ცოლმაც ისლამი.[61] არსებობს სხვა გადმოცემებიც, რომლის თანახმადაც 'აბბ̄ასი, მისი ცოლი და შვილები საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდნენ ურწმუნოთა შესახებ მოციქულს. ისინი უმალავდნენ თავიანთ თანატომელებს ისლამის მიღების შესახებ[62].

---

[59] 'აბბ̄ას ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბი – მუჰამადის და 'ალი̄ ბ. აბი̄ ტ̄ალიბის ბიძა, რომლისგანაც თავისი სახელი მიიღო 'აბბ̄ასიჲანთა დინასტიამ.

[60] უმმ ალ-ფადლის ისლამზე ადრე მოქცევის შესახებ ინფორმაცია დაცულია იბნ სა'დთან [8,VIII,277], მაგრამ ამ ფაქტს არ მოიხსენიებს იბნ ჰ̣ანბალი [11].

[61] ა. ლამმენსი უარყოფს უმმ ალ-ფადლის მიერ გადმოცემულ ტრადიციებს და აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ის იყო მუჰამადის ქალიშვილის — ფ̄ატიმას ვაჟების დედობილი [264, 41, 96, შენ.2].

[62] როდესაც მექაში მოაღწია ურწმუნოთა დამარცხების ამბავმა, უმმ ალ-ფადლიმ სთხოვა თავის ვაჟებს და თავის მონას -- აბ̄უ რ̄აფი'ას დაემალათ მხიარულება ამ დამარცხების გამო, რადგანაც ეშინოდა ურწმუნოების, განსაკუთრებით, აბ̄უ ლ̄აჰ̣აბის (რომელსაც სძულდა მუჰამადი), რომ რაიმე ცუდი არ ჩაედინათ. აბ̄უ ლ̄აჰ̣აბი მიხვდა, რომ აბ̄უ რ̄აფი'ა მხარს უჭერდა მუსლიმებს და უმმ ალ-ფადლის თანდასწრებით სცემა. საპასუხოდ, უმმ ალ-ფადლი თავს დაესხა

თვითონ 'აბბასმაც ადრე მიიღო ისლამი, მაგრამ მექაში დარჩა 630 წლამდე. 'აბბასი ბოლო იყო, ვინც ემიგრაციაში წავიდა მედინაში და უმმ ალ-ფადლი მოთმინებით იტანდა ყველაფერს. ერთადერთი, რაც მას უმსუბუქებდა ტკივილს, ის იყო, რომ მისი ვაჟი – 'აბდ ალ-ლაჰი[63] მუჰამადს თან ახლდა ლაშქრობების დროს [8,VIII,278].

უმმ ალ-ფადლის ნახევარდა (დედით) იყო ასმა' ბინთ 'უმაისი [8,VIII,280], რომელმაც ისლამი მიიღო ჯერ კიდევ მუჰამადის ალ-არკამის სახლში შესვლამდე, ფიცი დადო მუჰამადთან და წავიდა ეთიოპიაში თავის ქმართან – ჯა'ფარ ბ. აბი ტალიბთან (მუჰამადის ბიძაშვილი) ერთად. ის ფაქტი, რომ ისინი ეთიოპიაში წავიდნენ 615 წელს, მოწმობს, რომ მათ ამ დროისათვის უკვე მიღებული ჰქონდათ ისლამი [293, 92,383].

ასმა'ს და არის სალმა ბინთ 'უმაისი. მის ბიოგრაფიაშიც [8,VIII,285] აღნიშნულია, რომ ის მოექცა ისლამზე ადრე, თავის დასთან (ასმა') ერთად. სალმა გათხოვდა ჰამზა ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბზე – მუჰამადის ადრეულ მიმდევარზე. ჰამზა წავიდა მედინაში ჰიჯრის დროს, მაგრამ არ არის აღნიშნული, რომ მას თან ახლდა სალმა ან მათი ქალიშვილი 'უმარა. შესაძლოა, სალმას ადრე არ მიუღია ისლამი [348,292].

ერთ-ერთი გადმოცემის თანხმად, უმმ ალ-ფადლი (იგივე ლუბაბა ალ-ქუბრა) და მისი დები: მაიმუნა, უმმ სალამა და ასმა' არიან ოთხი ჭეშმარიტი მორწმუნე ქალი.

უმმ ალ-ფადლის სხვა ორმა დამ (მამის მხრიდან) - ლუბაბა ას-სუღრა ბინთ ალ-ჰარისმა [8,VIII,279] და ჰუზაილა ბინთ ალ-ჰარისმა [8,VIII,280] ისლამი მიიღეს ჰიჯრის შემდეგ. თუმცა რთულია, ზუსტი დროის განსაზღვრა, როდის მოექცა ისლამზე თვითონ უმმ ალ-ფადლი. შესაძლოა, ის გაეცნო ისლამის მოძღვრებას ადრეულ პერიოდში თავისი დის ასმა'ს საშუალებით, ვიდრე ეს უკანასკნელი ეთიოპიაში წავიდოდა [348,293].

მუჰამადს თავისი მოღვაწეობის მექის პერიოდში მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მექის გვაროვნული არისტოკრატიის მტრული დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ მან მიმდევრების გარკვეული ნანილი დროებით გააგზავნა ეთიოპიაში. პირველი ეთიოპური ჰიჯრა იყო დაახლოებით 614 წელს. მუსლიმები მა-

---

მას, ჩაარტყა ხის ჯოხი თავში. ამის შემდეგ აბუ ლაჰაბმა მხოლოდ 7 დღე იცოცხლა [397].

[63] 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'აბბას (იბნ 'აბბასი) — ყურანის კომენტატორი, ჰადისების, ისლამამდელი და ისლამის პირველი წლების ისტორიის საუკეთესო მცოდნე. გარდაიცვალა დაახლოებით 687-689 წწ. შორის.

ლე დაბრუნდნენ უკან, რადგანაც მუჰამადმა გადაწყვიტა კომპრომისზე წასულიყო მექელებთან და ერთ-ერთ ქადაგებაში მექის ტრიადა (სამი ქალღმერთი – ალ-ლათ, ალ-'უზზა და მანათ) „ალლაჰის ქალიშვილებად" აღიარა. თუმცა მალე მიხვდა, რომ ეს სიტყვები არღვევდა ერთღმერთიანობის პრინციპს და იყო არა ღმერთის, არამედ სატანის (ეშმაკის) მიერ შთაგონებული. ამიტომ მუჰამადმა მოინანია ეს კომპრომისი [243,156]. ამან კიდევ უფრო დაძაბა მორწმუნეებსა და წარმართებს შორის ურთიერთობა და მუსლიმები მალე უკან წავიდნენ ეთიოპიაში.

მრავალ მამაკაცს ეთიოპიაში ემიგრაციის დროს თან ახლდა ცოლიც. იმ დროს გაყრა ძალიან ადვილი პროცესი იყო, ასე რომ, მათი ცოლები, იგულისხმება, მორწმუნენი იყვნენ.

იბნ ჰიშამთან, ხადიჯას შემდეგ სამი ქალია დასახელებული, რომელთაც ადრე მიიღეს ისლამი: ფატიმა ბინთ ალ-ხატტაბი, ასმა' ბინთ აბი ბაქრი და მცირენლოვანი 'ა'იშა[64] [45,100]. მაგალითად, 613 წლამდე მიიღეს ისლამი ფატიმა ბინთ ალ-ხატტაბმა ქმართან ერთად და რამლა ბინთ 'აუფმა [8,VIII,268], რომელთაც ფიცი მისცეს ალაჰის მოციქულს და წავიდნენ ეთიოპიაში. უმმ რუმანი ბინთ 'ამირმა – აბუ ბაქრის ცოლმა და 'ა'იშას დედამ ადრე მიიღო ისლამი მექაში [8, VIII,276].

ფატიმა, იგივე უმმ ჯამილა ბინთ ალ-ხატტაბი იმ დროს მოექცა ისლამზე, როცა მის ძმას – მომავალ ხალიფა 'უმარს ჯერ არ ჰქონდა ის მიღებული და თავდაპირველად მტრულად იყო მის მიმართ განწყობილი. გადმოცემით, ჰამზას (მუჰამადის ბიძის) ისლამზე მოქცევის შემდეგ, 'უმარი აპირებდა მოეკლა მოციქული. ის გზად შეხვდა ერთ-ერთ კომპანიონს – ნუ'აიმ ბ. 'აბდ ალ-ლაჰს, რომელსაც საუბარი დაუწყო ახალ სარწმუნოებასთან დაკავშირებით და ჰკითხა, მოექცა თუ არა ისლამზე. მან დაუდასტურა, მაგრამ მიუთითა ეს შეკითხვა დაესვა მისი დისა და სიძისათვის, რომლებიც ასევე მოციქულის მიმდევრები გახდნენ. 'უმარი განრისხდა და მათთან წავიდა. იბნ ჰიშამის თანახმად, ფატიმას მუჰამადის მიმდევარი – ხაბბაბ ბ. ალ-არატტი ასწავლიდა ყურანის კითხვას. 'უმარი როცა მივიდა, ის უკითხავდა 20-ე სურას – ტაჰაჰს, მაგრამ 'უმარის შესვლისას გაჩერდა. 'უმარმა გამოკითხვა დაუწყო ფატიმას, რომელმაც არ მოისურვა მოეთხრო მისთვის ყურანის შესახებ. მაშინ 'უმარმა ცემა დაუწყო ფატიმას. ის კი იმეორებდა, რომ არ უარყოფდა ისლამის რელიგიას. უეცრად 'უმარმა დაინახა სისხლი, რომელიც მისი თავიდან მოდიოდა. სიყვარულმა სძლია განრისხებას,

---

[64] მუჰამადის მესამე და უსაყვარლესი ცოლი, ხალიფა აბუ ბაქრის ქალიშვილი.

ინანა თავისი საქციელი და სთხოვა ფატიმას წარმოეთქვა ერთ-ერთი სურა. ფატიმა ასეც მოიქცა [8,VIII,267; 192,65]. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 'უმარზე, ის დარწმუნდა მუჰამადის სიტყვების ჭეშმარიტებაში, მიიღო ისლამი და ამის შესახებ საჯაროდ გამოაცხადა ქა'აბას კედლებთან [45,232-238][65]. მომავალი ხალიფას - 'უსმანის გამუსლიმებაში დიდი როლი ითამაშა მისმა დეიდამ – სუ'და ბინთ ქურაიზმა [175,108].

ეთიოპიაში პირველი ჰიჯრის დროს ემიგრანტთა შორის იყვნენ კურაიშის ტომის, უმაიყა ბ. 'აბდ შამსის გვარის წარმომადგენლები ცოლებით: 'უსმანი – რუკაიყასთან[66], აბუ ჰუზაიფა ბ. 'უთბა – საჰლა ბინთ სუჰაილ ბ. 'ამრთან [8,VIII, 270] და 'ამირ ბ. რაბი'ა – ლაილა ბინთ აბუ ჰუსამასთან ერთად [8,VIII,267].

ეთიოპიაში მეორე ემიგრაცია მოეწყო რამდენიმე წლის შემდეგ. 80 მუსლიმზე მეტი ოჯახებთან ერთად გაემგზავრა ეთიოპიაში და მათი დაბრუნება თანდათანობით მოხდა მედინაში. ეთიოპიაში მეორე ჰიჯრაშიც მრავალმა ქალმა მიიღო მონაწილეობა[67]. უმმ ჰაბიბა ბინთ აბი სუფიანის ბიოგრაფიაში დაცული ცნობების საფუძველზე, ის იყო ისლამის უფრო აქტიური მხარდამჭერი, ვიდრე მისი ქმარი – 'უბაიდ ალ-ლაჰ ბ. ჯაჰში. უმმ ჰაბიბა იყო მუჰამადის სერიოზული მონინააღმდეგის - აბუ სუფიანის ქალიშვილი. ამ ფაქტის მიუხედავად, ის წავიდა ეთიოპიაში თავის ქმართან ერთად და როდესაც ამ უკანასკნელმა უარყო ისლამი და ქრისტიანობას დაუბრუნდა, უმმ ჰაბიბა ისლამის რწმენის ერთგული დარჩა. მოგვიანებით, უმმ ჰაბიბა მუჰამადის ერთ-ერთი ცოლი გახდა [8,VIII,96-100].

მექაში იყვნენ ქალები, რომლებიც ეკუთვნოდნენ კურაიშის მონათესავე ტომებს, არ ჰქონდათ მაღალი სოციალური მდგომა-

---

[65] 'უმარი იყო ბოლო, ვინც ალ-არკამის სახლში მიიღო ისლამი [108,77].

[66] რუკაიყა – მუჰამადის ქალიშვილი, 'უსმანის ცოლი გახდა 610 წელს, ვიდრე მუჰამადი თავს გამოაცხადებდა მოციქულად.

[67] მაგალითად, კურაიშელმა რამლა ბინთ აბი 'აუფ ბ. ხუბაირამ ისლამი მიიღო 613 წლამდე და თავის ქმართან (ალ-მუტტალიბ ბ. აზჰარ) ერთად წავიდა ემიგრაციაში [8,VIII,268]. იბნ სა'დთან დასახელებულია აგრეთვე: კურაიშელი ბარაქა ბინთ იასარი და მისი და - ფუქაიჰა ბინთ იასარი, რომლებიც თავიანთ ქმრებთან ერთად წავიდნენ ეთიოპიაში [8,VIII,246]; ფატიმა ბინთ საფვან ბ. მუჰრისი [8,VIII,287]; ჰარმალა ბინთ 'აბდ ალ-ასვადი (არაკურაიში, ხუზა'ას ტომიდან) - ქმართან ერთად (ჰარმალა გარდაიცვალა ეთიოპიაში) [8,VIII,286]; ფატიმა, იგივე უმმ ჯამილა ბინთ მუჯალლალ - ქმართან და 2 ვაჟიშვილთან ერთად [8,VIII,272]; ფატიმა, იგივე უმმ კიჰტამ ბინთ 'ალკამა - ქმართან ერთად [8,VIII,272] და სხვები.

რეობა, არ მიუღიათ მონაწილეობა ეთიოპიაში ემიგრაციაში, მაგრამ ადრე იყვნენ ისლამზე მოქცეულნი მექაში. მათ ფიცი დადეს მუჰამადთან და გადავიდნენ მედინაში თავიანთ ოჯახთან ერთად. მაგალითად, ჯუზამა ბინთ ჯანდალის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ღანიმის ტომიდან მრავალმა მამაკაცმა და ქალმა მიიღო ისლამი და ისინი გადასახლდნენ მოციქულთან ერთად მედინაში. ქალებიდან, ვინც წავიდა ემიგრაციაში, იყვნენ ზაინაბი, ჰაბრბა და ჰამნა – ჯაჰშის ქალიშვილები; ჯუზამა ბინთ ჯანდალ, უმმ კაის ბინთ მუჰსან, ამინა ბინთ რუკაიშ და უმმ ჰაბრბა ბინთ ნაბათ (ღანიმის ტომი, დავდან ბ. ასადის გვარი) [8,VIII, 242-243].

მექაში მუჰამადის მიმდევართა შორის იყვნენ მავალები[68] და მონებიც, რომელთაც არ ჰქონდათ რელიგიური თავისუფლება და შეევიწროვება განიცადეს ისლამის რწმენის გამო. მაგალითად, სუმაიდა ბინთ ხუბბატ [8,VIII,264; 348,293], აბრ ჰუზაიფას მავლა (მახზუმის გვარი), მოხუცი ქალი. ის იყო 'ამმარ ბ. იასირის დედა[69]. აბუ ჯაჰლმა მოსთხოვა მას ისლამის უარყოფა. სუმაიდამ უარი განუცხადა და მოკლულ იქნა აბუ ჯაჰლის მიერ. ამდენად ისლამში პირველი ნამებულის პატივი წილად ხვდა ქალს – სუმაიდას. აბუ ჯაჰლი მოკლეს ბადრთან ბრძოლის დროს და ალაჰის მოციქულმა უთხრა 'ამმარს: „ალაჰმა მოკლა შენი დედის მკვლელი" [8,VIII,264]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სუმაიდა დასახელებულია იმ 10 ქალს შორის, რომლებმაც ყველაზე ადრე მიიღეს ისლამი [8,VIII,264].

უმაიმა ბინთ რუკაიკა ('ა'იშას დისშვილი) იყო იმ მონებს შორის, რომლებიც აწამეს მექაში რწმენის გამო. მას სცემდა აბუ ჯაჰლი, ასევე ექცეოდა მომავალი ხალიფა 'უმარიც, ვიდრე მიიღებდა ისლამს. უმაიმას შვილმა – ზუნნაირამ იმდენი ტანჯვა გადაიტანა ისლამის მიღების შემდეგ, რომ დაკარგა მხედველობა. უმაიმა, მისი ქმარი და ქალიშვილები გამოისყიდა აბუ ბაქრმა. მისმა ქალიშვილებმა (ალ-ნაჰდიდა, უმმ 'უბაისი და ზუნნაირა) ისლამი მიიღეს ადრე მექაში [8,VIII,255].

---

[68] მავლა, მრ.რ. მავალი – აქ აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც იმყოფება რომელიმე პირის ან ადამიანთა ჯგუფის მფარველობაში. ისლამამდელ არაბეთში მავლა იყო უცხოელი, რომელიც შედიოდა ამა თუ იმ არაბი ტომის შემადგენლობაში არასრულფასოვანი წევრის სახით და სარგებლობდა ტომის მფარველობით [76,121].

[69] 'ამმარ ბ. იასირი – მუჰამადის ერთ-ერთი ადრინდელი მიმდევარი. ეთიოპიაში პიჯრას და მოციქულის ყველა სამხედრო ლაშქრობის და ბრძოლის მონაწილე. მუჰამადის სიკვდილის შემდეგ 'ალის მხარე დაიკავა და მისი ერთგული იყო. დაიღუპა სიფფინთან ბრძოლაში 36/657 წელს [203,170].

ჯარიჲა ბინთ 'ამრმა [8,VIII,256] ადრე მიიღო ისლამი მექაში და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. ის იყო ერთ-ერთი, ვინც ენამა ისლამის გამო. მას აწამებდა 'უმარ ბ. ალ-ხატტაბი, ვიდრე თვითონ მიიღებდა ისლამს. შემდეგ აბუ ბაქრმა გამოისყიდა და გაათავისუფლა [45,127].

მონა-ქალებს შორის დასახელებულია ბარაქა ეთიოპიიდან, რომელიც მუჰამადის ოჯახს ემსახურებოდა მისი დაბადების დღიდან. ბარაქამ ადრე მიიღო ისლამი და ახალი რწმენის ერთგული იყო. გადმოცემით, ერთ დღეს ურწმუნოებმა ალ-არკამის სახლისაკენ მიმავალი გზა გადაკეტეს, რადგანაც იქ იკრიბებოდნენ მუჰამადის მიმდევრები. ბარაქას ჰქონდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხადიჯასაგან, რომელიც მას მოციქულისათვის უნდა გადაეცა. მან საფრთხეში ჩააგდო თავისი სიცოცხლე და გადასცა ინფორმაცია მუჰამადს, რომელმაც ბარაქას სიცოცხლეშივე განუსაზღვრა სამოთხეში მოხვედრა: „ნამდვილად, შენ გაქვს ადგილი სამოთხეში" [393].

იბნ სა'დთან მოცემულია ბიოგრაფია 117 ქალისა, რომელთაც ჰიჯრამდე მიიღეს ისლამი და 12 ქალისა, რომლებიც გამუსლიმდნენ ჰიჯრის შემდეგ [მუჰამადის მიერ მექის აღების (630წ.), ან მისი „გამოსათხოვარი ჰაჯის"[70] დროს].

მექაში ისლამზე ადრე მოქცეულ ქალთა სია დიდია და ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მაგალითები მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ ახალი რელიგიის მიმდევრები იყვნენ ყველა სოციალური კლასის წარმომადგენლები. ისლამზე ახლადმოქცეულები ძირითადად მუჰამადის ახლობლები იყვნენ, რომელთაც ჰიჯრამდე მიიღეს ისლამი. თუმცა, დასახელებულია მრავალი ქალი, რომელთაც ისლამი მიიღეს ოჯახის წევრების ზეგავლენით, მაგრამ ჭეშმარიტი მორწმუნენი გახდნენ. მაგალითად, აბუ ბაქრის დებმა ისლამი მიიღეს 630 წელს, მექის აღების შემდეგ [211,71].

საინტერესოა, თუ რა როლი ითამაშეს ქალებმა ჰიჯრაში.

ჰიჯრას (ალ-ჰიჯრა -„გადასახლება", „ემიგრაცია") — მოციქულ მუჰამადის მექიდან იასრიბში გადასახლების მიზეზი გახდა ის, რომ მუჰამადმა დაკარგა თავისი გვარის, ჰაშიმიანთა მფარველობა მექაში. დაახლ. 619 წელს გარდაიცვალა აბუ ტალიბი, ხოლო გვარის ახალმა მეთაურმა აბუ ლაჰაბმა უარი თქვა მის დაცვა-

---

[70] ჰაჯი [ალ-ჰაჯჯ] — პილიგრიმობა მექაში. ჰაჯი მუსლიმთა ერთ-ერთ საასურველ ვალდებულებად და საპატიო მოვალეობად იქნა დადგენილი მოციქულის მიერ თავისი უკანასკნელი პილიგრიმობის დროს 632 წელს. ეს პილიგრიმობა ცნობილია როგორც „გამოსათხოვარი ჰაჯი" (ჰაჯჯათ ალ-ვადა'), ვინაიდან სამი თვის შემდეგ მუჰამადი გარდაიცვალა.

მფარველობაზე. გარდაიცვალა მუჰამადის ერთგული მეუღლე – ხადიჯაც. კურაიშელთა ჯგუფმა აბუ ლაჰაბის ხელმძღვანელობით განიზრახა მისი მოკვლა [108,88], მაგრამ ისინი მოციქულის მოკვლის გეგმას საიდუმლოდ ინახავდნენ. სწორედ ქალმა – 100 წლის რუკაიკა ბინთ აბი ხაიფ ბ. ჰაშიმმა [8, VIII,222-223] შეატყობინა მუჰამადს ამ თავდასხმის შესახებ. მუჰამადი წავიდა სახლიდან. მან თავის ადგილას დატოვა 'ალი და დაფარა ის თავისი ნამოსასხამით. როცა მუჰამადის სახლს ალყა შემოარტყეს, მოციქული იქ აღარ დახვდათ. ამგვარად, რუკაიკამ, თავისი ასაკის მიუხედავად, გადაარჩინა ალაჰის მოციქულის სიცოცხლე [45,196; 21,45].

619 წლის შემდეგ, მუჰამადმა მოკავშირეების ძებნა დაიწყო მექის გარეთ, იასრიბში, სადაც სახლობდა 2 დიდი არაბული ტომი: აუსი და ხაზრაჯი, რომელთა შემადგენლობაში მრავალრიცხოვანი გვარები შედიოდა. მათთან შეთანხმების დადების შემდეგ, 622 წელს მუჰამადი თავის მიმდევრებთან ერთად გადავიდა იასრიბში (ალ-მადინა). როდესაც მუჰამადმა დატოვა მექა და იმალებოდა ჰირაზე (ტავრის მთის მწვერვალზე) გამოქვაბულში აბუ ბაქრთან ერთად სამი დღის განმავლობაში, ახალგაზრდა ასმა' ბინთ აბი ბაქრი იყო ის, რომელსაც ღამით, სიძნელეების მიუხედავად, მიჰქონდა მათთან საჭმელ-სასმელი და უახლესი ინფორმაცია. მან იცოდა, რომ მოციქულის და მისი კომპანიონების სიცოცხლის გადარჩენით ეხმარებოდა ისლამის რელიგიას [8,VIII,250]. პირველი სერიოზული გამოცდა ისლამის წინაშე ასმა'მ მაშინ ჩააბარა, როცა მორწმუნეებმა ალყა შემოარტყეს მის სახლს და ეკითხებოდნენ მამის ადგილსამყოფელის შესახებ. მან არაფერი არ გაამხილა. მაშინ განრისხებულმა აბუ ლაჰაბმა გაარტყა მას სახეში. ასმა' 18 წლის იყო, როცა მოექცა ისლამზე, თუმცა დედამისი ურწმუნო დარჩა და აბუ ბაქრი გაცილდა მას [8,VIII,252].

იბნ სა'დთან დასახელებულია 2 ქალი, რომელთაც თითქოსდა ისლამი მიიღეს იასრიბში ჰიჯრამდე (622): ჰავვა' ბინთ ზაიდ ბ. საქანი [8,VIII,323] და უმმ სულაიმ ბინთ მილჰანი [8,VIII,424].

ჰავვა', პოეტ კაის ბ. ალ-ხატიმის ცოლი, ისლამზე მოექცა, როცა მუჰამადი ჯერ კიდევ მექაში იყო და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. მისი ბიოგრაფია შეიცავს ინფორმაციას, რომ მისი ქმარი კაისი წავიდა მექაში, სადაც ის შეხვდა მუჰამადს, რომელმაც მოუთხრო მას მისი ცოლის ისლამზე მოქცევის შესახებ და ურჩია მი-

ებაძა მისთვის, რაც ეჭვს იწვევს[71]. გადმოცემა ისნადის გარეშეა მოცემული.

უმმ სულაიმ ბინთ მილჰანი[72] – ანას ბ. მალიქის[73] დედაა. არ არის მითითებული, რომ ის მუჰამადის მედინაში ჩასვლამდე მოექცა ისლამზე. თუმცა არის გადმოცემა, რომ მასზე ზეგავლენა მოახდინა მუს'აბ ბ. 'უმაირმა, რომელიც მოციქულმა გააგზავნა იასრიბში ლოცვის ხელმძღვანელად *„პირველი 'აკაბას“* [74] შემდეგ. ამასთან, უმმ სულაიმმა გადაწყვეტილება ისლამის მიღების შესახებ დამოუკიდებლად მიიღო, ქმრის თანხმობის გარეშე [8,VIII,424].

ისლამზე მოქცეული პირველი ქალები ჩანან იასრიბიდან 'აკაბაში გაგზავნილ დეპუტაციაში. იბნ სა'დთან დასახელებულია 2 ქალი - უმმ 'უმარა და უმმ მანი' ხაზრაჯის ტომიდან, რომლებიც ესწრებოდნენ 'აკაბას შეხვედრას თავიანთ ქმრებთან ერთად. თუმცა აქ არ არის პირდაპირი მითითება, რომ მათ ამ დროისათვის მიიღეს ისლამი. მაგრამ ის ფაქტი, რომ მათ ერთგულების ფიცი მისცეს ალაჰის მოციქულს, ითვალისწინებდა ისლამის მიღებას [348,295].

იბნ სა'დთან მოცემულია გრძელი ან მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მედინაში მცხოვრები 2 არაბული ტომის – აუსის და ხაზრაჯის 349 ქალის შესახებ, რომლებიც გახდნენ მუსლიმები და უმეტესობამ ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. ეს მოხდა ჰიჯრის შემდეგ. მედინაში იყვნენ აგრეთვე ბედუინთა ტომის ქალები, რომელთა უმრავლესობა გათხოვილი იყო მედინელებზე. სხვები კი ისლამზე მოექცნენ თავიანთ ტომთან ერთად, როცა ისინი გახდნენ მუჰამადის მოკავშირეები. ამ ქალთა ბიოგრაფიებს იბნ სა'დი 2 ნა-

---

[71] ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საეჭვოა, რომ კაისი საერთოდ შეხვედრიდა მუჰამადს. თუმცა ის იუდეველთა და ქრისტიანთა რელიგიური კონფესიების ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა. ამასთან, კაისი მოკლეს ჰიჯრამდე [348,294].

[72] მისმა დამ - უმმ ჰარამ ბინთ მილჰანმა ადრე მიიღო ისლამი მექაში. მას მუჰამადმა უწინასწარმეტყველა (სიზმარში ნახა), რომ „წამებული“ გახდებოდა. უმმ ჰარამ გახდა ისტორიული პიროვნება, რომელიც კარგად არის ცნობილი ადრეულ არაბულ ქრონიკებში. მან მონაწილეობა მიიღო არაბთა პირველ საზღვაო ლაშქრობაში კუნძულ კეიპროსზე 648 წელს თავის ქმართან ('უბადა ბ. ას-ს̣ამით) ერთად და იქ გარდაიცვალა [40,8 /199; 8,VIII,434-35; 359].

[73] ანას ბ. მალიქ აბუ ჰამზა (გარდ. დაახლოებით 91-93/709-711) – ისლამი მიიღო მედინაში ჰიჯრის შემდეგ ათი წლის ასაკში და მუჰამადის გარდაცვალებამდე მის სამსახურში იყო. ანასი იყო ერთ-ერთი ადრეული გადმომცემი, რომელსაც მიაკუთვნებენ მრავალ ჰადისს. თუმცა მისი რეპუტაცია, როგორც ჰადისების გადმომცემისა, ზოგჯერ ეჭვქვეშ იყო დაყენებული.

[74] 'აკაბა — ადგილი მექის მახლობლად. ეს შეხვედრა მოხდა დაახლოებით 620 წელს.

ნილად ჰყოფს: ა) ვინც მოექცა ისლამზე ჰიჯრის შემდეგ და ბ) ვინც მუსლიმი გახდა მექის აღების შემდეგ[75].

მედინაში ცხოვრობდა აგრეთვე იუდეველთა ტომები – ბანუ კაინუკა', ბანუ ნადირ და ბანუ კურაიზა. იბნ სა'დთან აღნიშნულია, რომ ს̣აფიიაა ბინთ ჰუიაიი ბ. ახტაბმა[76] (ბანუ კურაიზა) და რაიჰანა ბინთ ზაიდმა [8,VIII,129], რომლებიც ტყვედ შეიპყრეს, მიიღეს ისლამი. მუჰამადის მონა-მხევალის – მარიამის გამუსლიმება კი მხოლოდ ერთხელ იხსენიება [8,VIII,212-213].

და ბოლოს, მუჰამადის მიმდევრებს შორის იყვნენ სხვადასხვა ტომის ქალები, რომელთაც პოლიტიკური მოსაზრებით მიიღეს ისლამი, რათა კავშირი შეეკრათ მუჰამადთან და მის თანატომელებთან. მაგალითად, 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფი[77] გაგზავნილ იქნა ქალბის ტომთან, რათა მოექცია ისინი ისლამზე. მან ხელი სთხოვა ტომის წინამძღოლის ქალიშვილს. მისი ეს წინადადება მიიღეს, 'აბდ არ-რაჰმანი დაქორწინდა თუმა̄დირ ბინთ ალ-ა̣ს̣ბაღიზე და მასთან ერთად დაბრუნდა მედინაში [8,VIII,298].

პრაქტიკულად, საერთოდ არ არის მინიშნება ისლამის მიღების თაობაზე იმ ქალების ბიოგრაფიაში, რომელთაც თვითონ შესთავაზეს მუჰამადს ქორწინება ან პირიქით, მაგრამ ქორწინება არ დასრულებულა. სავარაუდოა, რომ მათ მიიღეს ისლამი. კუთაილა ბინთ კაისის შემთხვევაში ნათქვამია, რომ ის და მისი ძმა გაბრუნდნენ უკან ჰ̣ადრამავთში, რადგანაც შეიტყვეს მოციქულის გარდაცვალების ამბავი და მათ, თანატომელებთან ერთად, უარი თქვეს ისლამზე [8,VIII,147-148].

---

[75] მაგ., ჰიჯრის შემდეგ მოექცნენ ისლამზე, უმაიიაა ბინთ კაის ალ-ღიფარიაა [8,VIII,292]; უმმ სუნბულა ალ-მ̄ალიქ̄იაა [8,VIII,294] და უმმ ს̣უბაიიაა ხავლა ბინთ კაის ალ-ჯუჰანიაა [8,VIII,295]. უმმ სუნბულასთან დაკავშირებით მოთხრობილია შემდეგი: 'ა'იშას გადმოცემით, მოციქულმა მედინაში გადასვლის შემდეგ აუკრძალა მათ მიეღოთ საჩუქრები ბედუინთაგან. უმმ სუნბულა მივიდა მუჰაჯირებთან და დაუტოვა რძე, მაგრამ ისინი არ გაეკარნენ მას. ამ დროს მივიდა მოციქული, შეიტყო ეს ამბავი და თქვა: „როდესაც ისინი [ბედუინები] ხდებიან მუსლიმები, ისინი არიან ჩვენი უდაბნოს ხალხი და ჩვენ მათი ქალაქის ხალხი. როცა ჩვენ ვუხმობთ მათ, ისინი გვპასუხობენ. როცა ჩვენ ვთხოვთ დახმარებას, ისინი აკეთებენ ამას" [8,VIII, 294].

[76] გადმოცემით, მუჰამადმა თითქოს შესთავაზა მას ან ისლამის მიღება და ქორწინება, ან იუდაიზმი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაათავისუფლებდა და დააბრუნებდა თავის ახლობლებთან. ს̣აფიიამ აირჩია ისლამი და მუჰამადთან ქორწინება [8,VIII,120-128].

[77] 'აბდ არ-რაჰმან ბ.'აუფი – ერთ-ერთი პირველი, ვინც მიიღო ისლამი. ეთიოპიასა და მედინაში ჰიჯრის მონაწილე. გარდ. 31/651-52 ან 32/652-53 ნელს.

უნდა აღინიშნოს, რომ მუჰამადის მიმდევარი ქალები გამოირჩეოდნენ რწმენისადმი ერთგულებით. იბნ სა'დთან არის ვრცელი გადმოცემა უმმ შარიქის შესახებ. აღნიშნულია, რომ მისი ქმარი – აბუ 'აქრ გახდა მუსლიმი და გადავიდა აბუ ჰურაირასთან ერთად მედინაში, ხოლო მისმა ცოლმა მოგვიანებით გადაწყვიტა შეერთებოდა მას. თუმცა აღნიშნულია, რომ მან (მეტსახელი – ღაზიდა ბინთ ჯაბირ ბ. ჰაქ�მ) უფრო ადრე მიიღო ისლამი, ვიდრე ეს ცნობილი გახდებოდა გარშემო მყოფთათვის. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ისლამის პროპაგანდაში. ერთ-ერთი გადმოცემით, უმმ შარიქთან მივიდნენ მისი ქმრის ოჯახის წევრები და როცა შეიტყვეს, რომ ის მოექცა ისლამზე, ამის გამო აწამეს. ის წაიყვანეს სახლიდან მოშორებულ ადგილზე (ზუ-ლ-ხალაწა), აქლემზე შესვეს, მისცეს თაფლი და უწყლოდ დატოვეს შუაგულ მზეზე 3 დღე, ვიდრე გონება არ დაკარგა. მესამე დღეს მას მოსთხოვეს ისლამის უარყოფა, მაგრამ მას არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. უმმ შარიქს ზეცაში ჰქონდა აპყრობილი ხელები, რათა ალაჰისაგან წყალობა მიეღო. მან მართლაც მიიღო წყალი ჩამჩით, რომელიც ჩამოეკიდა ზეცასა და დედამიწას შორის სამჯერ, ვიდრე წყურვილი არ მოიკლა. ქმრის ნათესავებმა სისველე შეამჩნიეს მის ტუჩებზე და ჰკითხეს, საიდან მიიღო წყალი. მან უპასუხა – ალაჰისაგან. ამის შემდეგ მათ დაათვალიერეს თავიანთი წყლის ტიკები და ნახეს, რომ ისინი გაუხსნელი იყო. ამგვარად, მათ ირწმუნეს ალაჰის, მიიღეს ისლამი და გადავიდნენ მედინაში მოციქულთან [8,VIII,155].

სნორედ რწმენისადმი ერთგულებამ უბიძგა ბევრ მუსლიმ ქალს ემიგრაციაში მარტო წასულიყო და დაეტოვებინა თავისი ოჯახი. ბიოგრაფიულ კრებულებში დასახელებულია უამრავი მუსლიმი ქალი, რომელთაც თავიანთი რწმენის გადარჩენისა და დაცვის მიზნით დატოვეს მექა. უმმ ხალიდ ბინთ ხალიდის (კურაიშის ტომი, უმაიდა ბ. 'აბდ აშ-შამსის გვარი) გადმოცემით, ის დაიბადა ეთიოპიაში. მედინაში დაბრუნებისას, ალაჰის მოციქულმა მისცა მას შავი მოსასხამი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა [8,VIII,234]. ასმა' ბინთ აბი ბაქრმა მედინაში ჩასვლისთანავე დაბადა ვაჟი – 'აბდ ალ-ლაჰ ბ. აზ-ზუბაირი[78]. უმმ ქულსუმ ბინთ 'უკბამ (ხალიფა 'უსმანის ნახევარდამ) ადრე მიიღო ისლამი მექაში, მაგრამ ჰიჯრა შეასრულა 628 წელს. ის არ იყო გათხოვილი და მარტო წავიდა[79] მედინაში. მას თან გაჰყვა ორი ძმა, რომელთაც ჰუდაიბიიას

[78] ის იყო პირველი ბავშვი, რომელიც დაიბადა ემიგრაციის შემდეგ მედინაში. სახელი მას ალაჰის მოციქულმა შეურჩია.

[79] ის იყო პირველი კურაიში ქალი, ვინც ასეთი ნაბიჯი გადადგა [8,VIII,230].

ხელშეკრულების (628ნ.) შესაბამისად[80], მოსთხოვეს მექაში დაბრუნება. უმმ ქულსუმმა დახმარება სთხოვა მოციქულს, რაც გახდა ალაჰის გამოცხადების საფუძველი (60:10 აია) და მორწმუნე ქალებს უფლება მიეცათ დარჩენილიყვნენ მედინაში [8,VIII,230]. ცნობილია აგრეთვე, რომ მუჰამადმა მედინაში გადასვლისას, უმმ აიმანი მექაში დატოვა, რათა მიეხედა მისი სახლისა და ოჯახისათვის. შემდეგ უმმ აიმანი თვითონ წავიდა მედინაში მარტო, გრძელი და რთული გზა განვლო ფეხით უდაბნოში [8,VIII,224].

მუჰამადის ბიძის და მოწინააღმდეგის აბუ ლაჰაბის ქალიშვილი – დურრა ბინთ აბი ლაჰაბი მარტო წავიდა ემიგრაციაში მედინაში, ისლამის მიღების შემდეგ. ის გაჩერდა მედინაში რაფი' ბ. მუ'ალი ზურაიკის სახლში. ზურაიკის ტომის ქალები მივიდნენ მასთან და შეახსენეს, რომ მისი მამა დაწყეველილ იქნა და რა ლოცვაკურთხევა შეიძლებოდა მიეღო მას მედინაში ემიგრაციიდან. დურრას ეწყინა და მოუთხრო მოციქულს. ამის შემდეგ მუჰამადმა გადაიყვანა ის დროებით მეჩეთში. დურრას ქმარი ურწმუნო გარდაიცვალა ბადრთან ბრძოლის დროს [8,VIII,50; 257,307-308].

მრავალმა ქალმა დაკარგა ქმარი ისლამის აღიარების გამო. რელიგიური დაპირისპირების მსხვერპლი გახდნენ თვითონ მუჰამადის ქალიშვილები – რუკაიდა და უმმ ქულსუმი, რომლებიც გათხოვდნენ აბუ ლაჰაბის ვაჟებზე [108, 79][81]. უმმ ჰანი' ბინთ აბი ტალიბ (ფახითა) იყო მუჰამადის ბიძაშვილი. ის მოექცა ისლამზე მექის აღების დღეს (630ნ.) და რელიგიის შეცვლამ ქმარი დააკარგვინა. მისმა ქმარმა, რომელზედაც ჯერ კიდევ ჯაჰილიდაში გათხოვდა, არ მიიღო ისლამი, გაიქცა მექიდან და გარდაიცვალა [8,VIII,151-53].

მუსლიმ ქალებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა ზეგავლენით მათმა ქმრებმა მიიღეს ისლამი ანუ ისლამის მიღება იყო ქორწინების პირობა. უმმ სულაიმ ბინთ მილჰანი იყო ასეთი ქალბატონი. მან უთხრა აბუ ტალჰას[82], რომელმაც ქორწინება შესთავაზა: „ვფიცავ ალაჰს, შენი მსგავსის უარყოფას ვერ შევძლებდი, მაგრამ

---

[80] ალ-ჰუდაიბიდას (მექის „წმინდა ტერიტორიის" ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე) ხელშეკრულებით, მექიდან პატრონის ნებართვის გარეშე გაქცეულები უკან უნდა დაებრუნებინათ. მუჰამადმა გააუქმა ეს პირობა ქალებთან მიმართებაში [397].

[81] იბნ ჰიშამის ცნობით, რუკაიდამ პირველი ჰიჯრა შეასრულა 'უსმანთან – თავის მეორე ქმართან ერთად.

[82] აბუ ტალჰა – მუჰამადის უახლოესი მიმდევარი. გარდ. 34/654-55ნ. მედინაში,70 წლის ასაკში [21,129].

შენ ხარ ურწმუნო და მე მუსლიმი ქალი. თუ შენ მოექცევი ისლამზე, მე მივიღებ ამას, როგორც საქორწინო საჩუქარს" [257,473].

ისლამის წარმოშობის პირველ წლებში თანდათან იზრდებოდა მუჰამადის მიმდევარ ქალთა რიცხვი. ისინი ისმენდნენ მუჰამადის ქადაგებებს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მისი თემის სრულუფლებიანი წევრები გამხდარიყვნენ. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ალაჰის მოციქულის – მუჰამადისადმი ფიცის მიცემის შემდეგ, რაც იყო მათი ისლამზე მოქცევის ოფიციალური დადასტურება ერთღმერთიანობისა და ალაჰის ზეშთაგონებების რწმენის აღიარებასთან ერთად. საჭირო იყო აგრეთვე ალაჰის მითითებების უპირობო შესრულებაც.

3. „ქალთა ფიცი" ადრეულ ისლამში

ტერმინი *ბაი'ა* ნიშნავს ვალდებულებას, ფიცს ან კონტრაქტს. *ბაია'ა* – ნაწილაკით ბი, მოგვიანებით აღნიშნავდა ხელშეკრულებას ხალიფასა და მუსლიმურ თემს შორის. ისლამის გავრცელების დროს ეს ტერმინი ძირითადად გამოიყენებოდა კომერციული კონტრაქტებისათვის მექელებს შორის. მუჰამადმა კარგად იცოდა სავაჭრო ვალდებულებების მნიშვნელობა მექელებისათვის და ამდენად გამოიყენა ეს ტერმინი ისლამზე ახლადმოქცეულ ქალებთან დაკავშირებით. მათ უნდა დაეცვათ გარკვეული წესები, ისევე როგორც მამაკაცები ასრულებდნენ თავიანთ სავაჭრო ვალდებულებებს [349,190-191].

ქალთა ფიცი აისახა ყურანის ერთ-ერთ აიაში (60:12) – *„ო, მოციქულო, როდესაც მოვლენ შენთან მორწმუნე ქალები, ფიცს დადებენ იმაზე, რომ არა ჰყავს ალაჰს მოზიარე და არ მოიპარავენ, არ იმრუშებენ და არ დახოცავენ ბავშვებს, მოერიდებიან ცილისწამებას.... და არაფერში გაგიწევენ ურჩობას, რაც არის მისაღები (სწორი). მაშინ მიიღე მათი ფიცი და სთხოვე შენდობა ალაჰს. ალაჰი ხომ მოწყალე, მწყალობელია"* [23,1049].

ამ სურის(60) გარდმოვლენის დროსთან დაკავშირებით ყურანის კომენტატორებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ატ-ტაბარის აზრით, ის გამოცხადებულ იქნა ჰუდაიბიიას (628 წ.) შემდეგ, მაშინ როცა ალ-ბაიდავი ათავსებს მას მექის დაცემის (630 წ.) შემდეგ[83] [4,732], ყურანში ის არის გვიანი პერიოდის მედინის სურებში. ჰადისებში ნაჩვენებია, რომ ფიცის ეს ფორმა გამოიყენებო-

[83] ამავე აზრისაა მაელანა ალიც, რადგანაც მექის აღების დღეს მრავალი ქალი და მამაკაცი მოექცა ისლამზე [52,1085,შენ.12a]

და გაცილებით ადრე. იბნ სა'დთან პირველი თარიღი ქალთა ფიცის დადებასთან დაკავშირებით დასახელებულია უკვე მუჰამადის მედინაში ჩასვლისთანავე (622 წ.), როდესაც მუჰამადის მითითებით 'უმარმა ფიცი მიიღო მედინელი ქალებისაგან [8,7].

იბნ სა'დის ნაშრომის მე-8 ტომში [8,5] მოცემულია ბიოგრაფიები იმ ქალებისა, ვინც ფიცი დადო მუჰამადთან (*ზიქრ მა ბპია'ა 'ალაიჰი რასულ ალლაჰ ან-ნისპ'*). იბნ სა'დი მოიხსენიებს სულ 478 ქალს. ესენი არიან ემიგრანტი ქალები (129), მათ შორის: ა) კურაიშელი ქალები და მათი თანამოაზრენი (70). ბ) სხვა „არაბი ქალები" (59), რომლებმაც ჰიჯრა შეასრულეს ეთიოპიაში ან მედინაში და გ) მედინელი ქალები (ანსარები), რომლებიც მუსლიმები გახდნენ. უკანასკნელთა ბიოგრაფიები დაჯგუფებულია ტომების მიხედვით. 349 ქალიდან 69 აუსის, ხოლო 280 - ხაზრაჯის ტომიდანაა.

იბნ სა'დის ნაშრომში დამონმებულია მთელი ჯაჭვი გადმოცემებისა, რომლებიც მოგვითხრობენ იმ ქალთა შესახებ, ვინც ფიცი დადო მუჰამადთან. ერთ-ერთი ძირითადი გადმომცემი არის უმაიმა ბინთ რუკაიკა, მუჰამმად ბ. ალ-მუნქადარის პირით. უმაიმას დედა რუკაიკა ბინთ ხუვაილიდ, რომელიც გადმოცემით ხადიჯას დაა, ხოლო მამა 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ბიჯად, თაიმის გვარიდანაა, გათხოვდა საკიფის ტომის კაცზე და მაშინვე წავიდა ტა'იფში. შემდეგ მოთხრობილია, რომ უმაიმა და მისი ქალიშვილები გახდნენ მუსლიმები ადრე, მექაში და გაიარეს ღმერთის გამოცდა, რომ აბუ ბაქრმა იყიდა ისინი და გაათავისუფლა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი გარკვეულ დროს იყვნენ მონები. მთელი ეს გადმოცემა არის ისნადის გარეშე. ძალზე საეჭვოა, რომ ხადიჯას დისშვილი ან მისი ქალიშვილები გაყიდული ყოფილიყვნენ მონებად. არც ის არის დადგენილი, თუ როდის ცხოვრობდა უმაიმა. თუმცა გადმოცემის ბოლოს ა'რის ასეთი მითითება – მუჰამადმა თქვა: *„ჩემი სიტყვები სარწმუნოა როგორც ერთი ქალისათვის, ისე 100 ქალისათვის"*, ესე იგი, მუსლიმური თემი დიდი იყო [8,VIII,5-6]. ერთ-ერთი ტრადიცია უკავშირდება ჰინდა ბინთ 'უთბას, რომელიც აცხადებს, რომ ფიცი დადო მუჰამადთან [8,VIII,9]. ერთ ვერსიაში მოხსენიებულია, რომ ეს მოხდა მექის აღების დღეს (630 წ.). ეს ინფორმაცია სარწმუნოა, რადგანაც მისმა ქმარმა აბუ სუფიანმა მხოლოდ ამ დროისათვის მიიღო ისლამი.

აქვე არის ასმა' ბინთ იაზიდის გადმოცემა. იბნ სა'დთან მისი ბიოგრაფია მოცემულია უმმ 'ამირის სახელით. ის იყო მუჰამადის აქტიური მხარდამჭერი და მისი თემის მნიშვნელოვანი წევრი მედინაში. ასმა' გადმოცემებში ამტკიცებს, რომ მან და სხვებმაც ფიცი დადეს მუჰამადთან და ფიცის პირობებიც დასახელებულია. მეორე

გადმოცემა უკავშირდება ისევ ასმᾱ'ს, სადაც ის ამბობს, რომ „მან, ლაილᾱ ბინთ ალ-ხატᾱმმა და ჰᾱვᾱ' ბინთ იაზᾱდმა ფიცი დადეს მუჰᾱმადთან". ბოლოს არის დამატება, რომ ასმᾱ' არის პირველი, ვინც ფიცი დადო მუჰᾱმადთან [8,VIII,12]. მესამე გადმოცემა 'ᾱსᾱიმ ბ. 'უმარ ბ. კათᾱდას ეკუთვნის, რომელიც ჩამოთვლის 10 ქალს ანსᾱრებიდან, მათ შორის ასახელებს ასმᾱ' ბინთ იაზᾱდს [8,VIII,12]. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ამ ტრადიციებში ფიცის ტექსტი სრულად არის მოხსენიებული ყურანის 60:12 აიას შესაბამისად.

მუჰᾱმადის გადასვლას მექიდან იასრიბში (მედინაში) წინ უძღოდა შეხვედრები 'აკაბაში. პირველ შეხვედრას ესწრებოდა 12 ადამიანი: 10 ხაზრაჯის არაბული ტომიდან და 2 – აუსიდან. ეს შეხვედრა მუსლიმ ავტორებთან ცნობილია, როგორც *„პირველი 'აკაბა"*. შეთანხმება ატარებდა წმინდა რელიგიურ, მშვიდობიან ხასიათს [61,47; 203,186]. იასრიბელებმა მუჰᾱმადთან დადეს „ქალთა ფიცი" - *ბაი'ა ან-ნისᾱ'* - იგივე პირობებით, რაც არის მოცემული ყურანის 60:12 სურაში და ამ ფიცის ტექსტს იმეორებს იბნ ისჰᾱკიც. *„ქალთა ფიცში"* სპეციალური მოხსენიება ქალების შესახებ არ არის. მისი ანალოგი მუჰᾱმადამდე არ გვაქვს. არის მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ მასში საერთოდ საუბარი არაა მუჰᾱმადის იარაღით დაცვაზე – საომარ ვალდებულებებზე. *„ქალთა ფიცს"* ასე ხსნის თვითონ მუჰᾱმადი: *„მე მივიღე თქვენი ფიცი იმის გამო, რომ თქვენ დამიცავთ მე ისევე, როგორც თქვენ იცავდით თქვენს ქალებს და ბავშვებს"* [21,192; 46,198,203]. ამდენად, ეს იყო არასაომარი ვალდებულებების ფორმულა. როცა ალაჰმა მისცა მოციქულს ომის ნებართვა, მან მიიღო ფიცი მუსლიმთაგან მეორეჯერ – ებრძოლათ თავიანთი მტრების წინააღმდეგ და მათ ერთგულებისათვის აღუთქვა სამოთხე[84].

იბნ სა'დთან აღნიშნულია, რომ ორი ქალი ესწრებოდა 'აკაბას შეხვედრას. უმმ 'უმᾱრა (ნუსაიბა ბინთ ქა'ბ) იყო მუჰᾱმადის აქტიური მხარდამჭერი, თან ახლდა სამხედრო ლაშქრობების დროს. მისი ქმარი იყო ზაიდ ბ. 'ᾱსᾱიმ ბ. 'ამრი (ან-ნაჯᾱრის გვარიდან). აქვე მითითებულია, რომ უმმ 'უმᾱრამ ფიცი მისცა მოციქულს 'აკაბას ღა-

---

[84] 622 წლის 14 ივლისს შედგა „მეორე 'აკაბა", რომელსაც ესწრებოდა 73 მამაკაცი და 2 ქალი. მათ მოეთათბირა მუჰᾱმადი იასრიბში გადასვლაზე და 12 თავისი წარმომადგენელი(*ნაკიბ*) დანიშნა შეხვედრის მონაწილეთაგან. ეს იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეთანხმება ორმხრივი ვალდებულებებით. იასრიბელი მუსლიმები (ანსᾱრები) აღიარებდნენ მუჰᾱმადს ალაჰის მოციქულად და თავის თავზე იღებდნენ მის დაცვას და მფარველობას [108,87]. მეორე შეხვედრის დროს დაიდო ახალი ფიცი „ბაი'ა ჰᾱრბ" – „ომის ფიცი".

მეს და მან ფიცი მისცა ხალხთან ერთად [8,VIII,412]. მეორე ქალი იყო უმმ მანē' ბინთ 'ამრი. მისი ქმარი იყო ხუდაიჯ ბ. სალāმა (აუსის ტომი). აღნიშნულია, რომ მათი შვილი შიბāსა დაიბადა 'აკაბას ღამეს [8,VIII,408].

მითითებული არაა, თუ როდის მიიღეს მათ ისლამი. მაგრამ ისინი ესწრებოდნენ *მეორე 'აკაბას*, ამის განცხადების საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ მათი ქმრები დასახელებულნი არიან იმ *ნაკიბთა* შორის, რომლებიც მუჰამადმა თავის წარმომადგენლებად დანიშნა სწორედ *მეორე 'აკაბას* დროს. არის მოსაზრება, რომ საერთოდ იყო ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა (622 წლის 14 ივლისს), რომელსაც ესწრებოდნენ მამაკაცები და 2 ქალი. მამაკაცებმაც და ქალებმაც მონაწილეობა მიიღეს *„ქალთა ფიცის"* დადებაში, მაგრამ მხოლოდ მამაკაცებმა დადეს დამატებით ფიცი, რომ იბრძოლებდნენ ახალი საქმისათვის და ქალები თავისუფალი იქნებოდნენ მონინავე ხაზზე საბრძოლო მოქმედებებიდან [283,20-25; 293,187,შენ.1;175,116].

იბნ სა'დთან არის ასეთი გადმოცემაც, რომ როდესაც 'უმარი და 'ā'იშა ჩავიდნენ მექაში, ისინი გაჩერდნენ სāბითის ქალიშვილთან და ის იყო იმ 7 ქალს შორის, რომელთაც ფიცი დადეს მუჰამადთან მექაში [8,VIII,10]. თუმცა ბიოგრაფიულ კრებულებში არ არის მოხსენიებული არც ერთი მექელი ქალი, სāბითის ასული.

იბნ ჰანბალთან [11,VI,356) უმმ კაის ბინთ მუჰსანი დასახელებულია, როგორც პირველი ემიგრანტი ქალი, ვინც ფიცი დადო მუჰამადთან. იბნ სა'დი არ მოიხსენიებს ამ ფაქტს უმმ კაისის ბიოგრაფიაში [8,VIII,242], მაგრამ აღნიშნავს, რომ ის გახდა მუსლიმი ადრე, მექაში და ნავიდა ემიგრაციაში თავის ოჯახთან ერთად. მისი ძმა - 'უქāშა, როგორც ადრე მოქცეული ისლამზე, ესწრებოდა ბადრთან (624 წ.) ბრძოლას. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ადრე უნდა გადასულიყვნენ მედინაში [348,293]. დასახელებულია სხვა მრავალი მექელი ქალიც, რომელთაც ადრე მიიღეს ისლამი, ფიცი დადეს მუჰამადთან და შემდეგ გადავიდნენ მასთან ერთად მედინაში[85]. იყო გარკვეული გამონაკლისებიც, მაგრამ ტრადიციებიდან ნათლად ჩანს, რომ ქალები ძირითადად მუჰამადის ერთგული მიმდევრები იყვნენ.

---

[85] ყველაზე მცირეწლოვანი, ვინც ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს, იყო ჯამīლა ბინთ სა'დ ბ. რაბē'. იბნ სა'დის თანახმად, ხანდაკის ბრძოლის დროს ის 2 წლის იყო. დედამისმა ('ამრა ბინთ ჰაზამ) უამბო მას ამ ბრძოლის ამბავი. მუჰამმად ბ. 'უმარ ალ-ვაკიდი (გარდ. 823 წ.) მას, ასაკის მიუხედავად, ასახელებს იმ მუსლიმ ქალთა შორის, რომელთაც ფიცი მისცეს მუჰამადს [8,VIII,359].

შემდგომში ყველა მედინელმა ქალმა, ვინც მიიღო ისლამი, იმავდროულად ფიცი დადო ალაჰის მოციქულთან და მათ გარკვეული ადგილი დაიკავეს ბიოგრაფიულ კრებულებში. არის მოსაზრება, რომ „ქალთა ფიცის" ერთი და იგივე ფორმულა იყო გამოყენებული ჰიჯრამდე მექაში და ჰიჯრის შემდეგაც მედინაში. ამასთან არ იყო განსხვავება ფიცის ტექსტის შინაარსში მამაკაცებთან და ქალებთან მიმართებაში[86] [349,190; 250,134-135].

იბნ სა'დთან ცალკეა გამოყოფილი პირველი 10 ანსარი ქალი [8,VIII,12], ვინც ფიცი დადო მუჰამადთან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა ქალი, ერთის გარდა, ეკუთვნოდა აუსის ტომს და გათხოვილი იყო ამავე ტომის მამაკაცზე, მხოლოდ სა'დ ბ. მუ'ᾱზის დედა - ქაბშა ბინთ რᾱფი'ა ბ. 'უბაიდი - ეკუთვნოდა ხაზრაჯს და გათხოვილი იყო მუ'ად ბ. ან-ნუ'მᾱნზე (აუსი)[87].

ზოგიერთ მედინელ ქალს ჰქონდა საპატიო ტიტული – *მუბᾱი'ა*. მაგ., ჯამᾱლა მუბᾱი'ა (ჯამᾱლა ბინთ სᾱბით მუბაი'ა). დედამისი - აშ-შამუს ბინთ აბᾱ 'ᾱმირ არ-რᾱჰიბ [8,VIII,345] იყო იმ პირველ 10 ქალს შორის, ვინც ფიცი დადო მუჰამადთან. ამასთან ის იყო 'უმარ ბ. ალ-ხატტᾱბის ერთ-ერთი ცოლი და 'ᾱṣიმ ბ. 'უმარის დედა.

ეს ტიტული მიკუთვნებული ჰქონდა აგრეთვე ლაილᾱ ბინთ ალ-ხატᾱმის შვილიშვილს (მისი ქალიშვილის - 'უმაირა ბინთ მას'ᾱუდის მხრიდან) - ჰᾱბᾱბა მუბაი'ას [8,VIII,339]. ლაილᾱ ბინთ ალ-ხატᾱმი იყო ერთ-ერთი პირველი მედინელი ქალი, ვინც ფიცი დადო მუჰამადთან და მასთან ერთად მისმა 2 ქალიშვილმა და მათმა ქალიშვილებმა [8,VIII,337]. იბნ სა'დი ამ ტიტულით მოიხსენიებს აგრეთვე ას-სუმაირᾱ' ბინთ კაის ბ. მᾱლიქის 2 ქალიშვილს – უმმ რაია'ას და უმმ ალ-ჰᾱრისს [8,VIII,438]. ასევე დასახელებულია უმმ ჯამᾱლა ბინთ კუტბას დედა და ბებია, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ ეს ტიტული - მუბᾱი'ა. უმმ ჯამᾱლას დედა არის უმმ 'ამრ ბინთ 'ამრი, ხოლო ბებია - ჰინდა ბინთ კაისი [8,VIII,410].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს საპატიო ტიტული მიეკუთვნათ გარკვეულ მედინელ ქალებს, ვინც ერთ-ერთმა პირველებმა დადეს ფიცი მუჰამადთან მედინაში ჰიჯ-

---

[86] განსხვავება იყო მხოლოდ იმაში, რომ *„მამაკაცების ფიცი"* ითვალისწინებდა მუჰამადის დაცვის ვალდებულებას [185,44].

[87] დანარჩენი ქალები ეკუთვნოდნენ აუსის სხვადასხვა გვარს: უმმ 'ᾱმირ ბინთ იაზᾱდ ბ. ას-საქანი და ჰᾱვᾱ' ბინთ იაზᾱდ ბ. ას-საქანი – 'აბდ ალ-აშᾱლის გვარს; ლაილᾱ ბინთ ალ-ხატᾱმი – ზᾱფარის გვარს; ლაილᾱ, მარიამი და თამᾱმა (აბᾱ სუფᾱნის ქალიშვილები), აგრეთვე აშ-შამუს ბინთ აბᾱ 'ᾱმირ არ-რᾱჰიბი და მისი ქალიშვილი ჯამᾱლა ბინთ სᾱბითი და ამ უკანასკნელის დისშვილი - ტაიბა ბინთ ან-ნუ'მᾱნი, ყველა ეკუთვნოდა - 'ამრ ბ. 'აუფის გვარს.

რის შემდეგ. ამ ტიტულს ატარებდნენ აგრეთვე მათი შვილები და შვილიშვილები და შესაბამისად ეს ქალები გახდნენ ბიოგრაფიული კრებულების ძირითადი ბირთვი.

როგორც ირკვევა, მოციქულის მედინაში გადასვლის შემდეგ, მისი მითითებით, 'უმარ ბ. ალ-ხატტაბმა უხმო მედინელ ქალებს, შეკრიბა ერთად და დაადებინა ფიცი, როგორც მუჰამადის წარმომადგენელმა [8,VIII,7]. ამის შემდეგ ქალები ან ინდივიდუალურად ან პატარა ჯგუფებად ფიცს დებდნენ ალაჰის მოციქულთან.

გადმოცემით, ქალებმა ფიცი დადეს ალ-ჰუდაიბიიასთან. 2 ქალი არის მოხსენებული სახელით - რუბაიგ'ა ბინთ მუ'ავვიზ [8,VIII,447-448] და უმმ ფარვა [8,VIII,303], თუმცა იბნ სა'დი არ მოიხსენიებს ამ ფაქტს მათ ბიოგრაფიაში.

როგორც ცნობილია, 6/628 წელს მუჰამადი 1500 მუსლიმით გაემართა მცირე პილიგრიმობის (*'უმრა*) შესასრულებად, მაგრამ ალ-ჰუდაიბიიასთან მას გზა გადაუღობეს მექელებმა. მათ ჩათვალეს, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო ქალაქზე თავდასხმისათვის და თუ მუჰამადი შევიდოდა ნმინდა ტერიტორიაზე, როგორც ჰაჯის ხელმძღვანელი, კურაიშელთა ზედაფენა რელიგიური ცერემონიალის წარმართველის მონოპოლიასაც დაკარგავდა [108,143-144]. მექელებთან მოლაპარაკება გაჭიანურდა და მუჰამადმა მიიღო ერთგულების ფიცი მუსლიმთაგან, რომ იბრძოლებდნენ გამარჯვებამდე. ხე, რომლის ქვეშაც დაიდო ფიცი, რელიკვიად იქცა მუსლიმთათვის [6,65:48], ხოლო მონაწილეები, რომელთაც დადეს „ალაჰისათვის სასურველი" ფიცი (*„ბაი'ა არ-რიდვან"*)[88], სარგებლობდნენ განსაკუთრებული პატივისცემით მუსლიმთა შორის[89]. ქალები სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალი იყვნენ. ასე რომ, საეჭვოა ქალები მოეხმოთ ასეთი ფიცის დასადებად. თუმცა, მოხალისე ქალები იყვნენ ყველა ბრძოლის დროს, მათ შორის ჰუდაიბიიასთანაც. მაგ., უმმ 'უმარა, რომელიც ესწრებოდა 'აკაბას შეხვედრას, იყო ჰუდაიბიიას ფიცის მონაწილეც. მაგრამ მის ბიოგრაფიაში პირდაპირ არაა მითითებული, რომ მან უშუალოდ დადო ეს ფიცი. ალ-ფურაი'ა ბინთ მალიქი [8,VIII,380] და უმმ ჰიშამ ბინთ ჰარისა ბ. ან-ნუ'მანი [8,VIII,442] იყვნენ იმათ შორის, ვინც ჰუდაიბიიასთან ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. უმმ ალ-მუნზირ ბინთ

---

[88] ფიცის დადებას ადგილი ჰქონდა ჰუდაიბიიას ხელშეკრულების დადებამდე [52,997,10a].

[89] გადმოცემით, მოციქულმა თავისი ცოლის – ჰაფსა ბინთ 'უმარის თანდასწრებით განაცხადა, რომ „ალაჰის ნებით ისინი, ვინც ფიცი დადო ხის ქვეშ (ჰუდაიბიასთან), არასოდეს დაიწვებიან ჯოჯოხეთის ცეცხლში" [257,34].

კაისი [8,VIII,422] ესწრებოდა „ბაი'ა არ-რიდვან"-საც და მანამდე „ბაი'ა ალ-მუ'მინას" ('აკაბასაც). ის იწოდებოდა ასე – „მუბაია'ა ალ-ბაი'ათაინ" (ვინც 2 ერთგულების ფიცი მისცა მუჰამადს). ასევე დასახელებულია ასმა' ბინთ იაზიდ ბ. ას-საქანი და სხვა მუჰამადის მიმდევარი ქალები.

კოლექტიური ფიცის დადებას ადგილი ჰქონდა მექის აღების დროს. მუჰამადმა მექაში მიიღო ფიცი ჯერ მამაკაცებისაგან, შემდეგ ქალებისაგან. წყაროთა მონაცემები ურთიერთსაწინააღმდეგოა: ერთი ვერსიით, ქალებმა ფიცი დადეს მექაში[90], აჷ-ჷაფაზე, როდესაც დამთავრდა მამაკაცების ფიცი. მეორე ვერსიით, რამდენიმე ცნობილი დიდგვაროვანი მექელი – ჰინდა ბინთ 'უთბას ხელმძღვანელობით მივიდა მუჰამადის ბანაკში და მისი ცოლების და ქალიშვილების თანდასწრებით ერთგულების ფიცი მისცეს მუჰამადს [108, 260,შენ.82]. ჰინდას ფიცი სიტყვა-სიტყვით არის აღწერილი არაბი ისტორიკოსების მიერ და ის იუმორითაა სავსე, რაც ეჭვს იწვევს. გადმოცემით, როდესაც მოციქულმა უბრძანა, რომ დაეფიცა – „არ ეღალატა ქმრისათვის", მან წამოიძახა „თავისუფალი ქალი არასოდეს უღალატებს ქმარს". მუჰამადმა გამჭოლი მზერა შეავლო 'უმარს, რადგანაც იცოდა ჰინდას სასიყვარულო კავშირი 'უმართან, ამ უკანასკნელის ისლამზე მოქცევამდე [58,I,1643-44; 285,116-117,190; 337,25].

წყაროთა მონაცემებით, მოციქულმა მოითხოვა ჰინდას სიკვდილით დასჯა, როდესაც ის შევიდა მექაში. მაგრამ ჰინდა იყო აბუ სუფიანის ცოლი. აბუ სუფიანს კი მიენიჭა ერთადერთი პრივილეგია, რომ მისი სახლი და ვინც მის სახლს თავს შეაფარებდა, ხელშეუხებელი იქნებოდა. თუმცა ხელშეუხებლობის პირობა მიეცა ყველას, ვინც თავის სახლში იქნებოდა ჩაკეტილი [108,159]. აბუ სუფიანმა ითხოვა ჰინდას შეწყალება და მიიღო მუჰამადის წყალობა[91]. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ჰინდამ ერთგულების ფიცის მიცემის დროს განუცხადა მოციქულს: *„ო, ალაჰის მოციქულო [ვიდრე მე მოვექცეოდი ისლამზე], არ იყო ოჯახი დედამიწის ზედაპირზე, რომლის განადგურებასაც მე ვისურვებდი უფრო მეტად, ვიდრე თქვენი ოჯახია. მაგრამ დღეს, არ არის ოჯახი დედამიწის ზედაპირზე, რომელსაც მე ვისურვებდი ყოფილიყო უფრო აღმატებული, ვიდრე თქვენია"* [257,25; 32,2/1003].

---

[90] მუჰამადმა მექელებისაგან ფიცი მიიღო მექის აღების მეორე დღეს [108,162]

[91] ჰინდამ თავი გადაირჩინა უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მიიღო ისლამი.

მექის მცხოვრებთა ფიცი ითვლება თითქმის ერთადერთ შემთხვევად ისლამის ისტორიაში, როცა ქალებმა მასობრივი მონანილეობა მიიღეს საზოგადოებრივ საქმეებში [97,74].

ძირითადად ტრადიციებში მოხსენიებულია ქალთა ინდივიდუალური ფიცი ალაჰის მოციქულთან. საინტერესოა თვით *„ქალთა ფიცის“* ძირითადი პირობების განხილვა. ყურანის კომენტატორები ძალზე ცოტა ინფორმაციას გვანვდიან ამ ფიცის სხვადახსვა მუხლების შესახებ.

ა) *„არა ჰყავს ალაჰს მოზიარე“*[92] – ეს ძირითადად უკავშირდებოდა წინაისლამურ ხანას, როცა თაყვანს სცემდნენ მრავალ ღმერთს და მექის ტრიადა – 3 ქალღმერთი: მანáთ, ალ-ლáთ და ალ-'უზზá გამოცხადდა „ალლáჰის ქალიშვილებად“. ალაჰის შესახებ მუსლიმური კონცეფცია კი მკაცრად და თანამიმდევრულად მონოთეისტურია. ისლამის რწმენის სიმბოლოს თანახმად, „არ არის ღვთაება, გარდა ალაჰისა და მუჰáმმადი მოციქულია ალაჰისა“.

ბ) *„არ მოიპარონ“* – ყურანში ნათქვამია, რომ (5:38) ორივესათვის - ქალისა და მამაკაცისათვის, ქურდობაზე ხელის მოჭრაა დაწესებული. იბნ ჰáნბალთან არის ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ეს სასჯელი დაწესებული იყო მეოთხედი დინარის (და ზევით) ქურდობისათვის [11,VI,36]. ერთ შემთხვევაში მუჰáმადმა ბრძანა ქალისათვის ხელის მოჭრა. იბნ სა'დთან არის ამ გადმოცემის ორი ვერსია. მედინური ვერსიით, ფáტიმა ბინთ ალ-ასვადმა (კურაიშის ტომის მახზუმის გვარიდან) მოიპარა რაღაც ორნამენტები. უსáმა ბ. ზაიდი და სხვები სთხოვდნენ მოციქულს შეწყალებას, მაგრამ მუჰáმადმა განაცხადა: „ეს რომ ყოფილიყო საკუთარი შვილი ფáტიმა, ის სნორედ ამგვარად მოიქცეოდა“[8,VIII,263-264]. მეორე მექის ვერსიაა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ფáტიმა ბინთ ალ-ასვადის ბიძაშვილმა – უმმ 'ამრ ბინთ სუფიáნ ბ. ალ-ასადმა (მახზუმის გვარი) მოიპარა ტყავის ჩანთა „გამოსათხოვარი პილიგრიმობის“ დროს. ის დაიჭირეს და მუჰáმადთან მიიყვანეს განსასჯელად. უმმ სალამასთან[93] ნათესაობის და მისი შუამდგომლობის მიუხედავად, მუჰáმადმა ბრძანა ხელის მოჭრა[94] [8,VIII,264; 174,239].

---

[92] როდესაც მექის აღების დღეს (630) ქალებს მიმართეს – „თაყვანი არ ეცათ არავისათვის, გარდა ალაჰისა“. მათ უპასუხეს, რომ ასეთი მოთხოვნა მამაკაცებისათვის არ ნაუყენებიათ [99,130]. თუმცა ფიცის ტექსტში მამაკაცებისა და ქალებისადმი, არანაირი განსხვავება არ იყო.

[93] მუჰáმადის ერთ-ერთი ცოლი და უმმ 'ამრის დეიდა.

[94] აბუ იუსუფთან არის ასეთი გადმოცემა: ვიღაც ქალმა, კურაიშის ტომიდან, მოციქულის სახლიდან მოიპარა ძვირფასი ხავერდის (კატíფა) გადასაფარებელი. ხმები გავრცელდა, რომ მუჰáმადი აპირებდა მისთვის ხელის მოჭრას.

გ) *„არ იმრუშონ“* – გამოიყენება ტერმინი *ზინა'*, რაც ნიშნავს უკანონო კავშირს მამაკაცსა და ქალს შორის [324, 658]. აქვე მითითებულია – *„არ დახოცონ ბავშვები“*. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს უკანასკნელი მუხლი არ შეიძლებოდა მიმართული ყოფილიყო მედინელი ქალებისადმი, რადგანაც ისინი მკაცრად მისდევდნენ იუდეველთა კანონებს და ჩვეულებებს [203,187]. თუმცა ეს ტრადიცია გავრცელებული იყო მექისა და მედინის მიმდებარე დასახლებებში. არის მოსაზრება, რომ ყურანის შესაბამისი აიები (6:137/38,140/141,151/152; 17:31/33; 60:12) გულისხმობს არა ახალშობილი გოგონების ცოცხლად დამარხვას, არამედ უკანონო კავშირის შედეგად ჩასახული ნაყოფის მოსპობას [108, 260,შენ.83]. ანალოგია ჩანს ქრისტიანულ თხზულებებში, სადაც ნათქვამია, რომ საშინელ სამსჯავროზე დაუბადებელი ბავშვები აღდგებიან და მოხვდებიან სამოთხეში, ხოლო დახოცილები მოითხოვენ მშობლების დასჯას (31:8,9; 17:31, 33). რაღაც კავშირი ნამდვილად არსებობს მრუშობასა და ბავშვების დახოცვას შორის, რადგანაც მუჰამადის ფიცის ტექსტში ერთმანეთის გვერდით არის მოხსენიებული. თუმცა ახალშობილი გოგონების დახოცვა გავრცელებული იყო წარმართობის დროს და მუჰამადმა აკრძალა ეს ჩვეულება [349, 193]. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ყურანში სასჯელი არ არის განსაზღვრული ამ დანაშაულთან დაკავშირებით.

დ) *„მოერიდებიან ცილისწამებას“*[95]. ყურანის კომენტატორთა აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ის ქალები, რომლებიც ცრუობენ საკუთარი შვილების მამის ვინაობის თაობაზე [17,732]. ეს უკავშირდებოდა ნინაისლამური ჩვეულებას, როდესაც ფეხმძიმე ქალი ხელმეორედ თხოვდებოდა (ქმრის სიკვდილის ან გაყრის შემდეგ) ბავშვის დაბადებამდე 'იდდას პირობების შესრულების გარეშე[96] და მეორე ქმარს აცხადებდა ბავშვის მამად [349,194].

ე) *„არ გაუნიონ ურჩობა ალაჰის მოციქულს“* იმაში, რაც არის სწორი (პრაქტიკა). გადმოცემები, რომლებიც ამ მუხლს ეხება, ძირითადად ითვალისწინებს მუჰამადის მიერ დატირების აკრძალვას. გამოყენებულია ტერმინი ნიაჰა. ამ თვალსაზრისს იზიარებენ ყურანის კომენტატორებიც [30,152,შენ. 191; 17,732].

ხალხმა შესთავაზა მას გამოსასყიდის სახით 40 უკიეა (125 გრ.) ვერცხლი, მაგრამ მუჰამადმა იგივე სიტყვები გაიმეორა, რაც ზემოგანხილულ გადმოცემებშია [18, 265-66].

[95] „ცილის დამწამებელ ლაპარაკს ერიდონ“ [15,550].

[96] ისლამმა აკრძალა ეს წესი და ფეხმძიმე ქალს გათხოვება შეუძლია მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ.

იბნ სა'დთან არის გადმოცემა, რომ ანსარმა ქალებმა, ვინც ფიცი დადო მუჰამადთან, ჰკითხეს მას, თუ რას გულისხმობდა ფიცის ბოლო პუნქტი. მან განუმარტა, რომ ეს ნიშნავდა დატირების წესის აკრძალვას [8,VIII,7].[97] ჰადისებში მითითებულია 3 ძირითადი პირობა: ა) *ხმამაღლა არ დაეტირებინათ მიცვალებული* (ამასთან, არ შემოეხიათ ტანსაცმელი, არ დაეკაწრათ სახე, არ გაეშალათ თმები)[98]. უმმ 'ატიია ალ-ანსარიია გადმოგვცემს: „ალაჰის მოციქულმა დაუდო მათ (ქალებს) პირობა ერთგულების ფიცთან ერთად, რომ ისინი (ხმამაღლა) არ დაიტირებდნენ მიცვალებულს. მხოლოდ ხუთმა მათგანმა შეასრულა პირობა – უმმ სულაიმმა, უმმ ალ-'ალა'მ (აბუ საბრას ქალიშვილმა), მუ'აზის ცოლმა, ქალიშვილმა და დედამ" [8,VIII,8; 39,2:393; 53,2:53]. ბ) *ფიცის დადების დროს გამოეყენებინათ ჰინნა'* – შეეღებათ თითები ხნით [349,197,შენ.2]. სავდა ბინთ 'ასამ ბ. ხალიდის (კურაიში) გადმოცემით, ხნა იყო დამცავი საშუალება ცუდი ზეგავლენისაგან. სხვა გადმოცემით, ამით განასხვავებდა მამაკაცის და ქალის ხელს მუჰამადი, რომელიც ფიცის დადების დროს იდგა საფარს მიღმა [32,3/1159,4154]. გ) *არ დაახლოებოდნენ მამაკაცებს, ვინც არ იყო მათი ნათესავი* [315,85, შენ.51; 352,34].

არსებობდა ფიცის დადების გარკვეული წესი:

ა) ხელის ჩამორთმევა[99]. ბ) ხელების ჩაშვება საერთო თასში, რომელიც ჩვეულებრივ წყლით იყო სავსე და რომელშიც თავდაპირველად ხელი ჰქონდა მუჰამადს.

მუჰამადი ქალთაგან ფიცის მიღების დროს ორივე მეთოდს იყენებდა. თუმცა ხელის ჩამორთმევის შემთხვევაში ჰადისები ამტკიცებენ, რომ მუჰამადი იფარავდა ხელს ქსოვილით. იბნ სა'დთან ნათქვამია, რომ მუჰამადმა უარყო ხელის ჩამორთმევა ქალებისათ-

---

[97] გადმოცემით, უმმ 'ატიიამ უთხრა ალაჰის მოციქულს, რომ ერთ-ერთი ტომის წევრები დაეხმარნენ მას (დატირებაში) წინაისლამურ ხანაში და მას ახლა უნდა დაებრუნებინა მათთვის ეს სიკეთე. მოციქულმა ნება დართო, მაგრამ მხოლოდ ამ ტომის წევრებთან მიმართებაში [257,160].

[98] მუჰამადმა აკრძალა განსაკუთრებული გლოვა-ვაება, დაქირავებულ მოტირალთა ინსტიტუტი, შეამცირა ქვრივთათვის ოფიციალური მგლოვიარობის ვადა და სხვ. სუნას მიხედვით, მუჰამადმა საფლავთა თაყვანისცემაც აკრძალა [64,94]. გადმოცემით, მუჰამადი დაიტირეს ცოლებმა და მიმდევარმა ქალებმა [179,69].

[99] გადმოცემით, აქ იგულისხმება საფაკა – ხელის ხელზე დაკვრა და არა ხელის ჩამორთმევა. სწორედ ხელის ხელზე დაკვრის შემდეგ შედიოდა ფიცი ძალაში [18,16].

ვის, ვინც ფიცს დებდა მასთან[100] და რომ მუჰამადი იფარავდა ხელს სამოსით, ვიდრე ხელს ჩამოართმევდა ქალებს[101]. შესაძლოა იმიტომ, რომ ქალებს მიიჩნევდა უწმინდურად გარკვეულ პერიოდში. ერთი ვერსიით, ის ხელს ართმევდა სახლის შიგნიდან ისე, რომ მას არასოდეს დაუნახავს ქალი. ალ-ბუხარის თანახმად, „როცა ალაჰის მოციქული იღებდა მათ სიტყვებს, ის ეუბნებოდა მათ [ქალებს], თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ ახლა, რადგანაც მე მივიღე თქვენი ფიცი. ვფიცავ ალაჰს, ის არასოდეს უყენებდა რაიმე პირობებს ქალებს, გარდა იმისა, რასაც ალაჰი უბრძანებდა მას და როცა ადასტურებდა ფიცს, ეუბნებოდა: მე მივიღე თქვენი ფიცი სიტყვიერად" [40, 3/548]. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როცა 'უმარმა ფიცი მიიღო ქალებისაგან მუჰამადის მითითებით მედინაში ჩასვლისთანავე, ხელის დაფარვა არ არის მოხსენიებული. ამასთან 'უმარი არ იყო უფრო ლიბერალური ქალების მიმართ, ვიდრე თვითონ მუჰამადი. შესაძლებელია, რომ 'აკაბასთან და მედინაშიც ადრეულ წლებში, ქალები, რომლებიც ფიცს დებდნენ ისევე იქცეოდნენ, როგორც მამაკაცები და ისინი ჩვეულებრივ ხელს ართმევდნენ მუჰამადს.

როგორც ჩანს, ქალებმა, ქმრებისა და ოჯახებისაგან დამოუკიდებლად თავიანთი ვალდებულებები აიღეს. ხდებოდა ნინასწარი დაფიცება, რომ შეასრულებდნენ ვალდებულებას – არ ჩაიდენდნენ დანაშაულს და თუ ჩაიდენდნენ, სასჯელი ერთნაირი იქნებოდა ქალებისათვისაც და მამაკაცებისათვისაც. ეს სამართალსაწინააღმდეგო ქმედებები შემდეგ მოხვდა იმ დანაშაულთა რიცხვში, რომლებიც მუსლიმ იურისტთა მიერ კლასიფიცირდება, როგორც ჰუდუდ[102]. რაც შეეხება მორჩილებას ალაჰისადმი, ეს არის უპირობო მორჩილება თემის ლიდერისადმი[103] [351, 29-30].

---

[100] ასმა' ბინთ იაზიდ ალ-ანსარია გადმოგვცემს, რომ ის წავიდა ალაჰის მოციქულთან ქალთა ჯგუფთან ერთად, რათა მიეცა მისთვის ფიცი. მოციქულმა ნაუყენა მათ პირობები. მისმა ძმისშვილმა გაუწოდა ხელი ჩამოსართმევად. ის ატარებდა ოქროს სამაჯურს და ოქროს ბეჭდებს. მოციქულმა უკან განია თავისი ხელი და თქვა: „მე არ ვართმევ ხელს ქალებს" [257,284].

[101] წყაროთა მონაცემებით, 630 წელს, კოლექტიური ფიცის დადების დროს, ქალთა ჯგუფის ხელმძღვანელს ჰინდა ბინთ 'უთბას სურდა ფიცის განმტკიცება მუჰამადის ხელთან შეხებით, მაგრამ მან ჩამოართვა სამოსით დაფარული [5,360].

[102] ჰადდ (მრ.რ. ჰუდუდ) – საზღვარი. ყურანში ნათქვამია: „ეს საზღვრები (ჰუდუდ) დადგენილია ალაჰის მიერ, არ მიუახლოვდეთ მათ იმის შიშით, რომ დაარღვევთ მათ". ეს არის რელიგიური კანონის დარღვევა – სარწმუნოებისაგან განდგომა, ქურდობა, მრუშობა, ყალბი ფიცი, ღვინის სმა, შეიარაღებული გამოსვლა და აჯანყება [25,689;135,141].

[103] ალაჰის მოციქულმა თქვა: „ის, ვინც მემორჩილება მე, ემორჩილება ალაჰს, და ის, ვინც არ მემორჩილება მე, არ ემორჩილება ალაჰს. ის, ვინც ემორჩილება

შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფიცის ტექსტით პირველად იქნა განსაზღვრული ემიგრანტი ქალების (ალ-მუჰაჯირათ) მოქალაქეობრივი სტატუსი მედინის მუსლიმურ თემში. ქალთა ფიცი იყო მუსლიმი ქალის დამოუკიდებლობის დადასტურება. მუჰამადმა, როგორც გამჭრიახმა პოლიტიკოსმა, კარგად გაანალიზა, რომ მუსლიმური თემი უფრო გაძლიერდებოდა ქალთა აქტიური მხარდაჭერით. მუსლიმი ქალების რწმენისადმი ერთგულებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუსლიმური თემის ფორმირებაში. ყურანი გამუდმებით საუბრობს „მუსლიმ მამაკაცებზე" და „მუსლიმ ქალებზე", „მორწმუნე მამაკაცებზე" და „მორწმუნე ქალებზე". რაც შეეხება რელიგიურ ვალდებულებებს, ის ერთნაირი იყო ორივესათვის – ქალებისა და მამაკაცებისათვის.

4. ქალის როლი მუსლიმური თემის რელიგიურ ცხოვრებაში (VII—X სს.)

გადმოცემით, ქალებმა უსაყვედურეს ისლამის ფუძემდებელს – მუჰამადს იმის გამო, რომ ღვთაებრივი ზეშთაგონებები მიმართული იყო მხოლოდ მამაკაცებისადმი, მაშინ როცა ქალებმაც მიიღეს ისლამი და ირწმუნეს მუჰამადის სამოციქულო მისია. ერთ-ერთი ვერსით, მუსლიმური თემის წევრი-ქალები მივიდნენ მუჰამადის ცოლებთან და უთხრეს: „ალაჰი საუბრობს თქვენზე (მოციქულის ცოლებზე) ყურანში, მაგრამ ის არაფერს ამბობს ჩვენზე. ნუთუ არაფერია ჩვენს შესახებ ისეთი, რაც ყურადღებას იმსახურებს? " [14,XXII,10; 285,118-119].

ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, შეკითხვის ავტორი იყო მუჰამადის ერთ-ერთი ცოლი უმმ სალამა[104], რომელმაც ძალიან ნათელი პასუხი მიიღო: ალაჰი საუბრობს თანაბრად ორივე სქესზე, როგორც მორწმუნეებზე და მუსლიმური თემის წევრებზე [8,VIII,20], დააკისრათ მათ ერთნაირი რელიგიური ვალდებულებები და მათი განსჯა მოხდება ერთი და იგივე კრიტერიუმებით, ისე როგორც თანაბარია მათთვის ღვთის ჯილდოც მორჩილებისა და რწმენისათვის. ამის დასადასტურებლად გარდმოვლენილ იქნა ყურანის 33:35 აია: *„ჭეშმარიტად, მუსლიმი მამაკაცები და მუსლიმი ქალები, მორწმუნე მამაკაცები და მორწმუნე ქალები; (ალაჰის)*

მუსლიმთა ხელმძღვანელს, მემორჩილება მე და ის, ვინც არ ემორჩილება მუსლიმთა ხელმძღვანელს, არ მემორჩილება მე" [40, 8/448; 250,134, შენ.9].

[104] (ჰინდა) უმმ სალამა ბინთ აბი უმაიყა. მის ვაჟს ერქვა სალამა და აქედან მიიღო ქუნია – უმმ სალამა [8,VIII,86-96].

მორჩილი მამაკაცები და მორჩილი ქალები, სიმართლის მოყვარული მამაკაცები და სიმართლის მოყვარული ქალები; მომთმენი მამაკაცები და მომთმენი ქალები; ღვთისმოშიში მამაკაცები და ღვთისმოშიში ქალები; მოწყალების გამღები მამაკაცები და მოწყალების გამღები ქალები; მომარხულე მამაკაცები და მომარხულე ქალები; თავიანთ სარცხვენელთა დამცავი მამაკაცები და თავიანთ სარცხვენელთა დამცავი ქალები; მამაკაცები, ვინც ალაჰს მრავალგზის მოიხსენიებს და ქალები, ვინც ალაჰს მრავალგზის მოიხსენიებს – მოუმზადა მათ ალაჰმა პატიება (შენდობა) და დიდი ჯილდო" [105] [22,432].

არის ასეთი გადმოცემაც, რომ მუჰამადთან მივიდნენ ქალები და განუმარტეს, რომ მამაკაცები აღემატებოდნენ მათ მოციქულის ქადაგებათა ცოდნაში და სთხოვეს დაენიშნა სპეციალური დრო მათთვის. მოციქულმა აღუთქვა მათ ერთი დღე რელიგიური მითითებებისათვის[106] და უთხრა: „თქვენი დრო არის მავანის და მავანის სახლში" [40,1/80]. ამგვარად ის მიდიოდა მათთან იმ ადგილზე და ასწავლიდა მათ [175,110-111].

მუჰამადის დროს ქალები მონაწილეობდნენ რელიგიურ ღვთისმსახურებაში. მოციქული მუჰამადი ლოცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისლამზე მოსაქცევად. ლოცვა მუსლიმის 5 ძირითადი მოვალეობიდან ერთ-ერთია. მუსლიმისთვის განსაზღვრული ყოველდღიური სალოცავი ციკლი შედგება ხუთი კანონიკური ლოცვისაგან[107]. ლოცვა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ ადგილზე, მაგრამ პარასკევის შუადღის ლოცვა რეკომენდებულია მეჩეთში. არის უამრავი ჰადისი, რომელშიც საუბარია ლოცვის მნიშვნელობაზე მამაკაცებისა და ქალებისათვის. ალაჰის მოციქულმა თქვა: *„თუ ქალი ასრულებს ყოველდღიურ ხუთჯერად ლოცვას, მარხულობს განსაზღვრულ თვეში [რამადანი], ემორჩილება თავის ქმარს და იცავს თავის უმანკოებას, მაშინ მას ეტყვიან: შედი სამოთხეში, რომელი კარიდანაც შენ გსურს"* [11,VI,29].

---

[105] გადმოცემით, ეს აია მუჰამადმა გაიმეორა 10-ჯერ, რათა ქალებს შეეძინათ ყველა საუკეთესო თვისება.

[106] ქალების ცალკე შეკრებას ძირითადად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. მამაკაცები ჭარბობდნენ მეჩეთში. ისინი ისხდნენ წინა რიგებში, მოციქულთან ახლოს (ქალები კი მამაკაცების უკან) და ამდენად, ქალებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ, რომ მის წინ მსხდარიყვნენ და უკეთ მოესმინათ [40,I/80].

[107] პირველი ლოცვა (ṣალᾶთ ალ-ფაჯრ ან ṣალᾶთ ას-სუბḥ) სრულდება განთიადისას, მზის ამოსელამდე. მეორე (ṣალᾶთ აზ-ზუḥრ) – შუადღისას, მესამე (ṣალᾶთ ალ-'ასṣრ) – შუადღის შემდეგ, საღამოს წინ, მზის ჩასვლამდე. მეოთხე (ṣალᾶთ ალ-მაღრიბ) – მზის ჩასვლის შემდეგ და მეხუთე (ṣალᾶთ ალ- 'იშა') – ღამით, ძილის წინ.

პირველი მუსლიმი ქალი, ვინც წავიდა მეჩეთში და შეასრულა ლოცვა მუჰამადის ხელმძღვანელობით, იყო 'ა'იშა – მუჰამადის მესამე და უსაყვარლესი ცოლი. სნორედ 'ა'იშას გადმოცემით, მორწმუნე ქალები გამოხვეულნი იყვნენ თავიანთ საბურველში [*ჯილბაბ*], ასრულებდნენ განთიადის [*ფაჯრ*] ლოცვას ალაჰის მოციქულთან ერთად, ლოცვის დამთავრების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ და ვერავინ სცნობდა მათ სიბნელის გამო [40,1/522,1/826,2/368].

ალაჰმა ქალებს, მათი მოვალეობების (როგორც დედის და ცოლის) გამო, არჩევანის საშუალება მისცა – ქალს შეეძლო ელოცა სახლში ან წასულიყო მეჩეთში. მოციქული მრავალ ჰადისში ამტკიცებს, რომ საუკეთესო გზა „ცოდვებისაგან გასაწმენდად, მეჩეთში წასვლაა". ამდენად ის ნებას რთავდა ქალებს ელოცათ მასთან ერთად [270,185-186]. ამასთან, მუჰამადი მიუთითებდა თავის მიმდევრებს – თუ ქალი სთხოვდა ქმარს მეჩეთში წასვლის ნებართვას, მას ხელი არ უნდა შეეშალა [40,1/832,1/459,2/10]. მორწმუნე მუსლიმები ნებას აძლევდნენ თავიანთ ცოლებს წასულიყვნენ მეჩეთში მაშინაც კი, როცა ეს მათი სურვილის საწინააღმდეგო იყო. ამას ადასტურებს 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'უმარის[108] გადმოცემა, რომლის თანახმადაც, 'უმარ ბ. ალ-ხატტაბის ერთ-ერთი ცოლი ასრულებდა განთიადის და ღამის ლოცვას მეჩეთში. მას ჰკითხეს: „რატომ დადიხარ [მეჩეთში], როცა იცი, რომ 'უმარს არ მოსწონს ეს და ის ეჭვიანი კაცია? " მან წამოიძახა: „რა შეუშლის მას ხელს, რომ შემაჩეროს მე?" 'აბდ ალ-ლაჰმა და სხვებმა დაიმოწმეს ალაჰის მოციქულის სიტყვები: *„ნუ შეაჩერებთ ალაჰის მსახურ ქალებს, წავიდნენ მეჩეთში"* [40,1/823,2/10; 339,154].

მუჰამადის დროს მეჩეთი სავსე იყო ქალებით. ისინი ლოცულობდნენ მამაკაცებთან ერთად, დილიდან გვიან ღამემდე [8,VIII,37,49; 383,255]. ქალები სავალდებულო ლოცვების გარდა ასრულებდნენ დამატებით ლოცვებსაც (*ნაფილ*). მაგალითად, მოციქულის ცოლი – ზაინაბ ბინთ ჯაჰში ასრულებდა დამატებით ლოცვებს. მან თოკი გააბა მეჩეთის ორ სვეტს შორის და როცა დაღლილობას იგრძნობდა, ეყრდნობოდა მას ენერგიის აღსადგენად. მუჰამადმა აუკრძალა და უთხრა მორწმუნეებს: „ვისაც სურს დამატებითი ლოცვის შესრულება, ილოცოს იმდენ ხანს, ვიდრე აქვს ენერგია და თუ იგრძნობს დაღლილობას – შეწყვიტოს" [53,6/72-

---

[108] 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'უმარი (613-692) – ხალიფა 'უმარ I-ის ვაჟი, ცნობილი მუჰადდისი. ხალიფა 'უსმანის მკვლელობის შემდეგ (656 წ.) იყო ერთ-ერთი კანდიდატი ხალიფას ტახტზე, მაგრამ მან უარი თქვა მონაწილეობა მიეღო 'ალისა და მუ'ავიასა შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

73]. ასეთივე მითითება მისცა მუჰამადმა ბანუ ასადის ქალს — ალ-ჰავლა' ბინთ თუვაითს, როდესაც შეიტყო, რომ ყოველღამე ლოცულობდა და არ იძინებდა [8,VIII,244]. ამასთან, მუჰამადი ხაზს უსვამდა იმას, რომ დამატებითი ლოცვა და მარხვა ქალებს უნდა შეესრულებინათ მხოლოდ ქმრის ნებართვით[109].

საინტერესოა, როგორი იყო ქალების როლი მეჩეთში? ისინი სწავლობდნენ ისლამის რელიგიური მოძღვრების ძირითად პრინციპებს უშუალოდ მოციქულისაგან[110]. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, უმმ ჰიშამ ბინთ ჰარისა ბ. ალ-ნუ'მანმა[111] თქვა: „მე არასოდეს მისნავლია *კაფ* (50-ე) სურა, თუ არა თვით მოციქულისაგან. ის წარმოთქვამდა მას მინბარიდან[112] ყოველ პარასკევს, როდესაც მიმართავდა ხალხს" [8,VIII,442]. უმმ ჰუბაიდა ხავლა ბინთ კაის ალ-ჯაპნია უსმენდა ალაპის მოციქულის ქადაგებას პარასკევს, როცა იდგა ქალების უკან. ის ისმენდა სურა *„კაფ"*-ის დამოწმებას მინბარიდან [8,VIII,295-96]. ამავე აზრს გამოთქვამდა 'ამრა ბინთ 'აბდ არ-რაჰმანი სურა *„კაფ"*-ის შესწავლასთან დაკავშირებით [53,6/160]. მოციქულის ბიძაშვილი – უმმ ჰანი' გადმოგვცემს: „მე ვუსმენდი მოციქულის მიერ ყურანის რეჩიტატივს ღამის განმავლობაში, როცა მე ვიყავი სახლის სახურავზე" [257,41].

მეჩეთში კოლექტიური ლოცვის დროს ქალები იდგნენ მამაკაცების უკან. ფატიმა ბინთ კაისის[113] გადმოცემით, „ხალხს უხმეს

---

[109] გადმოცემით, საფვან ბ. მუ'ათალის (მუჰამადის მიმდევარი, გარდ. 19/640 წ.) ცოლი მივიდა ალაპის მოციქულთან და უთხრა, რომ ქმარი უხეშად ექცევა ლოცვის გამო, ამასთან შეანყვეტინა მარხვა. საფვანიც მასთან ერთად იყო და აუხსნა მოციქულს, რომ ყოველი კანონიკური ლოცვის შესრულებისას, მისი ცოლი წარმოთქვამდა 2 გრძელ სურას. ალაპის მოციქულმა უთხრა საფვანის ცოლს: „ერთი სურის დამოწმება საკმარისია". შემდეგ საფვანმა განუმარტა, რომ მისი ცოლი ხშირად ასრულებდა ნებაყოფლობით მარხვებს. ამაზე მოციქულმა განუცხადა: „ცოლმა არ უნდა შეასრულოს ნებაყოფლობითი მარხვა თავისი ქმრის თანხმობის გარეშე" [257,485-486].

[110] უმმ ჰუბაიდას გადმოცემით, მოციქულის დროს, ასევე აბუ ბაქრის და 'უმარის ხალიფობის დასანყისში, ქალები გარკვეულ სამუშაოს ასრულებდნენ მეჩეთში. ზოგჯერ ისინი მატყლს რთავდნენ, უელიდნენ პალმის ხეებს და სხვ. [257,471].

[111] მუჰამადის მიმდევარი ქალი (ხაზრაჯის ტომიდან). მუჰამადი მედინაში გადასვლის შემდეგ, ვიდრე ააშენებდა სახლს და მეჩეთს, ერთი წელი ცხოვრობდა უმმ ჰიშამის სახლში. უმმ ჰიშამის გადმოცემით, მოციქულმა გაანათლა მათი ოჯახი [8,VIII,442].

[112] მინბარი (მიმბარ) – კათედრა საკრებულო მეჩეთში, საიდანაც პარასკეობით სრულდება ხუტბა (ქადაგება).

[113] მუჰამადის მიმდევარი ქალი (კურაიში). მან ადრე მიიღო ისლამი მექაში და შეასრულა ჰიჯრა მედინაში [8,VIII,273].

სალოცავად. ამგვარად, მეც წავედი სხვებთან ერთად მეჩეთში და შევასრულე ლოცვა ალაჰის მოციქულთან ერთად. მე ვიყავი ქალების პირველ რიგში, რომელიც იყო მამაკაცების რიგის უკან" [53,18/84]. ამასთან, ქალებს მამაკაცებზე ადრე უნდა დაეტოვებინათ მეჩეთი, როცა ლოცვა დასრულდებოდა თასლიმით[114]" [32,2/196]. ჰინდა ბინთ ალ-ჰარისი გადმოგვცემს უმმ სალამასაგან: *„როდესაც სავალდებულო ლოცვა დასრულდებოდა, ქალები დგებოდნენ [რათა დაეტოვებინათ მეჩეთი], ხოლო ალაჰის მოციქული და მამაკაცები, ვინც მასთან ერთად იყო, რჩებოდნენ იმდენ ხანს, ვიდრე ალაჰი ამას მოისურვებდა. შემდეგ ალაჰის მოციქული დგებოდა [რათა დაეტოვებინა მეჩეთი] და მამაკაცებიც დგებოდნენ მასთან ერთად"* [59,93;40,2/439,1/825-829,1/ 443]. მეჩეთში ერთი ჭიშკარი სპეციალურად ქალებისთვის იყო განკუთვნილი [32,2/17,53;352,35;143,150]. მოციქულს ეკუთვნის სიტყვები: *„საუკეთესო რიგები მამაკაცებისათვის არის პირველი რიგი და უარესი – ბოლო რიგი. საუკეთესო რიგები ქალებისთვის არის უკანასკნელი და ყველაზე ცუდი – პირველი [მამაკაცების უკან]"*[115] [53,4/159].

გადმოცემით, მოციქული ამოკლებდა ლოცვას, როცა გაიგებდა ბავშვის ტირილს, რადგან კარგად იცოდა, რას გრძნობდა ბავშვის დედა ამ დროს [40,1/675,1/382; 315,55; 280,390].

მოციქული ნებას რთავდა ქალებს ლოცვა შეესრულებინათ კოლექტიურად მეჩეთში. მაგალითად, ჯუვაირიია ბინთ ალ-ჰარისი – მოციქულის ერთ-ერთი ცოლი, ლოცულობდა მეჩეთში განთიადიდან შუადღემდე [8,VIII,119; 348, 302]. თუმცა ჰადისებში აღნერილია ორი შემთხვევა, სადაც მუჰამადი გამოხატავს აზრს, რომ საუკეთესო ადგილი ქალებისათვის ლოცვის შესასრულებლად არის მათი საკუთარი სახლი[116] [8,VIII,477]. ეს გადმოცემები ეკუთვნის უმმ სალამას და უმმ ჰამიდ ას-სა'იდიიას.[117] ამ უკანასკნელმა გამოთქვა სურვილი ელოცა მოციქულთან ერთად. მუჰამადმა უპასუ-

---

[114] მისალმება – „მშვიდობა თქვენ და მადლობა ალაჰს".

[115] განსაკუთრებით გაიზარდა ქალების რიცხვი მეჩეთში აბასიანთა (ალ-'აბბასიუნ, 750-1258) დროს. ისინი ავსებდნენ მეჩეთის ეზოს და მამაკაცებს, რომლებიც გვიან მიდიოდნენ მეჩეთში, სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, ვიდრე ლოცვა ქალების უკან. ცნობილმა ფაკიჰმა, მუჰადდისმა, მალიქიტების საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის დამაარსებელმა – მალიქ ბ. ანასმა (731-795) ასეთი ლოცვა ბათილად გამოაცხადა [397].

[116] მოციქულს ეკუთვნის აგრეთვე სიტყვები: „არ შეაჩეროთ ქალები წავიდნენ მეჩეთში, თუმცა მათი სახლი არის საუკეთესო მათთვის (ლოცვის შესასრულებლად)" [348,302-303].

[117] უმმ ჰამიდ ალ-სა'იდიია იგივე ქაბშა (ქუბაიშა) ბინთ 'აბდ 'ამრი – ანსარი ქალი (ხაზრაჯის ტომი, სა'იდის გვარი) [8,VIII,374].

ხა: *„საუკეთესო ადგილი მლოცველი ქალებისათვის არის მათი სახლი"* [8,VIII,374]. მუჰამადის ამ განცხადებას ხსნიან იმ ფაქტით, რომ უმმ ჰ̱ამ̱იდი ძალზე მოხუცი იყო და არ შეეძლო დიდი მანძილის გავლა მოციქულის მეჩეთამდე [8,VIII,374; 348,303;11,VI,371].

აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა თუ არა საპარასკევო ღვთისმსახურება ქალებს შეესრულებინათ მეჩეთში. ეს ინფორმაცია დაცულია იმ გადმოცემებში, რომელიც უკავშირდება უმმ 'ატ̱ი̱ას. ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „როცა მოციქული ჩავიდა მედინაში, მან გაგზავნა 'უმარი ანს̱ა̱რთა სახლებში, რათა ფიცი მიეღო მათგან. უმმ 'ატ̱ი̱ა ა̱გრძელებს: „ჩვენ გვიბრძანეს გაგვეკეთებინა ეს, როცა გვიკრძალავენ სხვა დანარჩენს საპარასკევო ლოცვის ჩათვლით" [8,VIII,7]. ეს არ მიუთითებს, რომ უშუალოდ 'უმარ ბ. ალ-ხატ̱ტ̱ა̱ბი იყო ამ ბრძანების ინიციატორი, თუმცა, ის ნინააღმდეგი იყო ქალებს მონაწილეობა მიეღოთ პარასკევის ლოცვაში და საერთოდ მრავალი ღონისძიება უკავშირდება 'უმარს თავისი ხალიფობის პერიოდში, რათა შეეზღუდა ქალთა თავისუფალი გამოჩენა მეჩეთში. აღნიშნულია, რომ 'უმარმა დანიშნა სპეციალურად ქალებისათვის ყურანის მკითხველი საპარასკევო ღვთისმსახურების დროს [58,I,2649]. ალ-ბუხ̱ა̱რ̱ის თანახმად, „ქალები არ ლოცულობდნენ პარასკევს – მუსლიმთა საზოგადო ლოცვის დღეს და ამიტომაც ისინი არ ასრულებდნენ რიტუალურ განბანვას [ღუსლ[118]] ამ უმნიშვნელოვანესი ლოცვის წინ, როგორც მამაკაცები ასრულებდნენ" [40,2/161]. თუმცა იმავე ალ-ბუხ̱ა̱რ̱ისთან დაცული ერთ-ერთი გადმოცემით, მოციქული ასნავლიდა მუსლიმებს, რომ პარასკევის ლოცვის დაწყებამდე, ორივეს – ქალებსაც და მამაკაცებსაც უნდა შეესრულებინათ სრული განბანვა [40,2/357]. ამასთან მოციქული მიუთითებდა, რომ ქალები არ უნდა გამხდარიყვნენ არეულობის, ქაოსის მიზეზი. ერთ-ერთი გადმოცემით, ქალს მეჩეთისაკენ მიმავალ გზაზე თავს დაესხა მამაკაცი სიბნელეში, დილით ადრე. მან გამვლელებს მოუხმო დასახმარებლად, მაგრამ თავდამსხმელი გაიქცა და შეიპყრეს ის, ვინც პირველი მივიდა დასახმარებლად. ქალმა კი განაცხადა: ეს ის არის, ვინც თავს დამესხა. შემდეგ ის მიიყვანეს მოციქულთან. მამაკაცი აცხადებდა, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ ქალმა კვლავ დაადანაშაულა ის. ალაჰის მოციქულმა თქვა: „ნაიყვანეთ და ჩაქოლეთ!" მაშინ ერთი მამაკაცი ადგა და თქვა: „არ ჩაქოლოთ! მე ჩამქოლეთ,

---

118 რიტუალური განბანვის გზით სრული განწმენდის აქტი. სავალდებულოა სხვადასხვა სახის დაბინძურების (ჯანაბა), მონანიებისა და ცოდვების გამოსყიდვის მიზნით შესრულებული აქტების შემდეგ, აგრეთვე დღესასწაულების, მარხვის, პარასკევის ლოცვის, ქორწინებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების წინ.

რადგან მე ვარ ის, ვინც ეს [დანაშაული] ჩაიდინა". ახლა ალაჰის მოციქულის წინ სამი ადამიანი იდგა: ვინც თავს დაესხა ქალს, ვინც გამოეხმაურა მას დასახმარებლად და თვითონ ქალი. მოციქულმა უთხრა თავდამსხმელს: „ალაჰი შეგინდობს" და სამადლობელი სიტყვები უთხრა მას, ვინც დაეხმარა ქალს. მაგრამ ამის შემდეგაც მოციქულს არ აუკრძალავს ქალებისათვის მეჩეთში ნასვლა [40,3/273]. სწორედ ამ საბაბით, მოციქულის სიკვდილის შემდეგ, ხალიფა 'უმარმა აუკრძალა ქალებს მეჩეთში გამოჩენა. ქალები მივიდნენ საყვედურით 'ა'იშასთან და განუცხადეს, რომ თვითონ ალაჰის მოციქული ნებას რთავდა მათ მეჩეთში შეესრულებინათ ლოცვა. 'ა'იშამ უპასუხა: „მუჰამადის სიცოცხლეში რომ ყოფილიყო ის ჩვევები და მანერები, რაც შეიძინეს ქალებმა მოციქულის სიკვდილის შემდეგ, ისიც აგრეთვე აუკრძალავდა მათ", ან „თუ ალაჰის მოციქულს ეცოდინებოდა ის, რაც 'უმარმა იცის, ის არ დაგაჯილდოვებდათ ნებართვით – წასულიყავით [მეჩეთში]" [257, 252]. 'უმარმა სპეციალური დრო გამოყო ქალებისათვის ლოცვის შესასრულებლად [8,VIII,297].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰადისებში ხაზგასმულია უამრავი ფაქტი, როცა ქალები ესწრებოდნენ არა მარტო პარასკევის ლოცვას, არამედ სადღესასწაულო ლოცვებსაც [6,13:15,20]. მუჰამადი ნებას რთავდა ქალებს მისულიყვნენ მეჩეთში ორი დიდი მუსლიმური დღესასწაულის[119] დროს და მოესმინათ ხუტბა რიტუალურად უწმინდურ მდგომარეობაშიც[120] კი. ოღონდ ასეთ შემთხვევაში, მათ უნდა შეესრულებინათ მხოლოდ თაქბირები[121] [40,1/353]. მოციქულს სურდა, რომ ქალებს მონაწილეობა მიეღოთ მუსლიმური საზოგადოების მშენებლობაში და ხუტბის ნაწილს ის უძღვნიდა ქალებს. მუჰამადი მიდიოდა იმ ადგილას, სადაც ქალები იყვნენ შეკრებილი და მოუწოდებდა, არწმუნებდა მათ. ეს მოციქულმა

---

[119] 1.'იდ ალ-ადჰა – მსხვერპლშეწირვის დღესასწაული (იწყება მექაში პილიგრიმობის ბოლო დღეს – ზუ ლ-ჰიჯას 10 რიცხვში და გრძელდება მომდევნო სამი დღე) და 2. 'იდ ალ-ფიტრ – გახსნილების დღესასწაული (უკავშირდება რამადანის თვეში მარხვის დასრულებას, იწყება 1 შავვალს და გრძელდება სამი-ოთხი დღე).

[120] ამ დროს ისინი ჩადრში უნდა ყოფილიყვნენ გამოხვეული [11,VI,96, 150,218,238; 337,35].

[121] თაქბირ – ლოცვის ფორმულის „ალლაჰუ აქბარ" (ალაჰი დიდია) წარმოთქმა. ალ-ბუხარის თანახმად, ქალები მამაკაცებთან ერთად წარმოთქვამდნენ „ალლაჰუ აქბარ" 3 დღის მანძილზე 'იდ ალ-ადჰას დღესასწაულის შემდეგ და ასე გრძელდებოდა 'უმარ II ბ. 'აბდ ალ-'აზიზის (717-720) მმართველობამდე [6,13:12].

იმამის[122] მოვალეობად აქცია. ერთ-ერთი გადმოცემით, როდესაც ალაჰის მოციქულმა დაასრულა ხუტბა, ის მივიდა ქალებთან, ესაუბრა მათ და ქალებმა თავიანთი სურვილისამებრ გაიღეს მოწყალება [40, 2/466, 4/895].

არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის მიხედვით, ქალებს ეკრძალებოდათ ლოცვა საკრებულო მეჩეთში კოლექტიურად და ამის შემდეგ მეჩეთში ლოცვაზე დასწრება გახდა მამაკაცის პრეროგატივა [58,I,1054]. ალ-ბუხარის ჰადისების კრებულში, რომელიც შედგენილია მოციქულის გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ, ჩვენ ვპოულობთ მუჰამადის ცნობილ გამონათქვამს: *„არ არის აკრძალული ალაჰის მეჩეთი ალაჰის [მსახური] ქალებისათვის"* [383,255]. ნახევარი საუკუნის შემდეგ, ან-ნასა'ი (გარდ. 915 წ.) ჰადისების კრებულში – *„ას-სუნან"* (თავში – „ალ-მასჯიდ") საუბრობს მამაკაცების და ქალების განცალკევებულ რიგებზე – როგორ უნდა ყოფილიყო განლაგებული, როგორი უნდა ყოფილიყო მათ შორის დაშორება. ეს გულისხმობდა არა აკრძალვას, არამედ ორი სქესის შეთავსებას მეჩეთში. ჰანბალიტი იმამი, *იბნ ალ-ჯაზი* (გარდ. 597/1201) თავის წიგნში 24-ე თავს უძღვნის *„ქალთა საპარასკევო ღვთისმსახურებას"* და აღნიშნავს, რომ ის დაშვებულია ჰადისებით [284,81]. თუმცა ის ასკვნის, რომ პარასკევის ლოცვა არ არის ქალების მოვალეობა[123]. მაგრამ მოციქულის ბიოგრაფია (სირა) ადასტურებს, რომ ის ყოველთვის თავის ცოლებთან ერთად ასრულებდა 2 ყველაზე მნიშვნელოვან ვალდებულებას ისლამში – ლოცვა და საღვთო ომის წარმოება.

ქალთა რელიგიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ყველაზე სადავო საკითხს წარმოადგენდა ქალის მიერ რელიგიური თანამდებობის დაკავების, ანუ რელიგიური ლიდერის როლის შესრულების შესაძლებლობა, უფრო ზუსტად, შეიძლებოდა თუ არა ის გამხდარიყო მუეძინი[124], იმამი, იმამი-ხატიბი და სხვ.

სიტყვა იმამი, რა მნიშვნელობითაც ის ყურანში იხმარება, აღნიშნავს წინამძღოლს, ხელმძღვანელობის წყაროს [2:124], რაც გულისხმობს არა მარტო ლოცვის, არამედ, ზოგადად, ხალხის ხელმძღვანელობას. მუსლიმური თემის მეთაურმა უნდა უხელმძღვანელოს ხალხს ისლამის მოძღვრების ძირითადი პრინციპებიდან გა-

---

[122] ლოცვის ხელმძღვანელი.

[123] არსებობს საეჭვო ჰადისიც – „პარასკევის ღვთისმსახურება ყველა მუსლიმის ვალდებულებაა, ოთხი გამონაკლისის გარდა. ესენია: მონები, ქალები, ბავშვები და ავადმყოფები" [284,82].

[124] მუ'აზზინ („გამომცხადებელი", „მომწოდებელი", ქართულში მუეძინი) – პიროვნება, რომელიც მეჩეთის მინარეთიდან მორწმუნეებს ამცნობს, რომ დადგა ლოცვის დრო და მოუწოდებს სალოცავად.

მომდინარე, თუმცა აუცილებელი არაა თვითონ იყოს ლოცვის ხელმძღვანელი. მას შეუძლია ეს უფლება სხვას გადასცეს. თავდაპირველად მუსლიმურ თემში იმამის, როგორც ლოცვის წარმმართველის ფუნქციებს, თვითონ მუჰამადი ასრულებდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი – ხალიფა.

ჰადისებში მოცემულია ის კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს იმამი – ლოცვის წარმმართველი. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, მუჰამადმა თქვა: „ხალხის იმამი საზოგადო ლოცვის დროს უნდა იყოს ის, ვინც ყველაზე უკეთესად იცის ყურანი. თუ ისინი თანაბარი არიან გამოცხადებათა ცოდნაში, მაშინ ის, ვინც სუნას საუკეთესო მცოდნეა. თუ მათ აქვთ სუნას თანაბარი ცოდნა, მაშინ ის, ვინც უფრო ადრე შეასრულა ჰიჯრა. თუ ამაშიც თანაბარი არიან, მაშინ ის, ვინც უხუცესია" [53,5/289-90; 408]. არის კიდევ დამატებითი მინიშნებები, რომ ის უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ზნეობით, ღვთისმოსაობით და სხვ. [52,1-62]. მდედრობითი სქესი არსად არაა მითითებული, როგორც კრიტერიუმი. პირიქით, აღნიშნულია, რომ უმჯობესია ქალმა უხელმძღვანელოს ქალთა ლოცვას. ამავე აზრის იყო აშ-შაფი', სამართლისმცოდნე-მუჰადდისი, შაფი'იტების მაზჰაბის ხელმძღვანელი. ის დარწმუნებული იყო, რომ ქალს შეეძლო ეხელმძღვანელა სხვა ქალებისათვის ლოცვის დროს. ასევე ატ-ტაბარიც თვლიდა, რომ ქალს შეუძლია უხელმძღვანელოს მამაკაცებსაც და ქალებსაც ლოცვის დროს [284,33; 290,395]. ალ-მავარდის თანახმად, იმამი – ლოცვის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს ქალი, ჰერმაფროდიტი, მუნჯი ან ენაჩლუნგი. ასეთ შემთხვევაში ლოცვა ძალადაკარგულად ითვლება [51,213; 314,112-114].

წყაროებში მოხსენიებულია ერთადერთი შემთხვევა, როცა ქალმა შეასრულა იმამის როლი როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის, ოღონდ მხოლოდ თავისი ოჯახის (დარ) წევრებისათვის[125]. ეს იყო ხაზრაჯის ტომის ანსარი ქალი – უმმ ვარაკა ბინთ 'აბდ ალ-ლაჰ.[126] მან ზეპირად იცოდა ყურანი და მოციქულმა ნება დართო ყოფილიყო იმამი თავისი ოჯახისა, რომელიც იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ მუჰამადმა უმმ ვარაკას დაუნიშნა საკუთარი მუეძინი, რათა მოეწოდებინა ლოცვისაკენ [8,VIII,457].

---

[125] აქ არის გამოყენებული არაბ. სიტყვა — აპლ. ეს იმას ნიშნავს, რომ სამლოცველო შეკრებას ესწრებოდნენ მამაკაცებიც და ქალებიც.

[126] მუჰამადის ადრეული მიმდევარი ქალი. მას ჰყავდა ერთი მონა და მოსამსახურე, რომელთაც აღუთქვა თავისუფლება თავისი სიკვდილის შემდეგ. ერთ ღამეს, ხალიფა 'უმარის მმართველობის დროს, მათ მოკლეს უმმ ვარაკა და გაიქცნენ. ისინი დაიჭირეს და თავი მოკვეთეს. ეს იყო სიკვდილით დასჯის პირველი შემთხვევა მედინაში [8,VIII,457].

ქალის მიერ მლოცველთა შერეული ჯგუფის ხელმძღვანელობა უნიკალური შემთხვევა იყო ისლამის ისტორიაში[127]. ამ მოვალეობას ასრულებდა უმმ ვარაკა იქამდე, ვიდრე არ მოკლეს 'უმარის ხალიფობის დროს [11,VI,504].

ჰადისებში განხილულია რამდენიმე მაგალითი, სადაც ქალი არის იმამი მხოლოდ თავისი ოჯახის წევრი ქალებისათვის. ყველაზე საინტერესო გადმოცემა უკაშირდება უმმ სალამას. ამ გადმოცემამ ჩვენამდე მოაღწია შიიტი იურისტის ზაიდ ბ. 'ალისაგან[128], რომლის თანახმადაც, მუჰამადმა და 'ალი ბ. აბი ტალიბმა ერთ დღეს მოინახულეს უმმ სალამა და დაინახეს ქალთა ჯგუფი ლოცულობდა მის უკან. მოციქულმა ჰკითხა, იყო თუ არა ის იმამი მათთვის. უმმ სალამას გაუკვირდა მოციქულის ნათქვამი და ჰკითხა: „ო, ალაჰის მოციქულო, მერე ეს სწორია და სამართლიანი?" მოციქულმა მიუთითა უმმ სალამას დამდგარიყო მათ შუაში იმგვარად, რომ ქალები არ ყოფილიყვნენ არც მის უკან და არც წინ, არამედ მის მარჯნივ და მარცხნივ [8,VIII,484; 348,299; 175,112-113]. არ არის ცნობილი, ეს შემთხვევა მოხდა უმმ სალამაზე მუჰამადის ქორწინებამდე, თუ ამის შემდეგ. უმმ სალამას გაკვირვება მუჰამადის ნებართვაზე იმაზე მიუთითებს, რომ ეს ახალი იდეა იყო და უმმ სალამასათვის, როგორც მუსლიმური თემის ჩვეულებრივი წევრისათვის, ან ალაჰის მოციქულის ცოლისათვის, უცხო იყო უმმ ვარაკას მაგალითი. ეს უნდა მომხდარიყო მედინაში ადრეულ წლებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მუჰამადი მზად იყო, თუ საშუალება მიეცემოდა, შესაძლებლობის ფარგლებში მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რაც ქალის და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას განაპირობებდა.

ყოველ შემთხვევაში მუჰამადმა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აღიარა ქალთა უფლება – დასწრებოდნენ მეჩეთში ღვთისმსახურებას მცირეოდენი შეზღუდვებით: სათანადოდ უნდა ჩაეცვათ[129]; ლოცვის დროს არ აენიათ თავი მანამდე, ვიდრე თვითონ

---

[127] მუჰამადმა მიუთითა ქალებს, რომ არ შეესრულებინათ ლოცვა რიტუალურად უწმინდურ მდგომარეობაში. შესაბამისად, ამ დროს ისინი არ უნდა მისულიყვნენ მეჩეთში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შემდგომში სწორედ ეს არგუმენტი გახდა იმ განცხადების საფუძველი, რომ ქალი არ შეიძლება იყოს იმამი და უხელმძღვანელოს მლოცველებს [337,29].

[128] ზაიდ ბ. 'ალი ბ. ალ- ჰუსაინი – შიიტთა მეხუთე იმამის, მუჰამმად ალ-ბაქირის (გარდ. 732) ძმა. გარდაიცვალა 122/740 წელს ქუფაში. მის მომხრეებს ზაიდიტები ეწოდათ.

[129] 'ა'იშას გადმოცემით, ქალები, რომლებიც ლოცვას შეასრულებდნენ უნდა სცმოდათ სამი სახის ტანსაცმელი: ქალის პერანგი [დარა'ა], საბურველი

იმᾱმი არ აწევდა (თავს)[130]; ქალებს მეჩეთი უნდა დაეტოვებინათ მამაკაცებზე ადრე; ღამის ლოცვაზე ქალები მეჩეთში უნდა მისულიყვნენ სუნამოს გარეშე[131] [53,4/163,893]; ვინც უხელმძღვანელებდა ქალთა კოლექტიურ ლოცვას, უნდა მდგარიყო პირველი რიგის შუაში და არა მათ წინ, ხოლო ქალებს არ უნდა გაემეორებინათ აზᾱნი და იკᾱმა (მოწოდება ლოცვისაკენ). გადმოცემით, ასე იქცეოდა ალაᾱის მოციქულის ცოლი, როცა ხელმძღვანელობდა ქალთა ლოცვას.[132]

მუჰᾱმადის გარდაცვალების შემდეგ გახალიფდა აბᾱ ბაქრი, თუმცა მისი ხალიფობა (632-634) იმდენად ხანმოკლე იყო, რომ არ მომხდარა არანაირი ცვლილება მუსლიმი ქალის რელიგიურ სტატუსთან დაკავშირებით. გადმოცემით, უმმ ვარაკა აგრძელებდა იმᾱმის მოვალეობის შესრულებას. 'ᾱ'იშა და უმმ სალამა ხელმძღვანელობდნენ ქალთა ლოცვას. ძნელია დარწმუნებით ითქვას, რომ ეს იყო მედინის მუსლიმური თემის ყველა ქალის თავშეყრა. შესაძლებელია, ისინი იყვნენ მხოლოდ მუჰᾱმადის ქვრივები და მათი მოსამსახურეები ან ქალები, რომლებიც მათ მახლობლად ცხოვრობდნენ. გადმოცემა უკავშირდება ნᾱ'ილა ბინთ ალ-ფარᾱფიṣას[133], რომელიც იყო 'უსმᾱნის ცოლი და ის იქვე ახლოს ცხოვრობდა მოციქულის მეჩეთთან [293,228]. ხოლო მოციქულის ცოლების სახლები ესაზღვრებოდა მეჩეთს. ისიც ფაქტია, რომ მუჰᾱმადის ქვრივები („*მორწმუნეთა დედები*") ცხოვრობდნენ მეტნაკლებ იზოლაციაში მისი გარდაცვალების შემდეგ. გადმოცემის თანახმად, ამ კოლექტიურ ლოცვაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ 'ᾱ'იშა და უმმ

[ჯილბᾱბ] და თავსაბურავი, მოსასხამი მთელი სხეულისა და თავისათვის [ხიმᾱრ] [8,VIII,71].

[130] გადმოცემით, ქალებს უთხრეს: „არ აწიოთ თავი იქამდე, ვიდრე მამაკაცები არ გადავლენ მიწაზე გართხმულიდან მჯდომარე პოზიციაში" [40,2/171; 59,2].

[131] ზაინაბ ბინთ აბᾱ მუ'ᾱვია ას-საკაფიიას გადმოცემით, ალაᾱის მოციქულმა უთხრა 'აბდ ალ-ლᾱჰ ბ. მას'ᾱუდის ცოლს: „როცა თქვენ მიდიხართ ღამის ლოცვაზე, არ იხმაროთ სუნამო"[8,VIII,290].

[132] აქ საუბარია მუჰᾱმადის ცოლზე – უმმ სალამაზე. იბნ სა'დთან არის ჰუჯაირას გადმოცემა [8,VIII,484], სადაც ის აღნიშნავს, რომ უმმ სალამა ხელმძღვანელობდა შუადღის შემდეგ ლოცვას ('ᾱṣრ).

[133] ის ეკუთვნოდა ქალების ტომს და იყო ქრისტიანი. ისლამი მიიღო მხოლოდ 'უსმᾱნზე გათხოვების შემდეგ. მათი ქორწინება კი მოხდა ჰიჯრის 28/649 წელს. მეორე გადმოცემა უკავშირდება რაიტა ალ-ჰᾱნიფიიას, რომლის შესახებაც ინფორმაცია არა გვაქვს. მაგრამ ეს ქალები მიეკუთვნებოდნენ ჰადისების გადამცემთა მეორე თაობას, რომლებიც გადმოგვცემდნენ არა მუჰᾱმადისაგან, არამედ 'ᾱ'იშასაგან. აქედან გამომდინარე, ეს ამბავი უნდა განეკუთვნებოდეს სწორედ მუჰᾱმადის გარდაცვალების შემდგომ ხანას [8,VIII,483].

სალამა, მონაწილეობდა ნა'ილაც. ამდენად, შესაძლებელია ეს კოლექტიური ლოცვა განკუთვნილი იყო მხოლოდ მათი წრის ქალებისათვის. აღნიშნულია აგრეთვე, რომ მედინას ალყის დროს[134] ფატიმა – მუჰამადის ქალიშვილი ხელმძღვანელობდა ქალთა ლოცვას თავის ბანაკში და იმ ადგილზე აშენდა ფატიმას მეჩეთი [395].

რაც შეეხება ხალიფა 'უმარის მმართველობის პერიოდს, მას გარკვეული შეზღუდვები მიენერება ქალებთან მიმართებაში. 'უმარს სურდა აეკრძალა ქალთა დასწრება საზოგადო ლოცვაზე მეჩეთში, მაგრამ წინააღმდეგობას ნაანყდა თავისი ცოლის[135] და ვაჟის 'აბდ ალ-ლაჰის მხრიდან. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, 'უმარმა ან მისმა შვილიშვილებმა – ბილალმა და სალამმა, რომელთაც არ მოსწონდათ ქალების გამოჩენა მეჩეთში, აუკრძალეს თავიანთ ცოლებს მეჩეთში წასვლა, მაგრამ 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'უმარი არ დაეთანხმა მათ. ხალიფა 'უმარმა განაცალკევა ქალები[136] და მამაკაცები და თითოეულს ცალკე იმამი დაუნიშნა. ქალების იმამი გახდა სულაიმან ბ. ჰასმა, რომელსაც ჰქონდა ქალთათვის ცალკე ღვთისმსახურება. მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ის იყო ქალების იმამი რამადანის თვეში 'უმარის ხალიფობის დროს [8,V,26]. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ 'ა'იშა არ იყო იმამი მთელი მუსლიმური თემის ქალებისათვის ან ამ მოვალეობის შესრულება კონკრეტულ დროს, 'უმარის ხალიფობაში გადასცა სულაიმანს. თუმცა 'უმარის დროს 'ა'იშა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა.

ხალიფა 'უსმანის დროს (644-656) ქალებმა დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები. მან გააუქმა 'უმარის დადგენილება განცალკევებულ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებით. მისი ხალიფობის დროს ქალები და მამაკაცები ერთად ასრულებდნენ საზოგადო ლოცვას, ოღონდ ისინი იდგნენ ცალკე რიგში, მამაკაცების უკან ან მეჩეთში სპეციალურად მათთვის გამოყოფილ ადგილას [8,V,27; 352,35; 272,131].

---

[134] ის ისტორიაში შევიდა, როგორც ხანდაკის ბრძოლა (5/626-627ნ.).

[135] ეს არის 'ათიქა ბინთ 'ამრ, რომელიც იყო ჯერ 'აბდ ალ-ლაჰ ბ. აბუ ბაქრის, ხოლო შემდეგ ხალიფა 'უმარის ცოლი. 'ათიქამ სთხოვა ნებართვა 'უმარს, წასულიყო მეჩეთში. მართალია, 'უმარის სურდა სახლში დარჩენილიყო, მაგრამ 'ათიქა არ დაემორჩილა [8,VIII,267]. 'უმარის გარდაცვალების შემდეგ, 'ათიქა გათხოვდა ზუბაირ ბ. ალ-'ავვამზე იმ პირობით, რომ ის ნებას დართავდა გაეგრძელებინა მეჩეთში სიარული. მან ნება დართო, მაგრამ 'ათიქას ერთხელ უხეშად მოექცნენ და ის თვითონვე ამჯობინებდა სახლში ლოცვას [185,60; 179,88; 337,31].

[136] უმმ ს̣უბაიიას გადმოცემით, ქალები 'უმარის დროს მეჩეთში დადიოდნენ მათთვის განსაზღვრულ დროს [8,VIII,296; 257,471].

რაც შეეხება შედარებით მოგვიანო პერიოდს, ერთადერთი შემთხვევაა მოტანილი წყაროებში, ჰიჯრის 77/699 წელს, როცა ქალი, სახელად ღაზალა, ხელმძღვანელობდა მეჩეთში მამაკაცს მეომართა ჯგუფის ლოცვას, რომელიც ორი რაქათისაგან[137] შედგებოდა. ეს იყო ქუფაში, ალ-ჰაჯჯაჯის გამგებლობის (694-714) დროს. იქვე აღნიშნულია, რომ მან წაიკითხა ორი უგრძელესი სურა ყურანიდან – ალ-ბაკარა (ძროხა) და ალ-'იმრან (იმრანის შთამომავლობა) [58,II,964]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალმა მუსლიმმა თეოლოგმა (სუნიტმა) არ მიიღო ღაზალას მაგალითი, რადგანაც ის ეკუთვნოდა ხარიჯიტებს, რომლებიც აუჯანყდნენ 'ალის და მუ'ავიიას. და მაინც ეს არის ცალკეული მაგალითები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკაში არ იყო მიღებული ქალის დანიშვნა იმამად.

უმაიიანთა პერიოდში ისტორიკოსთა გაოცება გამოიწვია შემდეგმა ფაქტმა: ნავარი, მომღერალი გოგონა, ალ-ვალიდ II ბ. იაზიდის (743-744) მხევალი, გამოჩნდა მეჩეთის მიჰრაბთან[138], რადგანაც ხალიფა იყო მთვრალი. მუეძინი ეძებდა ხალიფას, რომ წასულიყო და შეესრულებინა თავისი მოვალეობა – ეხელმძღვანელა მლოცველთათვის. იაზიდმა ფიცი დადო, რომ ნავარი უხელმძღვანელებდა მორწმუნეებს. მართლაც, ნავარი გამოჩნდა საზოგადოებაში ჩადრით და ხალიფას ტანსაცმელში გამონყობილი. მან უხელმძღვანელა მლოცველებს და დაბრუნდა ხალიფასთან [43,411]. ამის შემდეგ ჩვენ არა გვაქვს რაიმე ინფორმაცია ნავართან დაკავშირებით. იბნ 'ასაქირი 196 ქალის ბიოგრაფიაში უთმობს მას ადგილს [43]. შემდგომში ეს შოკისმომგვრელი მოვლენა მეორდება ისტორიულ ლიტერატურაში. ყოველთვის, როცა იხსენიებენ ალ-ვალიდს, ნავარიც მის გვერდით არის მოხსენიებული.

წყაროებში ასევე ერთადერთი მაგალითია დასახელებული, როცა ქალი არის იმამი-ხატიბი – ქალებისათვის. ეს არის ასმა' ბინთ იაზიდი. ჰადისებში არ მოიპოვება რაიმე მინიშნება ამ ფაქტის შესახებ. ამიტომ ძნელია ითქვას, რას ნიშნავდა ეს. უდავოა, რომ მას ჰქონდა რეპუტაცია ქალისა, რომელმაც კარგად იცოდა მუჰამადის მოძღვრება და რომელსაც რჩევას ეკითხებოდა ისლამზე ადრე მოქცეული მრავალი ქალი [348, 305].

---

[137] რა'ქათ („წელში მოხრა", „დაჩოქება") – ხუთჯერადი ლოცვის დროს სამლოცველო პოზებისა და მოძრაობების (ხელების აპყრობა, თავის დახრა, დაჩოქება, პირქვე დამხობა) კომპლექსი, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი, მკაცრად დაკანონებული, ფორმულების წარმოთქმა.

[138] მიჰრაბ – ნიშა მეჩეთის კედელში, რომელიც მიუთითებს მიმართულებას მექისაკენ.

წყაროებში დასახელებულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქალი ასრულებს ლოცვას მიცვალებულზე [11,VI, 169]. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში [348,302] განხილულია ერთადერთი მაგალითი სუქაინა ბინთ ალ-ჰუსაინის[139] გარდაცვალებასთან დაკავშირებით და აღნიშნულია, რომ სამგლოვიარო ლოცვა[140] შეასრულა ქალმა[141], რადგანაც არ იყო მედინას მმართველი (ხალიდ ბ. 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-ჰარის) და წყაროდ დასახელებულია იბნ სა'დი. მაგრამ იბნ სა'დთან დასახელებულია მამაკაცი – შაიბა ბ. ნასაჰ და არა ქალი [8,VIII,475; 175,111,შენ.15]. წყაროებში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საიიდა ნაფისამ[142] სამგლოვიარო ლოცვა შეასრულა იმამ აშ-შაფი'ის ზე. ამ უკანასკნელმა ანდერძი დაიბარა, რომ ნაფისას სახლიდან დაეკრძალათ. ნაფისამ შეასრულა ლოცვა მიცვალებულზე [10,V,423; 48,III,574-575]. სხვა გადმოცემით, ნაფისამ სთხოვა აბუ ია'კუბ ალ-ბუვათის – შეესრულებინა ლოცვა და თვითონაც მასთან ერთად შეასრულა [402].

მუჰამადის დროს ქალები მონაწილეობდნენ აგრეთვე პილიგრიმობაში[143]. 'ა'იშამ ჰკითხა მუჰამადს: „ო, ალაჰის მოციქულო, შეგვიძლია ჩვენ [ქალებს] წავიდეთ სამხედრო ექსპედიციებში და მონაწილეობა მივიღოთ ჯიჰადში?" მუჰამადმა უპასუხა: „საუკეთესო ჯიჰადი თქვენთვის ქალებისთვის, არის ჰაჯი". გადმოცემით, 'ა'იშას, ალაჰის მოციქულის ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, არ შეუწყვეტია საპილიგრიმოდ წასვლა [40,2/347,3/49].

632 წელს მოციქულმა შეასრულა „გამოსათხოვარი პილიგრიმობა" და მას თან ახლდა თავისი ცოლები – სავდას და ზაინაბ

---

[139] ხალიფა 'ალის შვილიშვილის შვილი.

[140] არაბ. ხალათ 'ალა ლ-მაიით, ხალათ ალ-ჯანაზ (ლოცვა მიცვალებულთათვის) – ეს არის მოვალეობა ყოველი გარდაცვლილი მუსლიმის მიმართ.

[141] დასახელებულია ხალიფა 'უმარის შვილიშვილი – უმმ 'უსმან ბინთ 'უბაიდ ალ-ლაჰ(დედა- ზაინაბ ბინთ 'უმარ ბ. ალ-ხატტაბ), რომელმაც თითქოს შეასრულა ლოცვა სუქაინაზე. იბნ სა'დისთან ერთსა და იმავე გვერდზე არის მოტანილი ორივე ქალის ბიოგრაფია, მაგრამ არსად არაა აღნიშნული ეს ფაქტი [8,VIII,475].

[142] ნაფისა ბინთ აბი მუჰამმად ალ-ჰასან ბ. ზაიდ (გარდ. 208/824ნ.) – შიიტთა მეორე იმამის, ალ-ჰასან ბ. 'ალის შვილიშვილის შვილი [10,V,423-424]. შიიტურმა პროპაგანდამ განაპირობა ტერმინ საიიდის მუჰამადის შთამომავლობასთან, განსაკუთრებით კი მისი შვილიშვილის, ჰუსაინ ბ. 'ალის შტოსთან დაკავშირება. ამ საგვარეულოს ქალებს ეწოდებათ საიიდა ან სითთ (შეკუმშული ფორმა სიტყვიდან საიიდათ, „ჩვენი ქალბატონი") [79,166].

[143] ალ-ჰაჯჯ – პილიგრიმობა მექაში. სრულდება მუსლიმური მთვარის კალენდრით ზუ ლ-ჰიჯჯას თვის 7-12 რიცხვში.

ბინთ ჯაჰშის გარდა, რომელთაც მაღალმა ალაჰმა მიუთითა სახლში დარჩენილიყვნენ [8,VIII,207].

ხალიფა 'უმარმა შეზღუდა ქალების უფლება შეესრულებინათ პილიგრიმობა. მან, უპირველეს ყოვლისა, აუკრძალა მოციქულის ცოლებს შეესრულებინათ ეს რიტუალი. თუმცა წყაროთა მონაცემებით, აშკარა პროტესტი არც 'ა'იშას და არც სხვა ცოლების მხრიდან 'უმარის მიმართ არ ჩანს. 'უმარმა თავისი ხალიფობის ბოლო წელს, მოციქულის ცოლების დაჟინებული თხოვნით, გააუქმა ეს შეზღუდვა და მათ შეასრულეს ჰაჯი 'უმართან ერთად [291, 278]. მაგრამ ქალები ცალკე იყვნენ და მათ იცავდა 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფი და 'უსმან ბ. აფფანი [179,93-94; 185,61].

'უსმანის გახალიფების შემდეგ, 'ა'იშა მუჰამადის სხვა ცოლებთან (უმმ სალამასთან, მაიმუნასთან და უმმ ჰაბიბასთან ერთად) ერთად მივიდა ხალიფასთან და პილიგრიმობის ნებართვა ითხოვა. მან ნება დართო და აღუთქვა თანხლება პერსონალურად, ვინც მოისურვებდა[144].

საიდა ნაფისა გამოირჩეოდა თავისი ღვთისმოსაობით. მან 30-ჯერ შეასრულა პილიგრიმობა მექაში, ბევრს მარხულობდა [171,44; 10,V,423-424]. ზუბაიდა – ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) ცოლი, ქმრის მსგავსად ხშირად ასრულებდა პილიგრიმობას ჰიჯაზის წმინდა მიწაზე. არაბულ წყაროთა მონაცემებით, თავისი ცხოვრების მანძილზე მან 5-ჯერ თუ 6-ჯერ შეასრულა[145] ეს მნიშვნელოვანი ვალდებულება [180,242].

ქალები ასრულებდნენ აგრეთვე 'უმრას – მცირე პილიგრიმობას[146]. პილიგრიმობის შესრულების დროს ქალს თან უნდა ახლდეს ან მამა, ან ქმარი, ან ძმა. ერთ-ერთი გადმოცემით, 'ა'იშამ, რომელმაც ვერ შეასრულა მცირე პილიგრიმობა მოციქულთან ერ-

---

[144] მოციქულის 9 ქერივიდან ზაინაბ ბინთ ჯაჰში უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო საედა ღრმად მოხუცებულობის გამო სახლიდან აღარ გამოდიოდა. დანარჩენებმა შეასრულეს პილიგრიმობა [8,VIII,209; 175,105].

[145] პირველი ჰაჯი მან შეასრულა ფეხით 173/790 წელს თავის ქმართან ერთად. 176/793 წელს – ერთ-ერთი ძმის თანხლებით, ბოლოს – 211/826-27 წელს. წყაროებში არის ცნობა, რომ ხალიფა ალ-მა'მუნის (813-833) ქორწილის დროს ბურანზე (825ნ.), ამ უკანასკნელმა სთხოვა ხალიფას ნება დაერთო თავისი დედინაცვლის – ზუბაიდასათვის შეესრულებინა პილიგრიმობა [58,III,1074-75,1082-83; 49,II,558]. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ალ-მა'მუნმა ის რამდენიმე წლით საქველმოქმედო ადგილების მონახულებას ჩამოაცილა.

[146] სრულდება არა ზუ ლ-ჰიჯჯას თვეში, არამედ ნებისმიერ სხვა დროს. ის ითვალისწინებს ჰაჯის ყველა ცნობილი რიტუალის შესრულებას, მსხვერპლშეწირვის გარდა.

თად, უსაყვედურა მას. მუჰამადმა სთხოვა მის ძმას – 'აბდ არ-რაჰმანს გაჰყოლოდა 'ა'იშას ამ მოგზაურობის დროს [40,2/346].

ქალები ადრეულ პერიოდში პილიგრიმობის დროს მამაკაცებთან ერთად ასრულებდნენ ტავვაფს[147]. ზოგიერთმა მუსლიმმა მმართველმა გარკვეული ცვლილება შეიტანა პილიგრიმობის ნესებში და ტავვაფის დროს განაცალკევა მამაკაცები და ქალები. ჰადისების თანახმად, ქალებისა და მამაკაცების განცალკევება ტავვაფის დროს პირველად ბრძანა ჰიჯაზის გამგებელმა ხალიდ ბ. 'აბდ ალ-ლაჰ ალ-კასრიმ[148] [302,656]. თვითონ მექის მეჩეთში (ალ-მასჯიდ ალ-ჰარამ) ქალებისა და მამაკაცების განცალკევება მოხდა მექის მმართველის 'ალი ბ. ალ-ჰასან ალ-ჰაშიმის დროს, 256/870 წელს. სვეტებს შორის თოკი უნდა გაბმულიყო, რათა ცალკე გამოეყოთ ადგილი ქალებისათვის. გარკვეული დროის მანძილზე ქალები იდგნენ მეჩეთის უკან, ეზოში [302,655]. დაახლოებით ჰიჯრის 209/824-825 წელს მექის მმართველმა 'უბაიდ ალ-ლაჰ ბ. ალ-ჰასან ალ-ტალიბიმ სპეციალური დრო გამოყო ქალთა ტავვაფისათვის შუადღის ლოცვის შემდეგ. ამ დროს მამაკაცებს არ უნდა შეესრულებინათ ტავვაფი. ეს წესი მოქმედებდა მექის მმართველის იბრაჰიმ ბ. მუჰამმადის დროსაც ჰიჯრის 260/875-876 წელს [302,656-657]. ალ-ბუხარის თანახმად, „მოციქულის ცოლები ღამით მიდიოდნენ და ასრულებდნენ ქა'აბას ტაძრის შემოვლას მამაკაცებთან ერთად ისე, რომ არ ხდებოდა მათი შერევა[149]. თუმცა, როცა მათ სურდათ თვითონ ქა'აბას ტაძარში შესვლა, უნდა დაეცადათ, ვიდრე მამაკაცები გამოვიდოდნენ [40,2/399]". სხვა გადმოცემით, 'ატა'მ[150] თქვა: როდესაც იბნ ჰიშამმა (გარდ. 833 ნ.) აუკრძალა ქალებს შეესრულებინათ ტავვაფი მამაკაცებთან ერთად, მე ვუთხარი მას: „როგორ შეგიძლია შენ აუკრძალო ქალებს ეს, როცა მოციქულის ცოლები ასრულებდნენ ტავვაფს მამაკაცებთან ერთად?" და ეს იყო ჩადრით შემოსვის შემდეგ [40,2/399

გადმოცემით, პილიგრიმობის დროს მექაში 'ა'იშა ბინთ ტალჰამ[151] სთხოვა ქალაქის მმართველს და ხატიბს – ალ-ჰარის ბ. ხალიდ ალ-მახზუმის გადაედო ქადაგება იქამდე, ვიდრე ის დაასრულებდა ქა'აბას გარშემო შვიდგზის შემოვლას. მმართველმა, ქალის პატივისცემის ნიშნად, თხოვნა შეუსრულა. ამის გამო ხალიფა

---

[147] ტავვაფ – ქა'აბას ტაძრის შვიდგზის შემოვლა პილიგრიმობის დროს.

[148] ხალიდი მექის გამგებელი იყო 708 ან 712 ნლიდან.

[149] გადმოცემით, ყველა სხვა ქალი შერეული იყო მამაკაცებთან და ქა'აბას კედელზე თაყვანს სცემდა შავ ქვას [280,532].

[150] 'ატა' ბ. აბი რაბბაჰ (68/687-688 — 114/732-733) – ცნობილი მუპადდისი.

[151] ხალიფა აბუ ბაქრის შვილიშვილი დედის მხრიდან.

'აბდ ალ-მალიქმა (685-705) ალ-ჰარისი თანამდებობიდან გაათავისუფლა [387,79] [152].

ქალები იხდიდნენ აგრეთვე ზაქათს (*ზაქათ* – სავალდებულო გადასახადი) და სადაკას (*ṣადაკა*), არასავალდებულო, ნებაყოფლობით მოწყალებას, რომლის გაცემაც ისლამში ევალება შეძლებულ მუსლიმებს თემის გაჭირვებული წევრების სასარგებლოდ.

ṣადაკას გაცემა ყურანით დადგენილი ნორმაა. ის ყურანში მხოლოდ ოთხ სურაში გვხვდება (2:192,265,273,277; 4:114; 9:58,60,80,105;8:13,14). *„თუ ṣადაკას აძლევ ღარიბს, უმჯობესია ეს გააკეთო ფარულად"* (2:273). *„თუ გასცემ ṣადაკას, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგწყდეს გული, რომ დახარჯე ნაწილი შენი ქონებისა, რადგან მოწყალებას თვითონ ალლაჰი იღებს"* (2:266) და *„ალლაჰი მკაცრად დასჯის და თვითონაც დასცინებს მათ, ვინც დასცინებს მორწმუნეებს, რომლებიც ნებაყოფლობით გაიღებენ ṣადაკას, გასცემენ მხოლოდ თავიანთი მონდომებით"* (9:80) [62,77-80; 78,165].

ჰადისებში ნათქვამია: *„ყოველი კარგი საქმე არის ṣადაკა"* [40,6/142]. აქედან გამომდინარე ღვთისმოსავი მუსლიმი ქალი ეხმარებოდა ყველას, ვისაც ეს ესაჭიროებოდა [2:273, 2:261; 2:34,39].

მოციქულის ცოლები და უახლოესი მიმდევარი ქალები, თავიანთი ქველმოქმედებით, იყვნენ საუკეთესო მაგალითი მუსლიმური თემისათვის. ჰადისებში აღნიშნულია, რომ 'ა'იშამ გასცა მოწყალების სახით 70 ათასი დირჰამი. ხალიფა მუ'ავიიამ (661-680) გაუგზავნა მას 10 ათასი დირჰამი – მისი საცხოვრებლის საფასური და მან მთლიანად დაურიგა ეს თანხა ღარიბებს. ასევე იბნ აზ-ზუბაირ-

---

[152] იბნ 'ასაქირის ბიოგრაფიულ კრებულში მოთხრობილია აგრეთვე, რომ 'ა'იშა ბინთ ტალჰა და 'ათიქა ბინთ იაზიდი ('აბდ ალ-მალიქის ცოლი) ერთმანეთს შეხვდნენ ჭიჯაზის წმინდა ქალაქებში –მექასა და მედინაში პილიგრიმობის დროს. თუ 'ათიქამ მეუღლის ნებართვის შემდეგ გადანყვიტა საპილიგრიმოდ წასვლა, 'ა'იშა ქმრის სურვილის წინააღმდეგ მოიქცა. მიუხედავად იმისა, რომ 'ათიქა იყო უმაიიანთა დინასტიის ცნობილი ხალიფას – 'აბდ ალ-მალიქის მეუღლე, 'ა'იშას ამალა უფრო მრავალრიცხოვანი იყო. ამასთან, 'ა'იშამ, დამატებით, ხალიფა 'აბდ ალ-მალიქს სთხოვა 60 საუკეთესო ჯიშის სახედარი, რათა გადაეტანა თავისი ტვირთი პილიგრიმობისას. ხალიფამ მას თხოვნა შეუსრულა. მაშინ როცა პილიგრიმობისათვის საჭირო ნივთების და სურსათის სია, რომელიც 'ათიქამ თავის მეუღლეს გადასცა, საკმაოდ მოკლე იყო. 'ა'იშას ამალაში დალაქიც იყო. მისი მრავალრიცხოვანი ამალის დანახვაზე, 'ათიქამ განაცხადა: „ის, რაც ალაჰმა შემოინახა ჩემთვის, არის საუკეთესო" [43, no.60]. პოეტი ღარიდი, რომელიც ამ პილიგრიმობის დროს უმღეროდა 'ა'იშას და 'ათიქას ღირსებებს და სილამაზეს, გულუხვად დაჯილდოვდა მათგან [314,82].

მა გაუგზავნა ‘ᾱ’იშას 2 ტომარა (ღირᾱრ) ფული, დაახლ. 100 ათასი დირჰამი, რომელიც მთლიანად მოწყალების სახით გასცა[153].

‘ᾱ’იშას ნახევარდა – ასმᾱ’ ბინთ აბᾱ ბაქრი იყო ასეთივე გულუხვი. ‘აბდ ალ-ლᾱჰ ბ. აზ-ზუბაირმა თქვა: „მე არასოდეს მინახავს ორი ქალი, უფრო გულუხვი, ვიდრე ‘ᾱ’იშა[154] და ასმᾱ’, მხოლოდ ორივე განსხვავებულად გასცემდა მოწყალებას. ‘ᾱ’იშა აგროვებდა ნივთებს და შემდეგ ანაწილებდა, მაშინ როცა ასმᾱ’ არაფერს ინახავდა მომდევნო დღისათვის“[155] [130,334-35]. ფᾱტიმა ბინთ მუნზირის გადმოცემით, „როცა ასმᾱ’ ავად გახდა, მან გაათავისუფლა ყველა მონა, ვინც ჰყავდა. ის ეუბნებოდა თავისი ოჯახის ნევრებს, რომ უნდა გაეცათ მოწყალება და არ დალოდებოდნენ ნამატს“ [257,72].

ზაინაბ ას-საკაფიიᲐას გადმოცემით, მოციქულმა თქვა: „ო, ქალებო, გაეცით მოწყალება, თუნდაც ეს იყოს თქვენი ძვირფასეულობა“. ზაინაბი – ‘აბდ ალ-ლᾱჰ ბ. მას‘ᾪდᾱს ცოლი მივიდა მოციქულთან, რათა ახსნა-განმარტება მიეღო. მან უთხრა მუჰᾱმადს: „თქვენ ბრძანეთ დღეს, რომ ხალხმა უნდა გასცეს მოწყალება. მე მაქვს რაღაც ძვირფასეულობა (ოქროს ნივთები) და მე მინდოდა გამეცა ის, როგორც მოწყალება. იბნ მას‘ᾪდᾱმ, ჩემმა ქმარმა გამოაცხადა, რომ მას და მის შვილებს უფრო მეტი უფლება აქვთ, ვიდრე ვინმე სხვას, რომ მიიღონ ძვირფასეულობა, თუ ის გაცემული იქნება, როგორც მოწყალება“. მოციქულმა უპასუხა: იბნ მას‘ᾪდᾱ სწორია – თქვენს ქმარს და თქვენს შვილებს აქვთ უფრო

---

[153] იმ დღეს ‘ᾱ’იშა მარხულობდა. საღამოს მან უთხრა უმმ ზარრას, რომ მიეტანა მისთვის *ფუტᾪრ* (მსუბუქი საკვები და სითხე, რომელსაც იღებენ მარხვის დასრულებისას). უმმ ზარრამ უთხრა, რომ მას შეეძლო გამოეყენებინა რამდენიმე დირჰამი ხორცის საყიდლად. ‘ᾱ’იშამ კი უპასუხა: „უფრო ადრეც რომ შეგეხსენებინა, მაინც ასე მოვიქცეოდი“ [8,VIII,67].

[154] ‘ᾱ’იშას გადმოცემით, ერთი ქალი და ორი გოგონა მივიდნენ მასთან და სთხოვეს მოწყალება. ‘ᾱ’იშამ ვერაფერი ვერ იპოვა ერთი ფინიკის გარდა, რომელიც მისცა ქალს. მან კი გაუყო ის თავის ორ გოგონას და წავიდა. როდესაც მოციქული მოვიდა, ‘ᾱ’იშამ მოუთხრო მას, რაც მოხდა. მან თქვა: „ვინც პასუხისმგებელია ამ გოგონებზე და ექცევა მათ გულმოწყალედ, ის საშინელ სამსჯავროზე წარდგენისას დაფარული იქნება ამ გოგონების მიერ ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან“ [40,8/17; 32,4/202,2629].

[155] სხვა გადმოცემით, იბნ აზ-ზუბაირმა თქვა: „მე არასოდეს მინახავს ქალი უფრო კეთილშობილი, ვიდრე ‘ᾱ’იშა და ჰᾱფṣა, მაგრამ მათი მოწყალება გამოიხატებოდა სხვადასხვაგვარად. ‘ᾱ’იშა აგროვებდა და როცა ჰქონდა საკმარისი თანხა, მხოლოდ ამის შემდეგ არიგებდა მოწყალების სახით. ჰᾱფṣა მაშინვე გასცემდა, რაც ჰქონდა, არ აგროვებდა“. იქვე აღნიშნულია, რომ მათი მამებიც განსხვავებული იყვნენ. „ერთ-ერთი ლაშქრობისას, ‘უმარმა შესწირა თავისი ქონების ნახევარი, ხოლო აბᾪ ბაქრმა მთლიანად, რაც ჰქონდა“ [130,372].

მეტი უფლება, ვიდრე ვინმე სხვას – მიიღოს ძვირფასეულობა, როგორც მონყალება" [40,2/213]. ამასთან მოციქულმა განმარტა, რომ იმათ, ვინც მოწყალებას მისცემს ახლობლებს და ობლებს, ექნებათ ორმაგი ჯილდო: ერთი ჯილდო – ნათესავის მხარდაჭერისათვის და მეორე – მოწყალების გაცემისათვის [174,128].

მოციქულის ცოლებს შორის მოწყალების გაცემით გამოირჩეოდა ზაინაბ ბინთ ჯაჰში. ის თვითონ მუშაობდა და თავისი გამომუშავებიდან გასცემდა მოწყალებას. ის იყო ყველაზე ხელგაშლილი მოციქულის ცოლებს შორის. ერთ-ერთი გადმოცემით, მოციქულის ცოლებმა ჰკითხეს მუჰამადს, ვინ იქნებოდა მათ შორის პირველი, ვინც შეუერთდებოდა მას (იმქვეყნად). მან უპასუხა: „ვისაც აქვს უგრძელესი ხელი". მათ დაიწყეს თავიანთი ხელების მოზომვა ჯოხით და სავდას ხელი იყო ყველაზე გრძელი. მოციქულის შემდეგ პირველი გარდაიცვალა ზაინაბი, 'უმარის ხალიფობაში. მოციქულის ცოლები მიხვდნენ, რომ „გრძელი ხელი" იყო მოწყალების განხორციელების სიმბოლო [257,20]. ṣაფიჲამ, მოციქულის ცოლმა, გასცა თავისი სამკაულები მოწყალების სახით. მას ჰქონდა ოქროს საყურეები. ზოგი ფუტიმას აჩუქა და ზოგიც გარშემო, სხვა ქალებს. თავისი სახლი მან სიცოცხლეშივე მოწყალების სახით გასცა. სავდაც გამოირჩეოდა მოწყალების გაცემით.

საქინა ბინთ ალ-ჰუსაინი – ხალიფა 'ალისა და ფუტიმას შვილიშვილი – გულუხვად გასცემდა მოწყალებას, რაც ჰქონდა. თუ არ ჰქონდა ფული, ის იხსნიდა თავის სამკაულებს და აძლევდა იმათ, ვინც საჭიროებდა [397].

უმმ ალ-ბანინმა, ხალიფა ვალიდ I-ის (705-715) ცოლმა თქვა: „ყველას აქვს თავისი გატაცება და ჩემი გატაცება არის მოწყალების გაცემა". ის ათავისუფლებდა მონებს ყოველ კვირას და აღჭურვავდა ცხენოსანს საბრძოლველად ალაჰისათვის [397].

მექაში ჭების წყალი იყო მწარე და სასმელად უვარგისი. ამდენად, წმინდა ქალაქის მტკნარი წყლით უზრუნველყოფა მორწმუნეთა ქველმოქმედების ობიექტი გახდა 'აბბასიანთა მმართველობის დროს [145, 325].

ზუბაიდა ცნობილი იყო თავისი ქველმოქმედებით. მან გათხარა „ზუბაიდას წყარო" [156] 'არაფათის დაბლობზე. ეს იყო წყალობა ათასობით პილიგრიმისათვის. ამ სამუშაოების ჩატარება ძალზე ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ ტექნიკურ სიძნელეებს და ღირებულებას არ შეუშინდა. მან აღუთქვა მშენებლებს დიდი მხარდაჭერა და გა-

---

[156] მისი სახელი იყო 'აინ ზუბაიდა. მას უნდა მოემარაგებინა მექის მოსახლეობა და პილიგრიმები მტკნარი წყლით. ის ცნობილი იყო იმ დროს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება.

მოაცხადა, რომ ის განახორციელებდა ამ პროექტს, თუნდაც წერაქვის ერთი დარტყმა 1 ოქროს დინარი დამჯდარიყო. ამ პროექტზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ ჰარუნ არ-რაშიდის ხალიფობაში და მთლიანობაში, 1 მლნ. დინარი დაჯდა. ისლამის წმინდა ქალაქებში ზუბაიდამ ააშენა მრავალი ჭა და შადრევანი პილიგრიმებისათვის. ქუფა-მექის გზა პუნქტირით აღნიშნა. მან მოამარაგა მექა სასმელი წყლით და კეთილმოაწყო საპილიგრიმო გზა, რომლის გასწვრივ მან ააშენა მრავალი წყალსატევი და ქარავან-სარაი პილიგრიმებისათვის. მექის გზაზე, რომელიც გადიოდა ქუფის ახლოს, ზუბაიდამ ბრძანა აეგოთ ჭები ქვისაგან, თაბაშირისაგან და გამომწვარი აგურით, რაც მანამდე არავის არ გაუკეთებია. პილიგრიმთა ყოველი შესვენების ადგილას, ჭების გარდა, წყალსატევები და რეზერვუარები მოაწყო წვიმის წყლისათვის, რათა ხალხი უდაბნოში წყურვილისაგან არ დახოცილიყო. თვითონ ამ გზას (ქუფა-მექა, სიგრძით 1400 კმ.) მის საპატივსაცემოდ ეწოდა – „დარბ აზ-ზუბაიდა" (ზუბაიდას გზა) [128,209]. ზუბაიდამ გააღრმავა ზამზამის კედლები და განმინდა ჭა. ერთ-ერთი პილიგრიმობის დროს მან დახარჯა 3 მლნ. დინარი, რათა მოემარაგებინა მექა წყაროს წყლით, რომელიც იყო 25 მილის მოშორებით [48,I,337]. ზუბაიდამ გათხარა არხი (65 კმ სიგრძისა) ტა'იფსა და მექას შორის, აღადგინა მოციქულის მეჩეთი ტა'იფში. მეჩეთის კედლებზე შემორჩენილია წარწერა, რომელიც მის ფილანთროპიაზე მიუთითებს: „ქალბატონმა უმმ ჯა'ფარმა, აბუ ალ-ფადლის ქალიშვილმა და მუსლიმთა ტახტზე სავარაუდო მემკვიდრეების დედამ – დაე, ალაჰმა გაუხანგრძლივოს მას სიცოცხლე! – ბრძანა აღდგენა ტა'იფში მოციქულის მეჩეთისა, რომელიც დასრულდა 192/807-8 წელს"[180,241]. ზუბაიდამ რამდენიმე რიბატით[157] გაამაგრა საზღვარი. ყიდულობდა მეომრებისათვის იარაღს და ცხენებს. ვაკფს[158] გადასცა მრავალი მიწა. პილიგრიმობის დროს ის შეწირულებას აძლევდა მეცნიერებს მექასა და მედინაში [136,26;132,158].

---

[157] რიბატ („საზღვარზე ყარაულად დგომა", „საზღვრის დაცვა", „ქარვასლა" და სხვ.) – გამაგრებული ადგილი ისლამური სამყაროს საზღვარზე, სადაც დაბანაკებული იყვნენ სარწმუნოებისათვის მებრძოლი რაზმები. რიბატს სამხედრო-რელიგიური ფუნქცია გააჩნდა.

[158] ვაკფ (მრ.რ. ვუკუფ) – მიწა და სხვა ქონება მუსლიმურ სახელმწიფოში, რომელთაც მფლობელი სწირავდა მუსლიმურ და საქველმოქმედო დაწესებულებებს (მეჩეთებს, მედრესეებს, ღარიბთა თავშესაფრებს და სხვ.). ვაკფის შემოსავალი არ იბეგრებოდა გადასახადებით სახელმწიფოს სასარგებლოდ. ვაკფის შემწირველთა შთამომავლებს შეეძლოთ მიეღოთ პენსია გადაცემული ქონებიდან. ვაკფის კატეგორიის მიწები ჩნდება VIII-IX სს-ში [224,125-27].

უმმ ალ-მუკთადირი (შაღაბ)[159] წყაროებში დახასიათებულია როგორც ყველაზე გულუხვი ქალი ზუბაიდას შემდეგ, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა პილიგრიმთა კეთილდღეობას და წმინდა ადგილებს. ის ყოველწლიურად გამოყოფდა ერთ მლნ. დინარს საკუთარი ქონებიდან პილიგრიმებისათვის და დააფუძნა მრავალი ვაკფი – მექასა და მედინაში. წყაროებში არის ცნობები, რომ ქალები შენირულებებს გასცემდნენ, რათა დაეცვათ თავიანთი ქონება ქონფისკაციისაგან. როცა მისი ვაჟი მოკლეს, ხალიფა ალ-კაჰირის (932-934) დროს, მის საკუთრებას და ფულს დაეპატრონენ. მოწმეებს უბრძანეს დაედასტურებინათ მისი შენირულების (ავკაფ) არაკანონიერება. უმმ ალ-მუკთადირმა განაცხადა, რომ რაც შენირული იყო, არ შეიძლება დაბრუნდეს ალაჰის მიერ. ამდენად, მათ შეეძლოთ ნაეღოთ მისი სხვა ფული. ის აწამეს და მოკლეს 321/933 წელს [315, 124; 401].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მუსლიმ ქალთა აქტიური რელიგიური როლის განმსაზღვრელი გახდა მათი მონაწილეობა ყურანის რედაქციაში. უმმ ვარაკას, მართალია, არ ჰქონდა მუჭამადის ქადაგებათა წერილობითი რედაქცია, მაგრამ მას ზეპირად ახსოვდა ალაჰის ზეშთაგონებები. ის გარდაიცვალა 'უმარის ხალიფობის დროს. ამდენად, მას თავისი ცოდნა უნდა გადაეცა ყურანის პირველი რედაქციის შედგენისას, აბუ ბაქრის მმართველობის დროს. 'ა'იშას მაცალა აბუ იუნუსი გადმოგვცემს, რომ 'ა'იშამ უბრძანა მას ყურანის გადაწერა და როდესაც მივიდა 2:238 აიაზე, რომელიც ეხებოდა ლოცვის დროს, 'ა'იშამ თვითონ ზეპირად უკარნახა ეს ვერსია მას. შესაძლებელია, ეს ასლი გაკეთდა მანამდე, ვიდრე 'უსმანი ბრძანებდა ყურანის ტექსტის გადასინჯვას. მაგრამ ცხადია, რომ 'ა'იშას ზედმიწევნით კარგად ახსოვდა მუჭამადის ქადაგებანი, რადგანაც სწორედ მისი თანდასწრებით მუჭამადი ღებულობდა ალაჰის ზეშთაგონებებს და გადასცემდა 'ა'იშას. აქედან გამომდინარე, 'ა'იშას უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა მოესმინა უშუალოდ მუჭამადისაგან, ვიდრე სხვა ცოლებს [315,78-79;175,204-205]. ყურანი ურჩევს მოციქულის ცოლებს: „დაიმახსოვრეთ ის, რაც იკითხება თქვენ სახლში ალაჰის წიგნიდან და სიბრძნიდან" (33: 33).

ხალიფა 'უმარმა ყურანის ტექსტი გადასცა თავის ქალიშვილს – ჰაფსას[160] – მუჭამადის ერთ-ერთ ცოლს. მოციქულის რამ-

---

[159] ხალიფა ალ-მუკთადირის (908-932) დედა. ის გარდაიცვალა 321/933 წელს.

[160] გერმანელი ორიენტალისტი ნელდეკე ამტკიცებს, რომ ჰაფსა თვითონ გააკეთებდა ასლს, წერა-კითხვა რომ შეძლებოდა. ეს შესაძლოა სწორი ვარაუდია, რადგანაც 'ა'იშას, როგორც ჩანს, თავისი ასლი ჰქონდა [300,19-22].

დენიმე კომპანიონს ჰქონდა ამგვარი ნუსხა, მაგრამ ჰაფსას ტექსტი გათვალისწინებულ იქნა ყურანის კანონიკური რედაქციის შედგენაში. ეს ნუსხა მას მოუმზადა მამამისის მავლამ (კლიენტმა). სხვა გადმოცემით, ეს ნუსხა მომზადდა მოციქულის სხვა ცოლისათვის – უმმ სალამასათვის ან ჰაფსას ნუსხა მომზადდა აბუ ბაქრის ხალიფობის დროს, როცა პირველად შედგა მუჰამადის ქადაგებების კრებული. აბუ ბაქრის გარდაცვალების შემდეგ, ეს ნუსხა გადაეცა 'უმარს, რომელმაც ის გადასცა ჰაფსას. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ჰაფსა იყო ერთ-ერთი, ვინც მიიღო მუჰამადის მემკვიდრეობა [8,VIII,84]. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ყურანის – მუსლიმთა წმინდა წიგნის პირველი რედაქცია, შესანახად გადაეცა ქალს [218, 80]. ჰაფსამ გადასცა ეს ნუსხა 'უსმანს[161], რათა მოემზადებინა ყურანის სრული, ოფიციალური რედაქცია. როცა ჰაფსა გარდაიცვალა, მისი ნუსხა განადგურდა მარვან ბ. ალ-ჰაქამის (მედინის მმართველი) მიერ იმ მიზნით, რომ განემტკიცებინა 'უსმანის რედაქციის კანონიკური სტატუსი [319,398]. ყურანის ტექსტის გარკვეული ჩანაწერი ჰქონდა მუჰამადის სხვა ცოლს – უმმ სალამას. 'უსმანმა, როგორც ჩანს, შეკრიბა ყველა ჩანაწერი და კანონიკურ ტექსტს საფუძვლად დაუდო ის ჩანაწერები, რაც ჰქონდა ზაიდ ბ. საბითს (მუჰამადის მდივანს) და ჰაფსა ბინთ 'უმარს. შესაძლებელია სხვა ქალებმაც[162], რომლებიც ესწრებოდნენ მუჰამადის ქადაგებებს მეჩეთში, გამოიყენეს თავიანთი ცოდნა ყურანის კანონიკური რედაქციის შედგენისას. მაგალითად, უმმ სა'დ ჯამილა ბინთ

ალბათ, ის იყო 'უმარის პირად კოლექციაში და არ წარმოადგენდა მუსლიმური თემის საკუთრებას. სხვა გადმოცემით, ჰაფსას ჰქონდა ყურანის საკუთარი ნუსხა, რომელიც ეფუძნებოდა უშუალოდ მოციქულისაგან მოსმენილ ვერსიას [319,398]. არის ცნობა, რომ აბუ ბაქრის დროს, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ჰაფსა ხელმძღვანელობდა ყურანის სრული ნერილობითი ტექსტის შედგენის სამუშაოებს. ხოლო ზაიდ ბ. საბითმა (მოციქულის პირადი მდივანი) მნიშვნელოვან როლი ითამაშა ამ სამუშაოს შესრულებაში [155,81].

[161] გადმოცემით, 'უსმანმა სთხოვა ჰაფსას, რომ გაეგზავნა მის საკუთრებაში არსებული ყურანი, რათა მათ გაეკეთებინათ სხვა ასლები მისგან და ორიგინალი კვლავ დაებრუნებინათ ჰაფსასათვის. ამის შემდეგ ჰაფსამ გაუგზავნა ასლი 'უსმანს და მან უბრძანა ზაიდ ბ. საბითს, 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ზუბაირს, სა'იდ ბ. ალ-'ასს და 'აბდ არ-რაჰმან ბ. ჰარის ბ. ჰიშამს და მათ შეასრულეს ასლები ორიგინალიდან. ამის შემდეგ 'უსმანმა დაუბრუნა ორიგინალი ჰაფსას [52,1-78; 6,66:3].

[162] მაგალითად, უმმ ჰიშამ ბინთ ჰარისა და უმმ ყუბაიდა, რომლებიც ესწრებოდნენ მუჰამადის ქადაგებებს მეჩეთში და ზეპირად იმახსოვრებდნენ ალაჰის გამოცხადებებს.

ასად ალ-ანსარიია კარგად ერკვეოდა ყურანის კომენტარებში. ის ასწავლიდა მუჰამადის კომპანიონებს (دَ'ـُد ბ. ـُسااِنس) ყურანს, რადგანაც ზეპირად იცოდა ყურანის ძირითადი ტექსტი და რეგულარულად ატარებდა ლექციებს რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით [257,459].

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მუჰამადმა ნება დართო ქალებს მონაწილეობა მიეღოთ მუსლიმური თემის რელიგიურ ცხოვრებაში და ასე გაგრძელდა მის სიცოცხლეში. ისინი დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ მუჰამადის საჯარო ლექციებს, ასრულებდნენ საპარასკევო ღვთისმსახურებას, იმახსოვრებდნენ და ზეპირად წარმოთქვამდნენ მის ქადაგებებს, იღებდნენ რელიგიურ განათლებას. მათ ჰქონდათ ყურანის წერილობითი ტექსტების გარკვეული ფრაგმენტები. ქალები იცავდნენ მარხვას, დადიოდნენ საპილიგრიმოდ წმინდა ადგილებში, გასცემდნენ მონყალებას. მუჰამადის გარდაცვალების (632წ.) შემდეგ, ქალების თანდათანობით ჩამოშორება რელიგიური კულტმსახურებიდან, უეჭველია, იყო მათი ჩადრით შემოსვის და კარჩაკეტილობის გარკვეული შედეგი.

II თავი

ქალი ყურანსა და[1] ჰადისებში

1. ქალის იდეალი ყურანსა და ჰადისებში

თავდაპირველი ისლამი საერთოდ წინააღმდეგი იყო წმინდანთა კულტის, თუმცა მუსლიმთა წმინდა წიგნი – ყურანი უპირატესობას ანიჭებს იმ მამაკაცებს და ქალებს, რომლებიც უარს ამბობენ ამქვეყნიურ სიკეთეზე და მზად არიან თავიანთი სიცოცხლე შესწირონ ახალი რელიგიის განმტკიცების მიზნით. მაგრამ, როგორც წერდა ი. გოლდციერი, *„ისლამში მონამეობრივ გზას ნაკლებად მიუყვებიან ქალები. ეს გზა მეტად რთულია მათთვის, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ მამაკაცები. ეს უკანასკნელნი ყოველთვის წინ არიან. მთელი ბრწყინვალება, დამსახურებები, პატივი არსებობს მხოლოდ მამაკაცებისათვის. მათ გამოიყენეს ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ და თავიანთი უპირატესობისათვის. მათ ყველაფერი მიითვისეს, ყველაფრის მონოპოლიზაცია მოახდინეს, სიწმინდისა და სამოთხისაც კი"*[126,36].

ბიბლიისაგან განსხვავებით, ქალის შექმნას ყურანი მიანერს არა ღმერთს, არამედ მთავარანგელოზ გაბრიელს. ღმერთმა მამაკაცი შექმნა მინისაგან, უთხრა: იყავ (*ქუნ*) და იქმნა, ქალი კი ადამის ნეკნისაგან, როცა მას ეძინა, უმტკივნეულოდ. ევამ[1], რომელიც ეშმაკმა (იბლისმა) აცდუნა (2:6), დაიყოლია ადამი დაელია ღვინო და ეჭამა აკრძალული ხილი. ეს გახდა პირველი ცოდვის მიზეზი. ისინი გააძევეს სამოთხიდან, დიდხანს იხეტიალეს და ბოლოს, ღმერთმა აპატია მათ. ერთმანეთს შეხვდნენ 'არაფათის ველზე და შეასრულეს პილიგრიმობა [327,22-26]. გადმოცემით, ევამ ალაჰისაგან მიიღო აღთქმა, რომ ღვთისმოსავი ქალები ცოდვების[2] მიუხედავად, სამოთხეში მოხვდებიან. თვითონ ყურანში არის გაცხადებული, რომ მორწმუნენი და ღვთისმოსავები სქესის განურჩევ-

---

[1] არაბ. ჰაววَ' – ბიბლიური ევა. ჰადისების თანახმად, ის წარმოიშვა მაშინ, როცა ადამი ცხოვრობდა სამოთხის ბაღში. სხვა მონათხრობით, ის წარმოიშვა იქამდე, ვიდრე ადამი შევიდოდა სამოთხეში [327,22-24].

[2] მუსლიმური ტრადიციით, ევას ცოდვების გამო ქალები განწირულნი არიან ფიზიკური ტკივილებისათვის, როგორიცაა ფეხმძიმობა, მშობიარობა და სხვ. [338,135-144; 336,183].

ლად, დატკბებიან იმქვეყნიურ ცხოვრებაში[3]. თუმცა სამოთხეშიც ყურანი არ აღუთქვამს მორწმუნეებს უშუალო ურთიერთობას ღმერთთან. უმაღლესი ჯილდო სამოთხეში ღვთის ხილვაა და ეს კი მხოლოდ მოციქულთა და წმინდანთა ხვედრია.

ქალთა შორის წმინდანთა კულტის საფუძველი უკვე ადრეულ ისლამში ჩაისახა. მის წარმოშობაზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივი ქალღმერთების კულტმა, რომელთაც თაყვანს სცემდნენ ესა თუ ის ტომები ისლამის წარმოშობამდე [100,118-20].

ყურანი მხოლოდ ორ ქალს სცნობს სრულყოფილად: მარიამს – იესოს ('ისა) დედას და ასიას – ფარაონის[4] მეუღლეს. თუმცა, ჰადისების მიხედვით, მუჰამადი ჩამოთვლის ყველა დროის უდიდეს ქალებს: მარიამს, 'იმრანის ასულს[5], ასიას – ფარაონის ცოლს, ხადიჯა ბინთ ხუვაილიდს – მუჰამადის ცოლს და ფატიმა ბინთ მუჰამადს – მუჰამადის ქალიშვილს [11,III,641,928,1109,1211]. მაგრამ ამ ქალთა სახელები და რიცხვი ცვალებადია. ერთ-ერთი ჰადისით, აბუ მუსა[6] ამბობს: ალაჰის მოციქულმა თქვა: „მამაკაცებს შორის მრავალია სრულყოფილი, მაგრამ არ არიან სრულყოფილები ქალთა შორის, გარდა მარიამის, 'იმრანის ასულისა და ასიასი, ფარაონის ცოლის, ხოლო 'ა'იშა აღემატება ყველა ქალს, როგორც „სარიდ"[7] – დანარჩენ საჭმელებს" [40,4/411].

---

[3] იხ. მედინს პერიოდის სურები: 2:23/25; 3:13/15; 4:60/5, რომელთა მიხედვით, ალაჰმა აღუთქვა სამოთხე როგორც მორწმუნე მამაკაცებს, ისე მორწმუნე ქალებს, რომლებიც იქ არიან თავიანთ ქმრებთან ერთად.

[4] ფირავნი (ფირა'ვნ) - ყურანის პერსონაჟი, ფარაონი (ეგვიპტის მეფის სახელი). ალაჰმა მას მქადაგებლად გაუგზავნა მუსა (ბიბლიური მოსე), რომელიც ჩვილი აღზარდა ფარაონის ცოლმა. ფარაონი სასტიკი ტირანია. ის ითხოვდა, რომ ღმერთად ჩაეთვალად, სდევნიდა ეგვიპტეში მცხოვრებ მორწმუნეებს, განსაკუთრებით ებრაელებს.

[5] ყურანში მარიამის დედა დასახელებულია 'იმრანის ცოლად, ხოლო თეითონ მარიამი ერთხელ იხსენიება ჰარუნის (ბიბლიური აარონი) დად (3:31 და 19:29), რამაც ქრისტიან პოლემისტებს და მკვლევრებსაც საშუალება მისცა დაედანაშაულებინათ მუჰამადი ბიბლიური მასალის დამახინჯებულ ცოდნაში. თუმცა სიტყვა „და" აუცილებლად არ ნიშნავს პირდაპირ ნათესაობას. „ჰარუნის და" შეიძლება აღნიშნავდეს „თანატომელს", რომელიც ეკუთვნის მუსას გვარს, ის არის „მუსას დაც" და „'იმრანის მეუღლის" ასულიც[77,127; 385,630; 154,121-122].

[6] აბუ მუსა ალ-აშ'არი (გარდ. ქუფაში 42/662-636.) – ერთ-ერთი აეტორიტეტული მუჰამადის მიმდევარი, მედინაში პიჯრას და მუჰამადის რამდენიმე ლაშქრობის მონაწილე.

[7] სარიდ - ცხერის შეჭამადი, ანუ ცხვრის ხორცის წვენში (ბულიონში) ჩაყრილი პური.

მარიამი ერთადერთი ქალია, რომელიც ყურანში სახელითაა მოხსენიებული[8]. ყურანის მე-19 სურა[9] მის სახელს ატარებს, ამის გარდა მარიამის სახელი 34-ჯერ იხსენიება [1, 665]. ფარაონის ცოლი (ᾱსია)[10] ორჯერ არის მოხსენიებული ყურანში, ის იცავს მოსეს ცხოვრებას (28:9). 66-ე სურაში იესოს დედა – მარიამი და ფარაონის ცოლი დასახელებული არიან, როგორც მაგალითი მუსლიმური თემისათვის[11]. ᾱსიას უკანასკნელი სიტყვები იყო: „ო, ღმერთი, ამიშენე სახლი შენთან სამოთხეში და გადამარჩინე მე ფარაონისაგან, მისი საქმეებისაგან და გადამარჩინე მე ცოდვიანი ხალხისაგან" (66:11) [22,362].

მარიამის განდიდების კულმინაციას წარმოადგენს ყურანის მე-3 სურის 42-ე აია, სადაც ნათქვამია: *„ო, 'მარიამ, ჭეშმარიტად, ღმერთმა ამოგარჩია შენ, გაგწმინდა და გამოგარჩია[12] სამყაროს[13] ყველა ქალში".*

---

[8] ყურანში 12 ქალია მოხსენიებული სახელის გარეშე. ᾱდამის ცოლმა მხოლოდ ტრადიციაში შეიძინა სახელი ᾱᾱᾱᾱ' (ევა) [252,173]. ასევე 'იმრᾱნის (მარიამის მამა) ცოლს მხოლოდ მუსლიმური ტრადიციით აქვს სახელი ᾱᾱᾱᾱ

ყურანის ამ ცნობილი აიას განმარტება მოცემულია ყურანის კომენტარებში [14;7;12;4;336,161-187;283,19-28]. თუ შევაჯერებთ ამ მასალას, ალაჰის მიერ მარიამის გამორჩეულობის მიზეზი გახდა მისი ცხოვრების შემდეგი მომენტები: ა) ღმერთის მიერ მარიამის სინმინდის აღიარება, მიუხედავად იმისა, რომ ქალია, ბ) ჯერ დაუბადებელი ბავშვის ალაჰისადმი მიძღვნა [14,III,262]. ყურანის თანახმად, დედამისმა აღთქმა დადო, რომ შვილს, რომელსაც მუცლით ატარებდა, ალაჰს მიუძღვნიდა. გაჩნდა გოგონა, რომელსაც მარიამი დაარქვეს [154,113]. გ) მარიამი ტაძარში იზრდებოდა. ამის გამო ის ერთადერთი ქალია, რომელსაც ასეთი პატივი ებოძა. ამასთან უეჭველად დაკავშირებულია მისი ფიზიკური სინმინდე. ამის გარეშე მარიამი ვერ შევიდოდა ტაძარში, რათა არ წაებილნა ის. ქრისტიანული მოძღვრებით, მარიამი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ვინაიდან ღვთისმშობელი უნდა გამხდარიყო, გათავისუფლდა პირველყოფილი ცოდვისაგან და უმანკოდ იქნა ჩასახული დ) მარიამი არ იკვებებოდა დედის რძით, ის ალაჰისაგან იღებდა საზრდოს. ყურანის თანახმად, მარიამს ტაძარში ზაქარიმ[14] უვლიდა. ყოველთვის, როცა კი იგი მარიამის საცხოვრებელში (მიჰრაბ)[15] შედიოდა, იქ ხვდებოდა საზრდო. კითხვაზე, თუ საიდანაა ეს საზრდო (რიზკ)[16], მარიამი პასუხობს: *„ეს ალაჰისაგანაა, რადგანაც ალაჰი კვებავს მას, ვისაც მოისურვებს, ანგარიშმიუცემლად“* (3:37) [336,165]. ე) მარიამის უშუალო კავშირი ანგელოზებთან. ეს იყო მისი ზებუნებრივი შესაძლებლობა მოესმინა ანგელოზის სიტყვები

---

[13] ყურანის ევროპელი მთარგმნელების უმეტესობა თარგმნის „'ალამინა"-ს, როგორც „ამ სამყაროს" ან „მთელი სამყაროს" [22,425,შენ.27].

[14] იმ ხალხს შორის, ვინც მარიამს უვლიდა ტაძარში, მოხსენიებულია იოსები(ხურო), რომელიც ზოგჯერ გაიგივებულია იუსუფთან, ია'კუბის ვაჟთან [353,290]. ის უვლიდა მარიამს, თავის ბიძაშვილს [221,11], რადგანაც ზაქარიმ დაბერდა [385,630]. თუმცა ყურანში ის არ ჩანს [65,65-66].

[15] მიჰრაბი – ყურანში იხმარება „საკურთხეველის" მნიშვნელობით (38:21/20; 34:13/12). ყურანის კომენტატორთა აზრით, ამ შემთხვევაში ის ნიშნავს სპეციალურ (განმარტოვებულ) ოთახს, სადაც მარიამს შეეძლო ღვთისმსახურება შეესრულებინა [336,165]. მუსლიმი ღვთისმეტყველების აზრით, ეს იყო ტაძრის ეზოში სპეციალურად აგებული სენაკი, რომლის მსგავსი შენობებიც ამა თუ იმ მორწმუნის სადგომად გამოიყენებოდა. მარიამი თავისი მეურვის, ზაქარიმის მიერ სპეციალურად მისთვის აგებულ „მიჰრაბში" ბინავდება და მეურვის გარდა მასთან ურთიერთობა არავის შეუძლია. „ამ თემის სპეციალური აქცენტირებით ყურანი კიდევ ერთხელ დაბეჯითებით აპელირებს მარიამის სინმინდის, უმწიკვლოების დებულებაზე და მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისით, თითქოს ქრისტიანობაზე უფრო მეტად და თანმიმდევრულადაც კი იცავს იესოს დედის უბინობისა და ქრისტეს უმანკოდ ჩასახების იდეას" [65,65].

[16] მუსლიმური ტრადიციის თანახმად, არასეზონური ხილი (მოხსენიებულია ზამთრის ხილი ზაფხულში და ზაფხულის ხილი ზამთარში) [336,165;14,VI,353-58].

[13,VIII,45-46]. ვ) ღმერთმა აირჩია ის, რადგანაც ქალწულს უმამოდ აჩუქა მოციქული იესო[17]. „ასეთი რამ არ ყოფილა არც ერთ ქალთან" [7,I,362]. ყურანით, იესო ჩასახვა მოხდა არა ბიოლოგიურად, არამედ „ღვთის ჩარევით". იესოს ლაკაბი - „'ისᾱ იბნ მარᾱმᾱ" - „იესო ძე მარიამისა" ხაზს უსვამს მისი დაბადების მნიშვნელობას და იმავდროულად, სწორედ მარიამის გამორჩეულობაზე მიუთითებს. ყურანის თანახმად ანგელოზებმა (ანდა ალაჰის სულმა – رُوح) ახარეს მარიამს, რომ შეეძინებოდა ძე – ალ-მასᾱḥ 'ისᾱ. მარიამი გაოცდა - *„უფალო, მამაკაცი არ შემხებია, არც ქალი ვარ გარყვნილი და ბავშვი როგორ უნდა მეყოლოსო"*, მაგრამ დაამშვიდეს, *„ალაჰი იმას შექმნის, რაცა სურს და როცა რამეს გადაწყვეტს, ეტყვის „იქმენ" (ქუნ) და ის იქნება"* (3:45-47; 19:21). ზ) მარიამი გამოცხადებულია ღვთისმოსავობის ნიმუშად, ყურანით *„მარიამს, 'იმრანის ასულს, რომელმაც დაიცვა თავისი ორგანო, შთავბერეთ ჩვენი სული[18], მან ირწმუნა უფლის სიტყვები, წმინდა წერილები და იყო ღვთისმოსავთაგანი"* (66:12) [83,219]. თ) მოხდა ღმერთის მიერ მარიამის, როგორც ფიზიკური ისე სულიერი განწმენდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ალაჰმა მისცა მას წმინდა სარწმუნოება (გაათავისუფლა ეჭვებისა და ქალთათვის ჩვეული არასრულყოფილი რელიგიური ცხოვრებისაგან, უფრო ზუსტად, განწმინდა მისი რელიგია ნაბილწვისაგან, რაც არის ნაწილი ადამის ქალიშვილთა რელიგიური რწმენის) და გაათავისუფლა მამაკაცთან ყოველგვარი კონტაქტისაგან [14,III,262; 7,I,362; 13,VIII,45-46; 281,20]. ი) მარიამი იესოს მსგავსად, საუბრობს ჯერ კიდევ ახალშობილი[19] [336,169]. კ) ის ფაქტი, რომ იესო უკვე აკვნიდან იცავს მარიამს, ესეც მარიამის ღვთიური რჩეულობის ნიშანია [13,VIII,45-46]. როდესაც მარიამი მშობიარობის შემდეგ სახლში დაბრუნდა, ახლობლებმა გაკიცხეს, მაგრამ ყრმა იესო ლაპარაკს იწყებს და არწმუნებს მას თავის ღვთაებრიობაში (19:31/30-32/31). ლ) ყურანში იესო და მარიამი დასახელებული არიან ზეციურ ნიშნად (21:91; 23:50). პირველი და განსაკუთრებული „ნიშანი" (ᾱია) ეს არის იესოს „უბიწოდ" ჩასახვა

---

[17] ქრისტიანულ სარწმუნოებაში ქალწულობა მისტიკურ ფენომენად აღიქმებოდა. ღვთისმშობელი არის დედობის სიმბოლო, რომელშიც დედა და ქალწულია შერწყმული.

[18] ყურანში არის იესოს უბიწოდ ჩასახვის გამოძახილი. ქალწულ მარიამში შთაიბერა ალაჰის სული [77,127].

[19] გადმოცემით, მარიამმა თქვა: *„ყოველთვის, როცა ვინმე მოდიოდა და მესაუბრებოდა მე, იესო ჩემს მუცელში ღვთიურ ხმებს გამოსცემდა. მაგრამ როცა მე მარტო ვიყავი და არავინ იყო ჩემთან, იესო მესაუბრებოდა მე და მე მას იქამდე, ვიდრე ის იყო ჩემს მუცელში"* [44,I,220].

და დაბადება [14,XVI,49-50;13,XXI,202; 200,233; 313, 161-75]. გ) მარიამი არის სამოთხის ქალთა მეთაური[20] [11,III,64,80].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუსლიმი ღვთისმეტყველების მიერ არაერთხელ იქნა განხილული საკითხი მარიამის წინასწარმეტყველობის შესახებ, არის თუ არა ის ნაბიდა[21]. მკვლევართა უმეტესობა უარყოფს მარიამის წინასწარმეტყველობას[22] და აღიარებს მას სტატუსით „ვალიპ" [23] — ღმერთთან ახლოს მყოფი, წმინდანი. ყურანის კომენტატორები ხაზს უსვამენ, რომ მართალია, მარიამი იღებს ანგელოზისაგან ცნობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის შეიძლება ჩაითვალოს წინასწარმეტყველად, ეს სტატუსი მხოლოდ მამაკაცებისათვის არის განკუთვნილი[24] (12:109). ალაჰის წყალობა, რომელსაც ჯაბრპ'ილი (გაბრიელი) გადასცემს მას, ეკუთვნის უპირველეს ყოვლისა იესოს ან ზაქარიაპს და მხოლოდ შემდეგ მარიამს [13,VIII,45-46]. ცნობილი ღვთისმეტყველებიდან, მხოლოდ იბნ ჰაზმი (994-1064) თვლის, რომ ქალებს შეუძლიათ მიიღონ წინასწარმეტყველური ქარიზმა (ნუბუვვა) და მარიამი ამით დაჯილდოებული იყო[25] [353,289].

---

[20] გადმოცემით, მარიამის გარდა, ფატიმაც არის სამოთხის ქალბატონი [11,II,233]. ზოგიერთ შიიტურ ნაშრომში ფატიმა წარმოდგენილია, როგორც მარიამის თანამეუღლე სამოთხეში. მეორე მხრივ, ევა, ასია, მარიამი და ფატიმა (ევა აქ ცელის ხადიჯას) — ყველა ერთნაირ რანგში არიან სამოთხეში [279,20;14,VI,393-94].

[21] ნაბი (მდ. სქესი-ნაბიდა) — წინასწარმეტყველი. ის ვინც ალაჰისაგან ილებს ზეშთაგონებას.

[22] თუმცა ამ საკითხის დასმა უკვე მნიშვნელოვანი ფაქტია.

[23] ავლიპ' — ყურანში ამ სიტყვას ჰქონდა მნიშვნელობა „ღმერთის მფარველობის ქვეშ მყოფი". მაგრამ ჰადისებში ამ ტერმინმა ახალი შინაარსი შეიძინა — ღმერთის ახლობლები, მეგობრები. წმინდანთა კულტის და სუფიზმის განვითარებასთან ერთად ის იხმარება, როგორც „წმინდანი"[131,372-73]. ისინი იყვნენ მუსლიმი წმინდანები, რომლებსაც ზებუნებრივი ქმედებების უნარი გააჩნდათ და წინასწარმეტყველური ქადაგების „ფარული" აზრის ხალხისათვის განმარტება შეეძლოთ.

[24] ყურანის ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ქალთა წინასწარმეტყველობის საკითხი ეჭვს არ იწვევს შემდეგი ჰადისის საფუძველზე: „ქალთა შორის არიან ისეთები, რომლებიც უფრო აღმატებულნი და უფრო მცოდნენი არიან, ვიდრე სხვები..... ისინი (მარიამი, ხადიჯა, ფატიმა და ასია) რეალურად არიან მამაკაცები" [336,179].

[25] „წინასწარმეტყველობის" პატივით დაჯილდოვდა აგრეთვე ბიბლიური ისაკის და მოსეს დედა (უმმ მუსპ — 28:7) და ფარაონის ცოლი, რადგანაც ამ ქალებმა ღმერთისაგან მიიღეს ცოდნა სიტყვების ან შთაგონების, გამოცხადების (ვაჰი — ღვთიური მითითება, გადასცეს მიღებული ინფორმაცია ხალხს) საფუძველზე [353,289; 52,952,51a]. აზ-ზამახშარის თანახმად, ის არჩეული იქნა უმაღლესი პატივისათვის — ქარიზმა (სიტყვა-სიტყვით ზებუნებრივი ქმედება, რომელსაც ახორციელებს წინამძღოლი, ვინც ფლობს განსაკუთრებულ

ყურანის ფრაზა – „მარიამი არჩეულ იქნა ღმერთის მიერ“ ნიშნავს, რომ ის არჩეული იქნა, როგორც არიან არჩეულნი წინასწარმეტყველები [281,28]. ატ-ტაბარი აღნიშნავს, რომ ეს „არჩევა“ ეკუთვნის მხოლოდ კონკრეტულ ეპოქას [14,III,262].

საინტერესოა, რითი იყვნენ გამორჩეულნი დანარჩენი ქალები და რა საერთო აქვთ მათ მარიამთან?

1) ისინი უპირველეს ყოვლისა გაერთანებული არიან ღვთისმოსავობით, ალალმართლობით, უმწიკვლოებით, რომლის საფუძველიც არის ღმერთისადმი ქალური ვალდებულებების შესრულება და უპირობო მორჩილება.

2) ქალწულობა (თავისუფლება ქალური, ფიზიკური სიმპტომებისაგან).

3) დედობა.

ესიას გათხოვება იმპოტენტ ფარაონზე შეესატყვისება მარიამის ქალწულობას. მაშინ, როცა ფატიმას უბინოება დაკავშირებულია იმასთან, რომ ის თავისუფალია „ნაბილწვისაგან“. ხადიჯას კი აქვს საპატიო ტიტული – წმინდა, განმენდილი (ატ-ტაჰირ), თუმცა მუჰამადამდე ორჯერ იყო გათხოვილი. ხადიჯას უმწიკვლოება და სიწმინდე დაკავშირებულია მის დედობასთან – ის იყო მოციქულ მუჰამადის ყველა შვილის დედა, ერთის გარდა. ესიას დედობა მოხდა მოსეს შვილად აყვანით[26], მარიამის – ღმერთის შემნეობით, მისი უშუალო ჩარევით. ხოლო ფატიმა იყო მუჰამადის შვილიშვილების – ჰასანის და ჰუსაინის დედა. მრავალი მუსლიმის აზრით, სწორედ ისინი იყვნენ მოციქულის ნამდვილი მემკვიდრეები. რაც შეეხება ‘ა’იშას, მუჰამადის მესამე და უსაყვარლეს ცოლს, მას განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა მუჰამადის ჰარემში. მიუხედავად ამისა, ის არ იყო სხვათა მსგავსად ცოლი და დედა. ჰადისებში გადმოცემულია ასეთი მბავი: ‘ა’იშამ უთხრა მუჰამადს, რომ ყველა მის ცოლს ჰქონდა ქუნია - „დედა მავანის და მავანის“. მუჰამადმა მისცა მას ქუნია, „უმმ ‘აბდ ალ-ლაჰ“ – „‘აბდ ალ-ლაჰის[27] დედა“.

ქარიზმას) [7,I,362]. იბნ ჰაზმის თანახმად, მარიამის წინასწარმეტყველობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ის მოხსენიებულია ყურანში ეპითეტით: ṣიდდიკა – „ალალმართალი ქალი“(5:75), ისევე როგორც წინასწარმეტყველი იუსუფი – ṣიდდიკ (ალალმართალი მამაკაცი - 12:46) [350,77].

[26] სწორედ მან გადაარჩინა პატარა მუსა დაღუპვას [28:9].

[27] ‘აბდ ალ-ლაჰ ბ. აზ-ზუბაირი – ‘ა’იშას პატარა დისშვილი, ასმა’ ბინთ აბი ბაქრის და ზუბაირ ბ. ალ-‘ავვამის შვილი. ‘ა’იშას ის ყველაზე მეტად უყვარდა მუჰამადის და თავისი მშობლების შემდეგ.

თუ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების მიხედვით განვიხილავთ თითოეული ქალის ცხოვრებას, ასიას დამსახურებები ასე განისაზღვრება:

ა) მის დაბადებას და ადრეულ ცხოვრებას ახლდა სასწაულებრივი, ზებუნებრივი მოვლენები.

ბ) ასიას გათხოვება ორგულ, მოღალატე ფარაონზე იყო მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო თავისი ხალხის დასაცავად.

გ) თავისი მეუღლის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ასიამ არ უღალატა თავის რწმენას და ის წამებით მოკლეს[28].

დ) ასიას გამოეცხადა მთავარანგელოზი ჯაბრა'ილი, რომელმაც ამცნო, რომ ის შეუერთდებოდა მუჰამადს სამოთხეში.

ე) გადმოცემით, ღმერთის სპეციალური ჯილდო ასიასათვის – ჭეშმარიტი მორწმუნისათვის იყო ის, რომ როგორც მუჰამადის ციური ცოლი ამ პატივს გაიზიარებდა სხვა ცოლებთან და ღვთაებრივ მარიამთან ერთად [350,59].

ოთხი ქალი იყო მუჰამადის თანამგზავრი სამოთხეში: მარიამი, ასია, ხადიჯა და 'ა'იშა. ჰადისების თანახმად, მუჰამადის ყველა მინიერი ცოლი იქნება მისი თანამგზავრი სამოთხეში. მოსეს დაც მუჰამადის ზეციურ ცოლად არის დასახელებული.

მარიამის და ასიას დამსახურებები ძირითადად დაფუძნებულია ყურანის გამოცხადებებზე. ხადიჯას ძირითადი დამსახურებაა ის, რომ ეხმარებოდა მუჰამადს რელიგიური მისიის განხორციელებაში. ფატიმას დამსახურება იმით გამოიხატება, რომ ის იტანჯებოდა მოციქულის სიკვდილით, რადგანაც მუჰამადის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი შვილი იყო, ხოლო 'ა'იშა მათგან განსხვავებით, იყო მუჰამადის უსაყვარლესი ცოლი.

ხადიჯა იყო მუჰამადის პირველი ცოლი. ის ბიოგრაფიულ კრებულებში ძირითადად მოხსენიებულია, როგორც პირველი მუსლიმი მუჰამადის შემდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ თავდაპირველად, როდესაც დაიწყო მუჰამადზე ღვთაებრივი ზეშთაგონების გარდმოვლენა, ხადიჯამ თავის ბიძაშვილ ვარაკა ბ. ნავფალთან ერთად დაარწმუნა მუჰამადი მისი ზმანებების ჭეშმარიტებაში.

---

[28] ასიას მონამეობრივი სიკვდილი მოხდა მას შემდეგ, რაც ფარაონმა დახოცა მორწმუნეთა გარკვეული რაოდენობა სასახლეში, მათ შორის თავისი მოსამსახურე ქალი ქმართან და ბავშვებთან ერთად. უდანაშაულო მორწმუნეთა დასჯამ უბიძგა ასიას საჯაროდ გამოეცხადებინა თავისი რწმენა. მას ვერ გადაათქმევინა ვერც საკუთარმა დედამ და ის წამებით მოკლეს [350,59].

ხადიჯას სათნოება ხშირად არის ხაზგასმული თვით მუჰამადის მიერ, რაც 'ა'იშას გაღიზიანებას იწვევდა. გადმოცემით, 'ა'იშამ თქვა: *„მე არ ვეჭვიანობდი მოციქულის (ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება) არც ერთ ცოლზე, ისე როგორც ვეჭვიანობდი ხადიჯაზე, თუმცა ის გარდაიცვალა 3 წლით ადრე, ვიდრე მისი ცოლი გავხდებოდი, რადგანაც ის გამუდმებით მასზე საუბრობდა და ხშირად ბრძანებდა დაეკლათ ცხვარი და დაერიგებინათ ხალხისათვის, როგორც წყალობა ხადიჯას ხსოვნისათვის"* [5,412; 40,3/47-48; 53,7/134].

ხადიჯას პრივილეგირებულ მდგომარეობას განსაზღვრავდა ისიც, რომ ფატიმას დედა იყო. 6 ჰადისში, ის სწორედ ფატიმას საშუალებით უკავშირდება ყურანის მარიამს და ასიას.. ერთ-ერთი ჰადისის თანახმად, რომლის ავტორიც არის 'ალი ბ. აბი ტალიბი, მუჰამადს უთქვამს: „საუკეთესო ქალი თავისი (ისლამამდელი ხანის) დროისა იყო მარიამი და ხადიჯა - თავის დროის (ისლამური ხანის) [5,406; 40,5/102].

გადმოცემით, მუჰამადმა ანუგეშა ხადიჯა სიკვდილის წინ, როცა გადასცა გაბრიელის მონათხრობი, რომ ღმერთმა ხადიჯასათვის სამოთხეში ააშენა სახლი ბრილიანტის თვლებისაგან, „თავისუფალი ხმაურისაგან" [49,II,35]. ამასთან ეს სახლი მარიამისა და ასიას სახლს შორის იყო [350,80].

სამოთხე არის განმსაზღვრელი რწმენის და რელიგიის, ამდენად ხადიჯა და ფატიმა აღწერილი არიან, როგორც „ყველაზე საუკეთესონი" სამოთხის ქალებს შორის მარიამთან და ასიასთან ერთად[29] [11,III,135; 345,156; 14,III,263; 13, VIII, 46; 11,II,233,III,135].

---

[29] თუმცა, ზოგიერთი გადმოცემით, აღმატებულ ქალთა რიცხვს მიეკუთვნებიან მხოლოდ მარიამი და ასია. შიიტური გადმოცემით, მესამე იმამის – ჰუსაინ ბ. 'ალის უმცროსმა ქალიშვილმა – საქინამ ნახა სიზმარი ქერბელას ტრაგედიის (680 წ.) შემდეგ, თითქოს ის შევიდა სამოთხეში და აღმოაჩინა სასახლე ბაღში. შემდეგ მოსამსახურეებმა წაიყვანეს ის სასახლეში. იქ იყო 6 ქალი, რომელთა გარეგნობა ხოტბაშესხმული იყო ალაჰის მიერ და რომელთა სახე იყო კაშკაშა ღვთიური ნათელით – ევა (კაცობრიობის დედა), მარიამ ბინთ 'იმრანი (იესოს დედა), ხადიჯა ბინთ ხუვაილიდ (მოციქულ მუჰამადის პირველი ცოლი), ჰაჯარი, სარა და ფატიმა. მუჰამმად ბაქირ მაჯლისის (გარდ. 1111/1699-700) აზრით, აქ წარმოდგენილი არიან აბრაამისტული რელიგიების ქალები: იუდაიზმი – სარა, ქრისტიანობა – მარიამი, ისლამი – ჰაჯარი, ფატიმა და ხადიჯა [306,78-79].

ფᾶტიმას[30] გამორჩეულ მდგომარეობას ძირითადად შიიზმმა შეუწყო ხელი. ამასთან, ადრეულ მუსლიმურ წყაროებში მის პრივილეგირებულ მდგომარეობას ხელს უწყობდა მამა, ხოლო მოგვიანებით ქმარი – 'ალῑ ბ. აბῑ ṭᾶლიბი. ამდენად, ფᾶტიმა იყო შიიტთა პირველი იმᾶმის ცოლი, მეორე და მესამე იმᾶმის (ḥასანი და ḥუსაინი) დედა, ისლამის მოციქულის – მუḥამადის ქალიშვილი და მისი ერთადერთი მემკვიდრე. ტერმინი *„აჰლ ალ-ბაით“* [31] – ყურანში იხმარება იბრᾶhῑმის სახლის მცხოვრებთა (11:76/73) და მუḥამადის „სახლის ოჯახის“ მნიშვნელობით [189,177]. შიიტებისათვის *„აჰლ ალ-ბაით“* მოციქულის ოჯახის სინონიმია და მასში გულისხმობენ ფᾶტიმას, 'ალῑს, ḥასანს და ḥუსაინს [282,193]. ამასთან, მუḥამადი ფᾶტიმას აღიარებს მისი ოჯახის „საუკეთესო წევრად“, „ჩემს ნაწილს“ უწოდებს და განმარტავს, რომ „ვინც მას ანყენინებს, მეც მაწყენინებს“ [40,5/50].

ალ-ბუხᾶrῑს ḥადისების კრებულში არის ერთი საინტერესო გადმოცემა, რომლის თანახმადაც 'ᾶ'იშამ დაინახა, რომ გარდაცვალების წინ მუḥამადი ესაუბრებოდა ფᾶტიმას და მან გაიცინა. მუḥამადის სიკვდილის შემდეგ 'ᾶ'იშამ ḥკითხა ფᾶტიმას, თუ რას ეუბნებოდა მუḥამადი. მათი საუბრის შინაარსი ასეთი იყო: მუḥამადმა უთხრა, რომ ჯაბრᾶ'ილის საშუალებით შეიტყო თავისი აღსასრულის მოახლოების ამბავი და დაუმატა, რომ ფᾶტიმა პირველი იქნებოდა მისი ოჯახის წევრებიდან, ვინც შეუერთდებოდა იმ ქვეყნად. ფᾶტიმა ატირდა, მაგრამ მუḥამადმა უთხრა: „კმაყოფილი არა ხარ, რომ სამოთხის მცხოვრებთა საᾶიდა[32] (ქალბატონი) იქნები“? მაშინ ფᾶტიმამ გაიცინა [40, 4/526-27].

ფᾶტიმას, ისევე როგორც მარიამს, ღვთიური წარმოშობა ḥქონდა. გადმოცემით, მისი ჩასახვა მოხდა მი'რᾶჯის ღამეს[33], როდესაც მუḥამადმა მიაღწია მეექვსე ცას, გაბრიელმა ხელი წაავლო და შეიყვანა სამოთხეში. იქ მან დაინახა ხისგან მომდინარე სინათლე და ორი ანგელოზი, რომლებიც მის წინ იდგნენ. ხეზე მუḥამადმა შეამჩნია აგრეთვე რამდენიმე კეთილსურნელოვანი ფინიკი და შე-

---

[30] ყურანში ფᾶტიმა არ იხსენიება სახელით, მაგრამ კლასიკური ეგზეგეტიკური ტრადიცია გარკვეულ აიებს უკავშირებს მას და მის ოჯახს (3:195, 55:19, 92:3, 33:33, 3:61).

[31] ატ-ṭაბარᾶrῑს მოაქვს ტრადიცია, რომელიც განმარტავს „აჰლ ალ-ბაით“-ს, როგორც მოციქულის ცოლებს [14,XXII,6,8].

[32] იგულისხმება „მორწმუნე ქალების“ ან „სამოთხის ქალთა“, ან „მსოფლიოს ქალების“ - ყველა ვარიანტი არის ḥადისებში.

[33] ალ-ისრა' ვა-ლ-მი'რᾶჯ – მუḥამადის ღამის მოგზაურობა მექიდან იერუსალიმში და ზეცად ამაღლება.

ჭამა ერთ-ერთი მათგანი. სწორედ იმ ღამეს მოხდა ფატიმას ჩასახვა [283,23; 131,254].

ტრადიციის თანახმად, ფატიმა ჯერ კიდევ დედის მუცელში ამშვიდებდა ხადიჯას იმ განცდებში, რაც მან გადაიტანა მექის ქალებისაგან[34]. პარალელი შეიძლება დავძებნოთ ყურანის იმ სიუჟეტში, როცა იესო აკვნიდან იცავს მარიამს.

მარიამი იყო იმ ოთხ ზებუნებრივ მეან ქალს შორის, რომლებიც ეხმარებოდნენ ხადიჯას – ფატიმაზე მშობიარობის დროს. ერთ-ერთ ჰადისში აღნერილია ფატიმას დაბადება, სადაც უკეთ ჩანს მარიამის გავლენა. „გაუცხოებით, რომელიც წარმოიშვა ხადიჯას და კურაიშის ტომის ქალებს შორის, აიხსნება მათი უარი დახმარებოდნენ მას (ხადიჯას) მშობიარობის დროს. ღრმად შენუხებულმა მოულოდნელად დაინახა თავის წინ ოთხი ქალი და უფრო მეტად შეწუხდა. მაშინ ერთმა მათგანმა უთხრა: ნუ გეშინია ხადიჯა, ჩვენ გამოგზავნილი ვართ ღმერთის მიერ, რათა დაგეხმაროთ შენ. შემდეგ ისინი წარუდგნენ როგორც სარა – იბრაჰიმის ცოლი[35], ასია – მუზაჰიმის ქალიშვილი და ფარაონის ცოლი, მარიამი – 'იმრანის ასული და ქულსუმ[36] – მუსა ბ. 'იმრანის და. ისინი განლაგდნენ ხადიჯას გარშემო, როგორც მეანი ქალები, შემდეგ გაწმინდეს, გაახვიეს ბავშვი და მიულოცეს ხადიჯას ღვთითკურთხეული ბავშვის დაბადება[37] [283,27].

გადმოცემით, ანგელოზმა აუხსნა ფატიმას მისი სახელის მნიშვნელობა: „მე გამოგყოფ შენ უწმინდურობისაგან". მეორე მნიშვნელობით, ღმერთმა გამოყო ის და მისი ოჯახი ჯოჯოხეთისა-

---

[34] არის მოსაზრება, რომ კურაიშელები განუდგნენ ხადიჯას, რადგანაც ის გათხოვდა ღარიბ ადამიანზე, უფრო დაბალი სოციალური კლასის ნარმომადგენელზე.

[35] ჰადისებში სარა და ხადიჯა ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, როგორც თავიანთი ქმრების პირველი მიმდევრები და მხარდამჭერები. ამასთან, ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში შექებულია სარას დედობა. ეს არის გაგრძელება იმ სამოციქულო ხაზისა, რომელსაც მიეკუთვნებიან პოსტაბრაამისტული ყურანის მოციქულების და წინასწარმეტყველების უმეტესობა (მხოლოდ ისმა'ილი, ჰაჯარის ვაჟი და მათი შთამომავალი მუჰამადი არიან იბრაჰიმის ძენი არა სარას ხაზით). ეს იყო სარა და შემდეგ ლუტი (ლოთი) – იბრაჰიმის ბიძაშვილი ან მისი ძმისშვილი (შესაძლოა, სარას ძმა), რომლებმაც პირველებმა ირნმუნეს იბრაჰიმის წინასწარმეტყველური მისია [350,43-45].

[36] მუსას დის ნაცვლად, ზოგან დასახელებულია მუსას ცოლი - ხაფურა', შუ'აიბის ქალიშვილი [370,845].

[37] არსებობს ლეგენდარული გადმოცემა, რომ ხადიჯასთან მივიდა ათი ჰურია სამოთხიდან. მათ შორის პირველმა განბანა ბავშვი სამოთხის წყაროს წყლით და გადასცა ხადიჯას, რომელმაც გამოკვება ის [370,845-46].

გან, რაც აძლიერებს ფატიმას როლს, როგორც მოსარჩლისას საშინელ სამსჯავროზე [30,142].

ფატიმას უცნაური ქუნია ჰქონდა *„უმმ აბიჰა“* - „თავისი მამის დედა“[38]. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქრისტიანებთან არის მარიამის კულტი, მუსლიმებთან კი ფატიმასი, შესაძლოა ეს ტიტული შეესაბამება „ღმერთის დედა“-ს. ფატიმას ჰქონდა აგრეთვე ტიტული – *ალ-მუჰადდასა*, რადგანაც ანგელოზები ესაუბრებოდნენ მას, როგორც მარიამს და თვითონაც ესაუბრებოდა მათ.

შიიტ ავტორთა შრომებში ფატიმა მოხსენიებულია, როგორც *„ატ-ტაჰირ“* – წმინდა. იგივე ეპითეტი ადრე მიეკუთვნა 'ა'იშას. ყურანში ეს ტიტული მიკუთვნებული აქვს მარიამს და „აჰლ ალ-ბაითს“, რომელიც მუჰამადის ოჯახის სინონიმია. მოციქულმა დაუძახა ფატიმას, 'ალის, ჰასანს, და ჰუსაინს და უთხრა: „ალაჰს სურს მოგაცილოთ სიბილწე თქვენ, თავისი სახლის ოჯახს და გაგწმინდოთ განმენდით“ [30,142]. 'ა'იშას შემთხვევაში მისი სიწმინდე შეესაბამება მის უმწიკვლოებას, ალალმართლობას, რაც უკავშირდება მის მიმართ ცილისწამებას.

შიიტური ტრადიციით, განკითხვის დღეს ფატიმა პირველი შევა სამოთხეში. გადმოცემით, ის და 'ალი ზეცაში დაქორწინდნენ (ალაჰი ვალი იყო, ჯაბრა'ილი - ხატიბი, ანგელოზები მოწმენი, მაჰრს კი – ნახევარი დედამიწა, სამოთხე და ჯოჯოხეთი შეადგენდა). ამასთან, ფატიმას უპირატესობას ადასტურებს ისიც, რომ სამოთხეში ის 'ალის ერთადერთი ცოლი იქნება, მაშინ როცა სხვა მამაკაცებს რამდენი ჰურიაც[39] მოესურვებათ, იმდენი ეყოლებათ. 'ალიმ უარი განაცხადა ფატიმას გვერდით ჰყოლოდა სხვა ცოლი. ამდენად, ფატიმა ამქვეყნადაც 'ალის ერთადერთი ცოლი იყო.

შიიტური ტრადიცია განსაკუთრებით ხაზს უსვამს მარიამის და ფატიმას მჭიდრო კავშირს[40] [282,193]. ფატიმა მოხსენიებულია,

---

[38] შიიტი კომენტატორები ამ მეტსახელს ასე ხსნიან: ფატიმამ გამოცხადებათა საშუალებით შეიტყო, რომ მისი ყველაზე ბოლო შთამომავლის სახელი, მამამისის მსგავსად იქნებოდა მუჰამადი [370,845].

[39] ჰურიია, ჰავრა' – მრ. რ. ჰურ – სამოთხის შავთვალა ასული. ეს სიტყვა ყურანში ჩნდება მხოლოდ მრავლობითის ფორმით. სამოთხის ასულები მოხსენიებული არიან სამოთხის სიამოვნებათა აღწერის დროს. ტრადიციების თანახმად, თითოეულ მორწმუნეს აღუთქვამენ 2, 72, 500 ან 8 000 ჰურიიას. მათი ასაკი არ აღემატება 33-ს და ისინი ყოველთვის დარჩებიან ქალწულებად [249,456-57].

[40] ლ. მასინიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისლამში მარიამის და ფატიმას კულტის „ტიპოლოგიურ“ სიახლოვეს. თუმცა, არა ისტორიული, არამედ ღვთისმეტყველური კუთხით და თვლიდა, რომ მათი შედარება არის

ტიტულით „მსოფლიოს ქალთა ქალბატონი", ისევე როგორც ყურანში არის აღწერილი მარიამი. ტაძარში ყოფნის დროს მარიამი ყოველდღიურად საზრდოს იღებდა ალაჰისაგან. ასევე ფატიმა იღებდა ღმერთისაგან საკვებს თავისთვის და თავისი ოჯახისათვისაც. გადმოცემით, „ალაჰის მოციქულმა შემოიარა თავისი ცოლების სახლები და ვერ იპოვა იქ ვერანაირი საჭმელი. ის წავიდა ფატიმასთან და ჰკითხა მას, თუ ჰქონდა რაიმე საჭმელი. მან უპასუხა - არა. მოგვიანებით, მეზობელმა გამოუგზავა ფატიმას 2 პური და 1 პატარა ნაჭერი ხორცი. მან გადააფარა მას და გაგზავნა ჰასანი და ჰუსაინი, რათა დაეძახათ თავისი ბაბუისათვის და როდესაც მოვიდა, მან (ფატიმამ) გადახადა და (თეფში) სავსე იყო პურით და ხორცით. მიხვდა, რომ ეს იყო ღმერთის ნყალობა. როდესაც მან (მუჰამადმა) ჰკითხა მას, საიდან იყო ეს, ფატიმამ უპასუხა, რომ ეს იყო ღმერთისაგან, რომელიც ვისაც მოისურვებს იმას აძლევს. მოციქულმა შეაქო ალაჰი და თქვა: მან გაქცია შენ ბანუ ისრა'ილის საუკეთესო ქალად" [336,180,შენ.95].

ორივე, მარიამიც და ფატიმაც, მოინახულეს ანგელოზებმა (რიდვან) ბავშვობაში და აგრეთვე თავიანთი შვილების დაბადებისას, წინამავალი განმარტოების დროს. მარიამი გამოჩნდა ფატიმასთან უკანასკნელი ავადმყოფობის დროსაც, რათა ნუგეში ეცა მისთვის[41] [192,50].

ფატიმას და მარიამს აერთიანებთ აგრეთვე მწუხარება. სუნიტური ტრადიციით, ფატიმას მწუხარება უკავშირდება მუჰამადის სიკვდილს, რადგანაც მისი შვილებიდან მხოლოდ ფატიმა იყო ცოცხალი. ხოლო შიიტური მოძღვრებით, ის აგრეთვე დამწუხრებული დედაა, რომლის ხანმოკლე და მძიმე ცხოვრება უფრო სასტიკი გახდა ვაჟიშვილის - ჰუსაინის მომავალი წამების წინასწარ განჭვრეტის გამო[42] [370,847].

შიიტური ჰაგიოგრაფია სცნობს მსგავსებას იესოს და ჰუსაინს შორის, ისევე როგორც მათ „წმინდა" დედებს შორის. თუმცა, ყურანის მიხედვით, იესო იყო დევნილი და უარყოფილი თავისი

თანამედროვე მუსლიმურ-ქრისტიანული დიალოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა [279].

[41] მოთხრობილია აგრეთვე, რომ ფატიმა და მარიამი მიეიდნენ მე-12 იმამის — ფატიმას პირდაპირი შთამომავლის — მუჰამადის ქორწილში, რათა დაელოცათ ის [193,219].

[42] ფატიმამ იცოცხლა 75 დღე მუჰამადის შემდეგ. მასთან მიეიდა მთავარანგელოზი — ჯაბრა'ილი, რომელმაც ნუგეში სცა მამის სიკვდილის გამო. ამასთან შეატყობინა, თუ რა გადახდებოდათ მის მემკვიდრეებს მისი გარდაცვალების შემდეგ [306,73].

ხალხის მიერ. მაგრამ მუჰამადი არ აღიარებს მის სიკვდილს (4:156/157). მოხდა მისი ზეცად ამაღლება. ჰუსაინი კი წამებით იქნა მოკლული [193,35].

ფატიმა, მარიამის მსგავსად, იწოდებოდა როგორც *„ალ-ბათულ"* - ქალწული[43] და მრავალ ადგილას მოხსენიებულია სახელით *„მარიამ ალ-ქუბრა"* - „უდიდესი მარიამი" [281,27; 350,80]. აქ პარალელს ავლებენ იესოს დაბადებასა და 'ალის - ფატიმას მეუღლის დაბადებას შორის. მაგალითად, 'ალი დაიბადა ქა'აბაში ღამით, როცა იქ იყო კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც აღარ გამოჩენილა. ასევე, იესოსაც აქვს წმინდა წარმოშობა. მარიამმა ის ზებუნებრივად დაბადა. იესო დაიბადა კურთხეული ხის ქვეშ, ხოლო 'ალი - კურთხეულ ქა'აბაში [336,180,შენ.95].

შიიტ ღვთისმეტყველთა შრომებში ხაზგასმულია, რომ ფატიმას სახელი – *აზ-ზაჰრა'* („კაშკაშა",„ბრწყინვალე")[44] სინათლის მოტივთანაა დაკავშირებული. გადმოცემით, ღვთაებრივი სინათლის ზეგარდმოვლენა მოხდა ღმერთიდან მუჰამადზე, ხოლო მუჰამადიდან ფატიმაზე და 'ალიზე. აღნიშნულია, რომ ეს სინათლე ყოველდღე მომდინარეობდა ფატიმასაგან, როცა ის ლოცულობდა.

შიიტ კომენტატორებთან აღნიშნულია ფატიმას აბსოლუტური უპირატესობა ყველა დროის ყველა ქალთან „რადგან ის არის ხორცი ხორცთაგანი მოციქულის, ხოლო მოციქულის ნაყოფი (ღვიძლი შვილი) არ არის ტოლი – 'იმრანის ღვიძლი შვილის" [131,255]. ამ უპირატესობას ხსნიან ჰადისებით. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, მუჰამადი იწყებს თავის ქადაგებას შემდეგი სიტყვებით: „ფატიმა - ის უდიდესია მსოფლიოს ქალებში, პირველიდან უკანასკნელამდე" [281,23].

რაც შეეხება 'ა'იშა ბინთ აბი ბაქრს, ის არის მუჰამადის ხორცშესხმული ცოლი. თუ მარიამი და ასია არიან ყურანში ქალის იდეალი, მათგან განსხვავებით, 'ა'იშა ისტორიული პიროვნებაა. ჰადი-

---

[43] ქალწულობა შეესატყვისება ფიზიკურ სიწმინდეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ მოციქულის ქალიშვილს არ შეიძლება ჰქონდეს მენსტრუაცია და შესაბამისად, იყოს რიტუალურად უწმინდური. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალწულობის იდეალი უფრო მნიშვნელოვანია დასავლური ქრისტიანული აზროვნებისათვის და არასოდეს არ ენიჭებოდა ასეთივე ღვთისმეტყველური მნიშვნელობა ისლამში. ყურანი, პირიქით, მიუთითებს ქორწინებაზე და უარყოფს ბერ-მონაზვნურ სიბრძნეს [131,256].

[44] ფატიმა – 'ალის ცოლი შიიტებისათვის იყო ყველაზე პატივსაცემი ქალი, თითქმის ღვთაების რანგში აყვანილი. შიიტური მოძღვრებით, ისლამის პირველ საუკუნეებში წმინდანს უნდა ჰქონოდა თავისი განსაკუთრებული ეპითეტი, მეტსახელი. შიიტებმა მას უწოდეს „ზაჰრა' ალ-ლაჰ" – „ალაჰის სინათლე' [123,44].

სების თანახმად, *„არიან სრულყოფილი მამაკაცები, მაგრამ არ არიან [სრულყოფილი] ქალები გარდა ოთხისა: მარიამი - 'იმრანის ასული, ასია — მუზაჰიმის ქალიშვილი და ფარაონის ცოლი, ხადიჯა ბინთ ხუვაილიდი და ფატიმა ბინთ მუჰამმადი"* [206,114;343,130-149].

მოგვიანებით, იბნ 'ასაქირმა (გარდ. 1223 წ.) ასე შეავსო ეს ჰადისი: *„მრავალი სრულყოფილი მამაკაცია, მაგრამ არ არიან სრულყოფილი ქალები, გარდა ოთხისა: მარიამი — 'იმრანის ასული, ასია — ფარაონის ცოლი, ხადიჯა ბინთ ხუვაილიდი და ფატიმა ბინთ მუჰამმადი და უპირატესობა 'ა'იშასი [სხვა ქალებზე] მსგავსია სარიდის უპირატესობისა სხვა საჭმელებზე"* [345,172].

ატ-ტაბარი, თავის ქრონიკაში „მეფეთა და მოციქულთა ისტორია" [58,III,1362], წარმოაჩენს 'ა'იშას მარიამთან მიმართებაში. როდესაც აღწერს მუჰამადის ქორწინებას 'ა'იშასთან, ხაზს უსვამს მის 9 თვისებას, რაც ახასიათებს მხოლოდ 'ა'იშას და მარიამს[45].

დახასიათება იწყება მათი პორტრეტების შედარებით. აღნიშნულია აგრეთვე, რომ ორივე ქალის ცხოვრებაში მთავარანგელოზი გაბრიელი თამაშობს ზებუნებრივ როლს. ორივე ღვთიური ჩარევის ობიექტები არიან. მუჰამადისა და 'ა'იშას ქორწინებაში დიდ როლს თამაშობს გაბრიელი. მარიამიც მოინახულა ანგელოზმა (19:17). ყველგან ანგელოზები აძლევენ მას საზრდოს (3:45). სახარებაში მას ანგელოზი გამოეცხადა, ხოლო ყურანში - გარკვეული სული, რომელიც ატყობინებს იესოს დაბადებას. ორივე ქალწული აღნერილია, როგორც *„აჲ-ხიდიკა"* — ალალმართალი[46]. 'ა'იშას შემთხვევაში ეს ნიშნავს „მორწმუნეს" ან „ალალმართალს" იმ ცილისწამებასთან კონტექსტში, რომელიც მის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ნიშნავს ქალს, რომელიც ამბობს სიმართლეს, რათა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ეს ეპითეტი არის „აჰლ ალ-იფქის" საპირისპირო — „ტყუილის, ცილისწამების ხალხი". 'ა'იშას ცილი დასწამეს მრუშობაში. ასევე, როდესაც მარიამი გათხოვების გარეშე, ბავშვით ხელში დაბრუნდა თავის ახლობლებთან, ის გაკიცხეს და გარყვნილებაში დაადანაშაულეს (19:27/28). ორივე გა-

---

[45] ჰადისებში და ყურანის ეგზეგეტიკაში 'ა'იშა ხშირად ასოცირდება მარიამთან, მაგრამ არა ამ უკანასკნელის ღვთიური ამორჩევით, მორჩილებით და უმნიკელოებით. წინა პლანზეა წამონეული ორი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც უკავშირდება 'ა'იშას ისტორიულ პიროვნებას: მრუშობაში ცილისწამება და მონაწილეობა პირველ სამოქალაქო ომში [341,59].

[46] სუნიტები 'ა'იშას მიაკუთვნებენ ეპითეტს — რადია, ხოლო შიიტები მას მოიხსენიებენ ფატიმასთან დაკავშირებით. სწორედ მასთან მიმართებაში აღნიშნავდა ეს სიტყვა „რჩეულს" ან იმას „ვისითაც კმაყოფილია ალაჰი" [123,50].

მართლდა მოციქული მამაკაცის საშუალებით. იესო, შვილი და მოციქული, ჯერ კიდევ აკვნიდან საუბრობს დედის დასაცავად (19:29-30). მუჰამადს, 'ა'იშას ქმარს და მოციქულს კი, ალაჰისაგან გამოცხადება ჰქონდა, რითაც დადასტურდა 'ა'იშას სიმართლე.

სიცოცხლის ბოლოს ორივე, მარიამი და 'ა'იშაც ისურვებენ თავიანთი ცხოვრების ძირითადი მომენტების სრულ დავიწყებას. მარიამის მონანიება ხდება მშობიარობის ტკივილების დროს. მას შერცხვენის შიში ჰქონდა, თქვა: *„რატომ არ მოვკვდი აქამდე, ვიქნებოდი დავიწყებული“* (19:23). 'ა'იშაც ინანიებს თავისი ცხოვრების ბოლოს – პირველი სამოქალაქო ომის ამბების დავიწყებას ცდილობს[47].

'ა'იშას ღირსებები ხაზგასმით არის აღნიშნული აგრეთვე ჰადისებში. იბნ სა'დი [8,VIII,63] ჩამოთვლის 'ა'იშას 10 პრივილეგიას, რაც გამოარჩევდა მას მუჰამადის დანარჩენი ცოლებისაგან:

1) ის იყო მუჰამადის ერთადერთი ქალწული (უბინო) ცოლი.
2) მისი ორივე მშობელი იყო ემიგრანტი.
3) ალაჰმა თვითონ გამოაცხადა ზეციდან მისი უბიწოება.
4) მასთან მივიდა მთავარანგელოზი ჯაბრა'ილი მისი სურათით და უთხრა: „დაქორწინდი მასზე, ჭეშმარიტად, ის შენი ცოლია“.
5) ის იბანდა იმავე ჭურჭლიდან, საიდანაც მუჰამადი.
6) მუჰამადი ლოცულობდა და 'ა'იშა იდგა მის წინ (მასთან ერთად ლოცულობდა).
7) მუჰამადი მისი თანდასწრებით იღებდა გამოცხადებებს.
8) მუჰამადი გარდაიცვალა მის მკლავებში.
9) მუჰამადი გარდაიცვალა იმ ღამეს, რომელიც რიგის მიხედვით მას ეკუთვნოდა.
10) მუჰამადი დაიკრძალა მის სახლში.

გადმოცემებში 'ა'იშა არსად არ არის გაერთიანებული ხადიჯასა და ფატიმასთან. 'ა'იშა, როგორც მუსლიმი ქალის იდეალი, დავის საგანი გახდა IX-X სს. სუნიტ და შიიტ ავტორებთან. თუმცა, მათი აზრით, „ალაჰმა უკეთესად იცის, ვინ არის ყველაზე საუკეთესო“.

---

[47] ამ შემთხვევაში 'ა'იშა, რომელმაც არ შეასრულა ალაჰის მითითება („დარჩით თქვენს სახლში..“), შიიტების კრიტიკის ობიექტი გახდა. ის შედარებულია ყურანის ყველაზე უარყოფით ქალებთან – წინასწარმეტყველების ლოთის და ნოეს ცოლებთან, რომლებიც დახასიათებულია 66:10 აიაში, როგორც ურწმუნოთა მაგალითები. მათი დაუმორჩილებლობა, ღალატი თავიანთი ქმრებისადმი არის 'ა'იშას დაუმორჩილებლობის ექვივალენტი [341,59].

ყურანში ყველა მოციქული და წინასწარმეტყველი, ადამიდან მუჰამადამდე, იყვნენ მამაკაცები. ღმერთის მიერ დედამიწაზე რჩეული ნარგზავნილების ისტორიის გადმოცემისას, ყურანი საუბრობს ქალებზე, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამა თუ იმ მოციქულთან, თუ წინასწარმეტყველთან. მარიამი ერთადერთი ქალია, რომელიც ყურანში სახელითაა მოხსენიებული. არც ერთ წმინდა წიგნს არ მიუცია ქალისათვის ასეთი მაღალი რელიგიური სტატუსი. ყურანში ჩამოყალიბდა ქალის იდეალი მარიამის სახით, რომელიც არის „მორწმუნეთა მაგალითი" თავისი სინმინდით, მორჩილებით და რწმენით. ხოლო ისლამურ ტრადიციაში ხადიჯა, ფატიმა და 'ა'იშა დაკავშირებულია მუჰამადთან, სამივე ქალი შექებულია ყურანის მარიამთან მიმართებაში და ისინი არიან მიბაძვის მაგალითი ყველა ქალისათვის.

მოციქულის არც ერთი ცოლი სახელით არ იხსენიება მუსლიმთა საღვთო წიგნში. თუმცა ყურანი სპეციალურად მიმართავს მოციქულის ცოლებს მრავალ შემთხვევაში. მათი ცხოვრების შესწავლა ადასტურებს, რომ თითოეული მათგანი იყო ღვთისმოსავი, მორწმუნე ქალი, რის გამოც ალაჰმა დააჯილდოვა ღვთიური მადლით – გამხდარიყო ალაჰის მოციქულის ცოლი.

2. მოციქულის ცოლები

ყურანით ცოლების რაოდენობა ოთხით განისაზღვრა (4:3), *„დაქორწინდით იმათზე, თქვენ რომ მოგწონთ – ორი, სამი, ოთხი. თუ გეშინიათ, რომ უსამართლო იქნებით, დაქორწინდით მხოლოდ ერთ მათგანზე"*[48]. თვითონ მუჰამადს ალაჰმა განუსაზღვრელი რაოდენობის ცოლების ყოლის ნება დართო. მუსლიმ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მუჰამადმა ამ სურის გარდმოვლენამდე მოიყვანა ყველა ცოლი[49]. ჰადისების მიხედვით მუჰამადს ჰყავდა 14 ცო-

---

[48] ეს სურა გაჩნდა 624 წელს ბადრთან და 625 წელს უჰუდის მთასთან ბრძოლის შემდეგ, როცა მრავალი მუსლიმი ქალი დაქვრივდა. ისინი ძირითადად იყვნენ მექელი ემიგრანტები.

[49] ყურანის 4:3 აია გარდმოეცლინა რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე 33:50 აია. გერტრუდ სტერნი 4:3 აიას განიხილავს, როგორც ქორწინების ინსტიტუტის „კანონიზირებას" ისლამში. ის ხაზს უსვამს, რომ ამ სურის გარდმოვლენისას, მუჰამადს ჰყავდა მხოლოდ ოთხი ცოლი. მოგვიანებით, მან გაზარდა თავისი ცოლების რიცხვი, რათა დახმარებოდა ქვრივებს და ამით მაგალითი მიეცა თავისი მიმდევრებისათვის [347,78-81].

ლი. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა[50]. თუმცა ყველა ერთი აზრის არის იმასთან დაკავშირებით, რომ 9 ცოლი იყო ცოცხალი მისი გარდაცვალების მომენტში (632 წ.) [46,792-94; 9,III,481,499,500; 377,393-99].

ყურანმა განსაზღვრა იმ ქალთა კატეგორიაც, ვინც შეიძლებოდა ცოლად მოეყვანა მუჰამადს[51] (33:50): 1. ქალები, რომლებზედაც იქორწინა და გადაუხადა მაჰრი[52]. 2. ტყვე ქალები (მხევლები), რომლებიც მას ალაჰმა უბოძა, როგორც ნადავლის წილი. 3. ბიძაშვილები დედის მხრიდან და მამის მხრიდან, მამიდაშვილები და დეიდაშვილები, რომლებიც გადასახლდნენ მასთან ერთად მედინაში[53]. 4. მორწმუნე ქალი, თუ ის საკუთარ თავს შესთავაზებდა მუჰამადს და თუ მოციქული მოისურვებდა მასზე დაქორწინებას.

იბნ სა'დი ამ ქალებს სამ კატეგორიად ყოფს: 1. მოციქულის კანონიერი ცოლები. სულ დასახელებულია თორმეტი, რაიჰანას[54] ჩათვლით [8,VIII,52-140]. 2. ის ქალები, რომლებზედაც იქორწინა მუჰამადმა, მაგრამ დაცილდა ქორწინების დასრულებამდე და საბაბი ამ დაცილების [8,VIII,141-150]. 3. ქალები, რომლებსაც მუჰამადმა შესთავაზა ქორწინება, მაგრამ არ უქორწინია (ნიქაჰ) და ქალები, ვინც თვითონ შესთავაზა თავი მოციქულს [8,VIII,150-161].

I კატეგორია: *კანონიერი ცოლები.*

---

[50] ზედა ზღვარი არის 21 [240,34]. ეგზეგეტიკური და ბიოგრაფიული ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე, ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ მუჰამადს ჰყავდა 11 კანონიერი ცოლი და 2 მხევალი.

[51] ყურანის კომენტატორის, მავლანა ალის თანახმად, მოციქულის ცხოვრება, მისი ქორწინებების მიხედვით, შეიძლება დაიყოს 4 პერიოდად: 1. დაქორწინებამდე, ანუ 25 წლის ასაკამდე. 2. საქორწინო ცხოვრება მხოლოდ ერთ ცოლთან 25 წლის ასაკიდან 54-მდე. 3. რამდენიმე ქორწინება 54 წლიდან 60 წლამდე. 4. არანაირი ქორწინება 60 წლის შემდეგ (33:52 აიათი ალაჰმა აუკრძალა ამის შემდეგ ცოლების მოყვანა) [52,838,50a]. ყურანის კლასიკური კომენტატორების თანახმად, ალაჰმა შეუზღუდავი პოლიგამიის ნება დართო მხოლოდ თავის მოციქულებს [7,III,430].

[52] აქ სიტყვა „უჯურ" (მრ. რ.) ითარგმნება, როგორც საფასური, ჯილდო. ის შეიძლება იყოს მაჰრი – საქორწინო საჩუქარი ან ყოველწლიური სასურსათო ულუფა ხაიბარიდან [377,393].

[53] აქ განსაკუთრებულად არის მოხსენიებული შემდეგი შეზღუდვა: არც ერთ მათგანს არ შეეძლო გათხოვილიყო ალაჰის მოციქულზე, თუ მის მსგავსად თავად არ იყო მუჰაჯირი; თუ მან, თავისი ნათესაური კავშირის მიუხედავად, ეს არ გააკეთა, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განსაკუთრებული სარგებლობა მას ისლამისათვის არ მოუტანია ან არ შეეძლო ესწავლებინა სხვა ქალებისათვის [33,1121,'შენ.3744].

[54] რაიჰანა იყო მუჰამადის მხევალი [8,VIII,129-31].

1. *ხადīჯა ბინთ ხუვაილიდ* (კურაიშის ტომის, ასად ბ. 'აბდ ალ-'უზზპს გვარიდან) — მუჰამადის პირველი ცოლი. მუჰამადი 25 წლის იყო, როცა ხადīჯაზე იქორწინა. მუსლიმი ქრონოგრაფები მიუთითებენ, რომ ხადīჯა მაშინ იყო 40 (ან 28) წლის და ორჯერ იყო გათხოვილი. პირველ ქმართან - აბუ ჰალასთან (ჰინდ ალ-ნაბბაშ ბ. ზურარა) ჰყავდა 2 ვაჟი: ჰინდ (ამის გამო ხადīჯას ქუნია იყო უმმ ჰინდ)[55] და ჰალა. მეორე ქმართან — 'ათīკ ბ. 'აბიდთან (მახზუმის გვარი) მას ეყოლა ქალიშვილი — ჰინდა, რომელიც გაათხოვა თავის ბიძაშვილზე — საიფīდ ბ. უმაიიაზე (მახზუმის გვარი). მათ შეეძინათ ვაჟი — მუჰამადი, მაგრამ ჰინდა მალე გარდაიცვალა [8,VIII, 14-15].

გადმოცემით, ხადīჯამ, საიდუმლოდ, თვითონ შესთავაზა მუჰამადს ქორწინება და მან უპასუხა ალაჰის სურვილის შესაბამისად, თუმცა ხადīჯას მამა წინააღმდეგი იყო ამ ქორწინების [296, 246]. ხადīჯას სიცოცხლეში მუჰამადს სხვა ცოლი არ ჰყოლია[56]. სამწუხაროდ, ხადīჯასთან საქორწინო კონტრაქტის პირობები ჩვენთვის არ არის ცნობილი, თუმცა დასახელებულია რამდენიმე მიზეზი ამ გარემოების ასახსნელად: 1. ხადīჯა იყო დამოუკიდებელი ქალი, მექის კურაიშის ტომის გავლენიანი გვარიდან. შესაძლებელია, მან ისეთი პირობა შეიტანა საქორწინო კონტრაქტში, რაც უკრძალავდა მის ქმარს სხვა ქალთან ქორწინებას. 2. ფინანსურად მუჰამადი დამოკიდებული იყო თავის მდიდარ ცოლზე, მაგრამ ხადīჯა არ უზრუნველყოფდა მას იმდენად, რომ სხვა ქალზეც ექორწინა. ამასთან, მუჰამადი ხადīჯას სახლში ცხოვრობდა. 3. მუსლიმ ისტორიკოსთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, პოლიგამია არ იყო ფართოდ გავრცელებული წინაისლამურ მექასა და მედინაში. მუჰამადმა ის დააკანონა მედინაში გადასვლის შემდეგ [240,41-42].

ხადīჯას მუჰამადთან შეეძინა 2 ვაჟი — ალ-კასიმ, 'აბდ ალ-ლაჰ[57] და 4 ქალიშვილი: ზაინაბი[58], რუკაიია[59], უმმ ქულსუმი[60] და ფატიმა[61]. ყოველ ორ ბავშვს შორის სხვაობა იყო 2 წელი.

---

[55] მოგვიანებით, მან მიიღო ისლამი და მონაწილეობდა ბადრთან ბრძოლაში (624 წ.).

[56] ხადīჯა იყო ღვთისმოსავი ცოლის იდეალი.

[57] მისი მეტსახელები: ატ-ტაჰირ და ატ-ტაიიბ — წმინდა, რადგანაც ისლამის წარმოშობის შემდეგ დაიბადა.

[58] ზაინაბი იყო ყველაზე უფროსი ქალიშვილი. მუჰამადმა, თავისი სამოციქულო მისიის დაწყებამდე, გაათხოვა ის ხადīჯას დისშვილზე — აბუ ალ-'ას ბ. რაბī'ზე. მათ ჰყავდათ 2 შვილი — 'ალī (გარდაიცვალა ჯერ კიდევ ბავშვი) და უმამა, რომელიც ფატიმას გარდაცვალების შემდეგ, 'ალī ბ. აბī ტალიბის

ხადიჯაზე ქორწინებამ მატერიალურად უზრუნველყო მუჰამადი და საშუალება მისცა უფრო მეტი დრო დაეთმო რელიგიური საქმეებისათვის. ხადიჯა იყო პირველი, ვინც მიიღო ისლამი ალ-აჰის მოციქულის შემდეგ.

ხადიჯა გარდაიცვალა 619 წლის 12 რამადანს, 65 წლის ასაკში. დაიკრძალა მექაში[62]. ხადიჯას გარდაცვალების წელს მოციქულმა უწოდა „მწუხარების წელი" [88,24-31; 8,VIII,14-19; 89,65-75].

2. *სავდა ბინთ ზამა'ა ბ. კაის ბ. 'აბდ შამს* — კურაიშის ტომის, 'ამირ ბ. ლუ'აიის გვარიდან. მან ადრე მიიღო ისლამი მექაში და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. მისი პირველი ქმარი იყო ასსაქრან ბ. 'ამრი, რომელთან ერთადაც მან შეასრულა ჰიჯრა ეთიოპიაში მეორე ემიგრაციის დროს. მექაში დაბრუნების შემდეგ ქმარი გარდაეცვალა. მუჰამადმა იქორწინა მასზე[63] რამადანის თვეში, თავისი სამოციქულო მისიის დაწყებიდან მეათე — 619/620 წელს, ხადიჯას გარდაცვალების შემდეგ. სავდა გადავიდა მედინაში ჰიჯრის პირველ წელს (622 ნ.) მუჰამადის ქალიშვილებთან ერთად.

ცოლი გახდა. ზაინაბი გარდაიცვალა ჰიჯრის 8/629-30 წლის დასაწყისში [8,VIII,30-36].

[59] ის გარდაიცვალა მედინაში, ბადრთან ბრძოლის დროს. მას ჰყავდა ერთი ვაჟი 'აბდ ალ-ლაჰი (მომავალი ხალიფა 'უსმანისაგან), რომელიც 2 წლის ასაკში გარდაიცვალა [8,VIII,36-37].

[60] 'უსმანმა იქორწინა მასზე რუკაიიას გარდაცვალების შემდეგ, რაბი' ალ-ავვალის თვეში ჰიჯრის 3 წელს/624 ნ. აგვისტო-სექტემბერში. მათ შვილი არ ჰყავდათ. უმმ ქულსუმი გარდაიცვალა ჰიჯრის 9 წლის შა'ბანის თვეში/630 წლის ნოემბერ-დეკემბერში. მოციქულმა თქვა: „მე რომ მყოლოდა ათი (ქალიშვილი), გავათხოვებდი მათ 'უსმანზე" [8,VIII,37-39;204, 601]. 'უსმანის მეტსახელი იყო *„ზუ-ნ-ნურაინ"* (ორი „სინათლის" მფლობელი), რადგანაც მას ცოლად ჰყავდა მოციქულის ორი ქალიშვილი. თურქეთში გავრცელებულია სახელი — ოსმან ნური[333,29].

[61] მუჰამადის და ხადიჯას ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც ცოცხალი იყო მშობლების გარდაცვალების დროს. ფატიმა იყო 'ალი ბ. აბი ტალიბის ცოლი, ალ-ჰასანის და ალ-ჰუსაინის დედა [369; 370]. იბნ სა'დის თანახმად, გარდაიცვალა ჰიჯრის 11 წლის 7 რამადანს /632 წლის 26 ნოემბერს, დაახლ. 29 წლის ასაკში. დაიკრძალა მედინაში [8,VIII,28].

[62] სასაფლაოზე ალ-ჰაჯუნ — მთა მექის ჩრდილოეთით, რომლის ახლოს არის ხადიჯას ახლობლების დაკრძალვის ადგილი[146,89]. მუჰამადის ყველა დანარჩენი ცოლი (მაიმუნას გარდა) დაკრძალულია მედინაში, ალ-ბაკი'ას სასაფლაოზე.

[63] ის იყო 55 წლის და მას ჰყავდა 5 თუ 6 მცირეწლოვანი ბავშვი [130, 370]. მათ შორის ასახელებენ 'აბდ არ-რაჰმანს, რომელიც დაიღუპა ჯალულას ბრძოლაში. ეს ქორწინება მოხდა ჰალლა ბინთ ჰაქიმის ჩარევით, რომელსაც სურდა მუჰამადისათვის ხადიჯა დაევინყებინა [367,503].

გადმოცემით, ჰიჯრის 8/629-30 წელს მუჰამადმა გადაწყვიტა გაცილებოდა სავდას, რომელიც საკმაოდ ასაკოვანი იყო. სავდამ გააჩერა მეჩეთისაკენ მიმავალი მუჰამადი და მორწმუნეთა თანდასწრებით აიძულა უკან დაებრუნებინა ის. მისი ერთადერთი სურვილი იყო „სამსჯავროზე წარდგენილიყო, როგორც მოციქულის ცოლი". მუჰამადმა ნება დართო და მან თავისი დღეები დათმო 'ᾱ'იშას სასარგებლოდ. სწორედ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გარდმოევლინა მას 4:128 აია. სავდა გარდაიცვალა ჰიჯრის 54 წლის შავვᾱლის თვეში /674 წ. სექტემბერ-ოქტომბერში, მედინაში, მუ'ᾱვიᲂას ხალიფობის დროს [8,VIII,52-57; 367,503-504; 88,44-47; 89,79-85].

3. *'ᾱ'იშა ბინთ აბᾱ ბაქრ აṣ-ṣიდდიკ* — კურაიშის ტომის, ქა'ბ ბ. ლუ'აიᲂს გვარიდან. დაიბადა მექაში 614 წელს. მუსლიმურ წყაროებში ცნობილია, როგორც მუჰამადის მესამე და უსაყვარლესი ცოლი. ამასთან, ის იყო მუჰამადის უახლოესი კომპანიონის, მომავალი ხალიფას აბᾱ ბაქრ 'აბდ ალ-ლᾱჰ ბ. აბᾱ კუჰᾱფას ქალიშვილი[64]. ეს ქორწინება მოხდა შავვᾱლის თვეში, მუჰამადის ქადაგების დაწყებიდან მეათე წელს, 3 წლით ადრე ჰიჯრამდე. ის იყო 6 წლის, როცა დაინიშნა მუჰამადზე. ქორწინება მოხდა, როცა მას შეუსრულდა 9 წელი — ჰიჯრის 1 წლის შავვᾱლის თვეში /623 წლის აპრილ-ივნისში.

ისტორიკოსები ხაზს უსვამენ სამ მნიშვნელოვან ფაქტს, რაც გამოარჩევს 'ᾱ'იშას ცხოვრებას მოციქულის სხვა ცოლებისაგან და ჩვეულებრივ მორწმუნეთაგან 1. მრუშობაში ცილისწამება და გამართლება ალაჰის სპეციალური გამოცხადებით. 2. მისი მონაწილეობა პირველ სამოქალაქო ომში. 3. 'ᾱ'იშა, როგორც ისტორიული პიროვნება და მუსლიმი ქალის იდეალი. ამასთან, მას უკავშირდება ყურანის 24:2-20 და 4:43 აიები.

'ᾱ'იშა გარდაიცვალა ჰიჯრის 58 წლის 17 რამადᾱნს / 678 წლის 13 ივლისს [8,VIII,58-81; 89,89-104; 233,1102; 328,25-26; 212,121-22; 341; 389].

4. *ḥაფṣა ბინთ 'უმარ ბ. ალ-ხატტᾱბ* — კურაიშის ტომის, 'ადᾱᲂ ბ. ქა'ბ ბ. ლუ'აიᲂს გვარიდან. ხალიფა 'უმარის ქალიშვილი. მისი პირველი ქმარი იყო ხუნაის ბ. ḥუზᾱფა ბ. კაის, რომელიც დაიღუპა ბადრთან ბრძოლის დროს. 'უმარმა შესთავაზა მასზე ქორწინება აბᾱ ბაქრს და 'უსმᾱნს, მაგრამ უარი მიიღო. მუჰამადმა, რომელსაც

---

[64] 'ᾱ 'იშას დედა — უმმ რუმან ბინთ 'ამირ იყო მუჰამადის ადრეული მიმდევარი.

სურდა კავშირის განმტკიცება 'უმართან, იქორწინა ჰაფსაზე უჰუდის ბრძოლის დაწყებამდე 2 თვით ადრე (ჰიჯრის 3 წლის შა'ბანი /625 წ. თებერვალი). ჰაფსა იყო ამ დროს 20 წლის [319,397].

გადმოცემით, მუჰამადი გაეყარა ჰაფსას, მაგრამ მათი ქორწინება აღდგა ღვთიური ჩარევით [8,VIII,84]. ჰაფსა იყო იმ ოთხ ცოლს შორის, რომელთაც მუჰამადი უპირატესობას ანიჭებდა. ესენი იყვნენ 'ა'იშა, ზაინაბი, უმმ სალამა და ჰაფსა [5,448,467; 49,II,93]. ჰაფსამ სათანადო ადგილი დაიკავა ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში იმ ფაქტის გამო, რომ სწორედ მის საკუთრებაში არსებული ყურანის ასლი საფუძვლად დაედო ყურანის კანონიკურ რედაქციას. ამასთან, მას უკავშირდება 66:1-4 აიები.

ჰაფსა გარდაიცვალა ჰიჯრის 45 წლის შა'ბანის თვეში /665 წლის[65] ოქტომბერ-ნოემბერში, 60 წლის ასაკში [8,VIII,81-86; 88,65-66; 89,109-18].

5. *ზაინაბ ბინთ ხუზაიმა ალ-ჰარრაკ* — არაკურაიში, ჰილალის ტომის, 'ამირ ბ. ს'ს'ა'ს გვარიდან. მუჰამადმა იქორწინა[66] მასზე ჰიჯრის 4 წლის რამადანის თვეში /625 წ.[67] (ჰიჯრიდან 31-ე თვის დასაწყისში). ზაინაბს ჰქონდა მეტსახელი „უმმ ალ-მასაქინ" — „ღარიბთა დედა". მუჰამადთან ქორწინება იყო ჯილდო მისთვის, სწორედ ღარიბთათვის შემწეობის გამო. ის გარდაიცვალა მუჰამადთან თანაცხოვრებიდან რამდენიმე თვის, ან ერთი წლის შემდეგ, დაახლოებით 30 წლის ასაკში[68] [8,VIII,115-16; 363,653; 58,I,1775-76; 89,161-64; 85,292].

6. *უმმ სალამა* (ჰინდ ბინთ აბი უმაიია) — კურაიშის ტომის, მახზუმის გვარიდან. ერთ-ერთი პირველი მუსლიმი ქალი. უმმ სალამას პირველი ქმარი იყო აბუ სალამა 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-ასად. ის თან ახლდა თავის ქმარს ეთიოპიაში ორივე ემიგრაციის დროს. იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შეასრულა ჰიჯრა მედინაში. აბუ სალამა გარდაიცვალა უჰუდთან ბრძოლის დროს. ამ ქორწინებიდან ჰყავდა 3 ვაჟი და 1 ქალიშვილი[69]. აბუ ბაქრმა და 'უმარმა მას შესთავაზეს

---

[65] ზოგიერთი წყაროს ცნობით, 41/661-62 ან 27/647-48 წელს [372,64].

[66] თავდაპირველად ის გათხოვილი იყო ტუფაილ ბ. ალ-ჰარის ბ. მუტტალიბზე, რომელიც გაცილდა მას. შემდეგ გათხოვდა 'უბაიდ ბ. ალ-ჰარისზე, რომელიც მოკლულ იქნა ბადრთან ბრძოლის დროს. მოციქულმა შესთავაზა ქორწინება და ის დათანხმდა.

[67] ან სხვა ცნობით, 3/624 წელს [233,1104].

[68] ორი ცოლი (ხადიჯა და ზაინაბი) გარდაიცვალა მუჰამადის სიცოცხლეში.

[69] ზაინაბი (იგივე - ბარრა) ბინთ აბუ სალამა დაიბადა ეთიოპიაში. ის გახდა ცნობილი მუჰადდისი.

ქორწინება, მაგრამ უარი უთხრა. მოციქულმა იქორწინა მასზე ჰიჯრის 4 წლის შავვალის თვეში/626 წლის აპრილში. გადმოცემით, როცა მოციქულმა შესთავაზა ქორწინება, უმმ სალამამ უთხრა, რომ ის ეჭვიანია, ჰყავს ობოლი ბავშვები, ასაკოვანია და არავინ არის მისი ოჯახიდან, ვინც იქნებოდა მისი მეურვე. მუჰამადმა უპასუხა: „რაც შეეხება ეჭვიანობას, ღმერთი მოგაცილებს მას. რაც შენ თქვი ასაკის შესახებ, მე უფრო ასაკოვანი ვარ. რაც შენ თქვი ობლების შესახებ, ეს არის ალაჰისა და მისი მოციქულის საქმე" [8,VIII,91-92].

უმმ სალამა გარდაიცვალა – 59/679, 60/680 წელს ან ქერბელას (ქარბალა') ტრაგედიის (680 წ.) შემდეგ [8,VIII,86-96; 88,68-77; 316,856; 89,127-137].

7. *ზაინაბ ბინთ ჯაჰშ* – ასადის ტომის, ხუზაიმას გვარიდან. მოციქულის ბიძაშვილი დედის (უმაიმა ბინთ 'აბდ ალ-მუტტალიბი) მხრიდან. ზაინაბი იყო მუჰამადის შვილობილის – ზაიდ ბ. ჰარისის ცოლი. მასთან განქორწინების ისტორია გაურკვეველია. მუსლიმი ავტორები ამბობენ, რომ ზაიდი შეწუხებული იყო მისი მძიმე ხასიათით, ხოლო მუჰამადი ურჩევდა არ გაცილებოდა. სხვა ვერსიით, ზაიდი მიხვდა, რომ ზაინაბი მოეწონა მუჰამადს და გაცილდა მას. მოციქულმა იქორწინა მასზე ჰიჯრის 5/627 წელს. ამ ქორწინებამ სკანდალური შთაბეჭდილება მოახდინა მუსლიმური თემის წევრებზე. ცოტა ხნით ადრე მუჰამადი ქადაგებდა შვილის ცოლზე ქორწინების აკრძალვის თაობაზე და თვითონ დაარღვია ალაჰისგან მიღებული ეს მითითება. მოციქული იხსნა ახალმა გამოცხადებამ – ეს ქორწინება მოხდა ალაჰის ნებით (33:37). ამასთან, მუჰამადმა შეცვალა ურთიერთობა ზაიდთან და ის გახდა – ზაიდ ბ. ჰარისი (ზაიდ ბ. მუჰამმადის ნაცვლად). ყურანმა ეს იმით ახსნა, რომ „მუჰამადი არ არის მამა რომელიმე თქვენი მამაკაცის, მხოლოდ ალაჰის მოციქულია და წინასწარმეტყველთა ბეჭედი" (33:40).

ზაინაბს ჰქონდა ქუნია *„უმმ ალ-მასაქინ"* – „ღარიბთა დედა". გარდაიცვალა ჰიჯრის 20/640-41 წელს 35 წლის ასაკში [8,VIII,101-15; 88,82-90; 376,156; 89,141-49; 58,I,1772; 365,653].

8. *ჯუვაირიდა ბინთ ალ-ჰარის* (ბარრა) – ხუზა'ას ტომის, მუსტალიკის გვარიდან. ჰიჯრის 6 წელს (627 წ. დეკემბერი-628 წ. იანვარი) ბანუ მუსტალიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ალ-მურაისი'თან ჯუვაირიდა შეიპყრეს ტყვედ. ის იყო ტომის წინამძღოლის ქალიშვილი, რომლის ქმარი ამ ბრძოლის დროს დაიღუპა. მოციქულმა ის გაათავისუფლა და იქორწინა მასზე. ჯუვაირიდა იყო

არაჩვეულებრივი სილამაზის, რაც 'ა'იშას გამუდმებულ ეჭვიანობას ინვევდა.

ჯუვაირიდა გარდაიცვალა ჰიჯრის 56 წლის რაბი' ალ-ავვალის თვეში /676 წლის იანვარ-თებერვალში[70] [8,VIII,116-20; 88,91-94; 89,153-58].

9. *ṣაფიდა ბინთ ḥუაიდ ბ. ახტაბ* – იუდეველი, ხაზრაჯის ტომის, ან-ნაḍირის გვარიდან. ხაიბარზე ლაშქრობის დროს ṣაფიდა და მისი ბიძაშვილები ტყვედ შეიპყრეს[71]. მოციქულმა ამოირჩია ის, როგორც ნადავლის საუკეთესო წილი[72] [278,366]. მუჰამადმა შესთავაზა მას თავისუფლება, თუ ის აირჩევდა ალაჰს და მის მოციქულს. ṣაფიდა დათანხმდა და მიიღო ისლამი. მისი თავისუფლება იყო მისი მაპრი – საქორწინო საჩუქარი. ის გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, რაც მუჰამადის ცოლების ეჭვიანობას იწვევდა.

ṣაფიდა გარდაიცვალა 50/670 ან 52/672 წელს [45,762, 766; 58,I,173; 8,VIII,120-29; 88,100-103; 89,161-70; 364,487-88].

10. *უმმ ḥაბიბა* (რამლა ბინთ აბი სუფიან ბ. ḥარბ) – კურაიშის ტომის, უმაიდა ბ. 'აბდ შამსის გვარიდან. თავდაპირველად გათხოვდა 'უბაიდ ალ-ლაჰ ბ. ჯაḥშზე და წავიდა ეთიოპიაში მეორე ემიგრაციის დროს[73]. მოგვიანებით, მისმა ქმარმა უარყო ისლამი და გარდაიცვალა. უმმ ḥაბიბა ისლამის ერთგული დარჩა. მუḥამადმა იქორწინა მასზე ჯერ კიდევ ეთიოპიაში, დაუსწრებლად. გადმოცემით, მოციქულმა წერილი მისწერა ეთიოპიის ქრისტიან მმართველს – ან-ნაჯაშიის დაექორწინებინა ისინი. მეურვე იყო – ხალიდ ბ. სა'იდ. ეს იყო ჰიჯრის 7/628 წელს. ამავე წელს უმმ ḥაბიბა მედინაში დაბრუნდა სხვა ემიგრანტებთან ერთად. მოციქულისა და უმმ ḥაბიბას ქორწინებასთან დაკავშირებით გარდმოევლინა[74] 60:7 აია: „შეხაძლოა, ალაჰმა დაამყაროს სიყვარული თქვენსა და იმათ შორის, ვინც თქვენი მტრები არიან" [8,VIII,99].

---

[70] სხვა ცნობებით, 50/670 ან 57/677წელს [233,1108].

[71] ამ ბრძოლის დროს მოკლეს მისი ქმარი, მამა და ძმა. იუდეველთა ამ ტომის მედინიდან გასახლების შემდეგ, ჰიჯრის 4/625 წელს ḥუაიდ ბ. ახტაბი დასახლდა ხაიბარში. ṣაფიდა გათხოვდა ქინანა ბ. რაბი'აზე ჰიჯრის 6 ან 7/627-28 წელს. ამ დროს ის 17 წლის იყო. არის ცნობა, რომ მანამდე ის იყო გათხოვილი სალლამ ბ. მაშქამზე, რომელიც გაცილდა მას [8,VIII,123].

[72] გადმოცემით, ის ნილად ხვდა დიḥია ალ-ქალბის. მოციქულმა გამოისყიდა ṣაფიდა მისგან [8,VIII,123].

[73] მას ამ ქორწინებიდან ჰყავდა ქალიშვილი – ḥაბიბა 'უბაიდ ალ-ლაჰ.

[74] უმმ ḥაბიბა იყო მოციქულის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგის – აბუ სუფიან ბ. ḥარბის ქალიშვილი.

უმმ ჰაბიბა გარდაიცვალა 44/664-65 წელს მუ'ავიიას ხალიფობაში [8,VIII,96-100; 89,173-80].

11. *მაიმუნა ბინთ ალ-ჰარის* — ჰილალის ტომის, 'ამირ ბ. ს'ა'ს გვარიდან, ზაინაბ ბინთ ხუზაიმა ალ-ჰარისის ნახევარდა. მოციქულმა იქორწინა[75] მასზე სარიფთან[76], ჰიჯრის 7 წლის შავვალის თვეში /629 წლის აპრილში. ეს ქორწინება მოხდა მუჰამადის მცირე პილიგრიმობის დროს. მაიმუნა იყო ალ-'აბბას და ჯა'ფარ ბ. აბი ტალიბის ცოლის და. სწორედ ამ ორ ადამიანთან კავშირის განმტკიცება იყო ამ ქორწინების ძირითადი მიზანი. გადმოცემით, მაიმუნა არის მუჰამადის ერთ-ერთი ცოლი, რომელსაც უკავშირდება ყურანის 33:50 აია[77] [257,XXXIII].

მაიმუნა გარდაიცვალა მექაში, 61/680-81 წელს, იაზიდ ბ. მუ'ავიიას ხალიფობაში. ის ყველაზე ბოლოს გარდაიცვალა მოციქულის ცოლებს შორის. დაიკრძალა სარიფში [8,VIII, 132-40; 88,109-112; 376,201-06; 89,183-92; 45,790-91].

II კატეგორია: *ქალები, რომლებზედაც იქორწინა მუჰამადმა, მაგრამ დაცილდა ქორწინების დასრულებამდე.*

1. ალ-ქილაბიია — ქილაბის ტომის ქალები: ფატიმა ბინთ ალ-დაჰჰაქ; 'ამრა ბინთ იაზიდ; ალ-'ალია ბინთ ზაბიან; საბა ბინთ სუფიან. მუჰამადმა თითოეულ მათგანზე იქორწინა, მაგრამ არ დაუსრულებია ქორწინება. აზრთა სხვადასხვაობაა, ვინ იყო ქილაბის ტომიდან. ზოგიერთი ცნობით, მხოლოდ ერთი ქალი იყო ქილაბიდან. სხვები ამბობენ, რომ მრავალი ქალი იყო და თითოეულს ჰქონდა სხვადასხვა ისტორია.

---

[75] მისი პირველი ქმარი იყო მას'უდ ბ. 'ამრ ალ-საკაფ, რომელმაც იქორწინა მასზე ჯაპილიიაში და შემდეგ გაცილდა მას. მეორე ქმარი იყო აბუ რუმმ ბ. 'აბდ ალ-'უზზა, რომელიც გარდაიცვალა.

[76] მუჰამადს სურდა ექორწინა მექაში, მაგრამ მას ნება არ დართეს. ძირითადი მოტივი იყო — მექელების შიში, არ გაეხანგრძლივებინა მოციქულს ნმინდა მინაზე ყოფნა. სარიფი მდებარეობდა მექის ჩრდილოეთით, 10 მილის მანძილზე.

[77] ზოგიერთი ტრადიცია მიაკუთვნებს მას მოციქულის ცოლების შემდეგ კატეგორიას: „მორწმუნე ქალი, თუ ის თავს შესთავაზებდა მოციქულს და მოციქული მოისურვებდა მასზე დაქორწინებას" [47,794], რაც ეჭვს ინვევს. ამ კატეგორიას სხვადასხვა ქალი ეკუთვნის, მაგრამ არც ერთს არ ჰქონდა საკუთარი საცხოვრებელი მედინაში მუჰამადის გვერდით [377,398-99]. ამასთან, ამ ტიპის ქორწინება ხდებოდა მეურვის (ვალი) და მაჰრის გარეშე. მაიმუნას ბიოგრაფიაში კი აღნიშნულია, რომ მისი მეურვე იყო ალ-'აბბას ბ. ალ-მუტტალიბი და მიიღო მაჰრის სახით 500 დირჰამი [8,VIII,137].

ფატიმა ბინთ ალ-დაჰჰაქზე მოციქულმა იქორწინა ჰიჯრის 8/629 წელს. ფატიმამ „ალაჰს სთხოვა მისგან მფარველობა“[78] [5,454] და მოციქული გაეყარა მას. არის მოსაზრება, რომ ის გასცილდა მას კეთრის გამო [8,VIII,141; 108,312]. ჰუსაინ ბ. 'ალის გადმოცემით, მოციქული დაქორწინდა 'ამირის ტომის ქალზე. ის გამომწვევად უცქერდა მამაკაცებს მეჩეთში. მოციქული თვითონ დარწმუნდა ამაში და გაცილდა მას [8,VIII,141-43; 28,29].

2. *ასმა' ბინთ ალ-ნუ'მან* — ქინდის ტომის, ალ-ჯავნ ბ. ალ-მურარას გვარიდან. გადმოცემით, მამამისმა შესთავაზა მოციქულს ექორწინება ლამაზ არაბ ქვრივზე — თავის ქალიშვილზე. მოციქული დათანხმდა და ეს ქორწინება მოხდა ჰიჯრის 9 წლის რაბი' ალ-ავვალის თვეში /630 წლის ივნის-ივლისში. გადმოცემით, მოციქულის ცოლებმა შეიტყეს მისი სილამაზის შესახებ და ურჩიეს მას მოციქულთან შესვლისას წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები: „მე ვეძებ მფარველობას შენგან ალაჰთან“. არის ცნობა, რომ ჰაფსა და 'ა'იშა ეხმარებოდნენ, რათა წარმდგარიყო ალაჰის მოციქულის წინაშე. ერთმა ხნით შეღება, მეორემ დავარცხნა და სნორედ მათ ურჩიეს, ასე მოქცეულიყო. მოციქული გაცილდა მას. [5,456-57; 179,62-63; 8,VIII,143-47; 211,285].

3. *კუთაილა ბინთ კაის* — ქინდას ტომის, მურათთი'ას გვარიდან. როცა მოციქული დაცილდა ასმა'ს, ალ-აშ'ას ბ. კაისმა შესთავაზა თავისი და, რომელიც არანაკლები სილამაზით გამოირჩეოდა. მოციქული დათანხმდა ქორწინებაზე. აშ'ასი გაემგზავრა ჰადრამავთში, რათა წამოეყვანა თავისი და. მათ გზაში შეიტყვეს მოციქულის სიკვდილი და ორივე უკან გაბრუნდნენ. ამასთან, მათ უარყვეს ისლამი თავის ტომთან ერთად [8,VIII,147-48].

4. *მულაიქა ბინთ ქა'ბ ალ-ლაის* — ქინანას ტომიდან. მოციქულმა იქორწინა მასზე ჰიჯრის 8 წლის რამადანის თვეში (630 წ. დეკემბერი — 631 წ. იანვარი). ის ცნობილი იყო თავისი შეუდარებელი სილამაზით. გადმოცემით, 'ა'იშამ იეჭვიანა და ურჩია მას ეთქვა მუჰამადისათვის სიტყვები: „მე ვეძებ მფარველობას შენგან ალაჰთან“. მართლაც, მოციქული გაცილდა მას [8,VIII,148-49; 317,279].

5. *ბინთ ჯუნდუბ (ბ. დამრა ალ-ჯუნდ'ი)* — ქინანას ტომიდან. მან მიიღო ისლამი და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. მოციქულმა იქორწინა მასზე, მაგრამ დაცილდა ქორწინების დასრულებამდე.

---

[78] ისინი წარმოთქვამდნენ ფორმულას: „ა'უზუ ბი-ლ-ლაჰი“(მივმართავ ღმერთს) ან „'ა'ზა ბი-ლ-ლაჰი მინჰუ“ — ეძებდა მფარველობას ალაჰთან მუჰამადისაგან დასაცავად. ეს ფაქტობრივად გაყრას ნიშნავდა.

თუმცა, მოციქულის მიმდევრები უარყოფენ, რომ მან იქორწინა ქინანას ტომის ქალზე [8,VIII,149].

6. *საბა ან სანა ბინთ ალ-ᵽალთ ბ. ჰაბიბ* – სულაიმის ტომიდან. მას შესთავაზა მოციქულმა ქორწინება, მაგრამ ის გარდაიცვალა ქორწინების დასრულებამდე [8,VIII,149-50].

III. კატეგორია: *ქალები, რომლებსაც მუჰამადმა შესთავაზა ქორწინება, მაგრამ არ უქორწინია (ნიქაჰ) და ქალები, რომლებმაც თვითონ შესთავაზეს თავი მოციქულს.*

1. *ლაილა ბინთ ალ-ხატიმ* – ხაზრაჯის ტომის, ᵽაფფარ ბ. ალ-ჰარისის გვარიდან. მან მიიღო ისლამი და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. მუჰამადმა იქორწინა მასზე, მაგრამ დაცილდა, რადგანაც მისი გვარის წევრები მივიდნენ მოციქულთან თხოვნით – გაეთავისუფლებინა ის. მიზეზი იყო მისი ეჭვიანობა. მოციქულს მრავალი ცოლი ჰყავდა, ის კი არ იქნებოდა მომთმენი თანაცოლების მიმართ, ამიტომ ურჩიეს გაყრა. მოციქულმა გაათავისუფლა ის და ამის შემდეგ ის გათხოვდა მას'უდ ბ. 'აუფზე. თუმცა სხვა გადმოცემების თანახმად, მან თვითონ შესთავაზა თავი მოციქულს და უარი მიიღო [8,VIII,150-51;394].

2. *უმმ ჰანი' ბინთ აბი ტალიბ* – კურაიშის ტომის, 'აბდ მანაფის გვარიდან. ის იყო მოციქულის ბიძაშვილი. გადმოცემით, მუჰამადმა ჯაჰილიᲘᲐᲡ დროს სთხოვა აბუ ტალიბს, მის ქალიშვილზე ქორწინების ნებართვა. მან უარი მიიღო და აბუ ტალიბმა ის გაათხოვა ჰუბაირა ბ. აბი ვაჰბზე. უმმ ჰანი'მ მიიღო ისლამი და ამან დააშორა ჰუბაირასთან. ამის შემდეგ, მოციქულმა შესთავაზა მას ქორწინება, მაგრამ მან უარი უთხრა: „მე ვარ ასაკოვანი ქალი და არ მინდა ხელი შეგიშალო შენ". ამასთან მას ჰყავდა ბავშვები. როცა მისი შვილები წამოიზარდნენ, მან თვითონ შესთავაზა თავი მუჰამადს, მაგრამ უარი მიიღო. ალაჰის მიერ უკვე გარდმოვლენილი იყო მუჰამადისადმი 33:50 აია, რომლის თანახმადაც მას ეკრძალებოდა ქორწინება ბიძაშვილთან, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია მედინაში ემიგრაციაში [8,VIII,151-53].

3. *ᲓᲣᲑᲐ'ა ბინთ 'ამირ ბ. კურაიბ* – ჰილალის ტომის, 'ამირ ბ. ᵽა'ᵽა'ს გვარიდან. მან მიიღო ისლამი და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს[79]. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი არაბი ქალი, გრძელი თმა უფარავდა სხეულს. მისი სილამაზის ამბავმა მიაღწია მოციქულამდე, რომელმაც შესთავაზა ქორწინება ᲓᲣᲑᲐ'ას მისი ვაჟის მეშ-

[79] მოციქულზე ქორწინებამდე სამი ქმარი ჰყავდა. პირველი ქმრისაგან მემკვიდრეობით მიიღო დიდი ქონება. მეორე ქმარს გაეყარა. შვილი ჰყავდა მხოლოდ მესამე ქმართან [8,VIII,153].

ვეობით. დუბა'ამ მაშინვე მიიღო ეს წინადადება და შეატყობინა მოციქულს თანხმობა. გადმოცემით, მოციქული გაჩუმდა და აღარაფერი უთქვამს ამის თაობაზე [8,VIII,153-54].

4. *ᲡაფიᲐა ბინთ ᲑაᲨᲨᲐმ ბ. ნაᲓᲚა.* გადმოცემით, მუჰამადმა შესთავაზა ქორწინება ᲡაფიᲐას, რომელიც ტყვედ აიყვანეს მუსლიმებმა. მოციქულმა მისცა მას არჩევანის საშუალება: „ვის ისურვებდი, მე თუ შენს ქმარს?" მან აირჩია ქმარი და მუჰამადმა გააგზავნა ის უკან თავის გვართან. ბანუ თამიმმა დაწყევლა ᲡაფიᲐა, რადგანაც მათ დაკარგეს მუჰამადთან დაახლოების შესაძლებლობა [8,VIIII,154].

5. *უმმ შარიქ (იგივე ლაზიᲐა ბინთ ჯაბირ ბ. ჰაქიმ)* — კურაიშის ტომის, 'ამირ ბ. ლუ'აიᲐს გვარიდან. ის იყო მუჰამადის ცნობილი ქალი-კომპანიონი. მან თვითონ შესთავაზა თავი მოციქულს, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ ის აღარ გათხოვილა [8,VIII,154-57].

6. *ხავლა ბინთ ჰაქიმ ბ. უმაიᲐა ბ. ჰᲐრის* — სულაიმის ტომიდან. მოციქულმა შესთავაზა ქორწინება, მაგრამ არ უქორწინია მასზე. სხვა გადმოცემით, ის იყო იმათ შორის, ვინც თავი შესთავაზა მოციქულს და უარი მიიღო [8,VIII,158].

7. *უმᲐმა ბინთ ჰᲐმზა ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბ* — კურაიშის ტომის, 'აბდ მანაფის გვარიდან, მოციქულის ბიძაშვილი. ითვლებოდა, რომ ის იყო ყველაზე ლამაზი ქალი კურაიშელებს შორის. მოციქულმა მას შესთავაზა ქორწინება, მაგრამ არ დაქორწინებულა მასზე. როცა 'ალიმ ჰკითხა ამის მიზეზი, უპასუხა, რომ ის იყო მისი ძუძუმტეს ქალიშვილი და ამიტომ მასთან ქორწინება იკრძალებოდა [8,VIII,158-60].

8. *ხავლა ბინთ ალ-ჰუზაილ* — თაღლიბის ტომიდან. მოციქულმა შესთავაზა ქორწინება, მაგრამ არ დაქორწინებულა მასზე. ის გზაში გარდაიცვალა, ვიდრე შეხვდებოდა მოციქულს [8,VIII,160].

9. *შარაᲨა ბინთ ხალიᲨა ბ. ფარვა* — ქალბის ტომიდან. მან მიიღო ისლამი და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს. მოციქულმა შესთავაზა ქორწინება, მაგრამ არ დაქორწინებულა მასზე [8,VIII,160-61], ან არ დაუსრულებია ქორწინება.

Ყურაანის 33:50 აიას შემდეგ, მუჰამადს გარდმოევლინა 33:52 აია[80]: *„ამის შემდგომ [81], ნებადართული არაა შენთვის იქორწინო*

---

[80] იუსუფ 'ალის თანახმად, „ამის შემდეგ ალაჰის მოციქული აღარ დაქორწინებულა. გამონაკლისი იყო მონა-ქალი — კოპტი მარიამი, რომელიც მას სა-

[სხვა ქალებზე], არც ის, რომ გადაცვალო მათზე რომელიმე შენს ცოლთაგან, თუნდაც მოგხიბლოს შენ მათმა სილამაზემ, იმათ გარდა, ვისაც დაეუფლა შენი მარჯვენა [ტყვე ქალები]"[82].

ეს იყო მუჰამადისათვის შემდგომი ქორწინებების აკრძალვა[83] და ალაჰის საგანგებო ჯილდო მოციქულის ცოლებისათვის მათი „არჩევანის" (33:28-29) გამო. ამან განამტკიცა მოციქულის ცოლების სტატუსი მუსლიმურ საზოგადოებაში და სპეციალური გამოცხადებით მათ მიიღეს საპატიო ტიტული – „მორწმუნეთა დედები".

3. „მორწმუნეთა დედები" ყურანსა და ჰადისებში

ყურანით განისაზღვრა ალაჰის მოციქულის – მუჰამადის ცოლების განსაკუთრებული სტატუსი მუსლიმურ თემში. მათი საპატიო ტიტული „მორწმუნეთა დედები"[84] მუჰამადს გარდმოევლინა გვიანდელ მედინურ სურაში (33:6) – „მოციქული უფრო ახლოსაა მორწმუნეებთან, ვიდრე თვითონ ისინი [ერთმანეთთან], ხოლო მისი ცოლები მათი დედებია". ყურანის ეგზეგეტიკოსები მიუთითებენ, რომ ამ აიასთან ერთად გარდმოევლინა მუჰამადს 33:53 აიას ერთ-ერთი მითითება: „არ ეგების შეანუხოთ თქვენ [მორწმუნენო] მოციქული და არასოდეს დაქორწინდეთ მის ცოლებზე მის შემდეგ", რადგანაც ყურანით (4:23) აიკრძალა დედებზე ქორწინება.[85]

ჩუქრად გამოუგზავნა ალექსანდრიის პატრიარქმა – ალ-მუკაკისმა. ის გახდა დედა იბრაჰიმისა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვი გარდაიცვალა [33,1123,3754].

[81] ეს აია გარდმოევლინა ჰიჯრის 7/628-29 ნელს და ამის შემდეგ მუჰამადს აღარ უქორწინია.

[82] „ნება არა გაქვს, კვლავ მოიყვანო სხვა ქალები, არც გაუსცვალო იგინი სხვებში, კიდეც რო მათმა მშვენიერებამ მოგხიბლოს, გარდა მხევლებისა, რომელნიც შეგიძლია შეიძინო" [15,412].

[83] ყურანის კომენტატორები ხაზს უსვამენ, რომ ეს აკრძალვა ეხებოდა არა ალაჰის მოციქულის ცოლების რაოდენობას, არამედ უშუალოდ მათ პიროვნულად, რომელთა შეცვლა არ შეიძლებოდა სხვებით [19,VII, 2028, შენ.206].

[84] დღესაც ეს არის საპატიო ტიტული მუსლიმურ საზოგადოებაში, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით.

[85] მოციქულის მიმდევრები, გამონაკლისის გარეშე, თვლიდნენ მას თავიანთ სულიერ მამად. ასევე მისი ცოლებიც რელიგიური თვალსაზრისით, იყვნენ ყველა მორწმუნის დედა. თუმცა, ჰადისებში მოტანილია 'ა'იშას გამონათქვამი: „მე ვარ თქვენი მამაკაცების და არა თქვენი ქალების დედა". მუჰამადის სხვა ცოლმა – უმმ სალამამ კი განაცხადა: „მე ვარ თქვენი მამაკაცების და ქალების დედა" [8,VIII,200]. ამით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ტიტულმა „მორწმუნეთა დედები" აამაღლა მათი ავტორიტეტი მუჰამადის მამაკაც კომპანიონებს შორისაც. ქორწინება მათთან იკრძალებოდა. ყველა სხვა თვალსაზრისით,

საპატიო ტიტული „მორწმუნეთა დედები“ მუჰამადის ცოლებს მიეკუთვნათ უპირველეს ყოვლისა მოციქულთან სიახლოვის, მის პირად ცხოვრებაში მონაწილეობის გამო. თუმცა, განსაკუთრებულ უფლებებთან და პრივილეგიებთან ერთად ეს იყო ერთგვარი „ღვთიური ნინამძღოლობა“ და მოვალეობებიც [190,87]. ალაჰი ასე მიმართავს მოციქულის ცოლებს: „თქვენ არა ხართ რომელიმე სხვა ქალის მსგავსი“ (33:32). ყურანის აიები (33:30-34) მიუთითებს, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მათ მორწმუნეებთან, ერთმანეთთან და ყოვლისშემძლე ალაჰთან. მოციქულის ცოლებს ალაჰმა განუსაზღვრა ორმაგი ჯილდო[86] და შესაბამისად ორმაგი სასჯელი (33:31), რადგანაც ისინი არიან მიბაძვის მაგალითი.

ყურანის მრავალი აიებისა და პასაჟებისათვის არსებობს „ასბაბ ან-ნუზულ“ („გარდმოვლენის მიზეზები“). ტრადიციები ყურანის მითითებას – მოციქულის ცოლებთან ქორწინების აკრძალვაზე მისი გარდაცვალების შემდეგ – უკავშირებენ ტალჰა ბ. ‘უბაიდ ალ-ლაჰს, ‘ა’იშას ბიძაშვილს და მუჰამადის კომპანიონს. გადმოცემით, მან მოციქულის სიცოცხლეში აღნიშნა, რომ იქორწინებდა ‘ა’იშაზე მუჰამადის სიკვდილის შემდეგ. მუჰამადმა როცა მოისმინა ამის შესახებ, გარდმოევლინა მის ცოლებზე ხელახალი ქორწინების აკრძალვა [8,VIII,201]. ტალჰამ მოგვიანებით იქორწინა ‘ა’იშას უმცროს ნახევარდაზე – უმმ ქულსუმზე. ყურანის კომენტატორები ამ აიას გარდმოვლენის მიზეზად ასახელებენ ‘უიაინა ბ. ჰიṣნ ალ-ფაზარის[87], რომელიც ცნობილი იყო თავისი ცუდი მანერებით. ისლამზე მოქცევის შემდეგ მან ნახა ‘ა’იშა მოციქულთან ვიზიტის დროს. გადმოცემით, ის ნებართვის გარეშე შევიდა მოციქულთან და მოურიდებლად ჰკითხა: „ვინ არის ის მშვენიერი ქალი, რომელიც ზის შენს უკან?“ მოციქულმა უთხრა, რომ ეს იყო ‘ა’იშა და მას ჰქონდა ტიტული „მორწმუნეთა დედა“. ეს იმაზე მიუთი-

---

ისინი არ არიან ნათესავები და მითითებები ქორწინების აკრძალვაზე არ ვრცელდება მათ დებზე და ქალიშვილებზე [14,XXI,77; 7,III,414; 9,III,468-69].

[86] უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ის არის კარგი ცოლი და მეორე მხრივ, ის არის „მორწმუნეთა დედა“, რომელიც ემსახურება მორწმუნე ქალებს და ამასთან ერთად ავლენს ერთგულებას ალაჰისა და მისი მოციქულისადმი [33,1115,შენ.3710]. იბნ ქასირის თანახმად, მოციქულის ცოლებისათვის ღვთის ჯილდოს ნარმოადგენდა სამოთხე, სადაც ისინი იცხოვრებდნენ ალაჰის მოციქულის სახლებში, რომლებიც ყველაზე ახლოს იყო ალაჰის ტახტთან [47].

[87] ღატაფანის ტომთა კავშირის ერთ-ერთი ნინამძღოლი. მან შეარიგა ქ. იასრიბის (მედინა) ორი არაბული ტომი – აუსი და ხაზრაჯი, 100 ნლიანი უთანხმოების შემდეგ. იყო მუჰამადის მოწინააღმდეგე, ისლამი მიიღო ჰიჯრის 8/629-30 ნელს აბუ სუფიანთან ერთად.

თებდა, რომ ის აკრძალული იყო სხვა მამაკაცისათვის. 'უიაინამ შესთავაზა, რომ ის წაიყვანდა 'ā'იშას და კომპენსაციის სახით მისცემდა მოციქულს თავის მშვენიერ ცოლს[88]. ამაზე მოციქულმა უპასუხა: „ალაჰი კრძალავს ამგვარ პრაქტიკას მუსლიმებისათვის" [14,XXII,27,40; 285,171].[89]

ჰადისთმცოდნეები 33:6 აიას უშუალოდ უკავშირებენ „არჩევანის აიას" (33:28-29), რომლის მიხედვითაც მოციქულის ცოლებს უნდა აერჩიათ (თახრიარ) ან „ალაჰი და მისი მოციქული" ან „ამქვეყნიური ცხოვრება და მისი სიდიადე". ეს უკანასკნელი ფაქტობრივად ნიშნავდა განქორწინებას. ალაჰის მითითება შეეხო მხოლოდ მუჰამადის კანონიერ ცოლებს, რომელთაც მან გადაუხადა მაჰრი (საქორწინო საჩუქარი) და რომელთა მისამართითაც გარდმოევლინა ყურანში „ჰიჯაბის აია" (33:53). გადმოცემით, ყველა მათგანმა აირჩია „ალაჰი და მისი მოციქული", უარი თქვა გაყრაზე და შესაბამისად მიიღო ამაღლებული სტატუსი მუსლიმურ საზოგადოებაში. ჰადისებში დასახელებულია მუჰამადის 9 ცოლი[90]. ტიტული „მორწმუნეთა დედები" მოციქულის ცოლებმა მიიღეს ხადīჯას გარდაცვალების (619 წ.) შემდეგ, მაგრამ ეს ტიტული მასაც მიეკუთვნა, როგორც მუჰამადის პირველ ცოლს, მისი ყველა შვილის (იბრāჰīმის გარდა) დედას და იმავდროულად პირველ მუსლიმ ქალს [45,1001]. რაც შეეხება შუა საუკუნეების არაბულ წყაროებს, აქ ეს ტიტული არის 'ā'იშას სინონიმი [345,217].

---

[88] ერთ-ერთი ვერსიით, 'ā'იშა გაოცდა, როცა მოისმინა, რომ უცხო მამაკაცი სთავაზობდა მოციქულს „თავისი ბავშვების დედას" მის სანაცვლოდ და იკითხა მისი ვინაობა. მოციქულმა აუხსნა, რომ ის იყო ერთ-ერთი ტომის წინამძღოლი და „არჩეული იყო თავისი ხალხის მიერ, რათა ეხელმძღვანელა მათთვის"[14,XXII,27]. სხვა ვერსიით, 'უიაინას ეს სიტყვები არ წარმოუთქვამს მუჰამადის თანდასწრებით, მაგრამ მისი ნათქვამი გავრცელდა მთელ ქალაქში [285,170-71].

[89] ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მუჰამადის კონტროლი თავის ცოლებზე გაგრძელდა მისი სიკვდილის შემდეგაც. მუჰამადმა გაანალიზა, რომ თუ ის არ გამოიყენებდა პროსკრიფციებს (ალაჰის მითითება ვრცელდებოდა მხოლოდ მუჰამადის ცოლებზე), მის ახალგაზრდა მიმდევრებს შეეძლოთ ექორწინათ მის ცოლებზე „მის შემდეგ". ზუბაირ ბ. ალ-'ავვāმმა – მუჰამადის ბიძაშვილმა და უახლოესმა მიმდევარმა ისურვა მისი სიკვდილი, რათა დაქორწინებულიყო მის რომელიმე ცოლზე [240,91]. ფაქტია, რომ მოციქულის უკიდურესი ეჭვიანობა გახდა ამ მითითების საფუძველი. ქორწინების აკრძალვა მუჰამადის ცოლებზე „მის შემდეგ" გარდმოევლინა ჰიჯრის 9/630-31 წელს, მოციქულის ცხოვრების ბოლოს.

[90] საედა ბინთ ზამ'ა, 'ā'იშა ბინთ აბī ბაქრ, ჰაფსა ბინთ 'უმარ, უმმ სალამა, ზაინაბ ბინთ ჯაჰშ, ჯუვაირიაა ბინთ ალ-ჰāრის, საფიია ბინთ ჰუიაიი ბ. ახტაბ, უმმ ჰაბīბა და მაიმūნა ბინთ ალ-ჰāრის.

ჰადისებში აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რამ გამოიწვია მოციქულის განცალკევება მისი ცოლებისაგან 1 თვით. ეს ფაქტი მოიხსენიება, როგორც კრიზისი მოციქულის ოჯახში. იბნ სა'დთან დასახელებულია 6 სხვადასხვა ვერსია.

1. მოციქულის ცოლები ანსარი ქალების მიბაძვით, ჩვეულებისამებრ პაექრობის მოყვარულნი გახდნენ და დაიწყეს კადნიერი, მოურიდებელი საუბარი მუჰამადთან [8,VIII,182].

2. მოციქულის ცოლებმა წამოაყენეს მატერიალური მოთხოვნები, რაც მოციქულს არ შეეძლო შეესრულებინა სიღარიბის[91] გამო.

3. მოციქულს ჰქონდა ურთიერთობა თავის მონა-ქალთან – მარიამთან, ჰაფსას სახლში, 'ა'იშას „დღეს" ან ჰაფსას „დღეს". მუჰამადმა ფიცი დადო, რომ ამის შემდეგ მარიამი იქნებოდა მისთვის „ჰარამ" (აკრძალული სქესობრივი ურთიერთობისათვის), თუ ამ ინფორმაციას ჰაფსა საიდუმლოდ შეინახავდა. მაგრამ მან მოუყვა 'ა'იშას (ამას მოჰყვა 33:28-29 და 66:1-5 აიები).

4. ჰაფსა არ იყო კმაყოფილი თავისი წილით საჩუქრებიდან (ან საჭმლით), რომელსაც უნაწილებდა მოციქული თავის ცოლებს 'ა'იშას საშუალებით. მან უკან გაუგზავნა საჩუქარი რამდენჯერმე, რათა მეტი მიეღო. დასახელებულია ზაინაბ ბინთ ჯაჰშიც, რომელმაც სამჯერ დაუბრუნა საჩუქარი მუჰამადს [53,2/106,210]. 'ა'იშამ შენიშნა, რომ ის აბუჩად იგდებდა მოციქულს და ცდილობდა მის გაღიზიანებას. მოციქული გაბრაზდა და უპასუხა: „თქვენ [ქალები] ხართ [ჭეშმარიტად] უფრო აბუჩად ამგდები ალაჰის, ვიდრე ჩემი! მე არ გნახავთ თქვენ ერთი თვე" [8,VIII,188].

5. ჰაფსა ეჭვიანობდა 'ა'იშას სილამაზეზე და მოციქულის განსაკუთრებული სიყვარულის გამო მისდამი (ან ის ეჭვიანობდა 'ა'იშას საპატიო მდგომარეობის გამო ჰარემში და ზაინაბის სილამაზის გამო)[92].

---

[91] „ყველაფერს, რაც აღემატებოდა მისი ოჯახის საარსებო მინიმუმს, ის ურიგებდა ღარიბებს" [19,VII,2011,შენ.114].

[92] გადმოცემით, ჰაფსა, როგორც ყველა სხვა ქალი, ცდილობდა პირველი ადგილი დაეკავებინა მოციქულის ჰარემში, მაგრამ გრძნობდა მოციქულის დამოკიდებულებას 'ა'იშასადმი და ეს მას არასამართლიანად ეჩვენებოდა. თუმცა, 'ა'იშა უფრო ადრე გახდა მოციქულის ცოლი, ვიდრე ჰაფსა. ორივე იყო მოციქულის უახლოესი მიმდევრების ქალიშვილი. 'უმარი დროზე მიხვდა ამას და შეეცადა თავისი ქალიშვილის შეჩერებას: „ვინ ხარ შენ 'ა'იშასთან შედარებით და რა ადგილი უკავია შენს მამას მის მამასთან შედარებით?" [130,295-96]. სინამდვილეში, ჰაფსა არ ეჭვიანობდა 'ა'იშაზე, პირიქით, ისინი იყვნენ მეგობრები. ჰადისების უმეტესობა ადასტურებს, რომ ისინი ერთად ჭამდნენ, ერთად

6. მოციქულის ცოლები ტრაბახობდნენ თავიანთი არათანაბარი ღირებულების მაჰრით.

უცნობია, სახელდობრ რომელმა ეპიზოდმა განაპირობა „ჰარემის კრიზისი", მაგრამ ცხადია, რომ მთავარი როლი ამ მოვლენებში ითამაშეს 'ᾱ'იშამ, ḥაფṣამ და უმმ სალამამ.

გადმოცემით, ამ აიას გარდმოვლენამდე, ზოგიერთი ცოლი საყვედურობდა ალაჰის მოციქულს თავისი მოკრძალებული ცხოვრების გამო, სთხოვდა უფრო დიდ ქონებას. ამ მიზეზით, ალაჰის მოციქული დაცილდა 1 თვით თავის ცოლებს. რწმენამ უკარნახა მას წარმოშობილი პრობლემის გადაწყვეტის გზა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოციქულის ცოლების მდგომარეობა განსხვავებული იყო ჩვეულებრივ მორწმუნეთა ცოლებისაგან. მათ ჰქონდათ განსაკუთრებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა. თვითონ მოციქულმა აირჩია თავისთვის და თავისი ცოლებისათვის თავშეკავებული ცხოვრება. „ამ აიას გარდმოვლენის დროს მუსლიმებმა დაიკავეს ხაიბარის ირგვლივ მდიდარი ოაზისი და თემის განკარგულებაში აღმოჩნდა დიდი სახსრები. მაშინ, როცა მუსლიმური თემის უმრავლესი წევრების ცხოვრება უფრო იოლი გახდა, ეს არ შეეხო ალაჰის მოციქულის ოჯახს, რომელიც კმაყოფილდებოდა მხოლოდ საარსებო მინიმუმით. აშკარად შეცვლილი სოციალური მდგომარეობის ფონზე ბუნებრივი იყო, რომ მის ცოლებს მოესურვებინათ ჰქონოდათ შედარებით უფრო მოხერხებული ცხოვრება, რომელიც ახლა ჰქონდათ სხვა მუსლიმ ქალებს. ალაჰის მოციქულისათვის მათი სურვილების შესრულება ეწინააღმდეგებოდა ძირითად პრინციპს, რომელსაც ის იცავდა ცხოვრებაში და ეს იმაში მდგომარეობდა, რომ ალაჰის მოციქულის და მისი ოჯახის ცხოვრების დონე არ შეიძლებოდა აღმატებოდა მორწმუნეთა შორის უღარიბესის ცხოვრების დონეს" [19,VII,2011,შენ.112].

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, 'უმარ ბ. ალ-ხატტᾱბმა თქვა: „ჩემი სახლი მდებარეობდა ბანუ უმაიᲂას სახლებს შორის, რომლებიც ახლოს იყო მოციქულის ცოლების სახლებთან. ერთხელ ჩემი ცოლი გაბრაზდა ჩემზე, შემდეგ კი დაიწყო კამათი ჩემთან. მე ეს არ მომეწონა და მაშინ მან მითხრა: რატომ არ მოგწონს შენ, რომ მე გეკამათები? ვფიცავ ალაჰს, თვითონ ალაჰის მოციქულის ცოლები ჩხუბობენ მასთან, ხოლო ზოგიერთი მათგანი ტოვებს მას მთელი დღე, დილიდან საღამომდე. 'უმარმა თქვა: მე წავედი სახლიდან, შევიარე ḥაფṣასთან და ვკითხე: შენ მართლა კამათობ ალაჰის მოციქულთან? მან მიპასუხა: დიახ. მე ვკითხე: და არის ისე, რომ რომელიმე თქვენგანი ტოვებს მას მთელი დღე, საღამომდე?

მარხულობდნენ, ეხმარებოდნენ ერთმანეთს, რათა განემტკიცებინათ საპატიო მდგომარეობა ჰარემში [372,65].

მან მიპასუხა: დიახ. მაშინ მე ვუთხარი: დაზარალდება თქვენგან ის, ვინც გააკეთა ეს და აწყენინა მოციქულს. ნუთუ შეიძლება რომელიმე თქვენგანი დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ალაჰი არ განრისხდება მასზე იმის გამო, რომ მან გამოიწვია ალაჰის მოციქულის განრისხება? და თუ ეს მოხდება, ის ხომ დაიღუპება? ნუ კამათობ ალაჰის მოციქულთან და ნუ სთხოვ მას ნურაფერს და თუ რაიმე მოგივა აზრად, მაშინ მე მთხოვე" [8, VIII,182-83].

იბნ სა'დის თანახმად, 'უმარს არ უსაუბრია მხოლოდ თავის ქალიშვილთან. მან გულმოდგინედ შემოიარა ყველა ცოლის სახლი[93] და აფრთხილებდა მათ, რომ აღარასოდეს აემაღლებინათ ხმა მოციქულის წინაშე. მას პრობლემა არ ჰქონია, ვიდრე არ მივიდა უმმ სალამამდე. ის გაბრაზდა და თქვა: „რატომ ერევი მოციქულის პირად ცხოვრებაში? თუ მას სურდა მოეცა ჩვენთვის შენიშვნა, ის შეძლებდა თვითონ გაეკეთებინა ეს. მას საკმარისი უნარი აქვს გააკეთოს ეს და თუ არა მოციქულს, მაშინ ვის უნდა მივმართოთ მოთხოვნებით? განა ჩვენ ვერევით იმაში, რაც არის შენსა და შენს ცოლებს შორის?" [8,VIII,180]. უმმ სალამა იდგა მოციქულის ცოლების ნინ და ისე გამოხატავდა თავის აზრს 'უმართან. უმმ სალამასა და 'უმარის საუბრის შემდეგ, მოციქულის ცოლები[94] მივიდნენ უმმ სალამასთან და მადლობა გადაუხადეს [8,VIII,180].

ტრადიციების ერთი ნაწილი ჰარემის კრიზისის მიზეზად თვლის მუჰამადის ურთიერთობას კოპტ მარიამთან. ერთი ვერსიით, ჰაფსამ ნახა მუჰამადი და მარიამი ერთად თავის საკუთარ სახლში 'ა'იშას „დღეს" [8,VIII,185; 14,XXVIII,91]. სხვა გადმოცემით, ერთ დღეს მუჰამადი მივიდა ჰაფსას სახლში და ნახა, რომ ის იყო წასული მამის მოსანახულებლად. ამ დროს მოვიდა კოპტი მარიამი – მონა-ქალი, რომელიც ალექსანდრიის პატრიარქმა ცოტა ხნით ადრე აჩუქა მუჰამადს. მისი კანი იყო თეთრი და ნაზი და მოციქულმა თავი ვეღარ შეიკავა. ჰაფსამ დაბრუნებისას აღმოაჩინა ეს და ხმა აღიმაღლა თავისი არაერთგული ქმრის მიმართ: „ო, ალაჰის მოციქულო, რატომ ჩემს სახლში, ჩემს საწოლში და ჩემს საკუთარ დღეს?" მარიამმა მაშინვე დატოვა ოთახი, მუჰამადი კი ამშვიდებდა თავის ცოლს. მოციქულმა უთხრა: „ჰაფსა, ამის შემდეგ მე ვუკრძალავ თავს მასთან მიახლოებას და გთხოვ, არ მოუყვე ამის შესახებ

---

[93] ზოგიერთი გადმოცემით, ის ესაუბრა აბუ ბაქრს თავისი ქალიშვილის შესახებ და მერე მასთან ერთად შემოიარა მოციქულის ცოლების სახლები [179,53].

[94] მათ არ ჰქონდათ ისეთი ძლიერი ხასიათი, როგორიც უმმ სალამას. ისინი მოხიბლული იყვნენ მისი სიმამაცით და სურდათ მის მსგავსად მოქცეულიყვნენ.

არავის"[95] [8,VIII,185]. მაგრამ ამ ტიპის სკანდალი, შესაძლოა უპრეცედენტო, რომელიმე მოციქულის ცხოვრებაში, არ იყო ასე ადვილად მოსაგვარებელი. ჰაფსამ ვერ შეიკავა თავი და მოუთხრო 'ა'იშას – თავის მეგობარს და მუჰამადის უსაყვარლეს ცოლს. ახალი ამბავი მალე გავრცელდა. გადმოცემით, მოციქული გაეყარა ჰაფსას, მაგრამ ჯაბრა'ილის ჩარევით უკან დაიბრუნა [372,63].

ამ ინციდენტის შემდეგ 'ა'იშამ და ჰაფსამ უარი განაცხადეს მოციქულთან ურთიერთობაზე. მოციქულისათვის კი თავის მხრივ ასე ადვილი არ იყო მარიამზე უარის თქმა. აღთქმის მიუხედავად მოციქული გადავიდა მარიამთან[96]. მუჰამადისაგან მარიამს ვაჟი შეეძინა, რამაც მისი ცოლების შური და დაეჭვება გამოიწვია.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, გვაქვს ინფორმაცია, რომ კრიზისი მოხდა ჰიჯრის 5,7,8 ან 9 წელს. თ. ნელდეკე ათარიღებს ამ ეპიზოდს 5/626-27 წლით [300,207], ლ. კაეტანი - 9/630-1 წლით. ტრადიციათა ნაწილი აღასტურებს, რომ კრიზისი მოხდა 9/630 წელს [372,63]. ნ. ებოთი ამ ამბავს ათავსებს ჰიჯრის 7 და 9 წელს შორის, ორი ფაქტის გათვალისწინებით – მარიამი შეუერთდა მოციქულის ოჯახს ჰიჯრის 7/628 წელს, როცა არსებობდა ღასსანიანთა შემოსევის საფრთხე და ამან გამოიწვია მუჰამადის ლაშქრობა თაბუქში 9/630 წელს [179,51; 293,439]. კლასიკური მუსლიმი ეგზეგეტიკოსები თარიღს არ ასახელებენ [4,556; 7,III,422-23]. ამასთან, ტრადიციებში აღნიშნულია, რომ მუჰამადის ცოლების რაოდენობა „არჩევანის აიას" გარდმოვლენის დროს იყო ცხრა [8,VIII,196; 14,XXI,155,XXII,26].

„კრიზისის" კულმინაცია იყო მოციქულის განცალკევება ცოლებისაგან ერთი თვით (29 დღე). ამ ვადის გასვლის შემდეგ, მოციქულმა შემოიარა თავისი ცოლების საცხოვრებლები და ნაუკითხა მათ ალაჰის მითითება. მან დაიწყო 'ა'იშათი და ურჩია მოთათბირებოდა თავის მშობლებს გადაწყვეტილების მიღებამდე. 'ა'იშამ დაუფიქრებლად უპასუხა: „შენ იცი, რომ ჩემი მშობლები არასოდეს მირჩევენ შენს დატოვებას.....მე ვირჩევ ალაჰს და მის მოციქულს და მომავალ ცხოვრებას" [8,VIII,184; 40,6/291,293; 14,XXI,157; 4,556].

---

[95] ატ-ტაბარის ვერსიით, „ალაჰის მოციქულის ერთ-ერთმა ცოლმა ნახა მუჰამადი თავის სახლში მონა-ქალთან. მან წამოიძახა: ო, ალაჰის მოციქულო, როგორ შეიძლება ეს ასე იყოს? მე ვთვლიდი მათ [მონა-ქალებს] მიუწვდომელს შენთვის! ალაჰის მოციქულმა უთხრა: გაჩუმდი! არავის უთხრა ამის შესახებ. ის აკრძალულია ჩემთვის და ამის შემდეგ არ მივეკარები მას არასოდეს" [14,XXVIII,91].

[96] მან დაარღვია ჰაფსასთვის მიცემული აღთქმა.

ყურანის ეგზეგეტიკოსების აზრით, მუჰამადმა თავის ცოლებს არჩევანის უფლება მისცა – შეენარჩუნებინათ ქორწინება ან მიეღოთ განქორწინება. თუ ალაჰის მოციქულის რომელიმე ცოლი მოისურვებდა გაყრას, თავდაპირველად მუჰამადი წარმოთქვამდა გაყრის ფორმულას და შეასრულებდა მასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას. განქორწინების შემდეგ ეს ქალი აღარ მიეკუთვნებოდა „მორწმუნეთა დედებს"[97] [19,VII,2010,შენ.110]. მუჰამადმა ყველა ცოლისაგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო. „მათ უარი თქვეს მიეღოთ გაყრის თავისუფლება მისგან" [8,VIII,185]. ზოგიერთი კომენტატორი თვლის, რომ მოგვიანებით გარდმოვლენილი 33:52 აია არის ჯილდო მოციქულის ცოლებისათვის ამგვარი საქციელის გამო [19,VII,2011,შენ.115; 52,841,52a]. *„ამის შემდგომ, ნებადართული არაა შენთვის იქორწინო [ქალებზე], არც ის, რომ გადაცვალო მათზე რომელიმე შენს ცოლთაგან, თუნდაც მოგხიბლოს შენ მათმა სილამაზემ, იმათ გარდა, ვისაც დაეუფლა შენი მარჯვენა [ტყვე ქალები]"* [33:52].

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „ჰარემის კრიზისთან" დაკავშირებით მუჰამადის ცოლები მოხსენიებულია, როგორც მისი „ცოლები" (აზვაჯ) ან მისი „ქალები" (ნისა' ან-ნაბი – 33:32) და არა როგორც „მორწმუნეთა დედები". ეს იმაზე მიუთითებს, რომ საპატიო ტიტული და ქორწინების აკრძალვა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰარემის კრიზისთან, ვიდრე ჰიჯაბის (ჩადრის) დაწესებასთან და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებთან, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს [347,114].

მუჰამადს სჭირდებოდა რაღაც ღვთიური სანქცია, რათა ჩაეხშო თავისი მიმდევრების, განსაკუთრებით თავისი ცოლების პროტესტი. ალაჰი ყოველთვის ეხმარებოდა თავის მოციქულს, როცა მას სჭირდებოდა და შემდეგი აია გარდმოევლინა (66:1)[98]: *„ო, მოციქულო, რატომ უკრძალავ[99] [თავს] იმას, რაც დაუშვა შენთვის ალაჰმა, გსურს კეთილგანწყობა შენი ცოლების? ალაჰი მიმტევებელი, მწყალობელია"*. ეს არის მოციქულის გაფრთხილება იმის თაო-

---

[97] ზოგიერთი ყურანის ეგზეგეტიკოსი თვლის, რომ „არჩევანის აია" გამოხატავს გაყრის თავისუფლებას მოციქულის ცოლებისათვის და ხელახლა გათხოვების უფლებას სხვა მამაკაცზე იმ ცოლებისათვის, ვინც აირჩევდა „ამქვეყნიურ ცხოვრებას და მის სიდიადეს" [9,III,480-81].

[98] ყურანის 66:1-5 აიები უკავშირდება „კრიზისს" მოციქულის ჰარემში [14,XXVIII, 100-106; 7,IV,450-51; 11,IV,385-90] და ისინი გარდმოევლინა იბრაჰიმის დაბადებამდე, ჰიჯრის 8/629-30 წელს [300,208].

[99] აქ მოხსენიებულია სიტყვა „თუჰარრიმუ" (ინფინიტივი – თაჰრიმ), რაც ნიშნავს რაიმეს აკრძალვას. ეს უშუალოდ ეხება სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვას, როგორც ეს ხდება ილა' („გაყრა ფიცით") დროს [52,1107].

ბაზე, რომ მისი მცდელობა – ასიამოვნოს ცოლებს, არ უნდა წავიდეს ისე შორს, რომ აუკრძალოს თავს ის, რისი ნებაც დართო ალაჰმა. თუმცა ეს აკრძალვა მხოლოდ მისთვის იყო.

ყურანში არაა ნათქვამი, სახელდობრ რა აუკრძალა მოციქულმა თავის თავს. ყურანის ეგზეგეტიკოსები ორ მოვლენაზე მოგვითხრობენ [14,XXVIII,102; 7,IV,386; 9,IV,450-51; 4,742; 52,1106,შენ.1a]. ერთი ეხება კოპტ მარიამს, ხოლო მეორე თაფლის აკრძალვას მხოლოდ მოციქულისათვის. პირველ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ ჰაფსამ ნახა მოციქული თავის სახლში მონაქალთან ერთად. მრავალი გადმოცემა ეკუთვნის მოციქულის მემკვიდრეებს და არა უშუალოდ მოციქულს და არც ერთში 6 კანონიკური კრებულიდან, არ იხსენიება ეს ისტორია. ალ-ბუხარი, მუსლიმი – ცნობილი ტრადიციონალისტები მოგვითხრობენ სხვა შემთხვევაზე: „შუადღის ლოცვის შემდეგ მოციქული შემოიცლიდა ხოლმე ყველა ცოლს. ერთხელ შეფერხდა ზაინაბის[100] სახლში ჩვეულებრივზე მეტად იმის გამო, რომ მან ვიღაცისაგან საჩუქრად მიიღო თაფლი, რომელიც მოციქულს ძლიერ უყვარდა. 'ა'იშამ იეჭვიანა, მოეთათბირა სხვა ცოლებს, რომ ეთქვათ მისთვის – შენგან მოდის მაღაფირის[101] სუნი. ყველამ იცოდა, რომ მოციქული მგრძნობიარე იყო და ვერ იტანდა უსიამოვნო სუნებს. ჩანაფიქრი იყო წარმატებული: მოციქულმა აღუთქვა მათ, რომ აღარასოდეს შეჭამდა თაფლს. ავტორიტეტული მეცნიერები ადასტურებენ ამ ისტორიას“ [19,X, 2697, შენ. 2].

ეს თავისთავად ძნელი დასაჯერებელია და ა. ჰექმათი ასახელებს 5 მიზეზს, რაც უარყოფს იმ ფაქტს, რომ თაფლის აკრძალვა გახდა „არჩევანის“ მიზეზი. 1) თუ მოციქული ისე ადვილად იხიბლებოდა თაფლით, რომ რომელიმე ცოლთან ჩვეულებრივზე მეტხანს დარჩენილიყო, მაშინ სხვა ცოლებსაც შეეძლოთ ამ მიზნით თაფლის გამოყენება. 2) თუ მოციქული ნამდვილად რჩებოდა რომელიმე ცოლთან უფრო ხანგრძლივად, ეს განხილულ უნდა იქნეს ყურანის მითითებათა საწინააღმდეგო ქმედებად – პოლიგამიური ქმარი სამართლიანად უნდა მოქცეოდა თავის ცოლებს. 3). ყურანის ეგზეგეტიკოსები „არჩევანის აიას“ გარდმოვლენის მიზეზებში უპირატესობას ანიჭებენ მარიამის და ჰაფსას ამბავს. 4) 66:1 აია უნდა აიხსნას თვითონ ყურანის მომდევნო ოთხი აიათი (66:2-5). უეჭველია, რომ მუჰამადი ამის მერე იძულებული გახდა აღეთქვა – უთანხმოების აღსაკვეთად აღარასოდეს გაკარებოდა თავის მხე-

---

[100] ზაინაბ ბინთ ჯაჰში ან ეს იყო უმმ სალამა, რომელმაც შესთავაზა მოციქულს თაფლის სასმელი.

[101] ყვავილი უსიამოვნო სუნით, რომელიც გადაეცემა თაფლს.

ვალს. 5. თუ ჩვენ ვირწმუნებთ მუჰამადის მონათხრობს, მხოლოდ საკუთარი თავისთვის თაფლის აკრძალვის შესახებ, მაშინ ის ცოლები, რომლებიც აჯანყდნენ მის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ მისგან მოდიოდა ცუდი სუნი, მატყუარები არიან, რადგანაც მათ მოატყუეს ქმარი, მოციქული და არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ „მორწმუნეთა დედები" [240,75-76].

უფრო სარწმუნოა, რომ მუჰამადმა გადანყვიტა გამოეწვია 'ა'იშას და ჰაფსას ეჭვიანობა, წავიდა პირდაპირ მარიამის საცხოვრებელში და მთელი თვე მასთან გაატარა. მაგრამ ალაჰის მითითებითვე მუჰამადისათვის ცნობილი გახდა, რომ (66:2) *„თუ შენი ფიცი ნებას არ გრთავს სნორედ მოიქცე ან დაამყარო მშვიდობა ადამიანებს შორის, მაშინ უნდა გათავისუფლდე ამ ფიცისაგან [თუ ისინი უაზროა ან საზიანო] და ალაჰი თქვენი მფარველია და ის მცოდნე, ბრძენია"*[102] [19, X, 2698].

მედინაში ხმები გავრცელდა, რომ ალაჰის მოციქული გაეყარა თავის ცოლებს, მაგრამ ვერავინ ბედავდა დალაპარაკებოდა მას ამის თაობაზე. ჰადისებში ხაზგასმულია, რომ ამ ინფორმაციამ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუსლიმებზე, ვიდრე ღასსანიანთა მოსალოდნელმა თავდასხმამ. 'უმარმა ვერ შეძლო გაურკვევლობაში ყოფნა[103] და მივიდა მოციქულთან, რომელთანაც იმ დროს იყო მისი მოსამსახურე – რაბაჰი. 'უმარმა სთხოვა შესვლის ნებართვა, მაგრამ რაბაჰი დუმდა. 'უმარმა გაუმეორა თხოვნა და დიდი ხმით უთხრა: „ალბათ, შენ ფიქრობ, რომ მე მოვედი ჰაფსას გამო... ვფიცავ, თუ ალაჰის მოციქული მიბრძანებს მოვკვეთო მას თავი, მაშინ მე დაუყოვნებლივ გავაკეთებ ამას". მოციქულმა მოისმინა ეს და შესვლის ნება დართო. 'უმარმა ჰკითხა მოციქულს ცოლებთან უთანხმოების მიზეზი და მან უპასუხა, რომ ორი საყვარელი ცოლი აღარ უვლიდა მას. 'უმარი შეეცადა გაემხნევებინა მოციქული და მოუყვა ამბავი ანსართა ცოლებისა, რომლებიც გამგებლობენ თავიანთ ქმრებზე და მუჰაჯირთა ცოლებმა როგორ გადაიღეს მათგან „ეს მავნე ჩვევა". მოციქულმა გაიცინა. შემდეგ 'უმარმა მოუყვა, რომ გააფრთხილა თავისი ქალიშვილი არ გათანაბრებოდა ღამაზ მეზობელს ('ა'იშას), მოციქულმა კვლავ გაიღიმა. 'უმარმა მიმოიხედა და ვერ დაინახა მოციქულთან ვერც ხალიჩები, ვერც ავეჯი. მან უთხრა: „ო, ალაჰის მოციქულო! სთხოვე ალაჰს, რომ მან გაამდიდროს შენი ხალხი, როგორც გაამდიდრა სპარსელები და ბიზანტიე-

---

[102] მუჰამადმა გაითავისუფლა თავი [ქაფფარა] ფიცისაგან მარიამთან დაკავშირებით და 29 დღით დაცილდა თავის ცოლებს.

[103] როდესაც კრიზისი მოციქულის ჰარემში ცხადი გახდა, 'უმარს ეს შეატყობინა მისმა მეგობარმა – აუს ბ. ხავლაიმ [8,VIII,183].

ლები, რომლებიც მას თაყვანს არ სცემენ". მოციქულმა უპასუხა: „ო, იბნ ალ-ხატტაბ, ნუთუ შენ გეეჭვება? ეს არის ხალხი, რომელთაც მან მისცა მთელი მათი კეთილი წილი უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებაში". 'უმარმა პატიება სთხოვა. სხვა გადმოცემით, 'უმარმა უთხრა მუჰამადს: „ო, ალაჰის მოციქულო! რატომ მოაქვთ ქალებს შენთვის საფიქრალი? თუ შენ გაეყრებოდი მათ, ალაჰი მოგცემდა უკეთესებს. ალაჰი შენი მხარდამჭერია და ჯაბრა'ილი, მიქა'ილი, მე, აბუ ბაქრი და მორწმუნენი — ყველა შენთანაა." 'უმარმა თქვა: „მე იმედი მქონდა, რომ ალაჰი დაადასტურებდა ჩემს სიტყვებს, როგორც ადრე და მართლაც გამოცხადებული იქნა ეს აიები" (66:4-5). [47; 9,IV,389-90]. მუჰამადმა დაამშვიდა 'უმარი, რომ იხ არ გაყრია თავის ცოლებს, მხოლოდ განცალკევდა მათგან ერთი თვე. 'უმარმა გაახარა მუსლიმები. ამის შემდეგ თვითონ ალაჰის მოციქული მივიდა მეჩეთში და წარმოთქვა ალაჰის მითითება: *„და როცა [ერთხელ] მოციქულმა საიდუმლოდ გაანდო თავის ერთ-ერთ ცოლს რაღაც ამბავი, მან მოუთხრო ეს [სხვა ცოლს]. ალაჰმა გაუმჟღავნა [ეს საქციელი] მოციქულს, ხოლო მან მოუთხრო [ცოლს] ნაწილი [ალაჰის მიერ გამჟღავნებულიდან] და ნაწილი დაფარა. და როდესაც მან უამბო მას [ცოლს] ამის შესახებ, მან ჰკითხა: ვინ შეგატყობინა ეს? მან უპასუხა:შემატყობინა მე ყოვლისმცოდნემ"* (66:3).

ზოგიერთი კომენტატორი თვლის, რომ 66:3 აიაში საუბარია მოციქულის წინასწართქმაზე — აბუ ბაქრი იქნებოდა მისი მემკვიდრე. ეს ცნობა გადაეცა ჰაფსას, რომელმაც მოუთხრო 'ა'იშას — აბუ ბაქრის ქალიშვილს. თუ ასეთი განმარტება სწორეა, მაშინ გასაგებია მოციქულმა რატომ „თქვა ნაწილი, ხოლო ნაწილი დაფარა". მუჰამადს არ სურდა მემკვიდრეობა გადაეცა აბუ ბაქრისათვის, როგორც „სამოციქულო განკარგულება", არამედ უნდოდა თავისუფალი არჩევანი მიეცა თემისათვის იმ პრინციპის შესაბამისად, რაც არის გადმოცემული 42:38 აიაში [19,IX,2698,შენ.8]. თუმცა, ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში მემკვიდრედ აბუ ბაქრთან ერთად დასახელებულია 'უმარიც, რომელთაც თავიანთ თავზე უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა მუსლიმურ თემზე [7,IV, 453; 4,742; 11, IV,389].

66:4 აია გარდმოევლინა 'ა'იშას და ჰაფსას მისამართით. ალაჰმა გააფრთხილა ისინი, რომ შეეწყვიტათ მუჰამადის წინააღმდეგ ქმედება, რადგანაც ალაჰი, მისი ანგელოზები და ჭეშმარიტი მორწმუნენი დაიცავდნენ მოციქულს. 'უმარის[104] დარიგებით,

---

[104] ყურანის ეგზეგეტიკაში ხაზგასმულია, რომ 'უმარი იყო პირველი, ვინც უმტკიცებდა მოციქულს, რომ ალაჰი, მისი ანგელოზები და ღვთისმოსავი

მუჰამადი უფრო მკაცრი გახდა ცოლების მიმართ და დაემუქრა მათ გაყრით [240,77]. *„და თუ თქვენ [ორნი] მოინანიებთ ალაჰის წინაშე [ეს იქნება უკეთესი], რადგანაც თქვენი გულები გადაიხარა [ჭეშმარიტებიდან] და თუ თქვენ ორივე ერთმანეთს დაეხმარებით მის [მოციქულის] წინააღმდეგ, მაშინ ჭეშმარიტად, ალაჰი მისი მფარველია და ჯაბრა'ილი, ღვთისმოშიში მორწმუნეები და ამის გარდა ანგელოზები [დაეხმარებიან მას]"* (66:4).

66:5 აიაში უკვე საუბარია არა მხოლოდ ორ ცოლთან, არამედ ყველა ცოლთან დაკავშირებით. აქ ჩამოთვლილია ყველა თვისება, რაც უნდა ჰქონოდათ მოციქულის ცოლებს: იდეალური ცოლი უნდა იყოს ალაჰის და მისი მოციქულის მორჩილი. მორჩილება რწმენაზე უპირატესია [240,77]. *„შესაძლებელია, თუ ის გაგეყრებათ თქვენ, მისი უფალი მისცემს თქვენს ნაცვლად უკეთეს ცოლებს – ჭეშმარიტ მუსლიმებს, მორწმუნეებს, ღვთისმოშიშებს, მიმტევებლებს, [ალაჰისადმი] მუხლმოყრილებს, მომარხულებს, როგორც განათხოვარ ქალებს, ასევე ქალიშვილებს"* (66:5) [55,594; 24,463;19,X,2698-99].

საპატიო ტიტული „მორწმუნეთა დედები" („უმმაჰათ ალ-მუ'მინინ") ჰადისებში გამოყენებულია, როგორც ტექნიკური ტერმინი და გამოყოფს მოციქულის ცოლებს სხვა მორწმუნე ქალებისაგან. ჰადისებში განსაზღვრულია მოციქულის ცოლების სტატუსი და როლი, როგორც მუჰამადის თანაშემწეების. ისინი ეხმარებოდნენ მუჰამადს, რათა განეხორციელებინა თავისი მისია და ექადაგა ალაჰის ჭეშმარიტება. მუჰამადის თითოეულმა ცოლმა თავისი გარკვეული კვალი დატოვა უმაღლესი რანგის წინასწარმეტყველის და მოციქულის ცხოვრებაში, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა ჰადისებში.

ჰადისებში დაცული მასალის საფუძველზე „მორწმუნეთა დედები" სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: *1. მოციქულის ცოლები, როგორც „ჩვეულებრივი ქალები". 2. მოციქულის ცოლები ადრეულ ჰადისთა ჰაგიოგრაფიაში. 3. მოციქულის ცოლები, როგორც სათნოების და ღვთისმოსავობის ნიმუში და მიბაძვის მაგალითი ყველა მუსლიმი ქალისათვის.*

1. *მოციქულის ცოლები, როგორც „ჩვეულებრივი ქალები".*

მართალია, ალაჰმა მუჰამადის ცოლები საუკეთესო თვისებებით დააჯილდოვა, მაგრამ პარალელურად ჰადისებში ასახულია მუჰამადის ჰარემში ცოლებს შორის უპირატესობის მოსაპოვებ-

---

სამყარო იქნებოდა მის მხარეზე, თუ ის გაეყრებოდა თავის ცოლებს (იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მისი ქალიშვილი იყო მუჰამადის ერთ-ერთი ცოლი) [14,XXVIII,105-06; 9,IV,389].

ლად მიმდინარე ყოველდღიური ბრძოლის მეთოდები. დაპირისპირებას ძირითადად საფუძვლად ედო ეჭვიანობა.

ალაჰის მოციქული თავის ცოლებს სამართლიანად ექცეოდა. თითოეულ ცოლს ჰქონდა ცალკე საცხოვრებელი[105]. ეს იყო „მოციქულის მეჩეთის" გარშემო. მუჰამადმა თქვა: „ო, ღმერთო! მე თანაბრად გავანაწილე ის, რასაც ვფლობდი, ნუ მისაყვედურებ იმაში, რასაც ვფლობ და არ გადავცემ. მხედველობაში ჰქონდა გულით სიყვარული" (ის, რომ ერთნი სხვებზე მეტად უყვარდა) [8,VIII,168; 32,2/572, 2129; 53,2/67,124].

მოციქული მოინახულებდა თავის ცოლებს დღეში ერთხელ, როცა შემოივლიდა ხოლმე მათ სახლებს, ჩვეულებრივ, შუადღის ლოცვის შემდეგ [VIII,169]. ის ხელით ეხებოდა და კოცნიდა მათ [8,VIII,170]. ყველას თავისი „დღე და ღამე" ჰქონდა გამოყოფილი. ეს იყო თითოეული ცოლის პრეროგატივა, რომელსაც, როგორც თავის უფლებას, ის გულმოდგინედ იცავდა [8,VIII,169]. თუ ახალი პატარძალი აირჩევდა დიდ პერიოდს მოციქულთან განცალკევებისათვის, დანარჩენ ცოლებსაც ჰქონდათ ამისი უფლება [8, VIII,170]. როცა მოციქულმა იქორწინა უმმ სალამაზე, უთხრა: „თუ შენ გსურს, მე მოგცემ შვიდ დღეს შენ და შვიდ დღეს მათ (გულისხმობდა სხვა ცოლებს), ან სამ დღეს. უმმ სალამამ აირჩია სამი დღე" [8,VIII,92]. ჩვეულებრივ, თავისი ცოლების მონახულებისას, ის უნდა მდგარიყო ფეხზე, ხოლო როცა მიდიოდა იმ ცოლის სახლში, რომლის „დღეც" იყო, მოციქული უნდა დამჯდარიყო [8,VIII,170]. 'ა'იშამ თქვა: „როცა ალაჰის მოციქული მიდიოდა სამოგზაუროდ (ან სალაშქროდ), ის კენჭს ყრიდა ცოლებს შორის, რომელი უნდა გაჰყო-

---

[105] როცა მოციქული გადავიდა მედინაში (622 წ.), დაასახლა თავისი ცოლები ('ა'იშა და საავდა) მეჩეთის აღმოსაელეთი კედლის გასწვრივ. 'ა'იშას საცხოვრებელში, რომელიც აგებული იყო გამოუმწვარი აგურით და გადახურული პალმის ტოტებით, დაიკრძალა თვითონ მუჰამადი, აბუ ბაქრი და 'უმარი. საავდამ თავისი „სახლი" უანდერძა 'ა'იშას. თვითონ 'ა'იშასაგან სახლი იყიდა მუ'ავიაა ბ. აბრ სუფიანმა 180 ათას, ან 100 ათას დირჰამად, მაგრამ ნება დართო მას იქ ეცხოვრა სიცოცხლის ბოლომდე. მუ'ავიამ ასევე შეიძინა სახლი ხაფიასაგან – 180 ათას, ან 100 ათას დირჰამად. ზაინაბ ბინთ ხუზაიმას გარდაცვალების შემდეგ, მოციქული დაქორწინდა უმმ სალამაზე, რომელიც ზაინაბის საცხოვრებელში დასახლდა. უმმ სალამას ანდერძი იყო – გაეყიდათ მისი სახლი. ჰაფსა ბინთ 'უმარმა უანდერძა თავისი სახლი ძმას – იბნ 'უმარს. უმაიანთა მმართველობის დროს, 'უმარ ბ. 'აბდ ალ-აზიზმა, როცა ის მედინის მმართველი იყო (705-712/713), დაანგრია ეს სახლები (სულ 9) და შეუერთა მეჩეთს. მოციქულის ცოლების საცხოვრებლებს, იბნ სა'დი არაბულად ასე მოიხსენიებს: „მანაზილ აზვაჯ ან-ნაბიი" [8,VIII,164-67; 293,175-76]. მხევლებისათვის სპეციალური ადგილი იყო გამოყოფილი საცხოვრებლად, მედინას მეჩეთის ეზოში.

ლოდა მას“ [8,VIII,169-170]. ამასთან, მუჰამადი ყველას აძლევდა თავის წილს – უნაწილებდა ყველას დღეებს და ღამეებს სავდას გარდა, რომელმაც დათმო თავისი რიგი ‘ა’იშას სასარგებლოდ და მიაღწია მოციქულის კეთილგანწყობას მისდამი [8,VIII,169]. ‘ა’იშამ თქვა: „ალაჰის მოციქული არც ერთ ჩვენთაგანს არ აძლევდა უპირატესობას მეორეზე [წილში], თითქმის ყოველთვის შემოივლიდა ყველასთან, უახლოვდებოდა თითოეულს, მაგრამ არავის არ ეხებოდა, ვიდრე არ მივიდოდა იმასთან, ვისი რიგიც იყო და ატარებდა ღამეს მასთან“ [8,VIII,170].

ცოლების მონახულების ეს წესი ირღვეოდა მხოლოდ მაშინ, როცა მოციქულის ცოლები იგონებდნენ სხვადასხვა ხერხს, რათა გაეხანგრძლივებინათ მუჰამადის გვერდით ყოფნა. გადმოცემით, მოციქულის ერთ-ერთმა ცოლმა, რომელმაც იცოდა მოციქულის ლტოლვა ტკბილეულისადმი, დააყოვნა ის თაფლის სასმელის შეთავაზებით იქამდე, ვიდრე ეს ფანდი არ გამჟღავნდა და მას ხელი არ შეუშალეს ‘ა’იშამ, სავდამ და ḥაფṣიჲამ, ან ეს იყო უმმ სალამა, ხოლო ‘ა’იშამ და ჰ̣აფṣამ გამოამჟღავნეს მისი ქმედება [8,VIII,170; 40,6/385,434; 32,3/1050,3706; 53,2/405,147]. ეჭვიანობას იწვევდა მოციქულის ჰარემში ახალი ცოლის გამოჩენა. განსაკუთრებით, მაშინ, როცა ის ლამაზი იყო. ცოლებს ეშინოდათ, რომ მას მუჰამადზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოეხდინა. ასეთი განცდა ჰქონდა ‘ა’იშას, როცა მუჰამადი დაქორწინდა უმმ სალამაზე, ან როცა დაინახა ტყვე ჯუვაირიჲა. ‘ა’იშას გადმოცემით, „ის (ჯუვაირიჲა) იყო არაჩვეულებრივი სილამაზის, მომხიბვლელი ქალი და ყველა მისი მნახველი მაშინვე ექცეოდა მისი ხიბლის ქვეშ. ინტუაციამ ‘ა’იშას უკარნახა, რომ ის მოეწონებოდა მუჰამადს“ [8,VIII,118].

ჰადისების უმეტესობა ადასტურებს, რომ მოციქულის ცოლები უკმაყოფილო იყვნენ იმ წესით, რომლის შესაბამისადაც ხდებოდა მათ შორის საჭმლის და სხვადასხვა საჩუქრების განაწილება. გადმოცემით, მორწმუნენი ანგარიშმიუცემლად სთავაზობდნენ მოციქულს თავიანთ საჩუქრებს (ḥადიკა), უფრო ხშირად იმ დღეს, რომელსაც ის ‘ა’იშასთან ატარებდა [8,VIII,164]. სხვა ცოლები აღშფოთდნენ ამის გამო.

‘ა’იშას გადმოცემით, მოციქულის ცოლები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: 1. თვითონ ‘ა’იშა, ḥაფṣა, ḥაფიჲა და სავდა. 2. უმმ სალამა და მოციქულის სხვა ცოლები. მუსლიმებმა იცოდნენ, რომ მოციქულს უყვარდა ‘ა’იშა. ამდენად, თუ რომელიმე მათგანს ჰქონდა საჩუქარი და სურდა გადაეცა ის მოციქულისათვის, არჩევდა იმ დღეს, როცა ის იყო ‘ა’იშას სახლში. უმმ სალამას ჯგუფმა გა-

ნიხილა ეს საკითხი და ერთობლივად გადაწყვიტა, რომ საჩუქრების განაწილების წესი უნდა შეცვლილიყო და მოციქულის მითითებით მუსლიმებს უნდა გაეგზავნათ თავიანთი საჩუქრები მუჰამადის ცოლებთან ცალ-ცალკე. უმმ სალამამ ეს სამჯერ მოახსენა. ბოლოს მოციქულმა უთხრა: „ნუ მტკენ გულს 'ა'იშასთან მიმართებაში, რადგანაც ღვთიურ გამოცხადებებს ვღებულობ მხოლოდ 'ა'იშასთან". უმმ სალამამ შესთხოვა ალაჰს [პატიება] მისი შეწუხების გამო. ამის შემდეგ უმმ სალამას ჯგუფმა სთხოვა ფატიმას დალაპარაკებოდა მოციქულს. ფატიმამ უთხრა მამას, რომ მისმა ცოლებმა სთხოვეს მოციქულს – ერთნაირად მოქცეოდა მათ და აბუ ბაქრის ქალიშვილს. მოციქულმა უთხრა: „ო, ჩემო გოგონავ! არ გიყვარს შენ ის, ვინც მე მიყვარს?" მან დადებითად უპასუხა. ფატიმამ მოუთხრო ეს ამბავი უმმ სალამას ჯგუფს, მაგრამ მათ სთხოვეს, კიდევ ერთხელ ეთქვა. ამაზე ფატიმამ უარი განაცხადა. მაშინ ზაინაბ ბინთ ჯაჰში წავიდა მოციქულთან და კიდევ ერთხელ შეახსენა მისი ცოლების თხოვნა — ერთნაირად მოქცეოდა მათ და აბუ კუჰაფას(აბუ ბაქრის) ქალიშვილს. ამასთან, მან შეურაცხყოფა მიაყენა 'ა'იშას, რაც მათ შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა [8,VIII,171-72].

ჰადისების თანახმად, მოციქულის ცოლები ერთმანეთში განიხილავდნენ აგრეთვე, თუ ვინ და როგორ იმსახურებდა მუჰამადის გვერდით გამორჩეულ ადგილს. ზოგიერთი ტრადიცია ამტკიცებს, რომ ზაინაბ ბინთ ჯაჰში შეიძულეს სხვა ცოლებმა იმის გამო, რომ მოციქულის ქორწინება მასზე მოხდა სპეციალური ღვთიური გამოცხადების წყალობით (33:37-38; 33:4,40) და „ჰიჯაბის აია" (33:53) გარდმოევლინა მოციქულს მათი ქორწინების დღეს. 'ა'იშასთან პრეტენზია განპირობებული იყო იმით, რომ მოციქულის ცოლებს შორის ის იყო ერთადერთი ქალწული ცოლი, მუჰამადის უახლოესი კომპანიონის ქალიშვილი და ამასთან მუჰამადი მას უპირატესობას ანიჭებდა სხვა ცოლებთან შედარებით. ამ ჟანრის ტრადიციები გარკვეულწილად უნდა დავაკავშიროთ იმ ფაქტთან, რომ მოციქულის ცოლები წარმოშობით სხვადასხვა ტომიდან და გვარიდან იყვნენ და შესაბამისად მათ სხვადასხვა პოლიტიკური როლი შეასრულეს ისლამის ისტორიაში [350,109].

გადმოცემით, უმმ სალამა თავს იკავებდა მოციქულის ცოლობისაგან, რადგანაც ძალიან ეჭვიანი იყო. მან უთხრა მოციქულს: „მე ძალიან ეჭვიანი ქალი ვარ, მეშინია, რომ შენ განრისხდები ხოლმე ჩემზე და ამისათვის კი ალაჰი დამსჯის". მოციქული დაპირდა, რომ შესთხოვდა ალაჰს გაეთავისუფლებინა ის ამ თვისებისაგან. მაგრამ მოციქულმა მაინც მისცა მას რამდენჯერმე ეჭვიანო-

ბის საბაბი. ერთხელ, მოგზაურობისას, მუჰამადს ახლდა 2 ცოლი – ᲮᲐᲤᲘᲘᲐ და უმმ სალამა. მოციქული მივიდა ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡ ტახტრევანთან (ჰავდაჯ) და ფიქრობდა, რომ უმმ სალამას ეკუთვნოდა, რადგანაც მისი დღე იყო. მოციქულმა დაიწყო საუბარი ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡთან და უმმ სალამამ იეჭვიანა. მან უთხრა მოციქულს დაბრუნებისას: „თქვენ საუბრობთ იუდეველთა ქალიშვილთან ჩემს დღეს და მაშინ, როცა თქვენ ხართ ალაჰის მოციქული" [8,VIII,95], მაგრამ დაივიწყა წყენა. გადმოცემით, მოციქული ხაიბარზე ლაშქრობიდან (628 წ.) დაბრუნდა თავის ახალ ცოლთან – ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡთან ერთად და 'Ა'ᲘᲨᲐᲛ იეჭვიანა მასზე. 'Ა'ᲘᲨᲐ ჩადრით მივიდა ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡ სანახავად, რათა არ ეცნოთ. მაგრამ მოციქულმა შეამჩნია 'Ა'ᲘᲨᲐ და ჰკითხა აზრი ოჯახის ახალ წევრზე. მან ქედმაღლურად უპასუხა, რომ ნახა იუდეველი ქალი. მოციქულმა უპასუხა: „ნუ ამბობ ასე. ის ხომ მუსლიმი გახდა და მისი ისლამი მშვენიერია" [8,VIII,126]. 'Ა'ᲘᲨᲐ მაშინვე წავიდა ᲰᲐᲤᲬᲐᲡთან და მოუთხრო ამის შესახებ. უმმ სინᲐᲜ ალ-ასლამიᲘᲐᲡ გადმოცემით, მან ჩადრით ნახა მოციქულის ოთხი ცოლი: ზაინაბი, ᲰᲐᲤᲬᲐ, 'Ა'ᲘᲨᲐ და ᲯᲣᲕᲐᲘᲠᲘᲘᲐ. ზაინაბმა უთხრა ᲯᲣᲕᲐᲘᲠᲘᲘᲐᲡ, რომ ეს გოგონა დაიკავებდა მოციქულის მთელ დროს. მედინაში ჩამოსვლისას ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡ აქლემი წაბორძიკდა, მოციქულის ცოლებმა თქვეს: „დაე, ჩამოაშოროს მას ალაჰმა იუდეველი" [8,VIII,126]. გადმოცემულია აგრეთვე 'Ა'ᲘᲨᲐᲡ და ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡ კამათი მათი მამების გამო, რადგანაც ᲮᲐᲤᲘᲘᲐ იუდეველი იყო. ბოლოს მოციქულმა ურჩია თვითონ დაეცვა თავი და ეპასუხა: „ჩემი ქმარი მუᲰᲐᲛᲛᲐᲓᲘᲐ, მამა - ᲰᲐᲠᲣᲜᲘ, ხოლო ბიძა - მᲣᲡᲐ" [8, VIII,127]. 'Ა'ᲘᲨᲐᲡ გადმოცემით, მოციქული მიემგზავრებოდა, როცა ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡ აქლემი ავად გახდა. ზაინაბს ჰყავდა ზედმეტი აქლემები (ან ცხენი) და მოციქულმა სთხოვა მიეცა მისთვის, მაგრამ მან უარი განუცხადა იუდეველისათვის აქლემის თხოვებაზე [8,VIII,127]. მოციქულმა თავისი უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ თავი შეიკავა მისგან 2 ან 3 თვე (ან უფრო ზუსტად ᲬᲣ-Ლ-ᲰᲘᲯᲯᲐᲡ თვე, მუᲰᲐᲠᲠᲐᲛ და ᲮᲐᲤᲐᲠᲘᲡ ნაწილი) [32, 3/1293]. მოციქულმა თავიდან ᲮᲐᲤᲘᲘᲐ ცალკე დაასახლა მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. მოციქულის ცოლები ორად იყვნენ გაყოფილი: 'Ა'ᲘᲨᲐ, ᲰᲐᲤᲬᲐ და სავდა ერთ მხარეს, ხოლო დანარჩენები და ფᲐᲢᲘᲛᲐ – მეორე მხარეს. ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲛ გადაწყვიტა ახლოს ყოფილიყო 'Ა'ᲘᲨᲐᲡ, ᲰᲐᲤᲬᲐᲡ, და ფᲐᲢᲘᲛᲐᲡთან. ამ უკანასკნელს აჩუქა ოქროს სამკაული სიყვარულის და კეთილგანწყობის ნიშნად. ამ გზით, ᲮᲐᲤᲘᲘᲐᲡ სურდა თავი აერიდებინა შესაძლო უსიამოვნებებისაგან. მართალია, ფᲐᲢᲘᲛᲐ ძალიან მშვიდობისმოყვარე იყო და არ მონაწილეობდა ასეთ ინტრიგებში, მაგრამ 'Ა'ᲘᲨᲐ

და ჰაფსა სხვა ცოლებსაც განაწყობდნენ მის წინააღმდეგ და ყოველთვის ხაზს უსვამდნენ თავიანთ წარმოშობას (ორივე კურაიშის ტომს ეკუთვნოდა).

ანტიტომობრივი დაპირისპირება ძლიერდებოდა, როცა მოციქულს სურდა დაქორწინება სხვა არაბული ტომის ქალებზე. მუჰამადის ცოლები არაკურაიშელებს განიხილავდნენ, როგორც უცხოებს (ღარაʿიბ). ʿაʾიშა საყვედურობდა მოციქულს ამის გამო, რადგანაც „ასეთ შემთხვევაში ის ყურადღებას გადაიტანდა ახლობლებიდან უცხოებზე" [8,VIII, 145]. გადმოცემით, მოციქულმა გააგზავნა ʿაʾიშა ქალბრის ტომის ერთ-ერთი ქალის სანახავად, ვისაც ქორწინება შესთავაზა. ʿაʾიშამ უთხრა: „არაფერი აქვს ყურადღების ღირსი". მოციქულმა უპასუხა: „შენ რაც ნახე, მართლაც იყო ყურადღების ღირსი. შენ ნახე ხალი ლოყაზე და შენი თმის ღერიც კი შეირხა". ʿაʾიშამ ამის შემდეგ იცოდა, რომ ვეღარაფერს გამოაპარებდა მოციქულს [8,VIII,160-61].

იბნ საʿდი ასახელებს სამ შემთხვევას, როცა მოციქულის ქორწინება სხვა ტომის არაბ ქალებთან დაირღვა მათ მიერ შემდეგი ფორმულის – „მე ვეძებ მფარველობას შენგან ალაჰთან" წარმოთქმით. ყველა შემთხვევაში მოციქულმა ეს ქალები თავის ტომთან დააბრუნა. გადმოცემით, ამაში დიდი წვლილი მიუძღოდათ მოციქულის ცოლებს, რომელთაც შეგნებულად ურჩიეს ასე მოქცეულიყვნენ [8,VIII,144-46].

ჰადისებში დიდი ყურადღება დაეთმო კოპტი მარიამისადმი ეჭვიანობას, მაგრამ ის დარჩა მის მხევლად. მარიამის მთავარ ღირსებას ის წარმოადგენდა, რომ იყო „უმმ იბრაჰიმ" (იბრაჰიმის დედა). ʿაʾიშას გადმოცემით, „მე არ ვეჭვიანობდი არც ერთ ქალზე მის გარდა. ეს იმის გამო, რომ იყო ძალიან ლამაზი, ხუჭუჭთმიანი ქალი და ალაჰის მოციქული მოხიბლული იყო მისით" [8,VIII,212]. „როდესაც მარიამი მას პირველად მიუყვანეს, მან დააბინავა ის ალ-ჰარის ბ. ალ-ნუʿმანის სახლში. ის იყო ჩვენი მეზობელი. მოციქული უმეტეს ღამეებს და დღეებს მასთან ატარებდა ისე, რომ ჩვენ შევფიქრიანდით ამის გამო. ეს საგანგაშო გახდა. მოციქულმა დაასახლა ის ალ-ʿალიაში (მედინას ერთ-ერთი კვარტალი), სადაც ნახულობდა მას. ეს მძიმე იყო ჩვენთვის. შემდეგ ღმერთმა მისცა მას ვაჟი მისგან, ხოლო ჩვენ წართმეული გვქონდა ეს ბედნიერება" [8,VIII,212-13]. არის გადმოცემები, რომ იბრაჰიმი მუჰამადის შვილი არ იყო, მაგრამ მოციქულთან მივიდა მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „მშვიდობა თქვენ, იბრაჰიმის მამავ" და მოციქულმა ჰპოვა დადასტურება. ეჭვიანობას ინვევდა ისიც, რომ ქრისტიანი დედისაგან დაბადებული ბავშვი შეიძლებოდა მოციქულის ხე-

ლისუფლების მემკვიდრეც კი გამხდარიყო. მაგრამ იბრაჰიმი მცირენლოვანი გარდაიცვალა.

მოციქულის ცოლების ეჭვიანობა გარკვეულწილად დაკავშირებული იყო აგრეთვე მუსლიმურ თემში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე.

2. მოციქულის ცოლები ადრეულ ჰადისთა ჰაგიოგრაფიაში.

ამ ჟანრის ტრადიციები მოგვითხრობენ იმ საოცარ, ზებუნებრივ მოვლენებზე, რომლებიც ხდებოდა მუჰამადის ცოლების ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, მოციქულთან კავშირში. მათ დაიმსახურეს სპეციალური „წყალობა" ალაჰისაგან — გამხდარიყვნენ მოციქულის რჩეული თანამგზავრები. მოციქულთან სიახლოვემ საშუალება მისცა მათ რეალობაზე ამაღლებულიყვნენ, რაც მათ ჩვეულებრივ სხვა მორწმუნე ქალებისაგან გამოარჩევდა. მუჰამადის ცოლების უმრავლესობას ჰქონდა ხილვა ან მათ სიზმარი ნახეს მუჰამადთან ქორწინებამდე [350,113-15; 314,33-35].

დავიწყოთ მოციქულის პირველი ცოლით — ხადიჯათი, რომელიც ჯერ კიდევ წარმართობის დროს შეირთო ცოლად. იბნ 'აბბასის გადმოცემით, მექის ქალები ზეიმობდნენ დღესასწაულს რაჯაბის თვეში. ისინი იყვნენ კერპების გავლენის ქვეშ. უეცრად კერპმა, მამაკაცის ფორმით, დაუწყო საუბარი თაიმის ქალებს და ინინასწარმეტყველა, რომ გამოჩნდებოდა მოციქული, სახელად აჰმადი. მას გაეგზავნებოდა ალაჰის შეტყობინება და ქალი, ვინც გახდებოდა მისი ცოლი, დაეხმარებოდა მას. ქალებმა ქვები დაუშინეს მას, დაგმეს, სასტიკად მოექცნენ, მაგრამ ხადიჯამ ყურადღება მიაქცია მის სიტყვებს [8,VIII,15].

იბნ ისჰაკის გადმოცემით, ხადიჯა ბინთ ხუვაილიდი იყო მექელი ქალი, რომელიც დაკავებული იყო ვაჭრობით, სარგებლობდა ავტორიტეტით და ჰქონდა მოგება. როცა ხადიჯამ შეიტყო მუჰამადის წესიერების და კეთილშობილების შესახებ, შესთავაზა სირიაში წასვლა, მისი საქონლის გაყიდვა და დაპირდა ყველაზე დიდ საფასურს. მუჰამადი დათანხმდა და მასთან ერთად სირიაში წავიდა ხადიჯას მოსამსახურე — მაისარი. მუჰამადი გაჩერდა სირიაში ერთ-ერთი ბერის[106] სენაკის ახლოს, ხის ჩრდილში. ქრისტიანი ბერი გაესაუბრა მაისარს და უთხრა, რომ „ამ ხის ქვეშ არავინ გაჩერებულა, გარდა მოციქულისა". მექისაკენ მიმავალ გზაზე, შუადღის ძლიერი სიცხის დროს, მაისარმა დაინახა 2 ანგელოზი, რომელიც მზისაგან იფარავდა აქლემით მიმავალ მუჰამადს. როცა მუჰამადი

---

[106] ბაჰირა — ქრისტიანი ბერი ქ. ბოსრადან (სამხრეთი სირია), რომელმაც მუსლიმური გადმოცემით, მუჰამადში ამოიცნო მომავალი მოციქული.

დაბრუნდა, ხადიჯამ საქონელი გაყიდა და ორმაგი მოგება მიიღო. მაისარმა მოუთხრო ხადიჯას ბერთან საუბრის შესახებ და ანგელოზებზე, რომლებიც იფარავდნენ მუჰამადს და გადმოცემით, სწორედ ამან უბიძგა ხადიჯას შეეთავაზებინა მუჰამადისათვის მასზე დაქორწინება [21, 68-69].

იბნ სა'დი გადმოგვცემს სიზმრებს, რომლებიც ნახეს მოციქულის უმეტესმა ცოლებმა მასზე ქორწინებამდე. სავდა ბინთ ზამა'ას თავის ყოფილ ქმარზე ქორწინების დროს დაესიზმრა, რომ მოციქული მიუახლოვდა მას და „ფეხი დაადო კისერზე" [8,VIII,57]. უმმ ჰაბიბამ ეთიოპიაში (მოციქულზე ქორწინებამდე) ნახა სიზმარი, რომ მისი ქმარი – 'უბაიდ ალ-ლაჰ ბ. ჯაჰში მოქცეული იყო აზვირთებული ზღვის ტალღებში და სულ უფრო იძირებოდა სიბნელეში. მართლაც, მისი ქმარი მალე ქრისტიანობას დაუბრუნდა, დაიწყო სმა და გარდაიცვალა. მაგრამ უმმ ჰაბიბა დარჩა ეთიოპიაში და მოთმინებით ელოდა, რომ ალაჰი შეუმსუბუქებდა მას ტანჯვას. ერთ დღეს უმმ ჰაბიბამ მოისმინა სიზმარში ძახილი: მას მიმართავდნენ, როგორც „მორწმუნეთა დედას". მეორე დღეს ეთიოპიის მმართველმა შეატყობინა მას, რომ მოციქულმა მისწერა წერილი და სთხოვა მას დაექორწინებინა უმმ ჰაბიბაზე [8,VIII,99].

ს̣აფიიამ სიზმარში იხილა მთვარე, რომელიც წამოვიდა იასრიბიდან და დაეცა მის ოთახში. ეს მან უამბო თავის ქმარს ქინანას, რომელმაც უთხრა, რომ მას მედინას მეფეზე სურდა გათხოვება და გაარტყა. ამის კვალი შესამჩნევი იყო მაშინაც კი, როცა მოციქულმა იქორწინა ს̣აფიიაზე [8,VIII, 121].

მოციქულს შეტყობინება ჰქონდა ალაჰისაგან 'ა'იშას გამო. მან აბუ ბაქრს 'ა'იშას ხელი სთხოვა მას შემდეგ, რაც გაბრიელმა აჩვენა მისი სურათი [8,VIII,63]. სხვა მონათხრობით, მან ჯერ კიდევ აკვანში აჩვენა 'ა'იშა, როგორც მომავალი ცოლი და ხადიჯას ღირსეული შემცვლელი. მის ცოლებს შორის 'ა'იშა იყო ერთადერთი, რომლის თანდასწრებითაც მას გამოცხადება ჰქონდა. ზოგიერთი გადმოცემით, 'ა'იშას შეეძლო ანგელოზის დანახვა და უგზავნიდა მას მისალმებას. სხვები ამბობენ, რომ მას არ შეეძლო მისი დანახვა, მაგრამ ისინი მისალმებას უგზავნიდნენ ერთმანეთს მოციქულის საშუალებით [8,VIII, 63,64,67,68].

თავის მხრივ, ზაინაბ ბინთ ჯაჰში იყო სასწაულებრივად კურთხეული ალაჰის მიერ. ზაინაბი გათხოვდა მოციქულზე ალაჰის მეშვეობით, რადგანაც გამოცხადებებით ნებადართული იქნა ეს კავშირი [8,VIII,102,103,106]. მოციქულის მოსამსახურის, ანას ბ. მალიქის მიერ მათ ქორწილზე მომზადებული საჭმელი ისე გამრავ-

ლდა, რომ საქორწილო ვახშამზე დააპურა 71 ან 72 სტუმარი [8,VIII,105].

ჰადისებით, მუჰამადის ყველა მიწიერი ცოლი იქნება მისი თანამგზავრი სამოთხეში [352,29]. მთავარანგელოზმა გაბრიელმა მიუთითა მოციქულს უკან დაებრუნებინა ჭაფსა: „არ გაეყარო ჭაფსას, ის არის ღვთისმოსავი, მარხულობს და ლოცულობს ღამით და ის არის შენი ცოლი სამოთხეში" [8,VIII,84]. 'ა'იშას შემთხვევაში, გაბრიელმა აჩვენა მოციქულს მისი სურათი აბრეშუმის ტილოზე, რათა შეემსუბუქებინა მისი ტკივილი – ალაჰმა აღუთქვა მათ ხელახალი კავშირი იმქვეყნად. მოციქულმა 'ა'იშასთან დაკავშირებით თქვა: „მე დავინახე ის სამოთხეში, ამგვარად ჩემი სიკვდილი იქნება ადვილი ჩემთვის ამის გათვალისწინებით" [8,VIII, 64,66].

სავდას სურდა მუჰამადის ოჯახის წევრი ყოფილიყო განკითხვის დღეს და „სამსჯავროზე წარდგენილიყო, როგორც მოციქულის ცოლი" [8,VIII,54]. მან თავისი რიგი დათმო 'ა'იშას სასარგებლოდ. მუჰამადმა ნება დართო და გარდმოვლენილ იქნა 4:128 აია. პირველი ცოლი, ვინც გარდაიცვალა მოციქულის შემდეგ, იყო ზაინაბ ბინთ ჯაჰში. მუჰამადმა ინინასწარმეტყველა, რომ პირველი, ვინც შეუერთდებოდა მას სამოთხეში, იქნებოდა ის, ვისაც აქვს „ყველაზე გრძელი ხელი". მოგვიანებით, მოციქულის ცოლები მიხვდნენ, რომ გრძელი ხელი ნიშნავდა მოწყალების გაცემას [8,VIII,108].

ღმერთი მფარველობდა მოციქულის ცოლებს, რადგანაც ისინი იყვნენ მოციქულის რჩეული თანამგზავრები. ღმერთმა ნუგეში სცა უმმ სალამას პირველი ქმრის სიკვდილის შემდეგ მოციქულზე ქორწინებით. ის შესთხოვდა ალაჰს, შეეცვალა ეს დანაკარგი კეთილი საზღაურით. მას ეძახდნენ „არაბთა ქვრივს". მუს'აბ ბ. ტალჰას გადმოცემით, მოციქულმა თქვა: „მე დავინახე ის სამოთხეში, ამგვარად ჩემი სიკვდილი იქნება ადვილი ჩემთვის ამის გათვალისწინებით" [8,VIII,87-89].

ზემოთ განხილული ტრადიციები ხელს უწყობდა მოციქულის ცოლების პრესტიჟის ამაღლებას.

3. *მოციქულის ცოლები, როგორც სათნოების ნიმუში და მიბაძვის მაგალითი ყველა მუსლიმი ქალისათვის.*

ჰადისებში აღნერილია „მორწმუნეთა დედები", როგორც ღვთისმოსავობის ნიმუში. მათი ყველა ქმედება ადასტურებს მათ ერთგულებას ღმერთისადმი. მისაბაძად იქცა მათი სამოსი, პარფიუმერია, რიტუალები, რომელსაც ისინი ასრულებდნენ. ეს იყო ყურანის ნორმების განხორციელება.

'ა'იშას გადმოცემით, ისინი ატარებდნენ მოციქულის დროს სამოსს, რომელსაც ერქვა საირა' და ის შეიცავდა ცოტა აბრეშუმს

[8,VIII,71]. პილიგრიმობის დროს 'ā'იშას ეცვა ზაფრანისფერი ტანსაცმელი.

მოციქულის ცოლები ჰიჯაბში უნდა ყოფილიყვნენ გახვეულნი იმათთან, ვინც არ ეკუთვნოდა „აკრძალულ" (ḥარამ) კატეგორიას[107]. თუმცა, 'ā'იშა თვითონ ჰიჯაბში იყო მოციქულის შვილიშვილების — ḥასანის და ḥუსაინის თანდასწრებით, აგრეთვე ბრმა მამაკაცთანაც.

მოციქულის ცოლები მოგზაურობის დროს ისხდნენ აქლემის ტახტრევანზე, რომლებიც ერთმანეთის მსგავსი იყო. 'ā'იშას ტახტრევანი ისე დაიძრა, რომ ვერ შენიშნეს მისი არყოფნა. მოციქულსაც აერია ორი ცოლის ტახტრევანი ერთმანეთში [8,VIII,95].

ყურანის მითითებასთან დაკავშირებით, „დარჩით თქვენს სახლში" (33:33), ḥადისები მოგვითხრობენ ორ ქალზე მოციქულის სახლიდან — სავდასა და ზაინაბ ბინთ ჯაḥშზე. ისინი დარჩნენ სახლში მოციქულის „გამოსათხოვარი პილიგრიმობის" დროს. გამონაკლისი იყო 'ā'იშა, რომელიც მონაწილეობდა მოციქულის სიკვდილის შემდეგ აქლემის ბრძოლაში და ინანა ეს სიცოცხლის ბოლოს.

გარკვეული დაპირისპირების მიუხედავად, მოციქულის ცოლები ერთმანეთს ეძახდნენ „დას". 'ā'იშას გადმოცემით, როდესაც მას ცილი დასწამეს მრუშობაში, ალაḥის მოციქულმა ḥკითხა ზაინაბ ბინთ ჯაḥშს აზრი მის შესახებ. მან უპასუხა: „ვფიცავ, მე არ ვიცი კარგის გარდა არაფერი მის შესახებ". შემდეგ 'ā'იშამ თქვა: „ის იყო ჩემი მთავარი მოწინააღმდეგე, მაგრამ ალაḥმა დაიცვა ის [რათა ეთქვა ტყუილი], რადგანაც იყო ღვთისმოშიში" [40,8/455]. როცა ზაინაბი ავად გახდა, მოციქულის სხვა ქვრივი უვლიდა მას და როცა გარდაიცვალა, მოციქულის ცოლებმა განბანეს ის, ბალზამი გაუკეთეს და სუდარაში გაახვიეს მისი გვამი [8,VIII,114-15].

ḥადისებში აღწერილია აგრეთვე მოციქულის ცოლების თვითგვემის ელემენტები: 'ā'იშა მუდმივად მარხულობდა, ღარიბულად ცხოვრობდა. გადმოცემით, ის იტანდა შიმშილს და გაჭირვებას. ხშირად, როცა არ ცხვებოდა პური, ის გადადიოდა წყალზე და ფინიკზე. ეს, ტრადიციის თანახმად, იყო მუḥამადის სიტყვებისადმი მორჩილება: „'ā'იშა, თუ გსურს შემომიერთდე მე, აიღე ამ სამყაროდან უმცირესი — მოგზაურის სანოვაგე, მოერიდე დაემსგავსო მდიდარს და არ იფიქრო გადააგდო ტანსაცმელი, ვიდრე არ გაც-

[107] იგულისხმება ის პირები, რომელზედაც მიუთითებს ყურანის 33:55 აია [მამები, ეაჟები, ძმები, ძმისშვილები, დისშვილები, მორწმუნე ქალები და მათი მონა-ქალები].

ვეთ მას" [8,VIII,76][108]. ზაინაბ ბინთ ჯაჰშს ეძახდნენ „უმმ ალ-მასაქინ" – „ღარიბთა დედას", რადგანაც ეხმარებოდა მათ.

მოციქულის ცოლების ყველა ქმედება მაგალითია იმისა, რომ მათ თავიანთი ერთგულებით და სანიმუშო საქციელით უნდა დაემკვიდრებინათ ალაჰის ნება დედამიწაზე. მოციქულის ცოლების ღვთისმოსავობას განსაზღვრავდა აგრეთვე ისლამის რელიგიური მოძღვრების ცოდნა, ყურანის მითითებათა შესრულება. ისინი იყენენ უტყუარი ინფორმაციის წყარო მუჰამადის გამონათქვამების გადმოცემისას. მოციქულის ცოლებს ჰქონდათ საპატიო სტატუსი მუსლიმურ თემში, რის გამოც გარკვეული შეზღუდვები დაწესდა მათთან მიმართებაში და გარდმოევლინა „ჰიჯაბის აია".

4. ჰიჯაბი ყურანსა და ჰადისებში

ჰიჯაბი („ზღუდე", „ტიხარი", „ფარდა") არის კრებითი სახელი ისლამური სამოსის სხვადასხვა სახეობისა, როგორიცაა საბურველი, ჩადრი, ფარანჯა, რომლითაც მუსლიმი ქალი სახლიდან გასვლისას სახეს და სხეულს იფარავს.

არაბ. *ჰიჯაბ* (მომდინარეობს ზმნიდან ჰაჯაბა – „დამალვა სხვისი ხედვისაგან") აღნიშნავს ჩადრს ან საგანს, რომელიც იცავს ქალს სხვისი ხედვისაგან, ან განცალკევებას ანდა კარჩაკეტილობას. თუმცა, ყურანში არ არის ნათელი მითითება მუსლიმი ქალებისადმი, რომ იყენენ კარჩაკეტილნი თავიანთ სახლში ან ატარონ ჩადრი. კარჩაკეტილობისა და ჩადრით დაფარვის კანონიზირება მოხდა მუსლიმი ეგზეგეტიკოსების მიერ.

ჩადრი და კარჩაკეტილობა არ არის წმინდა ისლამური მოვლენა. აბრაამისტული ერთღმერთიანობის ტრადიცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მორწმუნე ქალის გარეგნულ სახეს. ქალის სხეულის დაფარვა უცხო თვალისაგან, „სწორი ჩაცმა" ყოველთვის იყო ქალის სინმინდისა და უმანკოების სიმბოლო. ჩადრი უძველესი დროიდან ქალის მორთულობისა და ჩაცმულობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. მაგრამ ეს წესი უცხო იყო ისლამამდელი არაბებისათვის. ჩადრის ჩვეულება მუსლიმებთან გავრცელდა მეზობელი ბიზანტიიდან და სპარსეთიდან [115,42; 240,157; 171,21; 162,16-17; 208,109-111; 218,15-18].

---

[108] თუმცა სხვა ტრადიციების თანახმად, 'ა'იშა ხმარობდა სუნამოს, ხნის საღებავს, ატარებდა აბრეშუმს და ტყავს, ჰქონდა რამდენიმე წითელი სამოსი და ოქროს საყურეები [350,181,შენ.54].

არსებობს ჰიჯაბის რამდენიმე სახეობა: შავი ან ზოგჯერ სხვა ფერის მოსასხამები მთელი სხეულისათვის და თავისათვის (ხიმარ) ანდა მხოლოდ სახისათვის: თვალებამდე სახის ქვედა ნაწილის დამფარავი პირბადე (ლისამ), სპეციალური ბადე თვალებისათვის ნახვრეტებით, შავი ნახევრადგამჭვირვალე თავშალები და სხვ. [67,235; 121,98; 207, 359-61]. ჰადისებში დაფიქსირებულია საბურველის შემდეგი სახეობები: სხეულისათვის – ჯილბაბ, ლიჰაფ, მილჰაფა, იზარ, დირ'ა; თავისა და კისრისათვის – ხიმარ, ბურკუ', კინა', მიკნა'ა, ნიკაბ [350,92].

ჰიჯაბის ტარება ჯერ ევალებოდათ მუჰამადის ცოლებს, შემდეგ კი თავისუფალ (არამხევალ) მუსლიმ ქალებსაც. ამ წესის ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდა. ნინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია მხოლოდ ის, თუ როგორ არის წარმოდგენილი ჰიჯაბი ყურანსა და ჰადისებში.

ყურანში ტერმინი ჰიჯაბ შვიდჯერ გვხვდება, გამოცხადებათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით შემდეგ აიებში: 19:17; 38:32; 17:45; 41:5; 42:5; 7:46; 33:53. ყურანში ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა არის „განცალკევება", „გამოყოფა". ეს იყო ფარდა ან საბურველი (ჰიჯაბ), რომლის უკანაც ღვთისმშობელი მარიამი განცალკევდა თავისი ხალხისაგან (19:17). ასევე მოხდა მოციქულის ცოლების განცალკევება ხალიფა 'უმარის რჩევით (33:53). განკითხვის დღეს გადარჩენილები (სამოთხის ხალხი) განცალკევდებიან დაწყევლილებისაგან (ჯოჯოხეთის მცხოვრებთაგან) ჰიჯაბით (7:46), რომელსაც კომენტატორები განმარტავენ, როგორც კედელს (სურ). 41:52 აიას შესაბამისად ალაჰი ადამიანს ესაუბრება ფარდის მიღმა, რათა დაიცვას რჩეულნი ღვთიური გამოცხადების სიკაშკაშისაგან. 41:5 აიაში, ჰიჯაბ გამოხატავს იმ სირთულეს, რასაც კურაიშელები წააწყდნენ მუჰამადის მონოთეისტური შეტყობინების გასაგებად. აქ ჰიჯაბი აღნიშნავს „რელიგიურ განსხვავებას", რაც წარმოშობს კონფლიქტს კურაიშელთათვის, რომლებიც იყვნენ კერპთაყვანისმცემლები, ხოლო მუჰამადი მათ სთავაზობდა ერთღმერთიანობას [207,358-359].

ქალებთან მიმართებაში ჰიჯაბ ითვალისწინებდა ჩადრით დაფარვას სახლის გარეთ და მამაკაცების და ქალების განცალკევებას სახლში [240,183].

ჩადრის შემოღება უშუალოდ უკავშირდება ყურანის 33:53 აიას, რომელიც გარდმოვლენილ იქნა ჰიჯრიდან მე-5/627 წელს. ყურანის კომენტატორები და ჰადისთმცოდნეები ამ აიას გარდმოვლენის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ, მათ შორის მუჰამადის ქორ-

ნინებას ზაინაბ ბინთ ჯაჰშზე. ყველა კომენტატორი ეთანხმება ერთმანეთს იმაში, რომ მუჰამადმა ამის შემდეგ უბრძანა თავის ცოლებს ეტარებინათ ჩადრი.

ყურანის ცნობილი კომენტატორი ატ-ტაბარი გადმოგვცემს ანას ბ. მალიქის მონათხრობს: „მოციქული ზეიმობდა ზაინაბ ბინთ ჯაჰშთან ქორწინებას. მე დამეკისრა ხალხის მოწვევა საქორწილო ვახშამზე. მე შევასრულე ეს დავალება. მრავალი ადამიანი მოვიდა. ისინი მოვიდნენ ჯგუფებად, ერთმანეთის მიყოლებით. მათ ჭამეს და მერე დაიშალნენ. მე ვუთხარი მოციქულს: „ალაჰის მოციქულო, მე დავპატიჟე იმდენი ხალხი, რომ ვეღარ ვპოულობ ვინმეს დასაპატიჟებლად". ამ დროს მოციქულმა თქვა: „დაასრულეთ საჭმელი". ზაინაბი იჯდა კუთხეში. ის იყო საოცარი სილამაზის ქალი. ყველა სტუმარი ტრიალებდა მის გარშემო, ის დაბნეული ჩანდა გარშემო მყოფთათვის. ისინი კვლავ რჩებოდნენ ოთახში და საუბრობდნენ. გაღიზიანებულმა მოციქულმა დატოვა ოთახი, წავიდა 'ა'იშასთან, ნახა ის და მიესალმა ..... შემდეგ მოციქულმა შემოიარა სხვა ცოლების საცხოვრებლები, ასევე მიესალმა მათ და იმავე გზით მობრუნდა ზაინაბის ოთახში. მან ნახა, რომ ჯერ კიდევ რჩებოდა სამი სტუმარი, რომლებიც აგრძელებდნენ საუბარს. ის მაშინვე დაბრუნდა 'ა'იშას ოთახში და მე ვერ ვიხსენებ, ეს მე ვიყავი, თუ ვინმე სხვა, რომელიც მივიდა მასთან, რათა ეთქვა: ამ სამმა პიროვნებამ საბოლოოდ გადაწყვიტა წასვლა. ყოველ შემთხვევაში, ის დაბრუნდა საქორწილო ოთახში, ერთი ფეხი შეაბიჯა ოთახში და მეორე უკან დატოვა. ამ მდგომარეობაში იყო, როცა ხელიდან გაუვარდა ფარდა (სითრ) მასსა და ჩემს შორის და ამ მომენტში გამოცხადდა ჰიჯაბის აია [14,XXII,26; 8,VIII,105,173; 7,III,437; 9,III,503-04]: „ო, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ მოციქულის სახლში[109], შედით მხოლოდ მაშინ, თუ ნება დაგერთვებათ საჭმლის[110], დაელოდეთ, ვიდრე ის არ იქნება მზად. როცა მიგიწვევენ, მხოლოდ მაშინ

---

[109] ისლამამდე არაბები შედიოდნენ სხვის სახლებში ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. თუ ვინმეს სურდა მოენახულებინა მეორე, არ თვლიდა საჭიროდ შეეტყობინებინა ზღურბლთან თავისი ვიზიტის შესახებ და ეთხოვა ნებართვა შესვლაზე. აქ ეს ნესი მოქმედებს ალაჰის მოციქულის სახლში შესასვლელად, ხოლო 24:27 აია ეხება ყველა მუსლიმის სახლს [19,VII, 2029, შენ. 209].

[110] ისლამამდელი არაბებისათვის დამახასიათებელი იყო, რომ როცა ვინმე მივიდოდა საჭმლის დროს, ან დარჩებოდა სტუმრად პურობის დაწყებამდე, ეს თავის მხრივ მასპინძელს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. მას არ სურდა ყოფილიყო არათავაზიანი და ეთქვა სტუმრებისათვის ნასულიყვნენ და იმავე დროს არ შეეძლო გამასპინძლებოდა ერთდროულად ამდენ სტუმარს, რადგანაც ამისათვის მზად არ იყო. ამგვარი საქციელი აქ გაკიცხულია, გამოთქმულია აზრი, რომ სტუმარი მხოლოდ მაშინ მონანილეობს პურობაში, როცა მას მიინვევენ [19,VII, 2089,შენ. 210].

შედით. მხოლოდ, როცა შეჭამთ, მაშინვე დაიშალეთ. არ დაინყოთ მეგობრული საუბარი. ეს თქვენი მხრივ შეაწუხებს მოციქულს, მაგრამ მას რცხვენია თქვენი. მხოლოდ ალაჰს არ ერიდება ჭეშმარიტების. ხოლო როცა თქვენ სთხოვთ მათ (მოციქულის ცოლებს) რაიმე ჭურჭლის შესახებ, ჰკითხეთ: *მინ ვარ'ი ჰიჯაბინ* (ფარდის მიღმა), ... არ ეგების, რომ შეაწუხოთ ალაჰის მოციქული და არასოდეს დაქორწინდეთ მის ცოლებზე მის შემდეგ. ეს თქვენი მხრიდან დიდი ცოდვაა ალაჰის წინაშე"(33:53) [22, 269; 156,157].

ატ-ტაბარი 33:53 აიას განმარტებისას ორ სიტყვას ხმარობს: ჰიჯაბ და სითრ. ეს უკანასკნელი ნიშნავს „ფარდას". ის დაშვებულ იქნა არა ქალსა და მამაკაცს შორის, არამედ ორ მამაკაცს შორის. ამ ვერსიის განხილვისას საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

ფარდის დაშვების შემდეგ, მოციქულმა გამოაცხადა 33:53 აია, ანუ „ჰიჯაბის აია". ეს არის სიტყვები, რომლებიც ანასმა მოისმინა და მოციქულმა წაიჩურჩულა ფარდის ჩამოშვების შემდეგ მათ შორის. ეს იყო შეტყობინება ალაჰისაგან თავისი მოციქულისადმი იმ სიტუაციაში, როცა მუჰამადმა არ იცოდა, რა გაეკეთებინა ან როგორ მოქცეულიყო.

მეორე ფაქტი, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, არის ის, რომ მოციქული ზეიმობდა თავის ქორწინებას ზაინაბთან. მუჰამადმა მიიწვია ამ მოვლენასთან დაკავშირებით მთელი მუსლიმური თემი. ყველამ მიირთვა საქორწილო ვახშამი და წავიდა, გარდა სამი უზრდელი მამაკაცისა, რომლებიც აგრძელებდნენ საუბარს, მიუხედავად მოციქულის სურვილისა – განმარტოებულიყო თავის ახალ ცოლთან. გაღიზიანებული მოციქული გავიდა ეზოში, დადიოდა აქეთ-იქით, უკან დაბრუნდა, კვლავ დატოვა ოთახი და ელოდებოდა სტუმრების წასვლას. მათი დაშლისთანავე ალაჰმა მოციქულს გარდმოუვლინა „ჰიჯაბის აია".

გადმოცემით, თვითონ მოციქულმა ვერ შეძლო ეთხოვა სტუმრებისათვის, წასულიყვნენ, ითმენდა მათ იქ ყოფნას ბოლომდე და საჭირო გახდა „ალაჰის ჩარევა", რომ მსგავსი რამ აღარ მომხდარიყო [156,157]. მოციქულმა ჩამოუშვა ფარდა (სითრ) მასსა და ანასს შორის, როცა კითხულობდა 33:53 აიას.

ატ-ტაბარი, როდესაც აღწერს „ჰიჯაბის გარდმოვლენას" (ნაზალა ჰიჯაბ), არ ცდილობს დაგვისახელოს მოციქულის გაბრაზების მიზეზები, მაშინ როცა ის ცნობილი იყო უკიდურესი მოთმინებით. ამ გაბრაზებამ დააჩქარა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როგორიც ჰიჯაბის შემოღება იყო. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მოციქულის გაბრაზება და ალაჰის რეაქცია თანადროული იყო.

მაშინ როცა პრობლემის წარმოშობასა და შესაბამის ღვთიურ გამოცხადებას შორის ყოველთვის არსებობდა გარკვეული პერიოდი. ასეთ ვითარებაში ეჭვს იწვევს, რომ მუჰამადის (რომელსაც ჰქონდა არბიტრის - ჰაქამის რეპუტაცია კონფლიქტების დროს) ამ უმნიშვნელო გაღიზიანებას მოჰყოლოდა ასეთი სერიოზული გადაწყვეტილება. ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რომ სამი პიროვნება, რომელთა ქცევამ ბიძგი მისცა ამ სერიოზულ ცვლილებას სოციალურ ურთიერთობებში, არაბული ქრონიკებისათვის უცნობი დარჩენილიყო, ან მოციქულის თანამედროვენი არ დაინტერესებულიყვნენ, შეეტყოთ მათი ვინაობა [332,155].

საკითხის გასარკვევად, უნდა გადავხედოთ იმ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც იქნა გარდმოვლენილი ეს აია. ჰიჯრის მე-5/627 წელი არ იყო სხვა წლების მსგავსი. ის იყო კრიტიკული მუჰამადისათვის, როგორც სამხედრო ლიდერისათვის. 625 წელს უჰუდთან დამარცხების შემდეგ, მოციქული გეგმავდა მექის დაპყრობას, რათა კვლავ აემაღლებინა სამხედრო და პოლიტიკური ავტორიტეტი მორწმუნეთა თვალში, მაგრამ მექელები თვითონ დაესხნენ თავს მედინას და ეს ბრძოლა ცნობილია, როგორც ხანდაკის ბრძოლა. 33-ე სურა - „მოკავშირენი", რომლის ნაწილიც არის „ჰიჯაბის აია", აღწერს სწორედ მედინას ალყის ამბებს. ეს იყო გარკვეულწილად სამხედრო კრიზისის პერიოდი ისლამში — ჰიჯრის 8/630 წლამდე, ვიდრე მოციქულმა არ აიღო მექა. ინციდენტი, რომელიც მოხდა ზაინაბთან მუჰამადის ქორწინების ღამეს, იყო სწორედ ამ ისტორიული კონტექსტის გამოძახილი. ეჭვებისა და სამხედრო წარუმატებლობების ეპოქა მედინას მცხოვრებთა მორალურ დაცემას განაპირობებდა. ამას ემატებოდა მუნაფიკთა[111] ქმედება. სწორედ მედინას ალყის შემდეგ „ფარისეველები" გააქტიურდნენ. მრავალ ფაქტორთან ერთად იყო პიროვნული საკითხიც. მუჰამადის ამ ქორწინებამ ზაინაბთან სკანდალური შთაბეჭდილება მოახდინა. ცოტა ხნით ადრე მუჰამადი ქადაგებდა, რომ დაუშვებელი იყო შვილობილის ცოლზე ქორწინება და ახლა თვითონ დაარღვია ალაჰისაგან მიღებული ეს მითითება. მოციქული იხსნა ახალმა გამოცხადებამ, რომლის მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ ეს ქორწინება ალაჰის ნება იყო (33:37).

---

[111] ტერმინი „მუნაფიკი" (არაბ. მუნაფიკ - „ფარისეველი", „პირმოთნე") გამოიყენება ყურანში იმ მედინელთა (აუსისა და ხაზრაჯის ტომიდან) აღსანიშნავად, რომელთა ერთგულება მუჰამადისადმი და რელიგიური გულმოდგინება არ იყო აბსოლუტურად სანდო. მათ გარეგნულად მიიღეს ისლამი, აღიარეს მუჰამადი მოციქულად, მაგრამ ფარულად მოქმედებდნენ მის წინააღმდეგ, მუსლიმური თემის შიგნიდან დასაშლელად.

ყურანის 33:35 აიას გარდმოვლენის მიზეზად ტრადიციების უმრავლესობაც ზაინაბის ქორნილს ასახელებს.

„ჰიჯაბი" დაეშვა ორი მნიშვნელობით: ა) კონკრეტული ასპექტით, ის იყო ხელშესახები ფარდა, რომელიც მოციქულმა დაუშვა, როცა იდგა ზაინაბის ოთახის ზღურბლზე, ერთი ფეხით ოთახში და ერთი ფეხით გარეთ, რათა ხელი შეეშალა ანას ბ. მალიქისათვის შესულიყო ოთახში. ბ) „ჰიჯაბი დაეშვა" აბსტრაქტული ასპექტით. მოხდა 33:53 აიას გარდმოვლენა ზეციდან დედამინაზე, ალაჰიდან მოციქულზე, რომელიც მუჰამადმა წაუკითხა ანასს იმ დროს [8,VIII,105]. ამდენად, მოციქულმა დაუშვა ფარდა მასსა და ერთადერთ მამაკაცს შორის თავის სახლში, ვინც ჯერ კიდევ რჩებოდა იქ სხვა სტუმრების წასვლის შემდეგ და ამავე დროს წაუკითხა აია, რომელიც მან მიიღო იმ მომენტში ალაჰისაგან [285,100].

ალ-ბუხარის ერთ-ერთ ვერსიაში, ანასი გვიყვება, რომ სტუმრების წასვლის შემდეგ, მოციქული დაბრუნდა პატარძლის ოთახში და მე ჯერ კიდევ მასთან ერთად ვიყავი ოთახში, როცა მან დაიწყო კითხვა: „ო, თქვენ, ვინც ირწმუნეთ, არ შეხვიდეთ ... "[6,III,110-111]. ჰიჯაბით მოხდა სივრცის ორ ნაწილად გაყოფა. მან განაცალკევა ორი მამაკაცი ერთმანეთისაგან — ერთი მხრივ მოციქული და მეორე მხრივ მოწმე, რომელმაც აღწერა ეს მოვლენა. დაუშვა ფარდა მასსა და ანასს შორის და გარდმოევლინა „ჰიჯაბის აია " [8, VIII,173].

მაშასადამე, „სითრ" შეესატყვისება ფიზიკურ ფარდას და „ჰიჯაბ" — ყურანის აიას[112]. ჰიჯაბი დაეშვა ზეციდან, რათა დაეფარა ქალები, განეცალკევებინა ისინი მამაკაცებისაგან, მოციქულისაგან და თვითონ ალაჰისაგან.

ყურანის თანამედროვე კომენტატორის მ. ასადის[113] თანახმად, „ჰიჯაბ" აღნიშნავს ყველაფერს, რაც განლაგებულია ორ საგანს შორის ან იცავს ერთს მეორისაგან. ტექსტიდან გამომდინარე, ის შეიძლება გადაითარგმნოს, როგორც „ზღუდე" „დაბრკოლება", „საბურველი", „დაფარვა" „წამოსასხამი" და სხვა, როგორც კონკრეტული ისე გადატანითი მნიშვნელობით. აკრძალვა — მიმართონ მოციქულის ცოლებს მხოლოდ „ფარდის მიღმა" შეიძლება გაგე-

---

[112] „ფარდის" ქვეშ იგულისხმება — განცალკევება, გამოყოფა. ხოლო ჰიჯაბ ნიშნავს ჩადრს [347,111; 304,32].

[113] მუჰამმად ასადი (ლეოპოლდ ვეისის ფსევდონიმი) — სახელმწიფო მოღვაწე, ჟურნალისტი, მწერალი (გარდ.1992ნ.). განიხილება, როგორც არაბული ენის ექსპერტი. ისლამზე მოექცა 1926 წელს(ებრაელი). თარგმნა ყურანი ინგლისურად და დაურთო შენიშვნები[138,135].

ბულ იქნას სიტყვა-სიტყვით, რასაც ალაჰის მოციქულის მიმდევრების უმეტესობა აკეთებდა, ან გადატანითი მნიშვნელობით, რაც გულისხმობს „მორწმუნეთა დედების" პატივისცემას [35,112; 19,VII,2030, შენ. 214].

33:53 აიადან გამომდინარე ანას ბ. მალიქი იყო მოწმე და მუსლიმური თემის სიმბოლო. 33:53 აია მუსლიმი თეოლოგების მიერ განიხილება, როგორც ჰიჯაბის ინსტიტუტის ბაზისი, თუმცა დასახელებულია სხვა მიზეზებიც. „ჰიჯაბის აია" იყო მრავალი კონფლიქტის და დაძაბულობის გადაწყვეტა.

33:53 აიას გარდმოვლენის სხვა მიზეზები შემდეგია:

1) ტრადიციათა გარკვეული ნაწილის თანახმად, „ჰიჯაბის აია" გამოცხადდა მას შემდეგ, რაც მუჰამადმა დაინახა, რომ რამდენიმე კაცი მიმოდიოდა ზაინაბის სახლის ახლოს, ქორწილის მეორე დღეს, დილით [8,VIII,106].

2) მოციქულის ერთ-ერთ ცოლს შეეხო მამაკაცის ხელი საზოგადო საჭმელზე (პურობაზე), ან მას შემდეგ რაც 'უმარის ხელი შემთხვევით შეეხო 'ა'იშას ხელს, როცა ისინი ერთად ჭამდნენ [14,XXII,28; 4,561; 7,III,439; 179,20-24; 9,III, 505; 8,VIII,175; 332,155].

3) 'უმარ ბ. ალ-ხატტაბი გამოყვანილია „მრჩევლის" როლში, რომელმაც ურჩია მოციქულს განეცალკევებინა თავისი ცოლები, რადგანაც მის სახლში შემოდიოდა ორივე – ღვთისმოშიში და უზნეოც [14,XXII,27-28; 4,562; 9,III,503-505; 7,438-39; 6,I,29].

4) ამ აიას მიზანი იყო შეეჩერებინა იმ გაურკვეველი მამაკაცების ვიზიტები მოციქულის ცოლებთან, რომლებიც პირდებოდნენ მათ ქორწინებას მოციქულის სიკვდილის შემდეგ [285,101].

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ 'უმარი წარმოდგენილია, როგორც ინიციატორი მოციქულის ცოლების განცალკევების, საოჯახო მორჩილების და მყუდროების. თუმცა, ამის პარალელურად წყაროები მოგვითხრობენ მოციქულის ცოლების დაპირისპირებაზე 'უმარის „ჩარევასთან" დაკავშირებით. გამოკვეთილია უმმ სალამას აქტიურობა, რომელსაც მხარს უჭერდნენ სხვა ცოლებიც [14,XXII,28; 4,562].

ფ. მერნისი ხაზს უსვამს, რომ ჰიჯაბს სამი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: 1) ვიზუალური – რაიმეს დამალვა ხედვისაგან; 2) სივრცითი – განცალკევება, ზღვარის გავლება, ზღურბლის დაწესება; 3) ეთიკური – ის ეკუთვნის აკრძალულ სფეროს. ჰიჯაბით გამოყოფილი სივრცე არის აკრძალული სივრცე [285,93].

„ჰიჯაბის აიას" გარდმოვლენის შემდეგ, მოციქულის ცოლების ვაჟებმა, მამებმა და ნათესავებმა ჰკითხეს მოციქულს: „ნუთუ ჩვენც ჰიჯაბი გვჭირდება, რომ მათთან ვისაუბროთ?" [19,VII,2031,

შენ. 221]. მაშინ ალაჰმა გარდმოავლინა 33:55 აია, რითაც განისაზღვრა იმ ადამიანთა კატეგორია, რომელთანაც მუჰამადის ცოლებს ნება დაერთოთ ჩადრის გარეშე გამოჩენილიყვნენ: „ბრალი არ არის მოციქულის ცოლებზე, თუ იქნებიან [ჩადრის გარეშე] მათი მამების, ვაჟების, ძმების, ძმისშვილების, დისშვილების, [მორწმუნე] ქალებისა და მონა-ქალების წინაშე" [22,269].

მუსლიმი კომენტატორები ხაზს უსვამენ, რომ მოციქულის ცოლები მონაწილეობდნენ მედინას მუსლიმური თემის საქმეებში „ჰიჯაბის აიას" გამოცხადებამდე. მათი ჩამოცილება საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მრავალმა ფაქტორმა განაპირობა.

მედინა ძალზე მჭიდროდ იყო დასახლებული, განსაკუთრებით მეჩეთის გარშემო და მოციქულის ცოლების ოთახები სნორედ აქ იყო განლაგებული. ჰადისები გვიხატავენ ნათელ სურათს, თუ როგორ ეძიებდნენ მუსლიმები აუდიენციას მოციქულთან და მიჰქონდათ მასთან საჩუქრები, როცა ის იჯდა ერთ-ერთი ცოლის ოთახში. მუჰამადს ამ დროს ჰყავდა უკვე სამი ახალგაზრდა ცოლი და ამდენად, უფრო მეტად ცდილობდა ქალთა მორალის დაცვას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მედინაში არ არსებობდა ელემენტარული ეთიკური ნორმები და ერთი მხრივ, ნებისმიერ მუსლიმს მეჩეთიდან შეეძლო ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შესვლა მოციქულთან, და მეორე მხრივ, მეჩეთის ეზოში ცხოვრობდა „აჰლ აḥ-ḥუფფა" ან „აḥḥაბ აḥ-ḥუფფა" („ფარდულის ხალხი"),[114] რომელთა ძირითადი ნაწილი ემსახურებოდა მუჰამადს და მათ ნებისმიერი საბაბით შეეძლოთ მოციქულის სახლში შესვლა. 33-53 აიას მიზანი იყო შეეჩერებინა იმ გაურკვეველი მამაკაცების ვიზიტი მოციქულის ცოლებთან, რომელთაც ისინი პირდებოდნენ ქორწინებას მოციქულის სიკვდილის შემდეგ.

„ჰიჯაბის აია" გარდმოევლინა მოციქულის ცოლების განსაცალკევებლად. თუმცა ჰადისების თანახმად, ჰიჯაბი იყო მათი გამორჩეული მდგომარეობის კრიტერიუმი და აგრეთვე დამცავი საშუალება, განსაკუთრებით სამოქალაქო დაპირისპირების დროს [350,91].

ჰადისების თანახმად, ჩადრის ტარების ჩვეულება და ქალთა კარჩაკეტილობა დადგენილ იქნა ალაჰის მიერ მუჰამადის „პირადი თხოვნით", რათა განემტკიცებინა ქალთა მორალური სიწმინდე.

---

[114] მუჰამადის ღარიბი მიმდევრები, რომელთაც არ ჰქონდათ თავშესაფარი მედინაში და ცხოვრობდნენ მეჩეთის ეზოში, მოციქულის სახლთან, ფარდულის ქვეშ. იქ ერთდროულად ცხოვრობდა 30 ადამიანამდე, ხოლო სულ ცნობილია 93-ის სახელი „აჰლ აḥ-ḥუფფადან".

თუმცა, ჰიჯაბი „კარჩაკეტილობის" მნიშვნელობით უცნობი იყო მუჰამადის დროს.

ყურანის 33:59-60 აია გარდმოვლენილ იქნა მალევე, „ჰიჯაბის აიას" შემდეგ: *„ო, წინასწარმეტყველო, უთხარი შენს ცოლებს, შენს ქალიშვილებს და მორწმუნე მამაკაცთა ცოლებს, რომ მათ მჭიდროდ შემოიხვიონ თავიანთი საბურველები (ჯალაბიბ). ასე მათ უკეთესად განასხვავებენ (სხვა ქალებისაგან) და არ შეურაცხყოფენ. და ალაჰი მიმტევებელი, მწყალობელია"*[115]. *„თუ ფარისეველები და ისინი, ვის გულშიც სნეულებაა*[116] *და [ცრუ ხმების] გამავრცელებლები მედინაში არ შეწყვეტენ [ცუდის თქმას მუსლიმებზე], მაშინ შენ დაძლევ მათ ჩვენი დახმარებით და ისინი დიდხანს არ იქნებიან აქ [მედინაში] შენი მეზობლები"*[22,270;24,359].

'უმარ ბ. ალ-ხატტაბმა, 'ა'იშას თანახმად, ურჩია მუჰამადს, განეცალკევებინა თავისი ცოლები. მუჰამადმა უარი უთხრა[117]. მაგრამ ერთ ღამეს 'ა'იშა და სავდა გარეთ გავიდნენ საჭიროებისათვის.[118] სავდა იყო სრული და მაღალი ქალი. ის იცნო 'უმარმა და დაუძახა შორიდან. ამის შემდეგ ის კვლავ შეეცადა მუჰამადის დარწმუნებას. ჰადისების თანახმად, 'უმარის ძირითადი მიზანი იყო მოციქულის ცოლების დაცვა „ფარისეველთა" შეურაცხყოფისა-

---

[115] 33:59 აიაზე ალ-ბაიდავის კომენტარი ასეთია: „ო, მოციქულო, უთხარი შენს ცოლებს, ქალიშვილებს და მორწმუნე ქალებს, დაიფარონ სახე და სხეული საბურველებით [ჯალაბიბ], როცა გამოდიან [სახლიდან]. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ განსხვავდებოდნენ ისინი მონა-ქალებისა და მოსამსახურეებისაგან. ასეთ შემთხვევაში არ არის საშიშროება მათზე, რადგანაც უცხო მამაკაცი არ აედევნება მათ" [4,563].

[116] გამოთქმას – „რომელთა გულშიც სნეულებაა" აქვს ორი მნიშვნელობა: 1) ის, ვინც მხოლოდ გარეგნულად ეკუთვნის მუსლიმებს, მაგრამ ისლამს და მუსლიმებს უსურვებს ბოროტებას. 2) ის, ვისაც აქვს ცუდი განზრახვა, დანაშაულებრივი ხასიათის, რაც მეღავნდება მის გამოთქმებში და საქციელში [19,VII,2033, შენ.234].

[117] მუჰამადს არ სურდა ამის გაკეთება. მისი იდეალი იყო ის, რომ თვითონ რწმენა ყოფილიყო საკმარისი სოციალური კონტროლისათვის, როგორც ქალებზე ისე მამაკაცებზე. მაგრამ პიროვნულმა თავდასხმებმა მასზე და მის ცოლებზე აიძულა ეს გაეკეთებინა [285,187].

[118] მედინაში იმ დროს სახლებში არ იყო საპირფარეშო და ქალები გადიოდნენ ქალაქგარეთ, ალ-მანა'ისი'აში (ვრცელი, ფართო ადგილი ბაკი'ას ახლოს მედინაში). გზაში უცხო მამაკაცები ფარისეველთაგან ესაუბრებოდნენ და დაეინებით უცქერდნენ მათ. ამის შემდეგ მოციქულის ცოლებმა შენყვიტეს სიარული მედინას გარეუბნებში (მანა'ისი'), რაც საზოგადო საპირფარეშოს წარმოადგენდა და იყენებდნენ საპირფარეშო ორმოს სახლის შიგნით, ხოლო დაბნელებისას, ისინი გადიოდნენ ეზოში [332,160]

გან. ისინი აცხადებდნენ, რომ მოციქულის ცოლებს მონებად აქცევდნენ. სწორედ ამის შემდეგ გარდმოევლინა 33:59-60 აია [8,VIII,176]. ამ აიადან გამომდინარე, ფარისეველთა ორი ჯგუფი გამოიყოფოდა: „ალლაზინა ფი კულუბიჰიმ მარადუნ" (ისინი, ვის გულებშიც სნეულებაა) და „ალ-მურჯიფუნა ფი-ლ-მადინა" (აგიტატორები – ისინი, ვინც ავრცელებდა სიცრუეს მედინაში), რომლებიც შეურაცხყოფდნენ მოციქულის ცოლებს. ამან აიძულა მუჰამადი ეფიქრა ჰიჯაბზე. ატ-ტაბარის განმარტებით, პირველ კატეგორიას ეკუთვნოდნენ ისინი, ვინც ცდილობდა ქალის ცდუნებას; მეორე კატეგორიას – ცილისმწამებელები. ამდენად, „ფარისეველთა" თავდასხმა იყო ორი სახის: ფიზიკური, რაც შეურაცხყოფდა მოციქულის ცოლებს, როცა ისინი გადიოდნენ ქუჩაში და სიტყვიერი – ავრცელებდნენ ცილისწამებას მათზე და მოციქულზე. მუჰამადის მონინააღმდეგეებს თავისუფლად შეეძლოთ გამოეყენებინათ მისი პირადი ცხოვრება მასზე შურისძიებისათვის [14,XXII,47].

გადმოცემით, 'უმარი ურჩევდა მოციქულს განეცალკევებინა თავისი ცოლები, რადგან მუჰამადის წარმატებების შედეგად გაიზარდა მისი მონახულების მსურველთა რიცხვი [179,25]. მეჩეთი იყო ის ადგილი, სადაც მუჰამადი აგვარებდა თავის რელიგიურსა თუ პოლიტიკურ საქმეებს. სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები მოდიოდნენ მეჩეთში მოციქულის სანახავად. აქ იკრიბებოდა ხალხი. ისინი უბრალოდ ისხდნენ აქ ან დგამდნენ კარავს და ღამეს ათენებდნენ მეჩეთის ჩრდილოეთი კედლის კუთხეში [302,677]. 'ა'იშას გადმოცემით, ერთმა შავკანიანმა ქალმა, გათავისუფლებულმა მონამ, გარკვეული დროით დადგა „კარავი ან ქოხი მეჩეთში" და მოინახულებდა და ესაუბრებოდა მოციქულის ცოლებს [40,1/ 257; 185,59]. მრავალი, რომელიც მოდიოდა მოციქულის წყალობის მისაღებად, პირველად ერთ-ერთ ცოლს აკითხავდა, რათა მისი მხარდაჭერა მოეპოვებინა [377,285].

მუჰამადმა ჰიჯაბით ზღვარი გაავლო თავის ცოლებსა და მზარდ მუსლიმურ თემს შორის. ამას მოჰყვა შესაბამისი ცვლილებები ჰარემის სოციალურ პრაქტიკაში. მუჰამადს, როგორც მუსლიმური თემის წარმატებულ ხელმძღვანელს, საკმაო ქონება ჰქონდა, რათა მის ცოლებს ჰყოლოდათ მოსამსახურეები, რომლებიც გაათავისუფლებდნენ მათ საოჯახო საქმეებისაგან (წყლის მოტანა, ხორბლის გამოზრდა, ცომის მოზელა და პურის ცხობა), რასაც აკეთებდნენ სხვა მორწმუნე ქალები. მაგალითად, ასმა' ბინთ აბი ბაქრი ('ა'იშას ნახევარდა) და თვითონ მუჰამადის ქალიშვილი – ფატიმაც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ სახლში [267, 53-54; 186,60].

33:59 აიას შესაბამისად, ჰიჯაბის დაწესება მოხდა იმიტომ, რომ განსხვავებულიყო მოციქულის ცოლები მისი მხევლებისაგან.

ისლამური წესების მიხედვით, თუ მამაკაცს სურდა ექორწინა ტყვე ქალზე, ეს უნდა გაეკეთებინა მონმეების თანდასწრებით და ჩადრით დაეფარა ის. ამას მუჰამადის სუნაც ადასტურებს. ანას ბ. მალიქი მოგვითხრობს: მოციქული სამი დღე გაჩერდა ხაიბარსა და მედინას შორის და იქორწინა ს̣აფიიაზე. მუსლიმები ბჭობდნენ: იყო ის მისი ცოლი თუ მხევალი? შემდეგ მათ თქვეს: „თუ ის უბრძანებს მას, რომ ჩადრით დაიფაროს, ის იქნება ერთ-ერთი „მორწმუნეთა დედა", მაგრამ თუ ის არ უბრძანებს, რომ ჩადრით დაიფაროს, იქნება მისი მონა-ქალი". მუჰამადმა მას თავისი თავსაბურავი მოახვია ყველას თვალწინ და ნაიყვანა საკუთარ ჰარემში [8,VIII,124].

'უმარის რჩევის მიუხედავად, მუჰამადი აგრძელებდა ლაშქრობებში ერთი ან ორი ცოლის წაყვანას, რომლებიც თავისთავად ჩართულნი იყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალებმა, მათ შორის მოციქულის ცოლებმა განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს უჰუდის ბრძოლაში. ამ ბრძოლის დროს, ერთი გადმოცემით, შეიძლებოდა 'ა'იშას და უმმ სალამას აწეული კაბებისა და ფეხის ბრასლეტების დანახვა. მაგრამ ეს იყო ჩადრით დაფარვამდე. სწორედ ჰიჯრის მე-5/627 წელს, იუდეველთა ტომის – ბანუ კურაიზას წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, უმმ სალამა ჩაერთო აბუ ლუბაბას[119] გათავისუფლებაში, რომელიც ბოძზე იყო მიბმული მეჩეთის ეზოში. რა თქმა უნდა, უმმ სალამას არ გამოუტანია გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების შესახებ, მაგრამ თავისი აზრი შეატყობინა მათ, ვის ხელშიც იყო ძალაუფლება და დაელოდა მათ რეაქციას. წყარო, რომელიც ამ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს, სპეციალურად უსვამს ხაზს, რომ ეს იყო ჰიჯაბის დაშვებამდე [21,397].

---

[119] მუჰამადმა გადაწყვიტა საკადრისი პასუხი მიეზღო მოღალატეებისათვის და დაესაჯა ისინი. ხანდაკის ბრძოლის დასრულებისთანავე, მუჰამადმა ალყა შემოარტყა კურაიზას. ორი კვირის შემდეგ ალყაშემორტყმულებმა დაიწყეს მოლაპარაკება და ითხოვეს გაეგზავნათ მათთან აბუ ლუბაბა ბ. 'აბდ ალ-მუნზირი – 'ამრ ბ. 'აუფის გვარიდან (აუსის ტომი). როცა აბუ ლუბაბამ ჩაუარა მტირალა ბავშვებს და ქალებს, შეეცოდა ისინი. მათ ჰკითხეს რჩევა, დანებებოდნენ თუ არა მუჰამადს, რაზედაც უპასუხა დადებითად. მაგრამ მიანიშნა, რომ მათ დახოცავდნენ. აბუ ლუბაბა მიხვდა, რომ უღალატა ალაჰს და მის მოციქულს და ალაჰმა გარდმოუვლინა 8:27 აია. ის არ მივიდა ალაჰის მოციქულთან და მიება მეჩეთის ბოძზე. მოციქულმა მიიღო გამოცხადება, როცა უმმ სალამას სახლში იყო და სწორედ უმმ სალამამ შეატყობინა აბუ ლუბაბას, რომ ალაჰმა აპატია მას [21,397-98].

'უმარის სურვილი გასაგები იყო: ფარისეველებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მოციქულის ცოლებს მონებად აქცევდნენ და ალაჰმა უბრძანა ქალებს შეეცვალათ თავიანთი ჩაცმულობა, რათა განესხვავებინათ ისინი მონებისაგან და გაეკეთებინათ ეს ჩადრით (ჯალაბიბ) დაფარვით [8,VIII,176-177; 11,VI,271].

იბნ სა'დის თანახმად „მედინაში მონებს აედევნებოდნენ ხოლმე უზრდელი მამაკაცები (სუფაჰა'). ისინი უახლოვდებოდნენ მათ საზოგადო ქუჩაზე და შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ. ამ დროს თავისუფალი ქალი, ვინც გაივლიდა ქუჩაში და რომლის ტანსაცმელიც არ განსხვავდებოდა მონისაგან, ერეოდათ ამ უკანასკნელში და ექცეოდნენ იმგვარადვე" [8,VIII,176]. უზნეო ადამიანები შეურაცხყოფას აყენებდნენ თავისუფალ ქალებს, რადგანაც არაფერი განასხვავებდა მათ მონა-ქალებისაგან. ამის გამო ყურანში არის რჩევა, რომ სახლიდან გამოსვლისას მოიხვიონ ჯილბაბ. თუმცა, ეს არ იყო ბრძანება [35,651].

'უმარს ძლიერ სურდა, რომ ჰიჯაბი დაწესებულიყო ქალებზე. ის დაჟინებით უმეორებდა მოციქულს: „ალაჰის მოციქულო, შენ იღებ ყველა ჯურის ადამიანს — ღვთისმოსავსა და ბოროტს (ბინიერს) შენს სახლში, რატომ არ უბრძანებ ჰიჯაბის ტარებას მორწმუნეთა დედებს?" [4,562]. ამის გამო „ქალებმა დაიფარეს თავიანთი სახეები და ნება დაერთოთ მხოლოდ თვალები ყოფილიყო ხილული" [8,VIII,177].

მდედრობითი სქესის მუსლიმი მოსახლეობა ჰიჯაბმა გაყო ორ კატეგორიად: 1. თავისუფალი ქალები, რომელთა მიმართაც ძალადობა — თა'არუდ აკრძალულია და 2. მონა-ქალები, რომელთა მიმართაც თა'არუდ დასაშვებია. „თა'არუდ" სიტყვა-სიტყვით არის მდგომარეობა, როცა ქალებს უბიძგებდნენ მრუშობისაკენ (ზინა'). მოციქულმა მათ გაუგზავნა ემისრები, რათა გაეგო, რატომ ჩადიოდნენ ამას. მათ აუხსნეს: „ჩვენ მხოლოდ ვახორციელებთ თა'არუდ-ის პრაქტიკას ქალებთან, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, არიან მონები". ეს გახდა ყურანის 33:59 აიას გარდმოვლენის მიზეზი.

ყურანის 24:30 აია მამაკაცებს და 24:31 აია ქალებს მიუთითებს, თუ როგორი ტანსაცმელი უნდა ატარონ მათ: *„და უთხარით მორწმუნე ქალებს: დახარონ თვალები და გაუფრთხილდნენ თავიანთ სარცხვენელთ*[120] *და დაე, არ გამოაჩინონ თავიანთი მშვენებანი*

[120] სიმორცხვე და თავშეკავებულობა ერთნაირად უნდა იყოს დამახასიათებელი, როგორც მამაკაცების, ისე ქალებისათვის. ორი სქესის განსხვავებულობის გამო ბუნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აგრეთვე

(ზინათ)[121] *იმის გარდა, რაც მოჩანს მათგან. დაე, დაიფარონ თავიანთი თავსაბურავით მკერდის ჭრილი*[122] *(კვეთილი) და არ აჩვენონ თავიანთი მშვენებანი (მორთულობანი)*[123] *არავის, გარდა ქმრების, ან თავიანთი მამების ან თავიანთი მამამთილების ან თავიანთი ვა-*

ტემპერამენტში, ქალებისაგან საჭიროა მეტი თავშეკავება, განსაკუთრებით ტანსაცმელში [33, 904, შენ. 2984].

[121] მორთულობანი („მშვენებანი") არსებობს ორი სახის: ბუნებრივი და შეძენილი. ბუნებრივად ითვლება მისი სახე, ხოლო შეძენილად ყველაფერი, რითაც ქალს სურს თავი გაილამაზოს, მაგ., ტანსაცმელი, სამკაულები, გრიმი, ფრჩხილების ლაქი [19,1652,შენ.92]. ყველა ქალს სურს იყოს ლამაზი. ისლამი ქალის ამ ბუნებრივი მოთხოვნილების ნინააღმდეგი არ არის, მაგრამ მიმართავს მას სნორი გზით, მხოლოდ ერთი მამაკაცისაკენ — მისი მეუღლისაკენ. ამაში მონაწილეობენ სხვა პირებიც, რომლებიც მოხსენიებული არიან იმავე აიაში. ეს ტერმინი არის ფართო მნიშვნელობის, მასში იგულისხმება სხეულის ნაწილები ან ძვირფასი სამოსი ან ოქროს სამკაულები — ყველაფერი, რაც ქალს ყურადღების და სექსუალური ინტერესის საგნად აქცევს [331,29].

[122] ჯუიუბ (მრ.რ. „ჯაიბ"-დან) — ჭრილი ტანსაცმლის ზედა ნაწილში, სადაც ჩანს ქალის მკერდის ნაწილი. 24:31 აიადან გამომდინარე, მისი დაფარვა უნდა მოხდეს ხიმარით (მრ. ხუმრ). ხიმარ არის ის, რითაც ქალი იფარავს თავს. ხიმარ აღნიშნავს საბურველს თავისათვის, რომელსაც არაბი ქალები იყენებდნენ ისლამამდე და ისლამის შემდეგ. კლასიკურ კომენტატორთა აზრით, ისლამამდელ ხანაში მას ატარებდნენ პრაქტიკულად, როგორც მორთულობას. ქალები ჩვეულებრივად მსუბუქად ნამოიხურავდნენ ხოლმე ისე, რომ მხრებზე ჩამოშლილიყო, ხოლო მოდის გამო ქალები ატარებდნენ ხალათს დიდი ჭრილით ყელზე ისე, რომ ჩანდა მკერდი. ამის შემდეგ გაჩნდა გამოთქმა „ხიმარით მკერდის დაფარვა". ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ქალის მკერდი არ ეკუთვნის იმას, „რაც შეიძლება დარჩეს ხილული"[19,V1,1653,შენ.94]. ქალები იფარავდნენ თავიანთ მკერდს თავსაბურავის ნაწილით. თუმცა, მკერდის გარდა, აქ იგულისხმება — მკლავები და კისერი [52,705,31b]. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, 24:31 აიას მითითებას მედინის ქალები მის გარდმოვლენამდეც ასრულებდნენ და ამდენად, ის მიმართული იყო მექელი ქალებისადმი. ხიმარ იყო ჩვეულებრივი თავსაბურავი ბედუინებისათვის — ქალებისა და მამაკაცებისათვის და მისი სინონიმი იყო 'ამმა (ჩალმა) [332,159].

[123] აქ „ზინათ" აღნიშნავს ბუნებრივ სილამაზესაც და არაბუნებრივ ხელოვნურ მორთულობასაც. ჩემი აზრით, აქ არის ორი გაგება: ქალისაგან მოითხოვენ, რომ მთელი სხეული არ ეჩვენებინა ან არ გამოჩენილიყო დაუდევრად ჩაცმული. გამონაკლისს ნარმოადგენდა ადამიანთა 6 კატეგორია: 1) მეუღლე 2) მისი ახლო ნათესავები, რომლებთანაც ის ცხოვრობს ერთ სახლში და რომელთა თანდასწრებითაც დასაშვებია განსაზღვრული დაუდევრობა 3) მისი „ქალები" ანუ მოსამსახურეები. მრავალი კომენტატორის აზრით, ყველა მორწმუნე ქალი. მუსლიმური ტრადიციით, არასაკადრისია, თუ ქალი ხვდება სხვა ქალებს, როცა ის ჩაცმულია დაუდევრად (უნესრიგოდ). 4) მონები, რადგანაც ისინი მის განკარგულებაში არიან 5) მონები, ინვალიდები, რომელთაც არა აქვთ ვნება. 6) პატარა ბავშვები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ სექსუალურობის შეგრძნება [33,904,შენ. 2695].

ყების ან თავიანთი ქმრების ვაჟების, ან თავიანთი ქალების[124] ან იმათი, ვინც მოიპოვა მათმა მარჯვენამ (მონა-ქალები)[125] ან მოსამსახურეების მამაკაცთაგან, რომელთაც არა აქვთ ვნება[126] ან ბავშვების, რომლებიც ვერ ამჩნევენ ქალთა სიშიშვლეს ('ავრა). დაე, ნუ გამოაჩენენ (ნუ ნაიღებენ) თავიანთ ფეხებს ისე, რომ გამოჩნდეს, რასაც ისინი მალავენ თავიანთი მშვენებიდან[127] და მიმართეთ ყველამ ალაჰს. ო, მორწმუნენო, შესაძლოა წარმატებებს მიაღწიოთ"[55,704-05; 22].

ყურანის ამ აიაში (24:31) კომენტატორებისათვის ყველაზე სადავო გახდა ფრაზა: დაე, არ გამოაჩინონ თავიანთი „მშვენებანი" „იმის გარდა, რაც მოჩანს მათგან" (ილლᾱ მᾱ ზაჰარა მინჰᾱ) – აქ იგულისხმება სახე და ხელის თითები, აგრეთვე სხეულის ის ნაწილები, რაც შემთხვევით გაშიშვლდა და ტანის კონტურები, რაც არაა დაფარული თავისუფალ ტანსაცმელშიც კი (იბნ 'აბბასი, იბნ მას'უდი).

ადრეული კომენტატორების აზრით, ეს ნიშნავს „იმის გარდა, რაც შეიძლება დარჩეს ხილული", ან „ის, რაც საყოველთაოდ მიღებული ჩვეულების თანახმად, ადამიანს შეუძლია გამოაჩინოს აშკა-

---

[124] არაბ. ნისᾱ'ჰუნნა – ნიშნავს „მათ ქალებს" და არა ქალებს საერთოდ. კომენტატორებს განსხვავებული აზრი აქვთ მის ზუსტ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. არ-რᾱზი და სხვები თვლიან, რომ ეს ეხება განურჩევლად ყველა ქალს, სხვები თვლიან, რომ ეს ეხება ახლობლებს და ნაცნობებს, რომლებთანაც მათ აქვთ ყოველდღიური კონტაქტი. ამასთან არ არის განსხვავება - მუსლიმია ის თუ არამუსლიმი. მთავარია ის, რომ ქალები დაცული უნდა იქნენ ზედმეტი ნდობისაგან იმ უცხო ქალებისადმი, რომელთა კულტურული და მორალური წარსული უცნობია ან საეჭვო.

[125] ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ეხება მონა-ქალებს, რომლებიც მუშაობენ მოსამსახურე ქალებთან, მათი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად და არა მამრ. სქესის მონებს. ეს აიხსნება იმით, რომ გათავისუფლებულ მონას შეუძლია იქორწინოს ყოფილ მფლობელზე და ამგვარად, ის გამოირიცხება ნდობით აღჭურვილ პირთაგან. სხვები ('ᾱ'იშა, უმმ სალამა და მოციქულის სხვა ნათესავები) თვლიან, რომ აქ საუბარია როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის მონებზე ან ესენი არიან ქალები, რომელთაც მათთან მიმართებაში არა აქვთ რაიმე ვალდებულება, მაგ., მოსამსახურეები. მუსლიმებს ეკრძალებათ უჩვენონ თავიანთი სხეულის ნაწილები ნარმართებს, გარდა მონებისა. იბნ ქასᾱრის თანახმად, ეს „აჰლ აზ-ზიმმა"-ს (ქრისტიანი ან იუდეველი) ქალების ნინაშეც არ შეიძლება, რადგან მათ შეიძლება აღუწერონ ისინი თავიანთ ქმრებს. თუმცა მუსლიმმა ქალებმა კარგად იციან ალაჰის გამონათქვამი: „არც ერთმა ქალმა არ უნდა აღუწეროს სხვა ქალი თავის ქმარს, რადგანაც ეს იგივეა, რომ მან შეხედოს მას"[47].

[126] აქ მოხსენიებული პირები უნდა იყვნენ ან დამოკიდებულ მდგომარეობაში, ან ასაკოვანი, ან ავადმყოფი, ჭკუასუსტი, ან სხვა მიზეზით არ ჰქონდეთ სექსუალური მოთხოვნილება [19,V1,1654,შენ.103].

[127] ეს ეხება უზნეო ქალების ეშმაკობებს, რათა მიიქციონ ყურადღება.

რად". თუმცა, ტრადიციული ეგზეგეტიკოსები ამ განსაზღვრებას მიაკუთვნებენ სახეს, ხელის თითებს და ტერფებს. „ქალებს შეიძლება ღიად ჰქონდეთ მხოლოდ სახე და ხელის მტევანი". ეს დასტურდება ალაჰის მოციქულის სიტყვებით ასმა'სადმი (ასმა' ბინთ აბი ბაქრი): „ო, ასმა', როცა ქალი მიაღწევს სქესობრივ სიმწიფეს, მან უნდა დაიფაროს ყველაფერი, გარდა ამისა და აჩვენა მის ხელებზე" [19,VI,1653,შენ.93].

ყურანში და ჰადისებში განსაზღვრულია მოთხოვნები ქალის სამოსთან დაკავშირებით:

ა) აუცილებელია, რომ სხეულის ყველა ნაწილი, აგრეთვე თმა, სახის და ხელის მტევანის გარდა დაფარული იყოს. ეს დაფუძნებულია სხვადასხვა გადმოცემაზე, რომელთა შორის არის 'ა'იშას გადმოცემა: „ერთხელ ჩემთან შემოვიდა ჩემი ძმისშვილი გოგონა. როცა მოციქულმა დაინახა ის, შებრუნდა. მე ვუთხარი: „ის ჩემი ძმისშვილია". მოციქულმა მიპასუხა: „თუ გოგონა ხდება სრულწლოვანი, მაშინ დაუშვებელია მისთვის გამოაჩინოს სააშკარაოზე რაიმე, სახისა და ხელების გარდა" [91,318]. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ის იყო არა ცოლი, არამედ ქალი მიმდევარი [352,33]. ამდენად, ჩადრი გულისხმობდა მკერდის და არა სახის დაფარვას.

ბ) ტანსაცმელი უნდა იყოს გაუმჭვირვალე. მოციქულმა თქვა: „ჩაცმულები და იმავდროულად შიშვლები, რომლებიც ირხევიან სიარულის დროს და ამით აცდუნებენ მამაკაცებს – ასეთი ქალები ვერ შევლენ სამოთხეში და ვერ შეისუნთქავენ მის კეთილსურნელებასაც კი" [130,31]. ერთხელ ქალები ბანუ თამიმიდან შევიდნენ მოციქულის ცოლთან – 'ა'იშასთან. მათ ეცვათ თხელი გამჭვირვალე ტანსაცმელი. 'ა'იშამ უთხრა მათ: „თუ თქვენ ჭეშმარიტი მორწმუნე მუსლიმები ხართ, მაშინ სათანადო ტანსაცმელი არ გაცვიათ" [130, 31]. სხვა გადმოცემით, 'ა'იშასთან შევიდა მისი ძმისშვილი – ჰაფსა ბინთ 'აბდ არ-რაჰმანი, რომელიც ატარებდა თხელ თავსაბურავს ისე, რომ მკერდი მოუჩანდა. 'ა'იშამ გახია ის შუაზე, ორმაგი თავსაბურავი მოახვია თავზე და უთხრა: „ვინც ასე იცვამს, მას არ სჯერა „სურა ან-ნურ"-ის (24-ე სურა – „სინათლე") ჭეშმარიტება" [8,VIII,71].

გ) ტანსაცმელი არ უნდა იყოს მოტმასნილი ტანზე, „ასეთი სამოსი ისეთივე მაცდუნებელია, როგორც გამჭვირვალე" [113,645-51; 173, 207-210].

დ) ჩასაცმელი უნდა იყოს ქალის სამოსის კატეგორიიდან და არა მამაკაცის. მოციქულის გამონათქვამებში ხშირად არის გაკიცხვა იმ ქალების, რომლებიც ცდილობენ მიბაძონ მამაკაცებს. აბუ ჰურაირას გადმოცემით, „მოციქული წყევლიდა მამაკაცებს, რომ-

ლებიც იცვამდნენ ქალის ტანსაცმელს და ქალებს, რომლებიც იცვამდნენ მამაკაცის ტანსაცმელს“ [91,319].

ვ) ტანსაცმელს არ უნდა ჰქონდეს სუნამოს ან რაიმე მძაფრი არომატი [130,31-32].

24:31 აიას გარდმოვლენის მიზეზი გახდა შემდეგი: „ჯაბირ ბ. ‘აბდ ალ-ლაჰის გადმოცემით, ‘ასმა ბინთ მურშიდი იყო თავის სახლში და ქალებმა იწყეს მასთან შესვლა თავსაბურავის გარეშე, ისე რომ ფეხის ბრასლეტის დანახვა შეიძლებოდა მათ გულმკერდთან და თმის კულულებთან ერთად. ‘ასმამ თქვა: რა საშინელებაა და გარდმოევლინა ეს აია“ [261,35]. ‘ალი ბ. აბი ტალიბის გადმოცემით, ამ აიას გარდმოვლენის მიზეზი გახდა შემდეგი: „ერთ დღეს, მოციქულის სიცოცხლეში, მამაკაცმა გაიარა მედინას ქუჩებში. მან შეხედა ერთ ქალს და მანაც შეხედა მას. შემდეგ ეშმაკმა (სატანამ) უჩურჩულა ორივეს, რომ ისინი უყურებენ ერთმანეთს მხოლოდ იმის გამო, რომ მოსწონთ ერთმანეთი. მამაკაცი სეირნობდა, დადიოდა კედლის გასწვრივ, უყურებდა მას (ქალს), შეეჯახა სხვა კედელს და ცხვირი გაიტეხა. მან თქვა: ვფიცავ ალაჰს, მე არ დავიბანე სისხლი იქამდე, ვიდრე არ მივედი ალაჰის მოციქულთან და მოვუყევი, რაც შემემთხვა. მოციქულმა თქვა: ეს იყო სასჯელი შენი დანაშაულის გამო. შემდეგ ღმერთმა გარდმოავლინა ეს აია: უთხარი შენს ცოლებს . . “ [9,III,506].

ატ-ტაბარის კომენტარი 24:31 აიასთან დაკავშირებით ასეთია: *„დახარონ თავიანთი თვალები – იმას ნიშნავს, რომ არ შეხედონ იმას, რაც ალაჰმა აკრძალა მათთვის, რომ შეხედონ. დაიცვან თავიანთი შიდა ნაწილები იმ მამაკაცის შეხედვისაგან, ვისაც არა აქვს უფლება შეხედოს. ....ხილული მშვენებანი (რაც შეიძლება გამოჩნდეს) არის სახე და ხელები მკლავების ნახევრამდე, თვალების კოსმეტიკა, ბეჭდები, სამკაულები და საღებავები“* [14,XVIII,92-98]. ატ-ტაბარის თანახმად, ქალმა უნდა დაიფაროს მკერდის ჭრილი, თმა, კისერი და ყურები [14,XVIII,98].

ალ-ბაიდავის კომენტარი ასეთია: *„მიუთითეთ მათ, დახარონ თავიანთი თვალები იმ მამაკაცების წინაშე, რომლებისთვისაც არაა ნებადართული, რომ შეხედონ მათ. და მიუთითეთ მათ, რომ დაიფარონ თავიანთი იდუმალი ნაწილები ჩადრით, რათა არ იმრუშონ. თვალების დახრა მითითებულია იმიტომ, რომ შეხედვა არის მრუშობის მაუწყებელი. და მიუთითეთ, რომ არ აჩვენონ თავიანთი მშვენებანი, როგორიცაა ოქროს ნაკეთობანი, მოკაზმულობა და კოსმეტიკა – მხოლოდ ის ნაწილები, სადაც მათ ატარებენ ან ეხება იმათ, ვისთანაც ამის გამოჩენა აკრძალულია ... მშვენებანი არის ის ადგილი, რომელ ზედაც ატარებენ ამ მორთულობას“* [4,467].

ყურანის 24:31 აიაში განხილული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერმინია 'ავრა[128] (სიშიშვლე - მოდის 'არრ-დან, „სირცხვილი"). ეს არის მანძილი ჭიპიდან მუხლებამდე. მუჰამადმა თქვა: „ქალმა არ უნდა შეხედოს სხვა ქალის სიშიშვლეს და მამაკაცმა არ უნდა შეხედოს სხვა მამაკაცის სიშიშვლეს" [208,133].

ალ-ბაიდავის განმარტებით, „სახე და ორივე ხელი არ არის სექსუალური" მხოლოდ ლოცვის დროს[129] და არ რთავს ნებას [ხალხს] დაჟინებით უცქირონ. „სინამდვილეში თავისუფალი ქალის მთელი სხეული განიხილება, როგორც სექსუალური. მისი არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაინახოს ვინმემ, მისი ქმრის და ახლო ნათესავების გარდა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, როგორიცაა სამედიცინო გასინჯვა ან ჩვენების მიცემა" [4,467].

ალ-ხაფაჯი[130] (გარდ. 1659 წ.) ადასტურებს, რომ მთელი სხეული არის სექსუალური, სახის და ხელების ჩათვლით. თუმცა, ქალის ლოცვა არ გახდება ბათილი, თუ ის არ დაიფარავს თავისი სხეულის ამ ნაწილებს — სახეს და ხელებს [352,28].

'აბდ ალ-ლაჰ ბ. მას'უდი ამბობს, რომ ქალებმა არ უნდა გამოაჩინონ თავიანთი „მშვენებანი" — საყურეები, მძივები, და სხვა მოსართავები[131]. ის ამბობს, მოსართავი არის ორი სახისა: ისინი, რაც შეიძლება დაინახოს მხოლოდ ქმარმა (სამაჯური, საყურე და სხვა) და ისინი, რაც შეიძლება დაინახოს ყველამ (გარე სამოსი) [218,87].

ალ-ბუხარის მოაქვს ჰადისი, რომლის თანახმადაც 'ა'იშამ თქვა: „დაე, შეინყალოს ალაჰმა ქალები, რომელთაც პირველებმა შეასრულეს ჰიჯრა. როცა ალაჰმა გარდმოავლინა აია: „დაე, დაიფარონ თავიანთი საბურველით მკერდის ჭრილი", მათ დაინყეს

---

[128] მრ. რ. 'აერათ. ყურანში ის იხმარება 3 აიაში (2:57,24:31 და 33:13). აქედან 24:31 აიაში ის იხმარება მრავლობით რიცხვში და აღნიშნავს ქალების შიდა, დაფარულ ნაწილებს [1,494; 208,137,შენ.128]. ყურანში არსად არ ჩანს, რომ ქალის მთელი სხეული არის 'ავრა, მაგრამ ამაზე ყურადღებას ამახვილებენ კომენტატორები [355,189-96].

[129] ჰადისების ექვსივე კრებულში დამოწმებულია უამრავი გადმოცემა, სადაც ნაჩვენებია, რომ ქალები მოციქულის დროს ლოცვაზე მიდიოდნენ ისე, რომ სახე და ხელები დაფარული არ ჰქონდათ. ასევე იყო მოციქულთან კონსულტაციის დროს. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ალაჰს სურდა მხოლოდ ქალის ღირსებისა და უმნიკეღლოების დაცვა და არ გულისხმობდა აუცილებლად კანონიერ მითითებას.

[130] ალ-ხაფაჯი აჰმად ბ. მუჰამმად ბ. 'უმარ (1571-1659), მეტსახელი შიჰაბ ადდინ ალ-მიხრი ალ-ჰანაფი. ალ-ბაიდავის თაფსირზე თავის დროზე მრავალი კომენტარი დაიწერა. მათ შორის ცნობილია ალ-ხაფაჯის ნაშრომი, რომელსაც ეწოდა ჰაშიია - შენიშვნები.

[131] იბნ ქასირის თანახმად - მხოლოდ ბეჭდები [47].

თავიანთი წამოსასხამიდან ნაგლეჯის მოხევა და იმით თავის და მკერდის ჭრილის დაფარვა"[132] [6,III,105].

ყურანის კომენტატორთა აზრით, „მშვენებანი" – ის ადგილებია, სადაც ქალი ატარებს მორთულობას: მკერდი, კისერი, მხრები, გარდა სახისა და ხელის მტევანისა [25,697].

„ქალი არის 'ავრა, რომლისთვისაც მართებულია დამალვა და დაფარვა. როდესაც ქალი გარეთ გადის, ეშმაკი (სატანა) უყურებს მას და სურს, რომ გზას ააცდინოს ის" [240,192]. მუჰამადის თვალში ყველა მორწმუნე მამაკაცი იყო პოტენციური „ეშმაკი". ჰადისების თანახმად, თვითონ მოციქული იყო ერთ-ერთი, რომელსაც არ შეეძლო ეკონტროლებინა თავისი ვნება ქალების შეხედვისას. ასე დაემართა მას, როდესაც თავისი შვილობილის – ზაიდის ცოლს შეხედა. სულ მალე ზაინაბ ბინთ ჯაჰში მისი ცოლი გახდა.

გადმოცემით, 'ა'იშა ატარებდა ჩადრს, ჯერ კიდევ როცა არასრულწლოვანი იყო და როცა მუჰამადმა ქორწინების წინადადება მისცა მამამისს [8,VIII,59]. ეს მოხდა ჰიჯრის პირველი წლის შავვალის თვეში.

ჰაფსა ბინთ 'უმარ ჩადრით იყო (ჯილბაბ) თავისი ბიძების თანდასწრებით, დედის მხრიდან [8,VIII,83]. 33:55 აიათი ცხადი ხდება, რომ ბიძები მამის და დედის მხრიდან არ ეკუთვნიან იმ სისხლით ნათესავებს, რომელთაც უფლება აქვთ უყურონ მოციქულის თანამგზავრებს სახეში და არა ჰიჯაბს მიღმა.

ჰადისებში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ მოციქულის ცოლი 'ა'იშა ჩადრით იყო ბრმა მამაკაცის – ისჰაკ ბ. ალ-ა'მას თანდასწრებით. იბნ სა'დის თანახმად, მოციქულმა უბრძანა თავის ცოლებს ჰიჯაბს მიღმა დარჩენილიყვნენ ბრმა მამაკაცის თანდასწრებითაც. 'ა'იშას გადმოცემით, „ალაჰი არ იღებს ლოცვას ქალისა, ვინც მიაღწია სრულწლოვანებას, თუ დაფარული არ არის მისი თავი" [8,VIII,69].

---

[132] ამ ჰადისის მეორე ვერსია გადმოცემულია ხაფიზა ბინთ შაიბას მიერ, სადაც ნათქვამია: „ერთხელ, როცა ჩვენ ვიყავით 'ა'იშასთან, ვიხსენებდით კურაიშელ ქალებს და მათ ღირსებებს, 'ა'იშამ თქვა: ჭეშმარიტად, კურაიშელი ქალები ფლობენ დიდ ღირსებებს. მაგრამ ვფიცავ ალაჰს, მე არ მინახავს უფრო ღირსეული ქალები, ვიდრე ანსართა ცოლებია და არავინ, რომლის რწმენაც ალაჰის წიგნისადმი და მისი გამოცხადებებისადმი ყოფილიყოს უფრო ძლიერი! როცა გარდმოეცლინა სურა – ან-ნურ(24) .....მათი ქმრები მივიდნენ მათთან და წაუკითხეს ის, რაც ალაჰმა გარდმოუვლინა მათ ამ სურაში. თითოეულმა მამაკაცმა წაუკითხა ის თავის ცოლს, ქალიშვილებს, დებს, ნათესავებს და არ იყო არც ერთი ქალი, რომელმაც ამის შემდეგ არ აიღო თავისი მოსასხამი, მორთული მაქმანებით და არ გამოეხვია მასში" [130,106].

ზოგიერთი გადმოცემით, მოციქულის ცოლებს მთელი სხეული უნდა დაეფარათ, მათ შორის სახე და ხელები, სიცოცხლეში და სიკვდილის დროსაც. მაგალითად, ჩადრის შემოღება უკავშირდება ზაინაბ ბინთ ჯაჰშის ქორწილს და სწორედ მისი დაკრძალვის დღეს დამკვიდრდა ის წესი, რომ მხოლოდ მამაკაცებს (ახლო ნათესავებს, ვისთანაც ქორწინება იკრძალებოდა) ერთვებოდათ ნება ჩასულიყვნენ ქალის საფლავში[133] და შეესრულებინათ ლოცვა მიცვალებულზე. ზაინაბის ნათესავებმა და „მორწმუნეთა დედებმა" ნება არ დართეს ხალიფა 'უმარს – ჩასულიყო მის საფლავში, რადგანაც სიცოცხლეში ის „აკრძალული" იყო მისთვის[134] [8,VIII,112].

24:31 და 33:59 აიების მითითებები არ ნიშნავს, რომ ეს იყო აკრძალვა ქალებისათვის გამოჩენილიყვნენ ხალხთან სახის დაუფარავად. მუჰამადამდეც ზოგიერთი ლამაზმანი სახეს პირბადით იფარავდა. მაგრამ ეს იყო მედიდურობის გამოვლინება. უბრალოდ, გამომწვევად არ უნდა გამოჩენილიყვნენ უცხო მამაკაცებთან. ეს გამონაკლისი იყო სურვილით, აღეკვეთათ თავიანთი ცოლების ურთიერთობა უცხო მამაკაცებთან. 33:33 აიათი – „ისხედით თქვენ სახლში და ნუ გამოაჩენთ თქვენს მშვენებას, როგორც ადრე" – ყურანი ახსენებს მოციქულის ცოლებს, რომ ისინი არ არიან სხვა ქალების მსგავსი. ამდენად, ჯილდო მათთვის იქნება ორმაგი და ცოდვისათვის სასჯელიც – ორმაგი [108,128]. ამას მოჰყვა 24-ე სურა, რომელშიც ფაქტობრივად არის მუსლიმური დოგმატური ეთიკის ნორმები, ქალის ცხოვრებისა და ქცევის წესები ოჯახსა და საზოგადოებაში.

ისმება კითხვა: მოციქულის ცოლებმა, მათ შორის 'ა'იშამ, გამოხატეს თუ არა სერიოზული პროტესტი მათი თავისუფლების დაკარგვის გამო? ტრადიციები არ გადმოგვცემენ რაიმე უკმაყოფილებაზე ამ მხრივ[135]. საკვანძო უკვე მოხუცებული იყო და ძლივს შეეძლო პროტესტი გამოეხატა. ზაინაბი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰიჯაბის დანესებასთან და საეჭვოა, რაიმე ეთქვა. ჰაფსას ეშინოდა მამის – 'უმარ ბ. ალ-ხატტაბისა, რომელიც ამართლებდა მუჰამადის ქმედებებს. ამაყი უმმ სალამა აღაშფოთა ახალმა ცვლილებამ,

---

[133] საფლავში მიცვალებულს მექის მიმართულებით დებენ და მთელი ამ ცერემონიალის დროს კითხულობენ ყურანის სურებს.

[134] გადმოცემით, როცა 'ა'იშა მოინახულებდა 'უმარის საფლავს, ის გამოხვეული იყო მოსასხამში [130,285]. 'უმარის დაკრძალვის შემდეგ (მუჰამადის და აბუ ბაქრის გვერდით), 'ა'იშამ კედლით გამოყო თავისი საცხოვრებელი საფლავებისაგან, რადგანაც 'უმარი უცხო იყო მისთვის.

[135] ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ჩადრის შემოღებასა და განცალკევებაზე მუჰამადის ცოლების რეაქციას მოჰყვა „არჩევანის აია" (33:28-29), რომლის დროსაც მუჰამადი დაშორდა მათ ერთი თვით.

მაგრამ ამ შემთხვევაში თითქმის მარტო დარჩა და მხოლოდ ჯუვა-ირიიასაგან მიიღო მხარდაჭერა. რაც შეეხება 'ა'იშას, ბანუ მუსტა-ლიკის ნინააღმდეგ ლაშქრობის (5/627ნ.) შემდეგ, ის მრუშობაში დაადანაშაულეს და თვითონვე გახდა კრიტიკის ობიექტი. ამ სიტუ-აციაში მას ფიქრი არ შეეძლო პროტესტზე. 'ა'იშა სპეციალური გა-მოცხადებით გამართლდა[136] და აღიდგინა თავისი გამორჩეული მდგომარეობა ჰარემში.

მუსლიმური გადმოცემით, სწორედ 'ა'იშასთან დაკავშირე-ბულ ამ ლეგენდარულ შემთხვევას მოჰყვა მუჰამადის მიერ ჩადრის ჩვეულების შემოღება. მოციქულმა იეჭვიანა ჯერ ზაიდზე, თავის შვილობილზე, ხოლო შემდეგ საფვანზე[137]. ღვთისმეტყველები სწო-რედ ამ გარემოებებს უკავშირებენ 24:31 აიას. სხვა გადმოცემით, „ერთ დღეს, მუჰამადი იჯდა 'ა'იშასთან ერთად და გამვლელმა არაბმა, რომელიც მოიხიბლა მისი სილამაზით, შესთავაზა მუჰამადს აქლემი მის სანაცვლოდ და ამან გამოინვია ჩადრით და-ფარვის მითითება"[218,87].

630 წელს, მექის აღების დროს, როდესაც მუჰამადმა ფიცი მიიღო ქალებისაგან, ფიცის ტექსტში ჩადრი არ არის მოხსენიებუ-ლი. იბნ სა'დის თანახმად, ქალები გამოხვეული იყვნენ თავიანთ სა-ბურველში, როცა ისინი მიდიოდნენ მოციქულის სანახავად [8,VIII,6].

'ა'იშას გადმოცემით, ქალმა, რომელიც მიდის საპილიგრი-მოდ მექის კურთხეულ მიწაზე, არ უნდა დაიფაროს თავი ლისამ-ით[138] ან ბურკუ'-თი[139]. თვითონ 'ა'იშა პილიგრიმობის დროს ატა-რებდა ჩადრს, ეს იყო ღიშა' — თხელი ჩადრი, რომელიც ფარავდა მთელ სხეულს ან ეს იყო მოსასხამი [59,46]. ლოცვის დროს 'ა'იშა გამოხვეული იყო სამი სახის სამოსში: დირ'ა (ქალის პერანგი), ჯილბაბ (თავსაბურავი), და ხიმარ (თავშალი) [8,VIII,71]. 'ა'იშა პი-ლიგრიმობის დროს ასრულებდა ქა'აბას ტაძრის შემოვლას

---

[136] ყურანის 17 აიაზე მეტი დაეთმო მის გამართლებას [134].

[137] საფვან ბ. მუ'ატტალ ას-სულამი (გარდ. 19/640ნ.) — მუჰამადის მიმდევა-რი. ბანუ მუსტალიკის ნინააღმდეგ ლაშქრობიდან დაბრუნებისას, შესვენების ადგილას 'ა'იშა ჩამოვიდა თავისი ტახტრევანიდან, თუმცა მისი არყოფნა შეუმჩნეველი დარჩა და ის მარტო აღმოჩნდა უდაბნოში. 'ა'იშა იპოვა ახალ-გაზრდა მუსლიმმა — საფვანმა, რომელმაც დააბრუნა ის მუჰამადის ბანაკში. მუჰამადის მოწინააღმდეგეებმა 'ა'იშა ღალატში დაადანაშაულეს, თუმცა არ იყო მონმეები [341,56-57].

[138] ლისამ - ჩადრი, რომელიც ფარავს სახის ქვედა ნაწილებს თვალებამდე.

[139] ბურკუ' - გრძელი სამოსი, რომელიც ფარავს მთელ სხეულს, მხოლოდ თვალები არ არის დაფარული.

(ტავვაფ) ნიკაბში[140]. მუჰამადის სხვა ცოლი — მაიმუნა ლოცვის დროს ატარებდა ხიმარ-ს და არა იზარ-ს[141] [8,VIII,173].

იყვნენ ქალები, რომლებიც უარს აცხადებდნენ ჰიჯაბზე. მათ სურდათ ყოფილიყვნენ ჩადრის გარეშე - ბარზა („ხილული"). „ბარზა ქალი არის ის, რომელიც არ მალავს თავის სახეს და დაბლა არ ხრის თავს". ბარზა არის ის, რომელიც „ხალხის მიერ ხილულია და რომელიც ილებს მნახველებს სახლში", ჩვეულებრივ მამაკაცებს[142] [285,191-92]. ერთ-ერთი ასეთი ქალი იყო სუქაინა — მოციქულის შვილიშვილის შვილი, ცნობილი თავისი სილამაზით, რომელიც ხუთჯერ თუ ექვსჯერ გათხოვდა. ის ღიად იტოვებდა სახეს ყველას წინაშე. სუქაინა ესწრებოდა მამის — ჰუსაინ ბ. 'ალის ტრაგიკულ სიკვდილს ქარბალა'სთან. ეს ტრაგედია ნანილობრივ ხსნის მის ამბოხს იმ ყველაფრისადმი (მათ შორის ჰიჯაბისადმი), რაც ზღუდავდა მის თავისუფლებას [285,192]. ჩადრის გარეშე დადიოდა აგრეთვე ხალიფა აბუ ბაქრის შვილიშვილი — 'ა'იშა ბინთ ტალჰა. როცა ჰკითხეს, რატომ არ იფარავდა სახეს, მან განაცხადა: „ყოვლის შემძლე ალაჰმა გამომარჩია მე სილამაზით. მე მინდა, რომ მამაკაცებმა დაინახონ და გააცნობიერონ ის, რომ ვდგავარ სხვებზე მაღლა და რომ ჩემში არ არის ნაკლი, რომელიც შეიძლება გაიკიცხოს" [3,ბ.XI,176;116,36; 315,52; 339,150].

მოციქულის დროს ქალები ლოცულობდნენ მეჩეთებში და ესაუბრებოდნენ მუჰამადს და მამაკაც კომპანიონებს რელიგიურ და სხვა საკითხებზე ისე, რომ ხელები და სახე დაფარული არ ჰქონდათ[143].

---

[140] ნიკაბ არის თხელი ქსოვილი, რომელშიც დატოვებულია ორი ჭრილი თვალებისათვის და ფარავს ქალის სახეს. მისი ტარების აუცილებლობა არ დასტურდება ყურანში ან სუნაში. მუსლიმური სამართლით, ნიკაბის ტარება სავალდებულო არ არის და დაშვებულია მუსლიმი ქალისათვის — გამოაჩინოს სახე და ხელის მტევანი უცხო მამაკაცის წინაშე. მუჰამადმა აუკრძალა მუსლიმ ქალებს შეესრულებინათ პილიგრიმობა ხელთათმანებით და ნიკაბში [130,34; 162,22].

[141] შალი, მოსახვევი.

[142] ცნობილია ქალი ხარიკა, რომლის სილამაზე შექებული აქვს ერთ-ერთ უმაიიან პოეტს და აღნიშნულია, რომ თითქმის ყველა პილიგრიმი მოინახულებდა მას ჰაჯის დროს. მთავარი ისაა, რომ ის იყო ჩადრის გარეშე [218,92].

[143] ჩადრით დაფარვის ჩვეულება ძირითადად დაიწყო უმაიიანთა დროს. ქალთა კარჩაკეტილობა, რომელიც იყო პოპულარული სპარსელებთან ადრეული ხანიდან, გაჩნდა მუსლიმურ თემებში ვალიდ II-ის მმართველობის (744წ.) დროს. თუმცა განსაკუთრებით გავრცელდა 'აბბასიიანი ხალიფა ალ-მუთავაქქილის (847-861) დროს. ეს ის პერიოდია, როცა მმართველებმა დაიწყეს დიდი ჰარემების მოწყობა, რომლებიც მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული უცხო თვალისაგან და ჩადრი გახდა ჩვეულებრივი მოვლენა [218,91;102].

ჩადრის ტარება შემოღებულ იქნა მუჰამადის მიერ ისლამის ადრეულ წლებში, მაგრამ მისი სიკვდილიდან ერთი საუკუნის შემდეგ, ჩადრი და კარჩაკეტილობა გავრცელდა მთელ აღმოსავლეთში. თუმცა, ფორმულა „დარაბა ალ-ჰიჯაბ“ ნიშნავს ჩადრით დაფარვას და ეს ფრაზა ჰადისებში ნახმარია მნიშვნელობით – ის გახდა მოციქულის ცოლი. ეს ამტკიცებს, რომ მუჰამადის სიკვდილის შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე, ჰადისებში თავმოყრილი მასალის შეკრებისას, ჩადრი და კარჩაკეტილობა ჯერ კიდევ იყო ჩვეულება მხოლოდ მოციქულის ცოლებისათვის. არ არის ცნობილი, როდის გავრცელდა ის მუსლიმური თემის დანარჩენ ნაწილზე. საფიქრებელია, რომ ამ პრაქტიკის გავრცელებას ხელი შეუწყო მუსლიმთა დაპყრობების შედეგად სიმდიდრის ზრდამ, არაბთა ავტორიტეტის ამაღლებამ და იმ ფაქტმა, რომ მუჰამადის ცოლები მისაბაძი მაგალითი გახდნენ მორწმუნეთათვის.

III თავი

ქალის უფლებები ისლამში (VII-Xსს.)

1. ქალი და ქორწინება ისლამში

ისლამი წარმოიშვა საზოგადოებაში, სადაც გავრცელებული იყო პოლიგამია. მამაკაცს შეეძლო ჰყოლოდა განუსაზღვრელი რაოდენობის ცოლები. ასე იყო უძველეს ხალხებშიც. მაგალითად, ახალი აღთქმიდან ცნობილია, რომ ნინასწარმეტყველ დავითს (დავ'უდს) ჰყავდა 100 ცოლი. მეფე სოლომონს (სულაიმანი) 700 ცოლი და 300 მხევალი. აქვე არის მითითებები, თუ როგორ უნდა გაუყონ მამაკაცებმა ქონება შვილებს სხვადასხვა ქორწინებიდან [130,189; 250,43; 312,8].

ყურანის თანახმად, ქორწინება არის მუჰამადის სუნას ნანილი. ქორწინების წესები ისლამში ჩამოყალიბდა წინაისლამური ხანის ოჯახის საფუძველზე და თანამიმდევრულად დამუშავდა ისლამის პირველ საუკუნეებში. ყურანმაც დაუშვა მრავალცოლიანობა, მაგრამ არა შეუზღუდველად. მუსლიმ მამაკაცს ერთდროულად შეიძლება ჰყავდეს ოთხი ცოლი და მონა-მხევალთა განუსაზღვრელი რაოდენობა.

„და თუ თქვენ შიშობთ[1], რომ სამართლიანი ვერ იქნებით ობლების მიმართ [ვინც იმყოფებიან მზრუნველობის ქვეშ], მაშინ და-

---

[1] ერთ-ერთი გადმოცემით, ეს აია ეხება „ობოლ ქალს, რომელიც არის თავისი მეურვის მზრუნველობის ქვეშ, ყურადღებას იქცევს თავისი სილამაზით და სიმდიდრით. მაგრამ მას [მეურვეს] სურს, რომ იქორწინოს მასზე ნაკლები მაპრით, ვიდრე ამას იმსახურებს ქალი თავისი მდგომარეობით. ამ გზით მეურვეებს ეკრძალებათ ქორწინება ამგვარ ქალებზე იქამდე, ვიდრე სამართლიანად არ მოექცევიან და არ გადაუხდიან მათ სრულ მაპრს, რასაც ისინი იმსახურებენ. თუ ეს უკანასკნელი არ დაეთანხმება, მაშინ მათ უნდა იქორწინონ სხვებზე მათ ნაცვლად" [6,III,74; 40, 4/19]. ამავე ჰადისში ხაზგასმულია ყურანის 4:127 აიას საფუძველზე, რომ ალაჰმა მითითება მისცა მუსლიმებს, სამართლიანად მოექცნენ ობლებს [59,58]. ყურანის კომენტატორები გვაძლევენ განმარტებას ამ გადმოცემაზე დაყრდნობით: „თუ თქვენ გეშინიათ, რომ იქნებით არასამართლიანი მაპრის დანიშვნასთან დაკავშირებით ობოლი გოგონებისათვის, რომლებიც იმყოფებოდნენ თქვენი მზრუნველობის ქვეშ, მაშინ იქორწინეთ არა იმათზე, არამედ სხვა ქალებზე, რომლებიც მოგწონთ თქვენ" [6,III,74-75; 52,193; 4,102; 14,VII,534; 22,430,შენ.3].

არის ასეთი განმარტებაც (იბნ 'აბბასზე დაყრდნობით): „ისლამამდელ ხანაში ცოლების რიცხვი არ იყო შემოსაზღვრული და ზოგიერთ არაბს ჰყავდა 10 და მეტი ცოლი. როდესაც მათ აღარ შეეძლოთ ცოლების შენახვა, ისინი

ქორწინდით [სხვა] ქალებზე[2], რომლებიც მოგეწონებათ – ორზე, სამზე, ოთხზე. ხოლო თუ გეშინიათ, რომ სამართლიანი ვერ იქნებით [მათთან], მაშინ [იქორწინეთ] ერთზე ან იმაზე, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა [ურწმუნოებთან ომის დროს]. ეს უფრო ახლოსაა [ალაჰის საზღვრებთან], რომ არ გადაუხვიოთ სწორი გზიდან" [4:3].

ამგვარად, ყურანმა ბიბლიის საწინააღმდეგოდ, 4:3 აიაზე დაყრდნობით განსაზღვრა ცოლების მაქსიმალური რაოდენობა ოთხით. ამასთან, მკაცრი პირობით, რომ მამაკაცი სამართლიანად მოექცევა ყველა ცოლს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურანი ინონებს მრავალცოლიანობას ან განიხილავს პოლიგამიას, როგორც იდეალს. ყურანი უბრალოდ უშვებს და ნებას რთავს მუსლიმს მრავალცოლიანობის და სხვა არაფერი [210,383].

პოლიგამია ისლამში დასაშვები გახდა განსაზღვრულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. ამისათვის არსებობდა ობიექტური მიზეზები: ყურანის 4:3 აია გარდმოვლენილ იქნა უჰუდთან (625 წ.) ბრძოლის შემდეგ, როცა 700 მუსლიმიდან დაიღუპა 70 მამაკაცი. ყოველი მეათე მამაკაცის სიკვდილმა მნიშვნელოვნად შეამცირა მამრობითი სქესის მოსახლეობა, რომლებიც იყვნენ ქალების მარჩენლები, დამცველები და მხარდამჭერები. ამის საპირისპიროდ, კიდევ უფრო გაიზარდა ქალების რიცხვი ამ ომში მოპოვებული ტყვეების ხარჯზე. ამდენად, მამაკაცებს ნება დაერთოთ ჰყოლოდათ ორი, სამი ან ოთხი ცოლი. თუმცა მუსლიმი მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ ეს ნებართვა მათ მიეცათ განსაკუთრებულ ისტორიულ ვითარებაში და არ იყო სხვა ალტერნატივა, რათა გადაჭრილიყო ობლებისა და ქვრივების პრობლემა. ბუნებრივია, ისლამს, როგორც უნივერსალურ რელიგიას, არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო საზოგადოების ვალდებულება ობლებისა და ქვრივების მიმართ. ეს დროებითი ღონისძიება იყო და ქრონოლოგიურად განეკუთვნება ისლამის ადრეულ ხანას. თვითონ მოციქულის ქორწინება ქვრივებზე, როგორც მაგალითი მრავალი კომპანიონისათვის – არის იმის დადასტურება, რომ აუცილებელი იყო ობლებზე და ქვრივებზე ზრუნვა [52,193,შენ.3a; 335,116-17; 195,7-9].

ითვისებდნენ და ხარჯავდნენ თავიანთი საჭიროებისამებრ მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ობლების ქონებას" [22,430, შენ.3]

[2] იუსუფ 'ალის აზრით, „ ...რეკომენდებულია დაქორწინება ობოლ ქალებზე, თუ დარწმუნებული ხართ, რომ ამ გზით მათი ინტერესები და მათი ქონება დაცული იქნება საუკეთესოდ. ამასთან საჭიროა აბსოლუტური სამართლიანობის გამოვლენა როგორც მათ მიმართ, ისე საკუთარი ოჯახის ნევრების მიმართ, თუ ის არსებობს. თუ ასეთი დარწმუნება არ არის, მაშინ ობლების მიმართ უნდა მიიღონ სხვა ზომები [33,179,შენ.508] ან იქორწინონ მათ დედებზე [19,265,შენ.3].

მუსლიმი იდეოლოგების მტკიცებით, პოლიგამიის შესახებ მითითება „ნაკარნახევი იყო ყველაზე ჰუმანური მოტივებით, რადგანაც მუჰამადი და მისი მიმდევრები აწარმოებდნენ ხანგრძლივ ბრძოლას ისლამის რწმენის გამო. საზოგადოებაში გაჩნდა მრავალი ქვრივი და გასათხოვარი ქალი. მათი მოთხოვნა ოჯახზე შეიძლებოდა დაეკმაყოფილებინა მხოლოდ პოლიგამიის ინსტიტუტს. მას უნდა დაეცვა ობოლთა ინტერესებიც" [114,61].

საინტერესო ტრადიციას გვიყვება ალ-ბუხარი. მოციქულმა თქვა: „ის, ვინც ბევრს შრომობს ქვრივების შესანახად, არის მსგავსი იმის, ვინც მიდის საბრძოლველად ალაჰის გზაზე ან იმის, ვინც ლოცულობს ღამით ან მარხულობს დღის განმავლობაში" [6,III,165]. ეს ჰადისი ცხადყოფს, რომ ქორწინება ერთზე მეტ ქალზე, არის დახმარება ქვრივებისა და ობლებისათვის და მისი მთავარი მოტივია სოციალური სამართლიანობის დამყარება [218,104].

ჰადისებიდან ცხადი ხდება, რომ პოლიგამია ყურანის ამ აიას (4:3) გამოცხადებამდე გრძელდებოდა. ნავფალ ბ. მუ'ავიიამ თქვა: „მე მყავდა ხუთი ცოლი და ვუთხარი მოციქულს ამის შესახებ. მან მითხრა: ამოირჩიე ოთხი, რომელიც მოგწონს და გაცილდი ერთს". 'უმაირ ალ-ასადიმ თქვა: „ისლამი მივიღე, როცა რვა ცოლი მყავდა. მე ვუთხარი ამის შესახებ მოციქულს და მან მითხრა: ამოირჩიე ოთხი იმათგან" [235,76].

მუსლიმური პოლიგამიის ყველა ასპექტი მკაცრად არის რეგლამენტირებული მუსლიმური სამართლით და მართლმორწმუნე მუსლიმს აქვს კანონიერი უფლება ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს ოთხი ცოლისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია შეასრულოს საამისოდ აუცილებელი ყველა პირობა: ყველა გათხოვილ ქალს უნდა ჰქონდეს ცალკე საცხოვრებელი: სახლი, ბინა ან ცალკე ოთახი და ქმარმა უნდა შეინახოს თითოეული თავისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად ერთნაირად. თუ სახლში ორი, სამი ან ოთხი კანონიერი ცოლია, მაშინ ქმარი ვალდებულია თითოეული მათგანი უზრუნველყოს ოთახებით, მსახური ქალებით და საერთოდ, შეუქმნას ცხოვრების უკეთესი პირობები, ვიდრე გათხოვებამდე ჰქონდა. ქმარმა ყველას ერთნაირი ყურადღება უნდა მიაქციოს. ასევე უნდა მოექცეს ყველა თავის შვილს კანონიერი ქორწინებიდან [181,39-43]. თუმცა ალაჰი, რომელსაც მხოლოდ სიკეთე უნდა მუსლიმებისათვის, ასე მიმართავს მათ: „თქვენ ვერასოდეს შეძლებთ იყოთ სამართლიანი [რამდენიმე ცოლთან დამოკიდებულებაში], თუნდაც ძალიან მოინდომოთ ეს" [4:129]. ჰადისებში ასევე არის მუსლიმების გაფრთხილება: „ვისაც ეყოლება ორი

ცოლი და ის აშკარად ერთნაირად არ მოექცევა მათ, წარდგება საშინელ სამსჯავროზე" [32,12/3791; 91,261; 287, 16; 87,124-28].[3]

მოციქულმა დაუშვა პოლიგამია, მაგრამ როცა ეს შეეხო თავის ქალიშვილს – ფატიმას, წინააღმდეგობა გაუწია 'ალი ბ. აბი ტალიბს. მოციქულმა თქვა: „მე არ დავრთავ ნებას 'ალი ბ. აბი ტალიბს და მე ვიმეორებ, მე არ დავრთავ ნებას 'ალის იქორწინოს სხვა ქალზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაცილდება ჩემს ქალიშვილს. ფატიმა არის ჩემი ნაწილი და ვინც მას აწყენინებს, მეც მაწყენინებს" [382,76][4].

მუსლიმთა ქორწინებები არის სამი სახის: *მუდმივი (და'იმ)* ანუ კანონიერი ქორწინება (*ზავაჯ*), *დროებითი* (*ნიქაჰ ალ-მუთ'ა*) და *მონებთან ქორწინება (ნიქაჰ ალ-'აბიდ)* [261,184].

ა) **კანონიერი ქორწინება** *ზავაჯ*[5] (ნიქაჰ, 'ურს) – თანასწორუფლებიანი ქორწინებაა. ისლამური მრწამსით, ქორწინება ღვთისათვის სასურველ საქმედ ითვლება და დაშვებულია ყველასათვის, მათ შორის არასრულწლოვანთა და ჭკუასუსტებისათვის, რომელთა ნაცვლად ამას წყვეტენ მათი მეურვეები და შუამავლები.

ქორწინება, ოჯახი – ეს ალაჰის მიერ ბოძებული სიკეთეა. ისლამში იკრძალება ბერ-მონაზვნობა ქრისტიანული გაგებით, როცა ადამიანი აბსოლუტურად უარს ამბობს ამქვეყნიურ სიკეთეებზე, განცალკევდება თავისი ოჯახისა და მშობლებისაგან და თავს უძღვნის ალაჰის სამსახურს.

მოციქული განსჯიდა იმათ, ვინც თავს იკავებდა ქორწინებისაგან ალაჰისადმი სამსახურის გამო. მაღალმა ალაჰმა თქვა: „ერთ-ერთი ზეციური სასწაული არის ის, რომ მან შექმნა თქვენგანვე[6] მეუღლეები თქვენთვის, რათა თქვენ გეპოვათ სიმშვიდე

---

[3] თუ გაეითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამის გამო არავინ დასჯილა, ეს არ არის პოლიგამიის ხელშემშლელი პირობა. ამასთან, მამაკაცისათვის ძალიან ადვილია გაყრა [293,334]. მუსლიმი ბიოგრაფები მოგვითხრობენ, რომ თვითონ მოციქული ამჯობინებდა 'ა'იშას – ახალგაზრდა ცოლს. „'ა'იშა იყო ერთადერთი, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა და ყველა მისმა ცოლმა იცოდა ამის შესახებ" [240,131].

[4] გადმოცემით, მუღირას გვარი შეეცადა 'ალიზე გაეთხოვებინა აბუ ჯაჰლის ქალიშვილი – ჯუვაირიია ბინთ აბი ჯაჰლი, მაშინ როცა ფატიმა ცოცხალი იყო. სხვა ჰადისში მოციქულმა ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ დაუშვებლად თვლიდა ერთი და იგივე მამაკაცის ('ალის) ცოლი ყოფილიყო მოციქულის ქალიშვილი და ალაჰის მტრის ქალიშვილი [40,5/56].

[5] ყურანი იყენებს ორ სიტყვას, რათა აღნიშნოს საქორწინო კავშირი: *ზავაჯ* – ქორწინების მნიშვნელობით, *ნიქაჰ* – ცოლქმრობის მნიშვნელობით. ნიქაჰ უფრო ხშირად იხმარება მუსლიმურ სამართალში.

[6] ალ-ბაიდავის თანახმად, „რამდენადაც ჰავვა' (ევა) შექმნილია ადამის ნეკნისაგან" [4,536].

მათში და დაამყარა სიყვარული და ურთიერთკეთილგანწყობა თქვენს შორის" [30:21]. მოციქულს ეკუთვნის სიტყვები: „ქორწინება ჩემი ტრადიციაა და ის, ვინც ზურგს აქცევს ჩემს ტრადიციას, ის ჩემთან არ არის"[7] [6,III,147].

თანამედროვე მუსლიმ იდეოლოგთა განცხადებით, „ისლამის ჰუმანურობის" ერთ-ერთი გამოვლენა ქალთან მიმართებაში არის ის, რომ ყურანმა დააკანონა დაუქორწინებლობა[8], როგორც მძიმე ცოდვა. საავადებულო ქორწინების დადგენით მუჰამადი არაბთა ტომის წარმომადგენლებს, თავის მიმდევრებს მიზნად უსახავდა გაეზარდათ თავიანთი შთამომავლობა [115,47]. ოჯახურ ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის გვარის გაგრძელება. ამით ისინი ხელს უწყობენ მუსლიმური თემის განმტკიცებას.

ქორწინება უნდა დაეფუძნოს ღვთისმოშიშობას და მორალურ სიწმინდეს. მოციქულმა თქვა: „ქალზე ქორწინდებიან ოთხი მიზეზით – მისი სიმდიდრე, წარმომავლობა, სილამაზე და ჭეშმარიტი რელიგია. თუ იხელმძღვანელებ უკანასკნელით, წარმატებას მიაღწევ" [40,7/18]. სხვა ჰადისში მოციქული აფრთხილებს თავის მიმდევრებს: „არ დაქორწინდეთ გოგონაზე [მხოლოდ] მისი სილამაზის გამო, რადგანაც ეს შეიძლება გახდეს მისი მორალური დაცემის მიზეზი და ამან შეიძლება დაღუპოს ის; არ დაქორწინდეთ [მხოლოდ] მისი სიმდიდრის გამო, რადგანაც ეს გახდის მას დაუმორჩილებელს; დაქორწინდით გოგონაზე მისი რელიგიურობის გამო" [53,18/53].

მუსლიმურ სამართალში რელიგიისა და სქესის ურთიერთმიმართების საკითხში, ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთ მაგალითად განიხილება ქორწინების აკრძალვა მუსლიმ ქალსა და არამუსლიმ მამაკაცს შორის, მაშინ როცა პირიქით დაშვებულია [147,103-04].

მუსლიმ მამაკაცს შეუძლია იქორწინოს ქრისტიან ან იუდეველ ქალზე (5:5) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილები მუსლიმებად გაიზრდებიან და ცოლს მემკვიდრეობაზე უფლება არ ექნება. მუსლიმი ქალი კი მხოლოდ ერთმორწმუნე მუსლიმზე შეიძლება გათხოვდეს. მეორე მართლმორწმუნე ხალიფა 'უმარმა მოუწოდა

---

[7] ან სხვა გადმოცემით, მუჰამადმა თქვა: „როცა ალაჰის მსახური ქორწინდება, ის სრულყოფს ნახევარს თავისი რელიგიის" [261,185].

[8] ხოლო ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ყურანის ფრაზიდან: „დაქორწინდით იმ ქალებზე, ვინც თქვენ მოგწონთ" (4:3), არ შეიძლება გამოტანა დასკვნისა, რომ ქორწინება სავალდებულოა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყურანის კომენტატორთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ამ ფრაზის ბრძანებითი კილოდან გამომდინარე დაქორწინებას აუცილებლად მიიჩნევენ ყველა მუსლიმისათვის და კრძალავენ დაუქორწინებლობას [125,60].

მუსლიმებს გაყოროდნენ ქრისტიან თუ იუდეველ ცოლებს. მაგრამ ხალიფას ბრძანება ეკუთვნოდა მხოლოდ იმ მუსლიმებს, რომელთა ცოლებმაც არ მიიღეს ისლამი ცოლ-ქმრული ცხოვრების დროს და არ გახდნენ ჭეშმარიტი მორწმუნენი. მუსლიმ მამაკაცს ეკრძალება ცოლად მოიყვანოს ურწმუნო [290,614]. 2:221 აიას თანახმად, „მორწმუნე მონა-ქალი უკეთესია [თავისუფალ] ურწმუნოზე".

ცნობილ მეცნიერ-ღვთისმეტყველს იუსუფ ალ-კარდავის მოაქვს განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დართო ნება მაღალმა ალაჰმა მუსლიმ მამაკაცს ცოლად მოეყვანა ქრისტიანი ან იუდეველი, მაგრამ აუკრძალა მუსლიმ ქალს არამუსლიმზე ქორწინება: „უპირველეს ყოვლისა, მამაკაცი არის პასუხისმგებელი ოჯახზე. ისლამი უტოვებს ქრისტიან ან იუდეველ ცოლს რელიგიური მრწამსის თავისუფლებას. ამის გარდა, მუსლიმი-ქმარი ვალდებულია პატივი სცეს თავისი ცოლის რწმენას. რაც შეეხება იუდაიზმს და ქრისტიანობას, მათი საღვთო წიგნები არ აძლევენ სხვა რელიგიის წარმომადგენელ ქალს ამ თავისუფლებას. ამიტომ ისლამმა არ შეიძლება ნება დართოს მუსლიმ ქალს გათხოვდეს იუდეველზე ან ქრისტიანზე – ამით ის იცავს მომავალ თაობას" [130,78-79].

ყურანის 60:10 აიას თანახმად, *„თუ თქვენ შეიტყობთ, რომ ისინი [ქალები] მორწმუნენი არიან, არ დააბრუნოთ ისინი ურწმუნოებთან. ისინი [ქალები] არაა მათთვის ნებადართული, არც ისინი [მამაკაცები] არიან ნებადართული მათთვის"* [9]. ეს იმას ნიშნავს, რომ ურწმუნოზე ქორწინება იკრძალება [40,3/547,570,572].

აკრძალულია ქორწინება სისხლის ნათესავებს შორის. მათ შესახებ მოხსენიებულია ყურანის 4:23 აიაში: *„გეკრძალებათ თქვენ ცოლად თქვენი დედები, თქვენი ქალიშვილები, თქვენი დები*[10]*, თქვენი მამიდები და დეიდები, თქვენი ძმისშვილები და დისშვილები, თქვენი ძიძები*[11]*, რომელთაც ძუძუ გაწოვეს*[12]*, თქვენი ძუძუმტე*

---

[9] იბნ ჰიშამის თანახმად, უმმ ჰაქიმ ბინთ ალ-ჰარის ბ. ჰიშამმა და ფახითა ბინთ ალ-ვალიდმა ისლამი მიიღეს მექის აღების დღეს (630 წ.). ისინი ამ დროს გათხოვილი იყვნენ. როდესაც მათმა ქმრებმა (იკრიმა ბ. აბუ ჯაჰლი და საფვან ბ. უმაიაიდა) მიიღეს ისლამი, მოციქულმა დაამტკიცა მათ შორის ადრე დადებული საქორწინო ხელშეკრულება [21,497]. ეს იმას ნიშნავს, რომ ისლამის მიღებისთანავე, ურწმუნოსთან ქორწინება ძალას კარგავდა.

[10] „დედებს" ეკუთვნიან: დედა, ბებიები (როგორც მამის მხრიდან ისე დედის მხრიდან) და ა.შ. „ქალიშვილებს" ეკუთვნიან: ღვიძლი ქალიშვილები, შვილიშვილები (ვაჟის ან ქალიშვილისაგან) და შემდეგი თაობის წარმომადგენლები. „დებს" ეკუთვნიან ღვიძლი დები, დები მამის მხრიდან და დედის მხრიდან და ა.შ. [33,186,შენ.532].

[11] ისლამურ კანონმდებლობაში რძით ნათესაობა (რადაʿ) თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ის უტოლდება სისხლით ნათესაობას. აქედან გამომდინარე,

გოგონები და დედები თქვენი ცოლების და გერები – თქვენი ალ-ზრდილები, რომელთა დედებთან გქონდათ ცოლ-ქმრული კავშირი. თუ ჯერ კიდევ არ შესულხართ მათთან საქორწინო ურთიერთობაში, მაშინ არ არის ცოდვა თქვენზე, თუ დაქორწინდებით გერებზე. თქვენ გეკრძალებათ ცოლები თქვენი ღვიძლი ვაჟების და თქვენ გეკრძალებათ ერთდროულად იქორწინოთ ორ დაზე".[13]

ყურანმა აკრძალა ქალის მემკვიდრეობით მიღების უფლება [4:19]. „არ იქორწინოთ იმ ქალებზე, რომლებზედაც დაქორწინებული იყვნენ თქვენი მამები" [4:22].

არ შეიძლება ქორწინება ქალზე 'იდდას პერიოდში. ასეთი ქორწინება უკანონოდ და ცოდვად ითვლება ალაჰის წინაშე. ასეთ შემთხვევაში ქორწინება უნდა დაირღვევს. სუბაი'ა ბინთ ალ-ჰარის ალ-ასლამიჲა ქმრის გარდაცვალების დროს ფეხმძიმედ იყო და მალე დაბადა ბავშვი. როცა მისი „ნიფას"[14] დამთავრდა, ის მოემზადა, რათა მიეღო შემოთავაზებები ქორწინებაზე. მაგრამ მას უთხრეს, რომ ვერ გათხოვდებოდა, ვიდრე არ გავიდოდა 4 თვე და 10 დღე. სუბაი'ა წავიდა ალაჰის მოციქულთან და ჰკითხა ამის შესახებ. მან უთხრა, რომ მისი 'იდდა დამთავრდა, როცა მან გააჩინა ბავშვი და შეეძლო გათხოვება, თუ მოისურვებდა [8,VIII,287-8]. სუბაი'ას ჰადისი მიღებულ იქნა სწავლულთა მიერ, აგრეთვე ოთხი

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ აკრძალულ კატეგორიას ეკუთვნის ყველა – არა მარტო ძიძები და ძუძუმტე გოგონები, არამედ ძიძის დები და ა.შ. [33,186,შენ.533].

[12] ალ-ბუხარის თანახმად, აკრძალულია ქორწინება ძუძუმტე ბავშვებს შორის, ვინც ძუძუს წოვდა ერთი ქალისაგან, თუნდაც არ იყვნენ სისხლით ნათესავები [40,7/24]. ეს ნესი ძალაში იყო, თუ ის ძუძუს წოვდა 2 წელი [40,7/26; ყურანი, 2:233]. ამასთან, ძუძუთი კვებას ადგილი ჰქონდა დღეში არანაკლებ, 5-ჯერ. თუ ბავშვის ძუძუთი კვება ხდებოდა 4-ჯერ, მაშინ ძიძა არ ითვლებოდა მის დედად. საყურადღებოა ისიც, რომ 5-ჯერ ძუძუთი კვებას ადგილი უნდა ჰქონდეს სწორედ ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში. თუ ძუძუთი კვების პირობები დაცულია, მაშინ ბავშვი ხდება ძიძის შვილი, ხოლო ძიძის შვილები – მისი და-ძმები, იმისდა მიუხედავად, გაჩნდნენ ისინი გამოკვებამდე თუ მის შემდგომ პერიოდში [130,76].

[13] აკრძალვა – იქორწინოს ორ დაზე ერთდროულად, ეკუთვნის დეიდას და დისშვილსაც, გარდაცვლილი ცოლის დის ჩათვლით [33,186,შენ.536]. თუმცა, გარდაცვლილის ცოლის დაზე დაქორწინება დაშვებულია [22,431, შენ.19]. სუნა ამატებს ქორწინების აკრძალვას ცოლის დეიდებთან და მამიდებთან, მაგრამ ზოგიერთი მუსლიმი სამართლისმცოდნე ქორწინებას ბიძაშვილთან ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნევს. მოციქულმა თქვა: „ერთმა მამაკაცმა არ უნდა იქორწინოს ერთდროულად ქალზე და მის დეიდაზე, ან მამიდაზე"[40,7/34; 59,65].

[14] რიტუალური განწმენდის პერიოდი მშობიარობის შემდეგ 40 დღის განმავლობაში.

იმᲜმის მიერ და 'იდდა ქვრივი ქალის, თუ ის ფეხმძიმედაა გრძელდება ბავშვის დაბადებამდე[15].

ისლამში არსებობს აკრძალვა ქორწინებაზე დიდი და მცირე პილიგრიმობის დროს, იჰრᲜმის მდგომარეობაში — „იჰრᲜმში[16] მყოფი არ შეიძლება დაქორწინდეს ან გათხოვდეს" [91,269]. თუმცა ღვთისმეტყველი ჰანაფᲘᲐტები არ ეთანხმებიან ამ აზრს[17].

ქორწინება — *ზავᲜჯ* 4 ეტაპისაგან შედგება: *პირველი ეტაპია — ხიტბა* (გარიგება, გაცნობა, წინადადება ქორწინებაზე), რომლის დროსაც სასიძო თვითონ ან თავისი რწმუნებულის საშუალებით საცოლის ხელს სთხოვს მამამისს ან მის მეურვეს; ხდება შეთანხმება საცოლისათვის გადასაცემი ქონების (მაჰრის) და სხვა პირობების შესახებ, რომლებიც შეადგენენ საქორწინო ხელშეკრულებას[18]. ქორწინების *მეორე ეტაპი* არის ხელშეკრულების დადება — *საქორწინო კონტრაქტი (ʿუკდა ან-ნიქაჰ ან სᲘᲚა ʿუკდა ალ-კურʿᲐნ). მესამე ეტაპი* არის საპატარძლოს გადაყვანა საქმროს სახლში (*ზიფᲐფ*) და საქორწინო ცერემონიალი *(ʿურს, ვალიმა). ნიქაჰ*[19] არის ქორწინების ბოლო ეტაპი, რაც გულისხმობს ცოლ-ქმრულ სიახლოვეს, საქორწინო ურთიერთობაში შესვლას. ამ ეტაპის გარეშე ქორწინება სრულყოფილად არ ითვლება. ის ხშირად იხმარება, როგორც ზავᲜჯ-ის სინონიმი [103,71-72; 69,62; 323,912; 289,276-78].

ქორწინების დროს აუცილებელია ქორწინებაში შემავალ პირთა თანხმობა. მოციქულმა აკრძალა ქორწინება, თუ ქალიშვი-

---

[15] გადმოცემით, იბნ 'აბბᲐსი განიხილავდა ამ ჰადისს. მან გადაამოწმა ის უმმ სალამასთან — მოციქულის ქვრივთან თავისი მონის საშუალებით და მან დაᲐდასტურა, რომ სუბაი'ამ დაბადა ბავშვი 20 დღის შემდეგ ქმრის სიკვდილიდან და მოციქულმა ნება დართო მას გათხოვილიყო [8,VIII,286].

[16] იჰრᲜმ (არაბ.) — რიტუალურად წმინდა მდგომარეობა ჰაჯის დროს და სპეციალური სამოსი, რომელსაც იცვამს პილიგრიმი წმინდა ტერიტორიაზე შესვლის დროს.

[17] ამის დამადასტურებლად მოყავთ ჰადისი, რომელიც იბნ 'აბბᲐსს ეკუთვნის: „მოციქული მუჰამადი დაქორწინდა მაიმუნაზე, როცა ის იმყოფებოდა იჰრᲜმში" [257,380]. მაგრამ იმᲜმ მუსლიმის მოაქვს სამი ჰადისი მაიმუნასაგან, სადაც საუბარია, რომ მოციქული ქორწინების დროს უკვე გამოსული იყო იჰრᲜმიდან. იბნ 'აბბᲐსის ჰადისში სიტყვა „მუᲜრიმ"-ის ქვეშ შეიძლება იგულისხმებოდეს ის, რომ მოციქული იმყოფებოდა ალ-ᲜარᲜმის ტერიტორიაზე ან ის, რომ ეს მოხდა ერთ-ერთ აკრძალულ (წმინდა) თვეს [91,269].

[18] კონტრაქტი ('უკდა ან-ნიქაᲜ ან სᲘᲚა 'უკდა ალ-კურʿᲐნ).

[19] ნიქᲐᲜ — ყურანის მრავალი კომენტატორის და მუსლიმი იურისტის თანახმად, ის ნიშნავს „კავშირს", სქესობრივ ურთიერთობას. ყურანში ძირითადად კონტრაქტის მნიშვნელობით იხმარება [323,912-13; 246,313-27].

ლი[20], გაყრილი ან ქვრივი თანხმობას არ გამოხატავს. მოციქულმა თქვა: „არ შეხვიდე საქორწინო ურთიერთობაში ქვრივთან, ვიდრე არ მოეთათბირები. არ შეხვიდე საქორწინო ურთიერთობაში ქალიშვილთან, ვიდრე არ დაინახავ მის ნებართვას". მას ჰკითხეს: „ო, ალაჰის მოციქულო! რას ნიშნავს მისი ნებართვა?" მან უპასუხა: „ქალიშვილი ყოველთვის მოკრძალებულია. მისი თანხმობა არის მისი დუმილი" [6,III,92].

მოციქულის თანახმად, მამამ თავისი ქალიშვილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება დადოს საქორწინო კონტრაქტი. ალ-ბუხარისთან არის ერთი ქვეთავი სათაურით: „როცა მამაკაცი ათხოვებს თავის ქალიშვილს და მას (ქალიშვილს) არ მოსწონს ის, ქორწინება უნდა დაირღვეს" [6(67:34),III,155]. მაგ., ხანსა' ბინთ ხუზამ ალ-ანსარია დაქვრივდა და მამამ გაათხოვა ის მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ხანსა' ნავიდა მოციქულთან და უთხრა, რომ მისმა მამამ მასთან მოთათბირების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. მოციქულმა თქვა: „ეს არ არის ქორწინება. გათხოვდი, ვისზეც შენ გსურს" [21] [8,VIII,456-57; 53,9/194].

მუსლიმ მამაკაცს არა აქვს უფლება ქორწინებამდე იხილოს საცოლის სახე, სამაგიეროდ შეუძლია ადვილად გაშორდეს მას, თუ არ მოეწონა იგი. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. ალ-ბუხარის ნაშრომში არის ქვეთავი: „შეხედე ქალს ქორწინებამდე" [6(67:36), III,153]. მუსლიმ ან-ნიშაბურის თანახმად, „მოიწვიე მამაკაცი, რომელიც აპირებს დაქორწინდეს ქალზე, რათა შეხედოს მის სახეს და ხელებს" [53,16:12]. ალაჰის მოციქულის აზრით, თუ მამაკაცს აქვს მტკიცე განზრახვა იქორწინოს, მაშინ მას ნება ერთვება შეხედოს მომავალ საცოლეს. მოციქულმა თქვა: „თუ უზენაესმა ჩანერგა ახალგაზრდის გულში ნიშნობის განზრახვა გოგონაზე, მაშინ ცოდვა არ არის მასზე, შეხედოს მას" [194,210][22].

---

[20] ბაქარა — გასათხოვარი ქალი.

[21] გადმოცემით, ხანსა'მ ასე უპასუხა მოციქულს: „მე მივიღებდი, რაც ჩემმა მამამ შეათანხმა, მაგრამ მე მსურდა ქალებს სცოდნოდათ, რომ მამებს არა აქვთ უფლება თავიანთი ქალიშვილების საქმეებზე [53,9/194]. სხვა გადმოცემაში, იბნ 'უმარი ამბობს: 'უსმან ბ. მა'ზუნი გარდაიცვალა და დატოვა ახალგაზრდა ქალიშვილი. ბიძაჩემმა (კუდამამ) გაათხოვა ის ჩემზე მასთან მოთათბირების გარეშე. როცა გოგონამ გაიგო ამის შესახებ, არ მოისურვა ეს ქორწინება და გათხოვდა მუღირა ბ. შუ'ბაზე. ასე, რომ მას ნება დართეს მუღირაზე გათხოვილიყო [250,119,'შეენ.29].

[22] მოციქული ხშირად უსვამდა ხაზს, რომ პიროვნებას, რომელსაც სურს დაქორწინდეს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეხედოს ქალს, ვიდრე მიიღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას. მუღირა ბ. შუ'ბამ, მოციქულის კომპანიონმა თქვა: „შეხედე მას და ეს დაგეხმარებათ თქვენს შორის სიყვარულის გაღვივებაში "[174,78]

პირველი ქორწინების დროს საპატარძლო თანხმობას აძლევს მამის ან მეურვის[23] (ვალē) საშუალებით, ხოლო ქვრივი ან გაყრილი — თვითონ[24], ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით. მეურვე უნდა იყოს სრულწლოვანი, მონიფული, საღ აზრზე მყოფი მამაკაცი ქალის ნათესავების მხრიდან, მამის ხაზით — მამა, ბაბუა, მისი ვაჟი, შვილიშვილი და სხვა; ღვიძლი ძმა, მისი მამის ვაჟი, ღვიძლი ბიძა, თავისი მამის ბიძა, აგრეთვე მათი ვაჟები და შთამომავლები [244,82-84; 261,187].

მეურვემ არ შეიძლება გამოიყენოს მეურვეობა საკუთარი მიზნებისათვის. მას არ შეუძლია გაათხოვოს მეურვეობის ქვეშ მყოფი ქალი შეუფერებელ მამაკაცზე პირადი გამორჩენის მიზნით, რადგანაც უზენაესმა ალაჰმა თქვა: „ო, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! ნუ იქნებით მოღალატენი ალაჰისა და მისი მოციქულის. გაამართლეთ ნდობა იმისა, რაც მოგენდოთ თქვენ“ [91,272].

მთავარი და დამახასიათებელი მხოლოდ ისლამური ქორწინებისათვის არის *მაჰრი* — საქორწინო საჩუქარი. ქორწინება სწორედ მაჰრზე მოლაპარაკებით იწყება. სასიძო თვითონ მიდის ქალის მშობლებთან ან აგზავნის ვინმეს ქალის ხელის სათხოვნელად და მოსალაპარაკებლად. ამ დღეს შეძენის დღე (არაბ. იავმ ალ-ამლāქ) ეწოდება. მამაკაცი იძენს ცოლს, ხოლო ქალი – მაჰრს. ეს დღე მხიარული ზეიმით მთავრდება.

მაჰრი არის ქონება, რომელიც ქმარმა უნდა გამოუყოს ცოლს თანასწორუფლებიანი ქორწინების თანახმად. მაჰრი კანონიერი ქორწინების მთავარი პირობაა და განიხილება, როგორც საფასური ცოლისათვის ცოლ-ქმრული მოვალეობების შესრულების გამო. მაჰრი არის ყველაფერი ის, რასაც ღირებულება გააჩნია და რაზედაც შეიძლება გავრცელდეს საკუთრების უფლება. მაჰრი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფულადი სახის, არამედ ყოველგვარი მატერიალური ღირებულების მქონე ნივთი [68,130; 346,137]. საქორწინო საჩუქარი ყურანით განისაზღვრა. თვითონ ტერმინი — მაჰრი[25], რომელსაც იყენებს ყველა მუსლიმი იურისტი, არ არის მოხსენიებული ყურანში. ის არის მხოლოდ ჰადისებში [251,11]. ყურანში იხმარება ტერმინი *ʾაჯრ* (მრ.რ. უჯურ), რაც ნიშნავს საზღაურს,

---

[23] ყურანის მიხედვით, მეურვე არის ის, „ვის ხელშიც არის საქორწინო კონტრაქტი“[2:237].

[24] ადრეულ მუსლიმურ თემში ქალები ხშირად თხოვდებოდნენ გაყრის ან დაქვრივების შემდეგ და ამას აკეთებდნენ შეზღუდვის გარეშე. ყურანიც და ჰადისებიც სცნობს ქალის უფლებას — გათხოვდეს მამაკაცზე, რომელიც მას მოსწონს. ეს ეხება გაყრილ ქალსაც [2:232] და ქვრივსაც [2:240].

[25] მაჰრი — ეს არის არაბული წარმოთქმა ძველი ებრაული სიტყვის – მოპრი [346,78].

ჯილდოს. საფასურს (მაგ. შრომის საფასური). ყურანის ზოგიერთი კომენტატორი თარგმნის ტერმინს – *'აჯრ*, როგორც საჩუქარს საპატარძლოსათვის [290,621]. *'აჯრ* – ყურანში ითარგმნება, როგორც საპატარძლოს ფასი, თანაცხოვრების საზღაური. სხვა ტერმინი, რაც იხმარება ყურანში ამ საჩუქრისათვის, არის *ფარიდა*[26]. ეს არის აუცილებელი, სავალდებულო ან დანიშნული, გამოყოფილი წილი, რაც მამაკაცმა უნდა გადაუხადოს თავის ცოლს ქორწინებამდე ან ქორწინების შემდეგ.

მაჰრის ოდენობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალის ასაკს, სილამაზეს, სიმდიდრეს, გონიერებას, ზნეობას, საცხოვრებელ ადგილს და რაც მთავარია – ქალიშვილობას. გათვალისწინებულია, თუ რა რაოდენობის გამოსასყიდი გადაიხადეს მისი საგვარეულოს ქალებისათვის[27].

მაჰრი ისლამური ინსტიტუტია. მაგრამ მისი ოდენობა ყურანით არ არის განსაზღვრული. მოგვიანებით, მუსლიმურ სამართალში დაფიქსირდა მინიმალური მაჰრი – 10 დირჰამის ოდენობით. მაჰრის მაქსიმალური ოდენობა არ არის განსაზღვრული. 4:4 აიას თანახმად: „უბოძეთ თქვენს ცოლებს საქორწინო საზღაური საჩუქრად (ნიჰლა)". ამ აიაში ხაზგასმულია ქალის უფლება პირადად განაგოს თავისი მზითევი. ყურანმა (4:2) აკრძალა ისლამამდელი ჩვეულება – მაჰრის მითვისება მეურვის მიერ. სიტყვა – ნიჰლა მიუთითებს, რომ ის ეძლევა ნებაყოფლობით, საჩუქრად. ეს არის ის, რაც მიცემულია და არ ითვალისწინებს დაბრუნებას. ამ მნიშვნელობას გვიხსნის ჰადისი, რომლის თანახმადაც მოციქულმა თქვა: „აჩუქეთ ერთმანეთს საჩუქრები და თქვენს შორის გაიზრდება სიყვარული ერთმანეთთან" [6,III,156].

მაჰრის გადახდა შეიძლება ან ერთბაშად, მოლაპარაკებისთანავე ან ნაწილობრივ (*მუკადდამ ას-Ყადაკა*) ან უკიდურეს შემთხვევაში, განქორწინებისას (*მუ'ახხარ ას-Ყადაკა*)[28].

მაჰრის გამოყოფა ხდება არამუსლიმ ქალზე მუსლიმის ქორწინების დროსაც [5:5]. მაჰრის გადახდა აუცილებელია, თუნდაც ის იყოს ძალიან მცირე თანხა [6,67:51,52; 32,12: 29,31,32]. ქორწინება

---

[26] ყურანში ის იხმარება 6-ჯერ [1,515]. ყურანში ერთხელ საქორწინო საჩუქრის აღსანიშნავად იხმარება – ᲧადუკᲨ[4:4].

[27] ის ინოდება, როგორც *მაჰრ ალ-მისლ* (მაჰრი მაგალითით). როცა მაჰრის ოდენობა დგინდება მხარეთა შეთანხმებით, ინოდება *–მაჰრ მუსამმᲨ* (დასახელებული ან განსაზღვრული მაჰრი) [151,174; 290,623].

[28] მუსლიმურ სამართალში მაჰრი ორ ნაწილად იყოფა: *მუ'აჯჯალ* (წინასწარ გადახდილი) და *მუ'აჯჯალ* (გადაუადებული). პირველი ნაწილის გადახდა ხდება მაშინვე, ცოლის მოთხოვნით და მეორე ნაწილი – ან ქმრის გარდაცვალებისას ან განქორწინებისას [280,625].

ბათილად ითვლება, როცა მაჰრი არ არის მოხსენიებული [32,12:31]. მაჰრის ოდენობაზე ლიმიტი არ არის. საქორწინო კონტრაქტი კანონიერად არ ითვლება, თუ მაჰრი არაა მოხსენიებული [32,12:31]. ყველაზე დაბალი თანხა ჰადისებში არის რკინის საყურე[29] [6,67:51; 32,12:29] ან ერთი ფინიკი [32,12:29]. მაჰრის ოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ცოლ-ქმრის ორმხრივი თანხმობით, ქორწინების შემდეგ [4:24].

მაჰრის მნიშვნელოვანი ნაწილი საქმრომ საცოლეს ქორწილზე ძვირფასეულობის, მოსართავების, ძვირფასი ტანსაცმლისა და მსგავსი საჩუქრების სახით უნდა მიართვას. ამას არაბულად *ᲡᲐᲓᲐᲥᲐ* ეწოდება [261,188].

მაჰრი შეიძლება გადაეცეს საცოლის პატრონს, ქალის ნდობით აღჭურვილ პირს ან თვითონ ქალს, ვინაიდან მაჰრი მთლიანად ცოლის საკუთრებაა და როგორც უნდა, ისე გამოიყენებს მას. მაჰრი მატერიალურად უზრუნველყოფს ქალს, თუ დაქვრივდება ან განქორწინებას მოითხოვს. დათქმულ დროში მაჰრის გადაუხდელობის შემთხვევაში ცოლს აქვს უფლება პირობითი განქორწინების (*ფასხ*), რაც გრძელდება საფასურის სრულ გადახდამდე. თუ ქმარი მაჰრის სრულ გასტუმრებამდე გარდაიცვლება, დარჩენილი ნაწილი გამოიქვითება მისი დანატოვარი ქონებიდან და გადაეცემა ცოლს იმ წილთან ერთად, რომელიც მემკვიდრეობით ეკუთვნის.

მაჰრი განისაზღვრება მხარეთა წარმომადგენლების მორიგების დროს (ხიტბა). მაჰრის ოდენობა და გადახდის პირობები მოცემულია საქორწინო ხელშეკრულებაში. მაჰრი მხოლოდ ქალის საკუთრებაა.

მაჰრის მაქსიმალური ოდენობა[30] არ არის ლიმიტირებული – დამოკიდებულია ქმრისა და მისი ოჯახის მატერიალურ შესაძლებლობებზე. თუმცა, სასურველია არ იყოს 500 დირჰამზე მეტი [32,12:29], რადგანაც ამ ოდენობის მაჰრი გადაუხადა მოციქულმა თავის ცოლებს[31]. მოციქულს ეკუთვნის სიტყვები: „ყველაზე უფრო მაღალ წყალობას ფლობენ ის ქალები, რომელთაც მიიღეს ყველაზე ნაკლები მაჰრი“ [91,270]. ხალიფა 'უმარი შეეცადა დაენესებინა მაქსიმალური ზღვარი მაჰრის გადახდისას. მან გამოაცხადა ამის შესახებ მეჩეთში, მაგრამ ქალები გამოვიდნენ მის წინააღმდეგ და

---

[29] ერთ-ერთი ჰადისის თანახმად, როცა მამაკაცს არაფერი არ ჰქონდა, საკმარისად მიიჩნია ყურანის ცოდნა [383,146].

[30] ყურანის 4:20 აიას შესაბამისად, ეს არის 1 კინტარი ოქრო (1 კინტარი = 10 ათას დინარს = 42,33 კგ. ოქროს).

[31] ბიოგრაფიულ ლიტერატურაში დასახელებულია 400 ან 500 დირჰამი [8,VIII,63].

ნაუკითხეს 4:20 აია. ამის შემდეგ 'უმარმა უარყო ეს წინადადება[32] [52,201].

მოციქულ მუჰამადის ქალიშვილებმა მიიღეს მცირე მაჰრი. საკმარისია ითქვას, რომ 'ალიმ მოციქულის საყვარელ ქალიშვილს – ფატიმას საჩუქრად მიართვა საკუთარი ჯავშანი ან სხვა გადმოცემით, 400 დირჰამი[33]. თუმცა მუჰამადის შვილიშვილი (ფატიმასაგან) – უმმ ქულსუმ ბინთ 'ალი გათხოვდა ხალიფა 'უმარ I-ზე და მიიღო მაჰრის სახით 10 000 ოქროს დინარი, რადგანაც მისი მამა იმ დროს მდიდარი[34] იყო. ამდენად, უმმ ქულსუმის სტატუსი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მისი დედისა [240,118].

ბიოგრაფიულ კრებულებში მოხსენიებულია მაღალი ნრის ქალები, რომელთაც მიიღეს ძალიან დიდი მაჰრი. მაგ., 'ა'იშა ბინთ ტალჰას ერთ-ერთმა ქმარმა – მუს'აბ ბ. აზ-ზუბაირმა გადაუხადა 10 ათასი დინარი, ხოლო მესამე ქმარმა – 1 მლნ. დინარი. სუქაინამ, 'ალის შვილიშვილის შვილმა მიიღო 100 ათასი დინარი მაჰრის სახით. ორივე ქალი განთქმული იყო თავისი სილამაზით [467; 475].

ქორწინება საჭიროებს წერილობით მოლაპარაკებას გარკვეული ნესით, რომელშიც მომავალი მეუღლეების თანხმობა იქნება გამოხატული. ეს საბუთი უნდა შედგეს მოწმეების თანდასწრებით. მოწმეების მინიმალური ოდენობა არის ორი მუსლიმი მამაკაცი ან ერთი მამაკაცი და ორი ქალი. ეს დღე იწოდება – *„იავმ ალ-'აკდ"* ან *„იავმ ალ-ბინა'ი"*. ცოლ-ქმრის ვალდებულებები და უფლებები (*ადაბ ალ-მუ'აშარ*) განსაზღვრულია საქორწინო ხელშეკრულებით [261, 189-90; 269,18].

გადმოცემით, როცა მოციქულს ჰკითხეს, რომელი ქალია ყველაზე საუკეთესო, მან უპასუხა: „ისინი, რომლებიც დამჯერნი არიან და ისინი, რომლებიც არ ლახავენ თავიანთ ღირსებას, საფრთხეში არ აგდებენ ოჯახის სიმდიდრეს, რაც შეიძლება არ მოეწონოს ქმარს" [91,262; 269,18].

მუჰამადი მიუთითებდა, რომ საუკეთესო ცოლი არის ალაჰის და მისი მოციქულის მორჩილი. გადმოცემით, მოციქულმა თქვა: *„თუ ქალი ლოცულობდა ხუთჯერ [დადგენილ დროს] დღეში, მარ-*

---

[32] 'უმარს უთხრეს: „მართლმორწმუნეთა მბრძანებელო! რატომ გსურს გაგვიუქმო ალაჰის მოცემული უფლება?" მან თქვა: „მედინის ქალებს უფრო მეტი ესმით, ვიდრე 'უმარს" [52,201; 191,66-67].

[33] გადმოცემით, 'ალიმ გაყიდა თავისი ჯავშანი 400 ან 480 დირჰამად და გადასცა ეს თანხა მოციქულს. მუჰამადმა სთხოვა რამდენიმე მამაკაცს და ქალს (მათ შორის თავის ცოლებს – 'ა'იშას და უმმ სალამას) შეეძინათ სამოსი საპატარძლოსათვის, ცოტა ავეჯი და სხვა საოჯახო ნივთები [358,70-71].

[34] ის ფლობდა ხეხილის ბაღს, დამუშავებულ მიწებს, პალმის ხეებს, ცხენებს, სახლებს, აქლემებს, ცხვრებს, ფულს და მრავალ მონას.

ხულობდა რამადანის თვეში, იცავდა თავის ღირსებას და უსმენდა თავის ქმარს, მაშინ განკითხვის დღეს მას ეტყვიან: შედი სამოთხეში, რომელი კარიდანაც გსურს" [47]. მოციქულს ეკუთვნის აგრეთვე სიტყვები: *„თუ მე შემეძლებოდა მებრძანებინა რომელიმე ადამიანისათვის შეესრულებინა მინიერი თაყვანისცემა სხვა ადამიანის წინაშე [ალაჰის გვერდით], მაშინ მე ვუბრძანებდი, რომ ეს გაეკეთებინა ქალს თავისი ქმრის წინაშე. ვფიცავ ალაჰს, ვის ხელშიც არის ჩემი სული, თუ ქალი ასრულებს თავის ვალდებულებებს ქმრის წინაშე, მაშინ ის შეასრულებს თავის ვალდებულებებს ალაჰის წინაშეც"* [174,87].

ისლამი მიუთითებს მამაკაცებს კარგად მოექცნენ ქალებს. შიიტთა მეექვსე იმამის — ჯა'ფარ აṣ-ṣადიკის (გარდ. 765 წ.) თანახმად, მუჰამადმა ხაზი გაუსვა თავის დამოკიდებულებას ქალებისადმი ამ სიტყვებით: „ეს არის მოციქულთა ჩვევა, უყვარდეთ ქალები" [358,38]. მუჰამადმა ასე მიმართა მამაკაცებს: *„ყოველთვის მოექეცით ქალებს კარგად, რადგანაც, ჭეშმარიტად, ქალი შექმნილია ნეკნისაგან, ყველაზე მეტი გამრუდებით კი გამოირჩევა მისი ზედა ნაწილი და თუ შენ შეეცდები გაასწორო ნეკნი, მაშინ გატეხავ მას. ხოლო თუ დატოვებ მას, როგორც არის, ის ასევე დარჩება გამრუდებული. ამიტომ მოექეცით ქალებს კარგად"* [40,4/346; 59, 95]. ამ ჰადისში ნათლად ჩანს ქალის ბუნება. ქმარმა ქალი უნდა მიიღოს ისეთი, როგორიც შექმნა ალაჰმა.

ალაჰის მოციქული ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ქალებს თავისი ქადაგებების დროს. „გამოსათხოვარი პილიგრიმობის" დროს, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა, მუჰამადმა არ დაივიწყა მიეთითებინა: *„ყოველთვის მოექეცით ქალებს კარგად, რადგანაც ისინი გენდობიან თქვენ და თქვენ არა გაქვთ უფლება სხვა არაფერზე, თუ არა მხოლოდ მაშინ, როცა ჩაიდენენ რაიმე შეუფერებელ საქციელს [წაბილწავენ თქვენს სარეცელს]; თუ ისინი დაუშვებენ რაიმე ამის მსგავსს, მაშინ არ გაიზიაროთ მათთან სარეცელი, ცემეთ ისინი, თუმცა არა სასტიკად. ხოლო თუ ისინი დაგემორჩილებიან თქვენ, მაშინ არ მიიღოთ რაიმე მათი საწინააღმდეგო; ჭეშმარიტად თქვენ გაქვთ უფლებები თქვენს ცოლებზე და თქვენს ცოლებს აქვთ უფლებები თქვენზე; თქვენ უფლება გაქვთ, ითხოვოთ მათგან არ დართონ ნება სხვებს დაჯდნენ იქ, სადაც თქვენ გძინავთ და არ დართონ ნება შემოსვლის თქვენ, სახლში იმათ, ვისი დანახვაც არ გსურთ; რაც შეეხება თქვენს ცოლებს, მათაც აქვთ უფლება მოითხოვონ თქვენგან, რომ მათ კარგად ჩააცვათ და გამოკვებოთ ისინი"* [45,557-58; 6,III,41; 53,15:19; 108,160]. ეს იყო მოციქულის ბრძნული დარიგება, რომლითაც განისაზღვრა ქმრის და ცოლის უფლებები და მოვალეობები.

ჭეშმარიტმა მუსლიმმა არ შეიძლება არ შეასრულოს თავისი უზენაესი ღმერთის მითითება, თუნდაც მას არ მოსწონდეს ბევრი რამ თავის ცოლში. მოციქულმა თქვა: „საუკეთესო თქვენს შორის არის ის, ვინც საუკეთესოდ ექცევა თავის ცოლს" [11,II,472; 53,9:49]. ისლამი მოითხოვს მამაკაცებისაგან კარგად მოექცნენ ქალებს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს ცოლს – დამორჩილდეს ქმარს დაშვებულის საზღვრებში და სამართლიანობის ფარგლებში. მოციქული მიუთითებდა: „ნებისმიერი გარდაცვლილი ქალი, რომლის ქმარიც მისით კმაყოფილი იყო, შევა სამოთხეში" [174,96]. მამაკაცი ვალდებულია შეინახოს თავისი ცოლი, იზრუნოს ოჯახზე, ხოლო ქალი უნდა დაემორჩილოს ქმარს.

წყაროებში არის მრავალი მაგალითი, როცა ქალებმა საქორწინო კონტრაქტი იმისათვის გამოიყენეს, რომ ქმრებისგან დამოუკიდებლობის გარკვეული ფორმისათვის მიეღწიათ. თუმცა ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს შესაძლებლობა პირობითი იყო და მრავალ შემთხვევაში დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორებზე: ქალის სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსზე, მუსლიმური კანონების ცოდნაზე და სხვ. ხშირად ქალები თვითონ სთავაზობდნენ ქორწინების პირობებს მამაკაცებს. ძირითადი მოთხოვნა იყო – ჰქონოდათ მონოგამიური ოჯახი ან დაერღვიათ საქორწინო კავშირი, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდნენ.

'ათიქა ბინთ ზაიდი (გარდ. 672 წ.) ცნობილი იყო თავისი სილამაზით, განათლებით, პოეტური ნიჭით. მან იქორწინა 4 მამაკაცზე: მისი პირველი ქმარი იყო ხალიფა აბუ ბაქრის ვაჟი – 'აბდ ალლაჰი, რომელმაც დაუტოვა ქონება მემკვიდრეობით იმ პირობით, რომ აღარ გათხოვდებოდა მისი სიკვდილის შემდეგ [8,VIII,265-66]. 'ათიქამ დაარღვია ეს პირობა და გათხოვდა 'უმარ ბ. ალ-ხატტაბზე, რომელიც ცოლებისადმი უხეში მოპყრობით და ეჭვიანობით გამოირჩეოდა. სწორედ ამის გამო, ის (მესამედ) გათხოვდა ზუბაირ ბ. ალ-'ავვამზე იმ პირობით, რომ არ სცემდა და არ დაუშლიდა მეჩეთში წასვლას. ზუბაირი მოკლეს 656წ. და 'ათიქა გათხოვდა ჰუსაინ ბ. 'ალიზე. ამ დროს ის 45 წლის იყო [179, 86-87].

'ა'იშა ბინთ ტალჰას (გარდ.723 წ.) – ხალიფა აბუ ბაქრის შვილიშვილი – გათხოვების პირობა ასეთი იყო: ქმარს არ ჰყოლოდა სხვა ცოლი და არ შეეშალა ხელი მისთვის, როგორც სურდა ისე მოქცეულიყო; ნება დაერთო ეცხოვრა თავისი მეგობრის უმმ მანზურის [8,VIII,332] ახლოს და არ შეწინააღმდეგებოდა მას თავის სურვილებში [8,VIII,46]. სუქაინა ბინთ ჰუსაინი – ხალიფა 'ალის შვილიშვილის შვილი გამოირჩეოდა ცოდნით, სილამაზით და დამოუკიდებლობით. ის 5-ჯერ თუ 6-ჯერ გათხოვდა. მისი საქორწინო

კონტრაქტების ძირითადი პირობა მონოგამია და მაჰრის სასურველი ოდენობა იყო [368, 269-73].

'აბბასიანთა პირველი ხალიფას – აბუ ლ-'აბბას ას-საფაჰის (750-754) ცოლი იყო უმმ სალამა. ქორწინება მოხდა აბუ ლ-'აბბასის გახალიფებამდე. საქორწინო ხელშეკრულების პირობა ასეთი იყო: არ ჰყოლოდა სხვა ცოლი ან მხევალი. აბუ ლ-'აბბასი ამ პირობას მკაცრად იცავდა გახალიფების შემდეგაც[35].

ხალიფა ალ-მანსურის (754-775) ცოლი არვა – უფრო ცნობილი, როგორც უმმ მუსა, წარმოშობით უკავშირდებოდა ჰიმიარიელ მეფეებს. უმმ მუსამ მოითხოვა საქორწინო კონტრაქტის წერილობით გაფორმება და მისი ერთ-ერთი პირობა იყო, რომ ქმარს მის სიცოცხლეში არ ჰყოლოდა სხვა ცოლი ან მხევალი. ამას ესნრებოდა მრავალი მონმე. მოგვიანებით, როცა ალ-მანსური ხალიფა გახდა, მან მოინანია თავისი აღთქმა და შეეცადა ის ბათილად გამოეცხადებინა სასამართლოს მეშვეობით. უმმ მუსა ქრთამის საშუალებით ახერხებდა, რომ საქმე სასამართლომდე არ მისულიყო. ბოლოს, მან დაასახელა ეგვიპტის მთავარი მოსამართლე, რომელსაც თავის საქმეს განსახილველად გადასცემდა. ის ჩამოიყვანეს ერაყში, რათა გადაეწყვიტა დავა მათ შორის. უმმ მუსამ მას წარუდგინა საქორწინო კონტრაქტი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი და მოსამართლემ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა. უმმ მუსას გარდაცვალების შემდეგ ალ-მანსურს აღარ ზღუდავდა საქორწინო კონტრაქტი და მას 100 ქალწული აჩუქეს მხევლებად [185,77-78; 180,16].

---

[35] თუმცა იყვნენ სასახლის კარზე ადამიანები, რომელთაც აოცებდათ მისი ერთგულება ცოლისადმი. ერთხელ კარისკაცი ხალიდ ბ. საფვანი შეეხო ამ თემას ხალიფასთან საუბარში და შეახსენა, რომ მისი ერცელი სამფლობელო დიდ შესაძლებლობებს აძლევდა ჰყოლოდა უამრავი ცოლი და მხევალი. ხალიდმა მას მოუთხრო თორმეტზე მეტი მაცდუნებელი სილამაზის ქალის მომხიბვლელ თვისებებზე. ას-საფაჰი სიამოვნებით უსმენდა მას და სერიოზულად დაფიქრდა მის სიტყვებზე. მაგრამ უმმ სალამა ჩაერია და ხალიდმა სამეფო საჩუქრის ნაცვლად მისი რისხვა დაიმსახურა. მასთან იმავე საღამოს მივიდნენ უმმ სალამას მიერ გაგზავნილი მსახურები, ხალიდი დროულად ჩაიკეტა სახლში და მხოლოდ ამან იხსნა სიკვდილისაგან. სამი დღის შემდეგ, ხალიდი კვლავ მივიდა საფაჰთან. მან სთხოვა გაემეორებინა წინა შეხვედრის საუბარი. ხალიდმა შეამჩნია, რომ უმმ სალამა მას უსმენდა და დაინყო განსხვავებული მოთხრობა. მან აღნიშნა, რომ მონოგამია არის ბრძნული საქორწინო პოლიტიკა, თან დაამატა: „მახზუმის გვარი არის კურაიშელთა ყვავილი და შენ ფლობ ყვავილთა ყვავილს (უმმ სალამას – ბანუ მახზუმიდან) და არ გჭირდება სხვა ქალი, თავისუფალი ან მონა“ [180,13-14]. უმმ სალამამ დაიჯილდოვა ის ძვირფასი საჩუქრებით.

წყაროებში მოთხრობილია აგრეთვე პოლიტიკური ქორწინებების შესახებ ძირითადად უმაიანთა და 'აბბასიანთა დინასტიის მმართველობის დროს. ერთ-ერთი ყველაზე საკამათო იყო ხალიფა ალ-მა'მუნის (813-833წწ.) ქალიშვილის გათხოვება შიიტთა მე-8 იმამზე – მუსა არ-რიდა'ზე[36] 202/817 წელს. ხალიფამ მიმართა ყადის, რათა დაედასტურებინა ქორწინების მართებულობა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს უფლება გადასცა ხალიფას, როგორც პირველ ავტორიტეტს. ხალიფამ გადაჭრა პრობლემა იმის გამოცხადებით, რომ ეს ქორწინება ალაჰის ნება იყო. შიიტი სწავლულები აცხადებენ, რომ ალ-მა'მუნმა აირჩია არ-რიდა' თავის მემკვიდრედ, რათა ჩაეხშო 'ალიდების აჯანყება და თანხმობა მიიღო. მალე ალ-მა'მუნმა გაანალიზა თავისი შეცდომა და მან მოანამლინა ის[37]. ეს ქორწინება განიხილება, როგორც ალ-მა'მუნის რელიგიური პოლიტიკის და საერთოდ, მისი პოლიტიკური კურსის ნაწილი.

მუსლიმ ქალს (ქალიშვილს ან განათხოვარს), მამაკაცის მსგავსად, აქვს თავისუფლება – შესთავაზოს სასურველ მამაკაცს ქორწინება ზეპირად ან წერილობით[38].

საქორწინო ასაკი განსაზღვრული არ არის. ყურანში (4:6) ქორწინების ასაკი და სრულწლოვანება გაიგივებულია [52,195]. თუმცა, ყურანში არც სრულწლოვანება არის განსაზღვრული. მაგალითად, 'ა'იშა იყო 9 წლის, როცა მუჰამადმა იქორწინა მასზე. მაგრამ მუსლიმი აპოლეგეტები ხაზს უსვამენ, რომ მუჰამადის ქორწინება მოხდა „დიდი ხნით ადრე, ვიდრე ქორწინებასთან დაკავშირებული ალაჰის მითითებები გარდმოეცლინებოდა მოცი-

---

[36] 'ალი ბ. მუსა ბ.ჯა'ფარ ბ. მუჰამმად ბ. 'ალი ბ. ალ-ჰუსაინი. ხალიფამ მისცა მას მეტსახელი არ-რიდა'.

[37] შიიტურ ტრადიციაში ისიც არის აღნიშნული, რომ მე-9 იმამი (მუჰამმად ბ. 'ალი) მოწამლულ იქნა მისი ცოლის – ალ-მა'მუნის მეორე ქალიშვილის მიერ 220/835 წელს. წყაროებში არის ცნობა, რომ ალ-მა'მუნის ორი ქალიშვილი გათხოვდა ერთსა და იმავე წელს 'ალი არ-რიდა'ზე და მის ვაჟზე [315,133].

[38] მაგალითად, უმამა ბინთ აბი-ლ-'ას ბ. რაბი'ამ, მუჰამადის შვილიშვილმა წერილობით სთხოვა ალ-მუღირა ბ. ნავფალს, რათა მას დაექორწინებინა მუ'ავიია მასზე [8,VIII,39-40]. გადმოცემით, უმმ სალამამ ერთ დღეს შენიშნა კარგი გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი, სახელად ალ-'აბბასი. მან შეიტყო, რომ ის იყო ერთადერთი მემკვიდრე, მაგრამ გაჭირვებული. უმმ სალამამ საკუთარი მონის საშუალებით შესთავაზა ქორწინება, თან გაუგზავნა საქორწინო საჩუქრის თანხა. სულ მალე ალ-'აბბასი გახდა 'აბბასიანთა დინასტიის ფუძემდებელი [185,77].

ქულს"[39] [240,11; 208, 66]. მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ 'უმარმა, რომელიც იყო მისი ერთ-ერთი უახლოესი მიმდევარი, მისი უშუალო მემკვიდრე და ძალზე ორთოდოქსი, იქორწინა 'ალის ქალიშვილზე – 10 წლის უმმ ქულსუმზე. 'უმარი ამ დროს დაახლოებით 50 წლის იყო. ამის შემდეგ ეს წესად იქცა.

დაქორწინება შეიძლება სახლშიც და მეჩეთშიც. შემდეგ მოდის საქორწილო ზეიმი *('ურს, ვალიმა)*[40], დაფუძნებული სხვადასხვა ისლამურ ადათებზე და არა რაიმე კანონებზე. საქორწილო ცერემონიალი ისლამამდე ძალზე მარტივი იყო, თუმცა უფრო საზეიმოდ აღინიშნებოდა ბედუინებთან. ქორწილი გრძელდებოდა ერთი კვირა[41]. საპატარძლოს მორთავდნენ ხოლმე და შემდეგ ის ხვდებოდა საქმროს, ჩვეულებრივ ქალთა ჯგუფის თანხლებით. თუმცა მარტივად მოთხრობილია, რომ 'უკაილ ბ. 'ულლაფამ, რომელმაც გაათხოვა თავისი ქალიშვილი ხალიფა იაზიდ I-ზე (680-683), პირობა დაუდო, რომ ხალიფას ხალხი არ მივიდოდა მისი ქალიშვილის წასაყვანად, არამედ თვითონ ის მიუყვანდა მას აქლემით. ზოგჯერ საპატარძლო მიჰყავდათ ტახტრევანით, განსაკუთრებით მექაში. ტრადიციის თანახმად, ახლადდაქორწინებულთათვის სპეციალური კარავი იყო გამოყოფილი [238, 1038].

ქორწილი იმართებოდა მას შემდეგ, რაც საპატარძლო მიჰყავდათ საქმროს სახლში (*ზიფაფ*). 'ა'იშას დედამ – უმმ რუმანმა მიიყვანა ის მოციქულის სახლში. იქ ქალებმა დაბანეს თმა, მორთეს და შემდეგ მიიყვანეს მოციქულთან [301, 607]. იბნ სა'დის თანახმად, ალ-ფარი'ა ბინთ ას'ად ბ. ზურარას საქორწილო პროცესია და თანმხლები ხოტბის შესხმა თვითონ მოციქულმა წარმართა [8,VIII,440-41].

ქორწინებისათვის საუკეთესო თვედ მოხსენიებულია შავვალი (მუსლიმური მთვარის კალენდრით), რადგანაც ამ თვეში იქორწინა მოციქულმა 'ა'იშაზე [238,1040].

საინტერესოა, როგორი იყო საპატარძლოს სამოსი. 'ა'იშას, მაგალითად, ეცვა მოსასხამი წითელი ქსოვილისაგან, რომელიც სპეციალურად ბაჰრაინიდან ჩამოიტანეს მისი ქორწილისათვის. 'ა'იშასაგან მას შემდეგ თხოულობდნენ მედინის ქალები, ვინც თხოვდებოდა. შესაძლებელია იმის გამო, რომ მოსასხამი იყო არა მარტო ელეგანტური, არამედ საპატარძლოებს განსაკუთრებული ბედნიერების იმედი ჰქონდათ [387,44].

---

[39] ჰადისებში 'ა'იშას გარდა არ არის დასახელებული სხვა შემთხვევა, როცა მოციქულის დროს მოხდა მცირეწლოვანის გათხოვება მეურვის მეშვეობით [280,619-20].

[40] იხ. ვალიმა [383,245].

[41] აქედან გამომდინარე, ამას ჰქვია აგრეთვე – უსბუ' (არაბ.)

საქორწილო ნადიმი მოციქულის სიცოცხლეში უფრო მოკრძალებული იყო. თვითონ ხალიფა 'უსმანმა, როდესაც მისი ქალიშვილი გათხოვდა 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ხალიდზე, ბრძანა მიეცათ ახლადდაქორწინებულებისათვის 600 ათასი დირჰამი ხალიფას ხაზინიდან [101,157].

'აბბასიანმა ხალიფა ალ-მა'მუნმა 210/825 წელს ვასიტში იქორწინა ბურანზე[42]. ეს იყო ყველაზე ექსტრავაგანტური ქორწილი სახალიფოს ისტორიაში. დღესასწაული გაგრძელდა 17 ან 19 დღე. მარტო სტუმრების მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 50 მლნ. დირჰამი. სტუმრებს[43] საჩუქრები მოუმზადეს — ნესვის ფორმის მუშკის ბურთები. საოცრება მაშინ ხდებოდა, როცა ბურთი იხსნებოდა და იქ პოულობდნენ ბარათს, სადაც ჩაწერილი იყო რეალური ქონების წილი: მონა-ქალი, ცხენები, ან მონა (მამრ.სქ.) და სხვ. იღბლიანი იყო ის სტუმარი, რომლის ხელშიც ეს ბურთი მოხვდებოდა. თუმცა, საჩუქრის გარეშე არც ერთი სტუმარი არ რჩებოდა. მათ ურიგებდნენ ოქროს და ვერცხლის მონეტებს და ამბრის კვერცხებს. ზუბაიდამ — ალ-მა'მუნის დედამ ბურანს აჩუქა მარგალიტებით მოჭედილი მოსასხამი[44] [58,III, 1081-83; 180,225-32; 48,I,268-69].

მოციქული იწონებდა ქალების და ბავშვების მონაწილეობას საქორწილო ცერემონიალში. ახალგაზრდა გოგონები უკრავდნენ დაირაზე და მღეროდნენ ბადრთან დაღუპილ გმირებზე. სხვა ინსტრუმენტი, რომელიც დასახელებულია, არის დოლი. მუსიკის მიზანი (დანიშნულება) იყო ხალხის ყურადღების მიპყრობა. ერთი ტრადიციის თანახმად, მოციქულმა აკრძალა სრულიად მშვიდი ქორწილი [238, 1039].

ნიკაჰის (ცოლ-ქმრული სიახლოვე) გარეშე ქორწინება სრულყოფილად არ ითვლება. ტრადიციის თანახმად, დაქორწინებისას ახალგაზრდა ქმარმა უნდა გაატაროს 7 დღე და ღამე ახალგაზრდა ცოლთან, თუ ის არის ქალიშვილი და მხოლოდ 3 დღე და ღამე, თუ ის არის გაყრილი ან დაქვრივებული (საიიბ). მხოლოდ ამის შემდეგ ძალაში შედის სხვა ცოლებთან ურთიერთობის რეგულარული წესი [40,7/ 105]. მოციქულმა არჩევანი მისცა თავის ცოლს — უმმ სალა-

---

[42] ან ხადიჯა (როგორც ზოგიერთი ეძახდა მას). ის იყო ძალიან მდიდარი ვაზირის — ჰასან ბ. საჰლის ქალიშვილი.

[43] უპირველეს ყოვლისა, ისინი გათვალისწინებული იყო საპატიო სტუმრებისათვის — ჰაშიმიანთა საგვარეულო ოჯახის წევრების, არმიის სარდლების, სახელმწიფო მდივნებისა და სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებისათვის სასახლის კარზე.

[44] მისი ღირებულება იყო 50 ათასი დირჰამი.

მას 7-სა და 3 დღეს შორის [8,VIII,92]. ზოგჯერ დასახელებულია 3 ან 2 დღე განათხოვარზე [11,II,178].

ქორწინების პირველ სამ ეტაპზე შეიძლება მისი დარღვევა ყოველგვარი სამართლებრივი შედეგების გარეშე. თანასწორუფლებიანი ქორწინების აუცილებელი პირობებია: მაჰრის გადახდა, ცოლის შენახვა, მისი ოჯახის საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისად მოპყრობა, ცოლ-ქმრული ვალდებულებების შესრულება და შვილების მოვლა-პატრონობა.

ბ) დროებითი ქორწინება

ნიქაḥ ალ-მუთ'ა — დროებითი, ხელშეკრულებით ქორწინება, რომელიც იდება განსაზღვრული დროის მანძილზე (ერთი დღიდან - 99 წლამდე) და ითვალისწინებს ცოლის შენახვას მაჰრის ნაცვლად და საზღაურს - ქორწინების დარღვევის დროს. *მუთ'ა*[45] ძირითადად დაშვებულია შიიტების მიერ ყურანზე დაყრდნობით [209,72].

დროებითი ქორწინება ისლამამდელ არაბეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ის გაჩნდა საქარავნო ვაჭრობის განვითარების პერიოდში და მის ხანგრძლივობას განსაზღვრული დრო აქვს. ამ დროის გასვლის შემდეგ ქორწინება წყდება გაყრის ფორმალობათა დაცვის გარეშე. ხანდახან მუთ'ას ეძახიან ṣიღას — საქორწინო ხელშეკრულების სახელწოდების მიხედვით, სადაც მხარეების მიერ ჩამოყალიბებულია ამ ქორწინების პირობები [104,175; 106,208; 194,210].

ყურანში მოხსენიებულია ამ ტიპის ქორწინების შესახებ მედინური პერიოდის სურაში (4:24): *„და გეკრძალებათ თქვენ გათხოვილი ქალები გარდა იმისა, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა [სარწმუნოებისათვის ბრძოლაში]*[46]*. ეს არის ალაჰის მითითება თქვენზე და ნებადართულია თქვენთვის, ჩამოთვლილის გვერდით, თქვენი სახსრებით მოიძიოთ კეთილშობილი ქალები [ქორწინებისათვის] და არა მრუშობისათვის და იმ სიამოვნებისათვის [ისთამთ'ათუმ], რასაც მიიღებთ მათგან, უბოძეთ მათ თავიანთი დადგენილი საზღაური [უჯრუ] გაყრისას. და არ არის ცოდვა თქვენზე იმაში, რაზედაც შეთანხმდებით ამ დადგენილი მოვალეობის [ფარიდა] შესრულების შემდეგ "*[22,56].

ყურანის 4:24 აიაში გამოყენებულია ზმნა *ისთამთ'ა* (X თემა), რომელსაც აქვს ორი მნიშვნელობა: 1) სიამოვნების მიღება, 2) ქორწინებაში შესვლა დადგენილი ვადით, იმ ვალდებულებით, რომ

---

[45] ამ სიტყვას აქვს ორი მნიშვნელობა: ქორწინება სიამოვნებისათვის და დროებითი ქორწინება. საქორწინო კონტრაქტი იდება მამაკაცს (შესაძლოა დაქორწინებულ) და გასათხოვარ ქალს შორის [208,53].

[46] იგულისხმება მონა-ქალები.

გადაუხდის შეთანხმებულ საზღაურს ქორწინების დარღვევის შემდეგ. სუნიტი კომენტატორები ხსნიან ამ აიას პირვანდელი მნიშვნელობიდან გამომდინარე და უწოდებენ ამ შეთანხმებას ზინა'ს (მრუშობას)[47]. შიიტები ხსნიან მას მეორე მნიშვნელობიდან გამომდინარე [22,432, შენ.22; 208,52-53].

უბაიდ ბ. ქა'ბი[48] და იბნ 'აბბასი[49], სიტყვა *„ისთამთა'თუნ"* შემდეგ, კითხულობენ სიტყვებს: *„ილა აჯალინ მუსამმან"* — „განსაზღვრულ დროს", მაგრამ ის დამატებულია შიიტურ ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში [239,418; 215,360].

ყურანის ფრაზასთან — *„ფამა ისთამთ'ათუმ ბიჰი"* დაკავშირებით შიიტი კომენტატორი, აჰმად 'ალი ამბობს: *„ეს დროებითი კავშირი ან დროებითი ქორწინება დაშვებული იყო მოციქულის დროს, აბუ ბაქრის ხალიფობის და 'უმარის ხალიფობის გარკვეული დროის მანძილზე. მაგრამ 'უმარმა მოგვიანებით, საკუთარი მოსაზრებით, ყურანის მითითებათა საწინააღმდეგოდ, რაც ყოველთვის საბოლოოა და რომელი პოზიციაც მოწონებული იყო აბუ ბაქრის მიერ და მის მიერაც თავისი ხალიფობის ნახევარი პერიოდის მანძილზე, უარყო მუთ'ა კათედრიდან ქადაგებისას და განაცხადა: „ორი მუთ'ა იყო ძალაში მოციქულის დროს. მე ვაცხადებ ორივეს არაკანონიერად და დაისჯება ის, ვინც პრაქტიკულად განახორციელებს ამას"* [218,114].

აჰმად 'ალი ამატებს: *„ეს არის მუთ'ა — ქორწინების უპირატესი ფორმა, რომელიც ნებადართულია. ის არ არის სასურველი, თუ სპეციალური მიზეზები და გარემოებები არ მოითხოვს ამას. ეს გარემოება წარმოიშობა, როცა ათასობით ადამიანი ვალდებულია დატოვოს სახლი დიდი ხნის მანძილზე და იძულებულია სხვადასხვა მიზეზით დატოვოს თავისი ცოლი სახლში. უარის თქმა მათთვის დროებით ქორწინებაზე, არის იგივე, რომ აიძულო ისინი არ დაქორწინდნენ ან ფარულ პრაქტიკას მიმართონ"* [218,114].

აზ-ზამახშარი 4:24 აიას განხილვისას დროებით ქორწინებას განმარტავს, როგორც ქორწინებას გარკვეული დროით — ერთი ღამე, ან ორი ან ერთი კვირა და მეტი. ის იწოდება, როგორც მუთ'ა ანუ კმაყოფილება. ის შეიძლება ნიშნავდეს საზღაურსაც, რომელ-

---

[47] ისლამი არ უშვებს დროებით ქორწინებას. ის ცნობს მხოლოდ იჰსან-ს — კანონიერ ქორწინებას. უკანონო სქესობრივი ურთიერთობა ითვლება მრუშობად (მუსაფიჰ) [52,202, შენ. 24ბ].

[48] მუჰამადის უახლოესი მიმდევარი, ყურანის ერთ-ერთი რედაქციის ავტორი, გარდ. 29/649-50 ან 34/654-55 წელს.

[49] ეს არის 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-'აბბას ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბი — მოციქულის ბიძაშვილი, ჰადისების საუკეთესო მცოდნე, ყურანის განმმარტებელი, გარდ. 68/687 და 70/689 წწ. შორის.

საც იღებს ქალი. აზ-ზამახშარრის აზრით, ეს აია გარდმოევლინა მექის დაპყრობის დღეს (630 წ.). ის ძალაში იყო 3 დღე და შემდეგ გაუქმებულ იქნა. აზ-ზამახშარრ იმოწმებს მოციქულის გამონათქვამს: „მე დავუშვი თქვენთვის მუთ'ას პრაქტიკა, მაგრამ ალაჰმა აკრძალა ის განკითხვის დღემდე". აზ-ზამახშარრ იმოწმებს აგრეთვე იბნ 'აბბასს, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს აია (4:24) არ გაუქმებულა. თუმცა აქვე მიუთითებს, რომ იბნ 'აბბასმა შეიცვალა აზრი და სიკვდილამდე განაცხადა, რომ „მუთ'ა დაშვებული იყო ისლამის ჩამოყალიბების პროცესში და 23:6 აიას გარდმოვლენის შემდეგ ის გახდა აკრძალული" [7,I,519].

მუსლიმი თეოლოგების აზრით, დროებითი ქორწინება დაუშვა თვითონ მოციქულმა და ყურანის აიას გამოცხადებით: *„ო, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! ნუ აუკრძალავთ თავს სასიამოვნოს, რისი ნებაც დაგრთოთ ალაჰმა. არ დაარღვიოთ კანონი, რადგანაც ალაჰს არ უყვარს ის, ვინც ლახავს საზღვრებს"* (5:87) — მან გახადა ის „ღვთაებრივ კანონად" [240,103].

ტრადიციების თანახმად, *მუთ'ა* გამოიყენებოდა ალაჰის მოციქულის დროს და თვითონ მუჰამადი იყო დროებით ქორწინებაში. თუმცა მკვლევართა აზრით, ეს იყო მექაში, ვიდრე ის დაინყებდა ახალი რელიგიის ქადაგებას. ყოველ შემთხვევაში, მედინაში გადასვლამდე [240,103]. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ მუჰამადის მრავალრიცხოვანი ქორწინებები სხვადასხვა ტომის ქალებთან იყო დროებითი ქორწინებები [40,16:13,17; 239,418]. მუთ'ა დაშვებული იქნა მოკლე დროით — განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს ტრადიციები, რომლებიც მომდინარეობს საბრა ბ. მა'ბადიდან, მაგრამ მათი ნაწილი თარიღის გარეშეა, ნაწილი ეხება მექის დაპყრობას (630 წ.) და ნაწილი — გამოსათხოვარ პილიგრიმობას (632 წ.) [383,145; 382,VI,166-169].

'აბდ ალ-ლაჰი[50] გადმოგვცემს: „ჩვენ ვმონაწილეობდით წმინდა ბრძოლებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალაჰის მოციქული და თან არავის გვყავდა ცოლები". ამგვარად, ჩვენ ვუთხარით: „ჩვენ თვითონ ხომ არ დავსაჭურისდებით? მან აგვიკრძალა ეს და შემდეგ ნება დაგვრთო დავქორწინებულიყავით ქალზე დროებითი ქორწინებით საზღაურის ფასად". ამის თქმის შემდეგ 'აბდ ალ-ლაჰმა დაიმოწმა: „არ აიკრძალო სიკეთე [მადლი], რისი ნებაც ალაჰმა დაგრთოთ" [11,I,432; 4,108].

ერთ-ერთი ტრადიციის თანახმად, მოციქულმა დაუშვა მუთ'ა სამი დღის მანძილზე ლაშქრობისას და ეს იყო აუტასში ლაშქრობი-

---

[50] ჯაბირ ბ. 'აბდ ალ-ლაჰ ალ-ანსარი — მუჰამადის მიმდევარი, მოციქულის 19 ლაშქრობის მონაწილე, ცნობილი მუჰადდისი, გარდ. 73/692-93 წ.

სას, მექის აღების შემდეგ (630 წ.). ჯაბირ ბ. 'აბდ ალ-ლაჰმა თქვა: როცა ჩვენ ვიყავით სალაშქროდ, ალაჰის მოციქული მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: „თქვენ ნება დაგერთოთ მუთ'ასი, ამგვარად შეასრულეთ ის". სალამა ბ. ალ-აკვა'ს გადმოცემით, ალაჰის მოციქულმა თქვა: „თუ ქალი და მამაკაცი თანახმა არიან [დაქორწინდნენ დროებით], მათი ქორწინება უნდა გაგრძელდეს სამი ღამე და თუ ისინი შეთანხმდებიან გაგრძელებაზე, მათ შეუძლიათ გააკეთონ ეს და თუ ისინი მოისურვებენ განცალკევებას, მათ ნება ერთვებათ". უცნობია, ეს ნებართვა იყო სპეციალურად მათთვის, ვინც ესაუბრებოდა იმ დროს მოციქულს, თუ ზოგადად მთელი ხალხისათვის. ალ-ბუხარის თანახმად, 'ალიმ ნათელი გახადა მოციქულის გამონათქვამი: *„დროებითი ქორწინება არახანგრძლივად დაშვებულია"* [40,7/36].

არის განსხვავებული აზრი ტრადიციებში, რომელთა თანახმად, მოციქულმა აკრძალა დროებითი ქორწინება. ალ-ბუხარისთან არის სპეციალური თავი-ნიქაჰ და ქვეთავი სათაურით: *„აკრძალვა ალაჰის მოციქულის მიერ მუთ'ასი საბოლოოდ"*. ამაზე მიუთითებს მუსლიმიც [53,16:3]. თუმცა, გადმოცემებში ხაზგასმულია, რომ მისი აკრძალვა რამდენჯერმე მოხდა: 1) ხაიბარის ექსპედიციის დროს. მუთ'ას ამკრძალავი ჰადისი, რომელიც უკავშირდება 'ალი ბ. აბი ტალიბს, მოტანილია სუნიტურ კრებულებში, შიიტური არგუმენტების საპირისპიროდ [31,102]. „მოციქულმა აკრძალა ხაიბარის დღეს დროებითი ქორწინება და სახედრის ხორცი"[51] [11,I,103; 40,38:31,28]. ეს იმას ნიშნავს, რომ 'ალი ეწინააღმდეგებოდა დროებით ქორწინებას, მაგრამ მისი მიმდევრები არ ეთანხმებიან ამ აზრს [240,106]. 2) მოციქულმა აკრძალა დროებითი ქორწინება მცირე პილიგრიმობის დროს 3) მექის დაპყრობის დღეს 4) აუტასში ლაშქრობის დროს 5) თაბუქის ექსპედიციის დროს 6) „გამოსათხოვარი პილიგრიმობის" დროს.

ყველაზე ადრინდელი მოხსენიება მუთ'ას აკრძალვის თაობაზე, არის ხაიბარის ექსპედიცია, რომელიც მოეწყო 7/629 წელს. 'უმრაც ამავე წელს იყო. სხვა შემთხვევები ჰიჯრის 8,9,10/630, 631, 632 წლით თარიღდება [280,609].

ისმის კითხვა: თუ მუთ'ა აიკრძალა ჰიჯრის 7 წელს, 'ალიზე დაყრდნობით და ეს ფაქტი ოთხჯერ მეორდება ალ-ბუხარისთან [40, 64:40,67:32,72:27,90:4] და ის აგრეთვე მიღებულია მუსლიმის და სხვა მუჰადდისების მიერ, მაშინ როგორ შეიძლებოდა დაეშვა მოციქულს დროებითი ქორწინება უფრო მოგვიანებით?

---

[51] იბნ ისჰაკთან არის გადმოცემა მუჰამადის მიერ სახედრის ხორცის აკრძალვის თაობაზე ხაიბარის ექსპედიციის დროს, მაგრამ მუთ'ას აკრძალვაზე არაფერია ნათქვამი [46,758].

სხვადასხვაგვარი ახსნა არსებობს: შესაძლებელია ის აიკრძალა ადრე, როგორც დროებითი ღონისძიება და მოგვიანებით მოხდა მისი საბოლოო აკრძალვა მუჰამადის მიერ განხორციელებული რეფორმების დროს, ან შესაძლებელია მოციქულის ბრძანებას თავდაპირველად ყველა არ დაემორჩილა. ტრადიციებში ხაზგასმულია, რომ დროებითი ქორწინება აკრძალულად აღიარა მუჰამადის პირველი თაობის 8 მიმდევარმა და მეორე თაობის 3 მიმდევარმა [402].

ტრადიციების თანახმად, დროებითი ქორწინება პირველად აკრძალა ხალიფა 'უმარმა თავისი მმართველობის ბოლოს და ამ დროიდან სუნიტური სკოლები არ აღიარებენ მუთ'ას პრაქტიკას [383,145].

'აბდ ალ-ლაჰის გადმოცემით, „დროებითი ქორწინების ორი სახე (ქორწინება პილიგრიმობის და ქორწინება ნებისმიერ სხვა დროს)[52] იყო გავრცელებული მოციქულის დროს. 'უმარმა, ალაჰიმც კმაყოფილი იქნება მისით, აგვიკრძალა ჩვენ ორივე და ჩვენ შევწყვიტეთ [ის]" [11,I,432]. აბუ მუსას გადმოცემით, 'უმარმა თქვა: „ეს არის ალაჰის მოციქულის ჩვეულება [სუნნა], ესე იგი დროებითი ქორწინება [მუთ'ა]. თუმცა მე მეშინია, რომ ისინი მოაწყობენ მათთან [ქალებთან] ქორწილს არაქის[53] ბუჩქებქვეშ და შემდეგ მათთან ერთად გაემგზავრებიან ჰაჯიზე [რიტუალურად უწმინდურ მდგომარეობაში]" [11,I,49].

'უმარმა თქვა: *„როდესაც ჩემთან მოიყვანდნენ ხოლმე ადამიანს, რომელიც იმყოფებოდა დროებით ქორწინებაში და იცოდა მისი აკრძალვის თაობაზე, მე მაშინვე ვქოლავდი მას ქვებით, თუ ის იქამდე უკვე იყო დაქორწინებული ან ვამათრახებდი, თუ ის პირველად იყო დაქორწინებული".* ეს იმას ნიშნავს, რომ 'უმარი დროებით ქორწინებას განიხილავდა, როგორც მრუშობას[54]. ამის ასახსნელად იბნ 'უმარი ამბობს: „ვფიცავ ალაჰს, ჩვენ არ ვიყავით უწმინდურები ალაჰის მოციქულის დროს, არც მრუშობას ჩავდიოდით" [11,II,15,104].

---

[52] იბნ ქასირის თანახმად, ხალიფა 'უმარმა აკრძალა ორი მუთ'ა, რომელიც დაუშვა მოციქულმა: *მუთ'ა ან-ნისა'* (ქორწინება სიამოვნებისათვის) და *ჰაჯჯა თამათთუ'* (პილიგრიმობის დროს ქორწინება). ეს უკანასკნელი არის საშუალება, ქალმა შეასრულოს პილიგრიმობა და არა აქვს კავშირი პირველთან, რომელიც არის გათხოვების საშუალება [9,I,233]. დროებითი ქორწინების ამ ორ სახეს მიეძღვნა სპეციალური გამოკვლევა (206 გვერდი) [228].

[53] აქლემები იკვებებიან მის ბუჩქნარში.

[54] 'უმარმა გააიგივა *მუთ'ა* და *ნიქაჰ ას-სირრრი* (საიდუმლო ქორწინება) [244,86].

მუსლიმური გადმოცემით, 'უმარის მიერ დროებითი ქორწინების აკრძალვამ გამოიწვია 'ალის აღშფოთება, როცა გახდა ხალიფა (656 წ.). მან თითქოს თქვა: *„მუთ'ა არის მადლი ალაჰისაგან თავის მსახურებზე გარდმოვლენილი. 'უმარს რომ არ აეკრძალა დროებითი ქორწინება, მაშინ ღარიბი არ ჩაიდენდა მრუშობას"* [7,V,9; 215,363].

ჯა'ფარ აṣ-ṣადიკმა განაცხადა, რომ დროებითი ქორწინება მაღალმა ალაჰმა გახადა ნებადართული თავის წიგნში. „განსხვავება ის არის, რომ კანონიერი ქორწინებისას გათვალისწინებულია მაპრი, ხოლო დროებითი ქორწინებისათვის — საფასური (აჯრ). მუსლიმებს პრაქტიკაში ჰქონდათ დროებითი ქორწინება მოციქულის დროს, არა მხოლოდ მექაში პილიგრიმობისას, არამედ სხვა დროსაც. ეს ასე იყო აბუ ბაქრის ხალიფობაშიც და 'უმარის ხალიფობის 4 წლის განმავლობაშიც, ვიდრე ერთ დღეს 'უმარი არ შეევიდა თავისი დის — 'აფზას სახლში". მან დაინახა ბავშვი მის მკლავებში და ის აძლევდა მას რძეს. 'უმარმა შეიტყო, რომ ბავშვი დროებითი ქორწინების შედეგი იყო. მან მოუხმო ხალხს მეჩეთში. 'უმარმა იქ შეკრებილ მუჰაჯირებს და ანṣარებს განუცხადა: „გთხოვთ იცოდეთ, რომ დროებით ქორწინებას (ნიქაჰ ალ-მუთ'ა), რომლის ნებაც დაერთოთ მუსლიმებს ალაჰის მოციქულის დროს, ახლა ვაცხადებ აკრძალულად და ამიერიდან, ვინც ამას ჩაიდენს, გამათრახდება და ყველამ მიიღო ის, რაც მან თქვა" [215,361-362].

ჯა'ფარ აṣ-ṣადიკს ჰკითხეს, რა იყო დროებითი ქორწინების პირობები? მან უპასუხა, რომ არის 70 პირობა. მათ შორის დაასახელა: ქალი არ უნდა იყოს გათხოვილი, ფეხმძიმე ან არ უნდა იყოს 'იდდას[55] პერიოდში. თუ ქალი თავისუფალია ამ შეზღუდვებისაგან, მამაკაცს შეუძლია მასზე დაქორწინება განსაზღვრული დროით: ერთი საათი, ერთი დღე, ერთი თვე ან ერთი წელი, მეტი ან ნაკლები, მამაკაცი და ქალი შეთანხმდებიან. საზღაურიც წინასწარ განისაზღვრება. ყველაზე დაბალი საფასური არის ორი მუჭა ხორბალი [215,363].

დროებითი ქორწინება არ მოითხოვს მოწმეებს [244,85]. თუმცა ქალიშვილთან დროებითი ქორწინების დროს, ზოგიერთი ყურანის კომენტატორის თანახმად, საჭიროა მეურვის თანხმობა და ორი მოწმე. მონა-ქალის შემთხვევაში საჭიროა მისი პატრონის თანხმობა [7,V,8]. ქორწინების დარღვევის შემდეგ ქალისათვის აუცილებელია დაიცვას „თავშეკავების პერიოდი" — 'იდდა.

---

[55] განქორწინების ან დაქვრივების შემდეგ თავშეკავების ვადა ხელახლა გათხოვებამდე.

თავისი სოციალური ბუნებით, დროებით ქორწინებას არ ჰქონდა რაიმე სამართლებრივი შედეგები. მამაკაცს უფლება ჰქონდა ოთხი კანონიერი ცოლის გვერდით რამდენიმე დროებითი ქორწინების, ხოლო ქალს მხოლოდ ერთის. ამასთან მამაკაცს უფლება ჰქონდა დაცილებოდა ქალს, როცა მოისურვებდა, ხოლო ცოლს უფლება არ ჰქონდა დაერღვია დადგენილი ვადა. თუ მუსლიმ მამაკაცს ნება ერთვება დროებით ქორწინებაში შევიდეს ქრისტიან ან იუდეველ ქალთან, მუსლიმ ქალს შეუძლია დადოს დროებითი საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ ისლამის მიმდევრებთან. შიიტებთან მიღებულია სხვა აღმსარებლობის ქალთან იქორწინონ მხოლოდ დროებითი ქორწინებით.

გ) მონებთან ქორწინება (ნიქᾹ ალ-'აბᾹდ)

თეოლოგთა უმეტესობის რწმუნებით, მონას არა აქვს ერთდროულად ორ ცოლზე მეტის ყოლის უფლება [361,133]. ამასთან, მონას სჭირდება პატრონის თანხმობა ქორწინებაზე. ყურანი მოუწოდებს: *„დააკავშირეთ ქორწინებით გასათხოვარი ქალები და სამართლიანი მამაკაცები თქვენი მონებიდან და მონა-ქალებიდან. თუ ისინი ღარიბები არიან, ალაჰი უზრუნველყოფს მათ თავისი წყალობით"* [24:32]. მაჰრი ეკუთვნის ორივეს – თავისუფალ ქალსაც და მონასაც[56](4:25). თუ მონა-ქალი დაქორწინდება თავის პატრონზე, ესე იგი თავისუფალ მამაკაცზე, ის გათავისუფლდება და მიიღებს საქორწინო საჩუქარს. მეორეს მხრივ, თუ მონა-ქალი გათხოვდება სხვა მონაზე საზღაური უნდა დაფიქსირდეს საქორწინო კონტრაქტში[57] [160,135-36].

ამგვარად, მუსლიმური ქორწინების განმასხვავებელი ნიშნები არის პოლიგამია და მაჰრი. ისლამამდე არ იყო ფართოდ გავრცელებული მრავალცოლიანობა. არც ყურანში, არც მოციქულის ბიოგრაფიაში და ისლამამდელ ლიტერატურაში არ არის მოხსენიებული წარმართ არაბებთან მრავალცოლიანობის არსებობის შესახებ. სხვა წმინდა წიგნებისაგან განსხვავებით ყურანის პოზიცია პოლიგამიასთან დაკავშირებით ნათელია – მამაკაცს შეიძლება ჰყავდეს 4 კანონიერი ცოლი. თუმცა ეს ნებართვა შეზღუდულია იმით, რომ სამართლიანად უნდა მოექცეს ყველა ცოლს. ისლამს არ შეუქმნია სოციალურ-ეკონომიკური პირობები პოლიგამიისათვის. ისლამმა იურიდიულად და მორალურად გაამართლა ის და გასცა ღვთიური სანქცია. მოციქულის სუნა და არაბთა სახალიფოს ისტორია ადასტურებს, რომ მუᾹამადი და მისი მემკვიდრე ხალიფები,

---

[56] მონა-ქალზე ქორწინების დროს მაჰრი უნდა გადაუხადოს საქმრომ მის პატრონს.

[57] მონა-ქალებზე დაწვრილებით საუბარია ქვეთავში – „მხევალთა ინსტიტუტი ისლამში".

პოლიგამიური ქორწინებისას, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური მოტივებით. ისლამმა აკრძალა ახლო ნათესავებს შორის ქორწინება. ძუძუმტეობა უტოლდება სისხლით ნათესაობას. ისლამმა აკრძალა ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქალის მემკვიდრეობით მიღება გარდაცვლილის მემკვიდრეობით მიღებულ ქონებასთან ერთად. ამასთან მოციქულმა ქვრივს ნება დართო, გათხოვილიყო ვიზედაც სურდა, თავშეკავების ვადის ('იდდა) გასვლის შემდეგ. ქორწინებისას აუცილებელია ქორწინებაში შემავალ პირთა თანხმობა. წყაროებში არსად არ არის მოხსენიებული იმის შესახებ, რომ ქალს აიძულებდნენ გათხოვილიყო თავისი სურვილის წინააღმდეგ. ისლამმა მკაცრად განსაზღვრა პირობები სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან ქორწინებისათვის – ურწმუნოებთან ქორწინება იკრძალება, მაგრამ არამუსლიმებთან დაშვებულია. თუმცა, მუსლიმ ქალს ეკრძალება არამუსლიმზე გათხოვება. ნინაისლამური ხანისაგან განსხვავებით მაჰრი (საქორწინო საჩუქარი) ქალს გადაეცა მისი მამაკაცი ნათესავების (მეურვის) ნაცვლად. ამასთან ისლამში ტერმინები: მაჰრი და ṣadāka გაიგივებულია. ყურანით, ქორწინების დროს მაჰრი უნდა გადაეცეს ყველა ქალს – იქნებოდა ის თავისუფალი ქალი, ობოლი გოგონა თუ ტყვე-ქალი. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ყოველი ქალი იწყებს საქორწინო ცხოვრებას, როგორც გარკვეული ქონების მფლობელი. ამდენად, გათხოვება ნიშნავს მისი სტატუსის ამაღლებას მრავალი ასპექტით. კანონიერი ქორწინებისაგან განსხვავებით, დროებითი ქორწინების დროს ქალს არა აქვს კანონიერი ცოლის უფლებები (მაჰრი, მემკვიდრეობის მიღება ქმრის სიკვდილის შემდეგ, ცალკე საცხოვრებლის უფლება და სხვ.). დროებითი ქორწინებიდან დაბადებული ბავშვები კანონიერად ცხადდება. ქორწინების ეს წესები დაფუძნებული იყო ყურანზე, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა IX-X სს.-ში საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლების ჩამოყალიბების შემდეგ. სუნიტური სამართლებრივი სკოლები არ კრძალავენ დროებით ქორწინებას, მაგრამ არც დასაშვებად მიიჩნევენ. ის გარეგნულად კანონიერად ითვლება, მაგრამ თავისი შინაარსით ამორალურია. დროებითი ქორწინება დღეს ძირითადად დაშვებულია შიიტების, სახელდობრ იმამიტების[58] მიერ.

---

[58] ალ-იმამიია ან ალ-ისნა'აშარიია – სახელწოდება შიიტების, რომლებიც აღიარებენ 12 იმამს.

2. მხევალთა ინსტიტუტი ისლამში

ისლამის რელიგიური კანონი ნებას რთავს მუსლიმ მამაკაცს ოთხი კანონიერი ცოლის გვერდით ჰყავდეს მხევლების განუსაზღვრელი რაოდენობა. ეს უფლება დაფუძნებულია ძველ არაბულ ტრადიციაზე და ყურანის რამდენიმე აიაზე, რომელიც ეხება იმათ, *„ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა“ (მა̄ მალაქათ აიმა̄ნუქუმ)*[59] *ან იმათ, „ვინც მოიპოვა თქვენმა მარჯვენამ“*. ეს ფრაზა არის გავრცელებული იდიომა ყურანში, რომელიც 15-ჯერ ჩნდება და ნიშნავს „ტყვედ აყვანას“, „მონად ქცევას“, ურწმუნოთა წინააღმდეგ ომის დროს მოპოვებულ ტყვე-ქალებს[60] [22,430; 33, 187,შენ.540; 202,396]. ამ საკითხის კვლევისას უნდა განისაზღვროს: 1. *ვინ არის მხევალი?* 2. *რა განსხვავებაა მხევალსა და იმათ შორის, „ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა“* 3. *ისლამმა დაუშვა თუ არა მხევლობა?*

მხევალი არის მონა-ქალი, რომელთანაც სქესობრივ ურთიერთობას ამყარებს თავისი მამაკაცი-პატრონი კანონიერი ვალდებულებების გარეშე. ისლამის პირველ წლებში, ყურანის მასალიდან გამომდინარე, მხევალი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ომში მოპოვებული[61] ტყვე-ქალი – „ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა“. ყურანში მონა-ქალის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები არის *ამა* (მრ. იმა') ან *ფათაიათ* (მრ. რ.), რომლებიც არ ნიშნავს მხევალს, მაგრამ ჩნდება ქორწინებასთან (*ამა* – 2:221, 24:33 და *ფათაიათ* 4:25) ან პროსტიტუციასთან (24:33 - ფათაიათ) დაკავშირებით. კლასიკური არაბულის სიტყვა მხევალის აღსანიშნავად – *სურრიI*ა უცნობია ყურანისათვის [202,396].

არაპირდაპირი გამოთქმა: *„ისინი, ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა“* ჩნდება ყურანში, როგორც ზოგადი ტერმინი საღვთო ომის დროს მოპოვებული ტყვეების (მონა-ქალების) აღსანიშნავად სხვადასხვა შემთხვევაში (24:32,58; 30:28, 33:55; 70:30). თუმცა ყველგან განხილვის საგანი არის ქორწინება და არა მხევლობა – არაკანონიერი სქესობრივი ურთიერთობა (4:25;33:50). ყურანის 4:3 აიაში კი შეიძლება ვიგულისხმოთ ორივე – ქორწინებაც და მხევლობაც. თუმცა ატ-ტაბარი̄ და სხვა ეგზეგეტიკოსები განმარტავენ ამ აიას, როგორც მხევლებთან დაკავშირებულს [14,VII,231; 17,102].

---

[59] სხვა ვარიანტები: აიმა̄ნუჰუმ, აიმა̄ნუჰუნნა, იამა̄ნუქა.

[60] ეს გამოთქმა შეიძლება აგრეთვე ეხებოდეს (მამრ.სქ.) მონებს [4:36; 16:75; 24:32,58; 30:28 და სხვ.].

[61] თუმცა, შეიძლება მხევალი გახდეს ნაყიდი, საჩუქრად მიღებული ან სხვა გზით შეძენილი მონა-ქალი [261, 185].

„ ... დაქორწინდით ქალებზე, რომლებიც მოგეწონებათ – ორი, სამი, ოთხი. ხოლო თუ გეშინიათ, რომ სამართლიანი ვერ იქნებით [მათთან], მაშინ იქორწინეთ ერთზე ან იმათზე, ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა" (4:3).

ყურანის 23:5-6 და 70:29-30 აიები უფრო აზუსტებს და მიუთითებს მამაკაცებს, რომ დაფარონ სხეულის შიდა ნაწილები ყველასაგან, ცოლებისა და იმათ გარდა, „ვისაც დაეუფლა მათი მარჯვენა". ეს აიები, რომლებიც მექის პერიოდს განეკუთვნება (ეთიოპიაში ემიგრაციამდე), არის პირველი ოფიციალური ნებართვა მუჰამადის ყველაზე ადრინდელი მიმდევრებისათვის, ჰქონოდათ სქესობრივი ურთიერთობა ქალებთან, რომლებიც „მოიპოვა მათმა მარჯვენამ" და რაც მთავარია, ქორწინების გარეშე. რ. რობერთსის აზრით, ამით მოციქულმა სტიმული მისცა თავის მიმდევრებს, რათა მონაწილეობა მიეღოთ ისლამის პირველ ბრძოლებში და ამ ომში მოპოვებული ქალები მათი პატრონისათვის გახდებოდა ნებადართული მხევალი [312,10].

ყურანი განსაზღვრავს იმ ქალთა კატეგორიას, რომელზედაც მუსლიმმა არ შეიძლება იქორწინოს. მათ შორის მოხსენიებულია „გათხოვილი ქალები[62]გარდა იმათი, ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა" (4:24).

ატ-ტაბარის თანახმად, „ამ აიაში ფრაზა – „ისინი ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა" ეხება ტყვე-ქალებს, რომლებიც დაშორდნენ თავიანთ ქმრებს ტყვეობის გამო. ამგვარად, ისინი გახდნენ ნებადართული იმისათვის, ვისი მარჯვენის კონტროლის ქვეშაც

---

[62] გათხოვილი ქალები – ნიშნავს, რომ დაუშვებელია ქორწინება თავისუფალ გათხოვილ ქალზე იქამდე, ვიდრე გაყრა არ მოხდება. მეორე მხრივ, შეიძლება ცოლად მოყვანა გათხოვილი (ომში მოპოვებული) ტყვე-ქალისა, ან მისი მხევლად აყვანა, მაშინ როცა მისი ქმარი ცოცხალია და არ გაყრია მას. თუმცა, აბუ ჰანიფას (გარდ. 767 ნ.) თანახმად, არაკანონიერია ქორწინება იმ მონა-ქალებზე, რომლებიც ტყვედ აიყვანეს თავიანთ ქმრებთან ერთად [312,16]. მაელანა ალის თანახმად, „მამაკაცისათვის აკრძალულია, რომ მან იქორწინოს ქალზე, რომელიც უკვე გათხოვილია. გამონაკლისი დაშვებულია იმათთან მიმართებაში, *ვინც მოიპოვა თქვენმა მარჯვენამ*. ეს ფრაზა კი ყურანში ჩვეულებრივ ნიშნავს იმათ, ვინც ტყვედ შეიპყრეს ომის დროს. ზოგჯერ ხდება, რომ ტყვეები ისლამზე ექცევიან და ამის შემდეგ არ შეიძლება მათი უკან დაბრუნება. ამგვარი ქალები ნებადართულია ქორწინებისათვის, მაშინაც კი როცა მათ არ შეუძლიათ გაყრა მიიღონ თავიანთი ყოფილი ქმრებისაგან" [52,202,შეად.24b]. საიდ კუტბის კომენტარი 4:24 აიაზე ასეთია: „თუ ტყვეების კავშირი დარ ალ-ჰარბში (ომის ტერიტორია) მათ ურწმუნო ქმრებთან შეწყვეტილია, მაშინ ისინი არ ითვლებიან გათხოვილ ქალებად და მათზე ქორწინება შესაძლებელია იმის შემდეგ, რაც შემოწმებული იქნება, ფეხმძიმედ არიან თუ არა. აუცილებელია მიეთითოს ისიც, რომ მუსლიმები თავიანთ ტყვე-ქალებს ყოველთვის ადამიანურად ექცეოდნენ" [56].

მოხვდნენ თავიანთ პირველ ქმართან გაყრის გარეშე. ..... მამაკაცს შეუძლია ურთიერთობა ჰქონდეს ტყვე-ქალთან მაშინაც კი, თუ ის გათხოვილია. ის კანონიერია თქვენთვის მხოლოდ მას შემდეგ, რაც დროს მისცემთ, განიწმინდოს" [14,VII,541]. ატ-ტაბარის აზრით, „მხევლების რაოდენობა განუსაზღვრელია, რადგანაც მორწმუნეს არა აქვს მათ მიმართ იგივე უფლებები და კომპეტენცია, რაც აქვს თავისუფალი ქალების მიმართ. ჩვენ ვერ ვპოულობთ მათ შესახებ ცალკე თავს სამართლის წყაროებში. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ისინი განიხილებიან არა როგორც პიროვნებები, არამედ მათი საკუთრება (ამლაქუჰუ)" [14,VII,541].

ყურანის 4:25 აიას შესაბამისად კი: „და თუ რომელიმე თქვენთაგანს არა აქვს საშუალება, რათა იქორწინოთ მორწმუნე კეთილგონიერ ქალებზე, მაშინ იქორწინეთ მორწმუნე გოგონაზე, ვისაც დაეუფლა თქვენი მარჯვენა. .....იქორწინეთ მონა-ქალებზე მათი მეურვეების ნებართვით და მიეცით მათ შესაბამისი საზღაური".

ორთოდოქსი მუსლიმები აღნიშნავენ, რომ სამართლიანია მამაკაცს ჰქონდეს სქესობრივი ურთიერთობა ქალებთან, რომლებიც მოპოვებულია ომში ტყვედ ან შეძენილია მონათა ბაზარზე. თუმცა მრავალი თანამედროვე სწავლული და კომენტატორი თვლის, რომ მხევლობა არის უკანონო და არ არის ნებადართული არც ყურანით, არც ჰადისებით და არც მოციქულის პრაქტიკით. მხოლოდ მუსლიმურ სამართალში ვპოულობთ ნებართვას – პატრონს ჰქონდეს კავშირი თავის მონა-ქალთან მარტივად იმის გამო, რომ მას აქვს საკუთრების უფლება მასზე [218,105; 290,669].

მხევლობა განსხვავებულია კანონიერი ქორწინებისაგან იმით, რომ მხევალი შეიძლება იყოს მონა-ქალი და არა თავისუფალი. მუსლიმური სამართლით, მხევალი უნდა იყოს მუსლიმი, ქრისტიანი ან იუდეველი და არა ურწმუნო და უკვე გათხოვილი ქალი. მათ მფლობელს არ შეუძლია თანაცხოვრება ორ ან მეტ დასთან ერთდროულად ან ისინი იმგვარ ნათესაურ კავშირში არ უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, რომლებთანაც ქორწინება შეუძლებელი იქნებოდა მისთვის, ისინი რომ თავისუფალი ყოფილიყვნენ.

შუა საუკუნეების მუსლიმური საზოგადოების დიდ და მნიშვნელოვან სეგმენტს სწორედ მონები წარმოადგენდნენ. მონა-ქალები თავიანთი კანონიერი უფლებებით და მოვალეობებით, სტატუსით და სოციალური „მომავლით", მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ თავისუფალი ქალებისაგან და ცალკე სოციალურ კლასს წარმოადგენდნენ. მონა-ქალები იყვნენ ან მონობაში დაბადებული ქალები, ან არამუსლიმები – „წიგნის ხალხი", რომლებიც ომის დროს ტყვედ აქციეს. გამარჯვების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარის მამაკაცებს ჩვეულებრივ ხოცავდნენ, ხოლო ქალებს და

ბავშვებს ტყვედ აქცევდნენ და ისინი „ṣაბაᲘ“-ს სტატუსს ღებულობდნენ [285,121; 337,32].

ჯერ კიდევ მუჰამადი და მისი მიმდევრები ლაშქრობათა დროს ატყვევებდნენ ქალებს და ბავშვებს, რომლებიც მოგვიანებით ნანილდებოდა მეომრებს შორის ნადავლის სახით ან იყიდებოდა მონათა ბაზრებზე.

მუჰამადმა განსაკუთრებით დიდი ნადავლი მოიპოვა ჰუნაინთან[63] ბრძოლის დროს — 6000 ტყვე (ქალები და ბავშვები). ხოლო ბანუ მუṣṭალიკის წინააღმდეგ ბრძოლის (627 წ.) დროს, ეს იყო 200 ქალი ბავშვებით. ტყვეები შეიძლება გამოესყიდათ, ამიტომ მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ხდებოდა მათი განანილება მეომრებზე, როგორც ნადავლის ნილი. მოციქულს ეკუთვნოდა აგრეთვე ყოველგვარი ნადავლის საუკეთესო ნანილი[64], რომელსაც ის თავისთვის ირჩევდა: ცხენი, ხმალი, ან მონა-ქალი. ხაიბარის[65] დროს (628 წ.) მან აირჩია ṣაფიიაა ბინთ ჰუიაიი ბ. ახṭაბ, ხოლო ბანუ მუṣṭალიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს — ჯუვაირიიაა ბინთ ალ-ჰარის. მუჰამადმა ისინი ჯერ გაათავისუფლა და მერე იქორწინა მათზე. ერთადერი განსხვავებას კანონიერი ცოლებისაგან (აზვაჯ) წარმოადგენდა ის, რომ მათი თავისუფლება იყო მათი მაჰრი (საქორწინო საჩუქარი). ამასთან, ქორწინებამდე ისინი იყვნენ ტყვეები, განსხვავებით თავისუფალი ქალებისაგან. მუჰამადმა ისინი გაათავისუფლა გამოსასყიდის ფასად. ერთადერთი, რაც კანონიერს ხდიდა მორწმუნე მამაკაცის და ტყვე-ქალის ურთიერთობას, იყო საქორწინო კონტრაქტი. მონა-ქალზე ქორწინება შეიძლებოდა მხოლოდ მისი გათავისუფლების შემდეგ. ამასთან აუცილებელი იყო მონა-ქალის თანხმობა. მაგრამ თუ მონა-ქალს სხვაზე გაათხოვებდა, ეს შესაძლებელი იყო მისი თანხმობის გარეშე [272,111].

მუსლიმ მამაკაცს შეება არ ერთვება და მყაროს კავშირი თავის ტყვე-ქალთან ნადავლის გაყოფამდე. ხოლო თუ ნადავლის განანილების შემდეგ ვინმეს ნილად მოვა ტყვე-ქალი, მაშინ მასთან კავშირის ნება ერთვება მხოლოდ 1 ან 2 თვის შემდეგ[66].

---

[63] მექიდან ჩრდ.აღმ-ით 10[illegible] კმ-ის [illegible]აშორებით. ეს ბრძოლა [illegible]ხდა 630 წელს

[64] „ას-ṣაფი“ — რჩეული. [illegible] ნილი, რომელსაც ირჩევს თავისთვის ის, ვინც სათავეშია მისი მოპოვებისას, [illegible]აყოფა[illegible]ზე და თავისი ნილის გამ[illegible]ლდით.

[65] მედინის ჩრდ. 150 კმ.-ზე [illegible]ი[illegible]ადარი [illegible]ა[illegible]ისი.

[66] თავისუფალი ქალისათვის [illegible]ᲘᲓᲓᲐ (თავშეკავების ვადა) [illegible]ნწესებულია მხოლოდ გაყრის ან დაქვრივების შემთხვევაში. მონა-ქალისათვ[illegible] ის აუცილებელია ერთი პატრონიდან მეორესთან გადასვლის დროს. [illegible]ᲘᲓᲓᲐ [illegible]ერიოდი მონა-ქალისათვის ცნობილია, რი[illegible] ორც ისთაბრა[illegible] (განწმენდა). მა[illegible]ლითად, ხალიფა ჰარუნ არ-რაშ[illegible]ᲓᲐ მოისᲬ[illegible]ვა მაშინვე დაემყარებინა კავშირ[illegible] მონა-

მუჰამადის მხევლებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ყველა ბიოგრაფი ეთანხმება ერთმანეთს იმაში, რომ კოპტი მარიამი, რომელიც მას აჩუქა ეგვიპტის ნაცვალმა — ალ-მუკავკისმა, იყო მისი მხევალი და გახდა მისი ვაჟის - იბრაჰიმის დედა. რაც შეეხება რაიჰანა ბინთ ზაიდს, რომელიც ომში ნადავლის სახით მოიპოვა 627 წელს, ზოგან ცოლად არის მოხსენიებული, ზოგან მხევლად. მუჰამადმა შესთავაზა რაიჰანას ცოლობა და ჰიჯაბში გახვევა, მაგრამ მან უთხრა: „ალაჰის მოციქულო, უკეთესია, დამტოვე შენი საკუთრების ნაწილად, ასე უმჯობესია ჩემთვისაც და შენთვისაც". მუჰამადი ასე მოიქცა[67]. რაიჰანა დასახელებულია გათავისუფლებულ მონა-ქალებს შორის [28,29]. იბნ სა'დი მიუთითებს, რომ ვიდრე განიწმინდებოდა, რაიჰანა იყო სალმა ბინთ კაისის (უმმ ალ-მუნზირის) სახლში და მერე მოციქულმა შესთავაზა გათავისუფლება ან ქორწინება. აღნიშნულია აგრეთვე, რომ მუჰამადს ჰქონდა მასთან სქესობრივი ურთიერთობა საკუთრების უფლების გამო, მის სიკვდილამდე [8,VIII,130]. რაიჰანა გარდაიცვალა მოციქულის სიცოცხლეში, მაშინ როცა მუჰამადი ბრუნდებოდა „გამოსათხოვარი პილიგრიმობიდან" 632 წელს. მან გვიან მიიღო ისლამი.

აბუ უბაიდის გადმოცემით, მუჰამადს ჰყავდა 4 მხევალი: მარიამი — იბრაჰიმის დედა, რაიჰანა, ჯამილა (ტყვე) და მონა-ქალი, რომელიც მას აჩუქა ერთ-ერთმა ცოლმა — ზაინაბ ბინთ ჯაჰშმა [130, 379, შენ. 89].

მხევლებისაგან დაბადებული ბავშვების სტატუსი ისლამის პირველ საუკუნეებში საჯარო განხილვის საგანს წარმოადგენდა, ტერმინი *„უმმ ალ-ვალად"* (სიტყვა-სიტყვით „ბავშვის დედა") გამოიყენება მხოლოდ მუჰამადის შემდეგ. *„უმმ ალ-ვალად"* არის მხევალი, რომელმაც თავისი პატრონისაგან გააჩინა შვილი. ის განსხვავდებოდა თავისუფალი ქალისაგან, რომელიც იყო *„უმმ ალ-იბნ"* („ვაჟის დედა"). უმმ ალ-ვალადი იღებდა თავისუფალი ქალის უფლებებს, გარდა პატრონთან ურთიერთობისა, რომელსაც შეეძლო დაეტოვებინა ის თავისთან ან გაეთავისუფლებინა უპირობოდ [80, 183]. უმმ ალ-ვალადი იყო პრივილეგირებული მონა-ქალი, რომელთა მიმართ პატრონის უფლებები შეზღუდული იყო.

ქალთან, რომელიც მან შეიძინა. ის მოეთათბირა თავის ყადის — აბუ იუსუფს, როგორ შეეძლო ეს გაეკეთებინა კანონიერების ფარგლებში. ყადიმ უპასუხა, რომ ეს შეეძლო მხოლოდ მისი გათავისუფლებით, რადგანაც არ იყო დანესებული *ისთაბრა'* თავისუფალი ქალისათვის [18, 356].

[67] იბნ ჰიშამიც მიუთითებს, რომ მან აირჩია მხევლობა და მოციქულმა ცალკე დაასახლა [21,403].

მუსლიმური სამართლით, მხევალი ხდებოდა უმმ ალ-ვალადი, თუ მისი პატრონი მის მიერ ნაშობ ბავშვს (ვაჟს ან გოგონას) აღიარებდა თავის შვილად, ნინააღმდეგ შემთხვევაში დედა-შვილი რჩებოდნენ მონებად. უმმ ალ-ვალადის ბავშვი დაბადებისთანავე თავისუფლდებოდა, ითვლებოდა კანონიერად და უფლებრივად თანაბრდებოდა სხვა კანონიერი ცოლების შვილებთან. უპირველეს ყოვლისა, მათ შეეძლოთ ალაჰის მითითებათა შესაბამისად, მიეღოთ მამის ქონებიდან განსაზღვრული, სხვა შვილების თანაბარი ნილი.

ყურანში *უმმ ალ-ვალადის* პოზიცია არ არის განსაზღვრული, არც მოციქულის გადაწყვეტილებაა ცნობილი მხევალსა და მისი შვილის სტატუსთან დაკავშირებით. მართალია, მუჰამადმა თავის სიცოცხლეში გაათავისუფლა მხევალი მარიამი, მაგრამ ეს წესად არ იქცა. ეს იყო მხოლოდ ისლამური პრაქტიკა - გაეთავისუფლებინა პატრონს თავისი მხევალი, რომელიც გაუჩენდა მას შვილს, განსაკუთრებით თუ ის იყო ვაჟი. არც ჰადისებშია დაცული მნიშვნელოვანი მასალა უმმ ალ-ვალადის შესახებ. მხოლოდ ერთი ჰადისია დაცული აბუ დაʼუდთან და იბნ ჰანბალთან [11,VI,360], რომლის თანახმადაც „ქალი წარმართობის პერიოდში გაყიდულ იქნა მისი ბიძის მიერ, როგორც მონა და გაუჩინა თავის პატრონს ვაჟი. პატრონის სიკვდილის შემდეგ კვლავ გაყიდეს, რათა გადაეხადა მისი (პატრონის) ვალები. მან იჩივლა მოციქულთან. ამ უკანასკნელმა ბრძანა ქონების გამგებელს (პატრონს) გაეთავისუფლებინა ქალი და მისცა მას მონა კომპენსაციისათვის". თუმცა, ეს იყო გადაწყვეტილება მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევის გამო [326, 602].

ისლამამდე და ისლამის პირველ წლებშიც *უმმ ალ-ვალადი* არ განსხვავდებოდა სხვა მხევლებისაგან. შეიძლებოდა მისი გაყიდვა, გაცვლა და გაჩუქება. ხალიფა ʻუმარ I-მა (634-644) აკრძალა უმმ ალ-ვალადის გაყიდვა, გაცვლა, გაჩუქება და პატრონის სიკვდილის შემთხვევაში ის ავტომატურად ხდებოდა თავისუფალი [80,183; 322,857; 312,11]. მაგრამ ʻუმარის ეს აკრძალვა არ იყო საბოლოო გადაწყვეტილება. ʻუმარის ოპონენტებად, მუჰამადის მიმდევრებიდან, დასახელებულია ʻუსმანი, ʻალი და იბნ ʻაბბასი. უნდა აღინიშნოს, რომ აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა იყო უმმ ალ-ვალადის სტატუსთან დაკავშირებით ʻუმარ I-ის დროიდან - მუსლიმური სამართლის წარმოშობამდე. უკვე პირველი იურისტები შვიდ განსხვავებულ მოსაზრებას გვაძლევენ უმმ ალ-ვალადთან დაკავშირებით[68].

---

[68] 1. პატრონს შეეძლო გაეთავისუფლებინა ის ფულით (მუქათაბა). 2. ის შეიძლება გაყიდულიყო შეზღუდვის გარეშე. 3. პატრონს შეეძლო გაეყიდა ის ნებისმიერ დროს თავის სიცოცხლეში და როცა პატრონი გარდაიცვლებოდა, ის

მონა შეიძლებოდა ყოფილიყო არა ერთი პატრონის, არამედ რამდენიმეს საკუთრება, რომლებმაც ერთობლივად იყიდეს და ერთობლივად უწევდნენ ექსპლუატაციას. მონა-ქალის შემთხვევაში, მასთან თანაცხოვრების უფლება ჰქონდა მხოლოდ ერთ მფლობელს, მათ შორის შეთანხმების საფუძველზე.

პატრონის უფლება, ჰყავდეს თავისი მონა-ქალი მხევლად, არის გაგრძელება იმ პრაქტიკის, რომელიც გავრცელებული იყო წარმართ არაბებთან. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ისლამური კანონებით, მონა-ქალებთან სქესობრივი ურთიერთობა – მხევლობა არ არის შეუზღუდველი. მაგალითად, არ შეიძლება ამ უფლების სხვისთვის მიყიდვა. ყურანი სპეციალურად კრძალავს მონა-ქალების პროსტიტუციას (24:33), რაც გავრცელებული იყო წინაისლამურ საზოგადოებაში. ამ აიას გარდმოვლენის მიზეზი გახდა შემდეგი: 'აბდ ალ-ლაჰ ბ. უბაიდ (ხაზრაჯის ტომი) აიძულებდა პროსტიტუციას ორ მონა-ქალს – მუსაიკას და უმაიმას, რომლებიც ეკუთვნოდნენ მას. მუსაიკა იყო მუსლიმი და ალაჰი იძულებული გახდა ჩარეულიყო და გარდმოევლინა ყურანის 24:33 აია [285,181].

წყაროებში მარვან ბ. ალ-ჰაქამთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ვისაც სურდა შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის, ეძახდა მას „აზ-ზარკას ვაჟს". ეს უკანასკნელი იყო მარვანის წინაპარი ერთ-ერთი ქალი, რომელიც დროშას კიდებდა გარეთ, რითაც ჯაპილიდას პერიოდში აღინიშნებოდა მეძავი ქალის სახლები. მაგ. ზიად ბ. აბიჰი[69], რომელიც ხალიფა მუ'ავიადამ (661-680) თავის ძმად გამოაცხადა და ერაყის გამგებლად დანიშნა, იყო მეძავი ქალის შვილი[70]. როცა ზიადი ერაყის გამგებელი გახდა (662წ.), სხვა ღო-

---

ხდებოდა თავისუფალი (მუდაბბარა). 4. ის შეიძლება გაყიდულიყო, რათა გადაეხადა ვალი თავისი ქონებით. 5. ის შეიძლება გაყიდულიყო, მაგრამ თუ მისი ვაჟი ცოცხალი იყო თავისი მამის და პატრონის გარდაცვალების დროს, მას შეეძლო გაეთავისუფლებინა ის მამის ქონებიდან მიღებული მემკვიდრეობიდან. 6. ის შეიძლება გაყიდულიყო მხოლოდ იმ პირობით, თუ გათავისუფლდებოდა. 7. ის გაიყიდებოდა, თუ ჩაიდენდა მრუშობას ან გახდებოდა ურწმუნო [322, 858].

[69] სიტყვა-სიტყვეთ ნიშნავს თავისი მამის ძეს.

[70] მასთან მიმართებაში „ზარკა" არის მოხსენიებული [285,181]. სუმაიდა იყო მონა-ქალი ერაყიდან, რომელიც გახდა ტა'იფელი მკურნალის – ალ-ჰარის ბ. ქალადას (საკიფის ტომი) საკუთრება. მან ის მიიღო ჰონორარის სახით, რადგანაც განკურნა სუმაიდას ყოფილი პატრონი. ტა'იფში მან შობა ნუფაიდა და ნაფი', რომლებიც ალ-ჰარისმა არ აღიარა თავის ვაჟებად. არის მოსაზრება, რომ ის აიძულებდა სუმაიდას გამოემუშავებინა პროსტიტუციით. დაახლ. 622 წელს ალ-ჰარისმა გაათხოვა ის თავისი ცოლის მონაზე, ბერძენ 'უბაიდაზე, რომელთან ქორწინების დროსაც შეეძინა ზიადი [110,123].

ნისძიებებთან ერთად, მან დახურა ქ. ბაᲑრაში სიძვის სახლები (დაახლ. 700 ნ.)[71]. უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმური სიძვის სახლებში ძირითადად იყვნენ მონა-ქალები [110,123-131].

ქრისტიანული ეკლესია აღმოსავლეთში განკვეთით ემუქრებოდა იმათ, ვინც პირდაპირ ან საარსებო საშუალებებზე უარის თქმით აიძულებდა თავის მონა-ქალებს პროსტიტუციას [145,141]. მუსლიმური სამართალი არაფერს ამბობს ამაზე, თუმცა, ზოგადად დაუშვებლად მიიჩნევს პროსტიტუციას. ყურანი კი მხოლოდ ურჩევს მორწმუნე მუსლიმებს ქორწინებას ობლებზე და მონა-ქალებზე.

ყურანი და ჰადისები უშვებს მონობას. ის დაკანონდა მუსლიმური სამართლითაც, რომელიც შეუძლებლად თვლის თავისუფალი მუსლიმის მონად ქცევას. ვიდრე არსებობდა ერთიანი მუსლიმური სახელმწიფო – სახალიფო, ეს წესი მკაცრად სრულდებოდა. ხოლო თუ მუსლიმი ტყვედ ჩაუვარდებოდა მონინააღმდეგეებს და ისინი გადააქცევდნენ მონად, მაშინ ყურანის მითითებებით აუცილებელი მოწყალება უნდა დახარჯულიყო მონის გამოსყიდვაზე (9:60; 2:172) [92,17; 147,193]. მონების გათავისუფლების შემთხვევა რელიგიური მოტივებით არც თუ იშვიათი იყო მუსლიმურ სამყაროში, მაგრამ ეს არ იყო აუცილებელი დამახასიათებელი მოვლენა, დაფუძნებული კანონზე. ძირითადად, ეს ხდებოდა გარდაცვლილის უკანასკნელი სურვილის – ანდერძის შესაბამისად [151,191]. ყურანი ასევე მიმართავს მორწმუნეებს, ჰუმანურად მოექცნენ მათ და ინონებს მონის გათავისუფლებას და ამას ალაჰისათვის სასურველ საქმედ მიიჩნევს, განსაკუთრებით თუ მონამ მიიღო ისლამი [150, 60-71].

ალ-ᲑუხᲐრᲘს თანახმად, ალაჰის მოციქულმა თქვა: *„არის სამი კატეგორიის ხალხი, რომელიც ორმაგ ჯილდოს მიიღებს სამოთხეში. პირველი არის „წიგნის ხალხი“ (ქრისტიანი ან იუდეველი), რომელმაც მიიღო ჭეშმარიტი ზეშთაგონება თავისი მოციქულისაგან და შემდეგ ირწმუნა მოციქულ მუჰამადის, მეორე - მონა, რომელიც ზედმიწევნით ასრულებს თავის მოვალეობებს ღმერთისა და თავისი პატრონის წინაშე. მესამე - მამაკაცი, რომელიც ფლობს მონა-ქალს, განათლებას აძლევს მას, წვრთნის საუკეთესო გზით, შემდეგ ათავისუფლებს და მერე მოჰყავს ის ცოლად – ასეთ მამაკაცს ეკუთვნის ჭეშმარიტად ორმაგი ჯილდო“*[40,1/78].

---

[71] როგორც ჩანს, ყველა არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას. ბანუ კაის ბ. Ბა'ლაბას კვარტალში ხალიფამ თვითონ პირადად უხელმძღვანელა ამ გასართობი დაწესებულების განადგურებას, რის შემდეგაც აკრძალა ამ ტომის წარმომადგენლების მონმეობა [110,131].

ალ-ბუხარი ამ ჰადისს იმეორებს არანაკლებ ექვსჯერ [6, 3:31; 49:14,16; 56:145; 67:13; 60:48) და ის არის ჰადისების ექვსივე კანონიკურ კრებულში. ალ-ბუხარისთან, მხოლოდ ერთგან (3:31), მონა-ქალის შემდეგ დამატებულია „ქანა ვატა'უჰა", რაც ნიშნავს მონა-ქალს, რომელთანაც მამაკაცს სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ სხვაგან ეს სიტყვები ამოღებულია. სწორედ ამ ჰადისზე დაყრდნობით, 'ალი მავლანა თვლის, რომ მუჰამადი შორს იყო იქიდან, რომ დაეშვა უკანონო სქესობრივი ურთიერთობა მონა-ქალებთან [290, 669-70].

ყურანი არა მარტო ხელს უწყობს ქორწინებას მონა-ქალებზე, არამედ კრძალავს პატრონის სიკვდილის შემთხვევაში, მემკვიდრეობით მათი გადაცემის უფლებას.

ქორწინება თავისუფალი მამაკაცის მონა-ქალზე უჩვეულო იყო სხვა აღმოსავლურ კულტურებში და ჩნდება გარკვეული პრობლემები მათ დამკვიდრებასთან დაკავშირებით ისლამურ საზოგადოებაში. აზ-ზამახშარი ყურანის 2:221 აიას – „მორწმუნე მონა-ქალი უკეთესია, ვიდრე [დაქორწინება] წარმართზე" – ასაბუთებს იმით, რომ „ყველა ადამიანი არის მსახური ღვთისა და მისი მონა" (ან-ნასუ ქულლუჰუმ 'აბიდუ ლ-ლაჰი ვა იმა'უჰუ). ჯალალაინი, მეორე მხრივ, მონა-ქალებზე ქორწინებას სამარცხვინოდ ('აიბ) მიიჩნევს [17,46]. ყურანის სანქციის მიუხედავად, მუსლიმური სამართალიც ზღუდავს თავისუფალი მამაკაცის ქორწინებას მონა-ქალებზე. მაგალითად, ჰანაფიტები კრძალავენ თავისუფალი მამაკაცის ქორწინებას საკუთარ და თავისი ვაჟის მონა-ქალებზე [269, 106].

ხარიჯიტებმა, თავის მხრივ, უარყვეს მხევლების ინსტიტუტი. თუმცა მუჰამადს თვითონ ჰყავდა მხევალი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ალაჰმა თავის მოციქულს მისცა პრივილეგიები ყურანის 33:50 აიათი, რაც არ უბოძა სხვა მამაკაცებს. ორთოდოქსი მუსლიმები კი ამტკიცებდნენ, რომ მუჰამადმა პრაქტიკით განამტკიცა ეს პრეცედენტი ყველა მუსლიმისათვის [240,147-149].

მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, არაბთა დიდი დაპყრობითი ომების დროს, გაიზარდა მონა-ქალების, მათ შორის მხევლების, რაოდენობა. 'ალის, რომელმაც ყველა ცოლი (8) მოიყვანა ფატიმას გარდაცვალების (633 წ.) შემდეგ, სულ რამდენიმე მხევალი[72] ჰყავდა. თუმცა მისი ვაჟი ალ-ჰასანი ატარებდა მეტსახელს „მიტლაკ", რადგანაც ასჯერ იყო დაქორწინებული და განქორწინებული და მრავალი მხევალი ჰყავდა. როდესაც 656 წელს აზ-ზუბაირ ალ-'ავვამი გარდაიცვალა, მან დატოვა ათასი მონა და მხევალი.

---

[72] მას 17 მონა-ქალი და მხევალი ჰყავდა [403].

კადისიიასთან ბრძოლის (636/637წ.) შემდეგ, მუსლიმი მეომრები დაფუძნდნენ სამხედრო ბანაკებში – ქუფაში, ბასრაში და ერაყის სხვა ადმინისტრაციულ ცენტრებში და მრავალმა შეიძინა მონა და მხევალი ერაყის არამუსლიმურ მოსახლეობაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხალიფა მუ'ავიია ბ. აბი სუფიანი[73] (661-680) იყო პირველი მუსლიმი მმართველი, რომელმაც გაავრცელა მუჰამადის სამყაროში მონის შესყიდვით შეძენის პრაქტიკა[74] [312,54]. მონა-ქალს, რომელიც შეძენილი იყო მონათა ბაზარზე პატრონის მიერ, ეწოდებოდა *ჯარია* (მრ. რ. ჯავარ). *ალ-ჭურრა* ეტიმოლოგიურად ნიშნავს თავისუფალ ქალს, მონა-ქალის საპირისპიროდ.

პირველი მართლმორწმუნე ხალიფების პურიტანული ცხოვრების წესი მკვეთრად შეიცვალა უმაიიანთა და 'აბბასიანთა დინასტიის მმართველობის დროს. ფართოდ გავრცელდა მხევლების ინსტიტუტი. მხევლები იყვნენ უმაიიანი და 'აბბასიანი ხალიფების დიდი ნაწილის დედები [92,18-19;145,129]. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ პირველი უმაიიანები ნებას არ რთავდნენ მონა-ქალის ვაჟებს – ხალიფას ტახტი დაეკავებინათ. ტახტის მემკვიდრე მხოლოდ თავისუფალი ქალის შვილი უნდა ყოფილიყო. როცა 'ალი ბ. ალ-ჰუსაინმა (გარდ.713წ.) გაათავისუფლა თავისი ჯარია (მონა-ქალი) და იქორწინა მასზე, ხალიფა 'აბდ ალ-მალიქმა წერილი მისწერა, სადაც ხაზს უსვამდა, რომ დაქვემდებარებული სტატუსის ქალზე ქორწინება არ შეიძლებოდა. 'ალიმ შეახსენა ხალიფას, რომ ისლამმა აამაღლა მათი სტატუსი. ხალიფა ჰიშამ ბ. 'აბდ ალ-მალიქმა (724-743) უთხრა ზაიდ ბ. ალ-ჰუსაინს (გარდ.740წ.) – ტახტის პრეტენდენტს: „მე გავიგე, რომ შენ გაქვს იდეა, გახდე ხალიფა. ეს თანამდებობა არ შეიძლება მოგეცეს შენ, რადგანაც შენ ხარ მონა-ქალის ვაჟი" [75] [358,66-67].

---

[73] გადმოცემით, ჰასანის გარდაცვალების (669 წ.) შემდეგ, მუ'ავიიამ დაახლ. 672 წელს იყიდა რამდენიმე მონა-ქალი, რათა მიეცა ქრთამის სახით თავისი პოლიტიკური მონინააღმდეგისათვის – ჰუსაინ ბ. 'ალისათვის. მათ შორის იყო ჰავვა, რომელიც შეიძინა 1000 დირჰამად და გაუგზავნა ფულთან და ტანსაცმელთან ერთად. ჰუსაინი ჭეშმარიტი მორწმუნე იყო და როცა ჰავვამ ნაუკითხა მას ვრცელი ნანყვეტები ყურანიდან, მაშინვე გაათავისუფლა. ჰუსაინი ისე მოიხიბლა ჰავვას ცოდნით, რომ უთხრა მას: „შენ თავისუფალი ხარ და მთელი სიმდიდრე, რაც გამოგატანა მუ'ავიამ, შენ გეკუთვნის" [285,151]

[74] მონის შესყიდვა უცნობი იყო პირველი ოთხი „მართლმორწმუნე" ხალიფასათვის – მუჰამადის უახლოესი მიმდევრებისათვის.

[75] 'აბდ ალ-მალიქმა ასეთი წერილი მისწერა შიიტთა მეოთხე იმამს: „მე შევიტყვე, რომ შენ დაქორწინდი მონა-ქალზე, მაშინ როცა მე ვიცი კურაიშელთა შორის არიან ქალები, რომლებიც შენი თანასწორი არიან და მოგიტანდნენ

უმაიიანთა დროს, უკვე ხალიფა ალ-ვალიდის (705-715) 16 ვაჟს ჰყავდა მხევალი დედა და ორმა მათგანმა (იაზიდ III და იბრაჰიმი) უმაიიანთა მმართველობის ბოლოს მოიპოვა ხალიფას ტახტი. იბრაჰიმის დედა ბერძენი იყო. რაც შეეხება, იაზიდ III-ს, ასეთი ისტორიაა გადმოცემული: ირანის შაჰს – იეზდიგერდ III-ს (გარდ. 651 წ.), გარდაცვალების შემდეგ, მხევალისაგან შეეძინა ვაჟი – მუჰდაჯი. ის ცხოვრობდა ხორასანში. მრავალი წლის შემდეგ, როცა ქუთაიბა ბ. მუსლიმმა ილაშქრა შუა აზიაში, მან ტყვედ შეიპყრო იეზდიგერდ III-ის უკანონო ვაჟის 2 ქალიშვილი. ქუთაიბამ გაგზავნა ისინი (ან ერთ-ერთი) სახალიფოს აღმოსავლური პროვინციების ნაცვალთან – ჰაჯაჯ ბ. იუსუფთან, ხოლო მან კი ხალიფა ვალიდ ბ. 'აბდ ალ-მალიქს გაუგზავნა საჩუქრად. უმაიიანმა ხალიფამ იქორწინა „სპარსელ პრინცესაზე" და დაიბადა იაზიდ III ბ. ალ-ვალიდი, რომელმაც ხალიფას ტახტი დაიკავა 744 წელს [141,141]. უმაიიანთა დინასტიის[76] უკანასკნელი მმართველი – მარვან ბ. მუჰამმადი (744 - 750) იყო ქურთი მონა-ქალის ვაჟი.

მონა-ქალის შვილი, თუ მას მამა აღიარებდა, მემკვიდრეობას იღებდა და შესაძლოა უზარმაზარი სახელმწიფოს მმართველიც გამხდარიყო. ამიტომ, მმართველ დინასტიებში სისხლის აღრევა ჩვეულებრივი ამბავი გახდა[77].

'აბბასიანთა[78] შორის მხოლოდ 3 ხალიფა იყო თავისუფალი ქალის შვილი – აბუ ლ-'აბბას ას-საფაჰი (750-754), ალ-მაჰდი

დიდებას ქორწინებით და მოგცემდნენ შენ საუკეთესო ვაჟებს. მაგრამ შენ არ იზრუნე არც შენს თავზე, არც შენს შვილებს ეცი პატივი". 'ალიმ მისწერა ასეთი პასუხი: „მე მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც მსაყვედურობდით ჩემს მონა-ქალზე ქორწინების გამო. მამცნობდით, რომ კურაიშელ ქალთა შორის არიან ისინი, ვინც მომიტანდა მე დიდებას, თუ დავქორწინდებოდი მათზე და მეყოლებოდა მათგან ბავშვები. მაგრამ არავინ არის უპირატესი დიდებით და ღირსებით, ვიდრე ალაჰის მოციქული. ის (ქალი) მე მეკუთვნოდა, მე გავათავისუფლე ის ჩემი საკუთრებიდან იმ ჯილდოს გამო, რომელსაც ეელოდები ალაჰისაგან. შემდეგ მე დავიბრუნე ის ალაჰის კანონის შესაბამისად (ვიქორწინე მასზე). ვინც არის ალაჰის რწმენის ერთგული, არაფერი ემუქრება მას" [358,66-67].

[76] ანდალუსიის უმაიიანთა შორის მხოლოდ ერთადერთი ხალიფა იყო თავისუფალი ქალის ვაჟი.

[77] არაბები ამბობდნენ: „აშ-შარაფ ნასაბ" – კეთილშობილება სისხლშია (ნარმომავლობაში). ისლამმა შექმნა დიდებულები სისხლით – პაშმიანები (მოციქულის ნათესავები). თუმცა, 'აბბასიანთა დროს უგულებელყოფა სისხლის, განსაკუთრებით დედისა ისე შორს წავიდა, რომ თითქმის ყველა ხალიფას დედა იყო მონა-ქალი და შაკანიანის (იბრაჰიმ ალ-მაჰდი) ტახტზე ასვლის საშიშროებაც გაჩნდა [145,129].

[78] 'აბბასიანთა დინასტიას სულ 37 ხალიფა მართავდა.

(775-785) და ალ-ამინი (809-813). ამ უკანასკნელის მშობლები იყვნენ მოციქულის ოჯახიდან [58,III,937; 242,332]. ხალიფა ალ-მანსურის[79] (754-775) დედა - სალლამა იყო ბერბერი მონა. ალ-ვასიკის (842-847), ალ-მუნთასირის (861-862), ალ-მუსთა'ინის (862-866) და ალ-მუჰთადის (869-870) დედები იყვნენ ბერძენი მონები, ალ-მუთავაქქილისა (847-861) -სლავი. მონა-ქალის — ხაიზურანის ორი ვაჟი ალ-ჰადი (785-786) და ჰარუნ არ-რაშიდი ხალიფები გახდნენ. ალ-მა'მუნის დედა იყო სპარსელი მონა-ქალი, ალ-მუკთაფის (902-908) და ალ-მუკთადირისა (908-932) — თურქი[80] [115,71].

არაბმა ისტორიკოსებმა ძალიან დიდი ყურადღება დაუთმეს ზინჯების — შავი მონების აჯანყებას 'აბბასიანთა ხანაში (869 წ.). მაგრამ ხაზს უსვამენ, რომ მონათა პირველი აჯანყება იყო — მონა-ქალების აჯანყება. მონა-ქალებმა იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინეს ხალიფაზე, რომ დაავიწყეს მას თავისი მისია დედამიწაზე. ერთადერთი სირთულე არის ამ მოვლენის დათარიღება. ატ-ტაბარის თანახმად, ეს იყო უმაიანთა ხალიფა იაზიდ II-ის (720-724) მხევალი - ჰაბაბა ('ალია) ან სხვათა მტკიცებით — ხაიზურანი, ხალიფა ალ-მაჰდის ცოლი, ყოფილი მონა-ქალი, რომელმაც ძალაუფლებაზე პრეტენზიაც კი განაცხადა და დედოფლის რანგს მიაღწია.

ზინჯების აჯანყებისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ სამხედრო ხასიათს ატარებდა და მონობის მოსპობას ისახავდა მიზნად, მონა-ქალები არ ომობდნენ. მათი მოქმედება ემოციებზე იყო აგებული და ყველა საშუალებას იყენებდნენ, რათა ხალიფა

---

[79] ალიდებმა დასცინეს ხალიფა ალ-მანსურს, რადგანაც ის იყო მხევალის ვაჟი. მანსურმა, თავის მხრივ, ჩამოუთვალა მათ გრძელი სია მხევალთა გამორჩეული ვაჟების — დაინყო ისმა'ილით, იბრაჰიმის ვაჟით (ჰაგარისაგან). ამასთან, ნყაროებში ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ 'ალიდები პრეტენზიას აცხადებდნენ სახალიფოზე. მთავარი არგუმენტი მათთვის იყო შთამომავლობა ფატიმასაგან. მაგრამ მათ ვერ მიიღეს ძალაუფლება, რადგანაც ქალს არ შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობით ძალაუფლება და შესაბამისად არ შეუძლია გადასცეს ის თავის შთამომავლებს. ალ-მანსურმა უარყო ეს თვალსაზრისი. მკვლევართა აზრით, ყოველივე ეს ხელს უნყობდა მხევალთა გავლენის ზრდას [180,14].

[80] მიუხედავად იმისა, რომ მუჰამადისა და ისლამის დამოკიდებულება მიმართულია პატრონსა და მონას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ, თვითონ მედინის ხალხს სძულდა მონა-ქალები. გაჩნდა სპეციალური ტერმინები შერეული ქორნინებებიდან დაბადებული ბავშვებისათვის: არაბები მათ ეძახდნენ 'აჯამს (არაარაბი), ვინც ცუდად ლაპარაკობდა არაბულად, თუნდაც ის ყოფილიყო მუსლიმი. არაბი მამის და 'აჯამი დედის ბავშვი იყო — ჰაჯინ (შერეული სისხლის არაბი). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისლამამდე ჰაჯინ ჩამოცილებული იყო მემკვიდრეობას. არაბი დედის და 'აჯამ მამის ბავშვს ეწოდებოდა ალ-მუდარრი' [284, 56].

თავისი ზეგავლენის ქვეშ მოექციათ[81]. ალ-მას'უდიმ, რომელსაც უყვარს ანეგდოტები, იუმორის გრძნობა დაკარგა ამ პერიოდის ამბების აღწერისას[82]. ხალიფა იაზიდ II წვეულების დროს „ისე გადაეშვა სიყვარულის მორევში", რომ მხევალს უხერხულად გადააყლაპა ბრონეულის ან ყურძნის მარცვლები, რის შედეგადაც ჭაბაბა დაიხრჩო. იაზიდმა უარი განაცხადა ჭაბაბას დაკრძალვაზე და დასტიროდა მის გვამს. მან დაივინყა სამყარო, სახელმწიფო, თავისი მოვალეობები და რამდენიმე კვირის შემდეგ მორწმუნეებმა ხალიფაც დაკრძალეს [50,III,210-211; 58,II, 1465]. იაზიდი იყო პირველი და შესაძლოა ერთადერთი მმართველიც, რომელიც მხევალის სიყვარულს გადაჰყვა. ალ-ისფაჰანი, ალ-მას'უდის და ატ-ტაბარის საწინააღმდეგოდ[83], უყურებს ჭაბაბას, როგორც პოეტს და ნიჭიერ მუსიკოსს, რომლის სახელსაც უკავშირდება პოეზიისა და სიმღერის განვითარება, ხოლო იაზიდს კი ესთეტიკური გემოვნებით დაჯილდოვებულ ადამიანს, რომელმაც ჯეროვნად შეაფასა ჭაბაბა. ალ-ისფაჰანი ხაზს უსვამს, რომ მხევალთა შორის საუკეთესო მომღერლებმა და მუსიკოსებმა ცენტრალური ადგილი დაიკავეს ხალიფათა მდიდრულ სასახლეებში [3,ბ. XV,122].

ისტორიკოსებმა ყურადღება დაუთმეს აგრეთვე იაზიდ II-ის სხვა მხევალს — სალლამა ალ-კასს, ასევე მისდამი ხალიფას დიდი სიყვარულის გამო. ჭაბაბამ და სალლამამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ბიოგრაფიულ კრებულებშიც. ორივე იყო მოხდენილი და დახელოვნებული მუსიკაში, მაგრამ სალლამა იყო საუკეთესო მომღერალი, ჭაბაბა კი უფრო ეშხიანი და სანდომიანი. სნორედ ამის გამო იაზიდმა შეიძინა გართობის მოყვარული ხალიფას რეპუტაცია. სალლამა დაიბადა და გაიზარდა მედინაში. მას, როგორც მომღერალს ასწავლიდა და წვრთნიდა მრავალი კარგად ცნობილი მამაკაცი და ქალი მასწავლებელი. სალლამა ცნობილი იყო, როგორც თავისი დროის საუკეთესო მომღერალი. იაზიდმა შეიძინა ის 3 ათას

---

[81] ჭაბაბას ზეგავლენა ხალიფა იაზიდზე იმდენად შესამჩნევი იყო, რომ განდიდების მაძიებელნი სნორედ მისი საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას.

[82] ერთ დღეს, როდესაც ჭაბაბა მღეროდა, იაზიდმა განიცადა ისეთი დიდი სიამოვნება, რომ მან ნამოიძახა: „მე მინდა გაფრენა". ჭაბაბამ უპასუხა: „მორწმუნეთა მბრძანებელო, თუ შენ დატოვებ მუსლიმურ თემს და აგრეთვე ჩვენ, ვინღა მოგეხედავს?" [50,III,210].

[83] ისინი აღწერენ ჭაბაბას, როგორც ბოროტებას და ალაპის და მისი რელიგიის მტერს. მათ ჭაბაბას სახით დაინახეს მხევალი, რომელმაც ხალიფა ჭეშმარიტ გზას ააცდინა. აქედან გამომდინარე, იაზიდს ახასიათებენ, როგორც არაკომპეტენტურს პოლიტიკურ საქმეებში [50,III,210; 180,39]

დინარად, ან სხვა ცნობით, 20 ათას დინარად. ცოტაა მოთხრობილი ხალიფას ურთიერთობაზე მონა-მხევალთან და მომღერალთან. სალლამამ დაწერა პოეტური ელეგია ხალიფასათვის და მისი ვაჟის და მემკვიდრის — ალ-ვალიდისათვის. სალლამა იყო იაზიდის ერთ-ერთი მხევალი, რომელიც ვალიდ II-მ დაადანაშაულა მამის სიკვდილში. თუმცა იბნ 'ასაქირი უარყოფს ამ ფაქტს [43, no.51; 315,55-56].

ისტორიკოსთა განსჯის საგანი გახდა აგრეთვე ისლამის ისტორიაში „თავაშვებული საქციელი", „სამარცხვინო ფაქტი", რომელიც უკავშირდება ხალიფა ალ-ვალიდ ბ. იაზიდს (743-744). მან სიმთვრალეში დაიწყა თავისი მოვალეობა მორწმუნეთა წინაშე, სახელდობრ, საპარასკევო ლოცვის ხელმძღვანელობა და როცა მუეძინმა ეს შეახსენა, იმამის ფუნქციის შესრულება დაავალა თავის ფავორიტ ჯარიას, მომღერალ მონა-ქალს — ნავარის [284,83].

სწორედ უმაიიანთა მმართველობის დროს დაიწყეს მონა-ქალებმა განათლების მიღება, პოეზიასა და სიმღერაში დახელოვნება, რათა გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა და მიეპყროთ გავლენიანი მმართველების ყურადღება, რომლებიც გულუხვად უხდიდნენ ლამაზ, განსწავლულ ქალებს. მედინის ცნობილ მომღერლებს შორის დასახელებულია თავისუფალი ქალი — ჯამილა (გარდ.720 წ.), რომლის რეზიდენციაც იყო მექის და მედინის ცნობილი მუსიკოსების შეკრების ცენტრი. მან სპეციალური სკოლაც დაარსა. იაზიდ II-ის მხევლები — ჰაბბაბა და სალლამა დასახელებული არიან ჯამილას მონაფეთა შორის [242, 275].

ხალიფა ალ-მანსურს კარგად ესმოდა საქორწინო კავშირების პოლიტიკური მნიშვნელობა და მისი ცოლები ცნობილი ოჯახების შვილები იყვნენ. ის შეეცადა შეეზღუდა მონა-ქალების გავლენა სასახლის კარზე. მან ურჩია თავის ვაჟს: „არ დართოთ ნება ქალებს, ჩაერიონ თქვენს საქმეებში" [58,III,444]. თუმცა სამწუხაროდ, მისმა მემკვიდრეებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს. ალ-მაჰდიმ შეიძინა დიდი რაოდენობით მონა-ქალები და თითოეული შემდგომი ხალიფა ზრდიდა მათ რაოდენობას. მონა-ქალებმა დიდი ძალაუფლება მოიპოვეს სასახლის კარზე, ისინი ხდებოდნენ ხალიფების ცოლები ან დედები მათი ბავშვებისა და შეეძლოთ ნებისმიერი პიროვნების აღზევება ან დაქვეითება, თუ მოისურვებდნენ.

განსაკუთრებით გაიზარდა ჯარიას ფასი 'აბბასიანთა დროს. სასახლის კარი სავსე იყო მონა-ქალებით[84]. ხალიფას ხში-

---

[84] ალაპის მოციქულს უთქვამს : „არ გაყიდოთ, არ იყიდოთ და არ ასწავლოთ მონა-მომღერლებს, არაფერია კარგი [მონა-ქალების] ვაჭრობაში, რადგანაც მათთვის თანხის გადახდა ცოდვაა". ამის გამო გარდმოვლენილ იქნა ეს აია:

რად საჩუქრად უგზავნიდნენ მონა-ქალებს სახალიფოს სხვადასხვა კუთხიდან მისი კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით. ჩვეულებრივ მათ ყიდულობდნენ მონათა ბაზრებზე, თუ მონა-ქალს ჰქონდა გამორჩეული ტალანტი და შეუდარებელი სილამაზე. 'აბბასიანთა დროს მექა – მოციქულის დაბადების ადგილი, გახდა მონათა ვაჭრობის ცენტრი [240, 148]. VIIIს. შუა ხანებში ერთი მონა-ქალის საშუალო ფასი დაახლოებით 150 დინარს შეადგენდა[85]. ყველა დიდ ქალაქში იყო მონათა ბაზრები – „სუკ არ-რაკიკ" [145,137-139].

ჯარიას ფასი იზრდებოდა მისი განათლების, პოეზიასა და მუსიკაში დახელოვნების მიხედვით. მონა-ქალებს ძირითადად ასნავლიდნენ ალ-ფიკჰს (სამართლისმცოდნეობა). ანვითარებდნენ მის ცოდნას პოეზიაში და მუსიკალურ ტალანტს ბარბითზე დაკვრით ან სიმღერით. ამ ქალებისათვის ცალკე ქუჩა იყო გამოყოფილი. მათ ასნავლიდნენ აგრეთვე ასტროლოგიას, მათემატიკას, ისტორიას და ბოლოს ეროტიკულ ხელოვნებას. იბრაჰიმ ალ-მავსილი[86] იყო პირველი, ვინც დაიწყო მშვენიერი მხეცლების მომზადება და აძლევდა მათ სრულყოფილ განათლებას. მას ჰქონდა რეგულარული სკოლა 80 სტუდენტისათვის[87]. იბრაჰიმის ვაჟმა ისჰაკმა (150-235/767-850) გააგრძელა ეს სამუშაო ალ-მაჰდის ვაჟების – ალ-ჰადის და ჰარუნ არ-რაშიდის დროს. ამ უკანასკნელმა მისგან იყიდა რამდენიმე სტუდენტი, რომელთა ფასი ძალზე მაღალი იყო. იბრაჰიმი და მისი ვაჟი სპარსული წარმოშობის იყვნენ. მათ არა მარტო დანერგეს მუსიკის და სიმღერის ახალი რიტმი და მელოდიები საკუთარი კულტურიდან, არამედ დაამკვიდრეს არა-

---

„ხალხმი არის ისეთიც, რომელიც ყიდულობს გასართობ ისტორიას, რათა გადაუხვიოს ალაპის გზას" (31:6) [30,141].

[85] არაბული პროზის ბრწყინვალე წარმომადგენელი – ალ-ჯაჰიზი (775-868) ამტკიცებს, რომ თავისუფალი მამაკაცების უმეტესობა ამჯობინებს მონა-ქალებს თავისუფალ ქალებთან შედარებით და ასკვნის, რომ ამის მიზეზი არის შემდეგი: „მამაკაცს შეუძლია კარგად შეხედოს მონა-ქალს და შეიცნოს ის, ვიდრე იყიდის. თავისუფალი ქალის შემთხვევაში ის ენდობა სხვა ქალის გადაწყვეტილებას. მისი აზრით, ქალებმა არ იციან სილამაზის შეფასება და ის თვისებები, რასაც აფასებს მამაკაცი ქალებში" [387,69].

[86] ალ-მაჰდის და მისი მამის ერთ-ერთი თანამედროვე, არაბული სიმღერისა და მუსიკის ცნობილი სპეციალისტი (გარდ. 804 წ.). მისი ჯამაგირი თვეში 10 ათას დინარს შეადგენდა [242,394].

[87] სპეციალური „მონა-ქალების სკოლები" არსებობდა სახალიფოს რამდენიმე ქალაქში. ერთ-ერთი მონათვაჭარი, ასეთი სკოლის ყოფილი მფლობელი, ამბობდა: უმეცარი გოგონები რამდენიმე წლის შემდეგ ამ სკოლიდან გამოდიან „გრამატიკის, პოეზიის, ლოგიკის, ფილოსოფიის, ისტორიის, მათემატიკის, მუსიკისა და სიმღერის მცოდნენი" [168,124].

ბულ პოეზიასა და სიმღერებში სპარსული სიტყვები და ნაწყვეტები ლექსებიდან.

ბიოგრაფიულ ლექსიკონებში მოთხრობილია შარიდას (ჯარრა) შესახებ, რომელიც მისი მამისაგან შეიძინა ერთმა ქალმა და შეასნავლა მას სიმღერის ხელოვნება. შემდეგ შარიდა შესთავაზეს ისჰაკ ალ-მავსილის 300 დინარად, მაგრამ მას ეძვირა. ის შეიძინა ალ-მაჰდის ვაჟმა – იბრაჰიმ ალ-მაჰდიმ, რომელმაც განაგრძო მისი ნვრთნა (ერთი ნლით გაათავისუფლა ყველა სახის სამუშაოსაგან) და ნარუდგინა ისჰაკს ერთი ნლის შემდეგ. მან მოისმინა მისი სიმღერა და განცვიფრდა, როცა აღმოაჩინა, რომ ეს ის მონაქალი იყო, რომელიც ერთი ნლის ნინ 300 დინარი დააფასეს და მან ახლა შესთავაზა 300 ათასი დინარი [315,126]. სხვა გადმოცემით, იბრაჰიმ ალ-მაჰდიმ ერთი ნლის შემდეგ იხმო ექსპერტები, რომლებმაც უთხრეს, რომ თუ ის გაიყვანდა შარიდას ბაზარზე, მისი ფასი იქნებოდა 8 ათასი დინარი, 26-ჯერ მეტი თავის საწყის ფასზე. რამდენიმე ნლის შემდეგ, ერთმა მყიდველმა შესთავაზა უკვე 70 ათასი დინარი - 233-ჯერ მეტი საწყის ფასზე. მაგრამ იბრაჰიმმა უარი უთხრა. კიდევ ერთი გადმოცემით, იბრაჰიმმა მოინდომა ქორწინება შარიდაზე. მან მოიწვია თავისი მეგობრები, მათი თანდასწრებით მიმართა შარიდას მოეხსნა ჩადრი და შემდეგ თქვა: „მე მოგიხმეთ, რათა დაგიმოწმოთ, რომ ის თავისუფალია ღმერთის წინაშე, ვქორწინდები მასზე და ვაძლევ მაჰრს – 10 ათას დირჰამს". მან თანხმობა მიიღო შარიდასაგან [3,ა. XIV,110; 272,111-12]. თვითონ იბრაჰიმი იყო მუქი ფერის, ალ-მაჰდის ვაჟი ზანგი მხევალის - შაქლაჰისაგან.[68] იბრაჰიმმა დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო მუსიკალური ნიჭი და ცნობილი გახდა, როგორც მუსიკოსი, პოეტი და სწავლული.

ჰარემის სტრუქტურა სწორედ 'აბბასიდანთა მმართველობის დროს ჩამოყალიბდა. მაგრამ უკვე უმაიადანი ხალიფას ვალიდ II-ის დროიდან მუსლიმებთან გაჩნდა ჰარემები. 'აბბასიდანებმა ადვილად აითვისეს სასანიან არისტოკრატთა პრაქტიკა - უზარმაზარი ჰარემი ცოლებით და მხევლებით, რომელთაც საჭურისები იცავდნენ. ხალიფა ალ-მაჰდის დროს შეიქმნა პირველი დიდი ჰარემი, რომლის მხევალთა რაოდენობა 1000-ს აღემატებოდა.

---

[68] იბრაჰიმი იყო სრულიად შავი და ისეთი სრული, რომ მას უწოდეს „დრაკონი". 817 ნელს ბაღდადის მოსახლეობამ ისარგებლა ალ-მა'მუნის ალ-მარვში (მერვი) ყოფნით და იბრაჰიმი გამოაცხადა ხალიფად (817-818) - საპატიო ტიტულით ალ-მუბარაქ, თუმცა მისი ხელისუფლება მხოლოდ ბაღდადზე ვრცელდებოდა. 819 ნელს ის ჩამოაგდეს ტახტიდან და ამის შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა აღარ მიუღია [169,74-75; 155,246-47].

სიტყვაა — *„ჰარრმ“* არაბულ ენაზე რამდენიმე მნიშვნელობა[89] აქვს. ეს ნიშნავს როგორც აკრძალულ, ტაბუდადებულ ადგილს, ასევე ბედნიერ და წმინდა ადგილს. ჰარემის სტრუქტურა იერარქიული იყო. ეს სტრუქტურა ჩამოყალიბდა ისლამისა და უზარმაზარი სახელმწიფოს მოთხოვნილებათა გავლენით. აქ ხომ ტახტის მემკვიდრე იზრდებოდა. ჰარემში *„ალ-ჰურრა“*[90] ნიშნავდა კანონიერ, ხშირად არისტოკრატიული წარმოშობის, ცოლს. უფროსი ცოლი ფაქტობრივად ჰარემის მეთვალყურე იყო. ჰარემში უპირატესობა ენიჭებოდა იმ მხევლებს, რომელთაც ვაჟები შობეს. მუსლიმ მამაკაცებს ეკრძალებოდათ ჰარემში ერთმანეთის ნათესავი მხევლების ყოლა. თუ მხევალს საჭურისს[91] და მონას მიუჩენდნენ, ეს ჰარემის იერარქიაში ერთი საფეხურით აწევას ნიშნავდა. ჰარემის ქალები უმეტეს დროს კერავდნენ, ქარგავდნენ, სწავლობდნენ მუსიკას, სიმღერას, კარგ მანერებს. ეს საქმე ყველა ქალს ევალებოდა, მიუხედავად იმისა, თუ რა ადგილი ეკავა მას ჰარემის იერარქიაში [66,11].

ჰარემი 'აბბასიანთა დროს გახდა სასახლის ცენტრი, სახელმწიფო სახელმწიფოში, სადაც დახურულ კარებებს მიღმა ათასობით ადამიანი იყო გამოკეტილი[92]. ისინი იყვნენ სამეფო ოჯახის

---

[89] ჰარემი — სიტყვიდან „ჰარრმ“ (აკრძალული). ასე იწოდებოდა ბედუინი მომთაბარეების კარვის ნაწილი, ხოლო შემდეგ სახლის ის ნახევარი, სადაც ცხოვრობდნენ მხოლოდ ქალები და სადაც მამაკაცებს (ოჯახის ახლობლების გარდა) ეკრძალებოდათ შესვლა [139,61]. ჰარამხანა (არაბ. „ჰარრმ“ და სპარს. „ხანე“—სახლი) — აკრძალული სახლი (არაბ. ბაით ალ-ჰარრმ). მრავალ ევროპულ ენაში „ჰარრმ“ შევიდა თურქული ფორმით — harem.

[90] ჰურრა — ნიშნავს თავისუფალ ქალს.

[91] აბუ ტაგის მიდამოებში, ასუანის ახლოს, ქრისტიანები ასაჭურისებდნენ მათ (ისლამის კანონი უკრძალავდა მუსლიმებს ამგვარი ოპერაციის გაკეთებას). ამ ოპერაციის შემდეგ ცოცხალი რჩებოდა მხოლოდ ის, ვინც ყველაზე ძლიერი იყო. ისინი ჩამოყავდათ სუდანიდან და აფრიკის ჩრდილო-დასავლეთის დასახლებებიდან. „შავი საჭურისის“ ფასი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ყველაზე ლამაზი ქალისა [66,11]. მამაკაცთა დასაჭურისება, ძირითადად, ადრეულ ასაკში ხდებოდა.

[92] შუა საუკუნეებში ხშირი იყო შემთხვევები, როცა ქალი ჰარემში ცხოვრებას სიკვდილს ამჯობინებდა. ეს იყო არა მარტო უიმედო მდგომარეობიდან გამოსავალი, არამედ პროტესტიც თავისი უუფლებო მდგომარეობისა და ღირსების შელახვის გამო. არაბთა მიერ ციხე-სიმაგრე ჰამზინის (კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე) აღების შემდეგ, ერთ-ერთი დამპყრობლის მიერ მხევლად აყვანას ქალმა სიკვდილი ამჯობინა. გადმოცემით, ბრძოლის დაწყების წინ ხალიფა მარვან II-მ (744-750) თავის მეომრებს, ვინც შეაღწევდა ციხე-სიმაგრეში და აიღებდა მას, აღუთქვა ჯილდო ათასი დინარი და ციხე-სიმაგრის საუკეთესო მხევალი. ამ დავალების შესრულება შეძლო თანუჰმა, რომელსაც მარვანმა გადასცა ათასი დინარი და მხევლის ამორჩევის შესაძლებლობა

ნევრები, კანონიერი ცოლებისა და ნათესავების ჩათვლით; ხალიფას მხევლები თავიანთი ოჯახებით და ბავშვებით; ხალიფას მრავალი მონა, თავისი ცოლებით და მხევლებით; დამატებით აქ იყო ხალიფას მრავალი მეგობარი, მსახური (ვასალი), მუსიკოსი და პოეტი[93].

აღმოსავლეთის ხალხთა წარმოდგენით ჰარემში ცხოვრება დაკავშირებული იყო საიდუმლო ორგიებთან, ვნებებთან, რომელთაც არ ბორკავდა არავითარი მორალური შეზღუდვები, ყველაფერ იმასთან ერთად, რასაც კრძალავდა ევროპული კულტურა. მაგრამ ჰარემი სასტიკი ინტრიგების, შეჯიბრისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის კერა იყო. ერთმანეთს ებრძოდნენ ცოლები, მხევლები, საჭურისები. განსაკუთრებით ეჭვიანობდნენ კანონიერი ცოლები, რათა მიღწეული უპირატესობა არ დაეკარგათ. მხევლები — ვაჟის დედები, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მიეღოთ ოფიციალური ცოლის სტატუსი [66,11]. საშინელ დანაშაულობათა ჩადენის მიზეზი უმთავრესად ტახტის მემკვიდრეობა იყო. სანამლავი გახდა „აქტიური აგენტი" ჰარემის ცხოვრებაში. წყაროთა მონაცემებით, ხალიფა ალ-მაჰდის საყვარელმა მხევალმა - ჰასანამ თავის მეტოქეს გაუგზავნა მოწამლული ხილი, რომელიც შემთხვევით ალ-მაჰდიმ შეჭამა და გარდაიცვალა (785 წ.).

პირველი ჯარია, რომელმაც პოლიტიკური კარიერა შეიქმნა და გავლენა მოიპოვა, იყო ალ-მაჰდის ცოლი ხაიზურანი[94]. მან განსაკუთრებით იმით მოიხვეჭა სახელი, რომ მისი ვაჟები — ალ-ჰადი და ჰარუნ არ-რაშიდი გახდნენ ტახტის მემკვიდრეები, მაშინ როცა ალ-მაჰდის ჰყავდა შვილები არისტოკრატი ცოლისა და ბიძაშვილის რაიტასაგან (ხალიფა აბუ ლ-'აბბას ას-საფფაჰის ქალიშვილი). 775-76 წელს მაჰდიმ ხაიზურანი გაათავისუფლა და იქორწინა მასზე. ხაიზურანმა შესანიშნავი განათლება მიიღო და შეიძინა სწავლულის და ლიტერატურული ნიჭის მქონე ადამიანის

მისცა. მან ამოირჩია მხევალი და თან წაიყვანა. მაგრამ გზაში მხევალმა დანა დაარტყა თანუჰს, თავი მოაჭრა და შემდეგ თვითონაც გადავარდა უფსკრულში [137, 55-56].

[93] ჰარემში იყო მომსახურე პერსონალიც — თმის დამვარცხნელები, მრეცხავები, მიცვალებულის განმბანველი ქალები. მრავალი მონა-ქალი იყიდებოდა სწორედ საშინაო სამსახურისათვის. მაგ., ხალიფა ალ-მა'მუნს 700 მოსამსახურე-ქალი ჰყავდა სასახლის კარზე [185,80].

[94] ხაიზურანი იყო იემენიდან, სახელდობრ ჯურაშიდან. წყაროთა უმრავლესობა ეთანხმება იმას, რომ ის მიიყვანეს სასახლეში, როგორც მონა-ქალი. ვარაუდობენ, რომ ის ჩამოიყვანეს ბედუინებმა მექაში, სადაც მონად გაყიდეს. მონათა ბაზრიდან მოხვდა ხალიფა ალ-მანსურის სასახლეში, სადაც ის შეიძინა თავისი ვაჟის — ალ-მაჰდისათვის.

რეპუტაცია. მან ტრადიციები ისწავლა ავზა'საგან (გარდ. 774 ნ.), რომელიც იყო გამოჩენილი ფილოლოგი, ხოლო მუსლიმური სამართალი — იმ დროის ცნობილი ყადისაგან [58,III,579]. მაგრამ ყოფილმა მონა-ქალმა, საყვარელმა მხევალმა და შემდეგ ალ-მაჰდ̄ის სასახლის დედოფალმა, უპირველეს ყოვლისა, სასახლის ეტიკეტი შეისწავლა [180,41]. მართალია, ხაიზურ̄ანმა გამორჩეული ადგილი დაიკავა მაჰდ̄ის ჰარემში, მაგრამ მასაც უჭირდა მონა-ქალების კონტროლი. ყველაზე დიდი საფრთხე მას სწორედ თავისი მსგავსი მონა-ქალებისაგან დაემუქრა, რადგანაც ისინი სილამაზისა და მახვილი გონების წყალობით ხალიფას თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევდნენ.

ალ-მაჰდ̄ის ჰარემში გამორჩეული ადგილი დაიკავა მხევალმა მაქნ̄ანამ, რომელიც 100 ათას დირჰამად შეიძინა, როცა ჯერ კიდევ უფლისწული იყო და საიდუმლოდ ინახავდა მას თავისი მამისაგან. მაჰდ̄ის იმდენად შეუყვარდა მაქნ̄ანა, რომ ხაიზურ̄ანი ამბობდა: „არც ერთი ქალი არ ართულებდა ჩემს მდგომარეობას ამგვარად". მას მაჰდ̄ისაგან შეეძინა ქალიშვილი — 'ულია (776-826), რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მშობლების მუსიკალური ნიჭი [180,36]. ამავე პერიოდში ალ-მაჰდ̄მ იყიდა მედინაში დახელოვნებული, საუკეთესო მომღერალი ბაṣ̄ბაṣ̄[95], რომლისთვისაც გადაიხადა 17 ათასი დინარი.

წინააღმდეგობის მიუხედავად, ხაიზურ̄ანი ჰარემის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა. მისმა ვაჟებმა ადრე დაიწყეს საოჯახო ცხოვრება. ალ-ჰ̄ადრ̄ამ, ხანმოკლე ცხოვრების შემდეგ, დატოვა 7 ვაჟი და 2 ქალიშვილი — ყველა ნაშობი მხევალისაგან, თუმცა მას ორი კანონიერი ცოლიც ჰყავდა. სწორედ ხაიზურ̄ანის დავალებით, მონა-ქალმა მოწამლა მისი ვაჟი — ალ-ჰ̄ადრ̄, რათა გაეხალიფებინა მეორე ვაჟი — ჰარ̄უნ არ-რაშ̄იდი.

ჰარ̄უნ არ-რაშ̄იდის დროს მისი სასახლე გაივსო მხევლებით, რომელთაც მოჰქონდათ თავიანთი კულტურა და ეგზოტიკა[96]. სწორედ ჰარ̄უნ არ-რაშ̄იდმა შექმნა „ათას ერთი ღამის" რომანტიკული სამყარო. თითოეულ მხევალს ჰქონდა თავისი საიდუმლო საკუთარი კულტურიდან გამომდინარე. იმდროინდელი სამყაროს ყველა რეგიონი ცნობილი გახდა ქალების საგანგებო ღირსებებით. XI ს. ქრისტიანი ექიმის - იბნ ბატალანის რჩევით: *„ის, ვისაც სურდა*

---

[95] ბაṣ̄ბაṣ̄ (არაბ.) — ალერსიანი.

[96] ჰარემის სტრუქტურამ დასრულებული სახე სწორედ ბაღდადში, ჰარ̄უნ არ-რაშ̄იდის დროს მიიღო და გავრცელდა მთელს აღმოსავლეთში ისლამის პარალელურად, როგორც დადგენილი რელიგიური ნორმა [139,62].

ჯარრა სიამოვნებისათვის, უნდა აერჩია ბერბერი[97]*, ხოლო ქონების მისახედად - ბერძენი. ბავშვების გასაჩენად საუკეთესო არჩევანი იყო სპარსელი ჯარრა, ბავშვის ძუძუთი გამოსაკვებად - ფრანკი ქალი, ხოლო სიმღერისათვის - მექელი ქალი იყო საუკეთესო"* [284, 59].

ერთი გადმოცემით, ჰარუნმა[98] რაკკაში შეიძინა 2 ძალიან განათლებული მონა-ქალი (ჯამილა და თავადდუდ). მან გააგზავნა ისინი ბაღდადში, ცნობილ ფილოლოგთან — ალ-ასმა'ისთან (740-831 ან 828), რათა გაერკვია ცოდნის რომელ დარგებში იყვნენ დახელოვნებული. გაირკვა, რომ ერთმა კარგად იცოდა ყურანი, პოეზია, გრამატიკა, ისტორია და ლიტერატურა. ასმა'ის ვერდიქტი ასეთი იყო: მას არასოდეს უნახავს ქალი, რომელიც არაფრით ჩამორჩებოდა მამაკაცს თავისი ცოდნით. ·ამის შემდეგ ჰარუნმა ბრძანა ეს ქალი მისი თანხლებისათვის მოემზადებინათ. მონა-ქალმა — თავადდუდმა მადლიერების ნიშნად ათასი დინარით დაასაჩუქრა ასმა'ი [387,108-109].

ჰარუნის დროს ჰარემს დესპოტურად მართავდა მისი ცოლი — ზუბაიდა, (ალ-ამინის დედა), რომელიც წარმოშობით მოციქულის ოჯახიდან იყო. თუ უმმ სალამა (აბუ ლ-'აბბას ას-საფფაჰის ცოლი) და უმმ მუსა (ალ-მანსურის ცოლი) თავიანთი ქმრების სასიყვარულო გატაცებების შეზღუდვას საქორწინო კონტრაქტის პირობებით (არ ჰყოლოდა მის სიცოცხლეში სხვა ცოლი ან მხევალი) ცდილობდნენ, ზუბაიდამ, როცა ჰარუნი განსაკუთრებით დაინტერეს-

---

[97] მონა-ქალის იდეალი ასეა დახასიათებული: სამშობლოდან 9 წლის ასაკში ჩამოყვანილი ბერბერი, რომელმაც 3-3 წელი განათლება მიიღო მედინასა და მექაში, ხოლო შემდეგ 16 წლის ასაკში გადავიდა ბაბილონში, სადაც შეისწავლა ნატიფი ხელოვნება, იყიდეთ 25 წლის ასაკში და მასში შერწყმული იქნება კარგი მანერები მედინური კეკლუცობით, მექური სინაზით და ბაბილონური განათლებით [387,69].

[98] ჰარუნმა იქორწინა მონა-ქალ ამათ ალ-'აზიზზე (ალ-ჰადის ფავორიტზე) და მისცა მას ახალი სახელი — ღადირ. ის ძალიან ლამაზი იყო და ალ-ჰადის გამორჩეულად უყვარდა. ერთხელ, როცა მონა-ქალი მისთვის მღეროდა, ხალიფა დასევდიანდა — გაიფიქრა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ძმა ჰარუნი იქორწინებდა მასზე. ალ-ჰადიმ მაშინვე იხმო ჰარუნი და დააფიცა, რომ არასდროს გააკეთებდა ამას, თუნდაც ფეხით შეესრულებინა პილიგრიმობა. ერთი თვის შემდეგ ალ-ჰადი გარდაიცვალა, ჰარუნმა დაქორწინება სთხოვა ღადირს და დაპირდა ფიცი გაეტეხა. ამგვარად, ისინი დაქორწინდნენ. მონა-ქალს ძალიან შეუყვარდა ჰარუნი. ერთ დღეს მას დაესიზმრა ალ-ჰადი, რომელმაც უთხრა, რომ მალე შეუერთდებოდა მას. ჰარუნი შეეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ ის ერთ საათში ნერვიულობით გარდაიცვალა. ამის გამო ჰარუნმა შეასრულა პილიგრიმობა ფეხით (გზაზე მას მატყლის ჭილობი დაუფინეს) 173/790 წელს (მონა-ქალის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ) [180,100-101].

და ერთ-ერთი მხევლით — დანანირით[99], აჩუქა მას 10 მხევალი. ამ მხევლებისაგან ხალიფას შეეძინა მომავალი ტახტის მემკვიდრეები: ალ-მუ'თაᲗიმი და ალ-მა'მუნი[100]. ეს იყო ქმრის კეთილგანწყობის მოპოვების ერთ-ერთი მეთოდი პოლიგამიურ საზოგადოებაში. მუსლიმური თვალსაზრისის თანახმად: *„თუ ქალი სამეფო ოჯახიდან ფლობს მონა-ქალს, რომელიც მოეწონება ხელისუფალს და გააბედნიერებს მას, მაშინ მისი მოვალეობაა აჩუქოს ხელისუფალს ეს მონა-ქალი. თუ ამას გააკეთებს, საკადრისი მიეზღვევა და ხელისუფალი მას უპირატესობას მისცემს, აღამაღლებს სხვა ქალებზე და პატივს სცემს მას"* [180,140].

ჰარემში მხევლების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და თავის აპოგეას ხალიფა ალ-მუკთადირის (908-932) დროს მიაღწია. თუ ალ-მუთავაქქილს მხოლოდ 4 ათასი მხევალი ჰყავდა, ალ-მუკთადირის ჰარემში უკვე 10 ათასი მხევალი იყო [51,III,122].

მეორე ჯარრა ხაიზურანის შემდეგ, რომელიც გამოჩნდა 'აბბასიანთა სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე, იყო ალ-მუკთადირის დედა — შაღაბ. ალ-მუკთადირი 13 წლის ასაკში ავიდა ტახტზე. სახალიფოს ფაქტობრივად მართავდა რეგენტთა საბჭო, რომელშიც შედიოდა მისი დედაც. ყადი აᲗმად ბ. ია'კუბმა არ სცნო ალ-მუკთადირი ხალიფად, რადგან ჯერ კიდევ ბავშვი იყო. უმმ ალ-მუკთადირის ბრძანებით, ყადი მოკლეს იმ ჯგუფთან ერთად, ვინც მის აზრს იზიარებდა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ქალები, მამაკაცების მსგავსად, მიზნის მისაღწევად, იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდს, პოლიტიკურ მკვლელობასაც კი. უმმ ალ-მუკთადირი იყო ბერძენი, რაც თავისთავად ბევრ კითხვას ბადებდა. შერეული ქორწინებები აღნიშნულ პერიოდში ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დედამინაზე ალა-

---

[99] მოთხრობილია, რომ ეს მონა-ქალი იყო იაᲗიᲐ ბარმაქელის (გარდ. 805 წ.) საკუთრება. დანანირი სწავლობდა მედინაში და შეისწავლა მუსიკალური ხელოვნება საუკეთესო მასწავლებლებთან. მისი მუსიკალური განათლება შეამონმა იბრაᲰიმ ალ-მაᲗილიმ და განაცხადა, რომ ის იყო საუკეთესო მუსიკოსი. Ჰარუნმა ის ნახა იაᲗიᲐ ბარმაქელის სასახლეში. ამის შემდეგ ყოველ დღე მოინახულებდა და საჩუქრებს უძღვნიდა ხოლმე. ხალიფას მხოლოდ ერთი საჩუქარი (ყელსაბამი) მხევლისადმი 30 ათასი დინარი ღირდა [271,45; 276,51].

[100] მუ'თაᲗიმის დედა იყო მონა-ქალი მარიდა. სპარსელმა მონა-ქალმა მარაჯილმა შობა 'აბდ ალ-ლაᲰი - მომავალი ხალიფა ალ-მა'მუნი. მარაჯილი სამზარეულოში მუშაობდა მოსამსახურედ. ზუბაიდამ აიძულა ის მიექცია Ჰარუნის ყურადღება. ალ-მა'მუნი დაიბადა 170/786 წელს. ბავშვის დედა მაშინვე გარდაიცვალა. მხოლოდ 6 თვის შემდეგ გაჩნდა ალ-ამინი — პირველი მემკვიდრე. Ჰარუნის მესამე მემკვიდრე — კაᲗიმი ასევე მონა-ქალისაგან იყო დაბადებული.

ჰის მოციქულის მოადგილის - ხალიფას დედა იყო ქრისტიანი, რომელსაც არ მიუღია ისლამი [284, 43-44]. თუმცა ასეთი ფაქტის მოძიება შეიძლება მოგვიანებით მუსლიმურ ესპანეთშიც.

კორდოვას უმაიიანი ხალიფას – ალ-ჰაქამის[101] (961-976) ცოლი, კორდოვას დედოფალი, იყო უცხოელი, თან ქრისტიანი – სუბჰი (ავრორა). როგორ შეძლო სუბჰმა, ომში მოპოვებულმა ტყვემ და ალ-ჰაქამის მხევალმა, მოეპოვებინა გარკვეული ძალაუფლება მუსლიმურ ჰარემში, სადაც ძალიან ბევრი, შეუდარებლად ლამაზი ქალი იყო და რომელთა შორის გამუდმებული შეჯიბრი იყო ხალიფას გულის დასაპყრობად? მარტო ახალგაზრდობა და ფიზიკური სილამაზე საკმარისი არ იყო. გადმოცემით, სუბჰი იყო უაღრესად განათლებული[102] და ალ-ჰაქამმა, რომელიც ცნობილი იყო მეცნიერების მფარველობით და ცოდნის შეძენის დიდი სურვილით, სახელმწიფოს მთელი საქმეები სუბჰის მიანდო და ის ოფიციალურად თავის ასისტენტად დანიშნა. თითქმის 20 წლის განმავლობაში, თავისი ქმრის და თავისი ვაჟის მმართველობის დროს, მისი ხელისუფლება ძალიან გაიზარდა, ის აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში [284, 47-48] .

ისლამის ისტორიაში გახმაურებული ფაქტი, რომელსაც ყურადღებას უთმობენ ისტორიკოსები, დაკავშირებულია 'ადუდ ად-დაულასთან[103] (949-982), რომელმაც მოკლა უდანაშაულო მონამხევალი. ისტორიკოსები აღწერენ მის გატაცებას მხევლით, რომლისადმი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკურ მისიას. ის ველარ ასრულებდა თავის მოვალეობებს და როდესაც იგრძნო თავისი სისუსტე, ბრძანა ჯარის მოკ-

---

[101] ყველა ისტორიკოსი ეთანხმება იმ აზრს, რომ ალ-ჰაქამი უდიდესი მმართველი იყო. ის ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარებას, შექმნა დიდი ბიბლიოთეკა. მან გაუგზავნა ალ-იṣფაჰანის ათასი დინარი „ქითაბ ალ-აღანის" კოპიოსათვის და ალ-ჰაქამი იყო პირველი (ბაღდადის ხალიფაზე ადრე), ვინც ის ნაიკითხა. ალ-ჰაქამმა თავისი მმართველობა დაიწყო ქრისტიანთა (ქრისტიანული ევროპის) წინააღმდეგ ლაშქრობებით. სუბჰი სწორედ ამ ექსპანსიის დროს ჩაუვარდა მას ტყვედ.

[102] მან კარგად იცოდა ისტორია, პოეზია, ლინგვისტიკა, ფიკჰი.

[103] 'ადუდ ად-დაულა იყო ბუვეიანთა შიიტური დინასტიის მეორე ხელისუფალი, რომელიც გამგებლობდა ბაღდადში (338/949-372/982). ბუვეიანთა სახელმწიფომ მის დროს უდიდეს ძლიერებას მიაღწია. პირველად, ისლამის ისტორიაში, 'ადუდ ად-დაულა გახდა „შაჰან-შაჰის" (მეფეთ-მეფე) ტიტულის მატარებელი. ეს ტიტული შეინარჩუნეს მისმა მემკვიდრეებმაც [145,31]. მეორე, რითაც მან განაცვიფრა მუსლიმები, იყო ის, რომ მოსთხოვა ხალიფას – მისი სახელი მოეხსენიებინა პარასკევის ლოცვის დროს ბაღდადის საკრებულო მეჩეთში [284,40-41].

ვლა[104]. 'ადუდ ად-დაულას განმარტება ასეთი იყო: *„ის ვინც მიდის სიამოვნების გზით, ხდება ცუდი პოლიტიკოსი და აუცილებლად დაკარგავს მინიერ ძალაუფლებას“* [284,42]. საბედნიეროდ, ეს არ გამხდარა ტრადიცია არაბი ხალიფებისათვის – მოეკლათ მხევლები, რომლებიც ძალიან უყვარდათ.

შუა საუკუნეების მუსლიმ ქალთა ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი ქალის, ნაბია ებოთის დასკვნა ასეთია: *„ცოლის მოყვანა უფრო სერიოზული იყო, ვიდრე მხევლისა, რომელიც შეიძლებოდა დაეთხოვათ, გაესხვისებინათ ან მოეკლათ კიდეც, ისე რომ არანაირი კითხვა არ გაჩნდებოდა. მაშინ როცა ცოლს (ზავჯა) ჰქონდა თავისი კანონიერი უფლება მემკვიდრეობაზე, ჰქონდა ნათესაური კავშირები. .... რთული იყო განქორწინებაც თავისი სოციალური და პოლიტიკური შედეგებით“*[180,67].

ისლამმა აუკრძალა მამაკაცს ექორწინა მონა-ქალზე იქამდე, ვიდრე არ გაათავისუფლებდა მას. მისი სტატუსი გათავისუფლებამდე იყო უმმ ალ-ვალადი, რომელსაც გარკვეული უპირატესობები მიენიჭა. მუჰამადი შეეცადა შეეცვალა მონა-ქალების სტატუსი – მისი გაყიდვა იკრძალებოდა ბავშვის დაბადების შემდეგ და ის თავისუფალი ხდებოდა პატრონის სიკვდილის შემდეგ. ამასთან, უმმ ვალადის შვილებს ჰქონდათ იგივე უფლებები და პრივილეგიები, რაც კანონიერი ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვებს – ისინი იღებდნენ მამის მემკვიდრეობიდან ქონების თანაბარ წილს. მხევლებმა ნათელი გახადეს, რომ მემკვიდრეობა ეხებოდა ყველაფერს, ტახტსაც კი.

მხევლების გავლენა იმდენად დიდი იყო VIII-X საუკუნეებში, რომ მათ მიეძღვნა სპეციალური ნაშრომები, სადაც ძირითადად შესწავლილია: მონათა ბაზრები, სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მონა-ქალების ღირსებები და ნაკლოვანებები, მათი აღზევების მიზეზები დაპირისპირებულ არაბულ საზოგადოებაში, მათი ძალაუფლების ზღვარი ჰარემში და მის გარეთ. ამის პარალელურად გაუარესდა თავისუფალი არისტოკრატი ქალების მდგომარეობა და უკვე 'აბბასიანთა ხანაში გაჩნდა პოემები და ანდაზები მათ წინააღმდეგ.

3. ქალი და განქორწინება ადრეულ ისლამში

ალაჰის მოციქული აფრთხილებდა თავის მიმდევრებს: „ყველა დასაშვები ქმედებიდან, განქორწინება ყველაზე არასასურვე-

---

[104] მან ბრძანა ის მდინარეში გადაეგდოთ [185,85].

ლია უზენაესი ალაჰისთვის" [290,671]. განქორწინება ცოლ-ქმრული ურთიერთობების დარღვევაა, რომლის გამოცხადება შეიძლება სიტყვიერად, ნერილობით ან პირობითი ნიშნებით. ყურანიდან და ჰადისებიდანაც ჩანს, რომ განქორწინება დაშვებულია, მაგრამ განსაკუთრებულ გარემოებებში. ყურანში განქორწინებას ეძღვნება სპეციალური სურა ამავე სათაურით[105] [65 - *ტალაკ*] და ამის გარდა არის არაერთი აია ქორწინების დარღვევაზე[106]. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მოციქული მუჰამადი ამ საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას და დროს უთმობდა.

ისლამი ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ხელი შეუშალოს განქორწინებას, რადგანაც ყურანში ქორწინება დახასიათებულია, როგორც მტკიცე აღთქმა (*მისაქ ღალიზ*) და მისი უსაფუძვლოდ დარღვევა არ შეიძლება[107]. მუჰამადმა უთხრა თავის შვილობილ ზაიდს: „დაიტოვე შენი ცოლი და გეშინოდეს ალაჰისა" [33:37]. გადმოცემით, მოციქულმა მიუთითა მუსლიმებს: „მორწმუნე მამაკაცს უფლება არა აქვს მოექცეს არაკეთილმოსურნედ მორწმუნე ქალს. თუ მას არ მოსწონს მასში რაღაც, მაშინ დაე, დაკმაყოფილდეს იმით, რაც არის მასში კარგი" [53,2/1129]. ყურანში არის მოწოდება: „მოექეცით [თქვენს ცოლებს] კეთილად და თუ თქვენ ისინი აღარ მოგწონთ, მაშინ რამდენჯერ ყოფილა, როცა თქვენ არ მოგწონთ რამე და ალაჰს კი მასში თქვენთვის უამრავი სიკეთე დაუდგენია"[4:19]. თუ სხვა გამოსავალი არ არის და ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაა (შიკაკ), განქორწინება არ იკრძალება. ისლამი აღიარებს ორივე მეუღლის უფლებას შეწყვიტონ ცოლ-ქმრული ურთიერთობა. მოციქულის სიძე 'ალი ბ. აბი ტალიბი ამბობდა: „იქორწინეთ და არ გაეყაროთ თქვენს ცოლებს, რადგანაც გაყრა იწვევს ალაჰის ტახტის შერყევას" [182,62].

ყურანში თანამიმდევრულად არის შემუშავებული განქორწინების საკითხები. ჯაჰილიზას პერიოდთან შედარებით, ისლამმა მოანესრიგა გაყრის პროცესი და შეზღუდა ის განსაზღვრული ვალდებულებებით.

ყურანში მოხსენიებულია სამი სახის გაყრა: *ტალაკ, ზიჰარ* და *აიმან*.

---

[105] ამ საკითხს ეხება ძირითადად ყურანის ორი სურა: ალ-ბაკარა (2) და ატ-ტალაკ (65). 65-ე სურა ეკუთვნის მედინის პერიოდს და მოიცავს 12 აიას [297,243].

[106] 2:226,227,228,230-237,241,242; 4:19-21,35,130; 33:49; 58:3,4.

[107] მუჰამადმა თავისი უახლოესი მიმდევრის – ჰუსაინ ბ. მუჰსანის მამიდა ნახა პაჯიზე ქმრის გარეშე და უთხრა: არ გაეყარო მას, „ის არის შენი სამოთხე და ჯოჯოხეთი" [8,VIII,459].

მუჰამადმა გააუქმა გაყრის წინაისლამური ფორმა – *ზიჰარ*, როცა მამაკაცს შეეძლო ეთქვა ცოლისთვის: *„ანთი ‘ალაიია ქაზაჰრი უმმი“*, სიტყვასიტყვით – *„ჩემთვის იგივე ხარ, რაც დედაჩემის ზურგი“*. დედა განეკუთვნებოდა იმ პირთა კატეგორიას, რომელთანაც ქორწინება იკრძალებოდა [4:23][108]. ქმარს შეიძლება შეედარებინა ცოლი სხვა სისხლის ნათესავებისთვისაც. ამ ფორმულის წარმოთქმა აწესებდა განსაზღვრულ განქორწინებას მუჰამადის დრომდე და ჩანს, ხშირად გამოიყენებოდა. არ არის მინიშნება, ის მედინაში წარმოიშვა, თუ არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა კუთხეში. თუმცა ეს იდიომა ყურანში ორჯერ არის მოხსენიებული და ორივეჯერ – მედინური პერიოდის სურებში. ერთ აიაში – 33:4[109] არის ამ პრაქტიკის აკრძალვა და ის ეხება მთელ მუსლიმურ თემს, მაშინ როცა 58:2 აია, რომელიც უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება, ამ ფორმულას ძალადაკარგულად აცხადებს. უკანასკნელი გამოცხადება (58:2), კომენტატორთა და ტრადიციონალისტთა აზრით, მოჰყვა ამ ფორმულის აქტიურ გამოყენებას თემის ნევრების მიერ და თვითონ სურას აქვს სათაური „შეკამათება“ (ის, ვინც კამათობს). ჰადისებში ასეთი შემთხვევაა გადმოცემული: აუს ბ. ას‘-ᵭამითმა ეს ფორმულა გამოიყენა თავისი ცოლის – ხაულა ბინთ სა‘ლაბას მიმართ, რომელიც, იბნ სა‘დის და იბნ ჰანბალის თანახმად, იყო მისი ბიძაშვილი [11,VI,410; 8,VIII, 378]. აღნიშნულია, რომ ხაულა წავიდა ალაჰის მოციქულთან და სთხოვა ამ ფორმულის გამოყენება არ ჩათვლილიყო კანონიერ განქორწინებად. ხაულა არწმუნებდა, რომ მის ქმარს არ წარმოუთქვამს

---

[108] „წარმართობის დროს ქმარს შეეძლო ეთქვა ცოლისათვის: შენ ჩემთვის იგივე ხარ, რაც ჩემი დედის ზურგი. ამასთან, ის ხდებოდა მისთვის აკრძალული, როგორც მშობელი დედა. იმ დროიდან სქესობრივი ურთიერთობა მასთან იკრძალებოდა. ის რჩებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში, რადგანაც არ იყო გაყრილი, მაგრამ არ ჰქონდა შესაძლებლობა გათხოვილიყო სხვა მამაკაცზე და არც მის ცოლად ითვლებოდა. როცა ისლამმა მოანესრიგა საზოგადოებრივი ურთიერთობები და განსაზღვრა ოჯახი, როგორც საზოგადოების უპირველესი უჯრედი, აუცილებლად მიიჩნია ქალის დამცირება მოესპო: „დედა – არის დედა, ცოლი – არის ცოლი და არავითარ სიტყვებს არ შეუძლია შეცვალოს ამ ურთიერთობის ბუნება“ [19,VII, გვ.1994,შენ.9].

[109] წარმართულ არაბულ საზოგადოებაში გაყრის ეს ფორმა საბოლოოდ ითვლებოდა და მისი შეცვლა აღარ შეიძლებოდა. ასე რომ, ქალი მთელი ცხოვრება დაკავშირებული რჩებოდა ქმართან. 58 სურის 1-4 აია, რომელიც ამ საკითხს ეხება, გარდმოვლენილ იქნა ამ აიამდე, ასე რომ გაყრის ეს ფორმა („ზიჰარ“) უკვე გაუქმებული იყო ამ სურის (33) გარდმოვლენისას. აქ ის მოტანილია მხოლოდ იმ განცხადების დასამტკიცებლად, „რომ თქვენი სიტყვა მხოლოდ თქვენს ბაგეებზეა და ის არავითარ შემთხვევაში არ ემთხვევა საქმის რეალურ ვითარებას“ [19,VII, გვ.1994, შენ.9].

„ტალაკ“ და როგორ შეიძლებოდა მის ფიცს დაერღვია მათი ქორწინება. ის ლოცულობდა და შესთხოვდა ალაჰს გარდმოევლინა მოციქულისათვის შესაბამისი დადასტურება. *„ალაჰმა ისმინა ქალის მუდარა, რომელიც შეეკამათა მუჰამადს თავის ქმართან დაკავშირებით და იჩივლა ალაჰთან. ხოლო ალაჰი ყოველთვის ისმენდა მოკამათეთა საუბარს, რამეთუ ალაჰს ყველაფერი ესმის, და ყველაფერს ხედავს“* [58:1; 331,9].

ატ-ტაბარის ერთ-ერთი ვერსიით: ხავლა ბინთ სა'ლაბასთან განქორწინება მოხდა წარმართული ჩვეულებით. ის მივიდა მოციქულთან და უთხრა: „ჩემი ქმარი გამეყარა მე წარმართული ჩვეულებით, როცა მოვხუცდი და ჩემი ძვლები დასუსტდა“ და ალაჰმა გარდმოავლინა ეს აია [14,XXVIII,19].

აბუ და'უდის თანახმად, ხავლა მივიდა მოციქულთან, რათა ეჩივლა თავის ქმარზე, მაგრამ მოციქული არ დაეთანხმა და უთხრა: „გეშინოდეს ალაჰისა, ის შენი ბიძაშვილია“. ხავლა აგრძელებდა ჩივილს იქამდე, ვიდრე არ გარდმოევლინა ეს აია - 58:1 [170,70;25,1111]. მაგრამ 'ა'იშას გადმოცემით, მას არ მოუსმენია მუჰამადის კამათი ქალთან.

გაყრის ეს სახე – „ზიჰარ“ ითვალისწინებდა ცოლ-ქმრული სიახლოვის აკრძალვას, ვიდრე ქმარი არ შეასრულებდა გამოსასყიდ ქმედებებს [52,1068,შენ.1a] და ამგვარად, განქორწინება ითვლებოდა დროებითად, დაუსრულებლად. რაც შეეხება გამოსასყიდ ქმედებებს, არსებობდა რამდენიმე საშუალება. ერთ-ერთი იმაში მდგომარეობდა, რომ მამაკაცი ვალდებული იყო გაეთავისუფლებინა მონა; იმას ვისაც არ ჰყავდა მონა, შეეძლო ემარხულა ორი თვე გადაბმით; იმას, ვისაც არ შეეძლო ესეც, უნდა გამოეკვება 60 ღარიბი [22,58:3-4; 11,VI,410].

ცხადია, რომ მუჰამადმა გააუქმა გაყრის ეს ფორმა და მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ფორმულა ძალადაკარგულად და უკანონოდ გამოცხადდა. მუჰამადის მოქმედებებს ორი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ: 1) გაყრის ეს ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული. მართალია, მუჰამადს სურდა ის არაკანონიერად გამოეცხადებინა, მაგრამ ეშინოდა წინააღმდეგობისა მუსლიმური თემის მხრიდან. 2) ფიცის ნებისმიერი ფორმა ყოველთვის აკისრებდა ვალდებულებას მამაკაცს ან ქალს, რომელიც ამას წარმოთქვამდა და შეიძლებოდა მხოლოდ გამოსყიდვა გარკვეული პირობებით. სნორედ ყურანის გამოცხადებაც მიუთითებს იმ პირობებზე, რომლის შესრულების შემდეგაც შეიძლება ფიცის გაუქმება [347,129; 198,57]. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ასეთი გაყრის დროს ქმარს უნდა უზრუნველეყო ცოლი [340, 193,შენ.2]. არც ყურანის აიებში და არც ტრადიციებში ამის შესახებ არაფერია ნათ-

ქვამი. პირიქით, ერთ ვერსიაში, ხავლა ინფორმაციას აწვდის მუჰამადს, რომ მის ქმარს არაფერი არ ჰქონდა და ის იყო მისი ერთადერთი მხარდამჭერი.[110] სწორედ ამ დროს ხავლას მოუტანეს ფინიკის კალათა (50 ან 60 ფინიკით სავსე), მოციქულმა უთხრა: ნადი და დააპურე 60 ღარიბი მის ნაცვლად და დაუბრუნდი შენს ბიძაშვილს [272,183].

გაყრის ერთ-ერთი ფორმის სახელწოდება – *„აიმან"* – მომდინარეობს ფიცის სახელწოდებიდან, რომელსაც მუსლიმი ნარმოთქვამდა მარჯვენა ხელის ანევით. მამაკაცი იფიცებდა, რომ არ ექნებოდა ურთიერთობა ცოლთან 4 თვის განმავლობაში, ვიდრე განახორციელებდა ჩანაფიქრს. ყურანით, „აიმან" ეკუთვნოდა დაუსრულებელ განქორწინებათა რიცხვს და ცოლ-ქმრული ურთიერთობა შეიძლება განახლებულიყო ფიცის ნარმოთქმიდან ოთხი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

ყურანის მიხედვით, *„მათ, ვინც დაიფიცეს, დაშორებოდნენ თავიანთ ცოლებს, უნდა დაიცადონ ოთხი თვე. თუ ისინი [ამ დროის განმავლობაში] გადაიფიქრებენ, მაშინ ჭეშმარიტად, ალაჰი მიმტევებელი, მწყალობელია"*[2:226].

კომენტატორთა აზრით, *„წარმართ არაბებს შორის არსებობდა ჩვეულება, როცა ქმარი, ზოგჯერ განრისხებული ან თავისი ნებით, აძლევდა ალაჰს ფიცს, რომ არ მიუახლოვდებოდა ცოლს. ეს ართმევდა ქალს თავის საქორწინო უფლებებს – მას განუსაზღვრელი ვადით არ შეეძლო გათხოვება სხვაზე ..... ისლამმა დააწესა ოთხი თვე. ორივე დაინტერესებულ მხარეს აქვს დრო და მათ შეუძლიათ ამ დროში მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა შერიგება"*[33,89,შენ. 253].

გაყრის სხვა ფორმა იყო *ხულ'ა* (ტერმინი მომდინარეობს ძირიდან ხალ'ა', რაც ნიშნავს – გათავისუფლებას, მოცილებას, თავის დაღნევას). ქალი სთხოვს ქმარს გაათავისუფლოს ის და სამა-

---

[110] იუსუფ 'ალის აზრით „თუ ისეთი სიტყვები, როგორიც არის „ზიჰარის" ფორმულაში, შეიძლებოდა უბრალოდ იგნორირებული ყოფილიყო, მაშინ ეს მიგვიყვანდა იქამდე, რომ მას დაუფიქრებლად გამუდმებით გაიმეორებდნენ. ამიტომ მას სერიოზულად უყურებენ და საუბარია ქმრის დასჯაზე და ცოლის უფლებების აღდგენაზე. ცოლს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფა თავისთვის და თავისი ბავშვებისათვის, მაშინ როცა ქმარს არ შეუძლია მოითხოვოს თავისი ცოლ-ქმრული უფლება. თუ მისი მოქმედება დაუფიქრებელი იყო, თუ ის ნანობს ამას, ის კვლავ იძენს თავის ცოლ-ქმრულ უფლებას მხოლოდ დანაშაულის გამოსყიდვის შემდეგ, რის შესახებაც ნათქვამია 58:3–4 აიაში. თუ ცოლს უყვარს ქმარი, როგორც ეს იყო ხავლას შემთხვევაში, ამ უკანასკნელს შეუძლია გამოაცხადოს თავისი ცოლ-ქმრული უფლებების შესახებ და მოითხოვოს ქმრისაგან დანაშაულის გამოსყიდვის შემდეგ საოჯახო ცხოვრების აღდგენა" [33,1511, შენ.5335].

გიეროდ უბრუნებს საქორწინო საჩუქარს — მაჰრს, რაც მისგან მიიღო. ეს გაყრა ხდება ქალის ინიციატივით [347,112]. ისლამი პირველი რელიგიაა მსოფლიოში, რომელმაც სცნო ქალის უფლება გაყრაზე. ეს არის ცოლის აბსოლუტური უფლება და არავის შეუძლია ხელი შეუშალოს მას [218,136].

ყურანში არ არის პირდაპირი მითითება ხულ'აზე, მაგრამ არის დამოწმება ქალის უფლებაზე, თვითონ გაითავისუფლოს თავი საქორწინო საჩუქრის უკან დაბრუნებით [2:229]. ალ-ბაიდავი თავის კომენტარებში ასკვნის [4,49], რომ ეს აია ეხება ხულ'ა ჩვეულებას, მაშინ როცა ალ-ბუხარის ჰადისების კრებულში, განქორწინების წიგნში [63-ე წიგნი], მე-12 თავს ეს სათაური აქვს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გაყრის ეს ფორმა წარმოიშვა წინაისლამურ ხანაში, ისევე როგორც ტალაკ. თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, მაშინ პროცედურა განსხვავებული იქნებოდა — საქორწინო საჩუქარი უკან უნდა დაებრუნებინათ მისი ტომის წევრებს, რადგანაც სწორედ მათ გადაეცათ ის ქორწინების დროს [347,130].

ჰადისების მიხედვით, ყურანის 2:229 აია გარდმოვლენილ იქნა ჭაბიბასა და საბით ბ. კაისთან დაკავშირებით. ჭაბიბამ იჩივლა მოციქულთან ქმარზე და მან ჰკითხა: „დაუბრუნებ მას თავის ბაღს?" „დიახ" — უპასუხა ქალმა, მოციქულმა გამოიძახა ქმარი და შეატყობინა ამის შესახებ. საბითმა თქვა, რომ მან მისცა ჭაბიბას მაჰრის სახით 2 ბაღი, რომლებიც იყო მის საკუთრებაში. მოციქულმა თქვა: „დაიბრუნე ისინი და გაცილდი მას" და მაშინ გარდმოვლენილ იქნა ეს აია [40, 68:12].

ტექნიკური ტერმინი *ხულ'ა* — ქალის უფლება გაეყაროს ქმარს მაჰრის დაბრუნებით, ემყარება ყურანის 2:229 აიას და ზემოთ განხილულ ჰადისს [52,103, შენ.229d; 352,20; 325,568].

ტრადიციებში *ხულ'ა* სამჯერ იხსენიება. ორი მათგანი ეხება მალიქ ბ. ან-ნაჯჯარის გვარს და მესამე - ასლამის ტომის ქალს. აქ არ არის დამოწმება ამ ტიპის განქორწინების გამოყენების თაობაზე მექელების მიერ, ან ტა'იფის ხალხის და მათი მონათესავე გვარების მიერ. ჭაბიბა ბინთ საჰლი (მალიქ ბ. ან-ნაჯჯარ), რომელიც გათხოვილი იყო საბით ბ. კაისზე (ბანუ ალ-ჰარის ბ. ალ-ხაზრაჯ), წავიდა მოციქულთან და აუხსნა, რომ ისინი ვერ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. მუჰამადმა მას უბრძანა დაებრუნებინა საბითისათვის ყველაფერი, რაც ჰქონდა მისგან მიღებული. ჭაბიბამ შეასრულა მოციქულის ნათქვამი და დაბრუნდა თავის საკუთარ გვართან. იბნ სა'დთან ორ ვერსიაში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია, რომ მუჰამადმა შესთავაზა მას ქორწინება [8,VIII,445-446], მაგრამ ამ

ფაქტს არ მოიხსენიებს იბნ ჰანბალი [11,VI,433]. საინტერესოა, რომ გაყრის „მუთაზბაჰირ“ მეთოდთან დაკავშირებით იყო ბევრი საკამათო, რადგანაც მუჰამადს მიმართავდნენ განმარტებისათვის და მის დასამოწმებლად. დასახელებულია საბით ბ. კაისის სხვა ცოლიც – ჯამილა ბინთ ‘აბდ ალ-ლაჰ ბ. უბაიდ [8,VIII,382]. აღნიშნულია, რომ მანაც ითხოვა გაყრა და მათ უთანხმოებას რელიგიური საფუძველი ჰქონდა.

ორი სხვა შემთხვევა მოხდა ‘უსმანის ხალიფობაში და ორივეჯერ მან მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. პირველი უკავშირდება რუბაი‘ა ბინთ მუ‘აზს[111] (მუ‘ავიზ – ან-ნაჯჯარის გვარი), რომელიც გათხოვდა მოციქულის დროს, ბადრთან ბრძოლის შემდეგ [8,VIII,447]. აქ ტერმინი *იხთალა‘ა* გამოიყენება განქორწინების მნიშვნელობით. მეორე შემთხვევა უკავშირდება უმმ ბაქრა ალ-ასლამიიას, რომელიც გათხოვდა თავისივე ტომის წევრზე – ‘აბდ ალ-ლაჰ ბ. ასიდზე. უმმ ბაქრამ სთხოვა მას გაყრა (იხთალა‘ა). შემდეგ ორივემ, ცოლმაც და ქმარმაც გადაიფიქრეს და მათ რჩევა ჰკითხეს ‘უსმანს, რომელმაც გამოაცხადა – გაყრა კანონიერი ხდება, როცა „ტალაკ“ არის მოხსენიებული [8,VIII,486]. ამის შემდეგ, ‘აბდ ალ-ლაჰს უფლება მიეცა დაებრუნებინა თავისი ცოლი [11,VI,434]. ‘უსმანის ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ თუ ინიციატივა გაყრაზე ცოლის მხრიდან მოდიოდა, გაყრასთან დაკავშირებული ნესები უნდა შეესრულებინა ქმარს და მხოლოდ ეს იყო კანონიერი განქორწინება. სწორედ ამას გულისხმობდა ველჰაუზენი, როცა აღნიშნა, რომ ხულ‘ას დროს მამაკაცი არის განქორწინების პროცესის წარმმართველი, ისევე როგორც „ტალაკ“-ის დროს [347,131].

ჰაბიბას შემთხვევაში აღნიშნული არ არის თუ რა უნდა დაუბრუნებინა მას ქმრისათვის. ფრაზა „ის რაც მიცემული ჰქონდა მას მისთვის“ [2:229], შეიძლება გულისხმობდეს მაჰრს, სახლს, ტანსაცმელს ან რაიმე სხვა ნივთს. ხოლო რუბაი‘ას შემთხვევაში ქმარს ჰქონდა უფლება მოეთხოვა, რაც სურდა მისი ცოლისაგან. ერთ ვერსიაში ნათქვამია, რომ მან დაუბრუნა ქმარს ყველაფერი, გარდა თავსაბურავისა. სხვა ვერსიაში კი, ‘უსმანის გადაწყვეტილებით,[112] ქმარს შეეძლო მოეთხოვა ყველაფერი, რასაც ცოლი ფლობდა. თუმცა, სხვა შემთხვევებიც არის დასახელებული: დუბა‘ა ბინთ

---

[111] მოხსენიებულია, რომ მის განქორწინებას ადგილი ჰქონდა 35/655-56 წელს.

[112] ‘უსმანის გადაწყვეტილება უფრო ამძიმებდა ქალის მდგომარეობას, ვიდრე ეს მუჰამადმა გააკეთა. მაგრამ შესაძლოა ასეთი მძიმე პირობა დაანესა იმისათვის, რომ აეძულებინა ცოლი – დარჩენილიყო ქმართან.

'ამირმა (ბანუ 'ამირ ბ. ḥა'ḥა') სთხოვა თავის მეორე ქმარს გაყრა, რომლითაც მან დააჯილდოვა ის. აქ არ არის აღნიშნული, რომ დუბა'ამ გადაუხადა ქმარს რაიმე, იმის მიუხედავად, რომ ის მდიდარი ქალი იყო [8,VIII,153].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ ჰადისებში არ არის კვალი ნინაისლამური განქორწინების ფორმისა, როცა ცოლს ჰქონდა მეტი თავისუფლება გაყროდა თავის ქმარს: ნათქვამია, რომ ის ცვლიდა თავისი კარვის შესასვლელის მიმართულებას და ამით აჩვენებდა ქმარს – დაეტოვებინა ის. თუმცა, შესაძლოა, ეს წესი გავრცელებული იყო მხოლოდ ბედუინთა ტომებში და იმ შემთხვევებში, როცა ქმარი ქორწინდებოდა ცოლის გვარში [347,132].

როდესაც საუბარია ქალთა მიერ გაყრის მიღებაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის მეთოდი, რომელსაც მიმართავდა ზოგიერთი ტომის ქალი მუჰამადთან ქორწინებისას. ამ ყველა შემთხვევაში, ისინი მოითხოვდნენ თავისუფლება მიეღოთ არა ქორწინების შემდეგ, არამედ მის დასრულებამდე. ისინი აღწევდნენ ამას ფორმულით „ა'უზუ ბი-ლ-ლაჰი მინქა" – „ვეძებ შენგან მფარველობას ალაჰთან" ან „ღმერთო დამიფარე მისგან". ამის შემდეგ მუჰამადი განცალკევდებოდა და ქორწინებები არ სრულდებოდა. ყველა ქალი ნარმოთქვამდა ამ ფორმულას. თუმცა გარემოებები, რომლებშიც ისინი იყენებდნენ ამ ფორმულას, გაურკვეველია. ორ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ 'ა'იშამ ან მუჰამადის სხვა ცოლმა ურჩია მათ ამ ფორმულის გამოყენება [372,64].

ფაქტები ადასტურებენ, რომ ეს ფორმულა ცნობილი იყო მექელებისათვის და ქილაბის ტომის ქალებისთვის სამხრეთ მექაში და შესაძლოა, სხვა ტომებისათვისაც მექისა და მედინას გარეუბნებში. სხვა ალტერნატივა მხოლოდ ისაა, რომ ის გამოიგონეს 'ა'იშამ ან მოციქულის სხვა ცოლებმა, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ წარმატებას მიაღწევდნენ და მუჰამადი გაცილდებოდა ამ ქალებს. მუჰამადის რეაქციიდან გამომდინარე, აღნიშნული ფორმულა ცნობილი იყო მისთვის. არაბი ისტორიკოსის ალ-ბალაზურის თანახმად, ეს იყო ფორმულა შაიტანისაგან დასაცავად [5,459; 108,262,შენ. 106].

ყურანში არის დამოწმება, რომ ხშირი იყო გაყრა ქორწინების დასრულებამდე. *„და თუ თქვენ გაეყრებით ცოლებს იქამდე, ვიდრე შეიცნობთ*[113] *მათ, მაგრამ უკვე დაადგინეთ ვალდებულება, მაშინ გადაუხადეთ ნახევარი დადგენილისა და შეგიძლიათ [არ გადაუხადოთ საერთოდ], თუ ისინი გაპატიებენ ან გაპატიებს ის, ვინც*

[113] ვიდრე გაიყოფდით მათთან საქორწინო სარეცელს.

ფლობს საქორწინო ხელშკრულებას. და თუ თქვენ [ქმრები] სთხოვთ პატიებას, მაშინ ეს უფრო ახლოსაა ღვთისმოსავობასთან" [2:237].

33:49 აიას თანახმად: *„ო, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! თუ თქვენ ცოლად მოგყავთ მორწმუნე ქალები, ხოლო შემდეგ განქორწინებას აძლევთ მათ იქამდე, ვიდრე გაიყოფდით მათთან საქორწინო სარეცელს, მაშინ ისინი არ არიან ვალდებული დაიცვან 'იდდა. უზრუნველყავით ისინი და გაუშვით სიკეთით".*

ყურანის ამ მითითებებში ხაზგასმულია, რომ თუ განქორწინება მოხდებოდა ქორწინების დასრულებამდე დე-ფაქტო, ქალი იღებდა ნახევარს იმ მაჰრისა, რომლის ოდენობაც განსაზღვრული იყო საქორწინო ხელშეკრულებით. ხოლო თუ ქმარს გადახდილი არ ჰქონდა მაჰრი, მაშინ უნდა აენაზღაურებინა ის – გადაეხადა კომპენსაცია და არა მაჰრი. ამასთან ასეთი ქორწინების დროს ქალს არ მოეთხოვებოდა 'იდდაც (თავშეკავების პერიოდი). ჩვენს მიერ განხილულ მაგალითებში ერთადერთი შემთხვევაა დასახელებული ასმა' ბინთ ან-ნუ'მანთან დაკავშირებით, როცა ზარალის ანაზღაურება მოხდა [8,VIII,143-147]. მოთხრობილია, რომ მუჰამადმა უბრძანა აბუ ასიდს, რომელმაც ჩამოიყვანა ასმა' მოციქულისათვის – დაებრუნებინა ის თავის ხალხთან და მიეცა საჩუქარი ან გაყრილი ქალის კომპენსაცია – 2 ნაჭერი ბამბის ქსოვილი. აქვე არის დაცული ინფორმაცია, რომ მუჰამადმა შესთავაზა ასმა'ს მაჰრი – 12 უკიია[114]. ამ შემთხვევაში მუჰამადი ვალდებული იყო გადაეხადა დადგენილის ნახევარი, თუმცა მას შეიძლებოდა დამატებით გადაეცა ბამბის ქსოვილი.

ყურანში ნათლად არის მითითებული, რომ დაუსრულებელი ქორწინების დროს 'იდდა არაა აუცილებელი. შესაბამისად განცხადება, თითქოს ქილაბის ტომის ქალებმა მუჰამადთან განქორწინების დროს შეასრულეს ეს ვალდებულება, არ უნდა იყოს სწორი. ყურანის კომენტატორის, იბნ ქასირის თანახმად, ყველა მეცნიერი ეთანხმება ერთმანეთს, რომ ქალმა ქორწინების დასრულებამდე გაყრის შემთხვევაში, არ უნდა შეასრულოს თავშეკავების ვადა. მას ნება ერთვება მაშინ გათხოვდეს, როცა მოესურვება [47].

„ტალაკ"[115] – არის განქორწინების ყველაზე გავრცელებული ფორმა ისლამში. ქმარი ათავისუფლებს ცოლს ყოველგვარი

---

[114] 1 უკიია = 37, 44 გრ.

[115] „ტალაკ" – ქმარი მოწმეთა თანდასწრებით წარმოთქვამს გაყრის ფორმულას: „ანთი ტალაკ", რაც ნიშნავს „თავისუფალი ხარ" [246,86-91; 382,IV,15-27; 87,78-80].

ცოლ-ქმრული ვალდებულებისაგან გაყრის განსაკუთრებული ფორმულის („ტალაკ") წარმოთქმით [325,564-66].

ტერმინი – *„ტალაკ"* გაჩნდა წინაისლამურ პერიოდში[116]. ტერმინი *„ტალლაკა"* იყო გამოყენებული, რათა აღენიშნათ გაყრა იმ შემთხვევებში, როცა ქორწინება არ იყო დასრულებული. ის ამ მნიშვნელობით გვხვდება ზემოთ განხილულ აიებში – 2:237 და 33:49, აგრეთვე გადმოცემებში 'ა'იშასთან დაკავშირებით, რომელიც დანიშნული იყო ჯუბაირ ბ. მუტ'იმზე [8,VIII,58] და დაშორდა მას. ის ასევე მოხსენიებულია მუჰამადის ქალიშვილების (რუკაიია და უმმ ქულსუმი) ბიოგრაფიაში, როცა ისინი გაეყარნენ აბუ ლაჰაბის ვაჟიშვილებს [8,VIII,36-37].

გამოიყენება აგრეთვე ტერმინი *„ფარაკა"*, როცა საქმე ეხება განქორწინებას ქორწინების დასრულებამდე. მაგალითად, მუჰამადის ქორწინების დროს გარკვეული ტომის ქალებთან ან როცა 'აბდ არ-რაჰმან ბ. აზ-ზუბაირი გაეყარა თამიმა ბინთ ვაჰბს იქამდე, ვიდრე დაასრულებდა ქორწინებას [8,VIII,457]. ეს ტერმინი, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა რეალური განცალკევების აღსანიშნავად. ძნელია აგრეთვე ითქვას, რა ეტაპზე გამოიყენებოდა ტერმინი *„რადდა ნ-ნიქაჰ"*. როგორც ჩანს, ის გამოიყენებოდა ქორწინების დასრულებამდე და შესაძლოა, გულისხმობდა დროს – საქორწინო ხელშეკრულებიდან მის რეალურ დასრულებამდე. ის გამოყენებულ იქნა ზაინაბ ბინთ 'უსმან ბ. მა'ზუნთან დაკავშირებით, როცა მისმა ბიძამ გაათხოვა ის. ამაზე პროტესტი გამოხატეს მან და მისმა დედამ. ამბობენ, რომ მათ მიმართეს მუჰამადს და მან გააუქმა ეს ქორწინება [8,VIII,269]. საინტერესოა შევნიშნოთ, რომ ტრადიციაში, რომელიც უკავშირდება ამინა ბინთ 'აფფანს, გამოიყენება ტერმინი ტალლაკა [8,VIII,269]. *„რადდა ნ-ნიქაჰ"* გამოიყენება ტრადიციაში, რომელიც ეხება ხანსა' ბინთ ხუზამს [8,VIII,456]. ის იყო ქვრივი და მამამ გაათხოვა შეთანხმების გარეშე. ხანსა'ს არ მოეწონა საქმრო და მუჰამადმა გააუქმა ეს ქორწინება. ბოლოს, ეს ტერმინი გვხვდება ჰაფსა ბინთ 'აბდ არ-რაჰმანის (აბუ ბაქრის შვილიშვილის) ბიოგრაფიაში, როცა მისმა მამიდამ – 'ა'იშამ, მამის არყოფნის დროს, გაათხოვა თავისი ძმისშვილი, მაგრამ მამამ დაბრუნებისას გააუქმა ქორწინება [8,VIII,468-469]. ამ ტერმინს შესაძლოა ჰქონდა მექური წარმოშობა [347,136] და თანდათან ხმარებიდან გამოვიდა. ტერმინმა – *„ტალლაკა"* შეცვალა ის კანონიერი განქორწინების მნიშვნელობით.

---

[116] მაგრამ არ არის მოხსენიებული იმ დროს სამჯერ მისი წარმოთქმის შესახებ.

გაყრის თაობაზე ყველაზე საკამათო საკითხი ჰადისებში არის ფᾶტიმა ბინთ კაისის (ბანუ მუჰᾶრიბ ბ. ფიჰრ) შემთხვევა [8,VIII,273-75]. ის იყო აბუ 'ამრ ბ. ჰᾶფᾔის ცოლი (მახზუმის გვარი). ფᾶტიმას გადმოცემით, საკითხი ეხება იმას, იყო თუ არა ქმარი ვალდებული უზრუნველეყო ის საცხოვრებლით და საარსებო საშუალებებით (*სუქნᾶ ვა-ნ-ნაფაკა*) გაყრის შემდეგ. იბნ ჰᾶნბალთან მოცემულია 20 და იბნ სა'დთან – 6 ტრადიცია ამ საკითხზე. იბნ სა'დის თანახმად, ფᾶტიმა მივიდა მუჰᾶმადთან და მოითხოვა, რომ მის ქმარს უზრუნველეყო ის. მოციქულმა წარმოთქვა: ამის ვალდებულება არა აქვს „იმას, ვინც არ იბრუნებს უკან თავის ცოლს". ეს არის იმათთვის, ვისი მისამართითაც მესამე „ტალᾶკ" იქნა წარმოთქმული. ზოგან ნათქვამია, რომ ფᾶტიმას მიეცა საცხოვრებელი და საზრდო, მაგრამ ტყუილი თქვა. იბნ ჰᾶნბალის თანახმად, მან მიიღო 5 კალათი ან სანყავი ქერი ან 5 ფინიკი ან უბრალოდ მოხსენიებულია ქერი [11,VI,413].

მუსლიმი სამართლისმცოდნეები არაბულ სიტყვას – *„სუქნᾶ"* თარგმნიან, როგორც „საცხოვრებლის უფლებას". *„ნაფაკა"* – არის უზრუნველყოფა.

ფᾶტიმა ბინთ კაისი გვიყვება, რომ „მისი ქმარი ნავიდა, მაგრამ თავის არყოფნაში წარმომადგენელი გამოაგზავნა მასთან. მან ფᾶტიმას შესთავაზა მატერიალური დახმარება (ფინიკი, ქერი ან ფული), მაგრამ მან უარყო (შესაძლოა, ეცოტავა). წარმომადგენელმა შეახსენა, რომ ყოფილი ქმარი არ იყო ვალდებული არაფერზე. ამის შემდეგ ფᾶტიმა წავიდა მოციქულთან, რომელმაც დაუდასტურა ეს. შემდგომ მოციქულმა უთხრა, რომ დაეტოვებინა თავისი ყოფილი ქმრის ნათესავის სახლი და მოანესრიგა ყველაფერი, რათა გაეტარებინა 'იდდა სხვაგან. თავდაპირველად შეარჩია ერთ-ერთი ქალი მიმდევარის სახლი, მაგრამ შეცვალა გადაწყვეტილება, რადგანაც იცოდა, რომ მას ხშირად სტუმრობდნენ მამაკაცები. ბოლოს ფᾶტიმამ დაასრულა 'იდდა უმმ მაქთუმის სახლში, რადგანაც მისი ვაჟი ბრმა იყო და ის განცალკევებული იქნებოდა მამაკაცებისგან" [257,319-320]. ალ-ბუხᾶრისთან მოტანილია ჰადისი, რომლის თანახმადაც მოციქულმა ნება დართო ფᾶტიმა ბინთ კაისს გადასულიყო ქმრის სახლიდან განსაკუთრებული მიზეზით – ის ცხოვრობდა უკაცრიელ ადგილას და მას სურდა დაეცვა ქალის უსაფრთხოება [6,III,175]. იბნ სა'დის თანახმად, ფᾶტიმამ დაკარგა თავისი უფლება „სუქნაზე"[117], თავისი ურჩობით ქმრისადმი გაყრამდე [8,VIII,274].

---

[117] სავსებით შესაძლებელია, რომ ფᾶტიმას მტკიცება – მუჰᾶმადმა ნება არ დართო მოეთხოვა ქმრისაგან უზრუნველყოფა, სნორია თვითონ მუჰᾶმადის

ფატიმას შემთხვევაში, ეს იყო საბოლოო გაყრა. აქ გამოყენებულია ტერმინი *„ტალლაკაჰა ალ-ბათთა“* – ნამდვილად, აუცილებლად.

ყურანის მიხედვით, *'იდდა* – თავშეკავების პერიოდი გაყრილი ქალისათვის, 3 თვეა [254,445]. ფატიმას შემთხვევაში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიაა, რადგანაც თუ ის მართალი იყო, ეს არ ეთანხმება არც ჰადისების შინაარსს და არც ყურანის 65:1 აიას, რომლის თანახმადაც ქალმა არ უნდა დატოვოს სახლი 'იდდას დასრულებამდე. *„ო, მოციქულო, როცა თქვენ [მუსლიმები] აძლევთ ცოლებს გაყრას, გაეყარეთ მათ დადგენილი ვადის ['იდდა] შესაბამისად და დაიწყეთ ვადის ათვლა და გეშინოდეთ ალაჰისა.*[118] *არ გაადგოთ [გაყრილი ცოლები] მათი საცხოვრებლიდან*[119] *და დაე, ისინი დარჩნენ იქ, თუ მხოლოდ ისინი არ ჩაიდენენ აშკარა მრუშობას*[120]*, ასეთია დადგენილება ალაჰისა“*[65:1].

ქვრივებისათვის 'იდდას პერიოდი იყო 4 თვე და 10 დღე, თუმცა მითითება ამის თაობაზე არ არის არც ჰადისებში და არც ყურანში. აღნიშნული წესი არ იყო მუჰამადის მხრიდან სიახლე, მაგრამ მუჰამადმა დააკანონა ეს პრაქტიკა საკვადზე ქორწინების დროს, რომელიც ქვრივი იყო მექაში. ამ შემთხვევაში ტერმინი 'იდდა არ გამოიყენება, მაგრამ მოთხრობილია, რომ მუჰამადმა იქორწინა მასზე, როცა „ის დასაშვები [ნებადართული] იყო მისთვის“ –

პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე. მოციქულს არ უზრუნველყვია სხვადასხვა ტომის ქალები, რომლებსაც ის გაეყარა. თუმცა მათ შემთხვევაში ქორწინება არ იყო დასრულებული. ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ ფატიმასთან მიმართებაში მუჰამადმა გამოიტანა ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რადგანაც მისი ქმარი მედინაში არ იყო და მისმა ოჯახმა უარი განაცხადა დახმარებაზე. ფატიმას შემთხვევაში რეალურ პრობლემას წარმოდგენდა ის, რომ მისივე განცხადებით, მას არ შეეძლო შეესრულებინა თავისი 'იდდა.

[118] *'იდდა* – თავშეკავების ვადა „დადგენილია ქალების, მამაკაცებისა და ახლადდაბადებული ბავშვების ინტერესების გამო და საქორწინო ცხოვრების კანონების შესაბამისად და პასუხობს ხალხთა ცივილიზებული საზოგადოების მოთხოვნას. პარტნიორებმა სერიოზულად უნდა მოიფიქრონ და იხელმძღვანელონ შიშით ალაჰის წინაშე“ [33, გვ.1562, შენ. 5506].

[119] რამდენადაც ისლამი გათხოვილ ქალს განიხილავს ყველა ურთიერთობებში, როგორც იურიდიულ პირს, მას აქვს უფლება თავის სახლზე ან საცხოვრებელზე. ეს ეხება დანახარჯებსაც (გონივრულ საზღვრებში) ამ სახლზე ან საცხოვრებელზე, აგრეთვე მისი და მისი ბავშვების კვებაზე. ეს ეხება არა მარტო თანაცხოვრების პერიოდს, არამედ 'იდდასაც, რომელიც არის მძიმე პერიოდი ქალისათვის. ამ დროს არ შეიძლება მისი გაშვება სახლიდან. არასწორია, თუ ის თვითონ წავა, რადგანაც ეს ართულებს შერიგებას [33, გვ.1562, შენ. 5507].

[120] გადმოცემით, „ფაჰიშა“ აქ ნიშნავს ღალატს, ნათესავების შეურაცხყოფას, ან დაუმორჩილებლობას ქმრისადმი [47].

მას დასრულებული ჰქონდა თავშეკავების ვადა [8,VIII,53]. მეორე მხრივ, ეს ტერმინი იხმარება ჭაფსასთან მიმართებაში, რომელთანაც მუჰამადის ქორწინება მოხდა ჰიჯრის შემდეგ მედინაში. ჭაფსა იყო ქვრივი და მან დაასრულა თავისი „თავშეკავების" პერიოდი [8,VIII,83]. მექაში, სავდას შემთხვევის გარდა, ამ ჩვეულების შესახებ სხვა მოხსენიება არ არის. შესაძლოა, რომ ეს იყო მედინური ტერმინი, მიღებული და შეთვისებული მუჰამადის მიერ [347,141]. უნდა აღინიშნოს, რომ მოციქული – საფიიაზე, ჯუვაირიიაზე და რაიჰანაზე ქორწინების დროს, არ დაელოდა 'იდდას შესრულებას. საფიიამ და ჯუვაირიამ დაკარგეს ქმრები მუსლიმთა თავდასხმის დროს, რასაც მოჰყვა მათი დატყვევება და შემდგომ მოციქულმა იქორწინა მათზე.

იბნ სა'დის თხზულებაში არის ცალკე თავი სათაურით: „მოციქულის ცოლების თავშეკავების პერიოდი" [8,VIII,195]. ტრადიციებში მოხსენიებულია, რომ მუჰამადმა დააწესა გლოვის ვადა ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში 3 დღე, ხოლო ქვრივების შემთხვევაში - 4 თვე და 10 დღე. ჯაჰილიიას პერიოდში იყო 1 წელი. გადმოცემით, ალაჰის მოციქულმა თქვა: „ქალმა, რომელსაც სნამს ალაჰის და განკითხვის დღის, არ უნდა იგლოვოს გარდაცვლილი ნათესავი 3 ღამეზე მეტი, მხოლოდ ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში – 4 თვე და 10 დღე" [6, III,176].

ქვრივთან დაკავშირებით 'იდდას დანესება უკავშირდება ფურაი'ა ბინთ მალიქს (ხაზრაჯის ტომი). ის გათხოვდა საჰლ ბ. რაფი'აზე (იმავე ტომიდან). მისი ქმარი მოკლულ იქნა და ფურაი'ა დაქვრივდა. ის დარჩა საცხოვრებლის და საარსებო საშუალებების გარეშე, რადგანაც ქმარს არაფერი არ დაუტოვებია [8,VIII,366-68]. ის მივიდა ალაჰის მოციქულთან, რათა ნება დაერთო დაბრუნებოდა თავის ოჯახს. თავდაპირველად მუჰამადი დაეთანხმა, მაგრამ შემდეგ გამოიძახა ფურაი'ა და უთხრა, რომ ის უნდა დარჩენილიყო იმ ადგილას, სადაც შეიტყო ქმრის სიკვდილი იქამდე, ვიდრე ის დაასრულებდა თავის ვადას – 'იდდას [11,VI,370]. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისთვის ქმრის ნათესავებს უნდა მიეცათ საკვები, ვიდრე დაასრულებდა დაწესებულ ვადას. თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა ფატიმა ბინთ კაისის შემთხვევას, როცა მოციქულმა არ მიუთითა ამის თაობაზე. ეს იმას არ ადასტურებს, რომ ფატიმას განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა. შესაძლებელია, მუჰამადმა ძალა ვერ დაატანა ქმრის ოჯახს, ქმარი კი მედინაში არ იყო. ამასთან, ფატიმას ქმრის ოჯახიც ეკუთვნოდა მახზუმის გვარს, მექის კურაიშის ტომს, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეთვისებული 'იდდას ჩვეულება. ფურაი'ა მედინელი იყო და 'იდდა უფრო მედინაში

იყო პრაქტიკაში, ვიდრე მექაში. ამდენად, მუჰამადის გადაწყვეტილებას – ფურაი'ა დარჩენილიყო თავისი ქმრის ნათესავებთან, არ შეხვდა წინააღმდეგობა მათი მხრიდან [236,430-45]. შემდგომში „ამ ჰადისის შესაბამისად იქცეოდა მრავალი მოციქულის სწავლული მიმდევარი და არა მხოლოდ ისინი. თვლიდნენ, რომ ქვრივი არ უნდა ნავიდეს ქმრის სახლიდან 'იდდას ვადის დასრულებამდე. მაგრამ მოციქულის ზოგიერთი კომპანიონი მიიჩნევდა, რომ ქვრივმა შეიძლება იქ იცხოვროს, სადაც ისურვებს. მაგრამ პირველი აზრი უფრო სანდოა" [53,3/1204].

სა'იდ ბ. ალ-მუსაიბი გადმოგვცემს: პილიგრიმობის დროს ზოგიერთ ქალს უკვდებოდა ქმარი და 'უმარ ბ. ალ-ხატტაბი მიუთითებდა, რომ ისინი წასულიყვნენ სახლში ზუ-ლ-ჰულაიფადან[121], რათა 'იდდას დროს ყოფილიყვნენ ქმრის სახლში [130,207].

იბნ 'უმარმა თქვა: „ქალს, რომელსაც აქვს „თავშეკავების პერიოდი", გაყრის ან დაქვრივების გამო, არა აქვს უფლება გაატაროს თავისი სახლის გარეთ თუნდაც ერთი ღამე" [130,207]. თუ ქვრივს თავი თვითონ უნდა შეენახა და არავინ იყო, ვინც უზრუნველყოფდა, მაშინ მას ჰქონდა უფლება დღისით გასულიყო სახლიდან, რათა თავისი შრომით მოეპოვებინა საარსებო საშუალება, მაგრამ ვალდებული იყო ღამე თავისი ქმრის სახლში გაეტარებინა [130, 209]. რაც შეეხება მომთაბარე ტომებს, იქაც ქვრივი სახლში უნდა დარჩენილიყო 'იდდას დროს, მაგრამ თუ მისი ტომი გადადიოდა სხვა ადგილას, მას შეეძლო მათთან ერთად წასვლა.

ჩვეულებრივ, გაყრილისათვის 'იდდა გრძელდება 3 მენსტრუაციული პერიოდი (კურუ'), ან 3 კალენდარული თვე. ამ დროს გაირკვევა, არის თუ არა ის ფეხმძიმედ, თუ არის მაშინ 'იდდა გაგრძელდება ბავშვის დაბადებამდე.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, არის ის, რომ მუჰამადმა ქვრივს – ას-სუბა'ია ბინთ ალ-ჰარიṯ ალ-ასლამიიას – ნება დართო ხელახლა გათხოვილიყო ბავშვის დაბადების შემდეგ. ეს იყო 'იდდას დასრულებამდე [8,VIII,287-288;11,VI,432]. ამ გადაწყვეტილებიდან ნათლად ჩანს, რომ მუჰამადის მითითება 'იდდას თაობაზე გამოწვეული იყო პრაქტიკული თვალსაზრისით, რათა ბიოლოგიური მამის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული ბავშვი არ ჩაეთვალათ მეორე ქმრის შვილად. მეორეს მხრივ, ეს არ ეთანხმება იმ განცხადებას, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალმა უნდა იგლოვოს 4 თვე და 10 დღე. ტრადიციებში მოთხრობილია, რომ იბნ 'აბბასს და აბუ ჰურაირას დაუსახელეს სუბა'იას შემთხვევა და აზრი ჰკითხეს იმ ქალის

---

[121] მდებარეობს მედინის სამხრ.დას.-ით (10 კმ.-ის მანძილზე).

სტატუსის შესახებ, რომლის ქმარიც გარდაიცვალა. იბნ 'აბბასმა თქვა, რომ ქალს შეეძლო გათხოვება ხელახლა მას შემდეგ, რაც 2 თვე გავიდოდა. აბუ ჰურაირამ თქვა: როგორც კი შობს ბავშვს. იბნ <აბბასი გულისხმობდა, რომ თუ ბავშვს დაბადებდა 'იდდას დასრულებამდე, ის კიდევ უნდა დალოდებოდა ვადის გასლას. მაგრამ თუ ამ პერიოდის ('იდდა) დასრულებისას ის ჯერ კიდევ ფეხმძიმე იყო, მას უნდა დაეცადა იქამდე, ვიდრე ბავშვი დაიბადებოდა [347,143]. სუბა'იამ გააჩინა ბავშვი ქმრის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ და მოციქულმა ნება დართო ხელახლა გათხოვილიყო.

ზემოთ განხილული ჰადისები მოწმობს, რომ 'იდდა შემოღებულ იქნა ძირითადად ქალის გაყრასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ 'იდდას, როგორც წესის დამკვიდრებასთან, მუჰამადს წინააღმდეგობები შეხვდა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ეკონომიკური მიზეზებით, რადგანაც გაყრილი ქალის შემთხვევაში, მის ყოფილ ქმარს უნდა შეენახა ის 'იდდას პერიოდში, თუ ის ფეხმძიმედ იყო. ხოლო ქვრივის შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, თუ ის არ მიიღებდა მემკვიდრეობას. მაგრამ ძნელი იყო პასუხისმგებლობის დაკისრება ქალის შენახვაზე ქმრის ოჯახისთვის [347,144].

ყურანის 2:240 აიას შესაბამისად: *„და თუ რომელიმე თქვენგანი გარდაიცვლება და დატოვებს ცოლებს, მაშინ უნდა უანდერძოთ,*[122] *რომ ისინი შეინახონ 1 წლის განმავლობაში და არ გააძევონ [თქვენი] სახლიდან, და თუ ისინი დატოვებენ [თქვენს სახლს] მაშინ თქვენზე არ არის ცოდვა იმის გამო, რასაც ისინი მოიმოქმედებენ, წესის შესაბამისად“.*

ყურანის კომენტატორთა აზრით, ქვრივის ყოფნა გარდაცვლილი ქმრის სახლში საჭირო იყო განსაკუთრებით მაშინ, როცა ის არაფერს არ იღებდა მისგან მემკვიდრეობით. ამ შემთხვევაში მას შეეძლო იქ დარჩენილიყო ერთი წელი, თუ ამ დროის მანძილზე ხელახლა არ გათხოვდებოდა [19, I,129]. ალ-ბუხარი ხაზს უსვამს, რომ ქალს უფლება აქვს დარჩეს 7 თვე და 20 დღე ქმრის ნათესავებთან, ქმრის სურვილის და ანდერძის შესაბამისად. მაგრამ ქვრივს უფლება აქვს დარჩეს უფრო მეტი დრო, ან წავიდეს ქმრის სახლიდან [6,III,181].

მოციქულის ცნობილი მიმდევრები – 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'უმარი, 'ა'იშა, უმმ სალამა და სხვები ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ გლოვა აუცილებელია ქალისათვის, რომელსაც გარდაეცვალა ქმარი. არც ერთი მითითება არ არის იმის თაობაზე, რომ მოციქულის

---

[122] მეორე სურა ადრეული მედინური სურაა. ანდერძი შემდეგ შეიცვალა აიებით მემკვიდრეობაზე, სადაც საუბარია მემკვიდრეობიდან ქვრივის კონკრეტულ ნილზე.

მიმდევრებიდან ვინმე არ ეთანხმებოდა ამ აზრს და ამიტომ ის საეალდებულოა მთელი მუსლიმური თემისათვის.

გლოვის ვადა ემთხვევა 'იდდას პერიოდს, რათა გაირკვეს ფეხმძიმედ არის თუ არა ქალი. ყურანი მიუთითებს: *„და ისინი თქვენგან, ვინც გარდაიცვლებიან და დატოვებენ ცოლებს, მათ [ცოლებმა] უნდა დაიცადონ [ხელახლა გათხოვებამდე] 4 თვე და 10 დღე"* [2:234].

ყურანის კომენტატორთა აზრით, ქვრივს არ შეუძლია ხელახლა გათხოვება ამ დროის გასვლამდე, რადგანაც აუცილებელია დადგინდეს, ელოდება თუ არა ბავშვს. ქვრივისათვის „თავშეკავების ვადა" შეადგენს ან 4 თვეს და 10 დღეს ან ეს ვადა გადის ბავშვის დაბადების შემდეგ, თუნდაც ეს მოხდეს (ქმრის) სიკვდილიდან 130 დღეზე მეტი ხნის შემდეგ. თუ ბავშვი დაიბადება უშუალოდ ქმრის სიკვდილისთანავე, 'იდდა წყდება ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმური სამართლის მიხედვით, 'იდდა ქვრივისათვის უფრო მეტია, ვიდრე გაყრილი ქალისათვის. ამით გამოიხატება მისი პატივისცემა გარდაცვლილისადმი [4,51].

მუჰამადს, როგორც ჩანს, განქორწინებასთან დაკავშირებული მითითებების დამკვიდრებასთან დაკავშირებით მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა. 'უსმან ბ. 'აფფანის ნახევარდა, უმმ ქულსუმ ბინთ 'უკბა თავისი ქმრის — ზაიდ ბ. ჰარისის გარდაცვალების შემდეგ გათხოვდა აზ-ზუბაირ ბ. ალ-'ავვამზე [8,VIII, 230-31], რომელიც უხეში იყო თავისი ცოლების მიმართ. უმმ ქულსუმმა სთხოვა გაყრა და ბოლოს მან წარმოთქვა ერთი *ტალაკ* მის წინააღმდეგ. უმმ ქულსუმი ნავიდა და მოგვიანებით ქმარმა შეიტყო, რომ მან დაბადა ბავშვი. აზ-ზუბაირმა განაცხადა, რომ ცოლმა მოატყუა ის. მუჰამადმა ურჩია, უკან მიეღო ცოლი ყურანის მითითებათა შესაბამისად, მაგრამ მან უარი თქვა. ყურანის 2:228 აია პირდაპირ მიუთითებს, რომ გაყრილმა ქალმა არ უნდა დამალოს, რომ ის ფეხმძიმედაა გაყრის შემდეგ და ქმარს შეუძლია დაიბრუნოს ცოლი. ამასთან მითითებულია, რომ ფეხმძიმობის პერიოდში ქმარმა უნდა შეინახოს ის ბავშვის დაბადებამდე [312,31;198,62]. *„თუ ისინი ფეხმძიმედ არიან, შეინახეთ ისინი, ვიდრე იმშობიარებენ, და თუ ისინი კვებავენ [ძუძუთი] თქვენს ბავშვებს, გადაუხადეთ მათ და მოითათბირეთ ერთმანეთში კეთილად, და თუ ვერ მოითათბირებთ ერთმანეთში კეთილად, მაშინ მოიწვიეთ ძიძა"* [65:6].

საინტერესოა, თუ ვისთან რჩებიან ბავშვები გაყრის შემდეგ?

ყურანმა დააკანონა, რომ გაყრისას ბავშვები რჩებიან მამასთან, თუმცა ორი წლის ასაკამდე დედამ უნდა გამოკვებოს ბავშვები [2:233].

იბნ სა'დთან არის გადმოცემა, რომ აზ-ზუბაირ ბ. ალ-'ავვამი გაეყარა ასმა' ბინთ აბი ბაქრს და წაიყვანა მისი ვაჟი 'ურვა, რომელიც მაშინ პატარა იყო [8,VIII,253]. ძნელია ითქვას, ეს ეხება გაყრას, როცა ერთი „ტალაკ" არის წარმოთქმული, თუ საბოლოო გაყრას. მაგრამ ამბობენ, რომ აზ-ზუბაირმა ამის შემდეგ მრავალ ქალთან იქორწინა.

ერთხელ გაყრილი ქალი მივიდა ალაჰის მოციქულთან და უთხრა: „ჩემი ბავშვი ჩემი გაზრდილია, მაგრამ ბავშვის მამას უნდა წამართვას ის". მოციქულმა მიპასუხა: „ვიდრე არ გათხოვდები სხვაზე, შენ მეტი უფლება გაქვს ბავშვის აღზრდაზე". ეს ჰადისი უჩვენებს, რომ დედას აქვს ბავშვის აღზრდის უპირატესი უფლება გაყრის შემდეგ და ეს უფლება უნარჩუნდება მას ხელახლა გათხოვებამდე. არის ასეთი ჰადისიც: „მოციქულ მუჰამადთან მივიდა გაყრილი წყვილი და მიიყვანეს ბავშვი, რომელიც თითოეულს სურდა თავისთან დაეტოვებინა. ალაჰის მოციქულმა შეისწავლა სიტუაცია, დასვა ერთი მშობელი ერთ მხარეს და მეორე მშობელი მეორე მხარეს. შემდეგ მივიდა ბავშვთან და ჰკითხა: „ხელი მოკიდე იმას, ვინც შენ გსურს". ბავშვი მივიდა დედასთან და ხელი ჩაავლო. ამის შემდეგ ბავშვზე უფლება მას გადაეცა და ორივე ერთად წავიდა" [91,290].

ამ ჰადისებზე დაყრდნობით, მუსლიმი თეოლოგები აკეთებენ დასკვნას, რომ დედამ უნდა აღზარდოს ბავშვი იმ ასაკამდე, ვიდრე შეძლებს შეგნებულ მოქმედებას. სამართლისმცოდნეთა განმარტებით, ბავშვი რჩება დედის მზრუნველობის ქვეშ, ვიდრე მიაღწევს 7 წლის ასაკს, ან სრულწლოვანებას[123] [272,142-43]. მაგრამ შესაძლოა, ეს წესი არ მოქმედებდა ადრეულ მუსლიმურ თემში ან შესაძლოა, ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტი იყო. ერთ-ერთი ჰადისის თანახმად, მოსამართლეს კენჭისყრით შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა[124].

განქორწინებასთან დაკავშირებით უნდა იქნეს დაცული შემდეგი პირობები:

1. არ შეიძლება ქმარი გაეყაროს ცოლს, როცა ის რიტუალურად უწმინდურ მდგომარეობაშია. ასეთ შემთხვევაში განქორწინე-

---

[123] შვიდი წლის ასაკში ბავშვს შეეძლო არჩევანი გაეკეთებინა, ვისთან დარჩენილიყო — დედასთან თუ მამასთან [269,143]. გოგონებისათვის სრულწლოვანებად ითვლება 9 წელი [321,7].

[124] მუსლიმური სამართლით, გაყრის შემდეგ ბავშვები რჩებიან მხოლოდ მამასთან. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მან სპეციალურად ანდერძში არ მიუთითა დედის უფლებაზე — მეურვეობის თაობაზე, ქალს არ შეუძლია იყოს თავისი შვილების მეურვე [171,38].

ბა ბათილად ითვლება[125] [269,120-121]. ალაჰმა თქვა: „ო, მოციქულო, როცა თქვენ [მუსლიმები] გაეყრებით ცოლებს, გაეყარეთ დადგენილ დროს და დაინყეთ ვადის ათვლა... "[65:1].

2. არ შეიძლება განქორწინების სპეციალური ფორმულის (ტალაკ) წარმოთქმა ერთდროულად სამჯერ. ის იკრძალება მოციქულის ჰადისით, რომელმაც თქვა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით: „ნუთუ შეიძლება თამაში ალაჰის წიგნით იმ დროს, როცა მე თქვენს შორის ვარ" [47]. სამჯერ „ტალაკ" უნდა წარმოითქვას და განხორციელდეს სხვადასხვა დროის მონაკვეთში, თუმცა მოციქულის დროს, აბუ ბაქრის და 'უმარის ხალიფობის პირველი ორი ნლის განმავლობაში არ იყო პრაქტიკაში ტალაკ-ის სამჯერ ერთდროულად წარმოთქმა, რადგანაც ის ითვლებოდა, როგორც ერთი და შესაბამისად, ქორწინების აღდგენა შეიძლებოდა [16,124].

მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, განქორწინების შემთხვევები გაიზარდა და 'უმარმა ცვლილება შეიტანა ამ წესში. სახელდობრ, ტალაკ-ის ფორმულის ერთდროული, უწყვეტი წარმოთქმა სამჯერ, კანონიერად გამოაცხადა და ეს იყო საბოლოო გაყრა, რადგანაც, გადმოცემით, ხალხს არ სურდა დაეცადა განქორწინების მისაღებად.[126]

3. თუ 'იდდას დროს მეუღლეები განაახლებენ ურთიერთობას, „ტალაკ" ბათილად ითვლება. 'იდდას დასრულების შემდეგ

---

[125] ეს ეფუძნება შემდეგ ჰადისს: 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'უმარი გაეყარა თავის ცოლს, როცა მას ჰქონდა მენსტრუაცია. მისმა მამამ, 'უმარ ბ. ალ-ხატტაბმა რჩევა ჰკითხა მოციქულს, რომელმაც თქვა: „უბრძანე მას (შენს ვაჟს) დაიბრუნოს ის უკან და დაიცადოს იქამდე, ვიდრე გაინმინდება. მერე დაიცადოს იქამდე, ვიდრე ექნება მეორე მენსტრუაციული პერიოდი და კვლავ განინმინდება. ამის შემდეგ თუ მას სურს დაიტოვოს, შეუძლია ასე მოიქცეს და თუ სურს გაყრა, შეიძლება გაეყაროს იქამდე, ვიდრე ექნება მასთან სქესობრივი ურთიერთობა. და ეს არის დასაშვები პერიოდი, რომელიც ალაჰმა განსაზღვრა ქალებისთვის, იგულისხმება განქორწინებისათვის" [59,14-15; 31,100,შენ.5].

[126] მუსლიმ სწავლულთა აზრით, 'უმარმა ეს გადაწყვეტილება მიიღო ექსტრაორდინალური შემთხვევების გათვალისწინებით. სახელდობრ, დაპყრობათა დროს მედინაში მრავალი ტყვე ქალი ჩამოყავდათ სირიიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ და არაბებს სურდათ მათზე დაქორწინება. მაგრამ აქ ქალებს თავის მხრივ არ სურდათ თანაცოლებთან ცხოვრება და ისინი ხშირად პირობას უყენებდნენ მამაკაცებს, რათა გაყოდნენ თავიანთ ცოლებს 3-ჯერ, რაც მათ უკან დაბრუნებას უკრძალავდა. თუმცა მათ არ იცოდნენ, რომ სამჯერ წარმოთქმა ერთდროულად ერთ *ტალაკ*-ს უტოლდებოდა. არაბები წარმოთქვამდნენ სამჯერ *ტალაკ*-ს, რათა დაერწმუნებინათ ეს სირიელი და სხვა ქალები, მაგრამ მერე იბრუნებდნენ უკან, რაც ინვევდა დაუსრულებელ კამათს. იმისათვის, რომ აღმოეფხვრა ეს სიძნელეები, 'უმარმა სამჯერ *ტალაკ*-ის ერთდროული წარმოთქმა საბოლოო გაყრად გამოაცხადა [218,127].

ცოლ-ქმარს შორის განმეორებითი ქორწინება მხოლოდ ჩვეულებრივი წესით (ზავაჯ) ხდება. გაყრის ფორმულის ერთჯერადი წარმოთქმა შეიძლება ანულირებულ იქნეს შერიგებით 'იდდას დროს. თუ შერიგება არ მოხდა, ან ფორმულა წარმოთქმულ იქნა ორჯერ, მაშინ ქორწინების აღსადგენად საჭიროა გამოსასყიდი ქმედებები განწმენდის ვადის დაცვით – მარხვის და მონყალების გაცემით; ყურანის თანახმად, „როცა თქვენ აძლევთ განქორწინებას ცოლებს, მაშინ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, დატოვეთ ისინი [თქვენთან] წესის თანახმად ან გაუშვით ისინი წესისამებრ. მაგრამ არ დააყოვნოთ ისინი იმ აზრით, რომ ავნოთ მათ, დაარღვიოთ [კანონი] და ის, ვინც ასე მოიქცევა, ჩაიდენს ძალადობას თავის მიმართ" [2:231].

ნათქვამია, რომ ეს აია გარმოვლენილ იქნა „როცა მა'კალ ბ. იასარის დას გაეყარა ქმარი. მან წარმოთქვა *„ტალაკ"* ერთხელ და თავშეკავების პერიოდში არ ნარმოუთქვამს *„ტალაკ"* მესამეჯერ, თუმცა როცა 'იდდა გავიდა, მან მოინანია თავისი მოქმედება და მოისურვა უკან დაებრუნებინა ცოლი. ამ უკანასკნელსაც სურდა დაბრუნებოდა თავის ქმარს, მაგრამ მისმა ძმამ არ მოინონა მისი გადაწყვეტილება. ამის შემდეგ იქნა გარდმოვლენილი ეს აია, რათა გაერკვია სიტუაცია" [13,253].

„გაყრის შესახებ ცხადდება ორჯერ, რომლის შემდეგაც ან უნდა შეინარჩუნოთ ცოლი წესისამებრ ან გაუშვათ ის ღირსეულად" [2:229]. ამ აიას გარდმოვლენის მიზეზი გახდა შემდეგი: ჯაჰილიიაში ქმარი აძლევდა თავის ცოლს გაყრას იმდენჯერ, რამდენჯერაც სურდა და ის კვლავ ხდებოდა მისი ცოლი, თუნდაც მიცემული ჰქონოდა გაყრა ასჯერ და მეტი ოდენობით. ერთხელ ქმარმა უთხრა თავის ცოლს: „ვფიცავ ალაჰს, მე არ მოგცემ შენ გაყრას, მაგრამ იცხოვრებ ჩემგან განცალკევებით. მე არასოდეს მოგცემ შენ გაყრას, მაგრამ ყოველთვის როცა გავა ვადა, დაგიბრუნებ შენ". ცოლი წავიდა და შეატყობინა მოციქულს. ის დუმდა, ვიდრე არ იქნა გარდმოვლენილი ყურანის აია [22,418,შენ.173].

4. *„ტალაკ"*-ის ფორმულის სამჯერ წარმოთქმის შემთხვევაში, ხელმეორედ შეუღლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ქალი სხვაზე გათხოვდება, მერე კი განქორწინდება (ან დაქვრივდება). ეს ქორწინება უნდა მოხდეს მაჰრის გადახდით, 'იდდას დაცვით და სხვ. [198,60].

ყურანში ნათქვამია, რომ მამაკაცს არ შეუძლია ხელახლა იქორწინოს თავის ცოლზე საბოლოო გაყრის შემდეგ, ვიდრე ეს ქალი ცხოვრობს სხვა მამაკაცთან. *„თუ ქმარმა მისცა ცოლს გაყრა [მესამეჯერ], მაშინ მას არ შეუძლია იქორწინოს მასზე, ვიდრე ის არ გათხოვდება სხვაზე. და როცა [ახალი ქმარი] გაეყრება მას, მაშინ ყოფილ მეუღლეებს ნება ეძლევათ დაუბრუნდნენ [ცოლ-*

ქმრულ ცხოვრებას] იმ პირობით, თუ მათ განზრახული აქვთ შეასრულონ ალაჰის მითითება. ეს არის – ალაჰის მიერ დადგენილი"[127] [2:230].

ყურანის დადგენილებები მიუთითებს, რომ თუ მამაკაცი გადაწყვეტს გაეყაროს ცოლს, ის უნდა გაეყაროს მას ღირსეულად [2:229]. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როცა ქორწინება არ იყო დასრულებული და მაჰრი არ იყო დადგენილი ქალისათვის [2:236]. მაგალითად, მუჰამადმა ასმა' ბინთ ალ-ნუ'მანს მისცა 2 ნაჭერი ბამბის ქსოვილი კომპენსაციის სახით. აქ გამოყენებულია ტერმინი *„მათთა'ა"* (აქ გადმოიცემა ზმნით - მათთა'ა) [8,VIII,146]. ეს ტერმინი არის ყურანის მითითებებში [2:241] და „არჩევანის აია"-ში [33:28]. არის კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა, სადაც ეს ტერმინია გამოყენებული: 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფი[128] გაეყარა თუმადირ ბ. ალ-აზბაღის – ბანუ ქალბის ბელადის ქალიშვილს [8,VIII, 298-300]. მან თუმადირს კომპენსაციის სახით მისცა შავი მონა. 'აბდ არ-რაჰმანი მდიდარი კაცი იყო და შეუძლებელია, რომ ადრეულ მუსლიმურ თემში ამგვარი კომპენსაცია ხშირი ყოფილიყო.

როგორც აღვნიშნეთ, ყურანი არ ადგენს იმ დახმარების ზუსტ ოდენობას, რომელიც ქმარმა უნდა გაუწიოს ცოლს განქორწინების შემდეგ. მასში უბრალოდ ნათქვამია: „შეძლებულს – თავისი ზომა, ღარიბს – თავისი ზომა" [2:236] ან „როგორც შეფერის ღვთისმოსავ ადამიანს" [2:241]. ამის გარდა, ყურანმა აუკრძალა ქმარს წაერთმია ცოლისათვის ის ქონება, რაც აჩუქა მას უკვე ქორწინების დროს [4:20,21].

რაც შეეხება მონა-ქალებს, მუჰამადმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გათავისუფლებულ მონა-ქალს უფლება ჰქონდა დაერღვია საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც მან დადო მონობის დროს. მოციქულმა ბარირას – 'ა'იშას მავლას გათავისუფლების შემდეგ მისცა არჩევანის უფლება: გაცილებოდა ქმარს ან ხელახ-

---

[127] ეს აია გარმოვლენილ იქნა 'ა'იშა ბინთ 'აბდ არ-რაჰმანთან დაკავშირებით, რომელიც გათხოვილი იყო რიფა'ა ბ. ვაჰბზე, თავის ბიძაშვილზე მამის მხრიდან. მან მისცა მას საბოლოო გაყრა და ის ამის შემდეგ გათხოვდა 'აბდ არ-რაჰმან ბ. აზ-ზუბაირზე, რომლისაგანაც მიიღო გაყრა. ის მივიდა მოციქულთან და უთხრა: „ჭეშმარიტად, მან მომცა გაყრა იქამდე, ვიდრე შემეხებოდა. შემიძლია დავუბრუნდე პირველ ქმარს? მოციქულმა უპასუხა: „არა, იქამდე, ვიდრე არ შეგეხება შენ ის". ამის გამო იქნა გარდმოვლენილი ეს აია" [22,I,419,შენ.176].

[128] მუჰამადის მითითებით, ის გაიგზავნა ქალბის ტომთან მოსალაპარაკებლად, რათა მათ მიეღოთ ისლამი.

ლა ექორწინა მასზე [8,VIII,859]. ბარირამ აირჩია გაყრა[129]. *'იდდა* აუცილებელი იყო მონა ქალისთვისაც, მაგრამ 4 თვის და 10 დღის ნაცვლად, მხოლოდ 2 თვე და 5 დღე გრძელდება. 3 კურუ'-ს (3 მენსტრუაციული პერიოდი) ან 1, 2 ან 3 თვის ნაცვლად, 1 ან 2 თვე [254,445; 199,1010-12].

ქალი შეიძლება გაეყაროს თავის ქმარს, თუ ის არ ჩანს (მაფკუ̄დ ალ-ხაბარ), რაც ნიშნავს, რომ ის გაუჩინარდა. არ არსებობს *შიკკ* (უთანხმოება), მაგრამ ქმარს არ შეუძლია ცოლ-ქმრული ვალდებულებების შესრულება. ყურანში ან ჰადისებში არ არის პირდაპირი მითითება, რამდენ ხანს უნდა ელოდოს ქალი ქმარს[130]. ალ-ბუხარ̄ისთან არის სპეციალური თავი – „მაფკუ̄დ" [40,13 /68:21]. თუმცა იქ არ არის მოციქულის ჰადისი. უშუალოდ ამ საკითხზე, მაგრამ დამოწმებულია იბნ მუსაიიბი, რომლის თანახმადაც, თუ პიროვნება ხდება „მაფკუ̄დ" ბრძოლის დროს, ცოლმა უნდა დაუცადოს ერთი წელი. გადმოცემულია აგრეთვე, რომ იბნ მას'უ̄დ ეძებდა თავისი მოსამსახურე ქალის ქმარს 1 წელი და შემდეგ გამოაცხადა, როგორც „მაფკუ̄დ" და ეს არ იყო ის შემთხვევა, როცა მამაკაცი დაიკარგა ბრძოლის დროს. ამდენად, 1 წელი საკმარისია, რომ მამაკაცი გამოცხადდეს, როგორც „მაფკუ̄დ" და ეს არის გაყრის საფუძველი. მაგრამ ის განსხვავდება ხულ'ასაგან, რადგანაც ქალი არაა ვალდებული დაუბრუნოს ქმარს მაჰრი [290,677].

ყურანი ურჩევს ქალებს შერიგებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქმარი უხეშად ექცევა ცოლს ან უარყოფს მას [4:128].

ქმრისათვის, რომლის ცოლიც საფრთხეს უქმნის ქორწინებას, ყურანში არის ოთხი რჩევა, რომლებიც დეტალურადაა განხილული შემდეგ აიებში: *„კეთილშობილი ქალები არიან ერთგულნი თავიანთი ქმრების და იცავენ [ქმრის არყოფნის დროს] ყველაფერს, რაც მიუთითა ალაჰმა, რომ დაიცვან.*[131] *ხოლო იმათ [ცო-*

---

[129] თუმცა, ზუსტად არ არის ცნობილი, მისი ქმარი მონა იყო თუ თავისუფალი. გადმოცემათა უმრავლესობით, ის იყო მონა. ამდენად, მუჰამადის გადაწყვეტილება ეხებოდა მონა-მამაკაცს. ერთი რამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბარირა გათხოვილი იყო მასზე თავისი ყოფილი პატრონის მიერ, მისი თანხმობით ან მისი თანხმობის გარეშე [347,146].

[130] ასეთ შემთხვევაში, ჰანაფ̄იტების აზრით, 120 ან 100 წელზე მეტი იყო. შაფ'ი̄იტების აზრით, 7 წელი, მალიქიტებთან – 4 წელი.

[131] წინადადება – „იცავენ იდუმალს [თავიანთი ქმრის არყოფნის დროს], რაც მიუთითა ალაჰმა რომ დაიცვან" – შეიძლება ასეც გადაითარგმნოს: „... და [თავიანთი ქმრის ინტერესებს] მათი არყოფნის დროს იცავენ ისე, როგორც იცავს მათ ალაჰი". პირველი ფორმულირება შეიძლება ასე გავიგოთ: კარგი ცოლი დამჯერე და კეთილსინდისიერია თავისი ქმრის არყოფნის დროს. ის იცავს თავის ღირსებას და მის ქონებას, აგრეთვე საკუთარ უმანკოებას, როგორც უანდერძა მას ალაჰმა. მეორე ფორმულირება ცოტა განსხვავებულია,

ლებს], რომელთა დაუმორჩილებლობის (ნუშუზ)[132] *თქვენ გეშინიათ, თავიდან შეაგონეთ, [ხოლო შემდეგ] საქორწინო სარეცელზე უარი უთხარით. [თუ ეს არ უშველის], სცემეთ*[133] *და თუ ისინი დაგემორჩილებიან თქვენ, მაშინ არ აწყენინოთ მათ. ჭეშმარიტად, ალაჰი უზენაესი, უდიდესია"* [4:34].

4:35 აიას თანახმად, *„თუ თქვენ გეშინიათ უთანხმოების მეუღლეებს შორის, მაშინ დანიშნეთ სამართლიანი წარმომადგენელი ქმრის ოჯახიდან და ცოლის ოჯახის მხრიდან. თუ ორივე [მეუღლეები] მოისურვებენ შერიგებას, მაშინ ალაჰი შეარიგებს მათ"*. ტრადიციებში არის მრავალი შემთხვევა, როცა განქორწინების საკითხი განიხილებოდა სწორედ ამ პროცედურის შესაბამისად[134] [294,289-90].

4:130 აიას თანახმად, თუ მეუღლეები გაიყრებიან, მაშინ ალაჰი თითოეულ მათგანს უზრუნველყოფს თავისი სულგრძელობით, „იმით, რომ მისცემს თითოეულ მათგანს ახალ მეუღლეს" [17,130]. 65:2 აიას თანახმად კი გაყრისას საჭიროა 2 მოწმე (2 მამაკაცი).

განქორწინების საკითხებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა უშუალოდ მოციქულის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. ტრადიციების თანახმად, ის არა-

---

მაგრამ იმავე შედეგამდე მივყავართ: თავისი ქმრის არყოფნის დროს კეთილსინდისიერი ქალი (ცოლი), რომელსაც შეცნობილი აქვს თაეის საიმედო მდგომარეობა, ალაჰის მიერ მიცემული, აკეთებს ყველაფერს, რათა გაამართლოს ეს მდგომარეობა, იცავს თავის საკუთარ უმანკოებას, აგრეთვე ღირსებას და თავისი ქმრის საკუთრებას [33,190,შენ.546].

[132] *„ნუშუზ"* — სიტყვა-სიტყვით „წინააღმდეგობა" (თავისი ქმრისადმი) [52, 206,შენ.34c]. ატ-ტაბარრ 27 გვერდს უთმობს ამ ტერმინის კომენტარს და განხილული აქვს არანაკლებ 200 ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი ამ მნიშვნელობის შესახებ. ძირითადი მნიშვნელობა არის დაუმორჩილებლობა (ma'ṣiya) [14, VIII, 299].

[133] ყურანის კომენტატორები ხაზს უსვამენ, რომ ქალის ცემა არ იყო დამახასიათებელი მოციქულისათვის. „მოციქული არასოდეს სწვედა ხელს რომელიმე თავისი ცოლის მიმართ, არც მონის და არც სხვა რომელიმე პირის წინააღმდეგ" [8,VIII,204]. როცა მას „აუჯანყდა" ზოგიერთი ცოლი, არათუ სცემა ისინი, არამედ ამჯობინა დაეტოვებინა თავისი სახლი და გადასულიყო ცალკე ერთი თვის განმავლობაში.

[134] გადმოცემით, ხალიფა 'უსმანმა შეარიგა 'აკიდ ბ. აბი ტალიბ და ფატიმა ბინთ 'უთბა ბ. რაბი'ა. ფატიმა გესლიანად ეუბნებოდა ხოლმე თავის ქმარს: სად არიან 'უთბა ბ. რაბი'ა და შაიბა ბ. რაბი'ა, თავისი მამა და ბიძა, რომლებიც დაიხოცნენ ბადრთან ბრძოლის დროს? ერთ დღეს 'აკილმა წამოიძახა: ჯოჯოხეთში. ფატიმას ენყინა ეს გამოთქმა, წავიდა 'უსმანთან და უთხრა, რომ აღარ სურდა ქმართან ცხოვრება. 'უსმანმა რჩევა ჰკითხა იბნ 'აბბასს და მუ'ავიასს. იბნ 'აბბასმა თქვა, რომ ის განაცალკევებდა მათ. მაგრამ მუ'ავიამ წამოიძახა: 'აბდ მანაფის ოჯახების განცალკევება არ შეიძლება. ამგვარად, 'უსმანმა შეარიგა ისინი [8,VIII,238].

სოდეს არ გასცილებია თავის ცოლებს საბოლოოდ. მაგრამ აღნიშნულია, რომ მან წარმოთქვა ერთი ტალაკ (ტალლაკა) ჰაფსასთან და რაიჰანასთან მიმართებაში [8,VIII,130]. ჰაფსას შემთხვევაში განქორწინების მიზეზები არ იხსენიება, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჰაფსას მძიმე ხასიათის გამო. ერთ-ერთ ვერსიაში გადმოცემულია, რომ მუჰამადთან მივიდა მთავარანგელოზი ჯაბრა'ილი და უთხრა მას, რომ ჰაფსა უკან დაებრუნებინა [8,VIII,34]. სხვა გადმოცემით, მან დააბრუნა ის უკან და მას უბრძანეს ეს გაეკეთებინა [8,VIII,34]. რაიჰანასთან დაკავშირებით, საერთოდ ეჭვს იწვევს – იქორწინა თუ არა სინამდვილეში მასზე მუჰამადმა. რაც შეეხება სავდას, შესაძლებელია, რომ მუჰამადი გაეყარა მას, მაგრამ ტრადიციები ცდილობენ დამალონ ეს ფაქტი. მხოლოდ ერთი ტრადიციის თანახმად, მუჰამადმა გაუგზავნა მას ტალაკ. სხვაგან მოხსენიებულია სავდას შიში, რომ მუჰამადი ამას გააკეთებდა და ეს იყო მისი გაფრთხილება. 4:128 აია სწორედ ამ ამბავთან დაკავშირებით იქნა გარდმოვლენილი[135]. მთავარი ის იყო, რომ სავდა დარჩა მუჰამადის ცოლად მხოლოდ სახელით, მუჰამადი აღარ მოინახულებდა მას და სავდამ დაუთმო თავისი დღეები 'ა'იშას [8,VIII,54]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ როდესაც 'ა'იშას ცილი დასწამეს მრუშობაში, მუჰამადი არ გასცილებია მას. 'ა'იშა მოციქულის ნებართვით გადავიდა თავისი მშობლების სახლში, ვიდრე არ გამართლდა ალაჰის გამოცხადებით. სიცოცხლის ბოლოს კი მუჰამადი დაცილდა თავის ცოლებს. შესაძლოა, მუჰამადმა გაანალიზა, რომ გაყრის ჩვეულებრივი მეთოდის გამოყენება ნამგებიანი იქნებოდა მისთვისაც და მისი ცოლებისთვისაც, თუ უთანხმოება წარმოიშობოდა მასსა და მის ცოლებს შორის [347,148-49].

ყურანში არის გამოცხადებები, რაც მიუთითებს, რომ მუჰამადს ჰქონდა განსაზღვრული გეგმა, რათა მიეცა ცოლებისათვის მაღალი სოციალური მდგომარეობა თემში. ყურანის აიას („არჩევანი") თანახმად, მუჰამადი დაცილდა თავის ცოლებს 1 თვით და ამის შემდეგ არჩევანი შესთავაზა – ან „ამქვეყნიური ცხოვრება და მისი ნეტარება", ან „ისინი უნდა მიჰყოლოდნენ ალაჰს და მის მოციქულს და მიეღოთ იმქვეყნიური ცხოვრება". 'ა'იშას განცხადებით, ეს არ ნიშნავდა გაყრას, თუმცა სხვა ვერსიებში საპირისპირო აზრია გამოთქმული.

---

[135] „თუ ქალს ეშინია, რომ ქმარი არ შეასრულებს თავის ცოლ-ქმრულ ვალდებულებებს ან უხეშად მოექცევა მას, მაშინ არ არის ცოდვა მათზე, თუ ისინი ერთმანეთში შეთანხმდებიან. და მშვიდობიანი გადაწყვეტილება – უკეთესია (გაყრაზე)" [19,II,343; 52,232].

იბნ სა'დთან ნათქვამია: „ჩურჩულებენ, რომ მუჰამადი გაეყარა თავის ცოლებს". თუმცა 'უმარმა ჰკითხა და მუჰამადმა უპასუხა, რომ ის არ გაყრია თავის ცოლებს [8,VIII, 185]. შესაძლოა, მუჰამადმა ამ მითქმა-მოთქმის შესაჩერებლად გადანყვიტა რელიგიური სანქცია მიეცა ურთიერთობისათვის თავის ცოლებთან. აქ *ტალაკ* არ არის ნახმარი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰიჯრის 8/629-30 ან 9/630-31 ნლის შემდეგ ის არ გაყრია თავის რომელიმე ცოლს.

და ბოლოს, ისლამი თვითონ შეიძლება გახდეს განქორწინების მიზეზი. 60:10 აიაში განსაზღვრულია, რომ მუსლიმ ქალებს ნება არ ეძლევათ დარჩნენ ურწმუნო ქმრებთან. უმმ ჰანი' ბინთ აბი ტალიბი, რომელიც გახდა მუსლიმი, გაეყარა თავის ურწმუნო ქმარს [8,VIII,152]. ზაინაბი, მუჰამადის ქალიშვილი გახდა მუსლიმი თავის ქმარზე (აბუ ლ-'ას ბ. არ-რაბი'ა) ადრე. ზაინაბი წავიდა ემიგრაციაში მუჰამადთან ერთად, ან მომდევნო წელს. გადმოცემით, მანამდე ზაინაბი გაეყარა თავის ქმარს. 7/628-29 წელს აბუ ლ-'ასმა მიიღო ისლამი და გადავიდა მედინაში [8,VIII,31]. აღნიშნულია, რომ მოციქულმა დაუბრუნა ზაინაბი თავის ქმარს ახალი ქორწინებით [8,VIII,33]. მაგრამ არ არის ცნობილი, აბუ ლ-'ასმა მისცა თუ არა ზაინაბს ახალი მაჰრი. გადმოცემით, ეს გახდა ყურანის მე-9 სურის გარდმოვლენის მიზეზი — როცა ცოლი ხდება მუსლიმი მის ქმარზე ადრე, ერთადერთი გზა არის გაეყაროს მას, რადგან „მის მიერ ისლამის მიღება იყო საბოლოო გაყრა (თატლიკ ბა'ინ)" [8,VIII,32].

66:10 დადგენილებით, მუსლიმი ქალის ყველა ქორწინება ურწმუნოსთან ძალადაკარგულად გამოცხადდა. საჭირო იყო მაჰრის უკან დაბრუნება, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ქალის ინიციატივით გაყრის დროს. „ასეთი წესით გაყრის დროს მოქმედებს იგივე პირობები, რაც ხულ'ას დროს. იგულისხმება, რომ არამუსლიმ ქმარს არანაირი დანაშაული არ მიუძღვის და საქორწინო ხელშეკრულება ირღვევა ცოლის მიერ, რომელსაც ამ შემთხვევაში უნდა დაებრუნებინა მაჰრი. თუ მას არ შეუძლია ამის გაკეთება, მუსლიმური თემი იყო ვალდებული გადაეხადა მისთვის"[136] [19,2650,შენ.37].

ისლამის მიღება მართლაც ნიშნავდა მრავალი წინა-ისლამური ჩვეულების უარყოფას ქალის სტატუსთან დაკავშირებით და ეს შეეხო განქორწინების წესსაც. წინაისლამურ ხანაში, მედინაში ხშირი იყო შემთხვევები, როცა დაქვრივებული მუსლიმი ქალი რჩებო-

---

[136] მექიდან გამოქცეული მუსლიმი ქალების შემთხვევაში ამ თანხას იხდიდა მუჰამადი ხუმსით მიღებული შემოსავლებით [108,147].

და საარსებო საშუალებათა გარეშე, რადგანაც არ შეეძლო დაბრუნებულიყო წარმართ ნათესავებთან. ამიტომ გამოცხადებებში, რომლებიც ეხებოდა ქორწინებას და განქორწინებას, არის რეკომენდაციები ქვრივების და გაყრილების უზრუნველსაყოფად. ყოფილ ქმარს გაყრისას ცოლისათვის არ უნდა წაერთმია საქორწინო საჩუქარი, ხოლო ქვრივს უფლება ჰქონდა ესარგებლა ქმრის ქონებით ერთი წლის განმავლობაში და დარჩენილიყო მის სახლში საცხოვრებლად (2:229, 240, 241). გაყრილი ქალისათვის დამატებით განისაზღვრა მუთ'ა (მუთ'ა ალ-ტალაკ – კომპენსაცია, საჩუქარი გაყრილი ქალისათვის). ეს თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუ ისლამამდე გაყრა ქალის ინიციატივით, მხოლოდ ნარჩინებულთა ოჯახისათვის იყო შესაძლებელი, ისლამმა სოციალური სტატუსის მიუხედავად აღიარა ეს უფლება. თუმცა, ყურანმა არ მისცა ქალს იგივე უფლებები განქორწინების დროს, რაც მისცა მამაკაცებს. განქორწინების უპირატესი უფლება აქვს მამაკაცს. ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე იყო 'იდდას (თავშეკავების ვადა ხელახალ ქორწინებამდე) დაწესება და სამჯერ გაყრის ფორმულის ნარმოთქმის შემდეგ ქორწინების აღდგენის აკრძალვა. ისლამმა დააკანონა მამის უფლება ბავშვებზე. თუმცა, გაყრის შემდეგ ორი წლის ასაკამდე დედამ უნდა გამოკვებოს ბავშვები. გაყრის შემდეგ ქალი კარგავს მემკვიდრეობის უფლებას ქმრის ქონებაზე მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

4. ქალი და მემკვიდრეობა ადრეულ ისლამში

მუსლიმი და არამუსლიმი ავტორები აღნიშნავენ, რომ ყურანში ტექნიკური ტერმინი მემკვიდრის მნიშვნელობით არ არის. მუსლიმური სამემკვიდრეო სამართალი[137] არაბულ ენაში აღინიშ-

---

[137] სამემკვიდრეო სამართალი ემყარება ორ მნიშვნელოვან საფუძველს – ქორწინებას და სისხლით-ნათესაობით ურთიერთობებს. ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქალებს და მცირენლოვან ბავშვებს არ ჰქონდათ მემკვიდრეობის უფლება [14,IV,176,185,210; 14,V,31,196]. ასეთი უთანასწორობის ერთადერთი მიზეზი იყო ის, რომ ქონება დარჩენილიყო მოცემულ საგვარეულო ჯგუფში. ამიტომ პრივილეგიას ფლობდნენ მხოლოდ მამრობითი სქესის სრულწლოვანი ნევრები [119,5]. მუჰამადის სამემკვიდრეო სამართალი ემყარება კანონიერი მემკვიდრეების 2 კატეგორიას – ჩვეულებითი ტომობრივი სამართლის მემკვიდრეებს ('აჰბა) და ჩვეულებითი სამართლით გაუთვალისწინებელ ყურანის მემკვიდრეებს (აჰლ ალ-ფარა'იდ – ცოლები, ქალიშვილები, მცირენლოვანები, ობლები, მშობლები, დები და ა. შ.). ეს ორი სისტემა – ისლამამდელი და მუსლიმური – გადაეჯაჭვა ერთმანეთს და შეადგინა ერთი მთლიანი, მუსლიმური სამემკვიდრეო სამართალი [119,6-7].

ნება ტერმინით - „'ილმ ალ-ფარაᾹ'იდ", ანუ მეცნიერება წილებზე, რომელიც განსაზღვრავს კანონიერი მემკვიდრეების წილს. „მირᾹს" – არის გარდაცვლილის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა: ქონება, უფლებები და ვალდებულებანი, რაც მათი მფლობელის სიკვდილის შემდეგ გადაეცემა სხვა პირებს, უპირველეს ყოვლისა ახლო ნათესავებს. მირᾹს-ში შედის ყოველივე ის, რაც მემკვიდრეობით გადადის, მემკვიდრეთა მითითება, მემკვიდრეობის მიღებისა და მისი დანაწილების წესი, რომლებიც ძირითადად აღებულია წინაისლამური არაბეთის ბინადარი მოსახლეობის პრაქტიკიდან და დადასტურებულია ყურანით [105,166; 307, 518-20].

მთავარი ცვლილება, რაც ისლამის შემოღების შემდეგ მოხდა მემკვიდრეობის წესში, იყო ქალის უფლება მემკვიდრეობაზე[138].

„ჯᾹჰილიᾹას დროს ხალხი არ უტოვებდა მემკვიდრეობას ქალებს, ასევე ბავშვებს და ამბობენ, რომ მემკვიდრეობას იღებდა ის, ვინც იბრძოდა და მოიპოვებდა ნადავლს. ანსᾹრმა აუს ბ. ას-საბითმა[139] დაუტოვა თავის ცოლს სამი ქალიშვილი და პატარა ვაჟიშვილი. მათთან მივიდნენ მისი [ქმრის] ბიძაშვილები: სავიდი, 'ურფატი და კათადა და წაიღეს მთელი მემკვიდრეობა მათგან..... აუსის ცოლი მივიდა ალაᾹჰის მოციქულთან და აცნობა ამის შესახებ და გარდმოვლენილ იქნა ეს აია" [4, 104].

„მამაკაცებს – წილი იქიდან, რაც დატოვეს [მათმა] მშობლებმა და ახლობლებმა და ქალებს – წილი იქიდან, რაც დატოვეს [მათმა] მშობლებმა და ახლობლებმა თუნდაც მცირე იყოს, თუნდაც ბევრი, [კანონით] დადგენილი წილი (4:7).

მემკვიდრეობა, როგორი მცირედიც არ უნდა ყოფილიყო, ნაწილდებოდა მემკვიდრეებს შორის. მემკვიდრეობის ახალი სისტემა ეხებოდა მოძრავ და უძრავ ქონებას. სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა სახის ქონებას შორის არანაირი განსხვავება არ იყო. ისლამმა ქონების განსაზღვრული წილი მიაკუთვნა როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს [347,165].

---

[138] აღსანიშნავია ისიც, რომ ისლამამდე ქალი მთლიანად არ იყო ჩამოშორებული მემკვიდრეობას, როგორც ამას მუსლიმი აეტორები ამტკიცებენ. ცხადია, ქალებს მემკვიდრეობის ბევრად უფრო ნაკლები წილი ჰქონდათ მამაკაცებთან შედარებით, მაგრამ არ იყო დადგენილი წილი ქალებისათვის. ეს დამოკიდებული იყო მამაკაცის ცალკეულ გადაწყვეტილებებზე მისი ნებასურვილის შესაბამისად. ყურანმა მოხსნა ყველა გაურკვევლობა. ზოგიერთი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ თუ ქალები ჩამოცილებული იყვნენ მემკვიდრეობას, გარკვეული ქალები როგორ ჩუქნიდნენ საჩუქრებს მოციქულს [340,119].

[139] გარდაიცვალა უჰუდთან ბრძოლის დროს.

ალაჰის ამ მითითებას ქალებთან დაკავშირებით უფრო დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მედინაში, ვიდრე მექაში, სადაც ქალები შედარებით დამოუკიდებლები იყვნენ და ქალის მიერ მემკვიდრეობის მიღება ზოგიერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ისლამამდე. მექაში, სადაც ნარმართი არაბები ძირითადად ვაჭრობით იყვნენ დაკავებული, მოგება პირადი შემოსავლებიდან რჩებოდა პირად საკუთრებაში და ეს ეხებოდა ქალებსაც. ამის საუკეთესო მაგალითია ხადიჯა – მუჰამადის პირველი ცოლი. მედინაში საკუთრების ძირითადი ფორმა იყო მიწა. აქ მოქმედებდა მთავარი პრინციპი: ქალი არ იღებდა მემკვიდრეობას – ის ხელახლა თხოვდებოდა, ან რაღაც დროით ცხოვრობდა ქმრის ნათესავებთან [347,164].

მნიშვნელოვან ცვლილებად ითვლება ის, რომ ისლამმა აკრძალა ქალის მემკვიდრეობით მიღება. გარდა იმისა, რომ ჯაჰილიიას დროს, ქალს არ ჰქონდა მემკვიდრეობის წილი, ის თვითონ იყო მემკვიდრეობის ობიექტი.

ყურანის ცნობილი კომენტატორის ატ-ტაბარის თანახმად, „იასრიბში (მედინაში) როცა მამაკაცი გარდაიცვლებოდა, მისი ვაჟი ავტომატურად იღებდა მემკვიდრეობით თავის დედინაცვალს. ქალს არ შეეძლო შეეცვალა მისი განკარგულება. მას შეეძლო ექორწინა დედინაცვალზე, თუ ის მოისურვებდა და ჰქონოდა მასთან იგივე ურთიერთობა, რაც მამამისს ჰქონდა ადრე, ან შეეძლო მიეტოვებინა, თუ არ დააინტერესებდა ის. როცა ვაჟი და მემკვიდრე იყო ძალიან ახალგაზრდა, დედინაცვალს ეკრძალებოდა ხელახლა გათხოვება და ის ვალდებული იყო დაეცადა იქამდე, ვიდრე მემკვიდრე არ გახდებოდა სრულწლოვანი, რომ მიეღო გადაწყვეტილება მასთან მიმართებაში" (14,VIII,107].

რაც შეეხება მექას, „მამაკაცი ქორწინდებოდა კეთილშობილ ქალზე (შარიფა). თუ მას აღარ მოეწონებოდა ის, განცალკევდებოდა მისგან შეთანხმებით, რომ ის ხელახლა გათხოვდებოდა მხოლოდ მისი ნებართვით. ქმარი იწვევდა მოწმეებს და მათი თანდასწრებით აქცევდა შეთანხმების პირობებს წერილობით კონტრაქტად. თუ (ვინმე) მოისურვებდა ამ ქალზე ქორწინებას, ამ უკანასკნელს არ შეეძლო დაედო შეთანხმება თავის მომავალზე ყოფილი ქმრის ნებართვის გარეშე. იმისათვის, რომ მოეპოვებინა მისი (ქმრის) თანხმობა, მას უნდა გადაეხადა მნიშვნელოვანი თანხა კომპენსაციის სახით და დაეკმაყოფილებინა ის. სხვა შემთხვევაში ის ადვილად შეეწინააღმდეგებოდა და შეაჩერებდა მას" [14,VIII,113].

მამრობითი სქესის მემკვიდრეები და მთლიანად გვარიც უფრო ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული დედინაცვლის ფიზიკური მომხიბვლელობით, ვიდრე მემკვიდრეობაზე მისი უფლებით. პრინ-

ციპში, მემკვიდრეს უნდა დაებრუნებინა დედინაცვლის მემკვიდრეობის ნილი მისი გვარის მამაკაცებისათვის, თუ ის არ იქორწინებდა მასზე. ამდენად, მატერიალური დაინტერესება შენიღბული იყო ქორწინებით.

მოციქულ მუჰამადის დროს, როცა „ქუბაიშა ბინთ მა'ნ ანსარიიას ქმარი გარდაიცვალა, მისმა გერმა მოისურვა მასზე ქორწინება, როგორც ეს წესი იყო წარმართობის დროს. ქუბაიშა მივიდა მოციქულთან და სთხოვა დახმარება, რათა გაეთავისუფლებინა ის და თავისი სურვილით ხელახალი გათხოვების საშუალება მიეცა [257,354] და 4:19 აია იქნა გარდმოვლენილი:

„ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არაა ნებადართული თქვენთვის მემკვიდრეობით მიიღოთ ქალები მათი სურვილის საწინააღმდეგოდ და ნუ აიძულებთ მათ დაგიბრუნონ ნაწილი იმისა, რაც ადრე მათთვის გიჩუქებიათ,[140] *გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი აშკარა მრუშობას*[141] *დაიწყებენ“.*

ამით ისლამმა აკრძალა ქალის მემკვიდრეობით მიღება, გარდაცვლილის მემკვიდრეობით მიღებულ ქონებასთან ერთად და გამოაცხადა 4:22 აია: *„არ მოიყვანოთ ცოლად ის ქალები, რომლებზედაც დაქორწინებულები იყვნენ თქვენი მამები, იმის გარდა, რაც აქამდე ყოფილა*[142]*. ჭეშმარიტად, ეს სიძვა, გარყვნილება და სამარცხვინო გ ზაა“.* ამასთან მოციქულმა ქვრივს ნება დართო, გათხოვილიყო ვიზედაც სურდა, თავშეკავების ვადის ('იდდა) გასვლის შემდეგ.

ჯაპილიიაში ამ მდგომარეობაში იყვნენ არა მხოლოდ გათხოვილი ქალები, არამედ ობოლი გოგონებიც. ამიტომ, გარდმოვლენილი იქნა მეოთხე სურის 2,3,6,10,36,127 და მეორე სურის 177,215 და სხვა აიები. მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით სადავოა 4:5 აია: *„და ნუ მისცემთ უგუნურთ (ობლებს - სუფაჰა') თქვენს ქონებას, რომელიც ალაჰმა დაგიდგინათ მათი შენევნისათვის და ასაზრდოეთ ისინი მისით, შემოსეთ ისინი და უთხარით მათ კეთილი სიტყვა“.* კომენტატორთა აზრით, ეს ტერმინი — *სუფაჰა'* გუ-

---

[140] აზ-ზამახშარის აზრით, ეს აია ეხება იმ შემთხვევებს, როცა მამაკაცი ძალით აკავებდა არასასურველ ცოლს, ხელს უშლიდა ხელახლა გათხოვილიყო სხვა მამაკაცზე, რადგანაც სურდა მემკვიდრეობით მიეღო მისი ქონება 4:12 აიას მითითებების შესაბამისად [19,II,276,შენ.43]. იუსუფ 'ალის აზრით, წინაისლამურ ხანაში გაყრილ ქალებს ნებას არ რთავდნენ ხელახალი გათხოვების, ვიდრე ის არ დააბრუნებდა თავის საქორწინო საჩუქარს ან მის ნაწილს [33, 185, შენ.528].

[141] თუ მრუშობა ჩაიდინა, საჭიროა 4 მოწმის წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში ქმარს შეუძლია გაყრისას მოითხოვოს მაჰრის ან მისი ნაწილის დაბრუნება.

[142] მხოლოდ იმას ეპატიება, ვინც დაქორწინდა ამ აკრძალვის გამოცხადებამდე, ან ისლამზე მოქცევამდე.

ლისხმობს ქალებს და ბავშვებს და ამის საფუძველზე ასკვნიან, რომ ქალები და ბავშვები უნდა იქნენ ჩამოშორებულნი მემკვიდრეობიდან. ატ-ტაბარი 29 განმარტებას გვთავაზობს ამ აიასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ *სუფაჰ'* აქ ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც არ შეუძლია განაგოს თავისი ქონება ან ვისაც შეუძლია გაფლანგოს თავისი ქონება. ეს პირი უნდა მოექცეს მეურვის მზრუნველობის ქვეშ, რომელიც გააკონტროლებს ქონების გამოყენებას. ატ-ტაბარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ *სუფაჰ'* არ გულისხმობს მხოლოდ ქალებს [14, VII, 565].

მუჰამადის მიერ გამოცხადებულ მითითებებს მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მამაკაცები პროტესტს გამოთქვამდნენ ქალების მიერ მემკვიდრეობის მიღების თაობაზე, რადგანაც ისინი არ ღებულობდნენ ბრძოლებში მონაწილეობას და მათ შენახვაზე ზრუნავდნენ მამაკაცები.

„ჯაბირ ბ. 'აბდ ალ-ლაჰს[143] ჰყავდა ბრმა ბიძაშვილი გოგონა, რომელიც ობოლი იყო და რომელმაც მიიღო დიდი სიმდიდრე მამისაგან. ჯაბირს ინტერესი არ ჰქონდა გაეთხოვებინა ის, პირიქით, ენინააღმდეგებოდა ვინმეზე გათხოვილიყო, რადგანაც არ სურდა მის ქმარს უფლება ჰქონოდა მის ქონებაზე. ჯაბირი მოეთათბირა მოციქულს ამ საკითხზე და ის არ იყო მხოლოდ ერთი. მრავალი მამაკაცი გაკვირვებული იყო, რატომ სურდა მოციქულს შეეცვალა ძველი მითითება. ჯაბირმა იჩივლა მოციქულთან – შეიძლება ობოლ, ბრმა გოგონას, უფლება ჰქონდეს მიიღოს მემკვიდრეობა? მოციქულმა უპასუხა: „დიახ, სრული უფლება აქვს [14,IX,255] და შემდეგ გარდმოვლენილ იქნა 4:127 აია“.

„მამაკაცები [მუსლიმები] გთხოვენ გამოიტანო გადაწყვეტილება ქალებზე. უპასუხე, ალაჰი მოგცემთ მითითებას მათ შესახებ და იმაზეც, რაც გეკითხებათ წიგნიდან [ყურანიდან] იმ ობოლ გოგონებზე, რომელთაც არ აძლევთ, რაც დაწესებული აქვთ, მაშინ, როცა გინდათ ცოლად მოიყვანოთ და აგრეთვე დაჩაგრულ ბავშვებზე და თუ ობლებს სამართლიანად მოექცევით, ალაჰმა უწყის ყოველი სიკეთე, რასაც აკეთებთ“.[144]

ისლამის წარმოშობამ ახალი ელემენტები შეიტანა მემკვიდრეობის სისტემაში. მედინაში ხშირი იყო შემთხვევები, როცა დაქვრივებული მუსლიმი ქალი რჩებოდა საარსებო საშუალებათა გა-

---

[143] ჯაბირ ბ. 'აბდ ალ-ლაჰ ალ-ანსარი – მუჰამადის მიმდევარი, პირველი დაპყრობების მონაწილე. გარდ. 73/692-93 წელს.

[144] ამით მოციქულმა უჩვენა თავისი პოზიცია, რაც ეფუძნებოდა ალაპის გამოცხადებას. მორწმუნეებმა ვერ შეძლეს შეწინააღმდეგება, მაგრამ შეეცადნენ წმინდა ტექსტების ინტერპრეტაცია მოეხდინათ რაიმე გზით, რათა თავიანთი პრივილეგია წარმოეჩინათ [285,165].

რეშე, რადგანაც არ შეეძლო დაბრუნებულიყო წარმართ ნათესავებთან. ბადრთან ბრძოლის (624ნ.) შემდეგ გაჩდნენ ქვრივები განსაკუთრებული სოციალური სტატუსით – სარწმუნოებისათვის დაღუპულთა ქვრივები ან დედები. ზოგიერთი ცნობით, უკვე მაშინ გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა და გაუგებრობა, მაგრამ ქვრივთა რიცხვი დიდი არ იყო. განსაკუთრებული სიმწვავით ეს პრობლემა დადგა უჰუდთან ბრძოლის (625ნ.) შემდეგ [108,123; 186,56]. დასახელებულია კაილა ბინთ მახრამა ალ-თამიმიია [8,VIII, 312] და ქუბაიშა ბინთ მა'ნ [8,VIII,314] – არაკურაიში ემიგრანტები, რომელთაც ნაართვეს მემკვიდრეობა ქმრების გარდაცვალების შემდეგ.

მემკვიდრეობის სისტემაში ცვლილების ფორმალური საბაბი გახდა შემდეგი: „როცა სა'იდ (სა'დ) ბ. აბი რაბი'ა, ('აკაბაში დანიშნული ერთ-ერთი ნაკიბი) მოწამეობრივი სიკვდილით დაეცა (უჰუდთან), დატოვა ცოლი, ორი ქალიშვილი და ძმა, რომელმაც გარდაცვლილის მთელი ქონება მიითვისა. სა'იდის ცოლი წავიდა ალაჰის მოციქულთან და უჩივლა მაზლს, რომელმაც წაართვა გარდაცვლილი ქმრის მთელი ქონება. მოციქულმა უკან გაუშვა ის და უთხრა, რომ ალაჰი მიიღებდა გადაწყვეტილებას ამის თაობაზე. ცოტა ხნის შემდეგ ის კვლავ წავიდა მოციქულთან, რათა მოეხსენებინა ამის თაობაზე და ეს აია (4:11) იქნა გარდმოვლენილი. მოციქულმა ბრძანა გადაეხადათ ქონების 2/3 გოგონებისათვის, ქვრივისათვის 1/8 და მას (ძმას) შეეძლო დაეტოვებინა დანარჩენი" [13,V,206], ესე იგი 5/24 [108,123].

მემკვიდრეობის განაწილების ძირითადი პრინციპები ასეთია: 1) ანდერძით შეიძლება ქონების 1/3 განკარგვა, ხოლო დანარჩენი 2/3 იყოფა მემკვიდრეებს შორის; 2) გაყოფა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოაკლდება ანდერძით ნაანდერძევი ქონება და ვალები (მათ შორის დაკრძალვის ხარჯები); 3) ანდერძი არ შეიძლება იმ პირის მიმართ, ვისაც აქვს მემკვიდრეობის უფლება (გადახდა არ ხდება), რადგანაც ეს გამოიწვევდა ერთი მემკვიდრის უპირატესობას მეორესთან შედარებით; 4) როგორც წესი (თუმცა არა ყოველთვის), მამრობითი სქესის მემკვიდრე იღებს წილს – ორჯერ მეტს მდედრობითი სქესის მემკვიდრესთან (გარდაცვლილთან) შედარებით, ერთი და იგივე ნათესაური კავშირის დროს [19,II,270; 33,181, შენ. 516].

რაც შეეხება მემკვიდრეობის განაწილების პროცესის თანამიმდევრობას, აქ აზრთა სხვადასხვაობაა. თუმცა ერთსულოვნებაა იმაში, რომ ჯერ ხდება ვალების გადახდა, მერე გადაცვლილის სურვილის აღსრულება (ანდერძი - ვასიია) და მერე დარჩენილი ქო-

ნების განაწილება მემკვიდრეებზე ალაპის მითითებათა შესაბამისად (13, IV სურა)[145].

მემკვიდრეობის უფლების მქონე ნათესავები სამ კატეგორიად იყოფიან: 1) მშობლები, ცოლები, შვილები; 2) ბებია - ბაბუები, და-ძმები, შვილიშვილები; 3) ბიძები, დეიდები, მამიდები ან მათი შვილები.

ასْحَابُ ال-ფარაˀ'იდ, ანუ ეგრეთ წოდებული *„ყურანის მემკვიდრეები"* არიან ისინი, ვინც იხსენიება ყურანში, სულ 12 ადამიანი. აქედან 4 მამაკაცი (მამა, ბაბუა, ძმა, ქმარი) და 8 ქალია (დედა, ქალიშვილი, შვილიშვილი [გოგონა], ღვიძლი და, დედის მხრიდან და, მამის მხრიდან და, ბებია და ცოლი).

ყურანით დადგენილი მემკვიდრეების წილი ასე განისაზღვრება: *„გიანდერძებთ თქვენ ალაპი თქვენს შვილებთან დაკავშირებით: ვაჟიშვილს – 2 ქალიშვილის ტოლი და თუ ისინი [ქალიშვილები] ორზე მეტია, მაშინ მათ – 2/3 იქიდან, რაც [გარდაცვლილმა] დატოვა და თუ დარჩა მხოლოდ ერთი ქალიშვილი, მაშინ მას – ნახევარი [მემკვიდრეობის], ხოლო გარდაცვლილის მშობლებს კი, თითოეულ მათგანს 1/6 იმისა, რაც მან დატოვა, თუ მას დარჩა შვილი და თუ [გარდაცვლილს] არა ჰყავს შვილი და მისი მემკვიდრეები მშობლები იქნებიან, მაშინ დედას ეკუთვნის 1/6, ანდერძით ნაანდერძევის გამოკლების და ვალების გადახდის შემდეგ"*[4:11].

„და თქვენ – ნახევარი იმისა, რაც დატოვეს თქვენმა ცოლებმა, თუ მათ არა ჰყავთ შვილი და თუ მათ ჰყავთ შვილი, მაშინ თქვენ 1/4 იქიდან, რაც დარჩება ანდერძით ნაადერძევის გამოკლების და ვალების გადახდის შემდეგ და თქვენს ქვრივებს – 1/4 იქიდან, რაც თქვენ დატოვეთ, თუ თქვენ არა გყავთ შვილი და თუ თქვენ გყავთ შვილი, მაშინ თქვენს ქვრივებს [ცოლებს][146] *– 1/8 იმისა, რაც თქვენ დატოვეთ, ანდერძით ნაანდერძევის გამოკლებისა და ვალების გადახდის შემდეგ.*

და თუ მამაკაცს ან ქალს არა ჰყავს პირდაპირი ხაზით მემკვიდრეები [ქალწლა] და მას [მამაკაცს ან ქალს] ჰყავს ძმა ან და, მაშინ თითოეულ მათგანს – 1/6 და თუ ისინი [ძმები ან დები] ორ-

---

[145] გარდაცვლილის მიერ დატოვებული ქონების დანაწილების დაწყებამდე მისგან გამოიყოფა იჯარით ან ხელშეკრულებით აღებული, დაქირავებული ქონება, ხდება დარჩენილი ვალის გადახდა და განისაზღვრება ცოლის ქონება (მაპრი). ყველაფერი შეფასდება იმის გამოკლებით, რაც ანდერძით (ვაᲩრია) არის დატოვებული და მხოლოდ ამის შემდეგ ინყება საკუთრივ მემკვიდრეობის დანაწილება მემკვიდრეებს შორის მათი ნილის შესაბამისად.

[146] არამუსლიმი ცოლი არ იღებს მემკვიდრეობას. ამასთან, თუ არსებობს ერთ ქვრივზე მეტი, მაშინ მათი ერთობლივი ნილი შეადგენს 1/4 ან 1/8 ნაწილს, რაც შემდეგ თანაბრად ნანილდება მათ შორის [33,182,შენ.519].

ზე მეტია, მაშინ ისინი თანაბრად იყოფენ 1/3 ანდერძით ნაანდერძევის გამოკლებისა და ვალების გადახდის შემდეგ, ისე რომ, ზიანი არ მიაყენონ მემკვიდრეებს, ალაჰის აღთქმის შესაბამისად. ჭეშმარიტად, ალაჰი ყოვლისმცოდნე, ბრძენია" [4:12].

რაც შეეხება მშობლების მიერ მემკვიდრეობის მიღებას, თითოეული მათგანისათვის განსაზღვრულია 1/6. იბნ ქასირის თანახმად, აქ გასათვალისწინებელია სხვადასხვა გარემოებები: „1) თუ გარდაცვლილს დარჩა შვილები და მშობლები – თითოეული იღებს 1/6-ს. როცა გარდაცვლილს ჰყავს მხოლოდ ერთი ქალიშვილი, ის იღებს მემკვიდრეობის ნახევარს და მშობლები – თითოეული 1/6-ს. 2) თუ მხოლოდ მშობლები არიან მემკვიდრეები, დედა იღებს – 1/3-ს, მაშინ, როცა მამას ხვდება დარჩენილი 2/3. ამ შემთხვევაში მამის წილი ორჯერ მეტია, ვიდრე დედის წილი. თუ გარდაცვლილს ჰყავს ცოცხალი ქვრივი, ის იღებს ნახევარს – თუ ქმარია, ხოლო თუ ცოლია – 1/4. ორივე შემთხვევაში გარდაცვლილის დედა იღებს დარჩენილი მემკვიდრეობის 1/3-ს, ხოლო მამა - 2/3-ს. 3) თუ გარდაცვლილმა დატოვა ცოცხალი ძმები ან დები, ნახევარძმები ან ნახევარდები ერთი და იმავე დედისგან, ანდა მამისაგან, მათი არსებობა არ გამოიწვევს მამის წილის შემცირებას, თუმცა მათი არსებობა გამოიწვევს დედის წილის შემცირებას 1/3-დან 1/6-მდე, და მამა მიიღებს დანარჩენს. როცა არ არიან სხვა მემკვიდრეები – მცოდნე ხალხი დედის წილის შემცირებას 1/3-დან 1/6-მდე იმით ხსნის, რომ მამა არის ის, ვინც ეხმარება გარდაცვლილის ძმებსა და დებს დაქორწინდნენ ან გათხოვდნენ და ხარჯავს თავის საკუთარ ფულს ამ მიზნით, დედა კი არ ხარჯავს თავის ფულს ამ მიზნით. ეს არის საღი აზრი" [47,IV სურა].

„რაც შეეხება ქალიშვილების წილს, როცა მემკვიდრეები მხოლოდ ქალიშვილები არიან, ორი ან მეტი, მათი წილი არის მემკვიდრეობის 2/3. იბნ ქასირი ორ ჰადისს მოიხსენიებს, სადაც ალაჰის მოციქული ბრძანებს, რომ ორი ქალიშვილის წილი არის 2/3, თუ მხოლოდ ერთია – მისი წილი არის მემკვიდრეობის ნახევარი" [47, IV სურა].

ყურანის 4:12 აიას გარდმოვლენის მიზეზი გახდა შემდეგი: 'აბდ არ-რაჰმანი[147] გარდაიცვალა და დატოვა ცოლი, სახელად უმმ კულთუმ, ხუთ ქალიშვილთან ერთად. მისი ტომის მამაკაცები მივიდნენ საკუთრების წასაღებად და უმმ კულთუმ იჩივლა მოციქულთან, რადგანაც მას წაართვეს მემკვიდრეობა და ალაჰმა განუსაზღვრა წილი ქალიშვილებსაც და ქვრივსაც [13, IX,203; 9,I,467].

---

[147] ჰასან ბ. საბიტის (მუსლიმი პოეტი) ძმა.

ყურანის კომენტატორები და მუსლიმი ავტორები მთავარ პრობლემას ხედავენ ტერმინში – *„ქალალა“*[148] (4:12), თუ როგორ გადაითარგმნოს ის [22,54; 34,102; 24,534; 309,62-67; 312,64]. ძირითადი განმარტება ასეთია: „არაბული სიტყვა *„ქალალა“* ნიშნავს – *„არა ჰყავს არც შვილები, არც მშობლები“*. აქ საუბარია იმ პირთა მემკვიდრეობაზე, რომელთაც არ დატოვეს არც შთამომავლები, არც წინაპრები (ნათესაობის გრძელი ხაზის მიუხედავად), მხოლოდ ნათესავები არაპირდაპირი ხაზით (შორეული ნათესავები) – ქვრივი მამაკაცის ან ქალის ჩათვლით ან მათ გარეშე. თუ ქვრივი დატოვა, ის იღებს დადგენილ წილს და მერე - ნათესავები არაპირდაპირი ხაზით" [19,II,272; 33,182,შენ.520]. იბნ ქასირის თანახმად, ქალალა ნიშნავს მემკვიდრეებს, რომლებიც არ არიან პირველი რიგის მემკვიდრეები [47; 30,118-19]. თვითონ ყურანშივე არის მოცემული განმარტება ამის თაობაზე: *„შენ გთხოვენ გამოიტანო დადგენილება, უპასუხე: ალაჰი მოგცემთ მითითებას ქალალას თაობაზე: თუ გარდაიცვლება მამაკაცი და მას არა ჰყავს შვილი, მაგრამ მას ჰყავს და, მაშინ მას ეკუთვნის ნახევარი იმისა, რაც მან დატოვა. [შესაბამისად] მამაკაცი მიიღებს მემკვიდრეობას მისგან [ქალისაგან], თუ მას არა ჰყავს შვილი, და თუ და ორია, მაშინ 2/3-ს იქიდან, რაც ძმამ დატოვა. თუ დარჩენილი ნათესავები – დები და ძმებია, მაშინ მამაკაცს – 2 ქალის ტოლი წილი, ალაჰი გაძლევთ თქვენ [მითითებებს], რათა თქვენ არ გადაუხვიოთ ჭეშმარიტების გზას, ალაჰი ყოვლისმცოდნეა“*[149] [4:176].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ არ არიან პირდაპირი ხაზით მემკვიდრეები, მაშინ 4:12 აიას შესაბამისად, თითოეული და იღებს 1/6-ს, მაშინ, როცა 4:176 აიას მიხედვით, იმავე სიტუაციაში დები იღებენ 2/3-ს. ეს არის ორმაგი იმისა, რაც 4:12 -ით არის განსაზღვრული.

ყურანის 4:12 და 4:176 აიებში საუბარია დების სხვადასხვა კატეგორიაზე[150], 4:12 აია გულისხმობს დებს მხოლოდ დედის მხრიდან, ხოლო 4:176 - მამის მხრიდან და ორივეს მხრიდან [33,182,შენ.521]. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სისხლით ნათესაობა ითვლება მამაკაცის ხაზით [13,V,274; 309, 69-85].

ტრადიციულად, ყურანის 4:11, 4:12 და 4:176 აიები ითვლება *„მემკვიდრეობის აიებად“* (აიათ ალ-მირას). ამის გარდა არსებობდა

---

[148] ეს ტერმინი ორჯერ იხმარება ყურანში [4:12,176].

[149] ალ-ბაიდავის თანახმად, ეს აია ყველაზე ბოლოს გარდმოეელინა [4,139].

[150] და-ძმების 3 კატეგორია არსებობს: uterine (საერთო დედა, სხვადასხვა მამები), consanguine (საერთო მამა, დედები - სხვადასხვა), და germane (ორივე მშობელი საერთოა).

აიები, რომელიც ეხებოდა გარდაცვლილის უკანასკნელი სურვილის, ანდერძის შესაბამისად ქონების განაწილებას[151].

უეჭველია, ეს დეტალურად შემუშავებული დადგენილებები არ იყო აბსოლუტური სიახლე. ცალკეული ნორმები უკვე არსებობდა არაბეთის ნახევარკუნძულის პრაქტიკაში, მაგრამ ჩვენთვის ეს ნაკლებად არის ცნობილი. მუჰამადმა თავისი, ალაჰის მოციქულის ავტორიტეტით, დაამტკიცა მემკვიდრეობის თანამიმდევრული სისტემა. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალური მემკვიდრეობა, სადაც გათვალისწინებულია გარდაცვლილის ქვრივების, მშობლებისა და შვილების, აგრეთვე მისი ძმებისა და დების ინტერესები. ამ სისტემაში ერთადერთი გაურკვეველი დარჩა ის, თუ რა იგულისხმებოდა *ანდერძით ნაანდერძევში*", ქონების რა წილი შეიძლებოდა განეგო მოანდერძეს თავისი სურვილისამებრ. ეს შემდგომში ყურანის კომენტატორთა განსჯის საგანი გახდა. სამწუხაროდ, წერილობით წყაროებში არ არის თვითონ მუჰამადის მიერ „ანდერძით ნაანდერძევი" ქონების განაწილების არც ერთი მაგალითი [108,123-124; 308,185-195].

გადმოცემით, მექის დაპყრობის შემდეგ (630 წ.), მუჰამადმა მოინახულა თავისი უახლოესი მიმდევარი სა'დ ბ. აბი ვაკკაṣი, რომელიც ავად იყო და სიკვდილის მოახლოება იგრძნო. სა'დმა უთხრა მოციქულს: „ო, ალაჰის მოციქულო, მე მაქვს ბევრი ფული, მაგრამ არავინ მყავს, რომ დავუტოვო მემკვიდრეობა ჩემი ქალიშვილის გარდა. შემიძლია გავცე მოწყალებად [ამ თანხის] 2/3?" მუჰამადმა უპასუხა: „ნაანდერძევი არ უნდა აღემატებოდეს 1/3-ს[152] (ალ-ვასიეა ფი ლ-სულს) [40,7/388]. ეს იმაზე მიუთითებს, რომ

---

[151] ადრეულ მედინურ პერიოდში გაჩნდა მითითებები მემკვიდრეობის თაობაზე სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით. ყურანის 6 აია არეგულირებს ანდერძით მემკვიდრეობის გადაცემას („ანდერძის აიები" — 2:180, 2:181, 2:182, 2:240, 5:106-107). ტრადიციული ისლამური წყაროები მიუთითებენ, რომ შთამომავლებისათვის ქონების გადაცემა გარდაცვლილის უკანასკნელი სურვილით (ვასიეა) იყო ჩვეულებრივი პროცედურა, რომელიც მოქმედებდა ისლამამდე და ისლამის პირველ ნლებშიც — მექის პერიოდში [307,518].

[152] ვასიეა — ანდერძის აქტი, რომელიც წარმოადგენს მოანდერძის (მუვასი) უკანასკნელ ნებასურვილს მისი სიკვდილის შემთხვევაში. ის ფორმდება ზეპირად ან წერილობით, სულ მცირე ორი მონმის ნინაშე. მუსლიმური სამართლით, მოანდერძე უნდა იყოს უფლებამოსილი და ქმედითუნარიანი. ვასიას საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ურთიერთობა, საქმიანი დავალება, განკარგულება ნათესავებისადმი. ჯ. შახტის აზრით, ნაანდერძევის ოდენობასთან დაკავშირებით პირველი შეზღუდვა დაწესდა უმაიიანთა მიერ, რადგანაც მათ თავიანთი ფისკალური ინტერესი ჰქონდათ იმ პირთა მემკვიდრეობაში, ვინც გარდაიცვლებოდა მემკვიდრეების გარეშე და ეს მიაწერეს მოციქულს მისი გარდაცვალების შემდეგ [326,185-200].

არსებული წესის შესაბამისად მემკვიდრეებზე უნდა განაწილდეს გარდაცვლილის ქონების 2/3, ხოლო ანდერძით გადაცემული ქონება არ უნდა აღემატებოდეს 1/3-ს. მაგრამ შესაძლებელია თუ არა მშობელმა ან ცოლმა მიიღოს ანდერძით ქონების 1/3 დამატებით იმ წილთან ერთად, რომელიც განსაზღვრულია 4:11-12 აიათი? მუჰამადმა თავისი „გამოსათხოვარი პილიგრიმობის" დროს (632 წ.) თქვა: *„არანაირი ანდერძი მემკვიდრეს"* (لا وصية لوارث) – სიკვდილის წინ პიროვნებას არა აქვს უფლება დაუტოვოს ქონება ვინმეს, ვინც მიიღებს კუთვნილ წილს *„მემკვიდრეობის აიებით"* [45,970; 308,185-200][153]. მოგვიანებით, აშ-შაფი'ის დროიდან, მუსლიმი იურისტები მუჰამადის ამ მითითების საფუძველზე თვლიან, რომ მემკვიდრეობის აიები აუქმებენ ანდერძის აიებს.

გადმოცემის მიხედვით, მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, „ფატიმამ, მოციქულის ქალიშვილმა, გაუგზავნა შეტყობინება აბუ ბაქრს, სთხოვდა მას ალაჰის მოციქულის მემკვიდრეობას – მინები, რომელიც ალაჰმა აჩუქა მას მედინის გარშემო - ფადაქი[154] და ხაიბარის 1/5. აბუ ბაქრმა დაიმოწმა ალაჰის მოციქულის ნათქვამი: *„ჩვენ არ ვტოვებთ მემკვიდრეებს, რასაც ჩვენ ვტოვებთ არის ᲡᲐᲓᲐᲙᲐ – მონწყალება (მა თარაქნა ᲡᲐᲓᲐᲙᲐᲗ) და მუჰამადის ოჯახი უნდა გამოიკვებოს ამ საკუთრებიდან. აბუ ბაქრმა შემდეგ აღნიშნა, რომ ის არ შეცვლიდა იმ ფორმას, რაც იყო ალაჰის მოციქულის დროს*[155] *და რომ ის გაანაწილებდა მას ისევე, როგორც ალაჰის მოციქული ანაწილებდა. აბუ ბაქრმა უარი თქვა მიეცა რაიმე აქედან ფატიმასათვის"* [156] [13,V,381].

---

[153] მუსლიმური სამართლით, მონამ არ შეიძლება მიიღოს მემკვიდრეობა თავისი მამაკაცი ან ქალი პატრონისაგან [312,66-67].

[154] ფადაქი – მდიდარი ოაზისი ჩრდილოეთ ᲰᲘᲯᲐᲖᲨᲘ, ხაიბარის ახლოს, მედინიდან ორი ან სამი დღის სავალზე. ფადაქის მოსახლეობას შეადგენდნენ იუდეველები. ფადაქი გადავიდა მუსლიმური თემის მეთაურის – მუჰამადის განკარგულებაში სამშვიდობო მოლაპარაკებით. მოციქულმა გადასცა ის დასამუშავებლად თავის ყოფილ მფლობელებს იმ პირობით, რომ გადაუხდიდნენ მოსავლის ნახევარს. ეს შემოსავლები მიდიოდა ქველმოქმედების მიზნით, თუმცა მუჰამადმა დაიტოვა უფლება, საჭიროების შემთხვევაში დაეხარჯა ეს თანხები თავის ოჯახზე და ნათესავებზე [107,248].

[155] აბუ ბაქრმა განუცხადა, რომ ეს იყო მუჰამადის სურვილი – ვიდრე იცოცხლებდა, მისი ქონება იქნებოდა, როგორც „ტუ'მა" (საზრდო) მისთვის და მისი ოჯახისათვის. მისი გარდაცვალების შემდეგ კი – ყველა მუსლიმისათვის [224,138].

[156] ამ ᲰᲐᲓᲘᲡᲘᲡ თანახმად, ფატიმამ მამის სიკვდილის შემდეგ პრეტენზია განაცხადა მის მემკვიდრეობაზე და ხალიფა აბუ ბაქრს სთხოვა მოციქულის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ნილი, მაგრამ უარი მიიღო. ფატიმა გაბრაზდა და ანდერძი დატოვა, რომ აბუ ბაქრი და 'უმარი არ დასწრებოდნენ

ფადაქი – ყოფილი ებრაული დასახლება, განიხილებოდა შიიტურ ნრეებში, როგორც მოციქულის სამემკვიდრეო საკუთრება, რომელიც არასწორად წაართვეს მის ქალიშვილს ფᾶტიმას და მის შთამომავლებს. მონინააღმდეგე მხარეებს შორის ფადაქის სტატუსის შესახებ დავა ორი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, 'ალიდების პრეტენზია ხან აღიარებული იყო, ხან უარყოფილი მმართველი ხელისუფლების მიერ.

გადმოცემით, აბᾶ ბაქრმა მოსთხოვა ფᾶტიმას, მოწმეებს დაედასტურებინათ ის ფაქტი, რომ მან საჩუქრად[157] მიიღო ფადაქი მუჰამადის სიცოცხლეში. მხოლოდ 'ალᾶმ და უმმ აიმანმა[158] მისცეს ჩვენება ფᾶტიმას სასარგებლოდ. მაგრამ აბᾶ ბაქრმა არ მიიღო მათი ჩვენება. ალ-ბალᾶზურᾶს თანახმად, მან განაცხადა, „ორი მამაკაცი მოწმე ან ერთი მამაკაცი და ორი ქალი". ამის გარდა, მოციქულის შვილიშვილებმა – ჰასანმა და ჰუსაინმაც მისცეს ჩვენება. მაგრამ ეს იყო შვილების ჩვენება მშობლების სასარგებლოდ, რაც ხალიფამ არ მიიღო. შემდეგ მოციქულის მონამ - რაბაᾶმა მისცა ჩვენება, მაგრამ ისიც არ მიიღეს [36,I,35; 50, III,237; 13,XXIX,284; 57,518]. აბᾶ ბაქრის და 'უმარის დროს შემოსავლები ფადაქიდან მიდიოდა მნირთა სასარგებლოდ. 'უსმᾶნმა აჩუქა ის თავის ძმისშვილს – მარვᾶნ ბ. ალ-ჰაქამს [57, 525], რომელიც ყოველწლიურად შემოსავლის სახით ფადაქიდან იღებდა 10 ათას დინარს. როცა მუ'ვიᾶა გახდა ხალიფა, ის გახდა მარვანის პარტნიორი: 1/3 – მარვᾶნს გადასცა, 1/3 – 'ამრ ბ. 'უსმᾶნს, 1/3 თავის ვაჟს – იაზᾶდს. ეს მოხდა ჰასან ბ. 'ალᾶს სიკვდილის შემდეგ (669 წ.). მარვᾶნის გახალიფების (684 წ.) შემდეგ ის მთლიანად მის საკუთრებაში გადავიდა. შემდეგ მარვᾶნმა ფადაქი გაუყო თავის ორ ვაჟს – 'აბდ ალ-მᾶლიქს და 'აბდ ალ-'აზᾶზს. მათ გადასცეს თავის შთა-

---

მის დაკრძალვას და არ მიეღოთ მონაწილეობა სამგლოვიარო ლოცვაში. 'ᾶ'იშას გადმოცემით, ფᾶტიმა აღარ ელაპარაკებოდა აბᾶ ბაქრს ამის შემდეგ .....როცა ის გარდაიცვალა, 'ალᾶმ დაკრძალა ის ღამით. მან არ შეატყობინა აბᾶ ბაქრს მისი სიკვდილის შესახებ და თვითონ შეასრულა ლოცვა მიცვალებულზე [40,5/177,8/185; 53,5/153-155; 11,I,9]. წყაროთა მონაცემებით, სნორედ ამ მიზეზის გამო ფᾶტიმას დაკრძალვის ადგილი უცნობი იყო და არავინ არის დარწმუნებული ამაში [5,I,402,405; 8,VIII,30].

[157] როდესაც ფᾶტიმამ ვერ დაამტკიცა, რომ საჩუქრად მიიღო მოციქულის სიცოცხლეშივე, მერე მემკვიდრეობაზე განაცხადა პრეტენზია [57,518].

[158] იგივე ბარაქა – ყოფილი მონა-ქალი. ის მუჰამადმა მემკვიდრეობით მიიღო თავისი მამისაგან და გაათავისუფლა. უმმ აიმანმა ადრე მიიღო ისლამი და ფიცი მისცა ალაᾶის მოციქულს [257,438] მოციქული ამბობდა ხოლმე: „უმმ აიმანი არის ჩემი დედა, ჩემი დედის შემდეგ"[57,518].

მომავლებს. როცა 'უმარ II (717-720) გახალიფდა, მან 'აბდ ალ-მალიქის შვილებისაგან მიიღო მათი წილი და ფადაქი პირველად გადასცა ფუტიმას შთამომავლებს (შვილიშვილებს). მაგრამ 'უმარის მემკვიდრემ – იაზიდ II (720-724) ჩამოართვა მათ ფადაქი და პირველმა 'აბასიდანმა ხალიფამ – აბუ ლ-'აბბას ას-საფუჰმა კვლავ დაუბრუნა მათ. მანსურმა (754-775) კვლავ ჩამოართვა, მაჰდიმ (775-785) დაუბრუნა, ჰადიმ (785-786) და ჰარუნ არრაშიდმა (786-809) ჩამოართვეს და ალ-მა'მუნმა (813-833) კვლავ დაუბრუნა. შიიტური გადმოცემით, ალ-მა'მუნმა იხმო მუსლიმი იურისტები, რათა განეხილა ფუტიმას შთამომავლების პრეტენზია. ხალიფას მონმეების სანდოობა დაუდასტურეს და მან დაუმტკიცა ფუტიმას კუთვნილი მემკვიდრეობა მის შთამომავლებს. ხალიფა ალ-მუთავაქქილმა (847-861) ჩამოართვა მათ, 862 წელს ალ-მუნთასირმა (861-862) კვლავ დაუბრუნა. ბოლოს აღნიშნულია, რომ ალ-მუკთადირმა (908-932) დააბრუნა, მაგრამ მერე აღარაფერია ნათქვამი[159] [224,130-40; 107,248; 57,516-529].

თვითონ მოციქულმა არანაირი მემკვიდრეობა[160] არ დაუტოვა თავის ცოლებს, გარდა მეჩეთის ირგვლივ განლაგებული მათი საცხოვრებლებისა[161]. მცირედი, რაც დაუტოვა, ქველმოქმედებაზე იხარჯებოდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოლები ძალიან ღარიბები იყვნენ. ისინი, ფუტიმასთან ერთად, მუჰამადის შემოსავლების (ნადავლის წილის) გარკვეული მემკვიდრეები იყვნენ. ჰადისების თანახმად, მოციქულის ცოლებმაც განაცხადეს პრეტენზია მის მემკვიდრეობაზე ხალიფა აბუ ბაქრთან.

'ა'იშას (მუჰამადის ცოლის) გადმოცემით: „როდესაც ალაჰის მოციქული გარდაიცვალა, მოციქულის ცოლებმა გადაწყვიტეს 'უსმან ბ. 'აფფანი გაეგზავნათ აბუ ბაქრთან, რათა ეთხოვათ მისთვის საარსებო ხარჯები მოციქულის მემკვიდრეობიდან. შემდეგ 'ა'იშა უმეორებდა მათ, რომ ალაჰის მოციქულმა თქვა: „ჩვენ არ

---

[159] აღნიშნულია მხოლოდ, რომ 351/962 წელს შიიტებმა ბაღდადის მეჩეთის კარებზე ამოტვიფრეს საჩივარი იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩამოაცილა ფუტიმა მემკვიდრეობას [224,139].

[160] მოციქულის ერთ-ერთი ცოლის – ჯუვაირიიას გადმოცემით: „როცა ალაჰის მოციქული გარდაიცვალა, მას არ დაუტოვებია არც დინარი, არც დირჰამი, მონა-მამაკაცი ან მონა-ქალი ან სხვა რამ, გარდა თეთრი სახედრის, მისი აღჭურვილობის და მინის ნაკვეთისა, რომელიც მან გასცა მონყალების სახით" [53,5/152; 224,130].

[161] შიიტური გადმოცემით, ფუტიმამ ვერ მიიღო მემკვიდრეობით ფადაქი, მაშინ როცა 'ა'იშა დაჯილდოვდა იმ საცხოვრებლით, რომელშიც დაიკრძალა მოციქული მუჰამადი [224,139].

ვტოვებთ მემკვიდრეობას, რასაც ჩვენ ვტოვებთ, არის მოწყალება" [40,8/722].

თვითონ 'ა'იშამ მიიღო მემკვიდრეობის წილი მამისაგან, აბუ ბაქრისაგან – მინები მედინას 'ალია უბანში და ბაჰრაინის რეგიონში [179,85]. ამასთან, უნდა მიეხედა თავის ძმებისა და დებისათვის. იბნ სა'დის თანახმად, 'ა'იშას ნახევარძმა – 'აბდ ალ-ლაჰი დაქორწინდა 'ათიქა ბინთ ზაიდზე, აბუ ბაქრის სურვილის საწინააღმდეგოდ. 'აბდ ალ-ლაჰი მამაზე ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მან მოასწრო ქონების ნაწილის გადაცემა 'ათიქაზე იმ პირობით, რომ ის აღარ გათხოვდებოდა. ხალიფა 'უმარი, რომელსაც სურდა 'ათიქაზე დაქორწინება, მიუთითებდა დაებრუნებინა ქონება აბუ ბაქრის ოჯახისათვის და გათხოვილიყო მასზე. 'ა'იშამ დაიცვა ოჯახის ინტერესები და მოსთხოვა 'ათიქას 'უმარზე გათხოვების შემდეგ ქონების დაბრუნება და მიიღო კიდეც [8,VIII,193-195; 179,87].

მუსლიმური სამართლის მიხედვით, არამუსლიმს არ შეუძლია მემკვიდრეობით მიიღოს მუსლიმის ქონება, მაშინაც კი, როცა ის არის მისი უახლოესი ნათესავი. ამ საკითხში სუნიტები და შიიტები ერთმანეთს ეთანხმებიან [312,66]. როდესაც მუჰამადის ერთ-ერთი ცოლი – ṣაფიია გარდაიცვალა (670 წ.), მან დატოვა დაახლ. 100 ათასი დირჰამის ქონება. ანდერძით, ქონების 1/3 მან დაუტოვა თავის ძმიშვილს, რომელიც იუდეველი იყო. მუსლიმებს სურდათ ანდერძის გაუქმება, მაგრამ 'ა'იშა ჩაერია და მოითხოვა პატივი ეცათ ṣაფიიას უკანასკნელი სურვილისათვის [257,406; 185,73].

მემკვიდრეობის ახალმა წესმა სცნო ქალის უფლება მემკვიდრეობაზე, თუმცა მას განუსაზღვრა ორჯერ ნაკლები წილი მამაკაცთან შედარებით[162]. ყურანის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი კომენტატორი, ატ-ტაბარი ყურადღებას არ ამახვილებს ქალის ორჯერ ნაკლებ წილზე. არ-რაზი, რომელიც ცნობილია ყურანის ინტელექტუალური ინტერპრეტაციით, განმარტავს ამ ფაქტს და შემდეგ მიზეზებს ასახელებს: 1) ქალი გამოიმუშავებს უფრო ნაკლებს (რადგანაც მას ინახავს ქმარი), ვიდრე მამაკაცი; 2) მამაკაცი უფრო სრულყოფილია, ვიდრე ქალი თავისი ფიზიკური მონაცემებით, ინტელექტითა და რელიგიური ვალდებულებების შესრულებით. ასევე მამაკაცს აქვს უფრო მაღალი კომპეტენცია სასამარ-

---

[162] წილი განსხვავებულია ვაჟების და ქალიშვილების, ძმების და დების, დედების და მამების შემთხვევაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფატიმა ბინთ მუჰამმადიდან გამომდინარე შიიტების ერთ-ერთმა ექსტრემისტულმა სექტამ – ღურაბიიამ ქალიშვილი გახადა ერთადერთ მემკვიდრედ (ღურაბიია ყუმში ჩამოყალიბდა), მაშინ როცა სუნიტური სამართალი მას ნახევარს მიაკუთვნებს ვაჟთან შედარებით.

თლო გადაწყვეტილებებსა და ლიდერობაში; 3) ქალის მოწმეობა ნახევარი მამაკაცის მოწმეობის ტოლია; 4) ქალი, რომელიც არის ნაკლოვანი გონებით, როცა მიეცემა ფული, მისი მომხვეჭელობის სურვილი დიდი იქნება. მამაკაცი, რომელსაც აქვს უკეთესი გონება, ხარჯავს ფულს საჭიროებისამებრ, როგორიცაა შეწევნა, გაჭირვებულების, ობლების და ქვრივების მხარდაჭერა. 5) მამაკაცს შეუძლია ყველაფერი მოაგვაროს, რადგანაც მას ურთიერთობა აქვს მრავალ ადამიანთან, მაშინ, როცა ქალები ამას მოკლებული არიან. ამგვარად, ვისაც მიცემული აქვს დიდი შესაძლებლობები, შესაბამისად მასვე უნდა მიეცეს დიდი პრივილეგიები [13,IX,207].

არ-რაზის მოაქვს ასეთი ტრადიცია: ჯა'ფარ აṣ-ṣაdიკს, შიიტთა მეექვსე იმამს, ჰკითხეს ამის თაობაზე და მან უპასუხა: „ევამ აიღო ერთი მუჭა ხორბალი და შეჭამა ის. მან აიღო მეორე ნახევარი და დამალა ის და სხვა [ერთი მუჭა] მისცა ადამს. როცა მან [ევამ] გახადა თავისი წილი ორჯერ მეტი მამაკაცისაზე, ალაჰმა შემოაბრუნა ეს საქმე მის სანინააღმდეგოდ და მას შემდეგ ქალის წილი გახდა ნახევარი მამაკაცის წილთან შედარებით" [13,IX,207].

ყურანის 4:32 აიას შესაბამისად: *„ნუ მოისურვებთ იმას*[163]*, რითაც ალაჰმა უპირატესობა მიანიჭა ზოგიერთ თქვენგანს მეორესთან მიმართებაში. მამაკაცებს – წილი იქიდან, რაც მათ მოიპოვეს [თავიანთი ქმედებით], ხოლო ქალებს _ წილი იქიდან, რაც მათ მოიპოვეს. სთხოვეთ ალაჰს წყალობა. ჭეშმარიტად, ალაჰი ყველაფრის მცოდნეა"*[164].

მუსლიმ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ეს ასე არ არის[165]. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქალს ინახავს ქმარი, მას

---

[163] იუსუფ 'ალის თანახმად, „მამაკაცებს და ქალებს აქვთ საჩუქრები ღმერთისაგან – ზოგს უფრო დიდი, ვიდრე სხვებს. ისინი ჩანს არათანაბარი, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ განგება უნაწილებს მათ სქემით, რომლის მიხედვითაც ხალხი იღებს, რასაც ისინი გამოიმუშავებენ. თუ ეს არ არის გასაგები [ნათელი] ჩვენი შეხედულებით, მაშინ მოდით გავიხსენოთ, რომ ჩვენ არა გვაქვს სრულყოფილი ცოდნა, მაგრამ ღმერთს აქვს. ჩვენ არ უნდა ვიეჭვიანოთ, თუ სხვა ხალხს აქვს უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ – სიმდიდრე ან მდგომარეობა ან სიძლიერე ან პატივი ან ნიჭი ან ბედნიერება. ... თუ ჩვენ გვინდა უფრო მეტი, ეჭვიანობის ნაცვლად, უნდა ვილოცოთ ალაჰისათვის და მის წინაშე ჩვენი მოთხოვნილებები გამოვაცხადოთ და ალაჰმა ყველაფერი უწყის" [33,I89,შენ.542].

[164] აṭ-ṭაბარის ერთ-ერთი ვერსიით, მოციქულის ცოლმა – უმმ სალამამ უსაყვედურა მუჰამადს: „ო, ალაპის მოციქულო! ჩვენ არ გვაძლევენ მემკვიდრეობას, და ჩვენ არ ვიბრძვით ალაპის გზაზე. ნება დაგვრთე ჩვენც ვიბრძოლოთ. და გადმოგზავნილ იქნა ეს აია" [22, 432,შენ.29].

[165] უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მემკვიდრეობა დიდად არის დამოკიდებული კონკრეტული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე და ცალკეული სქესის ფუნქციებზე ამ საზოგადოებაში. ქალს ჰქონდა

აქვს ქორწინებიდან მაჰრი (საქორწინო საჩუქარი), რომელიც მხოლოდ მისი საკუთრებაა. მაგალითად, ვაჟმა მამისაგან მიიღო 1000 დირჰამი და ქალიშვილმა - 500 დირჰამი. გათხოვებისას ის კიდევ მიიღებს 500 დირჰამს და 1000 გაუხდება. ხოლო მამაკაცმა კი ნახევარი თავის ცოლს უნდა გადაუხადოს [275,74-75]. აქ ისმება კითხვა, თუ გარკვეული მიზეზების გამო ქალი ვერ გათხოვდა, მას აქვს მხოლოდ მემკვიდრეობის ნაწილი – ძმის 1/2, მაშინ, როცა მან თავისი თავი თვითონ უნდა შეინახოს. სწორედ ამასთან დაკავშირებით იქნა გარდმოვლენილი 4:8 აია, რომლის თანახმადაც, სპეციალური დანაზოგი შეიძლება გაკეთდეს იმ ქალებისათვის, რომლებიც შეიძლება ვერ გათხოვდნენ [275,74].

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ახალი სისტემის მიხედვით, ქალს მიენიჭა ქმრისაგან დამოუკიდებლად ქონების ფლობის და განკარგვის უფლება. ამასთან, ყურანი არ აძლევს ქმარს უფლებას ძალით მოითხოვოს ცოლისაგან ქონება, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო მისი უახლოესი ნათესავების გარდაცვალების შემდეგ. 'ათიქა ბინთ იაზიდმა[166] თავისი ქმრის – ხალიფა 'აბდ ალ-მალიქის სურვილის საწინააღმდეგოდ, მის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი მოწმეების (მათ შორის რავჰ ბ. ზინბა) თანდასწრებით, თავისი ქონება აბუ სუფიანის ოჯახს გადასცა საკუთარი შვილების ნაცვლად.

'ათიქამ თავისი გადაწყვეტილება იმით გაამართლა, რომ მისი ვაჟების მატერიალური მდგომარეობა და პოლიტიკური მომავალი უზრუნველყოფილი იყო თავიანთი მამის – 'აბდ ალ-მალიქის მიერ. ხოლო სუფიანთა შტოს წარმატება გაქრა 684 წლის შემდეგ, როდესაც მათ ხელისუფლებასთან ერთად ქონება და გავლენაც დაკარგეს. 'ათიქას ქმედების გამოსახატავად დასახელებულია ზმნა „ავკაფა" - შესწირა ქონება საღვთო მიზნით ვისიმე სასარგებლოდ. ეს იყო საოჯახო შეწირულების ადრეული შემთხვევა, მით უმეტეს ქალის მხრიდან[3].

ზემოთ განხილული მაგალითები ნათლად მეტყველებს, რომ ყურანმა მკაცრად განსაზღვრა მუსლიმთა ქონებრივი ურთიერთობები. ერთ-ერთი პრინციპული სიახლე ისლამში იყო – ქალის კანონიერი უფლება მემკვიდრეობაზე. ქალს მიენიჭა უფლება ქმრისაგან დამოუკიდებლად განეგო თავისი ქონება და ანდერძით გა-

---

მამაკაცისაგან განსხვავებული როლი არაბულ საზოგადოებაში, როცა ყურანი იქნა გარდმოვლენილი [218,71].

[166] მამის მხრიდან უმაიანთა დინასტიის სუფიანთა შტოს (661-684) ეკუთვნოდა, ხოლო მეუღლის მხრიდან - უმაიანთა დინასტიის მარვანიანთა შტოს (684-750). საინტერესოა ის ფაქტი, რომ 'ათიქა მხარს უჭერს თავის საგვარეულო შტოს და არა თავისი მეუღლისას.

დაეცა ის. საკუთრების ფლობა ქალის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე მიუთითებდა, რაც, თავის მხრივ, მას განსაზღვრულ ძალაუფლებასაც ანიჭებდა. თუმცა, ყურანით მას განესაზღვრა ორჯერ ნაკლები წილი, ვიდრე მამაკაცს. ეს არგუმენტი გამოყენებულია მამაკაცის უპირატესობის დასადასტურებლად. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ქალი იღებს მემკვიდრეობას, როგორც ცოლი, და, დედა და ქალიშვილი. ხოლო საქორწინო კონტრაქტით ქალი დამატებით იღებს მაჰრს, რომელიც მხოლოდ მისი საკუთრებაა ქორწინების დროსაც და განქორწინების შემთხვევაშიც. ამასთან, ისლამში მემკვიდრეობის სამართლებრივი სისტემა ადასტურებს, რომ მემკვიდრეობა დიდად არის დამოკიდებული კონკრეტული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე და ცალკეული სქესის ფუნქციებზე ამ საზოგადოებაში. ქალს ჰქონდა მამაკაცისაგან განსხვავებული როლი არაბულ საზოგადოებაში, როცა ყურანი იქნა გარდმოვლენილი.

5. ქალი და განათლება ისლამში

ყურანის პირველი აია, რაც გარდმოვლინა მუჰამადს, იწყება ბრძანებით: „წაიკითხე"(იკრა'), *„წაიკითხე სახელითა უფლისა შენისა, რომელმაც ყველაფერი შექმნა, რომელმაც შექმნა ადამიანი შედედებული სისხლისაგან. წაიკითხე, უფალი შენი ხომ ყოვლად უხვია. მან ასწავლა [ადამიანს წერა] კალმით, ასწავლა ადამიანს ის, რაც ადრე არ იცოდა"*[96:1-6].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება, რაც მიანიჭა ისლამმა ქალებს, არის განათლების უფლება.

ყურანის აიები (58:9; 39:9; 20:113 და სხვ.), რომლებიც ცოდნის შეძენას ეხება, მიმართულია ორივე სქესისადმი – მამაკაცებისა და ქალებისადმი თანაბრად. გოლდციერის აზრით, გაზვიადებულია ის აზრი, რომ თითქოს ისლამი განიხილავს „'ილმ"-ს (ცოდნა), როგორც გამორჩეულად მამაკაცთა პრივილეგიას [126,41]. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მუჰამადი თვითონ ასწავლიდა ქალებს მამაკაცებთან ერთად მეჩეთში, ქადაგების დროს. ის მიუთითებდა თავის მიმდევრებს, ესწავლებინათ არა მარტო თავიანთი ცოლებისათვის, არამედ მონა-ქალებისათვის.

მუჰამადის მექიდან მედინაში გადასვლის შემდეგ (622 წ.), მოციქულის მეჩეთი მუსლიმთა სასწავლო ცენტრს წარმოადგენდა. მუსლიმთა სწავლების პროცესი ჯერ კიდევ მოციქულმა მუჰამადმა დაიწყო, როდესაც ის თვითონ ასწავლიდა თავის მიმდევრებს ისლამის რელიგიური მოძღვრების ძირითად პრინციპებს. მუჰამადის

მითითებით, ბაღრთან ბრძოლის შემდეგ (624 წ.), თითოეულ მექელ წიგნიერ ტყვეს გათავისუფლების სანაცვლოდ 10 მუსლიმისათვის წერა-კითხვა უნდა ესწავლებინა [108,I,108; 8,II,14; 213,2-3; 231,53].

მოციქული მუჰამადი თავის მიმდევრებთან საუბარში ყოველთვის ხაზს უსვამდა ცოდნის მნიშვნელობას. სწავლულები ისლამში განიხილებოდნენ, როგორც სამოციქულო სიბრძნის მემკვიდრეები. მოციქულმა თქვა: „ის, ვინც შორს მიდის ცოდნის საძიებლად, ის არის ალაჰის გზაზე, ვიდრე დაბრუნდება“ [183,141; 185,113]. მედინაში მუჰამადმა სწავლული მამაკაცებისაგან ჩამოაყალიბა წრეები, სადაც ასწავლიდნენ ყურანს. ცოდნა ძირითადად ზეპირი გზით გადაეცემოდა [161,62-63].

მუსლიმური განათლების სისტემის პირველი საფეხური იწყებოდა სახლში, სადაც მასწავლებლის ფუნქციას ასრულებდა ორივე მშობელი. ამის შემდეგ იყო „ყურანის სკოლები“ (დაწყებითი სკოლა – მაქთაბ, ქუთთაბ), სადაც ელემენტარული სწავლება მიმდინარეობდა [118,147-48; 226,125-130; 213,8; 263,185-193]. არსებობდა სადისკუსიო წრეები (ჰალაკათ). ცოდნის შეძენის მსურველნი ხშირად იკრიბებოდნენ მეჩეთებში, სასახლეებში, ქუჩებში და ბაზრის მოედანზეც კი. პედაგოგები არანაირი ვალდებულებით არ იყვნენ შეზღუდულნი. იგივე შეიძლება ითქვას მსმენელებზეც, რომლებსაც სურვილისამებრ შეეძლოთ შეერჩიათ მასწავლებელი, სასაუბრო თემა ან შეხვედრის მათთვის სასურველი ადგილი [330,165]. მხოლოდ X საუკუნეში დაარსდა სპეციალური სასწავლო დაწესებულება – „მადრასა“, რომელიც უმთავრესად მეჩეთთან არსებობდა და ერთსა და იმავე დროს შეესატყვისებოდა სკოლას, კოლეჯს და საუნივერსიტეტო განათლებას [296,49].

მედრესეში სპეციალური სასწავლო პროგრამა არ არსებობდა. ძირითადი სასწავლო დისციპლინა იყო მუსლიმური სამართალი. შედარებით მაღალ საფეხურზე — ჰადისთმცოდნეობა და ყურანთან დაკავშირებული დისციპლინები; აგრეთვე შუა საუკუნეების ტრივიუმი (გრამატიკა, ლოგიკა, რიტორიკა), არაბული ფილოლოგია, ტრადიციული მათემატიკა (აბჯად) და იშვიათად მედიცინა.

შუა საუკუნეების ევროპული საუნივერსიტეტო სისტემისაგან განსხვავებით, მუსლიმი მეცნიერი-ღვთისმეტყველი თითოეული სასწავლო კურსის მოსმენის შემდეგ, რომელიც ხშირად რამდენიმე წელი გრძელდებოდა, სტუდენტს გადასცემდა *„იჯაზას“*[167]. რაც უფრო ცნობილი და ავტორიტეტული იყო მასწავლებელი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა მის მოწაფეს გამხდარიყო

[167] კვალიფიკაციის მოწმობა, ლიცენზია, სერტიფიკატი.

ცოდნის ერთი რომელიმე დარგის კარგი სპეციალისტი და შემდგომში დაეკავებინა ფაკიჰის, ყადის ან რელიგიური სკოლის მასწავლებლის თანამდებობა. ამდენად, სათანადო განათლების მისაღებად ახალგაზრდები ჩადიოდნენ მუსლიმური განათლების ცენტრებში, გადადიოდნენ მასწავლებლიდან მასწავლებელთან და აგროვებდნენ *„იჯაზებს“*[169,303].

არც ყურანი და არც ჰადისები არ უკრძალავს ქალებს ცოდნის ძიებას და განათლების მიღებას. თვითონ მოციქულმა განაცხადა: „ცოდნის ძიება სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის – მამაკაცებისა და ქალებისათვის“. ის თვითონ ასწავლიდა მათ მეჩეთში მამაკაცებთან ერთად. არანაირი შეზღუდვა არ იყო ქალთა განათლების თვალსაზრისით. ისინი სწავლობდნენ მეცნიერების ყველა დარგს [330,120]. არაბული ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მუსლიმ სწავლულთა ბიოგრაფიებს, რომელთა შორის არიან ქალებიც. რელიგიური მეცნიერებანი იყო ძირითადი, რასაც ქალები სწავლობდნენ ადრეულ ისლამში. ამდენად, მრავალი ქალი გახდა ცნობილი ტრადიციონალისტი და კანონთმცოდნე-იურისტი. მართალია, ქალებს ასწავლიდნენ ქალებიც და მამაკაცებიც, მაგრამ როგორ და სად, ამის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება [185,114; 227,366-68].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მუჰამადის მიმდევარი ქალების დიდი ნაწილი იყო მუჰამადის გამონათქვამების უშუალო გადმომცემი – ანუ მუჰადდისი[168]. „ქალებმა უფრო დიდ აღიარებას მიაღწიეს ჰადისთმცოდნეობაში, ვიდრე მუსლიმური ცოდნის სხვა დარგებში. ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ქალები ყოველთვის აღიქმებოდნენ, როგორც ჰადისების გადმომცემნი, რადგანაც მოციქულის ცოლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მუჰამადის სიტყვებისა და საქციელის გადმოცემაში“ [345,57].

არაბულ ბიოგრაფიულ კრებულებში მუჰამადის დაახლოებით ათასი მიმდევარი ქალია დასახელებული, როგორც მუჰადდისი. თავდაპირველად ჰადისების გადაცემა ხდებოდა ზეპირად, ხოლო მოგვიანებით დაიწყო მათი ჩაწერა, შეკრება-შესწავლა, სისტემატიზაცია და ჰადისთა კრებულების შედგენა, სადაც ჰადისები დალაგებული იყო სიუჟეტების (თემატური პრინციპით), ან ყველაზე ადრინდელი გადმომცემლების სახელების მიხედვით [82,229-30; 255,116-21]. მართალია, ყველა კანონიკური კრებული დაწერილია მამაკაცების მიერ, მაგრამ ისინი გარკვეულწილად იყენებენ ინფორმაციას, რომელიც მათ აქვთ მიღებული ქალებისაგან. სუნიტე-

---

[168] ევროპულ ლიტერატურაში მუჰადდისებს ტრადიციონალისტებს უწოდებენ.

ბი ჰადისების კრებულებიდან ექვსი ავტორის სანდოობას აღიარებენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი თაობის მიმდევარი ქალებიდან 222 არის დასახელებული სანდო გადმომცემთა შორის. აქედან მხოლოდ 31 ქალი კომპანიონი გახდა „საჰიჰაინის"[169] - კანონიკური კრებულების პირველწყარო. ამ კრებულებში 11% ჰადისების გადამცემი ქალია. მუჰადდისებს შორის სანდო გადმომცემების 17% ასევე არის ქალი [315,65-67].

იყვნენ ქალები, რომლებიც სნავლობდნენ ჰადისების კრებულებს მთლიანად ან ნაწყვეტებს მათგან, ან სპეციალიზდებოდნენ „ქალთა ჰადისებში" [256,34-55].

პირველი თაობის მუჰადდისი ქალების საუკეთესო წარმომადგენელია 'ა'იშა ბინთ აბი ბაქრ – მუჰამადის მესამე და უსაყვარლესი ცოლი. ის აღიარებული იყო, როგორც ცოდნის წყარო ადრეულ ისლამში. დასაწყისშივე უნდა მივუთითოთ, რომ ბიოგრაფები ხაზს უსვამენ 'ა'იშას მეხსიერებას და უსაზღვრო ცოდნას, მაგრამ ძირითადი საკითხები, რაც წამოიჭრება ჩვენს წინაშე 'ა'იშას განათლებასთან დაკავშირებით, არის შემდეგი: ვინ იყვნენ 'ა'იშას მასწავლებლები? რამდენი წლის იყო 'ა'იშა, როდესაც დაინყო განათლების მიღება? ცოდნის რომელ დარგებს დაეუფლა ის? ვის გადასცა 'ა'იშამ თავისი ცოდნა?

ისლამის ფუძემდებელზე – მუჰამადზე ნიშნობის შემდეგ, 'ა'იშას მშობლებმა „მის, როგორც მოციქულის მომავალი ცოლის განათლებას, სერიოზულად მოჰკიდეს ხელი". ამბობენ, რომ „თავისი განათლებით ის არ ჩამორჩებოდა ყველაზე ცნობილ კურაიშელთა ოჯახის გოგონებს. ამასთან, მას ასწავლიდნენ წერა-კითხვას, რაშიც აისახა ისლამის გავლენაც – მოციქულის ცოლი არ შეიძლებოდა უსწავლელი ყოფილიყო და ღვთიური ყურანის წმინდა ტექსტები შეესწავლა სხვისი გადმოცემით" [149, 265]. მუჰამადის ნიშნობა 'ა'იშაზე მოხდა ჯერ კიდევ მექაში, როცა 'ა'იშა 6 თუ 7 წლის იქნებოდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება მის მიერ განათლების მიღება ჯერ მშობლების სახლში და მერე უშუალოდ მოციქულისაგან. ყურანი პირდაპირ ურჩევს მოციქულის ცოლებს: „დაიმახსოვრეთ ის, რაც გეკითხებათ თქვენ სახლში აიებიდან და ალაჰის სიბრძნიდან" [33:4]. 'ა'იშა შესანიშნავად კითხულობდა ყურანს, „თვითონ მოციქულის მიმდევრებს შორის ცოტა თუ ფლობდა ამ ხელოვნებას". თუმცა, განცხადება იმის შესახებ, რომ 'ა'იშამ თითქოს დაიმახსოვრა მოციქულის ყველა გამოცხადება, მთელი ყურანი მოციქუ-

---

[169] ყველაზე სანდო კომპილაციად ცნობილია ალ-ბუხარის და მუსლიმ ანნიშაბურის „ṣაჰიჰ".

ლის სიცოცხლეშივე, მოგვიანო ხანის ბიოგრაფთა მიერ გაზვიადებული ფაქტია, რათა აემაღლებინათ 'ᾱ'იშას სტატუსი. არის რამდენიმე ტრადიცია, რომელსაც გადმოგვცემს თვითონ 'ᾱ'იშა, სადაც ის მიუთითებს თავის განსაზღვრულ ცოდნაზე და ის გულისხმობს ყურანის ტექსტებსაც [179, 204].

'ᾱ'იშას უკავშირდება 2 210 გადმოცემა. აქედან 1 210 უშუალოდ მუჰამადიდან მომდინარეობს. ამასთან 300 ჩართულია ჰადისთა კანონიკურ კრებულებში [381,307]. უფრო ზუსტად, 228 ჩართულია ალ-ბუხᾱრᾱს და 242 - მუსლიმის ნაშრომში [345,54]. აქედან 174 შეთანხმებულია – ერთდროულად მოტანილია ორივე კრებულში. ცნობილი ფაკიჰის და მუჰადდისის მᾱლიქ ბ. ანასის (713-795) ჰადისების კრებულში[170] 'ᾱ'იშა არის 83 ჰადისის პირველწყარო უშუალოდ მოციქულისაგან, თითო-თითო მამის – აბუ ბაქრისაგან და მართლმორწმუნე ხალიფა 'უმარისაგან [315,28].

'ᾱ'იშას ცოდნას ხაზი გაუსვა იბნ სა'დმა და ეს შემდეგ გაიმეორეს მოგვიანო ხანის ბიოგრაფებმა. *„ისლამური კანონები იმდენად კარგად იცოდა, რომ უხუცესი კომპანიონები რჩევას ეკითხებოდნენ მას. ის არასოდეს ცრუობდა მოციქულის გადმოცემებთან დაკავშირებით და მოციქულის სუნნა ან ჩვეულება არავინ იცოდა ისე, როგორც 'ᾱ'იშამ"*[8,VIII,66,69,73].

'ᾱ'იშას მიერ გადმოცემული ჰადისების და განმარტებების თემატიკა იყო მრავალფეროვანი – ლოცვა, მარხვა, ქორწინება, პოლიგამია, რიტუალური განწმენდა [8,VIII,66]. ამტკიცებენ, რომ მუჰამადის მამაკაცი კომპანიონები ეკითხებოდნენ აზრს 'ᾱ'იშას მემკვიდრეობის თაობაზე. ისინი ამბობდნენ: „როცა ჩვენთვის გაუგებარი იყო რომელიმე ჰადისი, ვეკითხებოდით 'ᾱ'იშას და ყოველთვის ვპოულობდით მასთან ახსნას" [5, 418].

'ᾱ'იშა იყო არა მარტო დიდი რაოდენობით ჰადისების გადმომცემი, არამედ გამოირჩეოდა მათი დიდი სიზუსტით გადმოცემით. ცნობილია მისი კამათი მედინის აღიარებულ ტრადიციონალისტებთან (აბუ ჰურაირა[171], იბნ 'უმარი და იბნ 'აბბᾱსი) [397,36]. 'ᾱ'იშას ეკითხებოდნენ, ჰადისის რომელი ვერსია იყო სწორი. შᾱფ'ᾱიტების საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის ფუძემდებლის – აშ-შᾱფ'ᾱის (767-820) თანახმად, *„ჰადისის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიიდან სწორია ის, რომელიც შესაბამისობაშია ყურანთან. თუ ეს შესაბამისობა არ არსებობს, საუკეთესო*

---

[170] „ალ-მუვატტა", რომელშიც 1700 ყველაზე სანდო გადმოცემაა.

[171] აბუ ჰურაირა 'აბდ არ-რაჰმან (602-679) – მუჰამადის მიმდევარი, ისლამი მიიღო მხოლოდ ჰიჯრის 7/628-29 წელს. 5 300 ჰადისს გადმოგვცემს უშუალოდ მოციქულისაგან [242,394; 28,217,შენ.86].

ჰადისი არის ის, რომლის გადმომცემიც ცნობილია, როგორც ექსპერტი გადმოცემებში, აქვს სნავლულის დიდი რეპუტაცია და საუკეთესო მეხსიერება". აშ-შაფ'ი აღიარებდა 'ა'იშას, როგორც მუსლიმ სუნიტ სამართლისმცოდნეს, პირველწყაროს ჰადისის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიის განხილვის დროს [345,54]. თუმცა 'ა'იშას უპირატესი მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, მოციქულთან სიახლოვით იყო განპირობებული. მუჰამადი იღებდა გამოცხადებებს მისი თანდასწრებით და 'ა'იშა იმახსოვრებდა მოციქულის გამონათქვამებს და მოქმედებებს. ბიოგრაფიულ კრებულებში ხაზგასმულია: „მოციქულთან სიახლოვე გულისხმობდა, რომ ის იყო ჭურჭელი ცოდნით სავსე" [315,37].

'ა'იშას ჰქონდა არა მარტო რელიგიური განათლება, არამედ გამოირჩეოდა განსწავლულობით პოეზიაში, ლიტერატურაში, ისტორიაში, მედიცინასა და ცოდნის სხვა დარგებში, რომლებიც იმ დროს ცნობილი იყო. 'ა'იშას განათლების შესახებ მოციქულის მიმდევრები თავიანთ აზრს შემდეგნაირად გამოხატავდნენ: იმამ აზ-ზუჰრიმ[172] თქვა: *„თუ შეეკრებთ 'ა'იშას ცოდნას და შეავადარებთ მოციქულის ყველა სხვა ცოლის და ყველა სხვა ქალის ცოდნას, მაშინ 'ა'იშას ცოდნა იქნება უფრო მეტი"* [345,55]. მუსლიმთა ფაკიჰმა – 'ურვა ბ. აზ-ზუბაირმა[173] განაცხადა: „მე არ მინახავს 'ა'იშაზე უფრო მცოდნე ფიკჰის, მედიცინის ან პოეზიისა" [5,416].

ალ-ბალაზური გადმოგვცემს ტრადიციას, რომელიც გვიხსნის, თუ საიდან შეისწავლა 'ა'იშამ ამდენი რამ მედიცინის შესახებ. 'ა'იშა განმარტავს, რომ მოციქულის ავადმყოფობის დროს ის სნავლობდა იმათგან, ვინც რჩევას აძლევდა და მკურნალობდა მას [5,416].

აზ-ზაჰაბი (გარდ. 749/1348 წ.), როდესაც საუბრობს 'ა'იშას ცოდნაზე, ახასიათებს მას, როგორც „მუსლიმური თემის ყველაზე მცოდნე ქალს". შემდეგ ჩამოთვლის 175 ადამიანს, მათ შორის 20 ქალს, რომლებიც გადმოსცემდნენ 'ა'იშასაგან. სხვა ინფორმაციით, 'ა'იშამ გადასცა ცოდნა დაახლოებით 77 მამაკაცს და 8 ქალს, რომელთაგან 14 (11 მამაკაცი და 3 ქალი) იყო მისი ნათესავი [345,55]. მეორე თაობის რამდენიმე ცნობილი ტრადიციონალისტის რეპუტაცია მუჰამადის შემდეგ დაფუძნებული იყო სწორედ 'ა'იშას გადმოცემებში დახელოვნებაზე. 'ურვა ბ. აზ-ზუბაირმა, რომელიც იყო ისლამის ისტორიის ექსპერტი და იბნ ისჰაკის, იბნ სა'დის და

---

[172] მუჰამმად ბ. მუსლიმ ბ. 'უბაიდ ალ-ლაჰ ბ. შიჰაბი – ღვთისმეტყველი, გენეალოგიების, ტრადიციებისა და ლაშქრობათა ისტორიის მცოდნე. გარდ. 124/742 წელს.

[173] გარდაიცვალა 94/712 ან 99/717 წელს.

ალ-ბუხარის უმეტესი ინფორმაციის წყარო, ეს ცოდნა მიიღო თავისი დეიდის — ʿაʾიშასაგან [46,XIV-XV].

ʿაʾიშა გამოირჩეოდა არა მარტო ღრმა ცოდნით, არამედ მჭევრმეტყველებითაც. ალ-აჰნაფ ბ. კაისმა თქვა: *„მე მომისმენია აბუ ბაქრის, ʿუმარის, ʿუსმანის, ʿალის და მომდევნო ხალიფების საუბარი, მაგრამ არასოდეს მომისმენია საუბარი უფრო მჭევრმეტყველური და მშვენიერი, ვიდრე ʿაʾიშასი“* [397].

მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, ʿაʾიშა კონსულტაციებს იძლეოდა მოციქულის სუნას შესახებ და გამოსცემდა „ფათვა“-ს[174] აბუ ბაქრის, ʿუმარის და ʿუსმანის დროს და თავის გარდაცვალებამდე აკეთებდა ამას [8,II,374-78]. კლასიკური მუსლიმი სწავლულები თვლიან მას ერთ-ერთ ადრეულ კანონთმცოდნედ (ფუკაჰაʾ)[175] ისლამში, ʿუმარ ბ. ალ-ხატტაბთან, ʿალისთან და ʿაბდ ალ-ლაჰ ბ. ʿაბბასთან ერთად [389]. მრავალმა მუჰამადის კომპანიონმა შეისწავლა ყურანი, ჰადისები და მუსლიმური სამართალი ʿაʾიშასაგან. „ყველა სოციალური კლასის წარმომადგენლები, ქალებიც და მამაკაცებიც მიდიოდნენ მასთან, შორიდან და ახლოდან, რათა რჩევა მიეღოთ. კურაიშელმა მამაკაცებმა წესად აქციეს, მოეწვიათ ʿაʾიშა მექაში პილიგრიმობის დროს" [8,V,218,329, 341; 179,201]. ქალები მიდიოდნენ მასთან, რათა მოესმინათ ჰადისები და მიეღოთ პასუხი საოჯახო საკითხებთან დაკავშირებით [179, 201]. ʿაʾიშა გადასცემდა თავის ცოდნას, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. აქედან დასკვნა, რომ ქალებს შეუძლიათ ასწავლონ სხვებს, მათ შორის მამაკაცებსაც.

ისლამური ტრადიციის თანახმად, ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ ქალებს შეუძლიათ კრიტიკული ინფორმაციის გადაცემა, არის ადრეულ მორწმუნეთა შორის რამდენიმე ქალის მონაწილეობა ალაჰის გამოცხადებათა შეგროვებაში, დაცვაში და შესაბამისად, მუსლიმთა წმინდა წიგნის — ყურანის რედაქციაში. ამის შემდეგაც ისინი სწავლობდნენ ყურანს, როგორც რელიგიური მოსაზრებით, ისე ცოდნის ძიების მიზნით. ამასთან ექვსი კანონიკური კრებულის თანახმად, დაახლ. 150 ტრადიცია, რომელიც შეკრებილია მუჰადდისი ქალების მიერ, მოგვითხრობს უშუალოდ გამოცხადებათა მთავარ მიზეზებზე (ასბაბ ან-ნუზულ) ან წარმოადგენენ კომენტარებს ამ აიებზე. ეს ტრადიციები გადმოცემულია ფაᲗიმა ბინთ მუჰამმადისაგან, „მორწმუნეთა დედებისაგან", ან სხვა მორწმუნე ქალებისაგან [257, XXXIV].

---

[174] კანონიკური გადაწყვეტილება რელიგიურ საკითხებზე.
[175] ქალი-სამართლისმცოდნე.

'ā'იშა არის ყველაზე ცნობილი მუჰადდისი მუჰამადის მიმდევარ ქალებში, მაგრამ არის მრავალი სხვა ქალი პირველი თაობიდან, რომლებიც იყვნენ ჰადისების პირველწყარო. თუმცა ყველა არ იყო მოციქულის ნათესავი.

მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, 'ā'იშა, უმმ სალამა, ჰაფṣა, უმმ ჰაბიბა და მაიმუნა – მუჰამადის ცოლებიდან კარგად იყვნენ ცნობილი მუსლიმთათვის, ვინც სწავლობდა ჰადისებს.

'ā'იშას შემდეგ მოციქულის ცოლებიდან ყველაზე მეტი ჰადისი (378) უკავშირდება უმმ სალამას. ის იყო თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე ქალი, რომელშიც შერწყმული იყო ფიზიკური სილამაზე და განათლება. იბნ ჰაჯარ ალ-'ასკალანი (852/1449ნ.) ჩამოთვლის 32 სწავლულის სახელს, რომლებიც უმმ სალამასაგან სწავლობდნენ ჰადისებს [315,42].

ჰაფṣა ბინთ 'უმარს 60 ჰადისი მიეწერება უშუალოდ მოციქულისაგან. ის გადმოგვცემდა აგრეთვე თავისი მამისაგან, ხოლო მისგან მისი ძმა – 'აბდ ალ-ლაჰი და მისი ვაჟი – ჰამზა [332,337]. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, აშ-შიფā'ა ბინთ 'აბდ ალ-ლაჰ, რომელიც ცნობილი იყო როგორც მკურნალი ჯაჰილიიაში, მოციქულის მითითებით ასწავლიდა ჰაფṣას პროფილაქტიკურ მედიცინას [220,78].

მაიმუნა ბინთ ალ-ჰარისს უკავშირდება 27 ჰადისი მხოლოდ ოციქულისა და ზაინაბ ბინთ ჯაჰშის ქორწინების კანონიერებაზე. ევრი ჰადისი აქვს განბანვაზე, პილიგრიმობასთან დაკავშირებით.

ჯუვაირია ბინთ ალ-ჰარისი 6 ჰადისს გადმოგვცემს [257,353], ხოლო სავდა ბინთ ზამა'ა 5 ჰადისს – უშუალოდ ალაჰის მოციქულისაგან. ამასთან 3 მოტანილია „საჰიჰაინში". მისგან გადმოსცემდა 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'აბბას და იაჰია ბ. 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'აბდ არ-რაჰმან (იბნ სა'დ ბ. ზურარა ალ-ანṣარი). ჰადისები მისი სიტყვებით დამოწმებული აქვს აბუ დā'უდს და ან-ნასā'ის [130, 370, შენ. 26].

პირველი თაობის მუჰადდისთა შორის გამოირჩევა ასმā' ბინთ 'უმაისი, რომელსაც უკავშირდება 60 ჰადისი. ასმā' ბინთ აბი ბაქრს – 56 ჰადისი. 19 ადამიანი სახელდება, ვისაც ის თავის ცოდნას გადასცემდა. უმმ ჰანი'ა (ფახითა) ბინთ აბი ტāლიბს, 'ალის დას უკავშირდება 46 ჰადისი [30,162,შენ.232]. თვითონ მუჰამადის ქალიშვილს – ფāტიმას 40 ჰადისი. ფāტიმა ბინთ კაისს – 34 ჰადისი. გადმოცემით, ის დიდხანს კამათობდა 'ā'იშასთან და 'უმართან და მათ ვერ შეაცვლევინეს აზრი. 12 ადამიანია დასახელებული, ვისაც ის გადასცემდა თავის ცოდნას (მათ შორის ყველა მამაკაცი) [257,320].

იბნ სა'დი თავის ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს ჰადისების გადმომცემ ქალებს. ეს არის 700-ზე მეტი ქალი, რომლებიც გადმოგვცემენ ჰადისებს უშუალოდ მოციქულისაგან ან ქალი მუჰადდისებისაგან.

უმმ ქულსუმ ბინთ 'უთბა [8,VIII,238-39] იყო ერთ-ერთი პირველი მუსლიმ ქალთა შორის, რომელმაც იცოდა კითხვა და წერა. ის იყო ხალიფა 'უსმანის ნახევარდა და 'უთბას ქალიშვილი.

პირველი თაობის სწავლული ქალები გახდნენ მაგალითი მომდევნო თაობებისათვის. მათი მემკვიდრეები – მეორე თაობა (მონაფეები – თაბი', მრ. რ. თაბი'უნ) არიან ისინი, რომლებიც გადმოგვცემენ არა უშუალოდ მუჰამადისაგან, არამედ ერთ-ერთი მისი კომპანიონისაგან. შემდეგ მონაფეთა მონაფეები (თაბი'უ თ-თაბი'ინ). თუმცა მუსლიმური წყაროები ყოველთვის არ არიან ერთსულოვანნი – ესა თუ ის პიროვნება იყო კომპანიონი თუ მემკვიდრე. მკაცრი ქრონოლოგიური ზღვარი არ არსებობს, რადგანაც მემკვიდრეებს შეიძლება ეცხოვრათ მოციქულის დროსაც – 632 წლამდე, ან არაუგვიანეს ჰიჯრის მეორე საუკუნისა. რამდენიმე ცნობილმა გადმომცემმა იცოცხლა 70, 80, 90 წელი ან უფრო მეტ ხანს. იბნ სა'დი გადმოგვცემს, რომ ერთ-ერთი ქალი მემკვიდრე გარდაიცვალა ჰიშამ ბ. 'აბდ ალ-მალიქის დროს (724-743)[176], ხოლო მეორე ქალი - 117/735 წელს.

მეორე თაობა არის ის, ვინც არ იყო მუჰამადის უშუალო მიმდევარი, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ თაბი'უნ კატეგორიას, ანუ ძირითადად ისინი, ვინც მოღვაწეობდა უმაიადთა დროს. დაახლ. 150 ქალი არის დასახელებული მეორე თაობაში. იბნ სა'დთან მოხსენიებულია 94 ქალი, რომლებიც არ გადმოგვცემენ უშუალოდ მოციქულისაგან. დიდი რაოდენობა ქალებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ უმაიადთა დროს, დამოწმებულია იბნ 'ასაქირის „დამასკოს ისტორიაში" [43].

ქალთა რაოდენობამ მეორე თაობაში მნიშვნელოვნად დაიკლო. ერთი მიზეზი ამისა არის ის, რომ ზუბაბიუ-ს ჰქონდა განსაკუთრებული მდგომარეობა, როგორც მიბაძვის მაგალითს მუსლიმებისათვის. თუმცა მეორე თაობის ქალებიდან, ვინც ჩართულია ბიოგრაფიულ ლექსიკონებში, არიან ჰადისების გადმომცემნი.

ქალი-მუჰადდისების დაახლ. 67%, ვინც გადმოგვცემდა უშუალოდ მოციქულისაგან, თავის მხრივ გადასცემდა მხოლოდ მამაკაცებს, 26% - ქალებსაც და მამაკაცებსაც და 7% - მხოლოდ ქალებს. მემკვიდრეებში 82% მხოლოდ მამაკაცებს გადასცემდა, 6% - მამაკაცებს და ქალებს და 12% - მხოლოდ ქალებს. მესამე თა-

---

[176] საუბარია სუქაინა ბინთ ჰუსაინ ბ. 'ალიზე [8,VIII,475].

ობაში სულ რამდენიმე ქალია დასახელებული [315,73]. იბნ სა'დი გვიყვება დაახლ. 16 ტრადიციას, რომლებიც უკავშირდება მესამე და მეოთხე თაობის ქალებს, მაგრამ იქ არ არის მოცემული მათი ბიოგრაფიები.

ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ნაშრომში „ბაღდადის ისტორია" დასახელებულია 31 ქალი (7800 ბიოგრაფიიდან — 1%). აქედან 24 არის ინფორმაციის გადმომცემი. ისინი ეკუთვნიან პერიოდს ჰიჯრის მეორე საუკუნიდან - მეხუთემდე.

მესამე თაობის 85% გადასცემდა მხოლოდ მამაკაცებს. ალ-ბაღდადის ლექსიკონში მოხსენიებული ქალებიდან, მხოლოდ ერთმა ქალმა მიიღო განათლება ქალისაგან და ის გადასცემდა ქალებს.

ქალი-მემკვიდრეების 58% გადმოსცემდა მოციქულის ტრადიციებს მისი ცოლებისაგან და 12% - სხვა ქალებისა და მამაკაცებისაგან. თუმცა მამაკაცები, ვისაც ისინი გადასცემდნენ, იყვნენ მათი ნათესავები. ძირითადად ქალების მასწავლებლები იყვნენ ბაბუები დედის და მამის მხრიდან, ან მათი მშობლები [315,75-76].

მეორე თაობის ტრადიციონალისტ ქალებს შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ 'ამრა ბინთ 'აბდ არ-რაჰმანს, ჰაფსა ბინთ სირინს, 'ა'იშა ბინთ ტალჰას და სხვ.

ა) *'ამრა ბინთ 'აბდ არ-რაჰმანი*[177] — მეორე თაობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალია, რომელსაც მჭიდრო ყრთიერთობა ჰქონდა 'ა'იშა ბ. აბი ბაქრთან და დიდხანს იცოცხლა. ის, 'ა'იშას გარდა, ერთადერთი ქალია, რომელიც ჩართულია იბნ სა'დის ნაშრომის მთავარ ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია მამაკაცთა ბიოგრაფიები [8,II,494]. ის დასახელებულია მათ შორის, ვინც გამოთქვამდა კანონიერ აზრს მედინაში, მოციქულის შემდეგ.

იბნ სა'დი უწოდებს მას სწავლულ ქალს[178] [8,VIII,480-81]. მისი გადმოცემების ძირითადი ნაწილი 'ა'იშადან მომდინარეობს, დანარჩენი - აბუ ბაქრის, 'უმარის, 'უსმანის და სხვებისაგან, გადმოგვცემს სულ 29 ჰადისს. ის პირველი ავტორიტეტია 3 კანონიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაც ეხება აკრძალვებს. ესენია: 1. საფლავის გახსნა 2. დაუმწიფებელი ხილის გაყიდვა 3. მოსავლის დანაკარგის გამოანგარიშება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობისას. 'ამრას რწმუნებულება მიღებული იყო ისეთი საქმეების განხილვის დროსაც, როგორიც იყო საქმიანი გარიგებები და კრიმინალური დანაშაულობები, სადაც არ მიიღება

---

[177] მუჰამადის ცნობილი კომპანიონის — ას'ად ბ. ზარრა ალ-ანსარის შვილიშვილი. გარდაიცვალა 98, 103 ან 106/716,721 ან 724 ნელს.

[178] არაბ. 'ალიმა.

ქალის მოწმეობა [345,48-49]. 'ამრა წარმოდგენილია აგრეთვე, როგორც ექსპერტი პილიგრიმობის დროს ცალკეული რიტუალების შესრულებასთან დაკავშირებით. დამატებით, ის გადმოგვცემს ინფორმაციას 'ᾱ'იშასაგან იბნ ისᾱᾱკის მოციქულის ბიოგრაფიაში [46,28,38,468,494,688]. იმᾱმ ბუხᾱრᾱმ თქვა: „ის იყო მდივნის მსგავსი 'ᾱ'იშასათვის და ამავე დროს მისი საუკეთესო მოწაფე. ხალხი 'ᾱ'იშას საჩუქრებს და წერილებს უგზავნიდა მისი საშუალებით" [402]. 'ამრა გადმოგვცემს 'ᾱ'იშასა და უმმ სალამასაგან, მისგან - 'აბდ ალ-ლᾱᾱ ბ. აბᾱ ბაქრ ბ. ᾱᾱზმი[179] და იაᾱᾱᾱ ბ. სა'იდ ალ-ანსᾱრი[180]. როცა იმᾱმ აზ-ზუᾱრᾱმ, სუნას ცნობილმა სწავლულმა, კასიმ ბ. მუᾱᾱმმადს[181] გაანდო ცოდნის ძიების სურვილი, მან ურჩია მიემართა იმ დროის ცნობილი იურისტი ქალისათვის — 'ამრა ბინთ 'აბდ არ-რაᾱᾱმანისათვის. იმᾱმ აზ-ზუᾱრᾱმ დაიწყო მისი ლექციების მოსმენა და მერე აღწერდა 'ამრას, როგორც „ცოდნის უსაზღვრო ოკეანეს" [345,49]. იმათ შორის, ვისაც ის გადასცემდა, დასახელებულია მისი ვაჟი, ძმა, ძმისშვილები, შვილიშვილი (ვაჟი), ძმისშვილიშვილი და რამდენიმე ცნობილი ტრადიციონალისტი. მის დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხალიფა 'უმარ ბ. 'აბდ ალ-'აზᾱზმა (717-720) მისწერა აბᾱ ბაქრ ბ. მუᾱᾱმმად ბ. ᾱᾱზმს, რომ ჩაეწერა ალაᾱის მოციქულის ყველა გადმოცემა, რაც 'ამრასაგან იყო ცნობილი [8,VIII,480].

ბ) *ᾱᾱფსᾱ ბინთ სირინ* — ცნობილი ტრადიციონალისტი ბასრადან, რომელმაც შეიძინა აგრეთვე ღვთისმოსავის და ასკეტის რეპუტაცია. მას უკავშირდება ტრადიცია, რომლის თანახმადაც „გაჭირვებისაგან სიკვდილი უტოლდება ისლამის სამსახურში სიკვდილს". მისი გადმოცემები შესულია ალ-ბუხᾱრის და მუსლიმის ᾱᾱდისების კრებულში. ᾱᾱფსᾱმ წაიკითხა ყურანი 12 წლის ასაკში. მისი ცოდნა იმდენად დიდი იყო, რომ ძმა ეკითხებოდა მას, როგორ უნდა წაეკითხა რთული და გაუგებარი პასაᾱები. ის აღწერილია,

---

[179] მისი მამა იყო აბუ ბაქრ ბ. მუᾱᾱმმად ბ. ᾱᾱზმი(აბუ ბაქრ ბ. ᾱᾱზმი), მედინის ცნობილი მოსამართლე.

[180] იაᾱᾱᾱ ბ. სა'იდ ბ. კაის ალ-ანსᾱრი (გარდ. 144/761-62 ან 146/763-64 წელს) — ავტორიტეტული მეცნიერი ᾱᾱდისებისა და ფიკᾱის დარგებში. გადასცემდა აგრეთვე ისტორიული ხასიათის ცნობებს. ითვლებოდა სანდო გადმომცემად.

[181] ალ-კასიმ ბ. მუᾱᾱმმად ბ. აბᾱ ბაქრი (გარდ. 121/738-39 წ.) — პირველი ხალიფა აბუ ბაქრის შვილიშვილი. გადმოსცემდა თავისი მამისაგან, 'ᾱ'იშასაგან, აბუ ᾱურაირასაგან და სხვა ასᾱᾱᾱებისა და ასაკოვანი თაბი'უნისაგან.

როგორც უფრო განათლებული, ვიდრე ალ-ჰასანი[182] და იბნ სირინი[183]. ჰაფსა გარდაიცვალა 100/718 წლის შემდეგ ან 70 ან 90 წლის ასაკში. ბიოგრაფიულ ლექსიკონებში ის არის დასახელებული, როგორც ტრადიციონალისტი და კანონთმცოდნე [345,49-50; 8,VIII,484].

გ) *'ა'იშა ბინთ ტალჰა* (გარდ. 100/718 წლის შემდეგ) – ის იყო აბუ ბაქრის შვილიშვილი დედის მხრიდან, გადმოცემდა ტრადიციებს თავისი დეიდის – 'ა'იშასაგან, ცხოვრობდა 'ა'იშასთან და ცნობილია, როგორც მეორე თაობის ავტორიტეტული ტრადიციონალისტი. როდესაც 'ა'იშა ბინთ აბი ბაქრის დიდ ცოდნაზე მიუთითებენ, აღწერენ ჰიშამ ბ. 'აბდ ალ-მალიქის წრეს, სადაც ბანუ უმაიიას შეიხები იკრიბებოდნენ. 'ა'იშა ბინთ ტალჰამ დიდი ცოდნა გამოამჟღავნა არაბთა ისტორიაში, ვარსკვლავთმრიცხველობაში, პოეზიაში და განაცხადა, რომ ეს ცოდნა 'ა'იშასაგან ჰქონდა მიღებული. ჰიშამმა მიიწვია ის თავის სასახლეში და ისე მოიხიბლა მისი ცოდნით, რომ საჩუქრად მისცა 100 ათასი დირჰამი [397].

დ) *ნაფისა ბინთ ალ-ჰასან* (გარდ. 208 წლის რამადანის თვეში/824 წლის იანვარში) – საიდა ნაფისა[184]. მას ჰქონდა სწავლულის და ღვთისმოსავის რეპუტაცია, ზეპირად იცოდა ყურანი, ერკვეოდა ყურანის კომენტარებში, იცოდა მუსლიმური სამართალი. გათხოვდა ისჰაკ ბ. მუ'თამინზე – ჯა'ფარ ას-სადიკის[185] შვილზე და კაიროში გადავიდა[186]. ნაფისა იქ შეკრების ადგილებში (პილიგრიმების, მლოცველების და სხვ.) გადასცემდა თავის ცოდნას. იბნ ხალლიქანი თავის ბიოგრაფიულ ლექსიკონში მოიხსენიებს 7 ქალს [10,V,423-24], მათ შორის ნაფისას და შენიშნავს, რომ ის ასწავლიდა ტრადიციებს იურისტ – იმამ აშ-შაფი'ის. ნაფისა დაიკრძალა კაიროში[187] [333,32; 172,331; 311].

---

[182] იგულისხმება ალ-ჰასან ალ-ბასრი (642-678), ცნობილი რელიგიური მოღვაწე, ჰადისების მცოდნე, ისლამში მისტიკური მიმართულების – სუფიზმის ფუძემდებელი.

[183] მუჰამმად ბ. სირინ ალ-ბასრი ალ-ანსარი (იბნ სირინ) – ცნობილი ჰადისთმცოდნე, ისტორიკოსი, კანონთმცოდნე (გარდ. 110/729წ.), ჰადისების და ფიკჰის საუკეთესო მცოდნე. ცნობილია აგრეთვე, როგორც სიზმრების განმმარტებელი.

[184] 'ალი ბ. აბი ტალიბის შვილიშვილის შვილი (ალ-ჰასან ბ. ზაიდ ალ-ჰასანის ქალიშვილი).

[185] შიიტთა მეექვსე იმამი, გარდაიცვალა 765 წელს.

[186] ვაჟი და გოგონა შეეძინა, მაგრამ მისი შთამომავლები მალე გარდაიცვალნენ.

[187] ნაფისას მავზოლეუმი მდებარეობს კაიროს ჩრდილოეთ ნაწილში.

ე) მეორე თაობაში გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებენ აგრეთვე სა'იდ ბ. მუსაიიბის[188] ქალიშვილს. მამამ არ მიათხოვა თავისი ქალიშვილი ხალიფა 'აბდ ალ-მალიქს და გაათხოვა ის თავის მონაფეზე — 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ვადა'აზე. მისი ქალიშვილი იყო ძალიან ლამაზი, ყურანის, სუნას და ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე. გადმოცემით, „'აბდ ალ-ლაჰი ერთი თვე აღარ ესწრებოდა სა'იდ ბ. მუსაიიბის ლექციებს, რადგანაც მისი ცოლის ცოდნა იყო საკმარისი" [397].

ვ) *'ა'იშა ბინთ სა'დ ბ. აბი ვაققاص* — ის გადმოგვცემდა თავისი მამის[189] და მუჰამადის ცოლებისაგან. 'ა'იშას მონაფეები იყვნენ იმამი მალიქი, ალ-ჰაქამ ბ. 'უთაიბა[190] და აიიუბ ბ. აბუ თამიმ ას-საჰთიანი[191]. 'ა'იშა გადმოგვცემდა ტრადიციებს შავ ტანსაცმელზე და მორთულობებზე [8,VIII, 467-68].

ზ) *უმმ ად-დარდა'* (გარდ. 81/700) — აბუ დ-დარდა'ს[192] ცოლი. მისგან ჰადისებს სწავლობდა ალ-ბუხარი და იმოწმებს მას, როგორც სანდო გადმომცემს. იდას ბ. მუ'ავიდა, თავისი დროის ცნობილი ტრადიციონალისტი და მოსამართლე მაღალი ღირსებებით, უმმ ად-დარდა'ს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ამ პერიოდის ყველა სხვა ტრადიციონალისტს — ჰადისების ცნობილი სპეციალისტების ალ-ჰასან ალ-ბასრის და იბნ სირინის ჩათვლით. უმმ ად-დარდა' იყო ექსპერტი-თეოლოგი, გამოირჩეოდა თავისი ცოდნით და ალაჰისადმი სამსახურით [334,145-48].

რაც შეეხება 'აბბასიდანთა პერიოდს, მესამე ისლამურ საუკუნეს, ეს არის მესამე თაობა. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი დიდ ადგილს უთმობს სწავლულ ქალებს. ჩვენ ვგებულობთ, რომ ისინი სწავლობდნენ მამაკაცებისაგან და ასწავლიდნენ მათ. ალ-ხატიბი

---

[188] სა'იდ ბ. ალ-მუსაიიბ ბ. ჰაზნ ალ-მახზუმი (გარდ. 94/712-13) — კანონთმცოდნე, ჰადისების გადმომცემი.

[189] სა'დ ბ. აბი ვაققاص — მუჰამადის ერთ-ერთი უახლოესი მიმდევარი, ცნობილი მხედართმთავარი(გარდ. 50/670-71წ.). ის იყო ისლამური მეცნიერების საუკეთესო მცოდნე.

[190] მას ასახელებენ ქუფის 4 სახელგანთქმულ მუფთის შორის (გარდ. 115/733-34წ.).

[191] მეცნიერი ჰადისების დარგში. ის გადმოგვცემდა აგრეთვე ისტორიული ხასიათის ცნობებს. მისგან გადმოსცემენ 800 ჰადისს. მისი მონაცემებით სარგებლობდა მომდევნო ხანის მრავალი ცნობილი და ავტორიტეტული მეცნიერი.

[192] აბუ-დ-დარდა' 'უვაიმირ ბ. მალიქ ალ-ხაზრაჯი (გარდ. 652 ნ.) — მიმდევარი ანსარებიდან. მისგან გადმოგვცემენ 179 ჰადისს. ის იყო ერთ-ერთი, ვინც დაინყო ალაჰის გამოცხადებათა ჩანერა ჯერ კიდევ მუჰამადის სიცოცხლეში. იყო დამასკოს პირველი ყადი [30,193,შენ. 223].

ასახელებს 29 სწავლულ ქალს. მათ შორის 18 სწავლობდა იმ დროის ნამყვან სწავლულთან. 9 მათგანი (მათ შორის 'აბბასა – აჰმად იბნ ჰანბალის ცოლი), სწავლობდა ახლო ნათესავებთან – მამასთან, ძმებთან, ქმრებთან, რომლებიც სწავლულები იყვნენ. დანარჩენი 9 სწავლობდა აღიარებულ სწავლულებთან, რომლებიც არ იყვნენ მათი ნათესავები. ეს ცნობილი სწავლულები იყვნენ აჰმად იბნ ჰანბალი და ათ-თანუჰი. 11 ქალი ასწავლიდა სხვა სწავლულებს. ალ-ხატიბი თვითონ სწავლობდა 4 ქალთან[193]. მათ დიდი რეპუტაცია ჰქონდათ თავისი დროის სწავლულებს შორის. დანარჩენ შვიდს, სამეფო ოჯახის ნევრებთან ერთად, ჰქონდა ფართო განათლება და გადასცემდა ტრადიციებს. ამასთან ხაზგასმულია, რომ ამ ქალებმა განათლება მიიღეს სკოლებში, მაგრამ ისინი დადიოდნენ თავიანთი მასწავლებლების სახლში ან ისინი მიდიოდნენ მათთან. მრავალ ქალს ჰქონდა ლიტერატურული სალონის მსგავსი, სადაც სწავლულები კამათობდნენ[194] [276,59-60].

ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ნაშრომში ჩამოთვლილა იმ დროის ცნობილი მუჰადდისი ქალები. ა) *ზაინაბ ბინთ სულაიმანი* – 'აბბასიანთა სამეფო ოჯახის ნარმომადგენელი (ხალიფა ალ-მანსურის შვილიშვილი)[195]. მან მიიღო შესანიშნავი განათლება, ჰადისების სპეციალისტი გახდა, გამორჩეული ტრადიციონალისტის სახელი მიიღო და მის მონაფეებს შორის იყო მრავალი მამაკაცი, მათ რიცხვს ეკუთვნოდა მისი ძმაც – აბუ ია'კუბი.

ბ) *ზაინაბ ბინთ უმმ სალამა* – ის გადმოგვცემდა თავისი დედის უმმ სალამასაგან, ხოლო ზაინაბისაგან – 'ურვა ბ. აზ-ზუბაირი. ის იყო ცნობილი მუჰადდისი ქალი, თეოლოგი და უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა, ვიდრე მის თანამედროვეებს [8,VIII,461].

გ) *უმმ 'უმარ ას-საკაფია* – ცხოვრობდა მეორე ისლამური საუკუნის ბოლოს. არის ცნობა, რომ ის გადასცემდა იბნ ჰანბალს. თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჰანბალის მასწავლებლებს შორის არც ერთი ქალი არაა მოხსენიებული. უმმ 'უმარის გადმო-

---

[193] თაჰირა ათ-თანუჰიდა, ფატიმა ალ-ქარაჯიდა (გარდ. 409/1019-20 წლის შემდეგ), ხადიჯა ბინთ ალ-ბაკკალ (გარდ. 437/1046წ.) და სუთაითა ბინთ ალ-ქადი ბ. აბი 'ამრ (გარდ. 447/1055 წ.)

[194] საინტერესოა ის ფაქტი, რომ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის თავის ნაშრომში გადმოცემული აქვს დაახლ. 300 წლიანი ისტორია და მხოლოდ 29 სწავლული ქალის ბიოგრაფიაა დაცული (სულ არის 31 ქალის ბიოგრაფია).

[195] ზაინაბ ბინთ სულაიმანი ბ. 'ალი ბ. 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-'აბბასი ტრადიციონალისტია, ისევე, როგორც მისი ძმები: ჯა'ფარი და მუჰამმადი. გადასცემდა ჰადისებს თავისი მამის – სულაიმანისაგან, რომელიც იყო ბასრის, აჰვაზის (ომანის) და ბაჰრაინის გამგებელი. ზაინაბი გარდაიცვალა 142/759 წელს.

ცემებში დაცულია ინფორმაცია, უფრო ზუსტად მისი მოსაზრება 'ალ̄ისა და 'უსმ̄ანის მომხრეებს შორის ბრძოლის (ṣიფფ̄ინთან 657 წ.) თაობაზე [347,22].

დ) *'აბდა ბინთ 'აბდ არ-რაჰმ̄ან ბ. მუს'აბ* (გარდ. ისლამის მეოთხე საუკუნის I მეოთხედში) – გადმოგვცემდა თავისი მამისაგან. მისგან გადმოგვცემენ მუჰ̣ამმად ბ. მაჰლალ ად-დური[196] და სულაიმ̄ან ბ. აჰ̣მად ატ-ტაბარანი[197] [334,48]. ალ-ხატ̄იბ ალ-ბაღდ̄ადის ჩართული ჰყავს ის თავის ნაშრომში. რამდენიმე გადმოცემაა, რომელიც უკავშირდება ბადრთან ბრძოლას. მაგ., ასეთი გადმოცემაც არის, რომ მოციქულმა თქვა: „ქალები არ უნდა ნავიდნენ ლაშქრობებში, მეჩეთში პარასკევობით და არ უნდა დაესნრონ დაკრძალვის ცერემონიალს". მაგრამ ვენსინკთან ეს ტრადიცია არ არის. ბიოგრაფიულ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ის იყო ბრძენი ქალი, რომელიც საუბრობდა ნათლად და იყო ღვთისმოსავი [334, 48].

მ. სიდდიკის გადმოცემით, 'აბიდა ალ-მადანიდა, 'აბდა ბინთ ბიშრ, უმმ 'უმარ ას-საკაფიდა, ზაინაბ ბინთ სულაიმ̄ანი, ხადიჯა უმმ მუჰ̣ამმადი, 'აბდა ბინთ 'აბდ არ-რაჰ̣მ̄ანი და მრავალი სხვა ქალი საჯარო ლექციებს კითხულობდნენ ჰადისებში. ისინი იყვნენ სხვადასხვა სოციალური ნარმოშობის – მონა, თავისუფალი თუ მაღალი სოციალური წრის ნარმომადგენელი [334,142-50]. 'აბბასიდანთა პერიოდში მოხსენიებულია ფ̄ატიმა ბინთ 'აბდ არ-რაჰ̣მ̄ანი (გარდ. 312/924წ.), ცნობილი, როგორც ას-სუფიდა, ღვთისმოსავობის გამო. ფ̄ატიმა ბინთ აბ̄ი ბაქრ 'აბდ ალ-ლ̄აჰი – აბუ̄ დ̄ა'უდის შვილიშვილი; უმმ ალ-ფათ̣ჰ ამათ ას-სალამ̄ი (გარდ. 390/999წ.) – მოსამართლე აბუ̄ ბაქრ აჰ̣მადის (350/961წ.) ქალიშვილი და მრავალი სხვა ქალი, რომელთა კლასებიც სავსე იყო სტუდენტებით და ისინი გასცემდნენ „იჯაზას".

X საუკუნის ბაღდ̄ადში განსაკუთრებით გამოირჩეოდა 2 ქალი -კანონთმცოდნე. *ამათ ალ-ეაჰ̣იდ* (გარდ. 377/986წ.), უფრო ცნობილი იყო სახელით – სუთაითა. ის იყო მოსამართლის – აბუ̄ 'აბდ ალ-ლ̄აჰ ალ-ჰ̣უსაინ ბ. ისმ̄ა'ილ ალ-მუჰ̣ამმილის ქალიშვილი [14,XIV,442]. მის შესახებ წერდა მრავალი სწავლული. ის გამოსცემდა გადაწყვეტილებებს რელიგიურ კანონებზე აბუ̄ 'ალ̄ი ბ. აბუ̄ ჰურაირასთან ერთად. შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილებებისათვის მას უნდა ჰქონოდა ფართო განათლება. ის იწოდებოდა

---

[196] ად-დური (გარდ. 331/932წ.) 97 წლის ასაკში. დიდი რეპუტაცია ჰქონდა, როგორც სწავლულს და ტრადიციონალისტს.

[197] ატ-ტაბარანი (დაიბადა 260/874წ.) თავისი დროის უდიდესი სწავლული. სწავლობდა დაახლ. 100 მეცნიერთან.

მუფთიდ, ზეპირად იცოდა ყურანი, კარგად იცნობდა შაფ'იიტების სამართალს და მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ კომპლექსურ კანონებს. მან ასევე კარგად იცოდა არაბული გრამატიკა და ლიტერატურა. სწავლულები მისგან გადასცემდნენ ტრადიციებს. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი იყო შაფ'იიტი, მაგრამ ჰანბალიტი ალ-ჯავზიც ეთანხმება, რომ ის იყო სანდო, უტყუარი სწავლული. ერთი ვაჟი ჰყავდა – მოსამართლე აბუ ალ-ჰუსაინ ბ. მუჰამმად [276,36-37; 315,31]. ამათ ალ-ვაჰიდ კარგად იყო ცნობილი 'აბბასიანთა სასახლის კარზე[198], როგორც იურისტი. მეორე არის *უმმ 'ისა* (გარდ. 328/939 წ.) – იბრაჰიმ ბ. ისჰაკ ალ-ჰარბის[199] ქალიშვილი და ისიც გამოსცემდა გადაწყვეტილებებს იურისპრუდენციაში. ის სწავლობდა თავის მამასთან და სარგებლობდა მისი უზარმაზარი ბიბლიოთეკით. ყურანის ზეპირად დამახსოვრების შემდეგ, მან თვითონ დაიწყო სამართლის შესწავლა შაფ'იიტების სკოლის თანახმად და მემკვიდრეობის წილის გამოთვლა. მან გამოსცა კანონიერი გადაწყვეტილებები მამაკაც იურისკონსულტებთან ერთად [14,XIV,442; 276,38].

X საუკუნის ბაღდადში თავისი ქადაგებებით განთქმული იყო ჰამდა, ვასიკის ქალიშვილი. ის კითხულობდა ქალაქის ჭიშკართან და ჰყავდა მსმენელთა საკუთარი წრე. ჰადისების გადმოცემისას ის ეყრდნობოდა აბუ ბაქრ ბ. 'ალის [166,15]. სწავლულ ქალთა რიცხვი მნიშვნელოვნად კლებულობს მუჰამადის მიმდევართა მესამე თაობაში, X საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ამგვარად, ქალს მიენიჭა განათლების უფლება. ისინი განათლებას თავდაპირველად იღებდნენ მეჩეთში, სადაც მოციქული და მისი კომპანიონები კითხულობდნენ ყურანს რეჩიტატივით და ალაჰის ცალკეულ გამოცხადებებს განმარტავდნენ. მეჩეთის სასწავლო ცენტრად გამოყენებამ უდიდესი როლი ითამაშა არაბული საზოგადოების განვითარებაში. მოციქულმა სპეციალური დღე გამოყო ქალებისათვის და ასწავლიდა მათ ისლამის რელიგიური მოძღვრების ძირითად პრინციპებს. ქალები სწავლობდნენ მეცნიერების ყველა დარგს, მაგრამ განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს რელიგიურ მეცნიერებებში. მამაკაცთა შორის მრავალი ცნობილი მუჰადდისის, ღვთისმეტყველის და სამართლისმცოდნის

---

[198] ცნობილია, რომ ის უმმ ალ-მუკთადირმა (ხალიფა ალ-მუკთადირის დედამ) მიიწვია სასახლეში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა [276,54].

[199] იბრაჰიმ ალ-ჰარბი (გარდ. 385/994წ.) – ცნობილი სწავლული (აგრეთვე ფილოლოგი და პოეტი) ბაღდადში. ჰქონდა მრავალი ნაშრომი რელიგიურ საკითხებზე. მის მონაფეებს შორის იყო მრავალი ღვთისმეტყველი. მისი ბიბლიოთეკა ცნობილი იყო მთელ მუსლიმურ სამყაროში.

მასწავლებლები იყვნენ ქალები. თუმცა ეს არ მიუთითებს, რომ აღ-ნიშნულ პერიოდში ყველა ქალი იყო განათლებული. ბიოგრაფიულ ლექსიკონებში მრავალი სწავლული ქალია დასახელებული, მაგრამ მხოლოდ 12 ქალია გამოყოფილი, რომლებიც გამოირჩეოდნენ ის-ლამური კანონების ცოდნით. მათ შორის 5 ქალია იურისკონსულ-ტი: ʿᾱʾიშა, ʿამრა ბინთ ʿაბდ არ-რაḥმანი, ḥაფṣა ბინთ სირინი, უმმ ʿისა ბ. იბრᾱhᾱმი და ამათ ალ-ვაhიდი. ერთ-ერთი ფრაზა, რომელ-საც სწავლულები იყენებდნენ ჰადისთა კრებულებში ტრადიციო-ნალისტი ქალებისათვის არის *„აშ-შაიხა ალ-მუსნიდა აṣ-ṣაḥᾱḥა“* — ჰადისების კრებულების გადმომცემი.

IV თავი
ქალი და პოლიტიკა (VII-Xსს.)

1. ქალთა პოლიტიკური აქტივობა ისლამში

მუსლიმური სამართლის თვალსაზრისით, ადამიანთა ქცევის წესები და ნორმები განიხილება, როგორც მოვალეობა (ფარდ), რომელიც იყოფა: ფარდ ალ-'აინ – ინდივიდუალური მოვალეობა, ყველასათვის სავალდებულო, გამონაკლისის გარეშე (რელიგიური ვალდებულებები – ლოცვა, მარხვა და სხვ.) და ფარდ ალ-ქიფაია – კოლექტიური მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობა გარკვეული მიზეზით დასაშვებია (სამგლოვიარო ლოცვა, საღვთო ომი და სხვ.). ორივე მოვალეობა ზოგადად არის დაკავშირებული ადამიანის პასუხისმგებლობასთან. პოლიტიკური ქმედებებიც განიხილება, როგორც მოვალეობები, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირდეს ასე: ფარდ 'აინიდა (ბაი'ა ანუ ფიცი და შურა ანუ კონსულტაცია) და ფარდ ქაიფიდა (როგორიცაა ჯიჰადი – საღვთო ომი) [250,83].

ა) ბაი'ა არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტიტუტი ისლამში, რომლის საშუალებითაც ხალხი ან უმმა (მუსლიმური თემი) აღიარებს პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობას. ბაი'ა არის ხელშეკრულება, რომელშიც სამი მხარე მონაწილეობს: ლიდერი – ის, რომელსაც აძლევენ ერთგულების ფიცს; ხალხი ან უმმა – ის, რომელმაც უნდა გამოაცხადოს თავისი ერთგულება, ლოიალურობა და შარი'ა [ისლამის რელიგიური კანონი] – ის, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ორივემ, ლიდერმა და ხალხმაც [219,120-26; 250,84].

ბაი'ა იყოფა ორად: 1. ბაი'ა 'აინიდა გამოხატავს პოლიტიკურ ვალდებულებას სისტემისადმი (ილთიზამ) და მისი ლიდერისადმი და ის სავალდებულო იყო ყველა მუსლიმი მამაკაცისა და ქალისათვის; 2. ბაი'ა ქაიფიდა (ფიცი გარემოებიდან, ვითარებიდან გამომდინარე) დაკავშირებულია განსაზღვრულ მოვალეობასთან და აიხსნება გარკვეული გარემოებით. მუჰამადს, როგორც მუსლიმური თემის ხელმძღვანელს, ერთგულების ფიცი მისცეს მამაკაცებმაც და ქალებმაც და ფიცის შინაარსში განსხვავება არ იყო. მუჰამადს ფიცი მისცეს, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ მუსლიმურ თემს და მის ლიდერს იმაში, რაც არის სწორი [ბაი'ა 'აინიდა]. მან აგრეთვე მიიღო ფიცი [ბაი'ა ქაიფიდა] ზოგიერთი ცნობილი ქალისაგან, იმის თაობაზე, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებდნენ ჯიჰადში და მართლაც ქალებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ

ბრძოლაში მამაკაცებთან ერთად. ასეთი ფიცი სავალდებულოა იმ მუსლიმი მამაკაცებისა და ქალებისათვის, რომელთათვისაც დამახასიათებელია თავგამოდება ისლამის საქმისათვის.

ბ) შურა არის ისლამის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი საფუძველი. საინტერესოა, რომ მასში ასევე მონაწილეობდნენ ქალებიც.

თანამედროვე მუსლიმი ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ შურა-ს, რაც გულისხმობს იმას, რომ მმართველი უნდა მოეთათბიროს თემის შედარებით გამოჩენილ წევრებს სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. რელიგიური ავტორიტეტების განმარტებით, შურა არის საბჭო (სათათბირო), რომელიც ტარდება მუსლიმ ლიდერთა, ან თვითონ მორწმუნეებს შორის ამა თუ იმ რთულ სიტუაციაში უფრო სწორი გადაწყვეტილების ძიების მიზნით [91,93].

ყურანის 3:159 აია[1] მოუწოდებს მოციქულს, მიმართოს მორწმუნეებს და მოეთათბიროს მათ საზოგადო საკითხებზე, მაგრამ მიიღებს თუ არა გადაწყვეტილებას, მაშინვე გაატაროს ცხოვრებაში. მართალია, ალაჰის მოციქული ხანდახან ეთათბირებოდა ხალხს და მიღებულ რჩევას ითვალისწინებდა, მაგრამ მუსლიმი კანონმდებლები არასოდეს არ თვლიდნენ, რომ სწორედ ურთიერთობის ამ ტიპს გულისხმობს ეს აია. თვითონ მოციქულიც არ იცავდა მკაცრად ამ პრინციპს. ყოველ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ მოციქულის რელიგიურ როლს და მიმდევრებთან მისი ურთიერთობის ბუნებას, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ის ვალდებული იყო მოთათბირებოდა თავის მიმდევრებს ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით და გაეთვალისწინებინა მათი რჩევა. თუ მოციქული ეთათბირებოდა თავის მიმდევრებს, ეს იყო მისი ვალდებულება ალაჰის და არა ხალხის წინაშე [147,93].

ყურანის 42:38 აია[2] საუბრობს მორწმუნეებზე, როგორც თემზე, რომლის წევრებიც ყველა საკითხს წყვეტენ ერთმანეთთან მოთათბირებით. აქ არ არის ნათქვამი, რომ ყოველთვის უნდა იყოს მხედველობაში მიღებული უმრავლესობის აზრი.

შურა არის ორმხრივი კონსულტაცია, რომელსაც მიმართავენ სხვადასხვა დროს: ა) საკანონმდებლო საქმეებთან დაკავშირებით. ამ დროს კონსულტაციები უნდა წარიმართოს ულემებთან ('ულამა') შარი'ათის საფუძველზე. ბ) სპეციალურ საკითხებთან დაკავშირებით. ამ დროს სავალდებულოა კონსულტაციები ამ დარგის ექსპერტებთან. გ) ზოგად საკითხებთან დაკავშირებით,

---

[1] პირველი აია ორიდან, სადაც მოხსენიებულია სიტყვა შურა.

[2] მეორე აია, სადაც მოხსენიებულია შურა — (ვა ამრუჰუმ შურა ბაინაჰუმ) და ეს სურა ამ სახელს ატარებს.

რაც ეხება მთელ ერს. ამ დროს თემის ყველა წევრთან კონსულტაციის გარკვეული ფორმა არის იდეალური [250,85].

ამ კონტექსტიდან გამომდინარე, ქალებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონსულტაციებში ყველა დონეზე. ეს დამოკიდებულია განსახილველ საკითხზე და მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. ქალებს რჩევას ეკითხებოდნენ ყველა დონეზე მოციქულის და მისი მემკვიდრეების დროს.

ჯერ კიდევ მუჰამადი და მისი უახლოესი მიმდევრები ხშირად მიმართავდნენ ქალთა რჩევას [მაშვარა], როცა ისლამის ისტორიაში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებდნენ [250,85].

მუჰამადი, რომელიც თვითონ იყო „სრულყოფილი ადამიანის" ნიმუში და საყოველთაო მიბაძვის მაგალითი მუსლიმებისათვის, ითვალისწინებდა თავისი ოჯახის რჩევას. ხადიჯა იყო მუჰამადის კომპანიონი, მრჩეველი და რელიგიურ დაპირისპირებებში ერთგული მოკავშირე [337,32]. მუჰამადის ბიოგრაფები ხედავენ მასში კეთილშობილ ქალს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საღი აზრი, გადამწყვეტი მოქმედება, უკიდურესი ერთგულება და ღვთისმოსაობა.

გადმოცემები მაღალ შეფასებას აძლევენ ხადიჯას, როგორც დედას და ცოლს. ის ეხმარებოდა მუჰამადს თავისი რწმენის გავრცელებაში. ის იყო სპეციალური ჯილდო მუჰამადისათვის. იბნ ისჰაკი ადარებს მას „ვაზირ ხიდ"-ს, სამართლიან ვაზირს[3] [46,277]. მისი როლი ნათლად წარმოჩნდება ამ გადმოცემაში: „მისი ირწმუნა ხადიჯამ, დაიჯერა ჭეშმარიტება იმისა, რასაც ის ალაჰისაგან ღებულობდა, მხარს უჭერდა მის საქმეს. იყო პირველი ადამიანი, ვინც ირწმუნა ალაჰის და მისი მოციქულის და დაიჯერა, რასაც ის გადასცემდა. ალაჰმა გააადვილა თავისი მოციქულისათვის ეს საქმე. ყოველთვის, როცა ის [მოციქული] ისმენდა არასასიამოვნო სიტყვებს თავისი მისამართით, ადანაშაულებდნენ ტყუილში, ის ბრუნდებოდა ხადიჯასთან დამწუხრებული და ის მას ამშვიდებდა, ეხმარებოდა მას, განამტკიცებდა მისი სიტყვების ჭეშმარიტებას და უადვილებდა მას გადაეტანა ხალხის მოქმედება" [45,155].

ა. შპრენგერი ხადიჯას როლს ასე განმარტავს: „ხადიჯას რწმენის, ერთგულების გარეშე მუჰამადი ვერასოდეს გახდებოდა მოციქული. როდესაც ხადიჯა გარდაიცვალა, ისლამმა დაკარგა

---

[3] ამ შემთხვევაში ის ასოცირდება ადამიანთან, რომელიც მუჰამადის მარჯვენა ხელი იყო. ნ. ებოთი ამ ეპითეტიდან (ვაზირ ხიდ) გამომდინარე, ასკვნის, ხადიჯა იყო მუჰამადის პოლიტიკური მრჩეველი [175,122].

თავისი ჭეშმარიტება და ყურანმა თავისი კეთილშობილება“ [175,123; 293,106].

ხადიჯა გარდაიცვალა 619 წელს. ამავე წელს მუჰამადმა დაკარგა თავისი გვარის მფარველობა და 622 წელს გადავიდა იასრიბში (მედინა). აბუ ბაქრის ქალიშვილი – ასმა' იყო ერთ-ერთი იმ რამდენიმე ადამიანს შორის, რომელმაც იცოდა მოციქულის გეგმა მედინაში გადასვლის თაობაზე და რომელიც დაეხმარა მოციქულს ამ გეგმის განხორციელებაში [8,VIII,249-50; 45,487].

ხადიჯას შემდეგ, მოციქულის სხვა ცოლები, მათ შორის 'ა'იშა და უმმ სალამა ყოველთვის გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს, როცა ეს საჭირო იყო. მათ, ხადიჯას შემდეგ, ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს ისლამი. უმმ სალამა გამოირჩეოდა თავისი ცოდნით, სიბრძნით და გამბედაობით. წყაროებში არის ასეთი ცნობა: მუჰამადმა 628 წელს განიზრახა მცირე პილიგრიმობის შესრულება მექაში, მაგრამ ჰუდაიბიიასთან მას გზა გადაუღობეს მექელებმა. მათ შეეშინდათ, რომ ეს იყო მხოლოდ საბაბი მექაზე თავდასხმისათვის. საბოლოოდ, ურწმუნოებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა მუსლიმთა გარკვეული პრივილეგიები და რაც მთავარია, მოხდა მუჰამადის, როგორც მუსლიმური თემის მეთაურის ლეგალიზება [127,42-43]. თუმცა, მუჰამადის უახლოეს მიმდევრებსაც კი აეჭვებდათ, რა მოიგეს მუსლიმებმა ამ ხელშეკრულებით ერთი წლის შემდეგ მექის შესაძლებელი მონახულების გარდა. მაგრამ მუჰამადი თავისი მოქმედებებით ხაზს უსვამდა, რომ მიღწეულით კმაყოფილი იყო. მან უბრძანა მორწმუნეებს შეესრულებინათ ის რიტუალი, რაც უკავშირდებოდა ჰაჯის დასრულებას – დაეხარათ თავი და დაეკლათ სამსხვერპლო ცხოველი მექაში შესვლის გარეშე. მუსლიმები არ დაემორჩილნენ მას. მოციქულის ავტორიტეტი იხსნა მისმა ცოლმა – უმმ სალამამ, რომელსაც მუჰამადმა რჩევისათვის მიმართა: „როგორ ფიქრობ, რა დაემართა ამ ხალხს?“ უმმ სალამას რჩევა ასეთი იყო: „ო, ალაჰის მოციქულო, წადი, დახარე თავი, დახოცე შენი სამსხვერპლო ცხოველი, გაიპარსე თავი და დაუბრუნდი დასაშვებ მდგომარეობას“[4] [40,2/88; 2,129]. მოციქული მართლაც ასე მოიქცა და მას მიბაძეს მისმა მიმდევრებმაც [18,365; 8,II,88; 335,37-42; 398].

---

[4] ჩვეულებრივ, პილიგრიმობის დაწყებისას მუსლიმი გადადის რიტუალურად წმინდა, აკრძალვის მდგომარეობაში [იჰრამ]. როცა არ შეიძლება გაპარსვა, თმის მოჭრა და სხვ. პილიგრიმობის ყველა რიტუალის შესრულების შემდეგ ადამიანი უბრუნდება ჩვეულებრივ, ნებადართულ მდგომარეობას [ჰილლ], რის შემდეგაც იპარსავს თავს.

ჯერ კიდევ მოციქულისა და ადრეული მუსლიმური თემისაგან მოხდა იმ ფაქტის დადასტურება, რომ ქალებს შეუძლიათ განსაჯონ ბრძნულად და იმოქმედონ გონივრულად, როცა საქმე ეხება მუსლიმური სახელმწიფოს დაცვას და სტაბილიზაციას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მუჰამადმა აღიარა ქალების მიერ გაცემული ყველა *ამანი* [შეწყალება]. უფრო ზუსტად, მოციქულმა მიანიჭა *ვალა'ა ჯივარ*-ის [თავშესაფრის მიცემის] უფლება თავის ქალიშვილს – ზაინაბს და თავის ბიძაშვილს და კომპანიონს – უმმ ჰანი'ს. ეს ფაქტი დადასტურებულია ყველა ორთოდოქსი სამართლისმცოდნის მიერ [175,119; 250,87].

627 წელს სირიიდან მომავალ ქარავანს თავს დაესხა მუსლიმთა რაზმი და ზაინაბ ბინთ მუჰამადის ქმარი – აბუ-ლ-'ას ბ. არ-რაბი'ა (ხადიჯას დისშვილი) ტყვედ ჩავარდა. მან გაქცევით უშველა თავს და ზაინაბს სთხოვა დაცვა. ზაინაბმა გამოაცხადა, რომ ის მისი მფარველობის ქვეშაა. მუჰამადმა წარმოთქვა: „ნებისმიერი მუსლიმის ვალდებულება არის სავალდებულო ყველა მუსლიმისათვის" [45,469]. გადმოცემის თანახმად, უმმ ჰანი' ბინთ აბი ტალიბი მივიდა ალაჰის მოციქულთან მექის აღების დღეს და უთხრა: „ჩემმა ძმამ 'ალიმ გამოაცხადა, რომ ის აპირებს მოკლას ჩემი მფარველობის ქვეშ მყოფი მავანი და მავანი"[5]. მუჰამადმა უთხრა: *„ჩვენც აგრეთვე დავიცავთ იმას, ვინც შენი მფარველობის ქვეშაა და აღვუთქვამთ შეწყალებას იმას, ვისაც შენ აღუთქვი შეწყალება"* [2,127; 18,355]

630 წელს მუჰამადმა საიდუმლოდ მოამზადა მექაზე ლაშქრობა, რომლის საბოლოო მიზანი გაურკვეველი იყო მუსლიმებისათვის. მუჰამადი ასე პასუხობდა: „საითაც მოისურვებს ალაჰი". თავისი გეგმის შესახებ მხოლოდ თავის ცოლს, აბუ ბაქრის ქალიშვილს – 'ა'იშას გაუმხილა [18,368].

მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, ხალიფების აბუ ბაქრის და 'უმარის დროს, 'ა'იშა კონსულტაციებს იძლეოდა მოციქულის სუნას შესახებ და გამოსცემდა გადაწყვეტილებას [ფათვა] რელიგიურ საკითხებზე [8,II,126]. „ყველა სოციალური კლასის წარმომადგენლები, ქალებიც და მამაკაცებიც, მიდიოდნენ მასთან შორიდან და ახლოდან, რათა რჩევა მიეღოთ. კურაიშელმა მამაკაცებმა წესად აქციეს მიეწვიათ 'ა'იშა მექაში პილიგრიმობის დროს" [8,V,218,329,341; 179,201].

---

[5] ეს ორი ადამიანი იყო მისი ქმრის ნათესავი ბანუ მახზუმიდან. ეს გვარი მტრულად იყო განწყობილი მუჰამადის მიმართ.

ზემოთქმულის მიუხედავად, ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქალს არა მარტო არა აქვს უფლებები, არამედ ის არ არსებობს ისლამის პოლიტიკურ ისტორიაში. „ისლამის დასაწყისში, მუსლიმი ქალები არანაირ როლს არ თამაშობდნენ საზოგადოებრივ საქმეებში, მიუხედავად ყველა იმ უფლებებისა, რაც ისლამმა მიანიჭა მათ და რომლებიც ხშირად იყო იგივე, რაც მამაკაცებთან მიმართებაში. მოციქულის კომპანიონთა შეკრებას (ცნობილი, როგორც საკიფა ბანუ ას-სა'იდა), რომელსაც მუჰამადის სიკვდილის შემდეგ უნდა დაესახელებინა მისი მემკვიდრე, არც ერთი ქალი არ ესწრებოდა[5]; ჩვენ არა გვაქვს არანაირი ცნობა მათი მონაწილეობის შესახებ დანარჩენი სამი ორთოდოქსი ხალიფას არჩევაში. ისლამის მთელ ისტორიაში არ არის მოხსენიება ქალების მონაწილეობის შესახებ მამაკაცების გვერდით სახელმწიფო საქმეების მართვაში, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა გამოტანისას ან სტრატეგიულ გეგმებში“ [86,149].

ხალიფა აბუ ბაქრმა სიკვდილის წინ თავისი საოჯახო საქმეების წარმართვა სწორედ თავის ქალიშვილს – 'ა'იშას მიანდო [58,I,2128-30].

ხალიფა 'უმარი ამაყობდა იმით, რომ არ იღებდა რჩევას ქალებისაგან [8,VIII,214]. თუმცა მუჰამადის ადრეული მიმდევარი ქალის – შიფფა' ბინთ 'აბდ ალ-ლაჰის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ 'უმარი ითვალისწინებდა მის რჩევას[7] [8,VIII,268].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქალები მზად იყვნენ დაპირისპირებოდნენ ხალიფასაც კი, თუ ის გადაუხვევდა ისლამურ პრინციპებს. მუსლიმი ისტორიკოსები ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობენ ორ შემთხვევას: პირველი, როცა ქალები საჯაროდ დაუპირისპირდნენ 'უმარს[8] და მეორე მაგალითი არის 'ა'იშა, რომელმაც

---

[5] მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქალიშვილი – ფა'ტიმა აღმოჩნდა გარკვეულწილად ჩაბმული პოლიტიკურ მოვლენებში. მუსლიმური თემის მომავალი მეთაურის არჩევასთან დაკავშირებით მუჰაჯირები და ანსარები ცალ-ცალკე შეიკრიბნენ. გადმოცემით, ფა'ტიმა წავიდა 'ალისთან ერთად ანსართა შეკრების ადგილზე (ბანუ ას-სა'იდას კვარტალში), რათა ეთხოვა მათთვის მოციქულის მემკვიდრედ აერჩიათ მისი ქმარი. ანსარებმა უპასუხეს, რომ 'ალი მივიდა მათთან ძალიან გვიან, როცა მათ უკვე გადაწყვეტილება გამოიტანეს და ფიცი მისცეს აბუ ბაქრს [370,844]. ფა'ტიმა მიემხრო თავის ქმარს აბუ ბაქრთან დაპირისპირების დროს.

[7] 'უმარმა დანიშნა ის ბაზრის ინსპექტორად [8,VIII,268].

[8] 'უმარი ევროპულ ლიტერატურაში ძირითადად მოიხსენიება, როგორც misogyne – ქალთმოძულე ადამიანი. ხალიფა 'უმარმა სხვა ღონისძიებებთან ერთად აკრძალა ქალებისათვის დიდი მაჰრის გადახდა. ამან ქალების აღშფოთება გამოიწვია. 'უმარის მოთხოვნა ასეთი იყო: „არ გადაამეტოთ ქალის მაჰრთან დაკავშირებით, რადგანაც ალაჰის მოციქულს არასოდეს არ

ირწმუნა, რომ ეს მისი უფლება იყო დაპირისპირებოდა მეოთხე ხალიფა – 'ალი ბ. აბი ტალიბს და ებრძოლა, რათა დაესაჯათ ხალიფა 'უსმანის მკვლელები.

შურა, როგორც საკონსულტაციო ორგანო – სათათბირო შეიქმნა სწორედ ხალიფა 'უმარის დროს. მან გარდაცვალების წინ მოიწვია საბჭო, რომელშიც შეიყვანა მუჰამადის 6 ყველაზე უახლოესი მიმდევარი[9]. მათ სრული უფლება მიენიჭათ, აერჩიათ მომავალი ხალიფა. საბჭოს წევრების შეკრების ადგილის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. არის ცნობა, რომ ეს მოხდა 'ა'იშას სახლთან ახლოს, ან თავად 'ა'იშას სახლში, რადგანაც 'უმარს იმედი ჰქონდა, რომ ის მათ მისცემდა რჩევას [58,I,2778-81]. ერთი რამ ცხადია, რომ 'უმარის სურვილის მიუხედავად, 'ა'იშა არჩეული არ ყოფილა ამ საბჭოში და არც მონაწილეობა მიუღია მისი წევრების არჩევისას [337,32]. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც, 'უმარმა საბჭო მოიწვია კურაიში ფატიმა ბინთ კაისის სახლში, რომელიც იყო ძალიან განათლებული, შორსმჭვრეტელი ადამიანი, კარგად მოაზროვნე და მსაჯული. საბჭოს წევრები ფიქრობდნენ, რომ მისაღები იქნებოდა მისი რჩევის გათვალისწინება [8,VIII,320].

'უმარმა სიკვდილის წინ უთხრა თავის ვაჟს 'აბდ ალ-ლაჰს: „წადი 'ა'იშასთან, გადაეცი სალამი და სთხოვე ნებართვა ჩემთვის, რათა დავიმარხო მის სახლში, მოციქულის და აბუ ბაქრის გვერდით. ამგვარად, 'აბდ ალ-ლაჰი მივიდა მასთან და გადასცა შეტყობინება. 'ა'იშამ უთხრა: „ო, შვილო ჩემო, გადაეცი სალამი 'უმარს და უთხარი – არ დატოვოს მუჰამადის უმმა (თემი) მფარველის გარეშე, დანიშნოს მემკვიდრე, ვინც იზრუნებს მათზე, ნუ დატოვებს მათ უყურადღებოდ თავისი სიკვდილის შემდეგ, რადგან მე მეშინია საფრთხის მათზე [8,III,363].

ცნობილია, რომ ხალიფა 'უმარის ქალიშვილმა – ჰაფსამ მოსთხოვა თავის ძმას, 'აბდ ალ-ლაჰს მოთათბირებოდა მამას და გარანტია მოეპოვებინა, რომ მშვიდობიანად მოხდებოდა ხელისუფლების გადაცემა. მართლაც 'აბდ ალ-ლაჰი შედიოდა საბჭოში, მაგრამ უფლება არ ჰქონდა არჩეული ყოფილიყო. ის მხოლოდ

მიუცია თავისი ცოლებისათვის და არც ვინმეს მისი ქალიშვილებიდან მიულია მაჰრი 12 უკიიაზე (400 დირჰამი) მეტი". კურაიშელმა ქალებმა შეახსენეს მას ალაპის გამოცხადება: „დაე, ყველამ გადაუხადოს, რაც მას სურს თავისი ფულიდან". ამის შემდეგ ის მოეთათბირა თავის ქალიშვილს – ჰაფსას და სხვა ქალებს, რის საფუძველზეც მან გადაწყვეტილება შეცვალა და თქვა: „ქალი არის მართალი და მამაკაცი ('უმარი) არასწორია[47].

[9] 'უსმან ბ. 'აფფან ას-საკაფი, 'ალი ბ. აბი ტალიბი, ტალჰა ბ. 'უბაიდ ალ-ლაჰი, აზ-ზუბაირ ბ. ალ-'ავვამი, სა'დ ბ. აბი ვაققاص და 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფი.

თვალყურს ადევნებდა არჩევნებს. გადმოცემით, 'ა'იშა დაინტერესებული იყო საბჭოს გადაწყვეტილებით. ზუბაირი და ტალჰა მისი ნათესავები იყვნენ. ერთ-ერთის არჩევა აბუ ბაქრის გვარის გამარჯვებას ნიშნავდა. არ არის ცნობები, რომ მან რაიმე ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. თუმცა 'ალისა და 'უსმანის კანდიდატურების განხილვის დროს, ის 'უსმანის მხარეზე იყო [179,102;372,64]. ამ ინფორმაციას აზუსტებს ისტორიკოსი იბნ ქასირი და ამბობს, რომ ამ კონსულტაციებში მონაწილეობდნენ ქალებიც. „როცა 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფმა დაიწყო კონსულტაციები ხალხთან 'უსმანისა და 'ალის კანდიდატურასთან დაკავშირებით, მან გაითვალისწინა მუსლიმთა აზრი მათი ლიდერების საშუალებით, ის მოეთათბირა მათ ინდივიდუალურად და კოლექტიურად, როგორც ფარულად ისე საჯაროდ. ის მოეთათბირა მუსლიმ ქალებს განმარტოებით" [408]. ამგვარად, ქალებმა მონაწილეობა მიიღეს მესამე მართლმორწმუნე ხალიფას არჩევაში[10].

ხალიფა 'უსმანმა სწორედ მუჰამადის ერთ-ერთ ცოლს, უმმ ჰაბიბას სთხოვა, რომ აღესრულებინა მისი სურვილი — მემკვიდრე ყოფილიყო 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფი. როდესაც ხალიფა 'უსმანი სერიოზულად ავად გახდა, მან ანდერძი შეადგენინა თავის მდივანს და მემკვიდრის სახელი შეუვსებელი დატოვა. შემდეგ თვითონ 'უსმანმა საკუთარი ხელით ჩაწერა — 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფი და გაუგზავნა თავისი მოსამსახურის ხელით უმმ ჰაბიბას. მაგრამ მოსამსახურემ გზაში წაიკითხა ეს წერილი და გადასცა 'აბდ არ-რაჰმანს, რომელიც გაბრაზდა და წამოიძახა: „მე დავნიშნე ის ღიად და ის მნიშნავს მე საიდუმლოდ" [49, II,195-96]. ამან 'უსმანს და

---

[10] სუდანელი ისლამისტი და პოლიტიკური ლიდერი ჰასან ალ-ტურაბი (დაიბადა 1932 წ. არის ეროვნული ისლამური ფრონტის თავმჯდომარე 2001 წლიდან) წერს: „ისლამური დემოკრატია გავრცელდა საზოგადოების არა მხოლოდ მამრობითი სქესის წევრებზე. ქალები თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოციქულის დროს. მათ შეიტანეს თავიანთი წვლილი მესამე ხალიფას არჩევაში. მხოლოდ მოგვიანებით, ქალებს უარი ეთქვათ თავიანთ კანონიერ ადგილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ეს იყო უკვე იდეალისაგან გადახვევა. ..... . პრინციპში, ყველა მორწმუნე, ღარიბი თუ მდიდარი, წარჩინებული თუ უბრალო ადამიანი, განათლებული თუ უცოდინარი, მამაკაცი თუ ქალი, თანაბარია ალაჰის წინაშე. ისინი მხოლოდ ალაჰის ნაცვლები არიან დედამიწაზე, მისი ნდობით აღჭურვილნი და უფლებამოსილნი" [147,53]. მაგრამ ის არ იმოწმებს წყაროს, რომელსაც ის ეყრდნობა, რათა დაამტკიცოს თავისი კონცეპცია „იდეალის" შესახებ — როგორი იყო „ქალის კანონიერი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში" ამ იდეალის შესაბამისად. მუსლიმი სამართლისმცოდნეებისათვის თეზისი — „ყველა მორწმუნე თანასწორია ალაჰის წინაშე" არ ნიშნავს, რომ მამაკაცები და ქალები თანაბარი არიან კანონის წინაშე.

'აბდ არ-რაჰმანს შორის ურთიერთობა დაძაბა. 'ა'იშამ და უმმ სალამამ გამოხატეს თავიანთი პატივისცემა 'აბდ არ-რაჰმანისადმი იმ მოტივით, რომ თვითონ მოციქული მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. 'უსმანის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა გააუარესა მისი მდგომარეობა 'ამმარ ბ. იასირთანაც[11], რომელიც იყო უმმ სალამას ნახევარძმა. 'ამმარი, ჰიშამ ბ. ვალიდი[12] და მახზუმის გვარის სხვა წარმომადგენლები შეიკრიბნენ უმმ სალამას სახლში. ამან შეაშფოთა 'უსმანი და უმმ სალამას რჩევისათვის მიმართა. მისი პასუხი ასეთი იყო: „არ დაესაჯა მისგან განდგომილი ადამიანები, არამედ სახალიფოს საქმეებისათვის მიეხედა". ხოლო 'ა'იშამ მიუთითა, არ დაეევინყებინა მოციქულის სუნა [179,107-08].

'უსმანის მმართველობის ბოლოს აჯანყებები და მღელვარებები დაინყო პროვინციებში[13]. სწორედ თავისი ცოლის — ნა'ილა ბინთ ალ-ფარასიფას რჩევით 'უსმანმა მოიწვია საბჭო. ის მოეთათბირა ჯერ პროვინციათა გამგებლებს, ხოლო შემდეგ უხუცეს მუჰაჯირებს. ამასთან ნა'ილა თავისუფლად გამოხატავდა თავის აზრს 'ალისა და მარვან ბ. ალ-ჰაქამის შედარებით ღირსებებზე, როგორც 'უსმანის მრჩევლებზე [58, I, 2974-77; 179,119].

656 წლის იანვარში, 500 ეგვიპტელი მექაში მცირე პილიგრიმობის შესრულების შემდეგ გაემართა მედინაში, რათა გამოეცხადებინა 'უსმანისათვის თავისი პრეტენზიები. 'უსმანი დათანხმდა აჯანყებულებს მათი მოთხოვნების შესრულებას. მუსლიმთა გარანტი 'ალი ბ. აბი ტალიბი იყო, მაგრამ ვითარება გართულდა და ცოტა ხნის შემდეგ, აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს 'უსმანის სახლს. ხალიფამ თავის მბრალმდებლებს აღუთქვა: „არ დავნიშნავ არავის ამირად[14] იმის გარდა, ვისაც მოციქულის ცოლები და სათათბირო თქვენს შორის შეათანხმებს" [58, I,3043]. ალყა 40 დღეს გაგრძელდა. აჯანყებულებმა უკიდურეს ზომებს მიმართეს. როდესაც 'უსმანს წყალი გადაუკეტეს, მან დახმარება სთხოვა 'ა'იშას და მუჰამადის სხვა ცოლებს. მათ შორის იყო ს̣აფიიდა, რომელიც იცავდა 'უსმანს [179,121-22]. 'ა'იშა ემზადებოდა პილიგრიმობის შესასრულებლად მექაში. 'უსმანმა სთხოვა არ დაეტოვებინა მედინა. მი-

---

[11] მუჰამადის და პირველი ხალიფების მიმდევარი, 642 წლიდან ქუფის ნაცვალი. ს̣იფფინთან ბრძოლაში (ხალიფა 'ალისა და მუ'ავიიას შორის) 'ალის მხარეზე იბრძოდა. დაიღუპა ამ ბრძოლაში 37/657-58 წელს.

[12] ხალიდ ბ. ვალიდის ძმა.

[13] თუმცა 'ა'იშამ უფრო ადრე გამოხატა თავისი აზრი ხალიფას პოლიტიკის მიმართ, რაც საკუთარი გვარის წევრების დაწინაურებაში და ხაზინის დაცარიელებაში გამოიხატებოდა [179,106].

[14] ამირ — სარდალი, მმართველი, ნაცვალი.

სი არგუმენტი ასეთი იყო — ʿაʾიშას რჩევები მისთვის სასარგებლო იქნებოდა.

656 წელს ხალიფა გახდა ʿალი, რომელსაც გახალიფებისთანავე მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მას ფიცი არ მისცა ʿაბდ ალ-ლაჰ ბ. ʿუმარმა იმ მოტივით, რომ მან უარი თქვა მუსლიმთა სათათბიროს მოწვევაზე. ʿალი განრისხდა და უთხრა: „ნუთუ მოთხოვნა [ხალხის], რომ მე მივიღო მათი ფიცი, არ ნიშნავს შენთვის, რომ საბჭო შედგა? მომშორდი!" [58,I,3094]. მართლაც, ʿაბდ ალ-ლაჰი წავიდა მედინიდან. ʿალიმ დაადევნა თავისი რაზმები და არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი, რომ საქმეში არ ჩარეულიყო ʿალის ქალიშვილი — უმმ ქულსუმი. მან დაარწმუნა ʿალი, რომ ʿაბდ ალ-ლაჰს არ ჰქონდა აჯანყების განზრახვა და პრეტენზია ხელისუფლებაზე [110,23].

შემდგომში, როცა ხალიფა ʿალისა და მუʿავიიას შორის კონფლიქტი წარმოიშვა ხელისუფლებისათვის I სამოქალაქო ომის დროს (656-661), ჰაფსამ დაარწმუნა თავისი ძმა — ʿაბდ ალ-ლაჰი[15] მოეწვიათ სამედიატორო სასამართლო ამ საკითხის გადასაწყვეტად და უშუალოდ მიეღო მონაწილეობა, რათა აღეკვეთათ დაპირისპირება მუსლიმურ თემში [372,65]. 658/59 წელს დავა ʿალისა და მუʿავიიას შორის სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა. 660 წლის ნოემბერში მუʿავიიამ გაგზავნა არაბი სარდალი ბუსრ ბ. აბი არტა[16] დიდი ძალით (2600 მეომარი) ჰიჯაზში. მან მეჩეთში შეკრიბა მედინელები და გაიკიცხა იმის გამო, რომ ადამიანებმა, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება ეცხოვრათ მოციქულთან და შემდეგ ხალიფებთან, მოკლეს ʿუსმანი. მან შეაშინა მედინელები[17] და აიძულა ფიცი მიეცათ მუʿავიიასათვის. ამ ვითარებაში სწორედ უმმ სალამამ ურჩია მშვიდობიანი გზით მოეხდინა ჰიჯაზის დამორჩილება [49,II,231; 58,I,3451].

661 წელს მუʿავიია ბ. აბუ სუფიანი გახდა ხალიფა საკმაოდ რთულ ვითარებაში. მან 665 წელს დამასკოში მამით უცნობი ზიად ბ. აბიჰი[18] თავის ძმად გამოაცხადა. არის ცნობა, რომ მანამდე ის მოეთათბირა თავის დას — უმმ ჰაბიბას, რომლისაგანაც მიიღო თანხმობა [49,II,273;44,III,369-72]. მუʿავიიას გადაწყვეტილებამ უკ-

---

[15] ის თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩაება ამ ბრძოლაში.

[16] მართალია, მოციქულის სიკვდილის დროს, ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ზოგიერთი შუა სს. მეცნიერი მიაკუთვნებს მას მიმდევართა რიცხვს. მონაწილეობდა სიფფინთან ბრძოლაში (657წ.) მუʿავიიას მხარეზე. 660 წელს მუʿავიიამ ის გააგზავნა იემენსა და ჰიჯაზში.

[17] გადაწვა უმაიანთა მონინააღმდეგეების სახლები.

[18] მანამდე ის იყო საფინანსო უწყების ხელმძღვანელი ბასრაში (648-656).

მაყოფილება გამოინვია უმაიადანების და ზიადის ახლობლების მხრიდან. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ʿა'იშამ, რომელმაც სწორედ მუʿავიადასთან მიწერ-მოწერის შემდეგ სცნო ზიადის ლეგიტიმურობა. ამის დასადასტურებლად, ʿა'იშამ მისწერა წერილი ზიადს: „ʿა'იშასაგან, მართლმორწმუნეთა დედისაგან, ზიად ბ. აბი სუფიანს" [44,III,379].

მუʿავიადამ ხალიფას არჩევითობის პრინციპი მემკვიდრეობის პრინციპით შეცვალა. თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში მან გადაწყვიტა თავისი შვილი – იაზიდი გაეხალიფებინა. მან გაითვალისწინა მოსალოდნელი წინააღმდეგობები და რამდენიმე პროვინციაში ძალით მიაღებინა ფიცი თავისი შვილის ერთგულებაზე. თუმცა, ჰიჯაზში მას ბევრი მოწინააღმდეგე[19] გამოუჩნდა: ჰუსაინი, ʿაბდ არ-რაჰმანი ბ. აბუ ბაქრ, ʿაბდ ალ-ლაჰ ბ. ʿუმარ და ʿაბდ ალ-ლაჰ ბ. აზ-ზუბაირი. მუʿავიადა დაემუქრა მათ და არ დაუშვა მიღებაზე მედინაში. შექმნილ ვითარებაში მას მოუხდა ʿა'იშას მოსმენა და მისი რჩევის გათვალისწინება. ʿუსმანმა აღუთქვა ʿა'იშას, რომ ლმობიერი იქნებოდა მართლმორწმუნე ხალიფათა შვილების მიმართ [110,157-58].

მუʿავიადას ხალიფობის დასასრულს, 678 წელს გარდაიცვალა ʿა'იშა, ხოლო 679 წელს უმმ სალამა: ორი ყველაზე აქტიური და გამორჩეული „მართლმორწმუნეთა დედა". თუმცა, შემდგომშიც, წყაროებში განხილულია მრავალი მაგალითი, როცა ესა თუ ის ხალიფა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდა სწორედ ქალებთან კონსულტაციის საფუძველზე.

იაზიდ ბ. მუʿავიადას შემდეგ ʿაბდ ალ-ლაჰ ბ. აზ-ზუბაირმა 683 წელს თავი ხალიფად გამოაცხადა და მას დაემორჩილა სახალიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰიჯაზის ჩათვლით. მაგრამ, მემკვიდრეობითობის პრინციპით, გახალიფდა მუʿავიადა II (683-684). ʿაბდ ალ-ლაჰის წინააღმდეგ ბრძოლა მოუხდა ხალიფა ʿაბდ ალ-მალიქს (685-705). მან სალაშქროდ მოამზადა უზარმაზარი არმია ალ-ჰაჯაჯ ბ. იუსუფის მეთაურობით. ʿაბდ ალ-ლაჰი მექაში იყო გამაგრებული თავის მომხრეებთან ერთად. ჰაჯაჯმა ხელშეუხებლობა აღუთქვა ყველას, ვინც დატოვებდა ʿაბდ ალ-ლაჰს. ამის შემდეგ მასთან დარჩა მცირერიცხოვანი ჯგუფი. შექმნილ ვითარებაში ʿაბდ ალ-ლაჰმა რჩევა ჰკითხა დედას – ასმაʾ ბინთ აბი ბაქრს. მან უთხრა: „მე ხალხმა ბედის ანაბარა მიმატოვა, ალ-ჰაჯაჯის შეეშინდათ ან მოეწონათ ის, რაც მას აქვს (ქვის სატყორცნი მანქანები).

---

[19] ისინი იყვნენ მუჰამადის მიმდევართა მეორე თაობა, ʿუმარის მიერ შედგენილი საკონსულტაციო საბჭოს წევრთა შვილები.

მიმატოვეს ჩემმა შვილებმა, ახლობლებმაც და ჩემთან დარჩა მხოლოდ მცირე ჯგუფი ჩემი მომხრეებისა, რომლებიც, რა მამაცურადაც არ უნდა ებრძოლათ, ორ საათს თუ გაუძლებდნენ. უმაიიანთა ემისრები აღმითქვამდნენ ყველა სიკეთეს და სიმდიდრეს, თუ დავყრიდი იარაღს და ერთგულების ფიცს მივცემდი 'აბდ ალ-მალიქს. რას ფიქრობ შენ ამის თაობაზე?". დედის პასუხი ასეთი იყო: „თუ დარწმუნებული ხარ, რომ მართალი ხარ და მოუნოდებ ჭეშმარიტებისაკენ, მაშინ იყავ მედგარი და იბრძოლე ისე შეუპოვრად, როგორც შენი მეგობრები, რომლებიც დაეცნენ შენი დროშის ქვეშ.....თუ შენ ისწრაფვი ამქვეყნიური სიკეთეებისაკენ, მაშინ ცუდი მსახური ხარ ალაჰისა, მაშინ შენ დაღუპე შენი თავიც და შენი ხალხიც". ამის შემდეგ 'აბდ ალ-ლაჰმა გადაწყვიტა ბრძოლის გაგრძელება. მან უთხრა დედას: „ახლა მე მოვიქცევი ისე, როგორც შენ გსურს ..... თუ მე მომკლავენ, დამორჩილდი ალაჰის ნებას ..... ჩემთვის არაფერი არ ყოფილა უფრო აღმატებული, ვიდრე უზენაესის და ყოვლისშემძლე ალაჰის კეთილგანწყობა" [130, 336-37]. 692 წელს 'აბდ ალ-ლაჰი მოკლეს.

აბუ-ლ 'აბბასს ას-საფფაჰი (შემდგომში 'აბბასიანთა პირველი ხალიფა) 'აბბასიანთა ბრძოლის დროს ხელისუფლებისათვის, არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებდა თავისი მახზუმი ცოლის — უმმ სალამას რჩევისა და მოწონების გარეშე [180,11].

მართალია, 'აბბასიანთა ხალიფა ალ-მანსურმა გააფრთხილა თავისი მემკვიდრე ალ-მაჰდი: „უფრთხილდი ქალების ჩართვას შენს სათათბიროსა და საქმეებში. მე ვფიქრობ, შენ შეასრულებ ამას" [58, III,444]. მაგრამ, სწორედ მისი მემკვიდრეების დროს სახალიფოს ისტორიაში ცნობილი გახდა ორი ქალი, რომლებიც ხალიფას კარზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ — ხაიზურანი (ალ-მაჰდის ცოლი და ორი ხალიფას დედა) და ზუბაიდა, ჰარუნ არრაშიდის ცოლი.

გ) მუჰამადი, ჯიჰადი და მუსლიმი ქალი

მუჰამადის მიერ მედინაში ჩამოყალიბებული მუსლიმური თემის განმტკიცებისა და გაფართოების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო ჯიჰადი („საღვთო ომი"). ის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა შეიარაღებულ ბრძოლას მექელი ურწმუნოების წინააღმდეგ. ყურანში არის მოწოდება მუჰამადისადმი „ებრძოლოს ურწმუნოებსა და ფარისევლებს, იყოს სასტიკი მათ მიმართ" [9:73/74]. მუჰამადი მექას განიხილავდა, როგორც წარმართების მიერ დაკავებულ საკულტო ცენტრს და თანდათან უახლოვდებოდა საბოლოო მიზანს.

მამაკაცებისათვის ისლამისადმი ერთგულების ძირითადი გამოხატულება იყო ბრძოლა მუჰამადის მხარეზე მის ადრეულ ლაშ-

ქრობებში „ურნმუნოთა წინააღმდეგ“[20]. ჰადისებში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ მუჰამადმა უარი უთხრა ქალებს საღვთო ომში მონაწილეობაზე: „თქვენთვის ქალებისათვის საუკეთესო ჯიჰადი არის ჰაჯი“ [40,2/347,3/49]. თუმცა მუსლიმი თეოლოგების აზრით, ეს არ უკრძალავდა მათ ჯიჰადში მონაწილეობას[21], რადგანაც „ბრძოლას ალაჰის გზაზე მოაქვს ჯილდო (საზღაური) ორივესათვის – მამაკაცებისა და ქალებისათვის.....მოციქულმა ნება დართო თავის ცოლებს კენჭი ეყარათ, რომელი მათგანი უნდა გაჰყოლოდა მას სამხედრო ლაშქრობებში, ან პილიგრიმობაში. ქალს შეეძლო არ მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში, თუ ის დაკავებული იყო საოჯახო საქმეებით. თუმცა, ეს ეხება იმ დროს, როცა მტერი მხოლოდ თავს იცავდა. როცა მტერი შეტევაზე გადმოდიოდა, ქალს უნდა ებრძოლა ქმრის ნებართვით“ [331,17]. აქვე ნათქვამია: „მუსლიმი ქალები ატარებდნენ წყალს ბრძოლების დროს, მკურნალობდნენ დაჭრილებს და დახოცილები ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ“[22]. თუმცა ქალები, რომლებიც ამ ბრძოლებში აქტიურობით გამოირჩეოდნენ, მუჰამადის შექებას და პატივისცემას იმსახურებდნენ.

იბნ სა'დის ბიოგრაფიულ კრებულში დაცულია მუსლიმ ქალთა ბიოგრაფიები, სადაც მოთხრობილია ბრძოლებში მათი მონაწილეობის შესახებ. სულ იბნ სა'დთან დასახელებულია 19 ქალი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჯიჰადში. მაგალითად, უმმ ვარაკა ბინთ 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-ჰარისმა[23] ნებართვა სთხოვა მუჰამადს, გაჰყოლოდა მას ბადრთან[24] ბრძოლაში, რათა დახმარებოდა დაჭრილებს და ალაჰს დაეჯილდოვებინა ის, მიეცა ისლამის რწმენის დადასტურების (შაჰადა) საშუალება[25]. მართლაც, მან მიიღო საპა-

---

[20] ალ-მას'უდის თანახმად, თვითონ მოციქულმა უხელმძღვანელა 26 ლაშქრობას [50,I,287].

[21] ატ-ტაბარი შენიშნავს, რომ არაბებს არ უყვარდათ, როცა ქალები იყვნენ ბრძოლის ველზე [58, I,1926].

[22] ჰადისებში ზოგან აღნიშნულია, რომ ეს იყო მუსლიმი ქალების ჩადრით დაფარვამდე [40,4/86].

[23] მუჰამადის მიმდევარი ანსარი ქალი, რომელმაც ისლამი მიიღო მედინაში და ფიცი მისცა ალაჰის მოციქულს [8,VIII,.457].

[24] ბრძოლა გაიმართა ბადრის ჭებთან (მედინის სამხრეთ-დასავლეთით 150 კმ-ზე) 624 წ. 17 მარტს. ეს იყო პირველი დიდი ბრძოლა წარმართ მეკელებსა და მუსლიმებს შორის, რომელთაც მუჰამადი მეთაურობდა.

[25] მას სურდა „ნამებული“ გამხდარიყო. ალაჰის მოციქულმა უთხრა: „შენ უნდა დარჩე სახლში. შესაძლოა, ღმერთმა მოგცეს ნამებულად კურთხევის შესაძლებლობა აქ“. ამბობენ, ის გახდა ნამებული. მუჰამადი მოინახულებდა ხოლმე მას სახლში თავის მიმდევრებთან ერთად, ამბობდა: „მოდი, წაიდეთ ნამებულის სახლში“ [8,VIII,.457].

ტიო ტიტული – შაჰრდი (მოწამე), რომელსაც მუსლიმური თვალსაზრისით გარანტირებული აქვს სამოთხე.

უმმ 'ატიიჰ ალ-ანსარიიჰ[26] გადმოგვცემს, რომ „ის მონაწილეობდა მუჰამადის 7 ლაშქრობაში ხაიბარის ჩათვლით. ის რჩებოდა ზურგში, ამზადებდა საჭმელს მებრძოლებისათვის და უვლიდა დაჭრილებს" [8,VIII,455; 85,32].

რუბბი'ა ბინთ მუ'ვვიზი [8,VIII,447] გადმოგვცემს: „ჩვენ ვიყავით მოციქულთან ერთად სამხედრო ლაშქრობებში. მიგვქონდა წყალი, ვუვლიდით დაჭრილებს და დახოცილებს უკან ვაბრუნებდით მედინაში" [40,6/80].

ბადრთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, რამაც გაზარდა მუჰამადის რელიგიური და პოლიტიკური ავტორიტეტი, ჯიჰადმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მუჰამადის პოლიტიკაში.

625 წ. 23 მარტს უჰუდთან (მედინის ჩრდილოეთით 5 კმ-ზე) გაიმართა ბრძოლა მექელებთან, რომელთაც შურისძიება სურდათ ბადრთან დამარცხების გამო. მექელებს შორის იყვნენ „ურწმუნო" კურაიშელები, რომელთაც არ მიიღეს ისლამი და არ აღიარეს მუჰამადი. მათ ხელმძღვანელობდა აბუ სუფიანი, რომელსაც თან ახლდა თავისი მეუღლე - ჰინდა ბინთ 'უთბა, რომლის მამა, ბიძა, ძმა და უფროსი ვაჟი ბადრთან მოკლეს მუსლიმებმა. ჰინდამ მოგვიანებით მიიღო ისლამი, მაგრამ უჰუდთან ბრძოლის დროს ურწმუნო იყო. უჰუდის ბრძოლა იყო ერთ-ერთი სამხედრო შეტაკება, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალებმა[27] [21,332].

ამ ბრძოლის მთავარი გმირი იყო ნუსაიბა ბინთ ქა'ბი, ცნობილი როგორც უმმ 'უმარა, რომელიც ხმლით ხელში იბრძოდა მუჰამადის დასაცავად თავისი ქმრის და ვაჟების გვერდით. მოციქულმა შეამჩნია ეს და თქვა: „როცა კი შემოვბრუნდი მარჯვნივ ან მარცხნივ, მე დავინახე ის ჩემთვის მებრძოლი" [8,VIII,413; 21,344-45]. ბრძოლის დასაწყისში წყალს ატარებდა და უვლიდა დაჭრილებს, როგორც სხვა ქალები. ამ ბრძოლაში მარჯვენა ხელში დაიჭრა მისი ვაჟიც - 'უმარა. როგორც კი შვილს ჭრილობა გადაუხვია, მაშინვე მიუთითა ბრძოლა ნამოეწყო ურწმუნოთა წინააღმდეგ. გადმოცემით, მოციქულმა აჩვენა უმმ 'უმარას ის მექელი, რომელმაც დაჭრა მისი ვაჟი. უმმ 'უმარა დაედევნა და სამაგიერო გა-

---

[26] მუჰამადის მიმდევარი ანსარი ქალი, რომელმაც მიიღო ისლამი და ფიცი მისცა მოციქულს მედინაში [8,VIII,455-456].

[27] ამ ბრძოლაში ურწმუნოთაგან ბევრმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. იბნ ჰიშამის თანახმად, მათი მიზანი იყო მეომრების გამხნევება, რათა ისინი ბრძოლის ველიდან არ გაქცეულიყვნენ [21,332].

დაუხადა. ამ დღეს თვითონაც მრავალი ჭრილობა (13) მიიღო. მოციქულმა დაინახა ეს და უთხრა მის ვაჟს: „შენი დედა უკეთესად იბრძოდა ვიდრე მავანი და მავანი" [8,VIII,413]. როდესაც უმმ 'უმარამ გაიგო მოციქულის ნათქვამი, უთხრა: „შეეეედრე ალაჰს, რომ ჩვენ შევძლოთ შენი თანხლება სამოთხეში". გადმოცემით, მუჰამადმა აღუთქვა სამოთხე თავის მომხრეებს – ამ ბრძოლის მონაწილეებს.

უმმ 'უმარას ჯიჰადი არ დამთავრებულა უჰუდის ბრძოლით. ის ესწრებოდა სხვა ბრძოლებსაც – ჰუდაიბიდას, ხაიბარს და ჰუნაინს, სადაც მისი მოქმედება არანაკლებ საგმირო იყო. აბუ ბაქრის მმართველობის დროს ის ესწრებოდა ალ-იამამას ბრძოლას (633 ნ.), სადაც მიიღო 11 ჭრილობა და დაკარგა მარჯვენა ხელი[28]. არ არის გასაკვირი, რომ მუჰამადმა მას შეატყობინა სასიამოვნო ამბავი – ის შევიდოდა სამოთხეში და საპატიო ადგილს დაიკავებდა მისი უახლოესი მიმდევრების (აბუ ბაქრის, ხალიდ ბ. ვალიდის და 'უმარ ბ. ალ-ხატტაბის) გვერდით.

იბნ სა'დი გადმოგვცემს, რომ უმმ სულაიმი (იგივე არ-რუმაისა' ბინთ მილჰანი) იყო მოციქულის გვერდით უჰუდის და ჰუნაინის ბრძოლაში. ის პირველად გათხოვდა მალიქ ბ. ნადირზე და ამ ქორწინებიდან შეეძინა ანას ბ. მალიქი – მუჰამადის ცნობილი კომპანიონი. გადმოცემით, ანას ბ. მალიქმა თქვა: „როცა ალაჰის მოციქული მიდიოდა სალაშქროდ, თან ახლდა უმმ სულაიმი და რამდენიმე ანსარი ქალი. მათ მიჰქონდათ წყალი დაჭრილებთან და მკურნალობდნენ მათ"[17]. სწორედ ანას ბ. მალიქს ეყრდნობოდა გამოჩენილი სუნიტი მუჰადდისი ალ-ბუხარი, როცა აღნიშნავდა, რომ უჰუდთან დაჭრილ მებრძოლებს წყლით ამარაგებდნენ უმმ სულაიმი და 'ა'იშა ბინთ აბი ბაქრი - მუჰამადის ცოლი [40,7/361]. უჰუდთან ბრძოლაში უმმ სულაიმი ხანჯლით იცავდა მუჰამადს და ის მონაწილეობდა მუჰამადის სხვა ლაშქრობებშიც.

უჰუდთან ბრძოლაში მონაწილეობდა აგრეთვე საფიიდა ბინთ 'აბდ ალ-მუტტალიბი – მუჰამადის მამიდა. როდესაც ის მიხვდა, რომ მუსლიმთა დამარცხება ახლოს იყო და მუჰამადს საფრთხე დაემუქრა, შუბით ხელში შეიჭრა მებრძოლთა შორის და მოკლა ერთი „ურწმუნო". ბრძოლის დამთავრების შემდეგ ფატიმა ბინთ მუჰამადმა მამას ჭრილობა გადაუხვია, ხოლო საფიიამ დაიწყო თავისი ძმის - ჰამზა ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბის (მუჰამადის ბიძა) ძებნა.

---

[28] ამ ბრძოლაში მოკლული იქნა უმმ 'უმარას ვაჟი (ქუბაიბი) მუსაილიმას მიერ, რამაც უბიძგა მას საბრძოლველად წასვლა [95,549-579].

მუჰამადმა ხაფიიას დაადევნა მისი ვაჟი - ზუბაირი, რათა შეეჩერებინა, რომ არ ენახა რა დაემართა მის ძმას, მაგრამ ხაფიიამ, უკან არ დაიხია. ბოლოს მან იპოვა მოკლული ჰამზა. მუჰამადმა, ხაფიია იმით დაამშვიდა, რომ ჰამზა აუცილებლად სამოთხეში მოხვდებოდა [8,VIII,41-42].

უჰუდთან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო უმმ სალიტ ანნაჯჯარიიამ. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მებრძოლების დახმარებაში და სწორედ ამიტომ ხალიფა 'უმარ ბ. ალ-ხატტაბმა ის თავის ცოლზე მაღლა დააყენა. ალ-ბუხარი გადმოგვცემს ტა'ლაბა ბ. აბი მალიქისაგან: 'უმარ ბ. ალ-ხატტაბმა გაანაწილა ტანსაცმელი მედინის ქალებს შორის. ერთი კარგი სამოსი დარჩა გასანაწილებელი. ხალხი ეუბნებოდა მას: „ო, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, გადაეცი ის შენს ცოლს, ალაჰის მოციქულის შვილიშვილს (გულისხმობდნენ უმმ ქულსუმ ბინთ 'ალი). 'უმარმა თქვა: „უმმ სალიტს აქვს მეტი უფლება ამაზე. ის ეზიდებოდა წყალს ტიკებით ჩვენთვის უჰუდის დღეს". უმმ სალიტი იყო ერთ-ერთი ანსარი ქალი, ვინც ერთგულების ფიცი მისცა მოციქულს [8,VIII,419; 402,21].

შემდეგი ქალი, ვინც მონაწილეობა მიიღო ჯიჰადში მოციქულთან ერთად, ეხმარებოდა მას ისლამის დაცვასა და განმტკიცებაში, იყო უმმ აიმან ანუ ბარაქა - მუჰამადის ძიძა. ის იყო უჰუდთან, ხაიბართან, მუ'თასთან და ჰუნაინთან, სადაც დაჭრილებს უვლიდა და წყალი მიჰქონდა მწყურვალებთან. მას მუჰამადმა სიცოცხლეშივე აღუთქვა სამოთხეში მოხვედრა [392].

უჰუდთან იბრძოდა აგრეთვე ქაბშა ბინთ რაფი'ა - სა'დ ბ. მუ'აზ ბ. ნუ'მანის დედა. ბრძოლის დროს ქაბშა მივიდა თავის ვაჟთან (სა'დთან), რომელიც მუჰამადს იცავდა. მოციქულმა თანაგრძნობა გამოუცხადა ქაბშას მეორე ვაჟის დაღუპვის გამო ამ ბრძოლაში და იმით დაამშვიდა, რომ წამებულები აუცილებლად სამოთხეში მოხვდებოდნენ [8,VIII,370].

უჰუდთან ბრძოლის დროს დაიჭრა თვითონ მუჰამადი და ძლივს გადაურჩა ტყვეობას. მუსლიმთა დამარცხების მიზეზები აიხსნა ყურანის მე-3 სურის აიებში. მექელებმა ვერ ისარგებლეს უჰუდთან გამარჯვებით და სწრაფად გაბრუდნენ უკან. 627 წელს მათ ალყა შემოარტყეს მედინას. ეს ბრძოლა ისტორიაში შევიდა, როგორც თხრილის ან ხანდაკის ბრძოლა, რადგანაც სპარსი სალმან ალ-ფარისის რჩევით, მედინას თხრილი შემოავლეს. მოციქულის ცოლები და სხვა ქალები გადაიყვანეს ციხე-სიმაგრეში, რომელიც ეკუთვნოდა მუჰამადის კარის პოეტს - ჰასან ბ. საბითს. ამ

ბრძოლაში მრავალმა ქალმა მიიღო მონაწილეობა[29]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ḫაფიḍა ბინთ ʿაბდ ალ-მუṭṭალიბი. გადმოცემით, მან შეამჩნია იუდეველი, რომელიც ციხე-სიმაგრის გარშემო დადიოდა. ḫაფიḍას შეეშინდა, რომ ის სხვა იუდეველებს შეატყობინებდა მათი ადგილსამყოფელის შესახებ და გააფრთხილა ḥასანი, მოეკლა ის. მაგრამ ḥასანმა განაცხადა, რომ ამას ვერ შეძლებდა. მაშინ ḫაფიḍამ აიღო ხმალი, დაელოდა მის შემოსვლას, როცა ḥიშკრიდან მოიპარებოდა და მოკლა ის [397].

ხანდაკის ბრძოლაში მუსლიმთა წინააღმდეგ იუდეველთაგან მონაწილეობდა - ბანუ კურაიზა. ḥადისების თანახმად, „როდესაც მოციქული და მისი კომპანიონები წავიდნენ ბანუ კურაიზას წინააღმდეგ, რათა ალყა შემოერტყათ, საḥაბიḏᾱთ (მუḥამადის ქალი მიმდევრები) მასთან ერთად იყვნენ, რათა მიეღოთ ჯილდო ალაḥისაგან ჯიḥᾱდისათვის" [40,7/13]. ამ ბრძოლის შემდეგ ბანუ კურაიზას მამაკაცები სიკვდილით დასაჯეს, ქალები და ბავშვები კი დაატყვევეს[30].

მუḥამადთან ერთად ხანდაკის ბრძოლაში მონაწილეობდა უმმ სულაიმი და ასმᾱʾ ბინთ იაზīḏ ბ. ალ-საქან[31], რომელიც თან ახლდა მოციქულს აგრეთვე ḫაიბარში ლაშქრობის დროს. მუḥამადის გარდაცვალების შემდეგ მას არ შეუწყვეტია თავგამოდება ისლამის საქმისათვის.

ამ ბრძოლის დროს ქუʿაიბა ბინთ საʿდ ალ-ასლამიḏამ[32] მოაწყო კარავი (ḫīმა) მეჩეთში, რათა დაჭრილებისათვის ემკურნალა. მათ შორის იყო საʿდ ბ. მუʿᾱẓი[33], რომელიც დაიჭრა ამ ბრძოლაში [8,VIII,291]. იბნ ḥიშᾱმთან დასახელებულია რუფაიდა ასლამიḏა - ექსპერტი ქირურგიაში, რომელმაც მოაწყო ლაზარეთი ერთ-ერთ კარავში [21,399].

ხანდაკის ბრძოლის შემდეგ, 628 წელს, მუḥამადმა განიზრახა ḥაჯის შესრულება მექაში 1 500 მიმდევარის თანხლებით. მექელებ-

---

[29] გადმოცემით, ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ფᾱṭიმაც — მუḥამადის ქალიშვილი, რომელიც სხვა ქალებთან ერთად საჭმელს ამზადებდა ხანგრძლივი ალყის დროს [395].

[30] მხოლოდ ერთი ქალი დასაჯეს სიკვდილით. მან წისქვილის ქვა (დოლაბი) ესროლა სახლის სახურავიდან ḥალლადა ბ. სუვაიდს და მოკლა ის [21,401; 108,134].

[31] იბნ საʿდთან მისი ბიოგრაფია მოცემულია უმმ ʿᾱმირის სახელით [8,VIII,319].

[32] ის თან ახლდა მოციქულს ḫაიბარში ლაშქრობის დროს [8,VIII,291].

[33] აუსის ტომის წინამძღოლი, მუḥამადის პირველი ლაშქრობების აქტიური მონაწილე, გარდაიცვალა ხანდაკის ბრძოლაში 5/626-627 წელს.

მა მას გზა გადაუღობეს ჰუდაიბიიასთან. მექელებსა და მუსლიმებს შორის მოლაპარაკების მშვიდობიანად დასრულებამდე მუსლიმთათვის უმძიმეს მომენტში, მუჰამადმა მუსლიმთაგან მიიღო „ალაჰისათვის სასურველი" ფიცი (ბაი'ა არ-რიდვან). ჰუდაიბიიას დროს იბრძოდა უმმ 'უმარა, რომელიც ერთი ხელით კარვის ბოძს ეყრდნობოდა, ხოლო მეორე ხელში დანა ეჭირა და განაცხადა: „ვფიცავ, რომ მოვკლავ ნებისმიერ ურწმუნოს, ვინც მომიახლოვდება" [8,VIII,319].

მუჰამადმა მექელებთან მოლაპარაკების შემდეგ მთელი ყურადღება გადაიტანა თავის რელიგიურ მოწინააღმდეგეებზე მედინის ჩრდილოეთით, ხაიბარის ოაზისში, სადაც მედინიდან გადასახლებული იუდეველები ცხოვრობდნენ. მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მუჰამადს მედინას ალყის დროს. ამ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ჰუდაიბიიას ფიცის მონაწილეები. გამოცხადდა, რომ ეს იყო ბრძოლა სარწმუნოებისთვის, რომელშიც სურვილისამებრ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. ამ ბრძოლაში მოციქულთან ერთად მონაწილეობდა რამდენიმე მუსლიმი ქალი, მათ შორის იყვნენ ს̣აფიია ბინთ 'აბდ ალ-მუტტალიბი და უმმ ალ-'ალა' ალ-ანს̣არიია [8,VIII,459].

უმაიია ბინთ კაის აბი ალ-ღიფარიიამ მონაწილეობა მიიღო ხაიბარში ლაშქრობაში. მისი გადმოცემით, ის მივიდა ალაჰის მოციქულთან ბანუ ღიფარის ქალებთან ერთად და უთხრეს: „ო, ალაჰის მოციქულო, გვინდა, რომ წამოვიდეთ შენთან ერთად ხაიბარში, რათა ვუმკურნალოთ დაჭრილებს და დავეხმაროთ მუსლიმებს, როგორც შეგვიძლია". მუჰამადმა უპასუხა: „ალაჰის წყალობა იქნება თქვენზე" [85,141]. სწორედ ხაიბარში ლაშქრობის დამთავრების შემდეგ, ქალი — ზაინაბ ბინთ ალ-ჰარასი (სალამ ბ. მიშკამის ცოლი) შეეცადა მოეწამლა მოციქული ცხვრის ხორცით. მაგრამ მუჰამადი მიხვდა და გადარჩა. მოციქულმა იხმო ზაინაბი და ჰკითხა მიზეზი: მან უთხრა: „შენ მოუტანე ჩემს ხალხს მრავალი უბედურება და მე ვთქვი: თუ ის მეფეა, მაშინ მე გავთავისუფლდები მისგან, ხოლო თუ მოციქულია, მაშინ ის მიხვდება" და მოციქულმა აპატია მას [21,452-53].

629 წელს ღასსანიანთა წინააღმდეგ გაიგზავნა მუსლიმთა ლაშქარი ზაიდ ბ. ჰარისის მეთაურობით მკვდარი ზღვის მახლობლად, მუ'თასთან. მაგრამ მარცხი განიცადეს. დაიღუპა თავად ზაიდი. ამის შემდეგ საიდუმლოდ მომზადდა მექაზე ლაშქრობა. ამ ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო უმმ სულაიმმა, რომლის ქმარი აბუ ტალჰა მუსლიმთა შორის იყო. მიუხედავად იმისა, რომ უმმ სულაიმი ფეხმძიმობის ბოლო პერიოდში იყო 'აბდ ალ-ლაჰ

ბ. აბᾱ ტალᾱᾱზე, მან ნებართვა სთხოვა მუᾱᾱმადს, რათა გაᾱᾱყოლოდა თავის მეუღლეს და მონაწილეობა მიეღო ჯიᾱᾱდში. აბᾱᾱ ტალᾱᾱ წინააღმდეგი იყო უმმ სულაიმის რთული და ხანგრძლივი მოგზაურობის, მაგრამ სხვა არჩევანი არ ᾱᾱქონდა. მოციქულმა ნება დართო და უმმ სულაიმი დაესწრო მუსლიმთათვის მნიშვნელოვან დღეს, როდესაც მექა გათავისუფლდა კერპებისაგან. ამ დღეს მექა ფაქტობრივად უბრძოლველად დაიმორჩილა მუᾱᾱმადმა.[34] მექელებმა, ქალებმა და მამაკაცებმა ცალ-ცალკე, ერთგულების ფიცი მისცეს მუᾱᾱმადს. ეს მოხდა 630 წ. 30 იანვარს. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ იყო ᾱᾱუნაინის ბრძოლა, რომელიც მკაცრი გამოცდა აღმოჩნდა მუსლიმებისათვის. ორჯერ მეტი იყო ურწმუნოთა ლაშქარი. მრავალი გაიქცა ბრძოლის ველიდან. მუᾱᾱმადთან დარჩა მუᾱᾱჯირებისა და ანᾱᾱრების მნიშვნელოვანი ჯგუფი, მისი ოჯახის წევრები. უმმ სულაიმი და აბᾱᾱ ტალᾱᾱ ამ ჯგუფში იყვნენ. ბრძოლის დროს უმმ სულაიმის მოქმედება არანაკლებ საგმირო იყო. მოციქულმა მას აცნობა სასიამოვნო ამბავი, რომ ის შევიდოდა სამოთხეში. ერთ-ერთი ᾱᾱდისში, რომელსაც მოგვითხრობენ ალ-ბუხᾱᾱრᾱᾱ და სხვებᾱᾱ ჯᾱᾱბირ ბ. 'აბდ ალ-ლᾱᾱჰისაგან, მოციქულმა უთხრა მას: „მე შევიხედე სამოთხეში და უეცრად დავინახე არ-რუმაიᾱᾱᾱ' ბინთ მილᾱᾱᾱნი, (იგივე უმმ სულაიმ), აბᾱᾱ ტალᾱᾱᾱს ცოლი" [40,8/139].

ქალები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მუსლიმთა პირველ ბრძოლებში, სამაგალითო გახდნენ შემდგომი თაობებისათვის.

მექის დაᾱᾱყრობასა და ისლამიზაციას 630 წ. მოᾱᾱყვა არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები არაბული ტომების მასობრივი ისლამიზაცია და მუსლიმური სახელმწიფოს ფორმირების პროცესი. მუᾱᾱმადის გარდაცვალების შემდეგ, 633 წ. დაიწყო არაბთა დიდი დაᾱᾱყრობითი ომები, რომლებიც სწორედ ჯიᾱᾱდის ლოზუნგით მიმდინარეობდა და რომლებშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუსლიმმა ქალებმაც. თუმცა, ისლამის ადრეულ წლებში ქალების მონაწილეობა ბრძოლებში მისაღები გახდა მხოლოდ ერთი ისლამური სექტისათვის — ᾱᾱრიჯიტებისათვის[35]. მათ განსაზღვრეს ჯიᾱᾱდი, როგორც რელიგიური ვალდებულება ლოცვასთან, მარხვასთან, პილიგრიმობასთან, გადასახადებთან ერთად მამაკაცები-

---

[34] მექის დაᾱᾱყრობაში მონაწილეობა მიიღო სულ 10 ათასმა მუსლიმმა. ამ დღეს მუᾱᾱმადს თან ახლდა თავისი ქალიშვილები — ფᾱᾱტიმა და უმმ ქულᾱᾱᾱმი. გადმოცემით, მექის აღების დღეს, მოციქულმა დაინახა ქალები, რომლებიც ხოცავდნენ მუსლიმთა ცხენებს თავიანთი თავსაბურავით [21,497].

[35] ორთოდოქსები უარყოფითად აფასებდნენ ქალების ბრძოლებში მონაწილეობას პირველ მუსლიმურ თემში.

სა და ქალებისათვის. თუმცა, ნადავლის წილის მიღებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო.

დ) ქალი და ნადავლის განაწილების წესი ადრეულ ისლამში

სამხედრო ნადავლში (არაბ. ღანიმა) იგულისხმებოდა სამხედრო ტყვეები (ასრა), ტყვეები (საბაია) და მოძრავი ქონება (ამვალ). თეორიულად, მას ეკუთვნოდა უძრავი ქონებაც. ღანიმა არის ყველაფერი ის, რაც მოპოვებულია მუსლიმთა მიერ იარაღის ძალით ('ანვათან). მუსლიმი სამართლისმცოდნენი ნადავლის განაწილების წესის შემოღებას ბადრთან ბრძოლას[36] უკავშირებენ, მაგრამ ზუსტი მითითებები ამის შესახებ არ არსებობს. ნადავლის განაწილებას მიეძღვნა ყურანის მე-8 სურა. წინაისლამურ ხანასთან შედარებით, ერთადერთ პრინციპულ სიახლეს წარმოადგენდა ბრძოლაში მონაწილეთა წილის გაზრდა 3/5 და 4/5-მდე. ხოლო მუჰამადის წილი შემცირდა 2/5-დან 1/5-მდე (ხუმს). ეს იყო გადასახადი მოციქულ მუჰამადისა და მისი ოჯახის სასარგებლოდ, აგრეთვე ობლებისა და ღატაკებისათვის (8:41). შემდეგ ის გადაეცემოდა ხალიფებს. მოციქულის დროს მას ყოფდნენ 5 ნაწილად: 1 წილი — ალაჰს და მის მოციქულს; 1 წილი — მის ნათესავებს[37], 3 წილი — ღარიბებს, ობლებს, მოგზაურებს. შემდგომ აბუ ბაქრი, 'უმარი, 'უსმანი და 'ალი მას ყოფდა სამად [26,15].

საინტერესოა, იღებდნენ თუ არა ქალები ნადავლის წილს?

ქალებმა თვითონ მოითხოვეს ომში აქტიურად მონაწილეობა, ვიდრე დალოდებოდნენ, თუ როდის აიყვანდნენ ტყვედ, როგორც ეს იყო ჯაჰილიიას ტრადიცია.

ქალების დიდი გაოცება გამოინვია 4:32 სურამ. მათ სურდათ ჰქონოდათ მამაკაცების მსგავსი პრივილეგიები. თუმცა, რეალური თანასწორობის მიუხედავად, ალაჰმა არ მისცა მათ უფლება წასულიყვნენ ომში და მიეღოთ ნადავლი. ატ-ტაბარის თანახმად, 4:32 აია არის პასუხი ქალის მოთხოვნაზე — ეტარებინათ იარაღი. მას შემდეგ, რაც „თითოეულის წილი არის იმის თანასწორი, რასაც ის გამოიმუშავებს" და მას შემდეგ, რაც მამაკაცებმა მხოლოდ გაზარდეს სიმდიდრე ომის მეშვეობით, ქალებმა მოითხოვეს ამ პრივილეგიის უფლება. უმმ სალამამ ქალების ახალი პრეტენზია გამოაცხადა: „ო, ალაჰის მოციქულო, ჩვენ არ გვაძლევენ მემკვიდრეობას და ჩვენ არ ვიბრძვით ალაჰის გზაზე. ნება დაგვრთე ჩვენც ვიბრძო-

---

[36] ეს დღე იწოდება, როგორც „ იაუმ ალ-ფურყან" — „გარჩევის დღე".

[37] მის ნათესავებში იგულისხმებოდა ყველა, ვინც ეკუთვნოდა ბანუ ჰაშიმის და ბანუ 'აბდ ალ-მუტტალიბს, რომელთათვისაც „ზაქათ" არ იყო განკუთვნილი [52,386,41a].

ლოთ და გამოგზავნილ იქნა 4:32 აია"[38] [14,VIII,261]. არის ასეთი გადმოცემაც, რომ ასმა' ბინთ იაზიდი მივიდა ალაჰის მოციქულთან ქალების სახელით და უთხრა: „ჩვენ ვირწმუნეთ შენი და მაღალი ალაჰის. ჩვენ ქალები საბურველში ვართ გამოხვეული და განმარტოებით ვცხოვრობთ, ვიცავთ თქვენს სახლებს, ვზრდით თქვენს შვილებს, მაშინ როცა თქვენ – მამაკაცები უკეთესები ხართ, ვიდრე ჩვენ პარასკევის საკრებულო ლოცვის შესრულებისას, საზოგადო შეკრებების, ავადმყოფის მონახულების, დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობის და პილიგრიმობის თანმიმდევრულად შესრულების დროს. ასევე ჯიჰადში მონაწილეობით. თუმცა როცა რომელიმე თქვენგანი მიდის საპილიგრიმოდ, მოინახულებს მექას ან მიდის საღვთო ომში, ჩვენ ვუფრთხილდებით თქვენს ქონებას, ვქსოვთ თქვენს ტანსაცმელს და ყურადღებას ვაქცევთ თქვენს შვილებს. ამის შემდეგ არა გვაქვს ჩვენ უფლება გავინაწილოთ თქვენთან ერთად ჯილდო და სიკეთე?"[53,3/24]

წინაისლამურ პერიოდში, როცა ქალები და ბავშვები მემკვიდრეობას ჩამოაშორეს, მიზეზი იყო ის, რომ ისინი არ მიდიოდნენ სალაშქროდ და არ იყოფდნენ ნადავლს. ამის გასარკვევად უნდა განვიხილოთ ომის წარმოების მექანიზმი ისლამის წარმოშობის შემდეგ.

ალ-ღაზვა ნიშნავს „ლაშქრობას მტრის წინააღმდეგ, რათა წაართვან მას საკუთრება (ქონება)"; „დამარცხებული ლაშქრობა არის ის, რომელშიც არ არის ნადავლი". დამარცხების დროს დაშვებულია მამაკაცების დახოცვა, ქალების[39] (შესაძლოა მამაკაცებისაც) ტყვედ აყვანა ან მონად ქცევა. ან თუ მამაკაცები და ქალები იყვნენ არისტოკრატიული წარმოშობის, სცვლიდნენ მათ დიდი გამოსასყიდის ფასად [285,131].

აბუ იუსუფის თანახმად, ნადავლის ნილი ქალებს არ ეკუთვნით – მხოლოდ მცირე ჯილდო, თუ მას სარგებლობა მოაქვს დაჭრილების მოვლით და ავადმყოფებისათვის წყლის მინოდებით. თუ ქალი არ ასრულებს სასარგებლო სამუშაოს[40], არ იღებს ამ მცირე ჯილდოსაც [18,342].

---

[38] სხვა ვერსიით, უმმ სალამამ თქვა: „რატომ მიდიან მამაკაცები ომში და ჩვენ არა?" ან „ალაჰის მოციქულო, მამაკაცები იბრძვიან და ჩვენ არა გვაქვს უფლება გავაკეთოთ ეს, თუმცა ჩვენ გვაქვს მემკვიდრეობის უფლება" [14,VIII,261].

[39] თუ არ იბრძვიან, ქალების და ბავშვების დახოცვა არ შეიძლება. თუ იბრძვიან – დასაშვებია [51,45]. გადმოცემით, „მოციქულის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს აღმოჩენილ იქნა მოკლული ქალი და მან მაშინ აკრძალა ქალების და ბავშვების დახოცვა" [18,338].

[40] ზიმიების („აჰლ აზ-ზიმმა" – „მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხი" – ქრისტიანები, იუდეველები, ზოროასტრელები, საბაელები) და მონების მსგავსად.

ნაჯდა ბ. 'ამირ ალ-ჰარური ალ-ჰანაფიმ[41] მისწერა 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'აბბასს, სთხოვდა შეეტყობინებინა ქალებთან დაკავშირებით, თან ახლდნენ თუ არა მოციქულს ბრძოლებში და ენიშნებოდათ თუ არა მათ წილი ნადავლში? პასუხი ასეთი იყო: „ისინი თან ახლდნენ ალაჰის მოციქულს ბრძოლებში, მაგრამ წილი ნადავლში მათ არ გამოეყოფოდათ, თუმცა მათ ეძლეოდათ მცირე ჯილდო"[2,122-123;18,343].

XI-XII სს. ფაკიჰები მიიჩნევდნენ, რომ ხუმსთან ერთად თავიდანვე უნდა გამოყოფილიყო იმ მეომართა წილიც, რომელთაც ბრძოლაში არ მიუღიათ მონაწილეობა (ანფალ), აგრეთვე „საჩუქარი" (რადხ) ქალების, ბავშვების და მონებისათვის, რომელიც მეომართა წილზე უფრო მცირე უნდა ყოფილიყო. ნადავლის საერთო ღირებულებაში შედიოდა ტყვეთა გამოსასყიდი თანხაც.

ტყვეები შეიძლება გამოესყიდათ, ამიტომ მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ხდებოდა მათი განაწილება მეომრებზე, როგორც ნადავლის წილი. მოციქულს ეკუთვნოდა ყოველგვარი ნადავლის საუკეთესო ნაწილი („ას-ᲧაფიᲐ"- „რჩეული"), რომელსაც ირჩევს ის, ვინც არის წინამძღოლი. ხაიბარის დღეს მუჰამადმა აირჩია ᲧაფიᲐ. ბანუ კურაიზას[42] წინააღმდეგ ბრძოლის დროს – რაიჰანა ბინთ ზაიდ ბ. 'ამრი. მოციქულმა შესთავაზა მას ქორწინება, მაგრამ უარი მიიღო და ის იყო მისი მხევალი [21,403]. ჯუვაირიᲐ ნადავლის განაწილების დროს წილად ხვდა Ყაბით ბ. კაისს და მის ბიძაშვილს. ჯუვაირიᲐ მივიდა მოციქულთან და სთხოვა დახმარება – გამოსასყიდისაგან გათავისუფლება. მოციქულმა შესთავაზა მას ქორწინება გამოსყიდვის სანაცვლოდ და ჯუვაირიᲐ დათანხმდა [21,419]. მოციქულმა ბანუ მუᲧტალიკიდან დაახლ. 100 მისი ნათესავი გაათავისუფლა. „არც ერთ ხალხს არ გაუკეთებია თავისი ხალხისათვის იმდენი, რამდენიც მან გააკეთა" [21,420]. ჯუვაირიᲐმ მიიღო ისლამი თავის ტომთან ერთად და მუჰამადმა მასზე იქორწინა.

მუსლიმები ხაიბარს განიხილავდნენ სამხედრო ნადავლად. ხაიბარის შემოსავლების 1/5 განაწილდა 1400 ადამიანზე (მეომარზე)[43], ხოლო მეორე ნახევარი მუჰამადის ახლობლებზე და ნათესა-

---

[41] სამართლისმცოდნე, ნადაელის განაწილების წესის მცოდნე ისლამის პირველ საუკუნეში.

[42] ეს იყო პირველი ნადავლი, რომელიც განაწილდა წილის მიხედვით და გამოიყო 1/5. ამის შემდეგ ასე გრძელდებოდა: ცხენოსანს – 2 წილი, მხედარს – 1, ქვეითს – 1. მოციქულმა აირჩია რაიჰანა [21,403].

[43] სხვა მონაცემებით, ნადაელი განანილდა 1580 მეომარზე, ეინც მონაწილეობა მიიღო ხაიბარზე ლაშქრობაში [60,26-27].

ვებზე. თუმცა უპირატესობა მოციქულმა მიანიჭა თავის ცოლებს და უახლოეს ნათესავებს. ფატიმამ მიიღო ყოველწლიური რენტა 200 ვასკი[44] ფინიკი, 'ა'იშამ – 200. დანარჩენმა ცოლებმა 700 ვასკი ერთად. საკუთარი ოჯახისათვის მინიჭებული უპირატესობა უფრო აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფატიმას დამატებით დაენიშნა 85 ვასკი ხორბალი და ყველა ცოლს ერთად კიდევ 180 ვასკი ხორბალი [45,775-776].

აბუ იუსუფის თანახმად, თითოეულ თავის ცოლს მოციქულმა გადასცა 100 ვასკი – 80 ვასკი ფინიკით და 20 ვასკი ქერით [18,157]. როდესაც ხალიფა გახდა 'უმარი, მან ხელახლა გაყო ხაიბარის ოაზისის მიწები და მოციქულის ქვრივებს საკუთრების უფლებაზე არჩევანის საშუალება მისცა: ან მიწის ნაკვეთები ხაიბარში, ან ყოველწლიური წილი – 100 ვასკი (თითოეულს). ამ საკითხში მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. ერთმა ნაწილმა აირჩია მიწის ნაკვეთები, სხვებმა – თავისი წილის აღება ვასკებით. 'ა'იშამ და ჰაფსამ აირჩიეს აეღოთ თავიანთი წილი ვასკებით [18,158; 26,71].

მეომრების წილი გაცილებით ნაკლები იყო. ბრძოლის 120 რიგითი მონაწილე იღებდა იმდენივეს, რამდენსაც ერთი 'ა'იშა[45], ხოლო მუჰამადის ყველა ცოლის წილი უთანაბრდებოდა 540 მეომრის წილს. მკვლევართა აზრით, ეს ციფრები დამატებით კომენტარებს აღარ საჭიროებს [108,149-150]. იბნ სა'დის თანახმად, ხაიბარის ნადავლის წილი მიიღო 25 ქალმა [8,II,48]. აქედან 9 იყო მუჰამადის ცოლი[46], 2 - მისი მამიდა, 7- ბიძაშვილი და 7 - ბიძაშვილის შვილები ან სხვა ტომის წარმომადგენლები[47].

---

[44] წონის საზომი ერთეული, ტვირთი, რომელიც შეიძლება ზიდოს აქლემმა.

[45] რა თქმა უნდა, ასეთი დიდი წილის ძირითადად გაყიდვა ხდებოდა ან მედინაში ან ხაიბარში[108,150].

[46] 'ა'იშა, საუდა, ჰაფსა, უმმ სალამა, უმმ ჰაბი ბა, ზაინაბ ბინთ ჯაჰში, ხაფიია, ჯუვაირიია, მაიმუნა.

[47] 1. დუბა'ა ბინთ აზ-ზუბაირ ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილი) – 40 ვასკი [8,VIII,46]. 2. უმმ ალ-ჰაქამ ბინთ აზ-ზუბაირ ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილი) – 30 ვასკი [8,VIII,46]. 3. საფიია ბინთ აზ-ზუბაირ ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილი) – 40 ვასკი [8,VIII,46-47]. 4. უმმ აზ-ზუბაირ ბინთ აზ-ზუბაირ ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილი) – 40 ვასკი [8,VIII,47]. 5. უმმ ჰანი' (ფახითა) ბინთ აბი ტალიბ ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილი) – 40 ვასკი [8,VIII,47]. 6. უმმ ტალიბ ბინთ აბუ ტალიბ 'აბდ ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილი) – 40 ვასკი [8,VIII,48]. 7. ჯუმანა ბინთ აბი ტალიბი (ბიძაშვილი) – 30 ვასკი [8,VIII,48]. 8. ჰამნა ბინთ ჯაჰში (მამიდაშვილი –'აბდ ალ-მუტტალიბის შვილიშვილი დედის მხრიდან) – 30 ვასკი [8,VIII,241]. 9. უმმ ჰაბ ბა ბინთ ჯაჰში (მამიდაშვილი) – 30 ვასკი [8,VIII,242]. 10-11. ხუდაიჯა ბინთ ალ-ჰუსაინ

იბნ სა'დთან ერთ შემთხვევაში სპეციალურად არიან მოხსენიებული ქალიშვილები, რომელთაც მემკვიდრეობით მიიღეს მამის წილი ხაიბარიდან. იბნ ისჰაკი, თავის მხრივ, ასახელებს შემთხვევას, როცა მამა და მისი ქალიშვილები, ისევე როგორც ვაჟები იღებენ 100 ტომარას ხაიბარიდან[48]. წყაროებში აღნიშნულია, რომ უმმ ალ-დაჰჰაქ ბინთ მას'უდი თან ახლდა მოციქულს ხაიბარში ლაშქრობის დროს. მოციქულმა მისცა მას ხაიბარიდან ნადავლის თანაბარი წილი, რაც მან მისცა მამაკაცებს [8,VIII,336].

მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, მუსლიმური თემის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა დაპყრობათა (სპარსეთი, ერაყი, ეგვიპტე, სირია) შედეგად. ხალიფა 'უმარ ბ. ალ-ხატტაბმა არაბებს აუკრძალა დაპყრობილ ქვეყნებში უძრავი ქონების დანაწილება-დასაკუთრება. ამის სანაცვლოდ, დაახლოებით, ჰიჯრის 20 წლის მუჰარამის თვეში /21.XII.640 - 19.I.641/ 'უმარმა ჯამაგირი ('ატა') და სასურსათო ულუფა (რიზკ) დაუნიშნა მუჰამადის ყველა მიმდევარს, დაპყრობითი ომის მონაწილეს, რომელთა სახელებიც შეიტანეს საგანგებო სიებში[49] (დივან) [101,148; 216,99; 237,323; 288,67-75; 360,170-72]. ეს იყო სახალიფოს უზარმაზარი შემოსავლების გასანაწილებლად შედგენილი ნუსხა. თუ ხალიფა აბუ ბაქრი ამჯობინებდა გათანაბრების პრინციპს, რაც დამახასიათებელი იყო თავდაპირველი თემისათვის, 'უმარის მიერ შემოღებული სისტემა განსხვავებული იყო: ხელფასის ოდენობა განისაზღვრებოდა

ბ. ალ-ჰარის ბ. ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილის შვილი) და მისი და – ჰინდა ბინთ ალ-ჰუსაინ. ორივეს ერთად –100 ვასკი [8,VIII,227]. 12. უმმ რიმსა (რუმაისა) ბინთ 'ამრ ბ. ჰაშიმ ბ. ალ-მუტტალიბი (ბიძაშვილის შვილი) – 40 ვასკი [8,VIII, 227]. 13. ბუჰინა('აბდა) ბინთ ალ-ჰარის ბ. ალ-არასს ბ. ალ-მუტტალლიბი (ბიძაშვილის შვილი) – 30 ვასკი [8,VIII,228]. 14. ჰინდა ბინთ ასს ბ. 'აბბად 'აბდ ალ-მუტტალლიბი (ბიძაშვილის შვილი) – 30 ვასკი [8,VIII,228]. ორი მამიდა: 1. უმაიმა ბინთ 'აბდ ალ-მუტტალიბ ბ. ჰაშიმი (ზაინაბ ბინთ ჯაჰშის დედა) – 40 ვასკი [8,VIII,45-46]. 2. საფიია ბინთ 'აბდ ალ-მუტტალიბი – 40 ვასკი [8,VIII,41-42].

[48] 'უბაიდა ბ. ალ-ჰარისმა, მისმა ქალიშვილებმა და ვაუმა – ალ-ჰასინ ბ. ალ-ჰარისმა ერთად მიიღეს 100 ვასკი ხაიბარიდან. ეს იყო ხორბალი, ფინიკი, ქერი და სხვა [21,461].

[49] ეს უფლება გადადიოდა მემკვიდრეობით მათ შთამომავლებზე. 'უმარმა დაავალა 3 კურაიშელს, გენიალოგიათა მცოდნეებს, შეედგინათ სია-რეესტრი. იქ შეპქონდათ ცალკეული პირების თუ ტომების სახელები, რომელთაც უფლება ჰქონდათ მიეღოთ ფულადი სახსრები - აკრეფილი დაპყრობილი მოსახლეობიდან. 'უმარის რეესტრი ინახებოდა მედინაში, ხალიფას რეზიდენციაში და სპეციალურ შენობაში, რომელსაც ეწოდებოდა „ბაით ალ-კარატის" („ქაღალდების სახლი"). ანალოგიური რეესტრები შედგენილ იქნა პროვინციათა ცენტრებში – ბასრაში, ქუფაში, დამასკოში და ფუსტატში, აგრეთვე იემენში. უკანასკნელი „პენსიონერი" ამ სიიდან გარდაიცვალა 850 წელს [132,66].

არა მუსლიმის მიერ დაკავებული თანამდებობით, არამედ ალაჰის მოციქულთან სიახლოვით, ისლამის მიღების დროით, ჰიჯრასა და ბრძოლებში მონაწილეობით [156,152; 26,77].

ამის საფუძველზე ყველაზე მეტ ჯამაგირს ღებულობდნენ არა მუსლიმური თემის მეთაური ან მისი ნაცვლები, არამედ მუჰამადის ქვრივები. ჯამაგირის დანიშვნისას გაითვალისწინებოდა მათი დამსახურება ისლამის წინაშე და მოციქულთან სიახლოვე. თვითონ 'უმარი ამბობდა: „ვერ მოვექცევი მათ, ვინც იბრძოდა ალაჰის მოციქულის წინააღმდეგ ისევე, როგორც იმათ, ვინც იბრძოდა მოციქულთან ერთად" [21,74]. ამ პრინციპიდან გამომდინარე, 'უმარ I-ს არავისათვის არ მიუნიჭებია უფრო დიდი უპირატესობა, ვიდრე ბადრთან ბრძოლის მონაწილეთათვის, თუ არ ჩავთვლით მოციქულის ცოლებს [36,450].

ხალიფა 'უმარმა 'ა'იშას, როგორც საყვარელ ცოლს, განუსაზღვრა 12 ათასი დირჰამი წელიწადში, დანარჩენებს — 10 ათასი, ხოლო ჯუვაირიიას და ს̣აფიიას — 6 ათასი. 'უმარის განმარტებით: „ისინი იყვნენ ტყვეები, მაშინ როცა დანარჩენი ცოლები ჰიჯრას მონაწილენი იყვნენ და ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს ისლამი" [60,70].

აბუ იუსუფის ცნობით, ს̣აფიიამ და ჯუვაირიიამ უარი განაცხადეს ამ თანხის მიღებაზე და შეახსენეს ხალიფას, რომ უმაღლესი ხელფასი მუჰამადის ცოლებმა მიიღეს მოციქულთან სიახლოვის გამო და ამდენად, მათ თანაბარი მდგომარეობა ეკავათ მოციქულის ჰარემში. 'უმარმა დაუნიშნა მათაც 12 ათასი ან 10 ათასი. თუმცა დანარჩენი ქვრივების სახელები არ არის მოხსენიებული. სულ ცხრა ქვრივმა მიიღო ჯამაგირი[50].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქვრივების ხელფასი იყო ორჯერ მაღალი, ვიდრე მოციქულის ყველაზე პატივსაცემი მიმდევრებისა. ეს უცნაურია თვით მუსლიმური სამართლის პოზიციიდანაც, რომლის თანახმად ქალი იღებს ორჯერ ნაკლებ მემკვიდრეობას, ვიდრე მამაკაცი. მაგრამ ეს წესი არ შეეხო მუჰამადის ქვრივებს.

'უმარ I-ის დივანში მეორე ადგილი ეკავათ მუჰამადის მიმდევრებს — მუჰაჯირებს და ანს̣არებს. შემდეგ მოდიოდნენ მეომრები, რომლებიც მონაწილეობდნენ დაპყრობებში. ამასთან, რაც უფ-

---

[50] როდესაც მუჰამადის ერთ-ერთმა ცოლმა — ზაინაბ ბინთ ჯაჰშმა მიიღო ეს თანხა, მან მაშინვე დაურიგა ის მთლიანად სხვადასხვა გაჭირვებულ ოჯახებს და თქვა: „ღმერთო, აღარასოდეს, ამ წლის დასრულებამდე მე არ მომინიოს 'უმარის საჩუქრის მიღება" [18,80; 60,71]. მართლაც, ის პირველი გარდაიცვალა მოციქულის ქვრივებიდან.

რო ადრე ჰქონდათ მიღებული ისლამი, მით უფრო მეტ ხელფასს იღებდნენ ისინი. მაგალითად, ბადრთან ბრძოლის მონაწილენი იღებდნენ 5 ათას დირჰამს. საერთოდ, პირველი მუსლიმები ღებულობდნენ 20-ჯერ მეტს, ვიდრე უკანასკნელი დაპყრობითი ომის მონაწილენი. მუსლიმური ელიტის პრივილეგიები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. ხელფასს ღებულობდნენ მუჰაჯირთა და სხვა დამსახურებულ პირთა ცოლებიც [109,147].

ბადრთან ბრძოლის მონაწილეთა ცოლები ღებულობდნენ – 500 დირჰამს, ბადრის შემდეგ ჰუდაიბიიამდე – 400, კადისიამდე – 300, ხოლო კადისიასთან ბრძოლის მონაწილეთა ცოლები – 200 დირჰამს[51] [109,147].

ისლამის წინაშე დამსახურებულ პირთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ იყო გამონაკლისებიც. ზოგიერთი მუჰაჯირი ქალი ღებულობდა პერსონალურ პენსიას. მაგალითად, მუჰამადის მამიდა – ‘საფიჲა ბინთ ‘აბდ ალ-მუტტალიბი ღებულობდა – 6 ათასს, ხოლო რამდენიმე ქალი 1000 ან 3 ათას დირჰამს [36,451]. თუმცა, ზოგიერთი არაბული წყაროს ცნობით, ‘უმარმა ხელფასი 3 ათასი დირჰამის ოდენობით დაუნიშნა ყველა ქალს, ვინც გადასახლდა მედინაში. ესენი იყვნენ ისლამის ისტორიაში ცნობილი ქალები. ასევე ‘უმარმა დამატებით გამოყო სამი ქალი, რომელთაც არ მიუღიათ წილი ხაიბარიდან: ასმა’ ბინთ ‘უმაისი [8,VIII,284], უმმ ქულსუმ ბინთ ‘უკბა [8,VIII,230-31] და უმმ ‘აბდ ალ-ლაჰ ბ. მას‘უდი – ერთ-ერთი პირველი, ვინც მიიღო ისლამი [8,VIII,289]. მათ დაუნიშნა ათასი დირჰამი.

ჯამაგირის დანიშვნისას მშობლების დამსახურებაც იყო გათვალისწინებული. ‘ა’იშას ‘უმარმა დაუნიშნა 12 ათასი დირჰამი, როგორც მუჰამადის უსაყვარლეს ცოლს და ხალიფა აბუ ბაქრის ქალიშვილს. განსხვავებულ თანხას იღებდა ‘უმარიც, მუჰამადის ერთ-ერთი პატივსაცემი ცოლის – უმმ სალამას და აბუ სალამას ვაჟი. ‘უმარმა ეს ასე ახსნა: „მე მივეცი მას უპირატესობა იმ ადგილისათვის, რომელიც მას ეკავა ალაჰის მოციქულთან. დავუნიშნე მას მამის გამო – 2 ათასი დირჰამი და დავუმატე დედის – უმმ სალამას გამო – ათასი. თუკი ვინმე, ვისაც ჰყავს ისეთივე დედა, როგორიც უმმ სალამაა, მოვა ჩემთან დახმარებისათვის, მე მაშინვე შევუსრულებ თხოვნას“ [36,451].

---

[51] ზოგიერთი ცნობით, მუჰაჯირთა და ანსართა ცოლები ღებულობდნენ 200-დან 600 დირჰამამდე [132,68]. დასახელებულია, რომ კადისიასთან ბრძოლაში მონაწილეობდა 43 ქალი, რომელთაც მიიღეს შესაბამისი თანხა სახელმწიფო ხაზინიდან.

უპირატესობა დაფუძნებული იყო თითოეული ცოლის სტატუსზე და მის სიახლოვეზე მუჰამადთან [49,II,175]. 'ა'იშას თავისი აღმატებული მდგომარეობის გამო დაენიშნა 12 ათასი დირჰამი. ზოგიერთი ცნობით, 'ა'იშამ უარი თქვა მიეღო დამატებით 2 ათასი [58,I,2413; 44,II,392], მაგრამ 'უმარმა დაჟინებით მოითხოვა. თუმცა მოგვიანებით, 'ა'იშას საყვედური ხალიფა 'უსმანთან მიმართებაში ის იყო, რომ სხვა ცოლებთან გაათანაბრა[52] [49,II,203]. 'უმარმა სიაში პირველი 'ა'იშა ჩაწერა და ამით მისი გამორჩეული მდგომარეობა დაადასტურა მუჰამადის მიმდევრებს და „მორწმუნეთა დედებს" შორის, თავისი საკუთარი ქალიშვილის – ჰაფსას ჩათვლით.

'უმარ I-ის მიერ სახელმწიფო შემოსავლების გასანაწილებლად შედგენილმა ნუსხამ დიდი კამათი გამოიწვია მორწმუნეთა თემში. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ 'უმარმა ის ადგილი დაიკავა, რაც მიუჩინა მას ალაჰმა. 'უმარს ურჩევდნენ, როგორც ალაჰის მოციქულის მოადგილეს და მუსლიმური თემის მეთაურს, თავისი თავი დივანში პირველ ადგილზე დაეყენებინა, მაგრამ 'უმარმა კატეგორიული უარი განაცხადა. მან ასე მიმართა თავის თანამოძმეებს: „მუჰამადი ჩვენზე მაღლაა, ...ხოლო მისი ოჯახი მაღლაა [რიგით] არაბებზე, შემდეგ მისი უახლოესი ნათესავები თანმიმდევრობით" [36,449]. აქედან გამომდინარე, 'უმარმა ყველაზე დიდი პრივილეგია მიანიჭა მუჰამადის ქვრივებს და ბადრთან ბრძოლის მონაწილეებს.

განხილული მასალა მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ისლამში ქალს, ისევე როგორც მამაკაცს აქვს დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მუსლიმი ქალების პოლიტიკური აქტივობა დაიწყო მაშინ, როცა ისინი მოექცნენ ისლამზე. მათ დაიცვეს ახალი რელიგია და ხელი შეუწყვეს მის გავრცელებას. ქალები, განსაკუთრებით მუჰამადის დროს, იყვნენ ძალზე აქტიურები სოციალურადაც და პოლიტიკურადაც. მათ მონაწილეობა მიიღეს მედინის საზოგადოების მშენებლობაში. მათ მამაკაცებთან ერთად მხარი დაუჭირეს და ფიცი მისცეს იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მუჰამადი. ეს მოხდა ბაი'ას საშუალებით. ქალების რჩევას ითვალისწინებდნენ მოციქული და მი-

---

[52] 'უსმანი იყო პირველი ხალიფა ისლამში, რომელმაც გარკვეული შეღავათები დაუწესა ძირითადად უმაიიანებს და გამოიყენა დივანი პერსონალური და პოლიტიკური ინტერესებისათვის. მაგალითად, მარვან ბ. ალ-ჰაქამი, თავისი ძმისშვილი, შემდგომში მეოთხე უმაიიანი ხალიფა, მან დააჯილდოვა ნადავლის 1/5-ით – 2 500 000 დინარით იფრიკიის შემოსავლებიდან, 'ა'იშას კი შეუმცირა და სხვა ცოლებთან გაათანაბრა [289,71].

სი მემკვიდრე ხალიფები. ქალები გასცემდნენ ამანს — სიცოცხლისა და ქონების შეუვალობის პირობას, რომელსაც მუსლიმი აძლევდა მტერს, ჩვეულებრივ არამუსლიმს. ქალები მონაწილეობდნენ ჯიჰადში, ისინი ძირითადად დაჭრილებს უვლიდნენ, საჭმელს და წყალს აწვდიდნენ მეომრებს, საჭიროების შემთხვევაში აქტიურად იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით. შესაბამისად, ისინი იღებდნენ ნადავლის გარკვეულ ნილს. თუმცა საუკუნეების მანძილზე ქალის პოლიტიკური როლი მუსლიმურ სახელმწიფოში ყოველთვის იყო დავისა და განსჯის საგანი.

2. ქალი და ხელისუფლება ისლამში

მუსლიმური სამართლით ქალებს არ შეუძლიათ დაიკავონ ისეთი სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც ითვალისწინებს მათ ხელმძღვანელობას მუსლიმ მამაკაცებზე. მუსლიმური სამართლის ეს ძირითადი პრინციპი ეფუძნება ყურანის ერთ აიას — 4:34, რომელშიც ნათქვამია, რომ მამაკაცები არიან ქალების მფარველები და გამგებლები — *კავვამუნ.*

„კავვამ"-ის პრინციპი, რომლის თანახმად მამაკაცი არის ქალის მეურვე და სტატუსით მასზე მაღლაა, გამოყენებული იქნა მუსლიმი კანონმდებლობის მიერ ქალთა დისკრიმინაციის გასამართლებლად ყველა იმ შემთხვევაში, რომელთა შესახებ ყურანში არ არის პირდაპირი მითითება. გარკვეული განსხვავება მამაკაცებს და ქალებს შორის მათ უფლებებთან დაკავშირებით გამოიკვეთა მედინური პერიოდის სურებში. ყურანის მე-4 სურა, სადაც არის მრავალი რელიგიურ-სამართლებლივი მითითება (ქორწინების, განქორწინების მემკვიდრეობის და სხვ. შესახებ), გარდმოვლენილ იქნა ალაჰის მიერ მუჰამადისათვის სწორედ მისი მოღვაწეობის მედინის პერიოდში.

4:34 აიას თანახმად, „ქმრები დგანან ცოლებზე [მაღლა] იმის გამო, რომ ალაჰმა მისცა ერთს უპირატესობა მეორესთან მიმართებაში და იმის გამო, რომ ისინი [მამაკაცები] ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან"[53] [5,85].

ყურანის ცნობილი კომენტატორი ატ-ტაბარი ამ აიას ასე განმარტავს: *„მამაკაცები გამგებლობენ თავიანთ ქალებზე ნიშნავს იმას, რომ მათ შეუძლიათ დასაჯონ ისინი, მიუჩინონ თავიანთი ად-*

---

[53] „კაცნი ქალთა უმაღლეს არიან იმ ვითარების გამო, რომლითაც ღმერთმა მათ უმაღლეს ასნია. მიტომაც, რომ კაცნი თავიანთ ქონებას ქალთა გასამზითებლად ხმარობენ" [15,77].

გილი, როცა ეს ეხება მათ მოვალეობებს ღმერთის და თავიანთ [მამაკაცების] წინაშე. საფუძველი, რის გამოც ღმერთმა მისცა ძალაუფლება მამაკაცებს თავიანთ ცოლებზე, არის: საქორწინო საჩუქრის [ṣadāqa] გადახდა მათთვის, თავიანთი შემოსავლების მათზე დახარჯვა და ყველაფრით სრულად უზრუნველყოფა. ეს ამის გამოა, რომ ღმერთმა მისცა უპირატესობა [მამაკაცებს] მათზე [ქალებზე] და ამ დროიდან [მამაკაცები] გახდნენ მეურვეები მათი [ქალების] და აქვთ ძალაუფლება მათზე იმ საქმეებში, რომლებიც ღმერთმა მათ მიანდო"[14,VIII,290].

ატ-ტაბარი ხაზს უსვამს: ა) მამაკაცების ძალაუფლებას ქალებზე ოჯახში და ბ) ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ თავიანთი ცოლები მატერიალური მხარდაჭერით.

350 წლის შემდეგ, ალ-ბაიḍāwī გვთავაზობს ამ აიას შემდეგ ინტერპრეტაციას: *„მამაკაცებს აქვთ გამგებლობა ქალებზე იმას ნიშნავს, რომ მამაკაცები გამგებლობენ ქალებზე, როგორც მმართველები გამგებლობდნენ თავიანთ ქვეშევრდომებზე . . . . . ღმერთმა უპირატესობა მიანიჭა მამაკაცებს ქალებთან შედარებით გონებრივი შესაძლებლობის სრულყოფილების (გონებრივი განვითარების), კარგი მმართველობის, დიდი შესაძლებლობის გამო ქმედებებსა და მორჩილებაში. ამის გამო მამაკაცებს აქვთ მისაკუთრებული წინასწარმეტყველება, რელიგიური წინამძღოლობა [ʾimāma], წმინდანობა [ვილაია], რელიგიური რიტუალების შესრულება, მონმეობა სასამართლოში, საღვთო ომის მოვალეობა, ღვთისმსახურება პარასკევობით [მეჩეთში] და სხვ. მათ აქვთ აგრეთვე პრივილეგიები: მემკვიდრეობის დიდი წილი და მოქმედების შეუზღუდველობა გაყრისას იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან, როცა ქორწინდებიან [ქალებზე], აძლევენ მაჰრს და ხარჯავენ მათზე"*[4,111].

მოგვიანებით, ყურანის კომენტატორებმა არა მარტო მიიღეს ალ-ბაიḍāwīს ინტერპრეტაცია, არამედ დააზუსტეს ზოგიერთი დეტალი, მაგ. აჰმად ბ. მუჰამმად ალ-ხაფაჯი რამდენიმე ახსნა-განმარტებას გვაძლევს ალ-ბაიḍāwīს კომენტარებზე: „რელიგიური წინამძღოლობა – *იმამა* [რაც მიუნვდომელია ქალებისათვის] გულისხმობს ორივეს ჩართვას – *ალ-იმამა ალ-ქუბრā* [დიდი საიმამო] და *ალ-იმამა ას-სუღრā* [მცირე საიმამო]. *ვილაია* - მას ესმის არა როგორც წმინდანობა, არამედ ქალის მიერ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება [*თავალლიმ*] საქორწინო საქმეებში, რაც გულისხმობს უნარს მიიღოს გადაწყვეტილება [რაც ამ დროიდან მოყოლებული დიდხანს არ ჰქონდათ] რელიგიური რიტუალები [*შაʿāʾირ*] რომლიდანაც ქალები, ალ-ბაიḍāwīს თანახმად, ჩამოცილებული არიან, კლასიფიცირდება ასე: მოწოდება ლოცვისაკენ [*აზān*], მეო-

რე მოწოდება ლოცვისაკენ [*'იკამა*], საპარასკევო ქადაგება, საპარასკევო ღვთისმსახურება [მეჩეთში] და *თაქბირათ ათ-თაშრიკ*[54] – გარკვეული წესები პილიგრიმობის დროს" [352,16].

ყურანის ზემოგანხილულ აიაში ფრაზა – *„კავვამუნა 'ალა"* (არაბ.) – ითარგმნება როგორც ზრუნვა, მეურვეობა, მმართველობა[55]. M. Pickthall თარგმნის მას, როგორც „in charge of" – თვალყურის დევნება, გამგებლობა [56,97]. A. Arberry თარგმნის ასე: „მამაკაცები არიან მმართველები (managers) ქალთა საქმეების....." [34,97]. აზ-ზამახშარის აზრით[56], ეს ნიშნავს „მამაკაცები არიან ქალების საქმეების მეურვეები, გამგებლები [7,I,525]. 'ალი მავლანა აღნიშნავს, რომ *„კამა-ლ-რაჯულუ 'ალა-ლ-მარ'ათი"* ნიშნავს: „ის [ქმარი] ინახავს ცოლს და წარმართავს მის საქმეებს". ამდენად, ქმარი არის მისი კავვამ – მარჩენალი, მეურვე, მმართველი [52,205, შენ. 34a].

იუსუფ 'ალის მოაქვს *„კავვამ"*-ის შემდეგი მნიშვნელობები: ის, ვინც თანმიმდევრულად იცავს სხვის საქმეს, იცავს მის ინტერესებს და ზრუნავს მის საქმეებზე. ის ასევე შეიძლება აღნიშნავდეს იმას, ვინც დგას თავისი საკუთარი საქმეების დაცვის სადარაჯოზე და გამუდმებული სიმტკიცით იცავს თავის ინტერესებს [33,190,შენ.545]. „მამაკაცები არიან დამცველები (protectors) და მარჩენალები (maintainers) ქალებისა, რადგანაც ალაჰმა მისცა ერთს უფრო მეტი [სიმტკიცე] ვიდრე მეორეს და იმის გამო, რომ ისინი ინახავენ მათ თავიანთი ფულადი სახსრებიდან" [33,190].

რაც შეეხება ამ აიაში მოხსენიებულ უპირატესობას [*ფადდალა*] კომენტატორები ხაზს უსვამენ, რომ ეს არ ეხება ზოგადად მამაკაცების უპირატესობას მთლიანად ქალებზე. კომენტატორთა აზრით, ამ აიაში ნათლად ჩანს, რომ მამაკაცების უპირატესობა ქალებზე შეიძლება უკეთესად გამოხატულიყო სიტყვებით: *„ფადდალაჰუმ 'ალაიჰინნა"* – მან მისცა მათ [მამაკაცებს] უპირატესობა მათთან [ქალებთან] მიმართებაში. მაგრამ ყურანში ნათ-

---

[54] იგულისხმება მსხვერპლშენირვის შემდეგ 3 დღე, როცა ხდება ხორცის ნაჭრების მზეზე გაშრობა.

[55] „კავვამუნ" (მრ.) - მოდის ზმნის ძირიდან კამა, რაც ნიშნავს დგომას, მაგრამ 'ალა ნანილაკით – იდგა რამეზე; ზრუნავდა რისამე (ვისამე) გამო [72,206; 93,667]. „კამა 'ალაიპ" ნიშნავს – ის ინახავს ქალს და მართავს მის საქმეებს. სიტყვას – „კავვამუნ" (მარჩენალები) აქვს ორმაგი მნიშვნელობა. ის ნიშნავს: ქმარი ინახავს ცოლს და მას აქვს მეურვეობა თავისი სახლის საქმეებზე, რაც აძლევს მას ძალაუფლებას ცოლზე, როცა ამის საჭიროებაა [280,645-46].

[56] ყურანის ადრეული კომენტატორების აზრით, ის ნიშნავს ჰაქიმს (მმართველს), დარაჰას (ზედამხედველი, დამცველი, მეთაური) და იყენებდნენ მამაკაცის განსაზღვრული უპირატესობის აღსანიშნავად ქალებზე.

ქვამია შემდეგი: *„ფადდალა ალლაჰუ ბა'დაჰუმ 'ალა ბა'დინ"* – ალაჰმა ზოგიერთ მათგანს მისცა უპირატესობა სხვებთან შედარებით[57]. აქ დაფარულია ის აზრი, რომ მამაკაცები და ქალები ავსებენ ერთმანეთს და ერთის უპირატესობა არ არის მეორის ნაკლი, რადგანაც ისინი განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან [19,II,286,შენ.85]. ყურანის თანამედროვე კომენტატორი, მავლანა 'უმარ აჰმად 'უსმანი ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ თუ ალაჰს სურდა დაეჯილდოვებინა მამაკაცები ამ უპირატესობით, გარკვევით და კატეგორიულად მიუთითებდა – *ბიმა ფადდალა რიჯალა 'ალა ნ-ნისა'* („იმით, რომ უპირატესობა მიანიჭა მამაკაცებს ქალებზე"). ამასთან ხაზს უსვამს, რომ ამ აიადან გამომდინარე, ნათელია შემდეგი: მამაკაცებს აქვთ გარკვეული ღირსებები, რაც არა აქვთ ქალებს და ქალებს აქვთ ღირსებები, რაც არა აქვთ მამაკაცებს. უფრო ზუსტად, ის ეთანხმება, რომ *„კავვამუნა 'ალა"* ნიშნავს – დამცველებს, მხარდამჭერებს და ყურანმა ეს ვალდებულება მამაკაცებს დააკისრა. ამის კომპენსაცია არის ქალების მიერ ბავშვების გაჩენა და მათზე ზრუნვა [218,51].

როდესაც საუბარია უპირატესობაზე [ფადდალა] უნდა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებას: 1) რა უპირატესობაა მოცემული და 2) რას ხარჯავენ ისინი თავიანთი ქონებიდან [ქალების მხარდასაჭერად].

არაბ. სიტყვას - *ფადდალა* - M. Pickthall თარგმნის როგორც „to excel" [ჯობნა, გადამეტება]. A. Arberry თარგმნის როგორც „to preferred" – უპირატესობა. მაგრამ მამაკაცებსა და ქალებს შორის უპირატესობა იმაზეა დაფუძნებული, თუ ალაჰმა რას მისცა უპირატესობა. Arberry-ის პასუხი ასეთია: „in bointy" – სიუხვეში, გულუხვობაში. ეს იგივეა, რაც ყურანში მოხსენიებული *„ბარაქა"* (არაბ.) – სიუხვე, ბარაქა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დომინანტი არის ეკონომიკური როლი. იმ საზოგადოებაში, რომელშიც ყურანი შეიქმნა, ძირითადად მამაკაცი განკარგავდა სიმდიდრეს, ქონებას და ამგვარად მათი ურთიერთობა ქალებთან ძალაუფლების პოზიციაზე იყო აგებული [352,32-33]. ე. რეზვანის თანახმად, 4:34 აიაში ქმრის და ცოლის სოციალური უთანასწორობა გამოწვეულია მათი ქონებრივი უთანასწორობით. მისივე განმარტებით,

---

[57] ზოგიერთი მკვლევარი (Amina Wadud) ამ კონტექსტთან დაკავშირებით ასეთ განმარტებას გვთავაზობს: ეს არის ბა'დ+მამრ. სქ. ნაცვალსახელი (მრ.რ. ჰუმ–ისინი) +ბა'დ, რაც ნიშნავს თითოეულ მათგანს. აქ არ ჩანს ნათლად რაოდენობა და სქესი. სხვა სიტყვებით, გაუგებრობაა ამ წინადადებაში. ის შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ ქალებს აქვთ უპირატესობა მამაკაცებზე [374,92].

ზმნა „*ფადდალა*“ – მნიშვნელობით „უპირატესობა მიანიჭა“, „ამჯობინა“ გამოიყენებოდა ისლამამდელ პოეზიაში სოციალური მდგომარეობის მიხედვით განსხვავებისა და უპირატესობის აღსანიშნავად [158,69-73; 156,149]. მ. ბრავმანი ასკვნის, რომ ტერმინი – ფადლ იხმარებოდა ქონების ნამეტის აღსანიშნავად, რაც იხარჯებოდა სოციალური ვალდებულებების შესასრულებლად უფრო ღარიბ თანატომელებთან და გვარის ან ტომის არათანასწორუფლებიან წევრებთან მიმართებაში. სწორედ ამ მნიშვნელობით არის დამოწმებული ტერმინი – *ფადლ* ყურანის 24:22 აიაში და ჰადისებშიც [201, 237-39].

ქმრის და ცოლის არათანასწორუფლებიანობაზე საუბარია ყურანის 2:228 აიაში – „ქმრები დგანან ერთი საფეხურით [*დარჯა*] მაღლა მათზე [ცოლებზე]“. ყურანის კომენტატორთა აზრით, ეს ადასტურებს მამაკაცის უპირატესობას ქალებზე. თუმცა ალაჰმა დააჯილდოვა თითოეული მეუღლე თანაბარი უფლებებით [85,26-29]. მამაკაცთა უპირატესობას განაპირობებს: „სიძლიერე, სიბრძნე, [ცოლების] უზრუნველყოფის შესაძლებლობა, სისხლის ფასი [*დია*], მემკვიდრეობა და საღვთო ომი“ [*ჯიჰად*][58] [258,89]. არრაზი ამატებს: „მამაკაცს აქვს შესაძლებლობა უხელმძღვანელოს [*იმამმა*] და მოსამართლის ფუნქცია შეასრულოს..... უფლება აქვს აგრეთვე გაეყაროს და ანულირება მოახდინოს განქორწინების [*რაჯ'ა* – დაიბრუნოს უკან]. ქალს კი არ შეუძლია გაეყაროს თავისუფლად ქმარს, გააუქმოს *ტალაკ* [განქორწინება] ან ხელი შეუშალოს თავის ქმარს აღასრულოს თავისი სიტყვა. ამასთან, მამაკაცის წილი ნადავლში არის უფრო დიდი, ვიდრე ქალისა. მას შემდეგ, რაც მამაკაცის უპირატესობა დაფუძნებულია ამ ნიადაგზე, ცხადი ხდება, რომ ქალი არის მსგავსი უმწეო ტყვე-ქალისა, რომელიც არის მამაკაცის კონტროლის ქვეშ“ [13,V,101].

ყურანში ერთადერთი მინიშნება მატერიალური უპირატესობის თაობაზე არის ის, რომ ალაჰმა გამოუყო მამაკაცებს მემკვიდრეობის დიდი წილი [4:7] - ორჯერ მეტი ქალებთან შედარებით. თუმცა ამის განზოგადება არ შეიძლება, რადგანაც მთლიანობაში მამაკაცების მემკვიდრეობა ყოველთვის არ იყო უფრო მეტი, ვიდრე მთლიანად ქალებისა. სამემკვიდრეო თანხა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული იყო ოჯახის შემოსავლებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქალი მემკვიდრეობას იღებს, როგორც ქალიშვილი, და, ცოლი და დედა. ამასთან, რაც არ უნდა დიდ ქონე-

---

[58] მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ჯიჰადში მონაწილეობის მიღება; ისინი იღებენ ორმაგ წილს მემკვიდრეობიდან; მათი სისხლის ფასი ორმაგია, ვიდრე ქალის [258,89].

ბას ფლობდეს ქალი, ქმარი ვალდებულია შეინახოს თავისი ცოლი და ქალი არ არის ვალდებული დახარჯოს რაიმე პირადი ქონებიდან თავის ოჯახზე. ქორწინების დროს ქალი დამატებით იღებს მაჰრს, რაც მხოლოდ მისი საკუთრებაა და მას უფლება აქვს თავისი სურვილისამებრ განკარგოს ქონება.

ყურანში მოცემული მეორე უპირატესობა არის ის, რომ მამაკაცები ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან [ქალების მხარდასაჭერად] და ისინი შესაბამისად დაჯილდოვებული არიან მემკვიდრეობის ორმაგი წილით [173,173-75].

საიდან კუტბი თვლის, რომ აქ საუბარია არა მატერიალურ უპირატესობაზე, ან ალაჰის მიერ მინიჭებულ უპირატესობაზე, არამედ ფუნქციების გადანაწილებაზე ქმარსა და ცოლს შორის. ფრაზას: „ისინი ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან", საიდან კუტბი ასე განმარტავს: ორივე, მამაკაცი და ქალი არიან ალაჰის შექმნილები და ალაჰი ..... არასოდეს განიზრახავს დაჩაგროს ვინმე თავის შექმნილთაგან. ორივე: მამაკაცი და ქალი არიან საზოგადოების მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – ოჯახის წევრები. ოჯახი იქმნება მამაკაცის და ქალის ქორწინების შედეგად. ოჯახის შიგნით, თითოეულ წევრს აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა. აშკარა ბიოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე, ქალისათვის უპირველესი მოვალეობა არის – ბავშვის გაჩენა. ეს პასუხისმგებლობა არის დიდი მნიშვნელობის და კაცობრიობის განვითარება ამაზეა დამოკიდებული. ეს ვალდებულება მოითხოვს დიდ ფიზიკურ სიძლიერეს, სასიცოცხლო ენერგიას, გონიერებას და ღრმა პიროვნულ ვალდებულებას. რადგანაც ეს მოვალეობა ასე მნიშვნელოვანია, რა არის მამაკაცის მოვალეობა ოჯახში და საზოგადოებაში საერთოდ? მარტივი დაბალანსებისათვის და სამართლიანობისათვის სამყაროში და იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ჩაგვრა, მისი [მამაკაცის] მოვალეობა უნდა იყოს თანაბრად მნიშვნელოვანი [ქალთან მიმართებაში] ადამიანთა მოდგმის გაგრძელებისათვის. ყურანმა დაადგინა მისი მოვალეობა, როგორც კავვამა [მეურვე], რაც ითვალისწინებს, რომ ქალი არ გადატვირთოს დამატებითი მოვალეობებით, რომელიც საფრთხეში აგდებს უპირველესი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას. იდეალურად, ყველაფერი რაც ქალს სჭირდება, რათა შეასრულოს თავისი უპირველესი მოვალეობა დამშვიდებულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოებაში მამაკაცის მიერ: ეს გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე მატერიალურ დაცვას, სხვა შემთხვევაში ეს იქნებოდა ქალის დაჩაგვრა" [12,650; 56]. ამასთან არის მოსაზრება, რომ ქალის საშინაო საქმეები ეკონომიკურად პროდუქტიულია. თუ მამაკაცები გამოიმუშავებენ, ქალები ასრულებენ საშინაო საქმეებს და ამდენად, ორივენი ავსებენ ერთმანეთს [218,45].

რ. ჰასანი, ფემინისტი თეოლოგი პაკისტანიდან, ამავე აზრს იზიარებს და აღნიშნავს, რომ სიტყვას – *„კავვამუნ“* ამ კონტექსტში აქვს კონკრეტული მნიშვნელობა – „ოჯახის მარჩენალი“. ეს არის ეკონომიკური ტერმინი და მთლიანად ცვლის ამ აიას ინტერპრეტაციას. უდავოდ ნათელია, რომ აქ საუბარია ფუნქციების გადანაწილებაზე. თუმცა თეოლოგი ხაზს უსვამს, რომ ქალი [მარჩენალის] ფუნქციისაგან უნდა გათავისუფლდეს მხოლოდ ბავშვის დაბადებამდე პერიოდში [218,62].

ყურანის 4:34 აიაში ფრაზას – *არ-რიჯალუ კავვამუნა ‘ალა ნისა’* – მოსდევს წინსართი „ბი“, რაც გამოხატავს კავშირს, მიზეზს, საშუალებას და ითარგმნება – გამო. ამდენად, მამაკაცები არიან მეურვეები ქალების მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში. უფრო ზუსტად, თუ არსებობს შემდეგი ორი პირობა: პირველი - უპირატესობა და მეორე ის, რომ ისინი ინახავენ ქალებს თავიანთი შემოსავლებიდან. თუ არ არსებობს ერთ-ერთი პირობა, მამაკაცები არ არიან ქალების მეურვეები [*კავვამ*] [241,218].

საინტერესოა, რა კონტექსტში იქნა გარდმოვლენილი ყურანის 4:34 აია. ყურანის ცნობილი კომენტატორი აზ-ზამახშარი ნათელს ჰფენს ამას და ამბობს, რომ სა‘დ ბ. რაბი‘ამ (ანსარი) დაარტყა თავის ცოლს – ჭაბიბა ბინთ ზაიდს, რადგანაც ის არ დაემორჩილა მას. განანყენებულმა ჭაბიბამ ეს ამბავი მოუთხრო თავის მამას, რომელმაც წაიყვანა ის მოციქულთან. მუჰამადმა ურჩია სამაგიერო გადაეხადა [7,I,254]. თუმცა ამას წინ აღუდგნენ მედინის მამაკაცები. მაგრამ ალაჰის გამოცხადება სხვაგვარი იყო. აზ-ზამახშარის თანახმად, მოციქულმა თქვა: „ჩვენ გვსურდა ერთი, მაგრამ ალაჰმა მოისურვა სხვა და რაც ალაჰმა მოისურვა ის საუკეთესოა“ [7,I,524]. ეს ნიშნავდა ცოლის ცემის დაშვებას.

ჭაბიბას მაგალითი გვიჩვენებს, რომ მოციქული მომხრე იყო ცოლს შური ეძია იგივე მოქმედებით (*კიჲს*), მაგრამ ყურანმა არ დაუშვა ეს. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, „ქალმა აუხსნა მუჰამადს, რომ ქმარმა გაარტყა მას სახეში. პირველად, მუჰამადმა მიუთითა მას შურისძიებაზე, თუმცა შემდეგ დაამატა: დაიცადე, ვიდრე მე მოვიფიქრებ ამის შესახებ. მოგვიანებით, ალაჰმა გარდმოუვლინა 4:34 აია მუჰამადს“ [40,7/88].

ყურანის 4:34 აია გამოცხადებულ იქნა, როგორც რჩევა, რათა კონტროლი გაეწია მამაკაცთა ძალმომრეობისათვის ქალების მიმართ და ურჩევდა ამ უკანასკნელთ შეგუებოდნენ იმ საზოგადოებას, რომელშიც მამაკაცები დომინირებდნენ [218,47]. თუმცა, ცოლის ცემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო მუჰამადის დროს. აზ-ზამახშარის თანახმად, ასმა‘ ბინთ აბი ბაქრი იყო მეოთხე ცოლი

მუჰამადის ცნობილი მიმდევარის — ზუბაირ ბ. ალ-'ავვამისა, რომელიც სასტიკად სცემდა თავის ცოლს [7,I,525]. ამგვარად, მოციქული დათანხმდა ხელუხლებელი დაეტოვებინა არაბთა სოციალური ჩვეულება. მაშინ ქალების დიდი ჯგუფი შეგროვდა მოციქულის სახლის გარშემო და უხსნიდნენ, რომ ქმრები ცემდნენ მათ. ამგვარად, მოციქულმა თქვა: „ჭეშმარიტად, დიდი ჯგუფი ქალებისა შეგროვდა აქ, ჩემს სახლში. ისინი უჩიოდნენ თავიანთ ქმრებს. ის მამაკაცები, ვინც ცემენ თავიანთ ცოლებს, არ იქცევიან კარგად. ეს არ არის ჩემი მეთოდი, ვასწავლო ქალს შეცდომა დაუშვას და გზას ასცდეს" [275,17-18].

ჰადისებიდან ცნობილია ის ფაქტიც, რომ თვითონ 'უმარი მივიდა ალაჰის მოციქულთან და შეშფოთება გამოთქვა: „ჩვენ, კურაიშის ტომის მამაკაცები ვბრძანებლობდით ჩვენს ქალებზე, მაგრამ როცა ჩვენ მოვედით ანსარებთან, აღმოვაჩინეთ, რომ მათ ქალებს აქვთ ქედმაღლობა თავიანთ მამაკაცებზე. ამგვარად, ჩვენმა ქალებმა დაიწყეს მათი ჩვევების ათვისება" [377,381].

შემდგომში, 'უმარმა, უკვე მეორე მართლმორწმუნე ხალიფამ, განაცხადა: „ჩვენ არასოდეს ვანიჭებდით დიდ მნიშვნელობას ქალებს ნინაისლამურ პერიოდში, მაგრამ ისლამის წარმოშობის შემდეგ ალაჰმა მოიხსენია მათი უფლებები. ამდენად, ჩვენ იძულებული ვართ ვცნოთ მათი უფლებები, მაგრამ არ ვრთავთ ნებას, ჩაერიონ ჩვენს საქმეებში" [285,142-143].

არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ მრავალი მკვლევარი განმარტავს ყურანის ზემოგანხილულ აიას [4:34], როგორც ქალებთან მიმართებაში მამაკაცთა უპირატესობის უპირობო დადასტურებას. ისინი ამტკიცებენ, რომ მამაკაცებს ღმერთისაგან აქვთ მინიჭებული უპირატესობა ქალებზე [ძალით და გონებით — ფიზიკური და ინტელექტუალური უპირატესობა]. იბნ ქასირი 4:34 აიას კომენტირებისას წერს: „მამაკაცებს აქვთ უპირატესობა ქალებზე და მამაკაცი უკეთესია, ვიდრე ქალი" [47]. მაგრამ *„ფადდალა"* (არაბ.) არ შეიძლება უპირობო იყოს ამ აიაში. მკლევართა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ის უკავშირდება საოჯახო საქმეებს და არავითარი კავშირი არა აქვს ზოგადად მამაკაცების და ქალების ურთიერთობასთან საზოგადოებაში. აქ არ იგულისხმებიან მამაკაცები, არამედ *ბა'ღ* — ზოგიერთი მათგანი. ამასთან, ეს აია ყურანში მოტანილია საქორწინო ცხოვრებასთან კავშირში, სადაც ერთი მხარე — ქმარი აღჭურვილია პასუხისმგებლობით — იყოს მეთაური, დამცველი ოჯახისა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ქალს არ შეუძლია ამის გაკეთება. პირიქით, ქალს შეუძლია ადვილად შეცვალოს მამაკაცი, თუ ამ უკანასკნელს რაიმე

მიზეზით არ შეუძლია შეასრულოს ეს მოვალეობა [250,90; 219,130-31].

ალ-ბუხარრისთან დაცულია შემდეგი ჰადისი: *„თითოეული თქვენთაგანი არის მმართველი [რა'ია] და თითოეულ თქვენგანს შეიძლება ჰკითხონ თავის საქმეზე. ამირ ნიშნავს მმართველს და მამაკაცი არის მმართველი თავისი სახლის ხალხზე ['ალა აჰლი ბაითიჰი] და ქალი [ცოლი] არის მმართველი თავისი ქმრის სახლში და თავისი ბავშვებისა. ამგვარად, თითოეული თქვენგანი არის მმართველი და თითოეულ თქვენთაგანს შეიძლება ჰკითხონ თავის საქმეზე"* [6,III,162].

ყურანში ერთადერთი მაგალითი, სადაც ჩანს სქესის დომინანტი, არის მონმეობა (2:282 აია). ორი ქალის მონმეობა უდრის ერთი მამაკაცის მონმეობას. მაგრამ ეს უკავშირდება სავაჭრო საქმეებს. 2:282 აიადან გამომდინარე, ქალებს შეუძლიათ სასამართლოში მონმედ გამოსვლა სამოქალაქო და კომერციული საქმეების განხილვის დროს, ხოლო უფრო სერიოზული – სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას არ ითვლებიან სანდო მონმეებად[59]. სნორედ ამის გათვალისწინებით, შაფი'იტების სკოლა გამორიცხავს, რომ ქალებმა შეიძლება დაიკავონ რაიმე იურიდიული თანამდებობა (მაგალითად, მოსამართლის). აბუ ჰანიფა არ ეთანხმება მათ და დასაშვებად მიიჩნევს ქალის გამოსვლას მოსამართლის როლში მხოლოდ სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს. ატ-ტაბარი, მეორეს მხრივ, ქალის მოსამართლეობას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შესაძლებლად თვლის [314,114].

ალ-მავარდი, არაბმა სამართლისმცოდნემ, რომელსაც სხვადასხვა თანამდებობა ეკავა სახელმნიფო სამსახურში, შეადგინა ტრაქტატი *„ალ-აჰქამ ალ-სულტანია"* (მმართველობის კანონ-

---

[59] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მარტო ქალის მონმეობაც მისაღებია. მაგალითად, როცა ქალს, ლოცვისაკენ მიმავალს, გზაში ვიღაც მამაკაცი დაესხა თავს, ერთადერთი მონმე თვითონ ეს ქალი იყო და მოციქულმა მიიღო მისი ჩვენება [I თავი, § 4]. ასევე, მესამე მართლმორწმუნე ხალიფა 'უსმანის მკვლელობისას მხოლოდ მისი ცოლი – ნა'ილა იყო მთავარი მონმე. მან დამნაშავედ დაასახელა მუჰამმად ბ. აბუ ბაქრი, რომელიც შემოუძღვა აჯანყებულებს. მუჰამადის კომპანიონების უმრავლესობა ითხოვდა ხალიფას მკვლელების სიკვდილით დასჯას ნა'ილას მონმეობის საფუძველზე. 'ალიმ არ გააკეთა ეს, არა მონმეთა ნაკლებლობის, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო. თუმცა, მუჰამმად ბ. აბუ ბაქრი ცოტა ხნით დაატანიმრეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სხვა ინფორმაციის წყარო არ არის, ქალის მონმეობა მისაღებია [218,68-69]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საკითხების განხილვის დროს ('იდდას ხანგრძლივობა და მშობიარობა) მიიღება მხოლოდ ქალების (ოთხი) ჩვენება [18,350].

ნები). ამ ნაშრომში ორ თანამდებობასთან დაკავშირებით (ვეზირი და მოსამართლე) არის საუბარი ქალის თაობაზე.

ალ-მავარდის თანახმად, მოსამართლე (*კადი*) უნდა აკმაყოფილებდეს 7 პირობას. აქედან პირველი პირობაა — მამრობითი სქესი. ამით ხაზს უსვამს, რომ ქალებმა არ შეიძლება დაიკავონ ეს თანამდებობა. ამასთან მას მოაქვს ყურანის ზემოგანხილული 4:34 აია და იქვე განმარტავს, რომ გონიერება და დამოუკიდებელი აზროვნება განაპირობებს მამაკაცთა უპირატესობას [51,72].

თუ გადავხედავთ არაბთა სახალიფოს ისტორიას, არაა ცნობილი ქალის სახელი, ვისაც ეკავა ყადის [მოსამართლის] თანამდებობა, მაგრამ ასეთი ფაქტია აღნიშნული: უმმ ალ-მუკთადირმა[60] 928/9 წელს დანიშნა თავისი ნდობით აღჭურვილი პირი — ქალი (სუმალ)[61] საჩივრების სახელმწიფო დივანის [დივან ალ-მაზალიმ] უფროსად. ეს პოსტი — დღევანდელი იუსტიციის მინისტრის ექვივალენტი იყო. ეს იყო ფაქტობრივად ტრიბუნალი, რომელიც მოწყობილი იყო ბაღდადის სახალხო მოედანზე, რათა განეხილა ხალხის პეტიციები და იმართებოდა კვირაში ერთხელ — პარასკევობით. სუმალი არჩევდა სასამართლო საქმეებს უმმ ალ-მუკთადირის მითითებებით. წყაროთა მონაცემებით, რელიგიურმა ავტორიტეტებმა, ვაზირებმა და ყადიებმა, ვისაც უნდა ემუშავა მისი გამგებლობის ქვეშ, უარი თქვეს თანამშრომლობაზე, რადგანაც ეს თავიანთი სუვერენული უფლებების შეზღუდვად მიიჩნიეს. მაგრამ როცა გაანალიზეს, რომ უმმ ალ-მუკთადირს არაფრის მოსმენა არ სურდა სუმალზე, დაემორჩილნენ. სუმალი იჯდა იმ შენობაში, რომელიც ააშენა ხალიფას დედამ ბაღდადში, რუსაფას კვარტალში. სუმალი ღებულობდა მომჩივნებს, გამოჰქონდა გადაწყვეტილებები და ხელს აწერდა განკარგულებებს ხალიფას სახელით. მას ეხმარებოდნენ მამაკაცი იურისტები. თუმცა, მთელ სახელმწიფო საქმეებს აკონტროლებდა უმმ ალ-მუკთადირი. ის ცვლიდა და ნიშნავდა თანამდებობებზე თავისი შეხედულებისამებრ და ყველას უსწრებდა სახელმწიფო ხაზინის ძარცვაში. ხელისუფლება დე ფაქტო იყო მის ხელში [284,42-43; 145,19; 271,140].

გადმოცემით, სუმალი თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა და ცალკეულ ადამიანთა ანტიპათიის მიუხედავად, ხალხს ის უყვარდა. მისი დანიშვნის შემდეგ, ალ-მუკთადირის პირველი

---

[60] უმმ ალ-მუკთადირ - ხალიფა ალ-მუკთადირის (908-932) დედა. ალ-მუკთადირი ხალიფად არჩეული იქნა 13 წლის ასაკში, ამდენად მას დაენიშნა მეურვეები. ეს იყო რეგენტთა საბჭო, რომელიც შედგებოდა მისი დედის, მისი ბიძის და სასახლის კარის რამდენიმე მაღალჩინოსანისაგან. პოლიტიკოსები ხალიფას დედას მოიხსენიებდნენ, როგორც უმმ ალ-მუკთადირ და ას-საიიდა.

[61] არაბ. სიტყვაა და ნიშნავს ლოთს.

ბრძანება იყო – ბოლო მოღებოდა კორუფციას სასამართლო სისტემაში და შემცირებულიყო სასამართლო პროცესის ხარჯები[62], რაც განხორციელდა. თუმცა, თანამედროვე ისტორიკოსები ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტებს[63] არ მოიხსენიებენ უმმ ალ-მუკთადირის ბიოგრაფიაში [284,42].

რაც შეეხება ვაზირის თანამდებობას, ალ-მავარდ̄ი განიხილავს ვაზ̄ირის ორ სახეს – სრულუფლებიანს, რომელსაც უფლება აქვს გამოიტანოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და აღმასრულებელის, რომელიც ხალიფას ბრძანებათა უბრალო აღმსრულებელი იყო [264,96-97]. ალ-მავარდ̄ი ხაზს უსვამს შვიდ პირობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ვაზ̄ირი 1) ალალმართლობა, 2) თავისუფალი აზრის გამოხატვის უნარი 3) ზეგავლენისაგან თავისუფლება 4) მტრობა არ უნდა ჰქონდეს იმათთან, ვისთანაც საქმე აქვს 5) კარგი მეხსიერება, რადგანაც მან უნდა გადასცეს და მიიღოს ინფორმაცია მმართველისაგან 6) სიწმინდე და გონიერება 7) მიუკერძოებლობა. აქედან გამომდინარე, ალ-მავარდი სვამს კითხვას – შეიძლება თუ არა ქალმა დაიკავოს ეს თანამდებობა? ერთნი ამტკიცებენ, რომ ქალი შეიძლება იყოს მხოლოდ აღმასრულებელი ვაზ̄ირი. ალ-მავარდ̄ის აზრით, ქალი ჩამოცილებულ უნდა იქნეს ამ თანამდებობიდან, მაშინ როცა არამუსლიმმა შეიძლება დაიკავოს აღმასრულებელი ვეზირის თანამდებობა. ალ-მავარდ̄ი იმონმებს მოციქულის სიტყვებს: „ვერ მიაღწევს წარმატებას ხალხი, რომელიც თავის საქმეებს ქალს მიანდობს“. ეს თანამდებობა საჭიროებს დამოუკიდებელ აზროვნებას და სიმტკიცეს გადაწყვეტილებებში, რისთვისაც ქალები სუსტები არიან – ასეთია ალ-მავარდ̄ის დასკვნა [51,28-29].

მრავალი რელიგიური ავტორიტეტი ხაზს უსვამს, რომ ქალი არ შეიძლება იყოს ხალიფა. იბნ ხალდუ̄ნის (გარდ. 808/1406წ.) თანახმად, ხალიფა უნდა აკმაყოფილებდეს 4 პირობას: 1. ცოდნა 2. სამართლიანობა 3. კომპეტენცია 4. ფიზიკური ვარგისიანობა. ამასთან ხალიფას მოვალეობაა საერო და სასულიერო ხელისუფლების განუყოფლობა; ლოცვის ხელმძღვანელობა; რელიგიური გადაწყვეტილების გამოტანა [*ალ-ფუთ
,ფათვა*]; სასამართლო გადაწყვეტილების, განაჩენის გამოტანა [*ყადა̄'* – ყადის ფუნქცია]; წმინდა ომი [*ჯიჰა̄დ*]; კონტროლი მმართველობაზე [*ალ-ჰისბა*]. ამდენად, პირდაპირი აკრძალვა არ არის ქალებთან მიმართებაში.

---

[62] მოსარჩლეებს მინიმალური საზღაური უნდა გადაეხადათ (მხოლოდ საბუთების საფასური), რათა სარჩელი აღეძრათ.

[63] ქალის დანიშვნა ამ თანამდებობაზე და მისი ბრძოლა კორუფციის ნინააღმდეგ.

ანალოგიის პრინციპიდან (*კიას*) გამომდინარე, იბნ ხალდუნი თვლის, რომ ქალმა არ შეიძლება დაიკავოს ეს თანამდებობა, რადგანაც მას არ შეუძლია ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულება. იბნ ხალდუნის დასკვნით, ქალსა და პოლიტიკას შორის კონფლიქტის მიზეზი არის შემდეგი: ქალები არიან მამაკაცთა კონტროლის ქვეშ და მათ არა აქვთ ძალაუფლება [284,32].

შიიტებმა, მათ შორის ფატიმიანმა ისმაილიტებმა განსაკუთრებული პატივი მიაგეს ქალებს, რადგანაც ისინი თავს თვლიდნენ მუჰამადის ქალიშვილის – ფატიმას შთამომავლებად. მაგრამ სუნიტი ხალიფები მიიჩნევდნენ, რომ ძალაუფლების მემკვიდრეობით მიღება არ შეიძლება ქალისაგან, რადგანაც ის ჩამოშორებულია დიდ საიმამოს [*ალ-იმამა ალ-ქუბრა*] – სახალიფოს და შესაბამისად, მუსლიმური თემის პოლიტიკურ და რელიგიურ ხელმძღვანელობას. ამის თაობაზე წყაროებში არის ორი მნიშვნელოვანი წერილი, რომლებიც ეკუთვნის სუნიტ ხალიფა ალ-მანსურს (754-775) და მის შიიტ მეტოქეს, ცნობილ მუჰამმად ბ. 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-ჰასან ბ. ალ-ჰასან ბ. 'ალის (ზედმეტსახელი – ან-ნაფს აზ-ზაქია – „სუფთა სული"). ის ცხოვრობდა მედინაში. მან არ სცნო 'აბბასიანთა პირველი ხალიფა აბუ-ლ 'აბბასი და შემდეგ ხელისუფლებისათვის დაუპირისპირდა ხალიფა ალ-მანსურს. ან-ნაფს აზ-ზაქიას მხარს უჭერდნენ 'ალიდები. მასა და ხალიფას შორის მინერ-მოწერა გაიმართა. მთავარი საკითხი იყო, შეიძლებოდა თუ არა მემკვიდრეობით პოლიტიკური ძალაუფლების მიღება ქალისაგან? ან-ნაფს აზ-ზაქიია მიმართავდა ხალიფა ალ-მანსურს, რომ მისი წარმომავლობა საეჭვო იყო, რადგანაც მისი დედა (სალლამა) იყო არაარაბი ['აჯამ] და ამასთან, უმმ ალ-ვალად [მონა-ქალი], რომელიც ნაყიდი იყო მონათა ბაზარზე [284,151-52]. ხოლო ან-ნაფსის წინაპრები იყვნენ ცნობილი არისტოკრატები, რომელთა სათავეში იყო ხადიჯა. ფატიმა კი იყო ხადიჯას და მუჰამადის ქალიშვილი, პირველი *საიიდა* [ქალბატონი] ისლამში. ან-ნაფს აზ-ზაქია ეკითხებოდა 'აბბასიანთა ხალიფას, როგორ შეეძლო უარეყო ასეთ ცნობილ ქალთა გენეალოგია. ალ-მანსურმა, რომელიც თავის ლეგიტიმურობას აფუძნებდა მოციქულისაგან წარმომავლობაზე (მისი ბიძის – ალ-'აბბასის მეშვეობით), მისწერა მარტივი და ლოგიკური პასუხი: „ღმერთმა არ განუსაზღვრა ქალებს ის ადგილი, რაც მამებს, ბიძებს.....ჭეშმარიტად, თქვენ ხართ მოციქულის შთამომავალი მისი ქალიშვილის მეშვეობით. მაგრამ ფატიმას არ ჰქონდა უფლება მიეღო მემკვიდრეობით *ვილაია* [უმაღლესი ხელისუფლება, პოლიტიკური მემკვიდრეობა] და მას არ ჰქონდა უფლება ყოფილიყო წინამძღოლი [*იმამ*]. ამგვარად, როგორ შეგიძლია მიი-

ღო შენ მისგან რაღაც, რომელზედაც მასვე არ ჰქონდა უფლება?" [284,152-53]. ამ განცხადების საფუძველი იყო ის, რომ მუსლიმური სამართალი სცნობს ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემას მხოლოდ მამრობითი ხაზით [მამიდან უფროს ვაჟზე]. 'აბბასიანთა თანახმად, 'ალის შთამომავლების პრეტენზია ძალაუფლებაზე უსაფუძვლო იყო. ქალები ჩამოცილებული არიან სახელმწიფოს მეთაურის [*ალ-იმამა ალ-ქუბრა*] თანამდებობას. აქედან გამომდინარე, არც ხელისუფლების გადაცემა შეუძლიათ შთამომავლობით. იბნ ჰანბალის ჰადისების კრებულში არის დაცული შემდეგი ტრადიცია: *„ყველა ხალხი არის თანასწორი, როგორც თანასწორია სავარცხლის კბილები. არ არის საჭიროება [წარმოჩნდეს] ღირსება არაბის არაარაბზე, ან თეთრკანიანის შავკანიანზე, ან მამაკაცის ქალზე. მხოლოდ ღვთისმოშიში ხალხი დაიმსახურებს უპირატესობას ღმერთთან"* [11,VI,411; 181,24-25].

ოპონენტები თვლიან, რომ მაღალი თანამდებობა საჭიროებს სიმტკიცეს, სიბრძნეს, გამბედაობას, ხოლო ქალებს ზოგადად აკლიათ ეს თვისებები. ისინი სუსტები არიან და შესაძლებელია ადვილად მათი შეცდომაში შეყვანა. ამდენად, მათ არ შეიძლება ვანდოთ განსაკუთრებული ფუნქცია – ხელმძღვანელობა. ამასთან ეს ენინააღმდეგება მათ სოციალურ ფუნქციას, რომ ის იყოს კარგი დედა და ცოლი. თუმცა, ქალს ყოველთვის შეუძლია შეათავაზოს საშინაო საქმეები და საზოგადოებრივი ვალდებულებები. ოპონენტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ხელმძღვანელი თანამდებობა მოითხოვს საჯარო გამოჩენას და მუდმივ კონტაქტებს ხალხთან. ეს კი გამოიწვევს ორი სქესის შერევას, რაც იკრძალება ისლამში. მათი დასკვნა ასეთია – ქალის დანიშვნა საზოგადოებრივ თანამდებობაზე არ უნდა იყოს საზიანო არც საზოგადოებისათვის და არც ოჯახისათვის [250,93-94].

ოპონენტები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ადრეული მუსლიმური თემის პრაქტიკულ გამოცდილებათა გათვალისწინებით, არ არის პრეცედენტი ადრეულ ისლამში, რომ ქალი დანიშნული ყოფილიყო მაღალ თანამდებობაზე. არც მოციქულს და არც მის კომპანიონებს არ მოუწვევიათ ქალები სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან ქალები არ იჩენდნენ სათანადო ინტერესს დაეკავებინათ თანამდებობა. თუმცა, არის ერთადერთი მაგალითი, როცა მეორე მართლმორწმუნე ხალიფამ ['უმარ I] დანიშნა ქალი – აშ-შიფა'ა ბინთ 'აბდ ალ-ლაჰი, მოხელედ ბაზრის ადმინისტრაციაში. 'უმარმა მხედველობაში მიიღო მისი გამოცდილება, თვისებები და გონიერება. აშ-შიფა'ა იყო ბაზრის ინსპექტორი, უფროსი. იმ დროს ეს იყო უფრო პოლიტიკური, ვიდრე საფინანსო თანამდებობა, რადგანაც ბაზარი იყო არა

მარტო ვაჭრობის, არამედ პოლიტიკური აქტივობის ცენტრიც. ამასთან ადრეულ ისლამში ცნობილი იყვნენ ქალები, რომელთაც ჰქონდათ განსაკუთრებული ტალანტი და გამოირჩეოდნენ პოლიტიკური აქტივობით [250,91-92; 284,81].

აღსანიშნავია, რომ ოპონენტებს არც ერთ შემთხვევაში არა აქვთ სათანადო თეოლოგიური საფუძველი და მათი მოსაზრებები ენინააღმდეგება თვით ყურანს (27:32-35). აქ საუბარია საბას დედოფალზე, რომელსაც ჰქონდა სამხრეთ იემენი თავის სამფლობელოდ. ის სატანისაგან მოტყუებული თავის ხალხთან ერთად თაყვანს სცემდა მზეს და არა ალაჰს. მეფე სულაიმანმა [სოლომონმა] უბრძანა მას დამორჩილებოდა. მაშინ ის მოეთათბირა თავის მრჩევლებს. ყურანის თანახმად, [საბას დედოფალმა] თქვა: *„ო, დიდებულებო, მირჩიეთ მე ჩემს საქმეებთან დაკავშირებით, მე არასოდეს გადავწყვეტ რაიმეს, თუ თქვენ არ იქნებით ჩემს გვერდით. მათ უთხრეს: ჩვენ გვაქვს ძალა და საბრძოლო ენერგია. ეს შენზეა ბრძანება. მან თქვა: როცა მეფეები შედიან ქალაქში (დასახლებაში), ისინი ანგრევენ მას და ქალაქის მოსახლეობის ნარჩინებულებს ამცირებენ. ამგვარად, ისინი ამას გააკეთებენ. მე გავუგზავნი მას საჩუქარს და ვნახოთ, ემისრები რითი დაბრუნდებიან."* სულაიმანმა საჩუქრის მიღებაზე უარი განაცხადა და საბოლოოდ დედოფალი ეახლა სულაიმანს. აღიარა, რომ სცდებოდა, მორჩილება გამოუცხადა და იწამა ალაჰი [75,44; 350,62-66].

ყურანში დედოფლის სახელი არ იხსენიება, ბილკიṣს ასახელებენ კომენტატორები. ყურანის ამ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ საბას დედოფალი (ბილკიṣი) იყო კანონიერი, ძლიერი ხელისუფალი და ამასთან ძალიან ბრძენი. ერთადერთი შეცდომა, რაც მას უპოვეს, არის არა მისი პოზიცია და ავტორიტეტი, როგორც ქალის, არამედ მისი ცრურწმენა [154,144; 284,76-78; 268,228-29].

კაიროს უნივერსიტეტის პროფესორი 'ალი იბრაჰიმ ჰასანი თავის წიგნში, რომელიც ქალებს[64] ეძღვნება, იწყებს ბილკიṣით და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ისტორიკოსები ბევრ რამეს იგონებენ მისი ძალაუფლების შესახებ. ჰასანი აღწერს უმმ ალ-მუკთადირს, როგორც საუკეთესო მაგალითს იმ დინასტიის დაცემის, „რომელმაც ნება დართო ქალებს ჩარეულიყვნენ სახელმწიფოს საქმეებში" [180,43-44].

საუკუნეების მანძილზე ქალის მმართველობისადმი მუსლიმური სამყაროს დამოკიდებულება უარყოფითი იყო. ოპონენტები იმოწმებენ მუჰამადის 2 ცნობილ გამონათქვამს:

---

[64] მოცემულია 33 ქალის ბიოგრაფია, რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს ისლამის ისტორიაში.

1. ალ-ბუხარრ̄ განმარტავს, რომ მუჰამადი ქალებს განიხილავდა, როგორც მდედრობით სქესს, რომელშიც შეიმჩნევა ორი რამის უკმარისობა: გონების ან ინტელექტის და რელიგიისა. აბუ̄ სა'იდ ალ-ხუდრი გადმოგვცემს: *„ერთხელ ალაჰის მოციქული მივიდა სამლოცველო ადგილას [მუṣალლ̄ა], გაიარა ქალების ახლოს და უთხრა: ო, ქალებო, გაეცით მოწყალება. როგორც მე ვნახე, ჯოჯოხეთის მცხოვრებთა უმეტესობა ხართ თქვენ [ქალები]. მათ ჰკითხეს: რატომ არის ასე, ო, ალაჰის მოციქულო? მან წამოიძახა: თქვენ ხშირად იწყევლებით და უმადური ხართ თქვენი ქმრების. მე არ მინახავს უფრო ნაკლოვანი გონებასა და რელიგიაში, ვიდრე თქვენ. წინდახედული, გონიერი კაცი შეიძლება რომელიმე თქვენგანმა შეცდომაში შეიყვანოს. ქალებმა ჰკითხეს: ო, ალაჰის მოციქულო! რაში მდგომარეობს ნაკლი ჩვენს გონებასა და რელიგიაში? მან უპასუხა: ხომ არის ორი ქალის მოწმეობა თანაბარი ერთი მამაკაცის მოწმეობისა? მათ დადებითად უპასუხეს. მან განაგრძო: ეს არის ნაკლი თქვენი გონების ['აკლ].*[65] *განა მართალი არ არის, რომ ქალს არ შეუძლია არც ლოცვის და არც მარხვის შესრულება რიტუალურად უწმინდურ მდგომარეობაში? ქალებმა დადებითად უპასუხეს. მან თქვა: ეს არის ნაკლოვანება თქვენს რელიგიაში“* [40,1/301].[66]

ზოგიერთი მკვლევარი უყურებს ამ ჰადისს, როგორც არასანდოს. სხვები უტყუარად[67] მიიჩნევენ, თუმცა ხაზს უსვამენ, რომ ის არასწორადაა ახსნილი [218,79-80]. სწორედ მოციქულ მუჰამა-

---

[65] *'აკლ* (გონება, ინტელექტი) — ტერმინი ისლამურ ფილოსოფიასა და მისტიციზმში, რომელიც გამოიყენება ინტელექტის, გონების, ცოდნის და ზოგჯერ განსჯის მნიშვნელობით.

[66] იბნ 'აბბასის გადმოცემით, მოციქულმა თქვა: „მე შევიხედე ჯოჯოხეთში და [ვნახე, რომ] მისი მცხოვრებლების უმეტესობა ქალებია, რომლებიც უმადურნი არიან. მას ჰკითხეს: ისინი უმადური არიან ალაჰისა? (ან მათ აღარ სწამთ ღმერთის?) მან წამოიძახა: ისინი უმადური არიან თავიანთი ქმრების და უმადური არიან მათთვის გაკეთებული წყალობის და სიკეთის (საქველმოქმედო საქმეების). თუ თქვენ ყოველთვის იყავით კეთილმოსურნე, რომელიმე მათგანისადმი და მერე ის დაინახავს რაიმეს [არასასიამოვნოს] თქვენში, ის იტყვის: მე არასოდეს მიმიღია რაიმე სიკეთე შენგან“ [40,1/28-29]. „უმრავლესობის“ აღსანიშნავად, გამოყენებულია სიტყვა — 'ამმა. მოციქულს მიეკუთვნება აგრეთვე გამონათქვამი: „ერთი ქალი 99 ქალიდან არის სამოთხეში და ღანარ̄ჩენები - ჯოჯოხეთში“ [394, XIX].

[67] ეს ჰადისი უტყუარად, სანდოდ (მუთავა̄თირ — ჰადისი, რომელსაც იმეორებს მუჰამადის ერთი ან რამდენიმე კომპანიონი) არის მიჩნეული, რადგანაც ის მოხსენიებულია ჰადისების ორ ყველაზე აღიარებულ კრებულში — ალ-ბუხარრ̄ის და მუსლიმის. ის აღიარებულია აგრეთვე სხვა ცნობილი მუსლიმი სწავლულების მიერაც.

დის ამ ჰადისს იმოწმებს ნიზ̌ამ ალ-მულქი (1018/1020-1090) თავის პოლიტიკურ ტრაქტატში *„სიასათნამე“ („წიგნი გამგებლობის შესახებ“)*, რომლის 42-ე თავი ეძღვნება ქალებს – *„მათ, ვინც ატარებს ჩადრს“*.

ქალებისადმი და საერთოდ, სახელმწიფოს საქმეებში ქალების ყოველგვარი ჩარევის საწინააღმდეგოდ ნიზ̌ამ ალ-მულქისათვის პირველი არგუმენტი არის ის, რომ ქალებს არა აქვთ ინტელექტი, გონება. ნიზ̌ამ ალ-მულქის მოაქვს ხოსრო I ანუშირვანის (531-579) ვეზირის – ბუზურჯმიჰრის მოსაზრება სასანიანთა ირანის დაცემასთან დაკავშირებით. ის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს იმას, რომ *„სასანიანები თავის გარშემო იკრებდნენ არა მცოდნე და ბრძენ ადამიანებს, არამედ თავიანთ საქმეებს ანდობდნენ ქალებს და ბავშვებს. არც ერთს და არც მეორეს არა აქვთ გონება და ცოდნა. როცა საქმე ქალებსა და ბავშვებს ჩაუვარდება ხელში, იცოდე, რომ სამეფო ხელისუფლებას დაკარგავს ეს გვარი“*[55,187].

ნიზ̌ამ ალ-მულქი ხაზს უსვამს, რომ ქალების არსებობის მიზანი არის გვარის გაგრძელება. ის ურჩევს მმართველებს: *„თუ ხელმწიფეთა ცოლები დაიწყებენ ბრძანებების გაცემას, ისინი ბრძანებენ იმას, რასაც უკარნახებენ მათ ბოროტი, შურიანი ადამიანები. ამიტომ მათი [ქალების] ბრძანებები იქნება იმის საწინააღმდეგო, რაც არის სწორი.....წარსულშიც, როცა ხელმწიფეთა ცოლები ზეგავლენას ახდენდნენ [ქმრებ ზე], იყო მხოლოდ არეულობა, შფოთი, აჯანყებები და ბოროტება“*[54,192; 29,186].

ტერმინი, რომელსაც იყენებს ნიზ̌ამ ალ-მულქი, რათა აღნეროს ქალების ზეგავლენის საბედისწერო შედეგები, არის *ფეთნა* – სპარსულად. ის არის არაბულად *„ფითნა“*-ს შესატყვისი. როგორც სპარსულად, ისე არაბულად, ეს სიტყვა ნიშნავს ქაოსს, არეულობას, სამოქალაქო დაპირისპირებას. ალ-ბუხარ̄ და იბნ ჰ̌ანბალი ამ სიტყვას განმარტავენ, როგორც ქალების სინონიმს [383,76]. IX საუკუნის წყაროებში ქალები შეფასებულია, როგორც ფითნას – არეულობის და ქაოსის წყარო. თვითონ მოციქული ამტკიცებდა, რომ *„არ იქნებოდა მის შემდეგ არანაირი ფითნა უფრო საზიანო მამაკაცებისათვის, ვიდრე ქალებია“* [383,255]. მუსლიმურ სამყაროში ფართოდ გავრცელდა მოციქულის ამ გამონათქვამის სხვა ვარიანტი: *„უფრთხილდით ქალებს: პირველი ცდუნება ისრა'ილის ძეთა შორის გამოწვეულია მათგან. მე არ მეშინია სხვა ცდუნების, რაც დაატყდება ჩემს ხალხს, ვიდრე ცდუნება – ქალები და ღვინო“*[11,V,200,210].

ჩვენი აზრით, *,,ქალები არიან ნაკლოვანი გონებასა და რელიგიაში“ [ნაკის̌ ალ-'აკლ ვა ად-დინ]* წინააღმდეგობაშია თვითონ ყურანთან, სხვა ტრადიციებთან, მოციქულის სუნასთან. არის მიზე-

ზები, რის გამოც ეს ჰადისი არ შეიძლება მართალი იყოს: ა) პირველი, ვინც ირწმუნა მუჰამადის, იყო ქალი; ბ) ქალს ჰქონდა თავისი ქონების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება; გ) ისტორიკოსები ამბობენ, რომ ხალიფები და თვით მოციქულიც მიმართავდნენ რჩევისათვის ქალებს; დ) აბუ ჰანიფამ ნება დართო ქალებს ყოფილიყვნენ მოსამართლეები; ე) მუჰამადის ქალი მიმდევრები გამოსცემდნენ რელიგიურ გადანყვეტილებას [*ფათვა*]; ვ) ქალებმა დიდ ცოდნას მიაღნიეს ყურანის ეგზეგეტიკაში, ჰადისთმცოდნეობაში, იურისპრუდენციაში და ლიტერატურაში. თითქმის ვერ ვპოულობთ პროფესიას არაბებთან მოციქულის დროს, რაშიც ქალებმა არ შეიტანეს თავიანთი გარკვეული წვლილი; ზ) ყურანის პირველი ხელნაწერი შესანახად გადაეცა ქალს – ჰაფსა ბინთ 'უმარს და ინახავდა პირველი ხალიფადან მესამე ხალიფამდე; თ) ის ენინააღმდეგება მოციქულის სხვა ჰადისსაც: „ის, ვინც პატივს სცემს ქალებს, ის თვითონაც პატივცემულია და ის, ვინც შეურაცხყოფს მათ, ის თვითონაც სულმდაბალია" [40,5/690].

2. ოპონენტები იმონმებენ მუჰამადის მეორე ცნობილ ჰადისს: *„ხალხი, რომლის საქმეებსაც ქალი ნარმართავს, ნარმატებას ვერ მიაღწევს"* [68]. მკვლევართა აზრით, ეს ჰადისი ერთადერთია [აჰად] და იზოლირებული ჰადისები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონის დაწესებისათვის. თვითონ აბუ ჰანიფაც არასოდეს იყენებდა იზოლირებულ ჰადისებს [40,5/709]. ამ ჰადისის პერიფრაზი იმავე აზრით მოტანილია მუსლიმთან [383,255].

მოციქულმა ეს სიტყვები ნარმოთქვა, როცა შეიტყო, რომ სპარსელებს ჰყავდათ ქალი მმართველი 629-632 წლებში. სამეფო ტახტი ირანში კავად II-ის (628 წ.) და არდაშირ III-ის (628-629) შემდეგ ეკავა პირველის დას და მეორის დეიდას – ხოსრო II ფარვიზის (590-628) ქალიშვილს, სახელად ბურანდუხტს. ის მართავდა ირანს 630-631 წლებში [243,199]. ძალზე ცოტაა ცნობილი მისი ხანმოკლე მმართველობის შესახებ. თუმცა მისი უკვდავყოფა მოხდა მონეტებზე.

ოპონენტები ამტკიცებენ, რომ მოციქულმა ამ ჰადისით ურჩია მუსლიმებს არ მიებაძათ სპარსელთა ქმედებისათვის – არ დაენიშნათ ქალი მმართველად და შესაბამისად მიუთითა ამ მმართველობის გამანადგურებელ დასასრულზე [345,139]. თუმცა ზოგიერ-

---

[68] ან „ხალხი, რომელსაც მართავს ქალი, არასოდეს იქნება ნარმატებული". მოციქულის ეს გამონათქვამი დაცულია იბნ ალ-ასირის თხზულებაშიც. არაბმა მემატიანემ ეს სიტყვები გაიხსენა, როცა ჯალალ ად-დინმა სძლია ქართველებს: „არ ექნებაო ნარმატება ხალხს, რომლის საქმეებსაც განაგებს ქალი"[83,209-210].

თი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას ორი მიზეზით: 1. ჰადისი ეხება სპეციალურ შემთხვევას, სახელდობრ, სპარსეთში არსებულ ვითარებას მოციქულის დროს. სინამდვილეში ეს არის მხოლოდ წინასწარმეტყველება – მოციქულმა განჭვრიტა სპარსეთის იმპერიის ბედი და არ შეიძლება ამის განზოგადება მთლიანად ქალებზე. 2. თუ ჰადისს მივიღებთ, როგორც ზოგადს, ის ენინააღმდეგება თვით ყურანს – 27-ე სურა საუბრობს საბას დედოფალზე [250,92].

ალ-ბუხარის თანახმად, მოციქულის ეს გამონათქვამი დაიმონმა აბუ ბაქრამ. თუმცა ისტორიული თხზულებების ავტორთა უმეტესობა ამ ჰადისს მოციქულს მიაწერს. მოციქულმა ეს სიტყვები წარმოთქვა, როცა შეიტყო, რომ სპარსელებს ჰყავდათ ქალი მმართველი. საინტერესოა, იყო თუ არა ეს საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ მოციქულს ეს სიტყვები წარმოეთქვა. მაგრამ ალ-ბუხარი აღარ აგრძელებს. აბუ ბაქრა იყო აბუ სუფიანის ვაჟი მონა-ქალისაგან. მუჰამადის მიერ ტა'იფის ოაზისის ალყის დროს (630 წ.) 10 სხვა მონასთან ერთად გადავიდა მუჰამადის მხარეზე, მიიღო ისლამი და თავისუფლება. ცნობილია, რომ აბუ ბაქრამ მუჰამადის ეს სიტყვები დაიმონმა *აქლემის ბრძოლის* (656 წ.)[69] შემდეგ, როცა 'ალიმ დაამარცხა მუჰამადის ქვრივი 'ა'იშა ბინთ აბი ბაქრი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აბუ ბაქრამ საჯაროდ უარი განუცხადა 'ა'იშას სამოქალაქო ომში მონანილეობაზე და თავისი მოქმედების გასამართლებლად დაიმონმა მოციქულის ეს

---

[69] მუჰამადის ამ გამონათქვამს უკავშირებენ 'ა'იშას გარდა კიდეე ორ ქალს. ესენია: 1. ქვრივი – უმმ კირფა ფატიმა ბინთ რაბი'ა, რომელიც ურწმუნოთა ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა 628 წელს, როცა მუჰამადის შვილობილმა – ზაიდ ბ. ჰარისმა ილაშქრა ვადი ალ-კურაში. ის და მისი ქალიშვილი ტყვედ ჩავარდნენ. ზაიდმა საპალნე ცხოველს გამოაბა ფეხით უმმ კირფა და ბარბაროსულად მოკლა [58,I,1557; 46,665; 177,279; 339,151]. მისი ქალიშვილი – სალმა ბინთ მალიქი მუჰამადმა გადასცა 'ა'იშას და ემსახურებოდა მას გარკვეული დროის მანძილზე. მოგვიანებით გათხოვდა მუჰამადის ნათესავზე. მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ სალმა დაბრუნდა თავის ხალხთან (რომლებიც აჯანყებულთა შორის იყვნენ) და გადანყვიტა შური ეძია დედის სიკვდილის გამო. ის ამხედრდა დედის აქლემზე და წაუძღვა მამაკაცებს ამ ბრძოლაში. არაბმა სარდალმა ხალიდ ბ. ვალიდმა დაანესა ჯილდოდ 100 აქლემი იმისთვის, ვინც დაასახიჩრებდა მის აქლემს. საკმაოდ მწვავე ბრძოლის შემდეგ სალმა თავის აქლემთან ერთად მოკლული იქნა [177,279-80; 58,I,1901-03]. 2. „ცრუ მოციქული" ქალი – საჯაჰი, რომელიც იბრძოდა მუსლიმთა წინააღმდეგ, მოციქულის სიკვდილის შემდეგ. ეს იყო არაბული ტომების აჯანყება 632-633 წწ. – *არ-რიდდა* (სარწმუნოებისაგან განდგომა), ისლამის სარწმუნოებისა და მედინის ხელისუფლების წინააღმდეგ. საჯაჰი ხელმძღვანელობდა ბანუ თამიმს. ეს აჯანყება ჩახშობილ იქნა ხალიფა აბუ ბაქრის მიერ [153,21].

გამონათქვამი. აბუ ბაქრამ ასე მიმართა 'ა'იშას: ჭეშმარიტად, შენ ხარ ჩვენი დედა[70]. ჭეშმარიტად, შენ გაქვს უფლებები ჩვენზე, მაგრამ მე მოვისმინე - მუჰამადმა თქვა: „ვინც ანდობს ძალაუფლებას ქალებს, წარმატებას ვერ მიაღწევს" [6,IV,140].

ცნობილ თეოლოგს ინდოეთიდან, მავლანა აშრაფ ას-სანავის დაუსვეს კითხვა: ამ ჰადისის საფუძველზე შეიძლება თუ არა ქალი გახდეს მუსლიმური სახელმწიფოს მეთაური? მან გამოსცა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დასკვნა [ფათვა], რომლის თანახმადანაც, ხელისუფლება არის სამი სახის: პირველი – სახელმწიფოს მეთაური მართავს ერთპიროვნულად, მაგრამ აქვს ხალხის სანქცია; მეორე – სახელმწიფოს მეთაურს აქვს აბსოლუტური ძალაუფლება, მაგრამ არა აქვს ხალხის სანქცია; მესამე – სახელმწიფოს მეთაურს თვითონ არა აქვს აბსოლუტური ძალაუფლება, საკონსულტაციო ორგანოს ეკუთვნის რეალური ძალაუფლება. ას-სანავის დასკვნით, ის, რაც მუჰამადმა უარყო ქალთან მიმართებაში, განეკუთვნება პირველი კატეგორიის ხელისუფლებას. რაც შეეხება ბილკის, დედოფლის სიტყვები: „მე არასოდეს გადავწყვეტ საქმეს, იქამდე ვიდრე თქვენ ჩემთან არ იქნებით" იმას ნიშნავს, რომ მისი ხელისუფლება დემოკრატიულია და განეკუთვნება მესამე კატეგორიას [284,78].

გამოჩენილ მუსლიმ თეოლოგს – აჰმად იბნ ჰანბალს ეკუთვნის სიტყვები: *„როცა მამაკაცები ემორჩილებიან ქალებს, ნგრევა გარდაუვალია"*[71][11,V,202]. პირველ მართლმორწმუნე ხალიფას მიეკუთვნება გამონათქვამი: *„მდაბალია ის, რომელსაც ქალისათვის თავისი საქმეები ჩაუბარებია"* [83,210; 166,160]. ხოლო ხალიფა 'უმარ I აფრთხილებდა მმართველებს: *„ქალის სიტყვები, ისევე როგორც თვითონ ისინი აკრძალულია გამოსაჩენად"*[55,192].

ნიზამ ალ-მულქისათვის სახელმწიფოს მმართველობაში ქალის როლის უარყოფითი შეფასებისას მთავარი მაგალითი არის 'ა'იშა – მუჰამადის მესამე და უსაყვარლესი ცოლი. მას მოჰყავს ასეთი გადმოცემა: როდესაც მოციქული ავად გახდა, დადგა საერთო ლოცვის დრო. მისი მიმდევრები ელოდნენ მუჰამადის გამოჩენას, მაგრამ ის აგვიანებდა. 'ა'იშა და ჰაფსა მოციქულის გვერდით იყვნენ. 'ა'იშამ ჰკითხა მოციქულს, ვის უბრძანებდა ლოცვის წარმართვას მეჩეთში. მუჰამადმა მიუთითა აბუ ბაქრზე, მაგრამ 'ა'იშა და მისი ზეგავლენით ჰაფსაც შეეწინააღმდეგნენ ამ გადაწყვეტილებას. 'ა'იშა ამტკიცებდა, რომ „აბუ ბაქრი სუსტია, მგრძნობიარე

---

[70] იგულისხმება „მორწმუნეთა დედა".
[71] ან „მამაკაცები იღუპებიან, როცა ისინი ემორჩილებიან ქალებს".

გულით. მას მუჰამადი უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე ყველა სხვა მიმდევარს. თუ ის წარსდგება ლოცვაზე და დაინახავს მოციქულის ადგილს ცარიელს, ატირდება და ხელს შეუშლის საკუთარ და სხვის ლოცვასაც. ეს არის 'უმარის საქმე, რომელიც ძლიერია. თუ მუჰამადი ბრძანებს ამას, არაფერს მიაყენებს ზიანს" [54,230-31][72]. მოციქული გაბრაზდა და შეადარა ისინი იუსუფის[73] ქალ-კომპანიონებს [ᴚავᾶჰიბ იუსუფ] ან იუსუფს და მის ცოლს.

ნიზᾶმ ალ-მულქის მიერ შერჩეული ამ გადმოცემის უამრავი ვარიანტია დაცული იბნ ჰიშᾶმთან, იბნ სა'დთან, იბნ ჰᾶნბალთან, ალ-ბუᴚᾶრᾶსთან და ყოველი მესამე უკავშირდება 'ᾶ'იშას. ზოგან ჩართულია ჰᾶფᴚაც. ამ ვარიანტებში 'ᾶ'იშა ასე ამართლებს თავის საქციელს: „მე მინდოდა მხოლოდ აბუ ბაქრის დაცვა. მე ვიცი, რომ ხალხი არასოდეს მოინონებს ვინმეს, ვინც დაიკავებს მეჩეთში მოციქულის ადგილს. ხალხი დაადანაშაულებს მას ყველაფერში და მე მინდოდა აბუ ბაქრი ამისგან დაცული ყოფილიყო" [344,115]. არის ასეთი გადმოცემაც, რომ აბუ ბაქრმა „ვერ გაუძლო და მართლა ატირდა". მოციქულს მიუთითეს სხვა დაენიშნა, რადგანაც აბუ ბაქრის ტირილმა არეულობა შეიტანა ხალხში. სწორედ ამის გამო შესთავაზა ჰᾶფᴚამ მუჰამადს 'უმარის კანდიდატურა. სხვა გადმოცემით, 'უმარს შეცდომით უთხრეს ეხელმძღვანელა ლოცვისათვის და მოციქულმა, როცა გაიგო 'უმარის ხმა, თქვა: „ალლᾶჰი და მუჰამმადი აღკვეთენ ამას". არის ასეთი ვერსიაც: „აბუ ბაქრი ხელმძღვანელობს ლოცვას, მუჰამმადი შედის მეჩეთში, ანიშნებს გააგრძელოს ლოცვა და თვითონაც მასთან ერთად ლოცულობს" [344,115]. შიიტური გადმოცემით, მუჰამადმა მიუთითა მისი მიმდევრებიდან ვინმეს ეხელმძღვანელა ლოცვისათვის. „'ᾶ'იშამ თქვა: მოუხმეთ აბუ ბაქრს. ჰᾶფᴚამ თქვა: მოუხმეთ 'უმარს. მოციქულმა მოისმინა მათი სიტყვები და დაინახა, რომ თითოეულის სურვილი იყო თავისი მამის დაწინაურება" [345,147]. სხვა შიიტური გადმოცემით, მუჰამადი ასახელებს თავის მემკვიდრეს სახელის მოხსენიების გარეშე. 'ᾶ'იშა კვლავ აბუ ბაქრს ასახელებს, ჰᾶფᴚა უხმობს

---

[72] სუნიტების აზრით, ეს გადმოცემა არის იმის ილუსტრაცია, რომ მოციქულმა, რომელსაც მემკვიდრე არ ჰყავდა, გააცნობიერა აბუ ბაქრის უპირატესობა დანარჩენ მიმდევრებზე და დანიშნა ის საერთო ლოცვის ხელმძღვანელად [344,114].

[73] ეს არის ბიბლიური იოსები, რომლის სახელს ატარებს ყურანის მე-12 სურა. ეს მოთხრობა უკავშირდება ხალხურ თემას სამი სურვილით დაჯილდოვების შესახებ. ნიზᾶმ ალ-მულქის მიერ მოტანილი ვერსია გარკვეულწილად ისლამურ ელემენტებს შეიცავს და კიდევ ერთხელ აფრთხილებს მმართველებს, თუ რამდენად დამღუპველია ცოლის რჩევის გათვალისწინება.

'უმარს, ხოლო უმმ სალამა ამაოდ ცდილობს დაარწმუნოს ხალხი, რომ მოციქული სინამდვილეში გულისხმობდა 'ალი ბ. აბი ტალიბს [345,147-48;372,65].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნიზ'ამ ალ-მულქი არჩევს ზემოგანხილული გადმოცემის სნორედ იმ ვარიანტს, სადაც 'ა'იშა კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევს მუჰამადს. ამით ნიზ'ამ ალ-მულქი ცდილობს დაანახოს საზოგადოებას, თუ როგორ ცდილობენ პოლიტიკური და რელიგიური ლიდერების ცოლები გამოიყენონ თავიანთი ზეგავლენა, რათა გააკეთონ ის, რაც არის არასწორი და თავიანთი ჭირვეულობით შეიძლება დაარღვიონ ტახტის მემკვიდრეობის წესიც კი. ნიზ'ამ ალ-მულქის დასკვნა ასეთია: „'ა'იშას სიდიადის, ცოდნის, ღვთისმოსაობის მიუხედავად, მოციქულმა ბრძანა იმის სანინააღმდეგო, რაც სურდა 'ა'იშას" [29,183].

'ა'იშას მაგალითის არჩევა შემთხვევითი არ იყო, რადგანაც ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუსლიმურ თემში, როგორც სუნიტ, ისე შიიტ მორწმუნეთა შორის. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნიზ'ამ ალ-მულქის არ მოაქვს 'ა'იშას ცნობილი პოლიტიკური აქტივობის მაგალითი აქლემის ბრძოლაში, სადაც ის მუჰამადის მიმდევრებთან ერთად ხალიფა 'ალის წინააღმდეგ გამოვიდა. 'ა'იშას ეს საქციელი IX-X სს. მუსლიმურ ქრონიკებში განსჯის საგანი გახდა და უარყოფითად შეფასდა. მაგრამ აქლემის ბრძოლის დროს – 656 წელს, 'ა'იშა იყო ქვრივი და არა ცოლი, რომელიც ზეგავლენას ახდენდა თავის ქმარზე. 'ა'იშას მაგალითით ნიზ'ამ ალ-მულქს სურდა გარკვეული მითითება მიეცა მუსლიმი მმართველებისათვის, რათა ისინი მოციქულ მუჰამადის მსგავსად მოქცეულიყვნენ [344,116]. გამოჩენილ მუსლიმ თეოლოგს – აჰმად იბნ ჰანბალის ეკუთვნის სიტყვები: „როცა მამაკაცები ემორჩილებიან ქალებს, ნგრევა გარდაუვალია"[74] [11,V,202]. პირველ მართლმორწმუნე ხალიფას ეკუთვნის სიტყვები: „მდაბალია ის, რომელსაც ქალისათვის თავისი საქმეები ჩაუბარებია" [83,210; 166,160]. ხოლო ხალიფა 'უმარ I აფრთხილებდა მმართველებს: „ქალის სიტყვები, ისევე როგორც თვითონ ისინი, აკრძალულია გამოსაჩენად" [54,192].

ისლამში არსებობს ხელისუფლების ორი კრიტერიუმი: სახელმწიფოს მეთაურის სახელის მოხსენიება ხუტბაში - საპარასკევო ღვთისმსახურების დროს მეჩეთში და მონეტებზე.

ხუტბამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა ერთი პუნქტის წყალობით: მხოლოდ ის პირი, ვისი სახელიც წარმოით-

---

[74] ან „მამაკაცები იღუპებიან, როცა ისინი ემორჩილებიან ქალებს".

ქმებოდა საპარასკევო ხუტბაზე, ცნობილი იყო, როგორც ოფიციალური ხელისუფალი. ამდენად, მორწმუნეთათვის ლოცვის აღვლენის დროს მქადაგებელს [ხატიბ] უნდა მოეხსენიებინა მმართველი ხალიფას სახელი. IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცალკეული მუსლიმი მმართველები ახერხებდნენ თავიანთი სახელების ჩართვას ხუტბაში ხალიფას შემდეგ. ხუტბაში მოხსენიება იქცა მმართველის დამოუკიდებლობის მაჩვენებელ ერთ-ერთ მთავარ გარეგნულ ნიშნად [83,238]. არის ასეთი ცნობა, რომ 'აბბასიანთა სახალიფოში ერაყის მეჩეთებში ხუტბა აღევლინებოდა ხაიზურანის სახელზე'[75]. მუსლიმი თეოლოგები აცხადებდნენ, რომ ეს ღვთისგმობაა. თუმცა ერაყელები მოგვიანებით მშვიდად უსმენდნენ ხუტბას, რომელიც აღევლინებოდა ჯალა'ირიანთა დინასტიის დედოფლის – მალიქა თანდუს სახელზე, რომელიც ქვეყანას მართავდა XV საუკუნეში. მაგრამ ეს იყო გამონაკლისები ისლამის პოლიტიკურ ისტორიაში. თვითონ ხაიზურანთან დაკავშირებით, ისტორიკოსები ასე სვამენ კითხვას – იყო ის რეგენტი[76] თუ სახელმწიფოს მეთაური? ხელისუფლება დე ფაქტო იყო მის ხელში. არის ცნობა, რომ უმმ ალ-მუკთადირი (შაღაბ) იჯდა სასახლეში ყოველ პარასკევს ჩადრში გამოხვეული, რათა მოესმინა მქადაგებლისათვის, რომელიც სპეციალურ ლოცვას წარმართავდა მის სახელზე საპარასკევო ღვთისმსახურების შესრულებისას [270,186].

წყაროთა მონაცემებით, ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) ცოლმა – ზუბაიდამ თავისი კვალი დატოვა 'აბბასიანთა ნუმიზმატიკაში. მისი ქუნია უმმ ჯა'ფარ სხვადასხვა ფორმით გვხვდება რამდენიმე მონეტაზე. ჰიჯრით 181 წლის (795 წ. 5 მარტი – 798 წ. 21 თებერვალი) დირჰამი გამოირჩევა ზუბაიდას სახელზე მოჭრილ ყველა ცნობილ მონეტებს შორის. ის არის ყველაზე ადრეული და ჯერჯერობით ერთადერთი, რომელზედაც ის იწოდება

---

[75] ამ დროს ხალიფა იყო ჰარუნ არ-რაშიდი, რომელმაც პირველად ხუტბის შესრულების მოვალეობა გადასცა სპეციალურ პირს – „ხატიბ"-ს (ორატორი, მქადაგებელი).

[76] რეგენტი იყო სუბეჰი (საბიჰა) – ანდალუსიის უმაიანთა სახალიფოში. მას დიდი გავლენა ჰქონდა თავის ქმარზე. მუსლიმური ქრონიკების ავტორები აღნიშნავენ, რომ ის დიდ როლს თამაშობდა იმ პირთა დანიშვნაში, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ სახელმწიფოს მართვა. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობაზე (ხაზინადარი) მან შეარჩია 26 წლის იბნ აბი 'ამირ. 976 წელს, ხალიფა გარდაიცვალა და მისი ვაჟი – ჰიშამ II ავიდა ტახტზე. ის მცირენლოვანი იყო და რეგენტი გახდა სუბეჰი. ჰიშამ II-ის მმართველობის დროს ის გავლენას ახდენდა ყველა სახელმწიფო საქმეზე [165,83; 242,531-532].

უმმ ვალრ 'აჰდ ალ-მუსლიმრნ „მუსლიმთა ტახტის მემკვიდრის დედა[77]" [128, 208-09].

საინტერესოა იყვნენ თუ არა ქალები ხელისუფლების სათავეში სწორედ ამ კრიტერიუმებით? თურქი ისტორიკოსი ბაპრიე უჩოკი, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „ქალი-მმართველები მუსლიმურ სახელმწიფოებში", ამ ორი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს და 16 ქალს იხსენიებს, ვინც მმართველობდა სხვადასხვა ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის არც ერთი არ იყო არაბი. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ არაბები ეწინააღმდეგებოდნენ ქალების დაწინაურებას სახელმწიფო თანამდებობებზე და არაბმა ქალებმა ძალაუფლება მოიპოვეს მხოლოდ 'აბბასრიანთა სახალიფოს დაცემის (1258 წ.) შემდეგ.

უთანხმოება მუსლიმ სწავლულთა შორის იმაზე მეტყველებს, რომ პირდაპირი მითითება – ქალები არ შეიძლება იყვნენ მოსამართლეები, რელიგიური და პოლიტიკური ლიდერები – არ არის არც ყურანში და არც ჰადისებში. ქალები სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ მუსლიმური საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისლამის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ ქალები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მყოფი ქმრების ან ვაჟების საშუალებით აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში. მაგრამ ქალები, რომლებიც თვითონ ახორციელებდნენ ხელისუფლებას, ყოველთვის წარმოადგენდნენ კრიტიკის ობიექტს.

3. ქალი და პოლიტიკა ადრეულ ისლამში: 'ა'იშა და აქლემის ბრძოლა

მუსლიმთა საღვთო წიგნი – ყურანი პირდაპირ ურჩევს მოციქულის ცოლებს დარჩნენ სახლში (33:33). სწორედ ამის გამო, მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქვრივის 'ა'იშას ჩართვა პოლიტიკურ ბრძოლაში ადრეული მუსლიმური ქრონიკების განსჯის საგანი გახდა [342,45-55].

'ა'იშა ბინთ აბრ ბაქრი იყო მუჰამადის მესამე და უსაყვარლესი ცოლი. თუმცა მათი ქორწინება მხოლოდ ცხრა წელი გაგრძელდა. მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ პირველი ხალიფა გახდა 'ა'იშას მამა – აბუ ბაქრი, ხოლო შემდეგ - 'უმარ I, რომელთა

---

[77] მისი ვაჟი – მუჰამმად ალ-ამრნი 175/791-92 წელს გამოცხადდა ტახტის მემკვიდრედ და 193/809 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ გახდა 'აბბასრიანთა დინასტიის მეექვსე ხალიფა. ის იყო ამ დინასტიიდან ერთადერთი ჰაშიმის გვარის წარმომადგენელი, როგორც მამის მხრიდან, ისე დედის მხრიდან.

მმართველობის პერიოდში 'ა'იშას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია საზოგადოებრივ საქმეებში. 656 წელს გამწვავდა წინააღმდეგობები მესამე მართლმორწმუნე ხალიფა 'უსმანთან. 'ა'იშამ გადაწყვიტა გარკვეული პოლიტიკური როლი შეესრულებინა, თუმცა აჯანყებულთა მიერ სასახლის ალყის დროს 'ა'იშა მედინაში არ იყო. ის წავიდა მექაში მცირე პილიგრიმობის ('უმრა) შესასრულებლად [378, XIV]. წყაროებში ხალიფა უსმანის აქტიურ მოწინააღმდეგეებად დასახელებულია ტალჰა[78], აზ-ზუბაირი[79] და 'ა'იშა, რომელმაც თითქოსდა ვერ აპატია უსმანს ის, რომ მან შეუმცირა 'უმარის მიერ დანიშნული პენსია 12 ათასიდან - 10 ათას დირჰამამდე და ამით სხვა ცოლებთან გაათანაბრა [50,II,204].

'ა'იშამ მედინისაკენ მიმავალ გზაზე[80] შეიტყო უსმანის მკვლელობის და 'ალის ხალიფად არჩევის შესახებ. 'ა'იშა დაბრუნდა მექაში და საჯაროდ გამოხატა პროტესტი უსმანის მკვლელობის გამო იმ საბაბით, რომ მხოლოდ უსმანის მკვლელების დასჯას მოითხოვდა, რომელთა მიმართ 'ალიმ ლმობიერება გამოიჩინა. მან დაიმოწმა ყურანი (17:33): *„თუ ვინმე მოკლულია უსამართლოდ, ჩვენ ვაძლევთ მის სამართალმემკვიდრეს სრულ ძალაუფლებას [მკვლელზე], მაგრამ დაე, ნუ გადალახავს დაშვებულ ფარგლებს [შურისძიებაში]“.*

'ა'იშამ მექაში დაიწყო აქტიური პროპაგანდა, რათა მიემხრო მუსლიმები 'ალის წინააღმდეგ საბრძოლველად. უსმანის მკვლელობიდან 4 თვის შემდეგ მექაში[81] ჩავიდნენ ტალჰა და აზ-ზუბაირი. ატ-ტაბარის ცნობით, მათ იმედი ჰქონდათ, რომ მიიღებდნენ ბასრის და ქუფის ნაცვლის თანამდებობებს, მაგრამ 'ალიმ უარი უთხრათ, რადგანაც მას ეშინოდა, რომ ისინი გახდებოდნენ ზედმე-

---

[78] ტალჰა ბ. 'უბაიდ ალ-ლაჰ, ცნობილი როგორც ტალჰა ალ-ჯუდ – მუჰამადის ერთ-ერთი უახლოესი მიმდევარი, 'ა'იშას ბიძაშვილი. ზუბაირთან ერთად შედის იმ ათეულში, რომელთაც მუჰამადმა სიცოცხლეშივე აღუთქვა სამოთხეში მოხვედრა. ის იყო ხალიფა 'უსმანის მკვლელობის ორგანიზატორი.

[79] აზ-ზუბაირ ბ. ალ-'ავვამ – მუჰამადის ერთ-ერთი უახლოესი მიმდევარი, მონანილეობდა ეგვიპტის დაპყრობაში. 'ალის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შეუერთდა ხალიფასადმი მტრულად განწყობილ დაჯგუფებას. აზ-ზუბაირი იყო 'ა'იშას სიძე (დის ქმარი).

[80] წყაროები სხვადასხვა პუნქტს მიუთითებენ.

[81] ეს იყო 656 წლის სექტემბრის ბოლო. ამ დროისათვის მექა გახდა ახალი ხალიფასადმი ოპოზიციურად განწყობილი დაჯგუფებების შეკრების ცენტრი: უმაიიანები, რომლებიც წავიდნენ მედინადან მარვან ბ. ალ-ჰაქამის და სა'ი'დ ბ. ალ-'ასის მეთაურობით; ხალიფა 'უსმანის ყოფილი გამგებლები – 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'ამირ (ბასრა), ია'ლა ბ. უმაიია (იემენი) და მუღირა ბ. შუ'ბა, რომელმაც ფიცი არ მისცა 'ალის [58,I,3070].

ტად დამოუკიდებლები [58,I,3102]. 'ᾱ'იშა შეუერთდა ტალჰას და აზ-ზუბაირს. გადმოცემით, 'ᾱ'იშას პირადი მიზეზი ჰქონდა – თავის დროზე 'ალᾱმ ურჩია მუჰამადს გაყროდა 'ᾱ'იშას, ამასთან მას სურდა თავისი ბიძაშვილის ტალჰას გახალიფება 'ალᾱს ნაცვლად.

შუა საუკუნეების ისტორიკოსები აშკარად აზვიადებენ 'ᾱ'იშას როლს 'ალᾱს წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზებაში და ოპოზიციის მთავარ ფიგურად წარმოადგენენ მას. 'ᾱ'იშა, თავისი პოლიტიკური აქტიურობის მიუხედავად, იყო უფრო მონაწილე, ვიდრე ოპოზიციის ლიდერი. წყაროებში აღნიშნულია, რომ ტალჰასა და აზ-ზუბაირს მოუხდათ მისი დათანხმება [110,26]. ტალჰამ და აზ-ზუბაირმა გამოაცხადეს, რომ შურს იძიებდნენ უდანაშაულოდ მოკლული ხალიფა 'უსმᾱნის გამო, მაგრამ მასთან ისეთი ნათესაური კავშირი არ ჰქონდათ, რაც მათ მოქმედებას გაამართლებდა. ამდენად, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო 'ᾱ'იშას, როგორც „მორწმუნეთა დედის", ავტორიტეტი მუსლიმურ თემში.

მექაში შეკრებილ უკმაყოფილოთა ჯგუფს, ერთიანი მოქმედების გეგმა არ ჰქონდა. ზოგნი თვლიდნენ, რომ უნდა ნასულიყვნენ სირიაში და შეერთებოდნენ მუ'ᾱვია ბ. აბᾱ სუფიანს. 'ᾱ'იშას წინადადება იყო ნასულიყვნენ პირდაპირ მედინაში. ბოლოს 'აბდ ალლᾱჰ ბ. 'ამირმა, დაარწმუნა ისინი ნასულიყვნენ ბაᲑრაში, სადაც თვითონ იყო ნაცვალი რამდენიმე წელი და ჰყავდა მომხრეები. გადმოცემით, 'ᾱ'იშას არ სურდა ეს ხანგრძლივი ლაშქრობა, მაგრამ ის დაარწმუნეს, რომ მხოლოდ მას შეეძლო ბაᲑრელები აემხედრებინა 'ალᾱს წინააღმდეგ.

'ალᾱ იძულებული გახდა გადამწყვეტი ზომები მიეღო, რადგან სირიის მმართველმა მუ'ᾱვია ბ. აბᾱ სუფიᾱნმა დაადანაშაულა 'ალᾱ 'უსმᾱნის მკვლელობაში და არ სცნო იგი ხალიფად. ეგვიპტეში არეულობა იყო და თუ ერაყსაც აჯანყებულები დაიკავებდნენ, არსებობდა მთელი აღმოსავლეთ პროვინციების დაკარგვის საფრთხე, მაგრამ 'ალᾱმ ვერ შეაჩერა აჯანყებულები და სახალიფოში დაიწყო პირველი სამოქალაქო ომი (656-661).

წყაროთა მონაცემებით, 'ᾱ'იშას არ სურდა მარტო წასულიყო მამაკაცებთან ერთად, რაც განსაკუთრებით შეუფერებელი საქციელი იყო მოციქულის ქვრივისათვის და შეეცადა მოლაპარაკებოდა სხვა ქვრივს – უმმ სალამას, რათა გაჰყოლოდა მას. უმმ სალამამ, რომელიც უფროსი იყო მოციქულის ცოლებს შორის ასაკითაც და ისლამის მიღების დროითაც, გაკიცხა ის ამ საქციელის გამო. 'ᾱ'იშამ უთხრა მას: „ის ხალხი ითხოვდა უსმᾱნისაგან მონანიებას და როცა მან მოინანია, მოკლეს ის, მომარხულე რამადᾱნის თვეში. მე განზრახული მაქვს ბაᲑრაში წასვლა და ჩემთან არის ტალჰა და

აზ-ზუბაირი, წამოდი ჩვენთან. შესაძლოა, ალაჰმა მოაგვაროს ეს საქმე ჩვენი ხელით და ჩვენი დახმარებით". უმმ სალამამ უთხრა ის, რასაც ხაზს უსვამდა მრავალი 'ალის მომხრეც: „ჯერ კიდევ გუშინ შენ ამხედრებდი ხალხს უსმანის წინააღმდეგ და ამბობდი მასზე სისაძაგლეს და შენ არ გქონდა მისთვის სხვა სახელი – ნას'ალის[82] გარდა. რა საქმე გაქვს შენ უსმანთან? ამასთან ის არის მამაკაცი 'აბდ მანაფიდან, ხოლო შენ ხარ ქალი ბანუ თამიმ ბ. მურრადან. თქვენ გამოდიხართ 'ალის – მოციქულის სიძის წინააღმდეგ. გამოდიხართ მიუხედავად იმისა, რომ მას ფიცი მისცეს მუჰაჯირებმა და ანსარებმა" [110,27]. ამასთან უმმ სალამამ[83] შეახსენა 'ა'იშას რამდენიმე შემთხვევა, როცა მოციქულმა 'ალის მისცა უპირატესობა მასთან მიმართებაში. 'ა'იშა იძულებული გახდა დაედასტურებინა ეს ფაქტი, მაგრამ განაცხადა: „მე გამოვალ ხალხის საქმეების მოსაგვარებლად და იმედი მაქვს წყალობის, თუ ალაჰი ისურვებს" [291,352-53].

უმმ სალამასთან წარუმატებული საუბრის შემდეგ, 'ა'იშამ სცადა მოლაპარაკებოდა მოციქულის სხვა ქვრივს – ჰაფსას, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ჰაფსა დაეთანხმა, მაგრამ მისმა ძმამ – 'აბდ არ-რაჰმანმა აუკრძალა ჩარეულიყო პოლიტიკურ ბრძოლაში და 'ა'იშას მოუხდა მამაკაცებთან ერთად გამგზავრება [58,I,3101]. თუმცა, სხვა მონაცემებით, 'ა'იშა გააცილეს მოციქულის ქვრივებმა[84].

ტალჰამ და აზ-ზუბაირმა შემოიკრიბეს თავის გარშემო დაახლ. 700 კაცი. ეს რაზმი ღამით გაემგზავრა საიდუმლოდ, როგორც ჩვეულებრივ მოგზაურთა ქარავანი. მაგრამ გადმოცემით, უმმ სალამამ წერილი გაუგზავნა თავისი ვაჟის საშუალებით 'ალის, სადაც ატყობინებდა მის წინააღმდეგ ლაშქრობის მზადების შესახებ და სთხოვდა თავისი ვაჟი წაეყვანა მტრებთან საბრძოლველად. უმმ სალამასაგან დამოუკიდებლად, ამ გამოსვლის მზადების შესახებ

---

[82] ნას'ალ – ფოლკლორული პერსონაჟი, მოხუცი გრძელი წვერით.

[83] 'ა'იშას და უმმ სალამას შორის საუბარი შუა სს. ისტორიკოსთა ფანტაზიის ნაყოფი გახდა. ალ-ია'კუბის თანახმად, უმმ სალამამ მხოლოდ შეახსენა 'ა'იშას მოციქულის ცოლების ქცევის ნორმები [49,II,209-210]. ნათქვამია, აგრეთვე თითქოს უმმ სალამამ უთხრა 'ალის, რომ დიდი სიამოვნებით ნაციდოდა მასთან ერთად აჯანყებულთა წინააღმდეგ, მაგრამ არ შეეძლო. ამდენად, მან შესთავაზა თავისი ვაჟის – 'უმარის წაყვანა [58,I,3101]. აქედან გამომდინარეობს, რომ უმმ სალამა მედინაში იყო, მაგრამ სხვა წყაროები დარწმუნებით ამბობენ, რომ მოციქულის ქვრივები მექაში იყვნენ.

[84] აღნიშნულია, რომ მოციქულის ქვრივებმა გააცილეს 'ა'იშა ზათ 'ირკ-მდე (ქ. მექიდან ორი დღის საავალ მანძილზე), ბევრი იტირეს და უკან დაბრუნდნენ. ამ დღეს „ცრემლების დღე" ეწოდა [291,353].

'ალ̄ı̄ წერილობით შეატყობინა უმმ ფადლმა – მუჰამადის ბიძის ალ-'აბბასის ქვრივმა [110,27].

656 წლის 24-25 სექტემბერს 'ალ̄ı̄ დაიძრა მედინადან თავის მომხრეებთან ერთად. იმედი ჰქონდა, რომ გზას გადაულობავდა აჯანყებულებს არ-რაბაზში, მაგრამ ვერ მოასწრო. მათ გზა გააგრძელეს ბაṣრისაკენ და უკვე ოქტომბრის ბოლოს ტალ̄ჰა, აზ-ზუბაირი და 'ā'იშა დაახლ. 3000 კაცამდე გაზრდილი სამხედრო რაზმით მიუახლოვდნენ ბაṣრას და დაბანაკდნენ ალ-ჰუფაირში[85]. მათ დაიწყეს მოლაპარაკება ბაṣრის მცხოვრებლებთან. მათი შეხვედრა მოხდა მირბადში, ბაṣრის სამხრეთ გარეუბანში. ამ შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ტალ̄ჰა და აზ-ზუბაირი, რომელთაც განუმარტეს ხალხს, რომ დასჯიდნენ 'უსმ̄ānის მკვლელებს და შემდეგ ხალიფას აირჩევდნენ მუსლიმთა საბჭოს (შურა) მიერ. მაგრამ ხალხის აზრი ორად გაიყო, რამაც არეულობა გამოიწვია. ამ დროს გაისმა 'ā'იშას ხმა და სიჩუმე ჩამოვარდა. 'ā'იშამ აღუთქვა მათ, რომ „საბჭოში არ შევიდოდა ის, ვინც მონაწილეობდა 'უსმ̄ānის [სიხლის] დაღვრაში". ბევრი მოწონებით შეხვდა მის გამოსვლას, მაგრამ იყვნენ უკმაყოფილოებიც, რადგან ქალი იყო ჩართული ასეთ მნიშვნელოვან საქმეში. ამის შემდეგ ბაṣრის მცხოვრებლები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთნი მხარს უჭერდნენ ნაცვალს ('უსმ̄ān ბ. ჰ̄unaiფას), სამხრეთი გარეუბნები მის მონინააღმდეგეებს უჭერდნენ მხარს. დაიწყო ბრძოლა ბაṣრის დაუფლებისათვის, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. ერთმორწმუნეთა ასეთი მასობრივი დაპატიმრებები პირველად მოხდა ისლამის ისტორიაში, რამაც სათავე დაუდო პირველი სამოქალაქო ომის შემდგომ განვითარებას.

შექმნილ ვითარებაში, 'ალ̄ı̄მ ქუფაში გააგზავნა 'ამმ̄ār ბ. იāsირი[86] და თავისი ვაჟი ჰ̄asანი, რათა მოეწოდებინა ქალაქის მოსახლეობისათვის აჯანყებულთა და მათ შორის 'ā'იშას წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ მიმართეს უშუალოდ ქალაქის მცხოვრებლებს მთავარ მეჩეთში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზაიდ ბ. ჰ̄usაინმა წაიკითხა 'ā'იშას წერილი, სადაც ის მოუწოდებდა ქუფელებს დაეცვათ ნეიტრალიტეტი ამ ბრძოლაში და სახლში დარჩენილიყვნენ. თუმცა იქვე შენიშნა, რომ „ეს მას ებრძანა სახლში ჯდომა, ხოლო ჩვენ გვებრძანა ბრძოლა, რათა არ იყოს არეულობა", მაგრამ ის გაიცხეს: „შენ თავს ესხმი მორწმუნეთა დედას, ალაჰი

---

[85] ალ-ჰ̄ufაირ – ქ. ბაṣრის სამხრეთით 3 ფარსახზე (დაახლ. 18 კმ).

[86] მოციქულისა და პირველი ოთხი ხალიფას თანამებრძოლი. 15/642 წელს გახდა ქუფის ნაცვალი. დაიღუპა ṣ̄iფფ̄inთან ბრძოლის დროს 37/657-58 წ. სადაც ხალიფა 'ალ̄ı̄ს მხარეზე იბრძოდა.

მოგკლავს შენ" [110,37][87]. იბნ სა'დის თანახმად, 'ა'იშას გამოესარჩლა თვითონ 'ამმარ ბ. იასირი. მან ასე მიმართა ხალხს: „თავს ესხმით ალაჰის მოციქულის საყვარელ (*ჰაბიბა*) ცოლს? ჭეშმარიტად, ის არის მისი მეუღლე სამოთხეში"[88] [8,VIII,65]. ის ფაქტი, რომ 'ა'იშა შეურაცხყოფისაგან დაიცვეს არა მარტო მისმა მომხრეებმა, არამედ მისმა მოწინააღმდეგეებმაც, 'ა'იშას პრესტიჟულ მდგომარეობაზე მიუთითებს. 'ა'იშასადმი პატივისცემა გაგრძელდა აქლემის ბრძოლის შემდეგაც.

გადამწყვეტი ბრძოლა 'ალისა და მუჰამადის უახლოეს მიმდევრებს შორის 'ა'იშას ხელმძღვანელობით გაიმართა ბასრასთან 10 ჯუმადა II 36/656 წლის 4 დეკემბერს. ეს ბრძოლა ისტორიაში შევიდა, როგორც „აქლემის ბრძოლა" [89]. ის იყო მთავარი სამხედრო კონფლიქტი, პირველი სამოქალაქო ომი ისლამის ისტორიაში.

ტალჰა და აზ-ზუბაირი ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. 'ა'იშა ბრძოლას განაგრძობდა, თუმცა იცოდა, რომ მამაკაცი მხედართმთავრების გარეშე ვერ შეძლებდა ბრძოლის ხელმძღვანელობას და შეეცადა შეეწყვიტა სისხლის ღვრა. მან გააგზავნა ქა'ბ ბ. სურა ყურანის ფურცლით, რათა მოეწოდებინა მშვიდობისაკენ, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა[90]. 'ალიმაც სცადა თავის მხრივ, მშვიდობის დამყარება, მაგრამ ბასრელებმა უარი თქვეს მისი წარგზავნილების მოწოდებაზე.

'ალიმ შედარებით იოლად ჩაახშო ეს წინააღმდეგობა, რადგანაც აჯანყებულებს არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი. 'ა'იშას აქლემის გარშემო შეიქმნა წინააღმდეგობის ბირთვი. ბოლოს 'ალის მომხრეებმა შეძლეს აქლემამდე მიღწევა

---

[87] გადმოცემით, ზაიდ ბ. ხუჯანმა აიღო 'ა'იშას წერილი და თქვა: „მოციქულმა უბრძანა მამაკაცებს ბრძოლა და ქალებს სახლში ჯდომა. ის აკეთებს იმას, რაც მოციქულმა ჩვენ გვიბრძანა და მიგვითითებს გავაკეთოთ ის, რაც მოციქულმა მას უბრძანა"[97,649; 110,37].

[88] ალ-ბუხარის თანახმად, 'ამმარ ბ. იასირმა თქვა: „მე ვიცი, რომ ის არის [მოციქულის] ცოლი ამქვეყნადაც და იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც, მაგრამ ალლაჰი გცდით თქვენ [როდის] უნდა იყოთ მისი მიმდევრები და როდის მისი ['ა'იშასი]" [40,5/37].

[89] ნყაროებში მოხსენიებულია წინაისლამური ფრაზით „*იაუმ ალ-ჯამალ*" – „აქლემის დღე" (მოწინააღმდეგეებმა 'ა'იშას მომხრეებს უწოდეს „*ასჰაბ ალ-ჯამალ*"– „აქლემის კომპანიონები"). ამ ბრძოლამ ეს სახელწოდება მიიღო 'ა'იშას ძვირადღირებული აქლემის გამო, რომლის ტახტრევანზეც ის იჯდა. ძირითადი ბრძოლები სწორედ 'ა'იშას აქლემის გარშემო მიმდინარეობდა. ამ ბრძოლაში დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი, რომელთაც ერთიმეორის მიყოლებით ეჭირათ მისი აღვირი [49,II,366].

[90] ქა'ბი მოკლულ იქნა 'აბდ ალ-ლაჰ ბ. საბას მომხრეების მიერ.

და გადაუჭრეს მას მუხლის მყესები. უზარმაზარი აქლემი დაეცა მინაზე. ტახტრევანი, რომელიც ისრებით იყო სავსე, ჩამოვარდა და ʻაʼიშაც დაეცა მასთან ერთად. ამით ბრძოლა ფაქტობრივად დამთავრდა. მუჰამმად ბ. აბუ ბაქრმა გამოიყვანა ტახტრევანის ნამსხვრევებიდან ʻაʼიშა, რომელიც მსუბუქად დაშავდა. ʻალიმ უსაყვედურა მას, რომ ჩაება არა „ქალის საქმეში" და ბრძანა გადაეყვანათ იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა. დანაკარგი ორივე მხრიდან დიდი იყო — დაახლ. 5 ათასი[91] მუსლიმი [58,I,3224]. მთელი ღამე დაჭრილები ბრძოლის ველიდან გამოყავდათ. თვითონ ʻაʼიშამაც გაგზავნა ხალხი, რათა ეპატრონათ დაჭრილებისათვის. მრავალი შეიფარა იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა. ʻალი თავის ბანაკში 3 დღე დარჩა, რათა დაეკრძალათ ყველა დაღუპული და 12 დეკემბერს შევიდა ქალაქში, მაგრამ აჯანყებულთა დევნა არ დაუწყია. ʻალი პატივისცემით მოეპყრო ʻაʼიშასაც, მოინახულა ის ʻაბდ ალ-ლაჰ ბ. ზალაფის სახლში, რომელიც დაიღუპა ხალიფას წინააღმდეგ ბრძოლაში. ʻაბდ ალ-ლაჰის ცოლმა დაწყევლა ʻალი, მაგრამ მან არ მიაქცია ყურადღება და სხვებსაც არ მისცა საშუალება შეურაცხყოფა მიეყენებინათ ქალისათვის. ʻალიმ ასე მიმართა თავის თანმხლებ პირებს: „არ შეხვიდეთ ეზოში და არ შეურაცხყოთ ქალი, თუნდაც ის ლანძღვით ლახავდეს თქვენს ღირსებას და ცუდად იხსენიებდეს თქვენს ამირებს, ქალები ხომ სუსტები არიან და მე გიბრძანებთ, ჩამოშორდეთ მათ" [58,I,3224-3226]. მოგვიანებით, ʻალიმ ბრძანა 2 ადამიანის დასჯა გაშოლტვით, რომელთაც ʻაʼიშას სახლის კარებთან წარმოთქვეს „მორწმუნეთა დედის" მისამართით უღირსი სიტყვები [58,I,3224-3226]. შეურიგებელმა მალიქ ალ-აშთარიმ მიბაძა ʻალის და გადაწყვიტა ʻაʼიშასათვის აენაზღაურებინა აქლემის დანაკარგი და უყიდა მას 700 დირჰამად საუკეთესო მაჰრის ჯიშის აქლემი, მაგრამ ʻაʼიშამ არ მიიღო საჩუქარი ტალჰას და მისი ვაჟის მკვლელისაგან [58,I,3200,3227].

656 წლის 24 დეკემბერს, ʻალის ბრძანებით, ʻაʼიშა გააცილეს მექაში დიდი ამალის თანხლებით, მათ შორის იყვნენ მისი ძმა მუჰამმად ბ. აბი ბაქრი და 40 სახელგანთქმული ბასრელი ქალი.

---

[91] ბიოგრაფები ხაზს უსვამენ, რომ აქლემის ბრძოლაში ʻაʼიშა სახლში თუ დარჩებოდა, მსხვერპლი შეიძლება არ ყოფილიყო [341,58]. ამ ბრძოლაში ʻაʼიშას დამარცხების შემდეგ, ერთ-ერთი სასიკვდილოდ დაჭრილი მისი მიმდევარი დარდობდა იმ ფაქტს, რომ „ის მოტყუებულ იქნა ქალისაგან, რომელსაც სურდა გამხდარიყო მართლმორწმუნეთა მბრძანებელი" [179,175]. ალ-აფღანის თანახმად, ქალი და პოლიტიკა ცუდის მომასწავებელია — „მუსლიმთა სისხლი დაიღვარა. ათასობით მოციქულის კომპანიონმა, სწავლულებმა, მრავალი ბრძოლის გმირმა, ცნობილმა მხედართმთავრებმა დაკარგეს სიცოცხლე" და ეს ყველაფერი მოხდა იმის გამო, რომ ʻაʼიშა ჩაება პოლიტიკაში [285,6-7].

'ā'იშამ მექაში დაჰყო 5 თვე შემდგომ პილიგრიმობამდე, ხოლო შემდეგ დაბრუნდა მედინაში [58,I,3228,3231]. ერთ-ერთი ვერსიით, 'ā'იშამ და 'ალ̄ი ერთმანეთის მიმართ სიმპათიები გამოხატეს და 'ალ̄ი მისდამი პატივისცემის გამო გააცილა ის დაახლოებით რამდენიმე მილის მანძილზე.[92] სხვა გადმოცემით, როდესაც 'ā'იშამ დაინახა 'ალ̄ის და მისი მომხრეების სიძლიერე, შესთავაზა 'ალ̄ის კომპანიონობა შემდეგ ექსპედიციებში მისი მტრების წინააღმდეგ. მაგრამ 'ალ̄ი უარი უთხრა ამ წინადადებაზე[93].

ამ ბრძოლის შემდეგ, 'ā'იშა კიდევ ერთხელ ამხედრდა აქლემზე, ალ-ჰასან ბ. 'ალ̄ის სიკვდილის დროს. გადმოცემით, ის უნდა დაეკრძალათ მუჰამადის გვერდით, მაგრამ 'ā'იშამ უარი თქვა ამ გეგმაზე იმ მოტივით, რომ საფლავი იყო მისი საკუთრება. ამ დღეს ის ისევ ამხედრდა აქლემზე და მედინის ხალხმა პატივი სცა მის სურვილს.

'ā'იშას ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის უარყოფითად შეფასდა IX-X სს. არაბულ წყაროებში. ā'იშას საქციელი განსხვავდებოდა იმ ნორმებისაგან, რომელსაც იცავდნენ მოციქულის სხვა ცოლები. მუჰამადის ცოლებმა, რომელთა შორის ā'იშა იყო უსაყვარლესი, მიიღეს ამაღლებული სტატუსი მუსლიმურ საზოგადოებაში – „მორწმუნეთა დედა", რაც მათ ჩვეულებრივ მუსლიმ ქალებზე წინ აყენებდა, მათ მეტი თავდაჭერა მართებდათ. ამასთან ეს ტიტული მათ გათხოვებას უკრძალავდა მოციქულის სიკვდილის შემდეგ და უკვე 18 წლის ასაკში დაქვრივებულ 'ā'იშას მარტოობა განუსაზღვრა სიცოცხლის ბოლომდე, მაშინ როცა მოციქულის ყველა ცოლი ā'იშას გარდა ან ქვრივი იყო ან გაცილებული [8,VIII,62]. ამდენად, 'ā'იშასაგან განსხვავებით, მათ ჰყავდათ შვილები და შვილიშვილები წინა ქორწინებიდან. მოციქულის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც 'ā'იშას გამორჩეული ადგილი ეკავა მუჰამადის ჰარემში. 'ā'იშას იყო ერთ-ერთი მთავარი ავტორიტეტი ისლამში, კომპეტენტური იყო მრავალ საკითხში და მას ხშირად ეკითხებოდნენ რჩევას მუსლიმური თემის წევრები. 'ā'იშა გამორჩეული იყო აგრეთვე თავისი ენერგიულობით და მტკიცე ხასიათით, რის გამოც შთამომავალთა მეხსიერებაში შე-

---

[92] თუმცა ზოგიერთი ცნობით, ქალებს ებრძანათ ჩაეცვათ მამაკაცის ტანსაცმელი [58,I,3231].

[93] გადმოცემით, 'ალ̄ი ბრძანა მისი გადაყვანა ṣაფიṣა ბინთ ალ-ḥარის ბ. ტალḥას სახლში და მისი მომარაგება ყველაფრით, რაც მას სჭირდებოდა მედინაში დასაბრუნებლად [291,367].

მორჩა როგორც არაბთა „რაჯულა"[94]. სწორედ პირველმა სამოქალაქო ომმა საშუალება მისცა 'ᾱ'იშას გამოეცალინა თავისი აქტივობა და უშუალო მონაწილეობა მიეღო მუსლიმური თემის საქმეებში [342,48]. 'ᾱ'იშას განსაკუთრებული მდგომარეობა მუსლიმურ თემში განპირობებული იყო მისი სიახლოვით მუჰამადთან და მისი მამის აბუ ბაქრის გამო და ეს გაგრძელდა მათი სიკვდილის შემდეგაც. აქლემის ბრძოლაში მამაკაცები გაყვნენ 'ᾱ'იშას, რაც უბრალოდ მის პატივისცემაზე კი არა, არამედ მის ძალაუფლებაზე მიუთითებს.

წინაისლამურ ხანაში და ისლამის პირველ საუკუნეებშიც ქალები იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით და ასეთი მაგალითი ბევრია. მაგრამ 'ᾱ'იშა იყო მისაბაძი მეომრებისათვის, რომელთა უმრავლესობა იბრძოდა მის დასაცავად. მაგალითად, ბასრაში 'ᾱ'იშას იცავდა დაბბას ტომი[95], რომელთაგან აქლემის ბრძოლაში 800 ან 1000 ადამიანი დაიღუპა. ერთ-ერთი ბრალდება, რაც წაუყენეს 'ალᾱს მომხრეებმა 'ᾱ'იშას მამაკაც კომპანიონებს იყო ის, რომ მათ მოციქულის ცოლის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს.

მოციქულის ცოლების როლი განსაზღვრული იყო ყურანის გამოცხადებებით. 'ᾱ'იშამ *„აქლემის ბრძოლაში"* მონაწილეობით დაარღვია ის შეზღუდვები, რაც მორწმუნეთა დედებისათვის იყო განსაზღვრული[96]. 'ᾱ'იშას პოლიტიკური აქტივობის უარყოფითი შეფასების მთავარი მოტივი იყო ის, რომ 'ᾱ'იშა მისაბაძი არ გამხდარიყო შემდგომში მუსლიმი ქალებისათვის. X ს. არაბ ისტორიკოსს ალ-მას'უდის მოჰყავს ასეთი მაგალითი: „როდესაც ზუბაიდამ, გაიგო თავისი ვაჟის სამოქალაქო ომში დაღუპვის შესახებ, სურდა მიებაძა 'ᾱ'იშას მაგალითისათვის, მაგრამ მან თქვა: „ეს ქალების საქმე არაა, შური იძიონ და ბრძოლა წამოიწყონ" [50,VI,485-486]. ამის შემდეგ, შავები ჩაიცვა და განმარტოვდა. ზუბაიდას ეს სიტყვები იმაზე მიუთითებს, რომ 'ᾱ'იშა არ გამხდარა ქალთა პოლიტიკური აქტივობის მოდელი.

'ᾱ'იშა, სიცოცხლის ბოლოს, თვითონვე უარყოფითად აფასებდა თავის საქციელს: „მე არასწორად მოვიქეცი მხოლოდ მოცი-

---

[94] **муженщина арабов** [110,29].

[95] 'ᾱ'იშას იცავდა ბანუ დაბბა და ბანუ 'ადი, რომელსაც ეკუთვნოდა 'უმარ ბ. ალ-ხატტაბის ოჯახი. ბრძოლაში დაეცა მუჰამმადი – ტალჰას ვაჟი [58,I,3028, 3228] და 'აბდ ალ-ლᾱჰი – აზ-ზუბაირის ვაჟი [58,I,3200].

[96] გადმოცემით, აქლემის ბრძოლის წინ, 'ალიმ მისწერა 'ᾱ'იშას: „შენ გამოხვედი სახლიდან, არ დაემორჩილე ალაჰს და მის მოციქულს .... შემდეგ პრეტენზია განაცხადე, რომ გსურს მუსლიმთა შორის მშვიდობის დამყარება ..... ამგვარად, მითხარი, როგორ შეუძლია ქალს წააქეზოს მეომრები და მშვიდობა დაამყაროს?" [345,131].

ქულის სიკვდილის შემდეგ. ამდენად, მე უნდა დამკრძალონ მოციქულის სხვა ცოლებთან ერთად" [8,VIII,74][97]. ეს იმაზე მიუთითებს, რომ 'ა'იშამ უარი თქვა პრივილეგირებულ სტატუსზე – დაკრძალულიყო მოციქულის გვერდით, თავისივე სახლში.

წყაროებში მთავარია იმის ჩვენება, რომ ეს იყო ქალის პოლიტიკურ საქმეებში ჩარევის დასასრული. „ალაჰს სურდა გამოეყენებინა 'ა'იშას მაგალითი, როგორც პრაქტიკული გაკვეთილი მუსლიმებისათვის, რომელსაც ვერ დაივიწყებდნენ" [285,7]. 'ა'იშას დამარცხება ამ ბრძოლაში იმის დამადასტურებელი იყო, რომ „მორწმუნეთა დედები" – ყველაზე სახელგანთქმული და პატივსაცემი ქალები პირველ მუსლიმურ თემში, პოლიტიკური არენის მიღმა დარჩნენ.

4. ქალები უმაიიანთა და 'აბბასიანთა დინასტიის პოლიტიკურ ასპარეზზე

უმაიიანთა დინასტიის (661-750) ფუძემდებელი და პირველი ხალიფა იყო მუ'ავიია ბ. აბი სუფიანი (661-680). უმაიიანებმა სახალიფოს ცენტრი გადაიტანეს ქ. დამასკოში (სირია). ისინი ეყრდნობოდნენ სირიულ-არაბულ ტომებს – ქალბიტებს (*ბანუ ქალბ*) და კაისიტებს (*ბანუ კაის*). ხალიფას სწორი ორიენტაცია ქალბიტ ან კაისიტ ტომებზე თითქმის გადამწყვეტი ფაქტორი იყო არა მარტო ხალიფათა მტკიცე საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის, არამედ დინასტიის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. უმაიიანები წარმოშობით კაისიტები იყვნენ, მაგრამ მათი აღზევების დროიდან (661 წ.) დინასტიის ორიენტაცია ქალბიტებზე განპირობებული იყო მათი ძლიერი პოზიციით საკუთრივ სირიაში. ქალბიტები კარგად იყვნენ შეგუებული ადგილობრივ სირიულ ტრადიციებს და სოციალური თვალსაზრისითაც უფრო საიმედო დასაყრდენს ქმნიდნენ მექის ყოფილი გვაროვნული არისტოკრა-

---

[97] სხვა გადმოცემით, აქლემის ბრძოლის შედეგების გათვალისწინებით, მან თვითონ ისურვა, რომ ის უნდა მომკვდარიყო არა *„აქლემის ბრძოლის"* დროს, არამედ „20 წლით ადრე ამ დღემდე" [58,I,3201,3222]. ან ის ტიროდა, როცა წარმოთქვამდა ყურანის 33:33 აიას („დარჩით თქვენს სახლში"), „ის ტიროდა იქამდე, ვიდრე მისი ხიმარ (თავსაბურავი) არ დასველდა" [8,VIII,81]. 'ა'იშას ეკუთვნის აგრეთვე სიტყვები: „მე უფრო ვისურვებდი, რომ დავრჩენილიყავი სახლში და არ წავსულიყავი ბასრაში, ვიდრე მყოლოდა 10 კეთილშობილი და მამაცი ვაჟი მუჰამმადისაგან. ყველა მსგავსი 'აბდ არ-რაჰმან ბ. ჰარის ბ. ალ-ჰიშამისა" [8,V,6].

ტიისათვის. უმაიდანთა ეს ურთიერთობა ქალბიტებთან განმტკიცდა საქორწინო კავშირებითაც.

მუ'ავიდამ იქორწინა ქალბიტ ქალზე[98], კუდა'ას[99] ტომის წინამძღოლის ქალიშვილზე — მაისუნ ბინთ ბაჰდალზე. მისი ერთადერთი ვაჟი — იაზიდი[100] მუ'ავიდას მემკვიდრე გახდა[101]. მაისუნს უშუალო ზეგავლენა არ მოუხდენია სახალიფოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ის ძირითადად დაკავებული იყო იაზიდის განათლებით. მას ასწავლიდნენ ყურანს, ჰადისებს, კურაიშელთა გენეალოგიას, ბედუინთა ტრადიციებს და პოეტურ შემოქმედებას. გარკვეულ პერიოდში მაისუნი თან ახლდა მუ'ავიდას მცირე აზიაში ლაშქრობების დროს, რის გამოც მან მაღალი შეფასება დაიმსახურა თვით მუ'ავიდასაგან. ის იყო სანიმუშო მეუღლე და დედა [101,169; 110,111; 242,195].

661 წელსვე შიიტებმა მუ'ავიდას დაუპირისპირეს 'ალისა და ფატიმას უფროსი ვაჟი — ჰასანი, რომელიც 'ალის მემკვიდრედ გამოაცხადეს. მუ'ავიდამ მოლაპარაკება გამართა მასთან და დიდი ფულადი კომპენსაციის მიღების შემდეგ ჰასანმა საჯაროდ უარი განაცხადა ხალიფას ტახტზე. თუმცა მოლაპარაკებაში იყო ასეთი პუნქტიც — მუ'ავიდას შემდეგ ჰასანი უნდა გამხდარიყო ხალიფა. მოულოდნელად, 669 წ. ჰასანი გარდაიცვალა. შიიტთა თვალსაზრისით, ის ხალიფა მუ'ავიდას ბრძანებით მოწამლეს, რათა თავისი ვაჟი გაეხალიფებინა [49,II,266; 288,28; 121,121]. ჰასანის ერთ-ერთი ცოლი — ჯა'და ბინთ აშ'ას ბ. კაისი დაადანაშაულეს, რომ თითქოს მან მოწამლა, რის სანაცვლოდაც ხალიფასაგან მიიღო დაპირება — 100 ათასი დირჰამი და იაზიდის ცოლობა. თუმცა მეორე

---

[98] მუ'ავიდამდეც მრავალი კურაიში ქორწინდებოდა ქალბიტ ქალზე. მაგ., ხალიფა 'უსმანის ორი ცოლი — ნა'ილა და რამლა ქალბიტები იყვნენ. განსხვავება ის იყო, რომ მუ'ავიდა ცხოვრობდა ქალბიტების გარემოცვაში — ქვეყანაში, სადაც ისინი ბატონობდნენ. მუ'ავიდა აჯილდოვებდა მათ მაღალი ხელფასებით და საჩუქრებით.

[99] ბანუ კუდა'ა — ტომთა გაერთიანება. მასში წამყვან როლს თამაშობდა ქალების ტომი, რომლის სახელიც ხშირად მთელი ტომთა გაერთიანების აღსანიშნავად იხმარებოდა.

[100] 661 წლისათვის იაზიდი 15 წლის იყო.

[101] მუ'ავიდამ 4-ჯერ თუ 5-ჯერ იქორწინა. ტახტზე ასელის დროს 2 ცოლი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ფახითა ბინთ ქარაზა, რომლისგანაც შეეძინა 2 ვაჟი: 'აბდ არ-რაჰმანი, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა და 'აბდ ალლაჰი, რომელიც ავადმყოფი და ჭკუასუსტი იყო. ამის გარდა კიდეე 4 ქალიშვილი ჰყავდა.

პირობა ხალიფამ აღარ შეასრულა[102] [110,144-145]. შესაძლოა, ḥასანის სიკვდილთან არის დაკავშირებული იმავე თვეში მარვან ბ. ალ-ḥაქამის გათავისუფლება მედინას ნაცვლის თანამდებობიდან. თუმცა, ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, მისი გათავისუფლების მიზეზად დასახელებულია მუ'ავიᲐას ქალიშვილის რამლას საჩივარი თავის მამასთან იმის თაობაზე, რომ მარვანი უბიძგებდა მის ქმარს – 'ამრ ბ. 'უსმან ბ. აფფანს, პრეტენზია განეცხადებინა ხალიფას ტახტზე [110,147].

მუ'ავიᲐამ სიცოცხლეშივე 679 წელს თავისი ვაჟი იაზიდი გამოაცხადა ხალიფად (680-683). მისი მმართველობის დროს პოლიტიკურ საქმეებში აქტიურად მონაწილეობდა ბიძა (დედის ძმა) – მალიქი და ბიძაშვილი ḥასანი. იაზიდმა გააგრძელა უმაიᲐანთა დინასტიის ტრადიცია ქალბიტების მიმართ და იქორწინა ქალბიტ ქალზე, ḥურაის ბ. 'აბდ ალ-მალიქის ქალიშვილზე. 680 წელსვე სახალიფოში დაიწყო მეორე სამოქალაქო ომი (680-692). მუ'ავიᲐას გარდაცვალების შემდეგ შიიტებმა 'ალის მემკვიდრედ გამოაცხადეს 'ალისა და ფატიმას მეორე ვაჟი – ḥუსაინი, რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებას ხალიფა იაზიდის წინააღმდეგ. 680 წლის 10 ოქტომბერს ḥუსაინი დამარცხდა ამ ბრძოლაში და წამებით მოკლეს, ხოლო მისი ოჯახის წევრები ტყვედ შეიპყრეს. მათ შორის იყვნენ: ზაინაბ ბინთ 'ალი, უმმ ქულსუმ ბინთ 'ალი და ფატიმა ბინთ ḥუსაინი. განსაკუთრებით აქტიურობით გამოირჩეოდა ზაინაბი, რომელმაც დაიცვა დაღუპული ნათესავების ღირსება და სიმართლე, გადაარჩინა 23 წლის 'ალი ბ. ალ-ḥუსაინი[103], რომლის მოკვლაც ბრძანა ერაყის გამგებელმა – 'უბაიდ ალ-ლაᲰ ბ. ზიᲐდმა. ზაინაბი მივიდა მასთან და უთხრა: „მაშინ მომკალი მეც მასთან ერთად" [306,71,83; 110,204; 288,31]. დამასკოში ტყვეების ჩაყვანის შემდეგ, ხალიფამ მოისურვა ვიღაც სირიელისათვის გადაეცა ფატიმა ბინთ 'ალი[104], როგორც ომში მოპოვებული ნადავლი, მაგრამ ზაინაბის რისხვა დაიმსახურა[105] და უკან დაიხია. თუმცა სწორედ დამასკოში იაზიდის სასახლეში, ზაინაბმა მოაწყო პირველი

---

[102] მუ'ავიᲐამ თითქოს განაცხადა: „მინდა, რომ იაზიდი იყოს ცოცხალი". შიიტები იმდენად იყვნენ დარწმუნებული ჯა'დას დანაშაულში, რომ მის შთამომავლებს ასე ეძახდნენ: „ḥასანის მომწამვლელის შვილები" [110,145]

[103] ეს არის 'ალი ზაინ ალ-აბიდინ (გარდ. 713 ან 714 წ.) – მეოთხე იმამი, ḥუსაინის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ვაჟი.

[104] ფატიმა ბინთ 'ალი – იგივე ფატიმა ქუბრა, ქასიმ ბ. ḥასანის ქვრივი. მათი ქორწინება ქერბელას ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა.

[105] ზოგან წყაროებში, ზაინაბის ნაცვლად, ფატიმას მოსარჩლედ დასახელებულია უმმ ქულსუმი [306,82].

მაჯლისი[106] ანუ თავისი ძმის საყოველთაო დატირება. ამის შემდეგ ტყვეები მედინაში დააბრუნეს [58,II,277-79,283; 306,71; 8,V,212].

უმაიადანი ქალბატონი, რომელმაც ისტორიკოსთა დიდი ყურადღება მიიპყრო, იყო იაზიდ I-ის და მარვან I-ის კურაიში ცოლი — ფახითა ბინთ აბი ჰაშიმ.[107] ის უფრო ცნობილი იყო, როგორც უმმ ხალიდი. იაზიდთან შეეძინა ოთხი ვაჟი — მუ'ავიადა (მუ'ავიადა II)[108], ხალიდი, 'აბდ ალ-ლაჰი უფროსი და აბუ სუფიანი. იაზიდს მრავალი ცოლი ჰყავდა, მაგრამ უმმ ხალიდი ყველაზე მეტად უყვარდა[109]. იაზიდის მრავალცოლიანობა გარკვეულწილად პოლიტიკური მოტივითაც იყო გამოწვეული. მაგალითად, მისი ერთ-ერთი ცოლი იყო უმმ მისქინ — 'უმარ ბ. ალ-ხატტაბის შვილიშვილის შვილი. უმმ ხალიდს ახასიათებდნენ როგორც „საუკეთესო და ბრძენ ქალს". მას დიდი გავლენა ჰქონდა თავის ქმარზე, რაც დადასტურდა იმით, რომ სწორედ მისი მოთხოვნით მუ'ავიადა II გახდა იაზიდის უშუალო მემკვიდრე (683-684)[110], მაგრამ ავადმყოფი მუ'ავიადა მალე გარდაიცვალა[111]. გახალიფებისთანავე მუ'ავიადამ თავისი საქმეების წარმართვა მიანდო იაზიდის ბიძაშვილს — ქალბიტ ჰასსან ბ. მალიქს, რომელიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა პალესტინასა და სირიაში. მასვე უნდა უზრუნველეყო მუ'ავიადას შემდეგ მისი ძმის ხალიდის გახალიფება. მაგრამ ხალიდი მცირეწლოვანი იყო. უმაიადანებმა ალ-ჯაბიადაში ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ხალიფად აირჩიეს უმაიადანთა დინასტიის მარვანიანთა შტოს წარმომადგენელი — მარვან ბ. ალ-ჰაქამი (684-685) ჰასსან ბ. მალიქმა თანხმობა განაცხადა ეცნო მარვანი ხალიფად, თუ მისი სიკვდილის შემდეგ ხალიდი გახდებოდა ხალიფა. ამის შემდეგ მან მიიღო გარანტიები, რომ ქალბიტებს შეუნარჩუნდებოდათ პრივილეგიები, რაც დაადგინა მუ'ავიადამ და განამტკიცა იაზიდმა. ეს შეთანხმება განმტკიცდა მარვანის ქორწინებით იაზიდის ქვრივზე — ხალიდის დედაზე, მაგრამ ქალბიტებსა და კაისიტებს შორის გადამწყვეტ ბრძოლაში (მარჯ რაჰიტთან, 684 წ.) გამარჯვების შემ-

---

[106] მაჯლის (მრ.რ. მაჯალის) — შიიტებთან ის იხმარება „სამგლოვიარო შეკრების" მნიშვნელობით.

[107] მას ჰქონდა მეტსახელი ჰაბბა (მარცვალი), რადგანაც ძალიან მინიატურული აღნაგობის იყო [8,V,46].

[108] ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ მისი დედა იყო არა კურაიში უმმ ხალიდი, არამედ ქალბიტი ქალი, რომლის სახელიც უცნობია.

[109] იაზიდს სხვა ცოლებიც ჰყავდა, რაც გარკვეულწილად პოლიტიკური მოტივითაც იყო გამოწვეული. ერთ-ერთი ცოლი — უმმ მისქინ — 'უმარ ბ. ალ-ხატტაბის შვილიშვილის შვილი იყო.

[110] მუ'ავიადა I 18-23 წლის იყო იაზიდის გარდაცვალების (63/683 წ.) დროს.

[111] მუ'ავიადა II-მ იხალიფა 40 დღიდან 3 თვემდე [110,221].

დეგ, მარვანმა დაარღვია სუფიანთა და მარვანიანთა შეთანხმება და მემკვიდრედ დაასახელა თავისი საკუთარი შვილი — 'აბდ ალ-მალიქი, 'ა'იშა ბინთ მუ'ავიია ბ. ალ-მუღირასაგან.[112] შემდეგ უნდა გახალიფებულიყო მისი ძმა 'აბდ ალ-'აზიზი[113] [38,144].

მარვანი 685 წელს გარდაიცვალა. წყაროები მისი სიკვდილის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ. ერთნი თვლიან, რომ ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, მეორენი მისი სიკვდილის მიზეზად შავ ჭირს ასახელებენ, მესამენი ადანაშაულებენ ხალიდის დედას, რომელმაც თავისი შვილის „დამცირების" გამო მოწამლა მარვანი[114] ან დაახრჩო ის ბალიშით [58,II,577; 8,V,42-43]. გადმოცემით, 'აბდ ალ-მალიქს სურდა ხალიდის დედის დაპატიმრება, მაგრამ უმმ ხალიდმა შეაჩერა ის იმ სამარცხვინო ფაქტის გახმაურებით, რომ მისი მამა ქალის ხელით გარდაიცვალა. საერთოდ, ისტორიკოსები უპირატესობას ანიჭებენ შავი ჭირის ვერსიას, რადგანაც 684 წ. მან მოიცვა მთელი ახლო აღმოსავლეთი ქ. ბაᲧრიდან ეგვიპტემდე. არის მოსაზრება, რომ მარვანის სიკვდილთან დაკავშირებული გადმოცემები მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და მათი მიზანია უმაიადანთა დინასტიის დისკრედიტაცია [176,346].

685 წელს ხალიფა გახდა 'აბდ ალ-მალიქი (685-705). მას ჰყავდა 10 კანონიერი ცოლი. მათგან ვალადა ბინთ ალ-'აბბას — მისი ორი ვაჟის და მემკვიდრის (ვალიდ I-ის და სულაიმანის) დედა ბედუინი (ბადავიია) იყო. 'ა'იშა ბინთ ჰიშამი — მომავალი ხალიფა ჰიშამის დედა იყო კურაიშის ტომის, მახზუმის გვარიდან[115]. ყველაზე მეტად გამოირჩეოდა იაზიდ II-ის დედა და 'აბდ ალ-მალიქის უსაყვარლესი ცოლი — 'ათიქა ბინთ იაზიდი. იბნ 'ასაქირს ცნობილ ქალთა შორის დასახელებული ჰყავს 'ათიქა ბინთ იაზიდი. საინტერესოა რა ღირსებების გამო ჩართო იბნ 'ასაქირმა 'ათიქას ბიოგრაფია ამ კრებულში [43,60]

'ათიქა გარკვეული კუთხით იყო 12 უმაიადანი ხალიფას[116] ნათესავი, იმდენად ახლო ნათესავი, რომ მათი თანდასწრებით ის იხ-

---

[112] სხვა ვერსიით, 'აბდ ალ-მალიქის დედა იყო 'ა'იშა ბინთ ალ-მუღირა ბ. ალ-'ასი. ხოლო 'ა'იშას დედა იყო ვარაკა ბ. ნაფალის ძმისშვილი — ბუსრა ბინთ საფვან ბ. ნაუფალ ალ-კურაშიია ალ-ასდიია (ისლამზე ადრე მოქცეული).

[113] 'აბდ ალ-აზიზ ბ. მარვან (დედა — ლაილა ბინთ ზაბბან).

[114] [58,II,576-78] თუმცა ამის შემდეგ უმმ ხალ'დი აღარ ჩანს.

[115] ჰიშამის დედას 'აბდ ალ-მალიქი ჰიშამის დაბადებამდე გაეყარა, რადგანაც ჭკუასუსტი იყო [58,II,1446].

[116] 'ათიქა იყო უმაიადანი ხალიფა იაზიდ I-ის (680-683) ქალიშვილი და ხალიფა 'აბდ ალ-მალიქის (685-705) მეუღლე. ამდენად უმაიადანთა დინასტიის ფუძემდებლის და პირველი ხალიფას - მუ'ავიია I-ის (661-680) შვილიშვილი. ხალიფა მუ'ავიია II (683-684) იყო 'ათიქას ძმა; მარვან I (684-685) - 'ათიქას მამამთილი;

სნიდა ჩადრს. როგორც სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი ის იყო „ არისტოკრატთა არისტოკრატი“ [50,II,371]. ‘ათიქას ტიტული იყო „უმმ ალ-ბანინ“ (ვაჟების დედა). იბნ ‘ასაქირი ‘ათიქას ამ ტიტულით იხსენიებს ბიოგრაფიის სათაურშივე, რათა განასხვავოს ის „უმმ ალ-ვალადისაგან“. იბნ ‘ასაქირი ‘ათიქას დადებითად ახასიათებს განსხვავებით ამავე ეპოქის სხვა ქალებისაგან. ‘ათიქა[117] იყო ‘აბდ ალ-მალიქის უსაყვარლესი ცოლი, რომელიც თავისი სათნოებითა და სილამაზით გამოირჩეოდა. ‘ათიქასადმი ‘აბდ ალ-მალიქის ერთგულების საზომი ისიც იყო, რომ მან თავის უფროს ვაჟებს, უშუალო მემკვიდრეებს – ვალიდს და სულაიმანს უანდერძა ეზრუნათ იმაზე, რომ მათ შემდეგ ‘ათიქას ვაჟი გამხდარიყო ხალიფა. მართლაც, სულაიმანის მიერ იაზიდი მეორე მემკვიდრედ გამოცხადდა ‘უმარ II ბ. ‘აბდ ალ-‘აზიზის შემდეგ, რომელიც იყო ‘აბდ ალ-მალიქის ძმისშვილი და სიძე (ფატიმა ბ. ‘აბდ ალ-მალიქის მეუღლე). თავის დროზე ‘ათიქას ერთადერთი შთამომავალი – იაზიდ II (101-106/720-724) გახალიფდა [314,81].

‘აბდ ალ-მალიქს ტახტზე ასვლისას ემორჩილებოდა მხოლოდ სირია და ეგვიპტე. დასავლეთი და ცენტრალური არაბეთი ერაყი და მასზე დამოკიდებული სახალიფოს აღმოსავლური პროვინციები ექვემდებარებოდა მექის ხალიფას – ‘აბდ ალ-ლაჰ ბ. აზ ზუბაირს. ერაყი შიიტთა და ხარიჯიტთა აჯანყებებმა მოიცვა, სადაც ‘აბდ ალ-ლაჰმა თავისი ძმა მუს‘აბი დანიშნა გამგებლად.

685-687 წლებში მიმდინარეობდა ‘ალიდების აჯანყება ქუფაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მუხთარ ბ. აბი ‘უბაიდ ას-საკაფი. ის გამოვიდა ‘ალის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი შვილის – მუჰამმად ბ. ალ-ჰანაფიიას[118] მომხრედ. 687 წელს მუს‘აბმა ალყა შემოარტყა ქუფის ციხე-სიმაგრეს, სადაც მუხთარი იყო გამაგრე-

---

იაზიდ III (720-724) - მისი ვაჟი; ალ-ვალიდ I (705-715), სულაიმანი (715-717) და ჰიშამი (724-743) - ‘აბდ ალ-მალიქის შვილები სხვა ცოლისაგან; ალ-ვალიდ II (743-744) - ‘ათიქას შვილიშვილი მისი ვაჟის იაზიდ II-ისაგან. ამ ნათესავთა სიაში იგულისხმება აგრეთვე ‘აბდ ალ-მალიქის ორი შვილიშვილი ვალიდ I-საგან: იაზიდ III (744 წ.) და იბრაჰიმი (744 წ.).

[117] ‘ათიქამ იცოცხლა 130/747 წლამდე, როდესაც მისი შვილიშვილი ვალიდ II მოკლეს. ‘ათიქას საფლავი არის დამასკოს მიდამოებში. ეს ადგილი მის სახელს ატარებს, აქ იყო მისი სასახლე და აქ გარდაიცვალა ‘აბდ ალ-მალიქი 705 წელს, ისევე როგორც მოციქული მუჰამადი გარდაიცვალა თავისი უსაყვარლესი მეუღლის ‘ა’იშა ბინთ აბი ბაქრის სახლში.

[118] ‘ალი ბ. აბი ტალიბს ჰყავდა 14 ვაჟი სხვადასხვა ცოლისაგან. მათ შორის ხაულა ბინთ ჯა‘ფარისაგან (ჰანიფი ქალისაგან) შეეძინა მუჰამმადი, რომელსაც უწოდეს ჰანიფი ქალის ვაჟი – იბნ ალ-ჰანაფიიდა. ‘ალიდებს მისი არჩევა სურდათ ხალიფად.

ბული. აჯანყებულებს შეუწყვიტეს სურსათით და წყლით მომარაგება, მაგრამ ქალებმა აღმოუჩინეს აქტიური დახმარება. ისინი თითქოს მეჩეთში მიდიოდნენ, საიდუმლო გზით კი მიჰქონდათ მათთვის საჭმელ-სასმელი. შემდეგ მუṣ'აბმა ეს გზაც ჩაკეტა [58,II,734]. 4 თვის ალყის შემდეგ მუხთარი მოკლეს, ხოლო აჯანყებულები დააპატიმრეს. მუხთარის, როგორც ამ მოძრაობის იდეოლოგის სახელის გატეხვის მიზნით, მუṣ'აბთან მიიყვანეს მუხთარის ცოლები, რათა დაემოწმებინათ, რომ მან თავი გამოაცხადა მოციქულად. ერთ-ერთმა — უმმ საბითმა დაადასტურა და გაუშვეს, ხოლო 'ამრა ბინთ ნუ'მან ბ. ბაშირმა განაცხადა, რომ მისი ქმარი იყო მართლმორწმუნე მუსლიმი, რის გამოც ის დააპატიმრეს, ხოლო მუṣ'აბ ბ. აზ-ზუბაირს აცნობეს, რომ ორივემ დაადასტურა ზემოაღნიშნული ფაქტი [58,II,743-44]. მუṣ'აბის ცოლმა — 'ა'იშა ბინთ ტალჰამ[119] თხოვნა გაუგზავნა თავის მეუღლეს, შეეწყალებინა აჯანყებულები, მაგრამ შეწყალება დაგვიანდა [43,по.61; 176,364; 58,II,743-744; 110,254].

როდესაც 'აბდ ალ-მალიქმა გადაწყვიტა მუṣ'აბ ბ. აზ-ზუბაირის წინააღმდეგ გალაშქრება, 'ათიქა შეეწინააღმდეგა მეუღლეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ წინ გადაეღობა თავის მსახურებთან ერთად, მაგრამ 'აბდ ალ-მალიქმა არ შეცვალა თავისი განზრახვა. ამ ბრძოლიდან 'აბდ ალ-მალიქი გამარჯვებული დაბრუნდა (691 წ.) მოკლული მუṣ'აბის თავით, რომელიც გაგზავნილ იქნა სახალიფოს სხვადასხვა პროვინციებში. 'ათიქამ იხსნა ის შემდეგი უპატივცემულობისაგან. გაწმინდა, ნელსაცხებლები წაუსვა და დაკრძალა[120]. 'აბდ ალ-მალიქმა მუṣ'აბი დაამარცხა 691 წელს, ხოლო 692 წელს

---

[119] 'ა'იშა ბინთ ტალჰა (დედის მხრიდან ხალიფა აბუ ბაქრის შვილიშვილი), იყო უმაიანთა დინასტიის ერთადერთი ქალბატონი, რომელიც მოხსენიებულია ტიტულით — საიდა ნისა' ან-ნას, საიდა ნისა' ალ-'ალამინ, საიდა ნისა' ალ-მუსლიმინ (უფრო ხშირად, როგორც "მუსლიმ ქალთა ქალბატონი"), ისევე როგორც ხადიჯა, 'ა'იშა (მუჰამადის ცოლები), და ფატიმა (მუჰამადის ქალიშვილი).

[120] მუṣ'აბის ერთ-ერთი ცოლი იყო სუქაინა ბინთ ჰუსაინი. მის პიროვნებას დიდ ადგილს უთმობენ ისტორიკოსები. სუქაინას თანდასწრებით მოკლეს მისი მამა — ჰუსაინ ბ. 'ალი. ამის გამო ის არასოდეს ფარავდა ზიზღს უმაიანთა დინასტიის მიმართ. ის ამბობდა: „თქვენ მოკალით ჩემი ბაბუა — 'ალი, მამა (ჰუსაინი), ჩემი ძმა (ჰასანი) და ჩემი ქმარი (მუṣ'აბ ბ. აზ-ზუბაირი)" [176, 364].

მისი ძმა – 'აბდ ალ-ლაჰ ბ. აზ-ზუბაირი[121], რომლის წინააღმდეგაც მექაში გააგზავნა ჰაჯჯაჯ ბ. იუსუფი.

'აბდ ალ-მალიქის შემდეგ ტახტზე ავიდა ვალიდ I (705-715). მას ჰყავდა რვა კანონიერი ცოლი: ლუბაბა ბინთ 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-'აბბას, ფატიმა ბინთ მუ'ავიია, ზაინაბ ბინთ სა'იდ ბ. ალ-'ას, უმმ ჯაჰშ ბინთ 'აბდ არ-რაჰმან ბ. ალ-ჰარს, ნაფისა ბინთ 'ალი[122], რომელიც მასზე ადრე გარდაიცვალა, ზაინაბ ბინთ 'ალი და ნაფისა ბინთ აბი ბაქრი, მაგრამ არც ერთს შვილი არ ჰყავდა. ამიტომ ამჯობინებდა მხევლებთან ყოფნას. ვალიდ I-ის მერვე ცოლი იყო მისი ბიძაშვილი – 'უმარ ბ. 'აბდ ალ-'აზიზის და. მისი მეტსახელი იყო უმმ ალ-ბანინ – „ვაჟების დედა". სამი ვაჟი ჰყავდა – 'აბდ ალ-'აზიზი, მუჰამმადი და ანბასა [8,V,236]. ის დიდი გავლენით სარგებლობდა 'აბდ ალ-მალიქის და ვალიდის კარზე. სნორედ უმმ ალ-ბანინის გავლენით ვალიდმა სიცოცხლეშივე მიიღო გადანყვეტილება მემკვიდრის თაობაზე 'აბდ ალ-'აზიზის სასარგებლოდ. 'აბდ ალ-მალიქის მითითებით, ვალიდის შემდეგ ხალიფობა უნდა გადასცემოდა მის ძმას – სულაიმანს. ვალიდს სურდა აეძულებინა სულაიმანი უარი ეთქვა თავის უფლებებზე, მაგრამ სულაიმანი არ დაეთანხმა 'აბდ ალ-'აზიზის კანდიდატურას. ასევე სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა პროვინციებში. მაშინ ვალიდმა 'უმარს სთხოვა მოეწოდებინა მოსახლეობისადმი, რათა მხარი დაეჭირათ თავისი დისშვილისათვის. 'უმარმა უარი განაცხადა და განრისხებულმა ვალიდმა კინაღამ დაახრჩო. სნორედ უმმ ალ-ბანინმა იხსნა თავისი ძმა და უზრუნველყო მისი უსაფრთხოება.

უმმ ალ-ბანინის გავლენას ყველა გრძნობდა, მათ შორის პროვინციათა მმართველებიც. 710 წელს ჰაჯჯაჯის ძმა – მუჰამმად ბ. იუსუფი, იემენის გამგებელი, ჩამოვიდა ვალიდთან დიდი საჩუქრებით, რომელთა მიღება ძალიან სურდა უმმ ალ-ბანინს, მაგრამ მუჰამმადმა უარი უთხრა, ვიდრე პირველად ვალიდი არ ნახავდა. ამან აღაშფოთა უმმ ალ-ბანინი და როცა ვალიდმა ჩვეულებრივ ნახა საჩუქრები და გაუგზავნა მას, არ მიიღო. უმმ ალ-ბანინის განცხადებით, ისინი მუჰამმადის მიერ ხალხის ჩაგვრის ნაყოფი იყო. დადანაშაულებული მუჰამმადი იძულებული გახდა 50-ჯერ დაეფიცა, რომ არავინ არ შეუვიწროვებია, ვიდრე უმმ ალ-ბანინი

---

[121] 'აბდ ალ-ლაჰსაც ჰყავდა თავისი ქალი მომხრეები. დაახლოებით, 40 მათგანი იბრძოდა ისე, როგორც მამაკაცი და ერთი ბოლოს დაეცა ამ ბრძოლაში [179,365].

[122] ნაფისა ბინთ ზაიდ ბ. ჰასან ბ. 'ალი [8,VIII,318] – ხალიფა ვალიდის დროს გარდაიცვალა.

არ შეინყნარებდა და მიიღებდა მის საჩუქრებს [58,II,1273]. არსებობს ასეთი გადმოცემაც, რომ ერთხელ ვალიდთან მივიდა შავი ჩალმით ჰაჯჯაჯ ბ. იუსუფი, რომელიც კაისიტი იყო და უმმ ალ-ბანინის კეთილგანწყობით არ სარგებლობდა. უმმ ალ-ბანინმა ის ბედუინს შეადარა და უთხრა ვალიდს: „მე ვისურვებდი გამეგო, რომ შენ მარტო საუბრობ სიკვდილის ანგელოზთან, ვიდრე მარტო საუბრობდე ჰაჯჯაჯთან". შემდეგ ჰაჯჯაჯმა გააფრთხილა ხალიფა ქალთა საშიში გავლენის შესახებ. ვალიდმა კი მოუთხრო თავის ცოლს ამის თაობაზე. უმმ ალ-ბანინმა დაიბარა ჰაჯჯაჯი და გაკიცხა ის [98,511-512].

ხალიფა ვალიდი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ განახორციელა თავისი გეგმა მემკვიდრესთან დაკავშირებით. ამდენად 715 წელს ხალიფა გახდა სულაიმანი (715-717). არც ერთი წარჩინებული ქალბატონი არ ჩანდა სასახლეში მისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში. უმმ აბანი იყო დედა მისი უფროსი ვაჟის და მემკვიდრის, რომელიც მამაზე ადრე გარდაიცვალა. უმმ 'ამირი იყო მისი ორი ვაჟის — 'აბდ ალ-'აზიზის და 'აბდ ალ-ვალიდის დედა. სუ'და ისე გარდაიცვალა, შვილი არ ჰყავდა. ღვინო, ქალები და სიმღერები იყო სულაიმანის დროს სასახლის კარის მთავარი ატრიბუტები.

სულაიმანის გარდაცვალების შემდეგ ფიცი მისცეს 'აბდ ალ-'აზიზ ბ. ვალიდს, მაგრამ მან მხარი დაუჭირა 'უმარს ('უმარ II, 717-720 წწ.) — 'აბდ ალ-მალიქის ძმისშვილს. ატ-ტაბარის ცნობით, ვალიდის დროს საუბრები მიმდინარეობდა მშენებლობებზე, სულაიმანის დროს ქორწინებებზე და მხევლებზე, 'უმარის დროს ერთმანეთს ეკითხებოდნენ ღამის ლოცვებზე [58, II,1273]. 'უმარის დედა იყო ხალიფა 'უმარ I-ის შვილიშვილი — უმმ 'ასიმ ბინთ 'ასიმი. თვითონ 'აბდ ალ-მალიქმა მიათხოვა 'უმარს თავისი ქალიშვილი — ფატიმა, 'უმარს ჰყავდა თოთხმეტი ან თექვსმეტი შვილი. აქედან ცხრა მხევალისაგან, რაც ნაკლებად მეტყველებს მის ღვთისმოსავ ცხოვრებაზე [98,513]. 'უმარს სამი კანონიერი ცოლი ჰყავდა, ფატიმა ბინთ 'აბდ ალ-მალიქი გამორჩეული იყო. მისგან ეყოლა ისჰაკი, ია'კუბი და მუსა. გადმოცემით, 'უმარმა უთხრა ფატიმას: „თუ სურვილი გაქვს ჩემს გვერდით ყოფნის, დაუბრუნე რაც გაქვს ფული, სამკაულები და ძვირფასი ქვები მუსლიმთა საგანძურს, რადგანაც ჩვენ სამნი — შენ, ისინი და მე არ შეიძლება ერთ საფეხურზე ვიყოთ". ასე რომ გამოეთხოვა ფატიმა თავის საგანძურს. მომდევნო ხალიფამ, 'უმარის სიკვდილის შემდეგ, ფატიმას ნახევარძმა — იაზიდმა დაუბრუნა ფატიმას ეს საგანძური და უთხრა: „მე ვიცი, 'უმარი უსამართლოდ მოგექცა". მაგრამ ფატიმამ არ მიიღო უკან. „მე ვემორჩილებოდი, როცა ცოცხალი იყო და ვერ გავუნევ წინა-

აღმდეგობას, როცა აღარ არის ცოცხალი". იაზიდმა აიღო ძვირფასი თვლები და გაანაწილა თავის ოჯახის წევრებზე [176,356].

'უმარის შემდეგ იაზიდ II ბ. 'აბდ ალ-მალიქი (720-724) გახდა ხალიფა. მისმა ქორწინებებმა და სასიყვარულო ამბებმა თანამედროვეების ყურადღება მიიქცია. ჯერ კიდევ თავისი ძმის — ვალიდის მმართველობის დროს დაქორწინდა ხალიფა 'ალის შვილიშვილის შვილზე. ვალიდმა ჩათვალა, რომ იაზიდმა საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადა მაჰრის სახით და ბრძანა ქორწინების გაუქმება, ხოლო თანხა უკან დაიბრუნა. სულაიმანის მმართველობის დროს იაზიდმა ორი საქორწინო კონტრაქტი დადო და იმავდროულად იყიდა მონა ქალი — 'ალიდა (ჰაბაბა)[123]. როდესაც ეს სულაიმანმა გაიგო, აიძულა იაზიდი გაეყიდა ის. შემდეგ იაზიდმა იქორწინა სუ'დაზე და რუბაიჰაზე ხალიფა 'უსმანის და აბუ ტალიბის ოჯახიდან. ამის გარდა სამი კანონიერი ცოლი ჰყავდა, მათ შორის უმმ ალ-ჰაჯჯაჯი — ჰაჯჯაჯ ბ. იუსუფის დისშვილი და ხალიფა ვალიდ II-ის დედა. გადმოცემით, ერთ დღეს სუ'დამ ან უმმ ალ-ჰაჯჯაჯმა ჰკითხა იაზიდს, თუ იყო რაიმე ამქვეყნად, რაც მის გულს ძლიერ სურდა. მან უპასუხა: 'ალიდა. მაშინ მისმა ცოლმა დაიწყო ძებნა და იპოვა ეს მონა ქალი, საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა მის გამოსასყიდად, ჩააცვა და მიართვა თავის ქმარს საჩუქრად. მის შემდეგ მან იაზიდის განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურა, ხოლო მონა ქალისაგან მიიღო აღთქმა, რომ ხელს შეუწყობდა მისი ვაჟის მემკვიდრედ გახდომას.

იაზიდის გარდაცვალების შემდეგ ხალიფა გახდა 'აბდ ალ-მალიქის შვილი — ჰიშამი (724-743). მან იქორწინა თავისი ძმისშვილის — 'აბდ ალ-'აზიზ ბ. ვალიდის ყოფილ ცოლებზე — უმმ ჰაქიმზე ('აბდ ალ-მალიქის ბიძაშვილი) და მაიმუნაზე (აბუ ბაქრის შვილიშვილზე). უმმ ჰაქიმისაგან შეეძინა ორი ვაჟი — მასლამა და იაზიდი.

743 წელს ხალიფა გახდა ვალიდ II (743-744). მისთვის მორალური თვალსაზრისით შეზღუდვები არ არსებობდა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ვალიდმა იქორწინა სუ'დაზე, ხალიფა 'უსმანის ოჯახიდან, მაგრამ პირველივე დანახვაზე შეუყვარდა მისი და — სალამა. მუსლიმური სამართლით, მას არ შეიძლებოდა ერთდროულად ორი და ჰყოლოდა ცოლად, ამიტომ გასცილდა სუ'დას. მხოლოდ ხალიფად გახდომის შემდეგ იქორწინა სალამაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მალე გარდაიცვალა.

---

[123] იხ. III თავი, § 2 .მხევლები.

უმაიადანთა დინასტიის უკანასკნელი სამი ხალიფა დაბადებული იყო მხევალისაგან. იაზიდ III (744 წ.) იყო ვალიდ I-ისა და სასანიანთა უკანასკნელი შაჰინშაჰის იეზდიგერდ III-ის უკანონო ვაჟის – მუჰთაჯის ქალიშვილი (შაჰაფრიდი). როდესაც არაბთა სარდალმა ქუთაიბა ბ. მუსლიმმა ილაშქრა შუა აზიაში, მასთან მიიყვანეს მუჰთაჯის ორი ქალიშვილი, რომლებიც მან ვალიდ ბ. <აბდ ალ-მალიქს გაუგზავნა. ხალიფა იბრაჰიმს (744 წ.) ჰყავდა ბერძენი დედა, ხოლო უმაიადანთა დინასტიის უკანასკნელ ხალიფას მარვან II ბ. მუჰამმადის, იგივე მურვან ყრუს დედა ქურთი იყო – რაიან ან თარუბა. მარვანი დამარცხდა 'აბბასიანებთან ბრძოლაში და დაიღუპა (750 წ.). 'აბბასიანებმა ამოხოცეს უმაიანთა თითქმის მთელი საგვარეულო. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე, მაფ შორის მარვანის ოჯახის წევრი ქალებიც. მოგვიანებით, მარვანის ცოლმა – მუზნამ[124] შეწყალება მიიღო 'აბბასიანი ხალიფა მაჰდისაგან (775-785).

მარვან II-ის დამარცხების შემდეგ 132/750 წელს, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ 'აბბასიანები – მოციქულ მუჰამადის ბიძის ალ-'აბბას ბ. 'აბდ ალ-მუტტალიბის ვაჟის – 'აბდ ალ-�აჰის პირდაპირი შთამომავლები. 'აბბასიანთა მმართველობა გაგრძელდა ბაღდადის დაცემამდე 656/1258 წლამდე [114,32-36].

ისტორიკოსები, რომლებიც აღწერენ 'აბბასიანთა პერიოდის ამბებს, ხშირად მოიხსენიებენ ქალთა სახელებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი პოლიტიკური აქტივობით. განსაკუთრებით, უნდა აღვნიშნოთ სამეფო ოჯახის წევრი სამი ქალი: ხაიზურანი, ზუბაიდა და ზაინაბი.

1. *ხაიზურანი* (ხაიზურან ბინთ 'ატა' ალ-ჯურაშიდა) – იემენური წარმოშობის ყოფილი მონა-ქალი, რომელიც მოგვიანებით (159/775-776წ.) გახდა ხალიფა ალ-მაჰდის კანონიერი ცოლი. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი აღნიშნავს, რომ ხაიზურანი იყო გამორჩეული ქალი, რომელიც უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა და ასე დაფასდა ისლამის ისტორიაში [16,XIV,430].

ხაიზურანს დიდ ადგილს უთმობენ ისტორიკოსები. ამასთან ის მოხსენიებულია ყველა ნაშრომში, რომელიც ქალებს ეძღვნება და ბიოგრაფიულ კრებულებში, სადაც მოტანილია ისლამის ისტორიაში ცნობილ პირთა ბიოგრაფიები. ხალიფებს ჰყავდათ მრავალი ცოლი, მხევალი, დები და სხვა ქალი ნათესავები, მაგრამ ხაიზურანზე ყველაზე ვრცელი გადმოცემებია[125] [314,84-91].

---

[124] ის გარდაიცვალა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის ხალიფობის დასაწყისში.

[125] ნ. ებოთი მას უთმობს თავისი წიგნის ნახევარს [180,21-134].

ყველა ისტორიკოსი ეთანხმება ერთმანეთს, რომ ხაიზურანი მართავდა, მბრძანებლობდა და გამგებლობდა მუსლიმურ იმპერიაში სამი ხალიფას დროს: თავისი ქმრის ალ-მაჰდის (775-785), თავისი უფროსი ვაჟის — ალ-ჰადის (785-786) და უმცროსი ვაჟის — ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) დროს.

ხაიზურანის გავლენა პოლიტიკაზე პირველად გამოჩნდა ალ-მაჰდის დროს იაჰიას ბ. ხალიდ ბ. ბარმაქის[126] დაპატიმრებისას. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ პირველი 'აბბასიანების დროს გაძლიერდა ირანის პოლიტიკური არისტოკრატიის გავლენა სახალიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ხალიფას კარზე დაწინაურდნენ ბარმაქიანთა[127] ცნობილი გვარის წარმომადგენლები. მათი მეთაური იყო — ხალიდ ბ. ბარმაქი, რომელიც ალ-მანსურის დროს გახდა ფარსის და ტაბარისტანის მმართველი[128], მოგვიანებით კი — ვაზირი. ხალიდის ვაჟი — იაჰიას დანიშნულ იქნა სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციების მმართველად, ხოლო ჰარუნ არ-რაშიდის დროს გახდა სრულუფლებიანი ვაზირი, რომელიც თავის ვაჟებთან (ფადლი და ჯა'ფარი) ერთად წარმართავდა სახელმწიფო საქმეებს. ხაიზურანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახალიფოს ადმინისტრაციულ მმართველობაში. ის მეგობრულად იყო განწყობილი ბარმაქელებთან და მაჰდიზე თავის გავლენას მათ დასახმარებლად იყენებდა. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი ასეთ ისტორიას გვიყვება: „ალ-მაჰდიმ დანიშნა ხალიდი ფარსის მმართველად, მაგრამ მან უფლებამოსილება გადასცა თავის ვაჟს — იაჰიას, რომელმაც განაახლა პროვინციის დაჯარიმება. შემოიღო მინის გადასახადი და თავის ხელში მოაქცია დიდი სახსრები. მაჰდიმ შეიტყო ეს და იაჰიას ციხეში ჩასვა. ამასთან აიძულა გადაეხადა 1 მლნ. დირჰამი ხალიფას ხაზინაში ყოველ პარასკევს, ჯარიმის სახით. როცა ხაიზურანმა შეიტყო ამის შესახებ, მოსთხოვა მაჰდის მისი გათავისუფლება და ამასთან თანამდებობაზე აღდგენა. მაჰდი იძულებული გახდა დათანხმებოდა [180,55].

---

[126] იაჰიას ბ. ხალიდ (120-190/738-805) — ხალიდ ბ. ბარმაქის ვაჟი, ნაცვალი და მინისტრი. ალ-მაჰდის დროს ის გახდა ახალგაზრდა უფლისწულის — ჰარუნის აღმზრდელი (162/777-78 წლიდან). ერთხანს, 163/779-80 წლიდან დივანს არრასა'ილის (დოკუმენტთა დივანის) გამგებელი იყო [94,671].

[127] ბარმაქიანები — ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი გვარი სახალიფოში. წარმოშობით ბალპიდან. ამ გვარიდან იყვნენ პირველი ვაზირები არაბთა სახალიფოში. მათი ძალაუფლება თითქმის 50 წელს გაგრძელდა [94].

[128] ის ამ პროვინციებს მართავდა 7 წელი (767-771) ალ-მაჰდის დროს ის კვლავ დაინიშნა ფარსის მმართველად 163/779-80 წელს.

ხაიზურანის პოლიტიკური ზეგავლენის მეორე შემთხვევა დაკავშირებულია ქუფის მოსამართლე შარიქ ბ. 'აბდ ალ-ლაჰთან, რომელთანაც კონფლიქტი მოუხდა ხაიზურანის აგენტს. ხაიზურანი ძალიან კარგად იცვამდა, საუკეთესო ქსოვილის ტანსაცმლით იმოსებოდა[129]. ამის გამო ხაიზურანის აგენტები მოგზაურობდნენ მთელ სახალიფოში, რათა მოეძიებინათ საუკეთესო ქსოვილები და მკერავები. ერთ წელს, ხაიზურანმა თავისი აგენტი ქუფაში გააგზავნა, რათა იქ ფაბრიკის პროდუქციაზე კონტროლი გაეწია. გადმოცემით, ის აიძულებდა მუშებს, შეესრულებინათ დამატებითი სამუშაოები შესაბამისი ანაზღაურების გარეშე. ერთ-ერთი მუშა გაიქცა, მაგრამ ძალით უკან დააბრუნა. აგენტმა უბრძანა მოსამართლეს — გაეგზავნა ის ციხეში. მაგრამ მოსამართლემ გაათავისუფლა ის, ხოლო აგენტს გამათრახება მიუსაჯა [16,IX,288; 180,59]. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ხაიზურანის ძალაუფლება შეზღუდული იყო.

სწორედ ხაიზურანის ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ალ-მაჰდიმ თავის მემკვიდრეებად სიცოცხლეშივე გამოაცხადა მუსა ალ-ჰადი (159/776ნ.) და ჰარუნ არ-რაშიდი (166/782-83ნ.). ამასთან, მოგვიანებით მან მემკვიდრეობას ჩამოაცილა ყველა ვაჟი, მათ შორის თავისი ჰაშიმიანი მეუღლისაგან — ალ-რაიტასაგან.

ალ-მაჰდის სიკვდილის შემდეგ ხაიზურანი ცენტრალური ფიგურა გახდა სასახლის კარზე. ალ-მაჰდი[130] გარდაიცვალა 169/785 წელს და დაინყო სახალიფოს ისტორიისათვის ჩვეული ბრძოლა ტახტზე პრეტენდენტებს შორის. მაჰდის უფროსი ვაჟი — მუსა ალ-ჰადი — იმ დროს იყო ჯურჯანის მმართველი, ხოლო მეორე — ჰარუნ არ-რაშიდი — აზერბაიჯანის და სომხეთის. თითოეულ პრეტენდენტს ჰყავდა საკუთარი ადმინისტრაცია და მრჩევლები, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ თავიანთი მბრძანებლის ხელისუფლებისათვის. ხაიზურანმა, ორივე პრეტენდენტის დედამ გაით-

---

[129] ხაიზურანი იყო ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი თავისი დროის. მისი ძალაუფლების მწვერვალზე ხაიზურანის ყოველწლიური შემოსავალი იყო 160 მლნ დინარი. მას გარდაცვალების მომენტში ჰქონდა 18 ათასი კაბა. მისი დიდი მიდრეკილება ძვირფასი სამოსისადმი გახდა საფეიქრო წარმოების განვითარების საფუძველი [387,80].

[130] ალ-მაჰდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიაა: ა) სიკვდილის წინ ის გაემართა ჯურჯანში, რათა მოლაპარაკებოდა მუსა ალ-ჰადის — მომავალ მემკვიდრეს, უარი ეთქვა ტახტზე ჰარუნის სასარგებლოდ. მაგრამ მოულოდნელად გზაში გარდაიცვალა. ბ) ტაბარისტანში ექსპედიციის დროს თავის ვაჟთან — ჰარუნთან ერთად გაემგზავრა. ალ-მაჰდი ავად გახდა სნეულებით, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ის მაშინვე გარდაიცვალა და ჰარუნმა გადაწყვიტა იქვე დაეკრძალა, შემდეგ დაბრუნდა ბაღდადში.

ვალისწინა, რომ ხალიფას სიკვდილი ყოველთვის იყო არეულობის, ქაოსის პერიოდი, მისი ორი ვაჟი კი შორს იყო ბაღდადიდან. მან იხმო ვაზირები კონსულტაციისათვის და უბრძანა მათ დაუყოვნებლივ გადაეხადათ ჯამაგირი არმიისათვის – სამი წლის ექვივალენტური თანხა, საკმაოდ მნიშვნელოვანი. ეს აუცილებელი იყო, რათა დაემშვიდებინა ჯარისკაცები, რომლებიც მზად იყვნენ დაეწყოთ მღელვარება ახალი ამბის გაგებისთანავე[131]. ჰარუნის ბაღდადში დაბრუნების შემდეგ, ხაიზურანმა და მისმა ვაჟმა თავის თავზე აიღეს ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის რიტუალი. მათ შეათანხმეს, რომ ალ-ჰადი იქნებოდა ახალი ხალიფა და ჰარუნმა მიიღო წარჩინებულებისაგან ფიცი თავისი ძმის ერთგულებაზე. თვითონ ალ-ჰადის კი 20 დღე დასჭირდა, რათა დაბრუნებულიყო დედაქალაქში [44,V,81-84].

წყაროებში მოთხრობილია, რომ ხაიზურანმა ალ-ჰადის ჩამოსვლამდე გამოიძახა ორი მნიშვნელოვანი მინისტრი – არ-რაბი'ა ბ. იუნუს და ცნობილი იაჰიი ალ-ბარმაქი. ისინი მაშინვე გამოცხადნენ მის კარზე. მაგრამ მოხდა მნიშვნელოვანი ინციდენტი, რომელიც მიუთითებს ხაიზურანის ძალაუფლების საზღვრებზე. როცა ხაიზურანმა უთხრა ორ მომლოდინე მინისტრს – შესულიყვნენ, მხოლოდ ერთი დამორჩილდა მის ბრძანებას. არ-რაბი'ამ მიიღო მისი მიწვევა და ყველაფერი გააკეთა, რათა დაეწყნარებინა აჯანყებულები [58,III,544-47]. ხოლო იაჰიამ გაითვალისწინა, რომ ალ-ჰადის არ მოეწონებოდა მისი თანამშრომლობა ხაიზურანთან და უარი განუცხადა. მართლაც, ალ-ჰადიმ როცა შეიტყო ახალი ამბავი, კურიერი გაუგზავნა არ-რაბი'ას და დაემუქრა სიკვდილით [284,61].

ალ-ჰადიმ თავისი მმართველობა იმით დაიწყო, რომ შეეცადა შური ეძია თავის დედაზე, რომელსაც ეკუთვნოდა ინიციატივა – ჩამოეშორებინა ხელისუფლებისათვის კანონიერი მემკვიდრე (ალ-ჰადი) ჰარუნის სასარგებლოდ [132,153]. ამასთან ის შეეცადა დაერწმუნებინა ყველა, რომ პოლიტიკური საქმეები არ არის ქალის პრეროგატივა. ალ-ჰადიმ ჩამოაცილა ხაიზურანი სახელმწიფო საქმეებს. ამასთან გადაწყვიტა თავისი ძმის ჰარუნის დაპატიმრება, რათა მემკვიდრე გამხდარიყო თავისი ვაჟი – ჯა'ფარი. სახელმწიფო ინტრიგებში მონაწილეობის მიზეზით, ხალიფამ ეს გავლე-

---

[131] მათ ცეცხლი წაუკიდეს არ-რაბი'ას (ვაზირი) სახლს და ციხიდან პატიმრები გაათავისუფლეს.

ნიანი ბარმაქელი ციხეში ჩასვა[132] [387,80]. მაგრამ მალე ხალიფა მოკლულ იქნა (170/786ნ).

თავისი ქმრის მმართველობის დროს ხაიზურანს ჰქონდა აუდიენციები. მას მრავალი ცნობილი ადამიანი (ვეზირები, მეცნიერები, პოეტები და სხვ.) აკითხავდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმის გადასაწყვეტად [85,137]. თუმცა არაფერი შეცვლილა მისი ქმრის გარდაცვალების შემდეგაც. ატ-ტაბარის თანახმად, „მუსას ხალიფობის დროს ხაიზურანი ხშირად მიმართავდა მას თავისი ახლობლების გამო თხოვნით და ის აჯილდოვებდა მას (უსრულებდა თხოვნას). ეს გაგრძელდა 4 თვე მის ხალიფობაში და ხალხი იკრიბებოდა მის გარშემო, ეძიებდა მის დახმარებას და ხალხის პროცესია მისი კარის წინ იყო" [58,III,569]. წყაროებში არ არის ცნობები ხაიზურანის და ალ-ჰადის, როგორც ხალიფას, პირველი შეხვედრის შესახებ. თუმცა, გადმოცემები ეთანხმება, რომ თავისი მმართველობის პირველი თვეების განმავლობაში ალ-ჰადიმ მისცა დედას სრული თავისუფლება და პრივილეგიები, რაც ჰქონდა თავისი მამის დროს. „ის აგრძელებდა თავის თავზე აეღო გადაწყვეტილების გამოტანა მასთან [ალ-ჰადისთან] კონსულტაციის გარეშე. ისევე იქცეოდა, როგორც ადრე, ალ-მაჰდის მმართველობის დროს..... ხალხი მიდიოდა და აღწევდა მისი კარის შიგნით [44,VI,79]. ალ-ჰადი საფრთხეს გრძნობდა დედის ამბიციების გამო და თან ეჭვიანობდა თავის ძმა ჰარუნზე, რომელიც ხალხს და დიდებულებსაც ძალიან უყვარდა და განთქმული იყო თავისი სამხედრო ნარმატებებით. ალ-ჰადიმ რამდენჯერმე სცადა ჩამოეშორებინა თავისი ძმა და თავისი შვილი — ჯა'ფარი გაეხალიფებინა. ჰარუნმა თავიდან აიცილა დაპირისპირება, ცდილობდა შორს ყოფილიყო ძმისაგან, მაგრამ ეს არ იყო ხაიზურანის სტილი. ის განაგრძობდა ჩარევას იმაში, რაც მისი აზრით მას ეხებოდა. ეს იყო იმპერიის საქმეების მართვა. ალ-ჰადი კი საპირისპიროდ ფიქრობდა და გამუდმებით ეუბნებოდა მას, რომ ეს არ არის ქალების უფლება, ჩაერიონ ხელისუფლების საქმეებში. ილოცე და შეასრულე ღვთისმსახურება და მიუძღვენი თავი ალაჰის სამსახურს. ამის შემდეგ დაემორჩილე ქალის როლს, რომელიც განკუთვნილია თქვენი სქესისათვის" [58,III,571; 44,VI,68].

ხაიზურანის და ალ-ჰადის დაპირისპირება მოხდა პოლიციის უფროს — 'აბდ ალ-ლაჰთან დაკავშირებით. ერთ დღეს ხაიზურანი მივიდა ალ-ჰადისთან, რათა აეძულებინა მისი მორიგი თხოვნა შე-

---

[132] ჰარუნმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე გაათავისუფლა იაჰიი ბ. ხალიდი [100,151].

ესრულებინა. მან უშუამდგომლა ვინმე 'აბდ ალ-ლაჰ ბ. მალიქს[133]. მაგრამ ალ-ჰადრმ უარი უთხრა. ხაიზურანმა კი განუცხადა: „შენ ვალდებული ხარ მიპასუხო, რადგან მე უკვე პირობა მივეცი 'აბდ ალ-ლაჰს. მან შეცდომა დაუშვა, რადგანაც ეს ღიად განუცხადა. როცა ხაიზურანი კარისკენ მიდიოდა ალ-ჰადრმ თავისი აზრი გამოხატა ქალებზე: „გაჩერდი, სადაც ხარ, და მოისმინე კარგად ჩემი სიტყვები .... ვფიცავ ალაჰს, თუ მე როდისმე გავიგებ, რომ ვინმე ჩემი გარემოცვიდან ან ჩემი სარდლებიდან ან ჩემი მოსამსახურეებიდან იქნება შენს კართან, მე მოვჭრი მათ თავებს და მათი ქონების კონფისკაციას მოვახდენ.....რა არის აზრი იმ ამალის, რომელიც შენი კარის წინ ტრიალებს დილიდან საღამომდე? ნუთუ არა გაქვს თითისტარი, რომ დაკავებული იყო ან ყურანის ასლი, რომ ილოცო [ალაჰისათვის], ან სახლი, სადაც დაიმალები იმათგან, ვინც გარს გახვევია? მიფრთხილდი და კიდევ ერთხელ მიფრთხილდი, თუ კიდევ გაბედავ ხმის ამოღებას ვინმეს სასარგებლოდ" [58,III,571; 50,VI,269]. ეს ფაქტობრივად ომის გამოცხადება იყო ალ-ჰადრის მხრიდან. ამის შემდეგ ალ-ჰადრმ იხმო თავისი სარდლები, ვინც რჩევას ეძიებდა მის დედასთან.

— „ვინ არის უკეთესი ჩვენს შორის? თქვენ თუ მე?" ჰკითხა ალ-ჰადრმ თავის ქვეშევრდომებს.

— „რა თქმა უნდა თქვენ ხართ უკეთესი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო" — ერთხმად მიუგეს მათ.

— „და ვისი დედა არის უკეთესი, ჩემი თუ თქვენი?" განაგრძობდა ხალიფა.

— „თქვენი დედა არის უკეთესი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო".

— „თქვენს შორის ვის მოენონებოდა ის მამაკაცი, რომელიც გაავრცელებდა ამბებს თქვენი დედის საქმეების შესახებ ამგვარად: მავანის და მავანის დედამ გააკეთა ეს. მავანის და მავანის დედამ თქვა ეს ან ის?"

— მათ ერთხმად წამოიძახეს: „არავის მოენონებოდა ეს".

— ხალიფამ უთხრა: „ამგვარად, როგორ ფიქრობთ თქვენ იმ მამაკაცის შესახებ, რომელიც მოდის ჩემს დედასთან და რომელიც

---

[133] 'აბდ ალ-ლაჰი იყო პოლიციის უფროსი ხალიფა ალ-მაჰდის დროიდან და მას ეევალებოდა — გაემათრახებინა უფლისწულ ალ-ჰადის კომპანიონები, ვინც არ მოენონებოდა ხალიფას [44,VI,70]. ალ-ჰადმ გალანძღა ის თავისი წარსული ქმედებების გამო. 'აბდ ალ-ლაჰმა აუხსნა, რომ ის ისევე ერთგულად ემსახურება მას, როგორც ემსახურებოდა მის მამას. ალ-ჰადრ კმაყოფილი დარჩა და დაასაჩუქრა თავისი ერთგული მსახური სამეფო საჩუქრით. მაგრამ 'აბდ ალ-ლაჰს შეეშინდა, რომ იმათ, ვისაც ამათრახებდა და ვისაც ახლა მაღალი თანამდებობა ეკავათ, არ აემხედრებინათ ხალიფა მის წინააღმდეგ.

შესაბამისად თავის საქმეებს მათი საუბრის ობიექტად ხდის?" როცა მათ მოისმინეს ეს, მათ აკრძალეს ეს ვიზიტები ხაიზურანთან [58,III,571; 44,VI,68; 50,VI,269-70].

ხაიზურანის პოლიტიკურ კარიერას ხელს უშლიდა არა ის, რომ ის იყო ქალი ან მონა, არამედ ის ფაქტი, რომ ხაიზურანი როგორც ქალი ეკუთვნოდა ჰარემს – მორჩილების ტერიტორიას.

ალ-ჰადი გარდაიცვალა 24 წლის ასაკში, 1 წლის და 2 თვის ხალიფობის შემდეგ. მრავალი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მისი სიკვდილი ხაიზურანის ბრალი იყო. ზოგიერთი ცნობით, ხაიზურანი მტრულად განეწყო მის მიმართ, რადგანაც შეიტყო, რომ ის აპირებდა მოეკლა ჰარუნი. ხაიზურანმა უბრძანა ალ-ჰადის მშვენიერ მხევალს, რომ შეპარულიყო იმ ოთახში, სადაც ხალიფას ეძინა და ბალიშით დაეხრჩო. ატ-ტაბარი, რომელიც ფრთხილად ეპყრობა ასეთ ქმედებებს, ამსუბუქებს ხაიზურანის დანაშაულს იმით, რომ ალ-ჰადი ერთხელ შეეცადა მოეკლა თავისი დედა. მან გაუგზავნა ხაიზურანს მოწამლული თევზი ბრინჯით. თან განუცხადა, რომ ის იყო დელიკატესი და სურდა ესიამოვნებინა მისთვის. მაგრამ ხაიზურანი ძალიან ფრთხილი იყო. მან ჯერ ის გასასინჯად მისცა თავის ძაღლს, რომელიც მაშინვე მოკვდა [58,III,570]. თავისი ერთწლიანი მმართველობის დროს ალ-ჰადიმ მოასწრო 'ალიდთა ლიდერების განადგურება მექის ახლოს 786 წელს, რაც შესაძლოა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც უბიძგა ხაიზურანს ასეთი გადამწყვეტი მოქმედებისაკენ [169,45].

ალ-ჰადის ჩამოცილების შემდეგ სასახლის და სახელმწიფოს ყველა საქმეებს წარმართავდა ხალიფას დედა და ვაზირი იაჰიი (ჰარუნის დროს მთავარი მრჩეველი), რომლის ვაჟი – ალ-ფადლი მართავდა დას. ირანის სასაზღვრო ოლქებს და ამასთან იყო ადმინისტრაციის მმართველი ხორასანში (792-796) [180,133]. მოგვიანებით ის იყო ერაყის, ცენტრალური ირანის, ტაბარისტანის, აზერბაიჯანის და სომხეთის ნაცვალი (796-802). მის დაწინაურებას ხელს უწყობდა ის, რომ ის იყო ჰარუნის ძუძუმტე. ჯა'ფარი დროდადრო მართავდა ეგვიპტეს, სირიას და მოგვიანებით ხორასანსაც.

786 წელს ხალიფა გახდა ჰარუნ არ-რაშიდი. მან გააცნობიერა დედის ტალანტი და აჩვენა მუსლიმურ სამყაროს, რომ მას არ რცხვენოდა გაეყო ძალაუფლება ქალთან, ვიდრე ის ხაიზურანისაგან სათანადო გადაწყვეტილებებს იღებდა. მაგრამ ჰარუნ არ-რაშიდს კიდევ ერთხელ უნდა შემოეფარგლა ჰარემში ქალის მოქმედების საზღვრები – ხაიზურანს ჰქონდა ძალაუფლება მხოლოდ მამაკაცის – ხალიფას თანხმობით [284,51].

ტახტზე ასვლისას ჰარუნმა მოისურვა სიკვდილით დაესაჯათ ყველა, ვინც დაეთანხმა ალ-ჰადის გეგმას, რომ გადასცემოდა ტახ-

ტი თავის ვაჟს (ჯა'ფარს) და არა ძმას – ჰარუნს. იაჰია ბ. ხალიდ-მა ურჩია, რომ უკეთესი იქნებოდა გაეგზავნათ ისინი „მტერთან საბრძოლველად" და ამგვარად დაინდეს მათი სიცოცხლე. უნდა აღინიშნოს, რომ ჰარუნის დროს ხაიზურანს ჰქონდა მოქმედების თავისუფლება, ის გადაწყვეტილებებს იღებდა ჰარუნთან მოლაპარაკების გარეშე. ხაიზურანი მიწერ-მოწერას ანარმოებდა პროვინციათა მმართველებთან, განსაკუთრებით ეგვიპტის ნაცვალთან, იხილავდა სახალიფოს საქმეებს. ეს მმართველები უყურებდნენ მას, როგორც ხალიფას თანასწორს. თვითონ იაჰიაც, რომელიც 17 წლის მანძილზე[134] ფაქტობრივად დამოუკიდებელი მმართველი იყო – ხალიფას პირადი ბეჭედი ჰქონდა, იღებდა მომჩივნებს და გადამწყვეტი ხმა ჰქონდა ყველა მაღალ თანამდებობაზე, თვით პროვინციის ამირების დანიშვნისას – ვალდებული იყო ნარედგინა მოხსენებები თავისი მმართველობის შესახებ ხაიზურანისათვის [94,672-73]. იაჰია უდავოდ ფლობდა სახელმწიფო მოხელის ტალანტს, მაგრამ თავისი მდგომარეობის სიმტკიცეს ის მნიშვნელოვნად უნდა უმადლოდეს ხაიზურანის მხარდაჭერას, რომელიც მასში ხედავდა მოკავშირეს და აქტიურ მხარდამჭერს [94,673].

ხაიზურანის ძალაუფლება სასახლის კარზე ვრცელდებოდა 173/789-90 წლამდე, მის გარდაცვალებამდე. დედის დაკრძალვის შემდეგ ჰარუნ არ-რაშიდის პირველი სახელმწიფო გადაწყვეტილება იყო ის, რომ სამეფო ბეჭედი, ვეზირის ნიშანი ჯა'ფარ ბარმაქელიდან (ხაიზურანის ფავორიტი) გადასცა ფადლ ბ. არ-რაბი'ას[135]. ხალიფამ განუმარტა ფადლს, რომ აქამდე ის ემორჩილებოდა დედის სურვილებს და ვერ შეძლო მისი დანინაურება [58,III,609]. ეს ფაქტი ხაიზურანის დიდ ძალაუფლებაზე მიუთითებს. ბარმაქიანთა მფარველი ხაიზურანის გარდაცვალების შემდეგ ჰარუნმა მიიღო მოქმედების თავისუფლება ქვეყნის მართვაში. რამდენადაც იაჰიას ვაჟებს – ალ-ფადლს და ჯა'ფარს მინდობილი ჰქონდათ ტახტის მემკვიდრეთა აღზრდა, ჰარუნი როგორც ჩანს შიშობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მათ შეეძლოთ ეხელმძღვანელათ სახელმწიფო პოლიტიკისათვის. 186/802 წელს პილიგრიმობიდან დაბრუნების შემდეგ, გადაწყვიტა ბარმაქიანთა დამხობა. 187 წლის 1 საფარს /803 წ. 28-9 იანვარს მან მოულოდნელად ბრძანა თავისი მრჩეველის

---

[134] ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის ვაზირი 17 წლის (170-187/786-803) განმავლობაში. ზოგიერთი ავტორი ამ პერიოდს უწოდებს „ბარმაქიანთა მმართველობის პერიოდს" (სულტან ალ-ბარმაქ). იაჰია გარდაიცვალა საპატიმროში.

[135] ფადლი 179/795-96 წელს დანიშნულ იქნა მთავარ კამერგერად (ჰაჯიბ), მუჰამმად ბ. ხალიდის ნაცვლად [94,673].

— ჯა'ფარის მოკვლა, ხოლო ვაზირ იაჰიას და მისი მეორე ვაჟის — ალ-ფადლის ციხეში ჩასმა, სადაც ისინი დაიღუპნენ [90,152].

2. *ზუბაიდა* — ხაიზურანის დისშვილი[136]. ზუბაიდა დაიბადა დაახლოებით 145/762-63 წელს. 165/781-82 წელს ის 19 წლის ასაკში გათხოვდა თავის ბიძაშვილზე, მომავალ ხალიფაზე — ჰარუნ არ-რაშიდზე. 170/787 წელს დაიბადა მუჰამადი, მომავალი ხალიფა ალ-ამინი. ზუბაიდამ აქტიური მონაწილეობა მიიღო, რათა თავისი ვაჟი გამხდარიყო პირველი მემკვიდრე 175/791-92 წელს, მაშინ როცა ის მხოლოდ 5 წლის იყო. მომდევნო შვიდი ან რვა წლის განმავლობაში, ჰარუნის გეგმები შეიცვალა. ის აშკარად ხედავდა ალ-მამუნის უპირატესობას ალ-ამინზე და 182-83/798-99წწ. ჰარუნმა ოფიციალურად გამოაცხადა უფროსი ვაჟი ('აბდ ალ-ლაჰ ალ-მა'მუნი), მეორე მემკვიდრედ, ხოლო 186/802-3 წელს მესამე ვაჟი — ალ-კასიმი მესამე მემკვიდრედ. ალ-მა'მუნი იმავდროულად ხორასნის შეუცვლელი მმართველი უნდა ყოფილიყო. მკვლევართა აზრით, ზუბაიდამ შესაძლოა წინასწარ შეიტყო ხალიფას ამ განზრახვის შესახებ 181/797-98 წელს და სერიოზულად შეშფოთდა, რადგანაც მის შვილს — ალ-ამინს მალე გამოუჩნდებოდა საშიში კონკურენტი, რომელსაც მხარს უჭერდა ჯა'ფარ ბ. იაჰია ალ-ბარმაქი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზუბაიდამ, რომელსაც არ ჰქონდა არც უფლება და არც შესაძლებლობა — დაპირისპირებოდა ქმრის ამ განზრახვას, თავისი უკმაყოფილება შენიღბა იმ გზით, რომ ბრძანა მოეჭრათ მონეტები[137] მის სახელზე ალ-ლუვაიდაში[138]. მას სურდა დაერიგებინა ისინი თავისი მომხრეებისათვის ჰაჯის დროს და შემთხვევითი არ არის, რომ უმმ ჯა'ფარის სახელით მოჭრილ დირჰამზე არის ყურანის 48 სურის („გამარჯვება") 29-ე აიას ფრაგმენტი. ამით ზუბაიდას უნდოდა გაემხნევებინა ალ-ამინის მომხრეები და მოეწოდებინა მათთვის გამოსულიყვნენ მისი შვილის მხარდასაჭერად [128,214]. როდესაც ჰარუნმა ანდერძით სახალიფოს ტერიტორია თავის 2 შვილს შორის გაანაწილა — ალ-ამინს სამმართველოდ გადასცა სახალიფოს არაბული ტერიტორიები (ერაყი და სახალიფოს დასავლური ტერიტორიები), ხოლო ალ-

---

[136] ხაიზურანის ოჯახის წევრებს შორის, რომლებიც მან ჩამოიყვანა მაჰდის სასახლეში, იყო მისი უფროსი და — სალსალი, რომელიც გათხოვდა მაჰდის ნახევარძმა — ჯა'ფარზე. ამ ქორწინებიდან დაიბადა ვაჟი იბრაჰიმი და ქალიშვილი სუქაინა (ამათ ალ-'აზიზ — სიტყვა-სიტყვით „ყოვლის შემძლის მონა-ქალი"). წერილობით წყაროებში ცნობილია მეტსახელით — ზუბაიდა (კნინობითი არაბ. ზუბდა-დან „ნაღები, ახალი კარაქი").

[137] 181/ 5 მარტი 797წ. და 21 თებერვალი 798წ.

[138] ადგილი მექის ახლოს (ქუფა-მექის საპილიგრიმო გზაზე).

მა'მუნს სპარსული ტერიტორიები (ხორასანი და სახალიფოს აღ-მოსავლური ტერიტორიები), ზუბაიდამ ბრალი დასდო მას უსამართლობაში[139]. ჰარუნი მოთმინებიდან გამოვიდა, ზუბაიდას პროტესტი სახალიფოს საქმეებში ჩარევად მიიჩნია და უთხრა: „რა თქვენი (ქალების) საქმეა, ჩვენი მოქმედებების განსჯა?"[50,VI,325].

მეორე პოლიტიკური მოვლენა, რომელშიც ზუბაიდამ მონაწილეობა მიიღო, იყო ბარმაქიანთა ოჯახის დამხობა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ბარმაქიანებმა დაარწმუნეს ჰარუნი – დაესახელებინა ალ-ამინი პირველ მემკვიდრედ. მაგრამ ზუბაიდას დამოკიდებულება შეიცვალა მათ მიმართ. ის უნდობლად უყურებდა ალ-მა'მუნსა და ჯა'ფარ ბ. იაჰიპ ბარმაქელს შორის მეგობრობას. ჰარუნის დამოკიდებულებაც შეიცვალა ბარმაქიანთა ოჯახისადმი. ჰარუნი შეშფოთებული იყო ბარმაქიანთა აღზევება-გაძლიერებით და საჯაროდ გამოაცხადა თავისი მემკვიდრეების შესახებ. ძმებმა და მამამ იმოგზაურეს მექაში, სადაც დოკუმენტი – ჰარუნის ანდერძი ჩამოკიდეს ქა'აბას კედლებზე. ძმებმა საზეიმოდ დადეს ფიცი, პატივი ეცათ მამის გადაწყვეტილებისათვის და კონტრაქტი მემკვიდრეობის შესახებ მექაში გავრცელდა. უკან დაბრუნებისას, ჯა'ფარმა შეაჩერა ძმები და დაჟინებით მოითხოვა, რომ ალ-ამინს გაემეორებინა ფიცი და დაედო უფრო მტკიცე ფიცი. ცხადი გახდა ყველასათვის, რომ ის არ ენდობოდა მას. ზუბაიდა განრისხდა და ამ დროიდან ის ხელს უწყობდა ამ ოჯახის განადგურებას[140] [276,25-26]. გადმოცემით, ზუბაიდას შესაძლებლობა მიეცა, რომ შეეტყო ჯა'ფარის და ჰარუნის დის – 'აბბასას სასიყვარულო ამბები. ამ ურთიერთობის დეტალები უცნობია. მათ ბავშვები შეეძინათ და მექაში გაგზავნეს გასაზრდელად. ერთი გადმოცემით, ზუბაიდამ ეს ამბავი შეატყობინა ჰარუნს, რომელიც საშინლად განრისხდა, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებია, ვიდრე არ წავიდა მექაში საპილიგრიმოდ 186/802 წელს. ბავშვების ნახვის შემდეგ, ჰარუნი დარწმუნდა და დაბრუნებისას ბრძანა ჯა'ფარის განადგურება [180,195-96]. 'აბბასას ბედი უცნობია. ასევე გასაიდუმლოებულია ზუბაიდას როლი ამ საქმეში. ყველა ისტორიკოსი ეთანხმება ერთმანეთს იმაში, რომ ზუბაიდას სძულდა ეს ოჯახი და რომ მას გარკვეული წვლილი მიუძღვის ფადლ ბ. რაბი'ასთან ერთად ბარმაქიანთა დამხობაში [276,26]. ზუბაიდა წინააღმდეგი იყო სასახლის კარ-

---

[139] ალ-მა'მუნის დედა იყო სპარსელი მონა-ქალი. ჰაშიმიანთა აზრით, ჰარუნ არ-რაშიდის მიერ მეორე მემკვიდრედ ალ-მა'მუნის გამოცხადება ნიშნავდა, რომ ის აძლევდა ქალებს და მონებს საშუალებას – გავლენა ჰქონოდათ მის საქმეებზე [284,181].

[140] ზუბაიდას შეეშინდა, რომ ჯა'ფარი მხარს დაუჭერდა ალ-მა'მუნს [180,195].

ზე სპარსული ელემენტის დაწინაურების. მას სძულდა ბარმაქელები ორი მიზეზით: ისინი იყვნენ სპარსელები და მისი ვაჟის ალ-ამინის მოწინააღმდეგენი. გადმოცემით, ჯა'ფარის სიკვდილით დასჯის წინ, ჰარუნი მოეთათბირა ზუბაიდას, რომელმაც ფაქტობრივად უბიძგა მას მკვლელობისაკენ.

როცა ალ-ამინი გარდაიცვალა, ზუბაიდას პირველი რეაქცია იყო შურისძიება, როგორც 'ა'იშამ შური იძია 'უსმანის სიკვდილის გამო. მაგრამ მან თქვა: „არ არის ქალების საქმე, აიღონ სისხლი და ბრძოლა წამოიწყონ" [51,VI,485-86]. ამის შემდეგ მან შავები ჩაიცვა და განმარტოვდა 6 წელი. როცა 204/819 წელს, ალ-მა'მუნი პირველად შევიდა ბაღდადში, ზუბაიდა მიესალმა მას და მიულოცა. ზუბაიდა გარდაიცვალა 216/831 წელს.

3. *ზაინაბი* (ზაინაბ ბინთ სულაიმან ბ. 'ალი 'აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-'აბბას) — განსაკუთრებით პატივსაცემი პრინცესა 'აბბასიანთა სამეფო ოჯახის პირველი 7 ხალიფას მმართველობის დროს. პირველად ის იხსენიება წყაროებში ხალიფა მარვან II-ის კარზე, როდესაც მან მოითხოვა იმამ იბრაჰიმის[141] გვამი, რომელიც გარდაიცვალა 748 წელს. ეს დიდი გამბედაობა იყო მაშინ, როცა მისი ძმები და ბიძაშვილები აშკარად დაპირისპირებული იყვნენ იბრაჰიმთან. აღნიშნულ პერიოდში ზაინაბი ჩანს, როგორც თავისი ოჯახის ინტერესების დამცველი. მისი ვაჟი 'აბდ ალ-ლაჰი ყოველთვის ინოდებოდა, როგორც იბნ ზაინაბი [276,45]. მის გამორჩეულ მდგომარეობაზე მეტყველებს შემდეგი მოთხრობაც: „როდესაც მარვანმა დატოვა თავისი სასახლე, მან თავშესაფარი პოვა იბრაჰიმ ბ. 'აბდ ალ-ლაჰის[142] სახლში, ბასრაში (სადაც შიიტებს მრავალი მომხრე

---

[141] იბრაჰიმი იყო მუჰამმად ბ. 'ალის (გარდ. 743 წ.) შვილი. მისმა მამამ შემოიკრიბა უკიდურესი შიიტები (ისინი მხარს უჭერდნენ მუჰამმად ბ. ალ-ჰანაფიიას მოძღვრებას) და გააჩაღა ფართო უმაიიანთა საწინააღმდეგო პროპაგანდა. 'აბბასიანები ამტკიცებდნენ, რომ მუჰამმად ბ. 'ალის სიკვდილის შემდეგ, 743 წელს ქარიზმატული ხელისუფლება გადავიდა მის ვაჟზე — იბრაჰიმზე. მან და მისმა ძმებმა — ას-საფფაჰმა და ალ-მანსურმა საბოლოოდ მოაწყვეს აჯანყება უმაიიანთა დინასტიის დასამხობად. 130/748 წელს მარვან II-მ დაატყვევა იბრაჰიმი და მალე ის ციხეში (ქ. ჰარრანი — ჩრდ. სირია) გარდაიცვალა (მოწამლეს). თუმცა ამას უკვე აღარ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე, რამდენადაც ლიდერობა 'აბბასიანთა შორის გადავიდა მის ძმაზე — აბუ-ლ-'აბბასზე, რომელმაც უმაიიანებთან ბრძოლა ბოლომდე მიიყვანა [169,13;112,5-6].

[142] შიიტთა მეორე იმამის — ჰასან ბ. 'ალის შთამომავალი, მუჰამმადის (ანნაფს აზ-ზაქიიას) ძმა. ისინი ჯერ კიდევ უმაიიანთა მმართველობის ბოლო პერიოდიდან იბრძოდნენ ხელისუფლებისათვის. მათ უარი განაცხადეს ეცნოთ ხალიფად აბუ-ლ-'აბბასი. შემდგომში 145/762-63 წელს მოაწყო აჯანყება ქვემო

ჰყავდათ). ჯა'ფარი და მუჰამადი — ზაინაბის ძმები სათავეში ჩაუდგნენ 300 კაციან სამხედრო ძალას, რათა შეეპყროთ ჩამოგდებული ხალიფა. ისინი გამოჩნდნენ იბრაჰიმის სახლთან, რათა პრეტენზიები წაეყენებინათ ხალიფასათვის, მაგრამ იბრაჰიმმა გააგზავნა უპირატესი სამხედრო ძალა, რომელმაც გაანადგურა 'აბბასიანები. შემდეგ იბრაჰიმმა გააგზავნა თავისი მომხრეები ზაინაბის სახლში რათა შეეტყობინებინა, რომ მან უსაფრთხოება აღუთქვა სულაიმანის ოჯახს [58,III,2520; 276,45]. მოგვიანებით, მარვან II-ის ცოლი მუზნა გამოჩნდა ხაიზურანთან და ითხოვა შეწყალება და თანაგრძნობა. ზაინაბმა გაახსენა, როგორ მიიღო უარი დახმარებაზე იბრაჰიმთან დაკავშირებით და გააგდო სასახლიდან[143]. მაგრამ ხაიზურანმა ჩუმად შეიფარა ის და წამყვანი ფიგურა გახდა სასახლის კარზე [180,44].

ატ-ტაბარი შენიშნავს, რომ ზაინაბს გავლენა ჰქონდა ალ-ჰადის სასახლეში [58,III,579]. ზაინაბი პირველი იყო, ვისაც ხაიზურანმა შეატყობინა ხალიფას გარდაცვალება [180,44]. ზაინაბის გავლენა სასახლის კარზე განსაკუთრებით გაიზარდა ალ-მა'მუნის მმართველობის დროს. ალ-მა'მუნმა გახალიფებისთანავე დაიწყო პროშიიტური რელიგიური პოლიტიკის გატარება. თუმცა მან სათანადოდ ვერ გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგები. 817 წელს ბაღდადში დაიწყო აჯანყება ხალიფას წინააღმდეგ და ალ-მა'მუნი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის რეფორმებზე. ბოლოს, 819 წელს ალ-მა'მუნი შევიდა ბაღდადში. მან მერვეში შიიტების მწვანე ალამი — 'ალიდებთან შერიგების სიმბოლო, კვლავ 'აბბასიანთა შავი ალმით შეცვალა. გადმოცემით, ზუბაიდა იყო იმათ შორის, ვინც დაარწმუნა ხალიფა უარეყო თავისი შიიტური მიდრეკილებები [276,29]. ფაქტობრივად, მხოლოდ ამის შემდეგ შეუშვეს ხალიფა ალ-მა'მუნი ბაღდადში. ზაინაბი გარდაიცვალა 226/842 წელს.

წყაროებში დაცული მასალა ადასტურებს, რომ 'აბბასიანთა სამეფო ოჯახის ეს სამი ქალბატონი უშუალოდ მონაწილეობდა სასახლის კარის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეებში.

არაბთა სახალიფოს ისტორიაში იყო შემთხვევები ქალთა გავლენისა სახელმწიფო საქმეებზე, მაგრამ ეს გავლენა იყო ქმრის ან ვაჟის საშუალებით. უმაიადთა დროს, როცა ჰარემის სტრუქტურამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო ფართო განვითარება, წყაროებში არ გვხვდება ასეთი ფაქტები. რამდენიმე უმაიადან ქალბატონს დიდი

ერაყში, ბასრის რაიონში (სადაც შიიტებს მრავალი მომხრე ჰყავდათ) ხალიფა ალ-მანსურის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა.

[143] მუზნამ შეახსენა ზაინაბს, რომ ქალები არ უნდა ჩაერიონ მამაკაცების საქმეებში [58,III,2520].

პიროვნული გავლენა ჰქონდა თავის ქმარზე, სხვები კი დიდებას და ბრნყინვალებას მატებდნენ სასახლის კარს. მაგრამ 'აბბასიანთა ისტორია სავსეა ისეთი მაგალითებით, როცა ხალიფას ცოლი ან დედა განაგებდა სახელმწიფო საქმეებს და განსაკუთრებით სახელმწიფო თანხებს, აღმართავდა მდიდრულ ნაგებობებს თავისი სახელით, ანიავებდა ხაზინას, ურიგებდა თავის ფავორიტებს. 869 ნელს ხალიფა ალ-მუჰთადი (869-870) თავის უპირატესობას წინამორბედ ხალიფებზე იმაში ხედავდა, რომ მას არ ჰყავდა დედა. ასე, რომ შეეძლო მარაგში დაეტოვებინა დიდი თანხები, რაც ადრე იხარჯებოდა ხალიფას დედის კარის შესანახად [97,649].

WOMAN IN ISLAM
(7TH – 10 TH CENT.)
Summary

Geopolitical interests of Georgia, the Islamic communities in Georgia, the factor of increasing Islamic influence on the world religion-political processes, the rise in the level of religious identity of the Muslim sitizens of the Post Soviet Space is the catalyst for the researchers of Islamic history. The significance and multiplity of questions about women, expecially in international scale, our century has brought the specific character. Now, when the gender studies is so actual, the goal of which is to eliminate gender-based discrimination and violence in societies, is inevitable to define the role and the place of woman in traditional Arab-Muslim society - based on historical reality, Islamic principles and norms of equvalence.

For Muslim ideologist as well as for traditionalists and modernists is characteristic two different points of view: a) they support the oldest conception of woman's biological and intellectual backward and they regard her role in society as a mother and a wife b) Or they try to idealize the status of woman and they claim that Islam granted women a position unequaled in other religions and cultures. In such a wrong consideration about women the critical analyze of course has the greatest value.

The present study deals with the women's religious, social, economic and political role in the Muslim society of the 7th–10th century: the status of women in the pre-Islamic period; the role of Muhammad's women Companions in the streghten of their faith; women's oath of allegiance to Muhammad; women's participation in the religious life of Muslim community; Mary – the Qur'ānic female ideal as a common ground for conversation between Muslims and Christians; the status of „Mothers of the Believers" in the the Qur'ān and Hadith; the real position of women in Muslim society, women's participation in social-economic and political life of Muslim society, the rights (such as marriage, divorve, inheritance and education) and duties of women; here is given the reasons for the descent of the hijāb (veil) and we make an attempt at a synthesis - mainly based on the Qur'ān and Hadith. On the bases of the religious texts is studed

and considered in a new manner such social, cultural, and historical phenomenon as the Institute of Concubinage; the present study pays special attention to the relationship between women and power because currently this problem is very acute in the Muslim East and many principle problems need serious amends.

In the Soviet Union and accordance in the Soviet Georgian Historiography in the conditions of ideologic censor, Qur'ān and other sources of Muslim law about the religion and woman were not studed. Our monography is only one step to realize this task. It is true that many Western scholars pay attention to it, many articles and monographs have been published, but we have to mention that the question hasn't been raised on such a large scale yet. This study is different from the other work by selection of the sources, by methods of considering each passage of the Qur'ān according to its historical and textological context, many questions are analyzed in a new point of view. The chronological limits (7th – 10th cent.) of the study is determined by the different stages of Islamic History. It is foreseen that namely the definite chronological period of Islamic history gave us an opportunity to analyze this problem complexly. Also, classical Islamic sources and religious texts contain many interesting materials which have not been studed carefully up today and is not foreseen in the special scientific literature. For this reason, it is important to return to the primary sources.

It is true that Islam had borrowed many things from pre-Islamic Arab practices, from Christianity and Judaism, but it is distinguished with pecularity which is specific only to this monotheistic religion. The main task of the study is to show the original attitude of Islamic religion to woman.

Our attention was initially focused on the Qur'ānic laws regarding women's social rights and obligations. In the Makkan verses, woman is given as an exempler for all humankind. The verses revealed in Madina introduced reforms of existing practices and the most of them specifically benefited women. The Qur'ān was a spiritual, social, political and econimical catalyst for changes in the lives of the immediate Muslim community in the Arabian Peninsula. All question in the work is studed according to the main branches of traditional Islamic science: Sīra (the life of Muhammad) and the biographical literature, Qur'ān and exegesis, Muhammad's Sunna and Hadith; about separate questions - Dogmatics and al-Fikh (jurisprudence, the science of religious law). The decision of the

problem correctly in this way gave us the chance to imagine the evolution of traditional Islamic Institutes toward the woman.

The present study comprises an introduction, four chapters with 17 subsections. A list of the sources and literature used is appended.

The main conclusions are to be found in the present study:

Arabia before Islam was a society where were no rules, exept that the traditions and age-old practices. The status of women was different in the various area of the Arabian peninsula. It is true that jāhiliyya women were priests, soothsayers, participants in war, and nurses on the battlefield; the individuals who initiated and terminated marriages at will; engage in trade and hold property; keepers of the keys of the holiest shrine in Makka, but these cases do not genuinely reflect the general condition of women in that society. To claim that the status of women in general was law and their rights were negligible, is to simplistic, because they could not suddenly became active participants in „religious revolution" in the time of the prophet Muhammad.

Islam reject many customs of the pre-Islamic period with regard to the status of women. It should be also noted that no traditional religion has ever held such a complete record of the women Companions of its prophet. We find that at the very beginning of the period woman enjoyed full religious liberty. She could accept or reject the new faith independent of what her father, brother, husband, or suitor saw fit to do. Women even had a direct or indirect part in the emergence of Islam. The traditions usually demonstrate indirectly that the woman was a staunch supporter of Muhammad. The fact that many women were included among the earliest converts to Islam does seem to indicate that women were influential in the ultimate conversion of both Makka and Madina. The migration in Madina or Hijra (622) did endeed inaugurate a new tip of community. Muslim women swore fealty (bay'a) to the Prophet in Madina. There is no difference in the content between the bay'a of women and that of men. The oath first established admission to citizenship status in Madina for the believing female migrants (muhājirāt). This is a confirmation of the independent of Muslim woman's identity. An astute politician, Muhammad realized that a community with the active support of its women would be greatly strenghtened. The formula bay'a defences the conditions of female citizenship after the full establishment of the umma. It is thus

an important political document because it acknowledges women as political actors. Muhammad's bond with the women is recorded in Q 60:12. Women make their own commitment with sufficient independence from their husbands and families.

The example set by the Prophet in dealing with his family in particular and the women companions in general, he constantly encouraged them to take part in all aspects of life: social, political, economic and religious.

The title of the 4-th Sūra of the Qur'ān – al-Nisā'. It means „The Women". The Sūra belonges to the Madinian period and has 176 verses. The Qur'ān speaks of „pious and believing women", mu'minat, muslimat, and even mentions them in the same breath with pious and believing men. Morever, these women are expected to perform the same religious dutes as the men are. The verse 33:53 has been quoted to indicate that men and women are equal in the eyes of Allah and have the same religious duties. The Qur'ān makes no different between man and woman in the bestowal of reward for the good he or she does.

Muhammad's first convert was his wife Khadīja bint Khuwaylid; The honor of being the first martyr in Islam goes to woman (Sumayya bint Khubbāt); first Muslim, to whom Muhammad promised Paradise, was the woman(Umm Ayman) – these facts helped to form the Ideal of the righteous woman in Islam. All of God's prophets and messengers, from Adam to Muhammad, were men. In telling the history of God's chosen agents on earth, the Qur'ān speaks of a number of women associated with one or the other of .the Prophets of God. The Qur'ān relates these women's stories with varying degrees of detail and comlexity. The Qur'ān mentions only one woman by her actual name. This is Mary, the mother of Jesus, who is higly revered in Islam. The Qur'ān establishes Mary's status as „example for the believers" because of her chastity, faith, and obedience. But in the Islamic tradition 'Ā'isha, Khadīja and Fātima, of all the women closest to the Prophet Muhammad, are compared to the Qur'ānic figures of Mary and Āsya. The Qur'ān does not identify any of Muhammad's wives by name, but specifically addresses the Prophet's wives on numerous occasions. A number of verses explained through Muhammad's wives biographies and a number of verses linked to them. The Prophet's wives had the honorific title „Mothers of the Believers". They were the Prophet's helpmates and supporters in his

mission to preach and implement God's truth. The Prophet's wives had a special status and certain restrictions (hijāb) were imposed on them.

The wearing of the veil was instituted by Muhammad in the early days of Islam. Within about one hundred years of his death, the institution of veiling and seclusion had been spread all over the Middle East. Throughout Muhammad's lifetime veiling, like seclusion, was observed only by his wives. Moreover, that the phrase „daraba al-hijāb" – „[she] took the veil" is used in the Hadith to mean that a woman become a wife of Muhammad's suggests that for some time after Muhammad's death, when the material incorporated into the Hadith was circulated, veiling and seclusion were still considered peculiar to Muhammad's wives. It is not known how the customs spread to the rest of the community. The influx of wealth, the resultant raised status of Arabs, and Muhammad's wives being taken as models probably combined to bring about their general adoption.

The women's fighting for their rights consists of several stages. In the early period of Islam women used to discuss and debate with the Prophet and his Companions and even protect their rights. The title of the 58-th Sūra of the Qur'ān - „She that disputeh". Women actively opposed to any rulers who they thought were deviating from implementing Islamic principles. All rights and duties were formed and established by the name of Allāh. Muhammad was the mediator between the God and believers. There are sufficient indications that Muhammad generally took for granted and sanctioned the public participation of women in the religious life of the new Muslim community. They attended the mosque; they participated in the religious services on feast days; they listened to Muhammad's public discourses; they memorized and recited his revelations; they acquired as their private possesion written portions of the sacred text; and they went on the pilgrimages. After his death (632), their gradual withdrawal from taking an active part in the religious services was, no doubt, a logical result of their adoption of a life of seclusion.

Islam has discussed in detail women's rights both in the Qur'ān and in the Muslim religious literature. These rights (such as marriage, divorce, inheritance, education) are an important indicator of women's general status in a society. The positon of Islam on polygamy is clear: a man is legally parmitted to have up to four

wives. However, this permission is restricted by the Qur'ān saying that justice must be done towards the wives. 4:3 verse is the only passage in the Qur'ān that speaks of polygamy; it only permits it, and that, too, conditionally. Polygamy and mahr or dower are an essential part of Islamic marriage. Islam constituted a radical departure from pre-Islamic practices which treated women as though they themselves were objects to be inherited. The Qur'ān allows the betrothal of a divorced or widowed woman even during her period of transitions('idda). A Muslim woman cannot be forced to enter into marriage without her agreement. As it is the woman who receives the dower in Islam, and no longer her guardian, the terms mahr and sadaq have become synonymous. It is necessary that a dowry should be given to every woman taken in marriage, whether she is a free woman, an orphan girl, or a prisoner of war. So every woman begins married life as the owner of some property, and thus marriage is the means of raising her status. The prohibition the marriage between Muslim woman and non-Muslim men regarded as clear evidence of discrimination against women in Muslim societies. Mut'a or temporary marriage differs considerably from the regular marriage in that it is limited in time and legal consequences. The children of such marriage are legitimate. The possibility of intermarriage between Muslim slaves and free people, must even be considered revolutional innovations in the Arab society of the time. As part of its struggle against slavery, Islam forbade men to marry a woman slave before freeing her. Once she has been freed, the man might conclude a marriage contract with her in due form. Her status, before being freed, is that of „umm walad", literally „mother of a child". By ascuiting this status, the slave mother could be partially liberated. Her master could no longer sell her after the birth of a child and she became free after his death. The children of the umm al-walad had the same rights and privileges as those born of a free mother. They could inherit a share of the father's possesions equal to that of the other children. The jawari were also going to make certain that their sons could inherit everything, even the throne.

One of the crucial changes brought about by Islam was establishment of the principle of women's right to inheritance. For, to rule guaranteeing women's right to own and independently manage property is promote women's right to economical autonomy. The fact that they were given half of the share of male heirs is to be seen in its sociological and economic context.

Inheritance defends very much on a social and economic structure and the function of a particular sex within it. Women had a role different from men's in Arabian society when the Holy Qur'ān was revealed. It is well-known principle that a wife is to be looked after by her husband even if she possesses a great deal of wealth. She is not obliged to spend any of her wealth and it is her right to claim maintenance from her husband. Not only that: at the time of marriage she gets mahr which is hers and hers alone, while married and after divorce. The Qur'ān exhorts the husband to make a special bequest before his death for retainig her in the house for at least a year and for her maintenance. Islam also gave delegated right to divorce to women but without any consideration of social status. The Qur'ān does not give the same rights in the matter of divorce to women that it gives to men, rather, the decision to divorce is left to the men exclusively, but mothers shall suckle their children for two whole years.

There were innumerable learned women, who studed every branch of knowledge and became prominent in many fields. They had received a good education. This does not mean that all women in Islam were highly educated.

Chapter 4, verse 34/38 of the Qur'ān is clear in entrusting men with the Qiwama or guardianship. For Muslim lawers, this verse has sanctioned men's authority over women and made the domain of politics or power an exclusively male preserve. The verse says the position between men and women is based on what Allah has preferred. If what Allah has preferred is resricted to the material. This condition specifies that men's role as „managers" is only applicable as long as they have the dominant economic role. In the society in which the Qur'ān found itself, it was often the case that men were the controllers of wealth, and so their dealings with women would be from a position of power.

The Muslim women, like her counterpart - the men - has a broad political responsibility and they played an important role in public life. Women, especially during the Prophet's time, were very active socially and politically. They were allowed and even encouraged to participate in the process of building up the Madinan society. For instance, right from the beginning, women, like men, gave support and allegiance to the political system which was set up under leadership of Muhammad. Women were consulted during the period of the Prophet and his successor caliphs. The Muslim woman

should grant amān or asylum to enemy refugees and thereby afford them full protection. Women in Early Islam participated in armed conflict either organising food and taking care of the wounded. The political role of a woman in a Muslim State throught the centures, always been a matter of dispute and disscusion. 'Ā'isha's behaviour different from the norms determined by Qur'ānic revelations, adhered by other wives of the Prophet. The ninth-century sources depict 'Ā'isha expressing regret for her actions in the Battle of the Camel. By taking the battlefield 'Ā'isha challenged the Islamic restrictions placed on the Mothers of the Believers.

Nevertheless, in the course of Islamic history there have always been women who influenced their leader husbands or sons on political questions. Several of the Umayyad queens had great personal influence on their husbands; others added grace and luster to the court. But during the 'Abbāsid Caliphate several instances are known of royal ladies whose influence extended beyond the throne. Concubines began to play a greater role in the life of the rulling classes. Tha slaves gained great power at the court, for they became the wives of the caliph, or the mothers of his children and could raise or lower the fortunes of any individual they wished.

The place and the role of woman in the Arabian-Muslim society generally defended on what status, economically and politically, women enjoyed in society. The indefendence of women mainly belongs to the Golden century of Islam - during Prophet's lifetime. Muhammad was judge of the community and interpreter of the divine revelation. The status, place and role of woman in Muslim society was changing according to the development of Islam. The religious-justic norms of Qur'ān had changed significantly in the 9th-10th centuries after the formation principal law schools.

შემოკლებანი

თბ.	– თბილისი.
თ.გ.	– თარიღის გარეშე.
ისლამი	– ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. თბ.,1999.
მელს	– მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. თბ.
მიახის	– მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ.
ВИИ	– Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины (серия). М.
ДАН-В	– Доклады Академии наук СССР. Серия В. Л., М.
ИЭС	– Ислам. Энциклопедический словарь.М.,1991.
НАА	– Народы Азии и Африки.История, экономика, культура. М.
СПб.	– Санкт-Петербург.
AJA	– American Journal of Archaelogy.
AJSL	– American Journal of Semitic Languages.
Aor	– Acta Orientalia. Leiden.
BSOAS	– Bulletin of the School of Oriental and African Studes, University of London.
EI[1]	– E.J.Brill's First Encyclopaedia of Islam. Edited by M.Th. Houstma, A.J.Wensinck, H.A.R.Gibb, W.Hetening and A. Lévi-Provancal. Reprint Edition. Leiden-New York-Köln,1993.
EI[2]	– The Encyclopaedia of Islam,vols.I-VIII, New Edition, Leiden.
EQ	– Encyclopaedia of Qur'ān. Jane Dammen McAuliffe, General Editor.Vol. I-IV. Vol.,I., A-D. Brill, Leiden-Boston-Köln, 2001. Vol.,II, E-I. Brill, Leiden-Boston. Vol. III. J-O. Brill,Leiden-Boston, 2003.
IC	– Islamic Culture. Hyderabad.
IQ	– Islamic Quarterly. London.
JAOS	– Journal of the American Oriental Society.New York-New Haven.
JBBRAS	– Journal of Bombay Branch of the Royal Asiatic Society.

JESHO – Journal of the Economic and Social History of the Orient. Leiden.

JNES – Journal of Near Eastern Studes. Chicago.

JRAS – Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland. London.

JSS – Journal of Semitic Studes.Manchester.

LEW – Literature East and West.

MW – The Muslim World. Hartford, Conn.

ShEI – Shorter Encyclopaedia of Islam. Edited H. A. R Gibb and J. H. Kramers. Leiden.1953.

StI – Studia Islamica. New York.

WSIF – Women's Studies International Forum Magazine. New York

ბიბლიოგრაფია

ა) წყაროები

1. ʿაბდ ალ-ბაკი, მუჰამმად ფუʿად. *ალ-მუʿჯამ ალ-მუფაჰრას ლი-ალფაᲩ ალ-კურʿან ალ-ქარიმ.* დარ ალ-ფიქრ, 1401/1981.
2. აბუ იუსუფ, იაʿკუბ ბ. იბრაჰიმ. *ქითაბ ალ-ხარაჯ.* ალ-კაჰირა.1352 ჰ.
3. აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანი, *ქითაბ ალ-აღანი.* ა. 1-20, ბულაკ, 1285/1866. ბ. 1-24, ალ-კაჰირა, 1383/1963.
4. ალ-ბაიდავი, ნასირ ად-დინ ʿაბდ ალ-ლაჰ ბ. ʿუმარ. *ანვარ ათ-თანზილ ვა ასრარ ათ-تaʿვილ.* დარ ალ-ფიქრ. 1302/1982.
5. ალ-ბალაზური, აჰმად ბ. იაჰია. *ანსაბ ალ-აშრაფ.* ალ-ჯუზʿ ალ-ავვალ, ალ-კაჰირა,1959.
6. ალ-ბუხარი, მუჰამმად ბ. ისმაʿილ აბუ ʿაბდ ალ-ლაჰ ალ-ჯუʿფი. *ალ-ჯამიʿ ალ-ᲩაᲰიᲰ.* მისრ, 1304 ჰ.
7. აზ-ზამახშარი, მაჰმუდ ბ. ʿუმარ აბუ-ლ-კასიმ. *ალ-ქაშშაფ ʿან Ჰაკაʿიკ ათ-თანზილ.* 1-4, ქალქუთთა, 1861.
8. იბნ საʿდ, *ტაბაკათ ალ-ქუბრა.* I-IX, ბაირუთ (თ.გ.).
9. იბნ ქასირ, ʿიმად ად-დინ ისმაʿილ ბ. ʿუმარ. *თაფსირ ალ-კურʿან ალ-ʿაზიმ.* 1-4, ალ-კაჰირა (თ. გ.).
10. იბნ ხალლიქანი, აჰმად ბ. მუჰამმად. *ვაფაიათ ალ-აʿიან ვა-ანბაʿ აბნაʿ აზ-ზამან.* ბაირუთ. I–VIII, 1398/1978.
11. იბნ Ჰანბალ, აᲰმად. *მუსნად,* 1-6, მისრ, 1313 ჰ.
12. კუტბ საიიდ, *ფი Ჩილალ ალ-კურʿან,* I, ბაირუთ, ალ-კაჰირა, 1987.
13. არ-რაზი, ფახრ ად-დინ ʿაბდ ალ-ლაჰ ბ. მუჰამმად. *მაფათიᲰ ალ-ღაიბ (თაფსირ ალ-ქაბირ),* 1-32, ალ-კაჰირა, 1934-1962.
14. ატ-ტაბარი, აბუ ჯაʿფარ მუჰამმად ბ. ჯარირ. *ჯამიʿ ალ-ბაიან ფი თაფსირ ალ-კურʿან.* 1-30, მისრ, 1323-1329/1905-1911.
15. ყურანი მუᲰამმადისა. თბ.,1906 (სტერეოტიპული გამოცემა).
16. ალ-ხატიბ, ალ-ბაღდადი. *თაʿრიხ ბაღდად ავ მადინათ ასსალამ (ლი-ლ-ᲰანიᲩ აბი ბაქრ აᲰმად ბ. ʿალი ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი),* ალ-კაჰირა, 1-14, 1349/1931.
17. [ჯალალაინი] ჯალალ ად-დინ ალ-მაᲰალლი ვა ჯალალ ად-დინ ას-სუიუტი. *თაფსირ ალ-იმამაინ ალ-ჯალილაინ.* ბაირუთ (თ. გ.).

18. **Абу Йусуф,** Йа'куб б. Ибрахим ал-Куфи. *Китаб ал-Харадж (Мусульманское налогообложение).* Перевод с арабского и комментарии А. Э. Шмитда. Супракомментарии к переводу А. С. Боголюбова. СПб., 2001
19. **Значение и смысл Корана.** SKB-Bavaria, Verlag and Handel. GmbH, 1-10, 1999.
20. **Ибн Хишам.** *Сират саййидина Мухаммад расул Аллах („Жизнеописание господина нашего Мухаммада, посланника Аллаха").* — Хрестоматия по исламу. Переводы с арабского, введения и примечания. Составитель и ответственный редактор С. М. Прозоров, М.,1994, 12-26.
21. **Ибн Хишам.** *Жизнеописание Пророка Мухаммада. Расказанное со слов аль-Баккаи со слов Ибн Исхака аль-Мутталиба (первая половина VII века).* Перевод с арабского Н. А Гайнуллина. М., 2003.
22. **Коран.** Перевод с арабского и комментарии *М-Н. О. Османова.* М.,1995.
23. **Коран.** Перевод с арабского языка *Г. С. Саблукова.* 3-е изд. Казань, 1907.
24. **Коран.** Перевод и комментарии *И. Ю. Крачковского.* 2-е изд. М., 1986.
25. **Аль-Мунтахаб фи тафсир аль-Кур'ан аль-Карим.** Толкование Священного Корана на арабском и русском языках. Перевели с арабского языка д-р Сумайя Мухаммад Арифи и д-р Абдель Салям эль-Манси. Под редакцией д-ра Ходжаевой Р.У. Каир, 1420 г. хиджры (2002 г .).
26. **[Надирадзе Л. И.]** *Хрестоматия по истории Халифата.* Составил и перевел **Л. И Надирадзе.** М., 1968.
27. **Происхождение ислама.** *Хрестоматия.* Сост. **Е. Беляев.** М.-Л., 1931.
28. **ар-Рази, Ахмад б. Фарис.** Ауджаз ас-сийар ли-хайр ал-башар („Кратчайшее жизнеописание наилучшего из людей") – *Хрестоматия по исламу.* Переводы с арабского, введения и примечания. Составитель и ответственный редактор С. М. Прозоров, М., 1994, 26-33.
29. **Сиасет-наме.** *Книга о правлении вазира XI столетия* ***Низам аль-Мулька.*** Перевод В.Н. Заходера. М.-Л.1949.
30. **Ас-Суйути Джалал ад-Дин.** *Совершенство в коранических науках.* Вып. 1. Учение о толковании Корана, М., 2000.

31. **ал-'Укбари, Ибн Батта.** Аш-Шарх ва-л-ибана 'ала усул ас-сунна ва-д-дийана („Истолкование и разъяснение основ Сунны и религии"). — *Хрестоматия по исламу.* Переводы с арабского, введения и примечания. Составитель и ответственный редактор С. М. Прозоров, М., 1994, 87-107.
32. **[Abu Dawud]** *Translation of Sunan Abu Dawud.* http://www.usc.edu/dept/MSA/fundamentals/hadithsunnah/abudawud
33. **Ali, Abdullah Yusuf.** *The Holy Quran. Text, Translation and Commentary.* Beirut (n.d.).
34. **Arberry A. J.,** *The Koran Interpreted.* I-II. London-New York,1955.
35. **Asad, Muhammad.** *The Message of the Qur'ān* (translation), Gibralter,1980.
36. **Al-Baladhuri,** Ahmad ibn Yahya. *Futuh al-buldan.* M. J. de Goeje., ed. Leiden: E. J. Brill,1866.
37. **[al-Baladhuri]** *The Origins of the Islamic State* being a Translation from the Arabic. Accompanied with Annotations of the Kitab Futuh al-buldan of **al-Baladhuri** by Ph. Hitti, vol. I, New York,1916.
38. **Al-Balādhurī.** *The Ansāb al-Ashrāf.* Vol. 5. Ed. by S.D.F.Goitein. Jerusalem, 1936.
39. **[al-Bukhārī]** *The Translations of the Meanings of Sahih al-Bukhari.* —http://www.usc.edu/dept/MSA/fundamentals/hadithsunnah/bukhari
40. **Al-Bukhārī,** Muhammad ibn Ismā'il. *The Translation of the Meanings of Sahih al-Bukhari*: Arabic-English, trans. Muhammad Muhsin Khan. al-Medina, 2nd revised edition. 9 vol.1973-1976.
41. **Flügel G.,** *Concordaniae* corani arabicae. Lipsiae,1842.
42. **Götje, Helmut.** *The Qur'ān and its Exegesis.* Selected Texts with Classical and Modern Muslim Interpretations. Translated and edited by Alford T. Welch. Berkeley and Los Angeles, 1976.
43. **Ibn 'Asākir,** 'Alī b. al-Hasan. *Tā'rīkh madīnat Dimashq*: Tarājim al-nisā'. Ed. Sukayna al-Shihābī. Damaskus, 1982.
44. **Ibn el-Athiri** *Chronicon* quod perfectissimum (el-Kāmil) inscribiur. Edidit C. J. Tornberg. Vol. I-XIV. Upsiliae, et Lugduni-Batavorum, 1851-1876.
45. **[Ibn Hishām]** *Das Leben Muhammed's nach Muhammed Ibn Ishak* bearbeitet von Abd el- Malik Ibn Hishâm... Hrsg. von F. Wüstenfeld. Bd. 1-2. Göttingen,1858-1860.
46. **[Ibn Isḥāḳ]** *Life of Muhammad.* The Translation of Ibn Ishaq's „Sirat Rasul Allah" with introduction and notes by **A.G. Guillaume,** London, 1955.

47. **[Ibn Kathir]** *Tafsir Ibn Kathir.* http://www.tafsir.com./default.asp?sid=4&tid
48. **Ibn Khallikan's** *Biographical Dictionary.* Translated from the Arabic by B^{n} Mac Guckin de Slane.Vol. I-IV, 1842-1871, reprint: Beirut, 1970.
49. **al-Ja'qubī,** Ibn Wādhih. *Historiae.....*Pars 1-2. Ed. M. Th. Houstma. Lugduni-Batavorum,1883.
50. **Mas'ūdī,** *Murūj al-Dhahab* (Les Prairies d'or), ed. C. Barbier de Meynard. 9 vols. Paris,1861-77.
51. **al-Mawardī.** *The Ordinances of Government.* A Translation of Al-Ahkām al-Sultāniyya w'al Wilāyāt al-Dīniyya. Translated Wafaa H. Wahba. The Center for Muslim Contribution to Civilization, 1996.
52. **Muhammad Ali, Maulana.** *The Holy Qur'ān.* Arabic Text with English Translation and Commentary. Ohio, U.S.A., New 2002 edition.
53. **[Muslim]** *Sahih Muslim*, ed. Abdul Hamid Siddiqi (Arabic-English), Leiden,1972-1975; The Translation of Sahih Muslim http://www.usc.edu/dept/MSA/fundamentals/hadithsunnah/muslim/
54. **Nizam al-Mulk.** *The Book of Government or Rules for Kings: The Siyar al-Muluk,* trans. Hubert Darke, London, 1960.
55. **Pickthall Muhammad M.,** *The Meaning of the Glorious Koran.* An explanatory translation. Everyman's library, 1992.
56. **Qutb S.,** *In the Shade of the Qur'ān.* Trans. by M. A. Salahi and A.A. Shamis. London,1979. – http://www.youngmuslims.ca/online_library/books/milestones/index.htm
57. **Ar-Radī, al-'Allāmah ash-Sharif.** *Nahj al-Balāghah.* Peak of Eloquence Nahjul Balagha. Sermons, Letters and Sayings of Imam Ali ibn Abu Talib. Translated by Sayed Ali Reza. Elmhurst, New York,1996.
58. **[at-Tabari]** *Annales* quos scripsit Abu Djafar Mohammed ibn Djarir **at-Tabari** cum aliis edidit M.J. de Goeje, series I-III. Lugduni-Batavorum,1879-1901.
59. **Women in Islam.** *An Anthology from the Qurān and Hadīths.* Translated and edited by Nicholas Awde. Curzon, 2000.
60. **[Yahyā b. Ādam]** *Taxation in Islam.*Vol.I. Yahyā ben Ādam's Kitâb al-Kharâdj. Ed., transl. and provided with an introduction and notes by A.Ben Shemesh..... with a foreword by S.D.Goitein, Leiden, 1958.

61. ვახტანგაძე მ., მუჰამადი როგორც პოლიტიკური მოღვაწე და მუსლიმური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი. — *'ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, II, თბ., 1999, 42-52.
62. ვახტანგაძე მ., ადრეული არაბულ-მუსლიმური სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ისტორიიდან. — *ჯევანმარდი*, IV, თბ., 1990, 77-87.
63. ზნამენსკი ბ., სახარების პერსონაჟები ყურანში. — *მელს*, 2, 1985, 85-100.
64. ზნამენსკი ბ., წარმართ არაბთა ზოგიერთი საკულტო რიტუალი და მათი გავლენა ისლამზე. — *ჯევანმარდი*, IV, თბ., 1990, 88-95.
65. ლობჟანიძე გ., მარიამთან დაკავშირებული ნარატივი ყურანში. — *პერსპექტივა- XXI*, V, თბ., 2003, 64-67.
66. მოკვერაშვილი თ., მიწიერი სამოთხე რჩეულთათვის. — გაზ. *„7 დღე"*. 16-22 ოქტომბერი, №37, 1992.
67. სანიკიძე გ., ჰიჯაბი. — *ისლამი*, 235.
68. სანიკიძე გ., მაჰრი — *ისლამი*, 130.
69. სანიკიძე გ., ზავაჯი — *ისლამი*, 62 .
70. სანიკიძე გ., ქაჰინი — *ისლამი*, 195.
71. სონღულაშვილი ა., ქალის უფლებათა სათავეებთან. — *მიეხის*, 4, 1991, 74 -89.
72. წერეთელი გ., *არაბულ-ქართული ლექსიკონი*, თბ., 1951.
73. ჯაფარიძე გ., აჰმად იბნ ჰანბალი. — *ისლამი*, 36.
74. ჯაფარიძე გ., ალ-ბაიდავი. — *ისლამი*, 39.
75. ჯაფარიძე გ., ბილკისი — *ისლამი*, 44.
76. ჯაფარიძე გ., მავლა — *ისლამი*, 121.
77. ჯაფარიძე გ., მარიამი — *ისლამი*, 127-128.
78. ჯაფარიძე გ., სადაკა — *ისლამი*, 165.
79. ჯაფარიძე გ., საიდი. — *ისლამი*, 166.
80. ჯაფარიძე გ., უმ ალ-ვალადი. — *ისლამი*, 183.
81. ჯაფარიძე გ., ჯიჰადი. — *ისლამი*, 226-228.
82. ჯაფარიძე გ., ჰადისი. — ისლამი, 229-230.
83. ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995.
84. 'აბდ ალ-ჰამიდ, მაჰმუდ. *ჰუკუკ ალ-მარ'ა ბაინა ალ-ისლამ ვა-დ-დიანათ ალ-უხრა*. ალ-კაჰირა, 1411/1990 (არაბულ ენაზე).
85. ალ-აბრაში, მუჰამმად 'ატია. *მაქანა ალ-მარ'ა ფი ალ-ისლამ*. ალ-კაჰირა [თ.გ.] (არაბულ ენაზე).

86. 'არაფა, მუჰამმად ბ. 'აბდ ალლაჰ ბ. სულაიმან. *ჰუკუკ ალ-მარ'ა ფ ალ-ისლამ.* ალ-კაჰირა, 1980 (არაბულ ენაზე).
87. ვაფი, 'ალი 'აბდ ალ-ვაჰიდ. *ალ-მარ'ა ფ ალ-ისლამ.* ალ-კაჰირა [თ.გ.] (არაბულ ენაზე).
88. ხალიჰ, ჰასან სალიმ. *ზავჯათ ან-ნაბი.* დიმაშკ, 1414/1994 (არაბულ ენაზე).
89. ჰამამი'უ, ბასსამუ მუჰამმად. *ნისა' ჰაბლა არ-რასული.* ბაირუთ, 1424/2003 (არაბულ ენაზე).
90. **Али-заде А.,** *Хроники мусульманских государств I-VII веков хиджры.* М., 2004.
91. **Аляутдинов Ш.,** *Ответы на ваши вопросы об Исламе.* М., 2003.
92. **Ахмедов А.,** *Социальная доктрина ислама.* М ., 1982.
93. **Баранов Х.К.,** *Арабско-русский словарь.* М.,1984.
94. **Бартольд В. В.,** Бармакиды. — *Соч.* Т. VI, 669-674.
95. **Бартольд В. В.,** Мусейлима. — *Соч.*Т. VI, 549-574.
96. **Бартольд В.В.,** Политическая и религиозная жизнь Аравии до Мухаммеда.— *Соч.* Т.VI, 83-88.
97. **Бартольд В. В.,** Первоначальный ислам и женщина — *Соч.* Т. VI, 648-650.
98. **Бартольд В. В.,** Халиф Омар и противоречивые известия о его личности. — *Соч.* Т. VI, 504-531.
99. **Бартольд В. В.,** Мухаммед в Медине. — *Соч.* Т.VI, 96-103.
100. **Басилов В. Н.,** *Культ святых в исламе.* М ., 1970.
101. **Беляев Е. А.,** *Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье.* 2-е изд. М.,1966.
102. **Бич Йорген,** *За аравийской чадрой.* Пер. с датского. М., 1966.
103. **Боголюбов А. С.,** Завāдж. — *ИЭС,* 71-72.
104. **Боголюбов А. С.,** Мут'а . — *ИЭС,* 175.
105. **Боголюбов А. С.,** Мӣрāс. — *ИЭС,* 166.
106. **Боголюбов А. С.,** Сӣга — *ИЭС,* 208
107. **Бойко К. А.,** Фадак. — *ИЭС,* 248.
108. **Большаков О. Г.,** *История Халифата* .Т.1. Ислам в Аравии: 570-633. М., 1989.
109. **Большаков О. Г.,** *История Халифата.* Т.2. Эпоха великих завоеваний (633-656). М.,1993.
110. **Большаков О. Г.,** *История Халифата.* Т.3. Между двух гражданских войн (656-696). М.,1998.
111. **Большаков О. Г.,** аль-Асхāб. — *ИЭС,* 23-24.
112. **Большаков О. Г.,** ал-'Аббāсӣйӯн. — *ИЭС,* 5-6.

113. **Большая исламская научная Энциклопедия.** Подготовил: Али Аскерли.Перевел Алиафсар огли. Азербайджан, 2000.
114. **Босворт К. Э.,** *Мусульманские династии: Справочник по хронологии и генеалогии.* Пер. с англ. М., 1971.
115. **Вагабов М. В.,** *Ислам и семья.* М., 1980 .
116. **Вагабов М .В.,** *Ислам и женщина.* М .,1869.
117. **Вагабов М .В.,** *Ислам – защитник рабства женщин.* Махачкала,1962.
118. **Васильев Л. С.,** *История Религий Востока.* М., 1999.
119. **Вахтангадзе М. К.,** *Институт побратимства /Му'аххa/ в Раннем Исламе.* Препринт. Тбилиси,1991.
120. **Винников Н. И.,** Траур вдовы и обычай iftidad у доисламских арабов .—*ДАН-В*,1928, 39-43.
121. **Гаврилова Ю. Б., Емельянов В. В.,** *Ислам. Карманный словарь.* СПб., 2002.
122. **Гафуров А.,** *Имя и история об именах арабов, персов, таджиков, тюрков.* Словарь.М., 1987.
123. **Гибб Х. А. Р.,** Мусульманская историография. Пер. с англ. П. А. Грязневича. - **Гибб Х. А. Р.** *Арабская литература.* Классический период. М ., 1960,117-156.
124. **Гиргас В.,** *Словарь к арабской Хрестоматии и Корану.* Казань, 1881.
125. **Гольдциэр И.,** *Лекции об исламе.* М.,1912.
126. **Гольдциэр И.,** *Культ святых в исламе (Мухаммеданские эскизы).* М ., 1938.
127. **Грюнебаум Г. Э. фон.,** *Классический ислам. Очерки истории. 600-1258.* М.,1986.
128. **Джапаридзе Г. И., Настич В. Н.** Уникальный дирхем Умм Джа' фар (Зубайды) 181/797-98 г. — *ВИИ.* Вып. 6, 2004, 206-215.
129. **Ермаков Д .В.,** Хадисы и хадисная литература. — *Ислам. Историографические Очерки.* Под ред. С. М .Прозорова. М., 1991.
130. **Женщина в Исламе.** Редактор-составитель Гульнара Нуруллина. М., 2003.
131. **Журавский А.,** Христиане и мусульмане: проблемы диалога. Хрестоматия. М.,2000.
132. **Ирмияева Т. Ю.,** История мусульманского мира от Халифата до Блистательной Порты. Урал, 2000.
133. **Кашталева К. С.,** О термине шахида в Коране. — *ДАН-В.* 1927,117-120.

134. **Кашталева К. С.**, К вопросу о хронологии 8-ой, 24-ой и 47-ой сур Корана — *ДАН-В.* 1927,102-107.
135. **Керимов Г. М.**, *Шариат и его социальная сущность.* М., 1978.
136. **Климович Л. И.**, *Ислам и женщина.* М., 1958.
137. **Климович Л. И.**, *Книга о Коране, его происхождении и мифологии.* М., 1986.
138. **Климович Л. И.**, *Ислам: Очерки.* М., 1965.
139. **Крутихин М.**, Гарем. — *Наука и Религия*, 3, 1986, 61-63.
140. **Крымский А. Е.**, *История мусульманства.* М., 1902.
141. **Колесников А. И.**, *Завоевание Ирана Арабами (Иран при „праведных" халифах).* М.,1982.
142. **Логашова Ж. Б.**, Ислам и коранический идеал женщины — *Ислам и Политика.* М., 2001,319-326.
143. **Максуд Р.**, *Ислам.* Пер. с англ. В. Новикова. М., 2001.
144. **Массэ А.**, *Ислам. Очерки истории.* Пер с французского. М., 1963.
145. **Мец А.**, *Мусульманский Ренессанс.* М ., 1973.
146. **Мюллер А.**, *История ислама с основания до новейших времен.* пер. с нем. под ред. Н.А Медникова, т.I-IV, СПб., 1895-1896.
147. **Ан-Наим А. А.**, *На пути к исламской реформации* (гражданские свободы, права человека и международное право). Пер. с англ. Ольги Фадиной . М., 1999.
148. **Негря Л.В.**, *Общественный строй Северной и Центральной Аравии в V-VII вв.* М., 1981.
149. **Панова В. Ф., Вахтин Ю. Б.**, *Жизнь Мухаммеда.* М ., 1990.
150. **Петрушевский И. П.**, К истории рабства в халифате VII-X веков — *НАА*, 3,1971, 60-71.
151. **Петрушевский И .П.**, *Ислам в Иране в VII-XV веках* (курс лекций) Л., 1966.
152. **Пиотровский М. Б.**, Мухаммад, пророки, лжепророки, кахины. — *Ислам в истории народов Востока* (Сб. статей). М., 1981, 9-18.
153. **Пиотровский М. Б.**, Пророческое движение в Аравии VII в. — *Ислам. Религия, общество, государство.* М., 1984, 19-27.
154. **Пиотровский М. Б.**, *Коранические сказания* . М .,1991.
155. **Рахман Х. У.**, *Краткая история Ислама.* Хронология событий 570-1000 гг. от Рождества Христова. М., 2003.
156. **Резван Е. А.**, *Коран и его мир.* СПб, 2001.
157. **Резван Е. А.**, Коран и Коранистика — *Ислам. Историографические очерки.* Под ред. С. М. Прозорова. М ., 1991.

158. **Резван Е. А.**, Термин Дараджа в Коране. — *Социально-политические представления в Исламе.* История и Современность. М ., 1987, 69-80.
159. **Резван Е. А.**, *Коран и его толкования* (тексты, переводы, комментарии). СПб, 2000.
160. **Родионов М. А.**, *Ислам классический* . Санкт-Петербург, 2001.
161. **Роузентал Ф.**, *Торжество знания.* Концепция знания в средневековом исламе. Пер. с англ. С. А. Хомутова. Предисл. и примеч. А. В. Сагадеева. М ., 1978.
162. **Смирнов Н. А.**, *Чадра* (Происхождение покрывала мусульманской женщины и борьба с ним). М ., 1929.
163. **Сюкияйнен Л. Р.**, Концепция мусульманской формы правления и современное государствоведение в странах Арабского Востока. — *Социально-политические представления в Исламе.* История и Современность. М.,1987, 45-68.
164. **Сюкияйнен Л. Р.**, *Мусульманское право.* Вопросы теории и практики. М., 1986.
165. **Уотт У. М ., Какия П.**, *Мусульманская Испания.* М., 1976.
166. **Учок Б.**, *Женщины-правительницы в мусульманских государствах.* М ., 1982.
167. **Юрчук В. В.**, *Мухаммад.* Минск, 2003.
168. **Фильштинский И. М.**, Шидфар Б. Я. *Очерк арабо-мусульманской культуры.* М., 1971.
169. **Фильштинский И. М.**, *История арабов и халифата (750-1517гг.).* М., 2001.
170. **Филипс А. А. Б.**, *Законы жизни мусульман. Эволюция фикха.* Перевод с английского Т. В. Гончаровой. М ., 2002.
171. **Шайдулина Л. И.**, *Арабская женщина и современность* (Эволюция ислама и женский вопрос). М., 1978.
172. **Шиммель А.**, *Мир исламского мистицизма.* Пер. с англ. Н. И. Пригариной, А.С. Раппопорт М., 1999.
173. **Ханиф С.**, *Что должен знать каждый об исламе и мусульманах.* Перевод английского Д. Пальца. Киев,1998.
174. **Аль-Хашими, Мухаммад Али.** *Личность Мусульманина согласно Корану и Сунне.* Перевод на русский язык: Владимир Абдулла Нирша. М., 2003.
175. **Abbott, Nabia.** Women and the State in Early Islam. — *JNES*, no.1,1942, 106-126.
176. **Abbott, Nabia.** Women and the State in Early Islam: The Umayyads. — *JNES*, no.2, 1942, 341-368.

177. **Abbott, Nabia.** Women and the State on the Eve of Islam.— *AJSL*, 58, 1941, 259-284.
178. **Abbott, Nabia.** Pre-Islamic Arab Queens. — *AJSL*, 58, 1941, no.1., 1-22.
179. **Abbott, Nabia.** *Aishah: The Beloved of Mohammad.* London, 1985.
180. **Abbott, Nabia.** *Two Queens of Baghdad: Mother and Wife of Hārūn al-Rashīd.* Chicago,1946.
181. **Abdul-Rauf M.,** *The Islamic View of Women and Family.* New York, 1979.
182. **Adamu M. K.,** *The Islamic Notion of Marriage and Divorce.* Laranto, Nigeria, 1987.
183. **Adeleye M.O.,** Islam and Education.— *IQ*, XXVII,no.1,1983, 138-147.
184. **Ahmed, Leila.** Early Islam and the Position of Women: The Problem of Interpretation. — Keddie, N.R. and B. Baron. *Women in Middle Eastern History.* Shifting Boundaries in Sex and Gender. New Haven and London, 1991, ȣȣ.58-73.
185. **Ahmed, Leila.** *Women and Gender in Islam: Historical Roots of A Modern Debate.* New Haven and London.1992.
186. **Ahmed, Leila.** Women and the Advent of Islam. — Islam. Critical Consepts in Sociology. Edited by B. S.Turner.Vol.III. *Islam, gender and the family.*London and New York, 2003, 44-69.
187. **'Ali, Parvin Shoukat.** *Status of Women in the Muslim World: a Study in the Feminist Movements in Turkye, Egypt, Iran, and Pakistan.* Lahore, 1975.
188. **Arazi A.,** Sukayna bt. al- Husayn. — *EI'*, IX, 802.
189. **Asạni, Ali S.A.** Family of the Prophet. — *EQ*, II,176-177.
190. **Ascha, Ghassan.** The „Mothers of the believers": stereotypes of the Prophet Muhammad's wives.— *Female stereotypes in religious traditions.* Ed. R. Kloppenborg and W.J. Hanegraaff. Leiden-Brill, 1995, 87-107.
191. **Al-'Ati H.,** *The Family Structure in Islam.* Indiana. 1977.
192. **Awad B.A.,** The Universal Religion. — *IQ*, VIII,1964, London, 64-72.
193. **Ayoub, Mahmoud.** *Redemptive Suffering in Islam: A Study of the Devotional Aspects of 'Ashura' in Twelvers Shi'ism.* The Hague, 1978.
194. **Azimabadi B.,** *The Permitted and Prohibited in Islam.* New Delhi, 1979.
195. **Badawi J.,** *Polygamy in Islamic Law.* Indiana. 1976.

196. **Badran M.**, Gender. — *EQ*, II, 288-292.
197. **Baveja, Malik Ram.** *Women in Islam*, translation of Awrat awr Islami Ta'lim. New York.1981.
198. **Bell R.**, Muhammad and Divorce in the Qur'ān. — *MW*,29, no.1, 1939, 55-62.
199. **Bellefonds Y. L.**, 'Idda. — *EI* [2], III, 1010-1013.
200. **Bowen D. L.**, Birth.. — *EQ*, I, 233.
201. **Bravmann M. M.**, *The Spiritual Background of Early Islam.* Leiden,1972.
202. . **Brockopp J. E.**, Concubines.— *EQ*, I, 396-397.
203. **Buhl F.**, *Das Leben Mohammeds.* Leipzig,1930.
204. **Buhl F.**, Umm Kulthūm — *ShEI*, 601.
205. **Buhl F.**, Al-Kur'ān. — *ShEI*, 273-286.
206. **Chafri A.**, Christianity in the Qur'an Commentary of Tabarī.— *Islamochristiana*, 6, 1980, 105-148.
207. **Chelhod J.**, Hidjāb. — *EI* [2], III, 359-361.
208. **Dahl T.S.**, *The Muslim Family.* A Study of Women's Rights in Islam. Translated from Norwegian by R.Walford.Ōslo-Stokholm-Copenhagen-Oxford, Boston, 1997.
209. **Daupauta W. M.**, and **Fyzee A. A.**, A Notes on Mut'a or temporary marriage in Islam.— *JBBRAS* ,8,1932, 79-92.
210. **Denny F. M.**, Community and Society. — *EQ*, I, 381-386.
211. **Dermenghem E.**, *Life of Mahomet*, trans. A. Yorke. London, 1930.
212. **Dinet E.** et **El Hadj Sliman Ben Ibrahim.** *La Vie de Mohammed. Prophète d'Allah.* 3e Edition. Paris,1937
213. **Dodge B.**, *Muslim Education in Medieval Times.* Washington.1962.
214. **Doi A. R.**, *Women in Shariah.* London,1989
215. **Donaldson D. M.**, Temporary marriage in Iran. — *MW*, 26, no.4, 1936,358-364.
216. **Ehrenkreutz Andrew S.**, Another Orientalist's Remarks Concerning the Pirenne Thesis. — *JESHO*, XV, part, I-II, June, 1972, 94-104.
217. **Engineer A. A.**, *The Origin and Development of Islam.* An essay on its socio-economic growth. Orient Longmann, 1980.
218. **Engineer A. A.**, *The Rights of Women in Islam.* London,1992.
219. **Ezzat H.**, *Women and Political Action: An Islamic Perspective.* Virginia, 1995.
220. **Al-Faruqi L.**, *Women, Muslim Society and Islam.* Indiana. 1988.
221. **Ferré A.**, La Vie de Jésus D'Après les Annales de Tabarī. — *Islamochristiana*, 5,1979, 7-29.
222. **Galt C. M.**, Veiled Ladies. — *AJA*, XXXV,1931, 373-393.

223. **Gibb H.A.R.**, *Muhammedanism: An Historical Survey*. L.,1969.
224. **Gil M.**, The Earlist Waqf Foundations. — *JNES*, 57, 2 , April 1998,125-140.
225. **Giladi A.**, Family. — *EQ* , II, 173-176.
226. **Al-Gisr N.**, The Qur'an in Islamic Education. — *The Third Conference of The Academy of Islamic Research*. Lahore.1966,133-184.
227. **Goldziher I.**, Women in Hadith Literature. — *Muslim Studies*. Ed. S.M. Stern, trans. C.R.Barber and S.M Stern, vol.II., London, 1971, 366-368.
228. **Gribertz A.**, *Strange bedfellows: mut'at al-nisā' and mut'at al-hajj: a study based on Sunni and Shi'i sources of tafsir, hadith and fiqh*. Berlin, 1994.
229. **Haldor A.**, *Assosiations of Cult Prophets among the Ancient Semites*. Uppsala, 1945.
230. **Hambly G.R.**, Becoming Visible: Medieval Islamic Women in Historiography and History. — *Women in the Medieval Islamic World*. Power, Patronage, and Piety. Edited by Gavin R.G. Hambly. New York,1998, 3-27.
231. **Hamidullah M.**, Educational System in the Time of the Prophet.— *IC*, 13,no.1,1939, 45-56.
232. **Hamidullah M.**, *Le Prophète de L'islam*. Vol. I . Sa vie. 2 ème Edition. Beyrouth, 1395/1975.
233. **Hamidullah M.**, *Le Prophète de L'islam*. Vol. II. Sa oeuvre. 2 ème Edition. Beyrouth, 1395/1975
234. **Hassan I. H.**, Judiciary System from the Rise of Islam to 567 A.H.(A.D.1171).— *IQ*,4, vol.VII, no.1 and 2, January and June 1963, London, 23-30.
235. **Al-Hatimy S.A.**, *Women in Islam: A Comparative Study*. Lahore, Pakistan,1993.
236. **Hawting G.R.**, The role of Qur'ān and Hadīth in the legal controversy about the rights of a divorced women during her waiting period ('idda). — *BSOAS*, 52, 1989,430-445.
237. **Headley R.L.**, Dīwān. — *EI.*^{2}, II, 323-324.
238. **Heffening W.**, 'URS. — *EI.*^{2}, X, 899-907.
239. **Heffening W.**, Mut'a. — ShEI , 418-420.
240. **Hekmat A.**, *Women and Koran: the status of women in Islam*. Amherst, New York,1997.

241. **Al-Hibri, Aziza Y.**, A Story of Islamic Herstory: Or How did We ever get into this Mess?— Women and Islam: *WSIF*, 5, 1982,193-206.
242. **Hitti Ph. K.**, *History of the Arabs.* Seventh ed., London-New York, 1961.
243. **Hodgson G.S.**, *The Venture of Islam.* Coscience and History in a World Civilization.Vol. I. The Classical Age of Islam. Chicago and London, 1974.
244. **Howard I.K.A.**, Mut'a Marriage reconsidere in the context of the Formal Procedures for Islamic Marriage.— *JSS*, vol.XX. No.1, spring, 1975, 82-92.
245. **Horovitz J.**, The Earliest Biographies of the Prophet and Their Authors.— *IC*, vol.I, 1927, 535- 559.
246. **Hughes Th.**, *A Dictionary of Islam* being a Cyclopaedia of the Doctrines, Rites, Ceremonies, and Customs, together with the Technical and Theological Terms of the Muhammadan Religion. L.,1895.
247. **Irving W.**, *The Life of Mahomet.* Leipzig,1850.
248. **Islamic Desk Reference.** Compiled from the Encyclopaedia of Islam by **E. Van Donzel.** Leiden-New York-Köln, 1994.
249. **Jarrar M.**, Houris. — *EQ* , II , 456-458.
250. **Jawad H.A.**, *The Rights of Women in Islam.* An Authentic Approach. Palgrave,1998.
251. **Jones L. Bevan and Jones V.R.**, *Women in Islam*: A Manual with Special Reference to Conditions in India. Westport, Conn., 1981.
252. **Johnes A. H.**, Fall of Man. — *EQ* , II, 172-173.
253. **Jurji E.**, Khadijah, Mohammed's first wife. — *MW*, 26, no.2, 1936, 197-199.
254. **Juynboll Th. W.**, 'Idda. — *EI* [1], IV, 445.
255. **Juynboll Th.W.**, Hadīth. — *ShEI*, 116-121.
256. **Juynboll G.H.A.**, Some Isnad-Analytical Methods Illustrated on the basis of Several Woman Demeaning Sayings from Hadith Literature. — *Al-Qantara*,10, 1989, 34-84.
257. **Kabbani M.H., and Bakhtiar L.**, *Encyclopaedia of Muhammad's WomenCompanions and the Traditions They Related.* Chicago,1998.
258. **Kamali M.H.**, Divorce and Women's Rights: Some Muslim Interpretations of S.2:228.— *MW*, LXXIV, no.2, 1984, 85-99.
259. **Khurshid A.**, *Family Life in Islam.* The Islamic Foundations. 1974.
260. **Kister M. J.**, Some Reports Concerning Mecca from Jāhiliyya to Islam. — *JESHO*, vol.XV,part I-II, June 1972, 61-93.

261. **Klein F.A.**, *The Religion of Islam.* London, New York, 1979.
262. **Al-Labban, Ibrahim A.** The Status of Women in Islam.— *The Second Conference of the Academy of Islamic Research.* Al-Azhar.1965, 23-34.
263. **Al-Labban, Ibrahim A.** The Quran in Islamic Education. — *The Third Conference of the Academy of Islamic Research.* Al-Azhar, 1966. ȝȝ.185-198.
264. **Lambton A.K.S.**, *State and Government in Medieval Islam*: An Introduction to the Study of Islamic Political Theory: the Jurists. Oxford, 1981.
265. **Lammens H.**, *L'Arabie Occidentale avant l'Hegire*, Beyrout, 1928.
266. **Lammens H.**, *Études sur le règne du Calife Omaiyade Mo'awia Ier*, Beyrout,1906-8.
267. **Lammens H.**, *Fatima et les filles de Mahomet.* Rome,1912.
268. **Lassner J.**, Bilqīs.— *EQ*, I, 228-229.
269. **Lemu Aisha, Heeren Fatima.** *Woman in Islam.* The Islamic Foundation.1978.
270. **Levy, Reuben.** *An Introduction to the Sociology of Islam.* London. Vol.I, 1931.
271. **Levy, Reuben.** *A Baghdad Chronicle.* Cambridge, 1929.
272. **Levy, Reuben.** *The Social Structure of Islam.* Cambridge, 1957.
273. **Lyalls C. J.**, *Translations of Ancient Arabian Poetry, chiefly Pre-Islamic, with an Introduction and Notes.* West-port, conn.,1981.
274. **Lichtenstädter I.**, *Women in Aiyam al-arab*: a Study of female life during warfare in preislamic Arabia, London,1935.
275. **Lokhandwala S.T.**, The Position of Women under Islam. — Engineer A.A., *Status of Women in Islam.* Delhi,1987.
276. **Maleeha, Rahmatallah.** *The Women of Baghdad in the Ninth and Tenth Centuries as revealed in the History of Baghdad of al-Hatib.* Baghdad,1963.
277. **Manal Abdul Aziz.** Islam ushers women into era of gender equality.— *The Egyptian Gazette*,nov.11,2002.
278. **Margoliouth D.S.**, *Mohammed and the Rise of Islam.* London,1905.
279. **Massignon L.**, *La Mubahala de Medine et l'Hyperdulie de Fatima.* Paris, 1955.
280. **Mawdudi S.A.A.**, *Purdah and the Status of Women in Islam.* Lahore, Pakistan, 1976.
281. **McAuliffe J. D.**, Chosen of All Women: Mary and Fatima in Qur'anic Exegesis.— *Islamochristiana*,VII, 1981,19-28.
282. **McAuliffe J.D.**, Fātima.— *EQ* , II, 192-194.

283. **Mélamède G.**, The meetings at al-'Akaba. — *Le Monde Orientale.* Uppsala,1934, 28, 17-58.
284. **Mernissi, Fatima.** *The Forgotten Queens of Islam.* University of Minnesota Press, 1993.
285. **Mernissi, Fatima.** *The Veil and Male Elite: A Feminist Interpretation of Women's Rights in Islam.* Transl.Mary Jo Lakeland.Addison-Wesley,1991.
286. **Minces J.**, *The House of Obedience: Women in Arab Society.* London,1982.
287. **Momen, Moojan.** *An Introduction to Shi'i Islam: The History and Doctrines of Twelver Shi'ism.* New Haven, 1985.
288. **Moosa Matti I.**, The dīwān of Umar ibn al-Khattāb. — *Studies in Islam*, 2, 1965, 67-78.
289. **Motzki, Harald.** Marriage and Divorce. — *EQ*, III, 276-281.
290. **Muhammad Ali, Maulana.** *The Religion of Islam: A Comphrehensive Discussion of the Sources, Principles and Practices of Islam.* Cairo. n.d.
291. **Muir W.**, *Annals of the Early Caliphate, from original sources.* London.1883.
292. **Muir W.**, *The Caliphate: its Rise, Decline, and Fall. From original sources.*London,1924.
293. **Muir W.**, *The Life of Mohammad from Original Sources.* A new and revised edition by T.H.Weir. Edinburg, 1923.
294. **Mutahharī M.**, *The Rights of Women in Islam.* Tehran-Iran, 1981.
295. **Naskali, Esko.** Women in the Prophet's Family as They Feature in Popular Bazaar Literature. — Bo Utas. *Women in Islamic Societies: Social and Historical Perspectives.* London,1983, 245-250.
296. **Nasr S.**, Islamic Education and Science. — Haddad Y., Haines B., and Findly E. *The Islamic Impact.* Syracuse University Press, US, 1984.
297. **Netton I. R.**, *A Popular Dictionary of Islam*, London,1992.
298. **Neuwirth, Angelika.** Myths and Legends. — *EQ* , III , 490-496.
299. **Nicholson R.A.**, *A Literary History of the Arabs.* Cambridge, 1930.
300. **Nöldeke Th.**, *Geschichte des Qorāns.* 2. Aufl. bearb. von Fr. Schwally. T.1. Über Ursprung des Qorāns. Lpz., 1909.
301. **Paret R.**, 'Urs. — *ShEI*, 606-610.
302. **Pedersen J.**, Masdjid. — *EI* ^{2},VI, 644-707.
303. **Pellat Ch.**, 'Ā'isha bint Talha. — *EI* ^{2}, I , 308.

304. **Pernice John B.A.**, *A Dictionary and Glossary of the Koran*,with copoious grammatical References and explanations of the Text. London,1970.
305. **Petersen E. I.**, Ali and Mu'āwiyah: The Rise of the Umayyad Caliphate, 656-661.— *Aor*, vol.23, 1959, 157-196.
306. **Pinault, David.** Zaynab bint 'Alī and Place of the Women of the Households of the First Imāms in Shī'ite Devotional Literature. — *Women in the Medieval Islamic World. Power, Patronage, and Piety.* Edited by Gavin R.G. Hambly. New York,1998, 69-98.
307. **Powers Dawid S.**, Inheritance. — *EQ* , II , 518-526.
308. **Powers Dawid S.**, On Bequests in Early Islam.— *JNES*, vol. 48, no.3, July 1989, 185-200.
309. **Powers Dawid S.**, The Islamic Law of Inheritance Reconsidered: A new reading of Q. 4:12B. — *StI* , 55, 1982, 61-94.
310. **Rāgib, Yūsuf**, Al-Sayyida Nafīsa, Sa Légende, Son Culte et Son Imitière. — *StI*, no.44-45, 1976-1977, 61-86; 26-55.
311. **Rahman H.**, *A Chronology of Islamic History 570-1000 CE.* London,1999.
312. **Roberts, Robert.** *The Social Laws of the Qoran.* London,1980.
313. **Robinson, Neal.** Jesus and Mary in the Qur'ān. Some neglected affinities.— *Religion*, 20,1990, 161-175.
314. **Roded, Ruth.** *Women in Islam and Middle East. A Reader.* London, New York,1999.
315. **Roded, Ruth.** *Women in Islamic Biographical Collections: From Ibn Sa'd to Who's Who.* Boulder and London,1994.
316. **Roded, Ruth.** Umm Salama. — *EI* [1], X, 856.
317. **Rodinson M.**, *Mahomet.* P.,1961
318. **Rosental, Franz.** *A History of Muslim Historiography.* Leiden,1968.
319. **Rubin U.**, Ḥafṣa. — *EQ*, II, 397-398.
320. **Saleh S.A.W.**, Women in Islam: Comments and Clarifications. Cairo.n.d.
321. **Schacht, Joseph.** *An Introduction to Islamic Law.* Oxford, 1964.
322. **Schacht, Joseph.** Umm al-Walad. — *EI* [1], X, 856-859.
323. **Schacht, Joseph.** Nikāh. — *EI* [1],VI, 912-914.
324. **Schacht, Joseph.** Zinā'. — *ShEI* , 658-659.
325. **Schacht, Joseph.** Talāk. — *ShEI* , 564-571
326. **Schacht, Joseph.** *The Origins of Muhammadan Jurisprudence.* Oxford,1950.
327. **Schöck, Cornelia.** Adam and Eve. — *EQ* , I, 22-26.
328. **Seligsohn M.**, 'Ā'isha bint Abī Bakr. — *ShEI*, 25-26.

329. **Shaban M. A.**, *Islamic History: A new interpretation. A.D.600-750(A.H.132).* Cambridge, 1976.
330. **Shalaby A.**, *History of Muslim Education.* Beirut, 1954.
331. **Shaltut M.**, *The Quran and Woman* (Annotated English version with Arabic text). Cairo. n.d.
332. **Sherif, Mostafa Hashem.** What is Hijāb? — *MW*, 77, nos.3-4,1987,151-163.
333. **Shimmel, Annemarie.** *My Soul is a woman. The Feminine in Islam.* Translated by Susan H.Ray. The American University in Cairo Press,1998.
334. **Siddiqi M. Z.**, Women Scholars of Hadith. — *Hadith literature: Its Origin Development, Special Futures and Criticism by Dr. Muhammad Zubayr Siddiqi.* Calcutta, 1961, 142-153.
335. **Siddique, Kaukab.** *The Struggle of Muslim Women.* Singapore, 1988.
336. **Smith, Jane I. and Haddad, Yvonne Y.** The Virgin Mary in Islamic Tradition and Commentary. — *MW*, LXXIX, July/October, 1989, nos.3-4, 161-187.
337. **Smith, Jane I.**, Women, Religion, and Social Change in Early Islam. — *Women,Religion and Social Change.* edited by Y.Y. Haddad and E.B. Findly. State University of NewYork Press,1985,19-35.
338. **Smith, Jane I.**, and **Haddad Yvonne Y.**, Eve: Islamic Image of Woman. — *WSIF*,5, 1982, 135-144.
339. **Smith, Margaret.** *Muslim Women Mystics. The Life and Work of Rábi'a and other Mystics on Islám.* Oxford,2001.
340. **Smith, William Robertson.** *Kinship and Marriage in Early Islam.* Cambridge, 1885.
341. **Spellberg, Denise A.** 'Ā'isha bint Abī Bakr. — *EQ* , 1 , 55-60.
342. **Spellberg, Denise A.** Political Action and Public Example: 'Ā'isha and the Battle of the Camel. —*Women in Middle Eastern History: Shifting Boundaries in Sex and Gender,* eds Nikki R. Keddie and Beth Baron, New Haven,1991, 45-57.
343. **Spellberg, Denise A.** The Politics of Praise: Depictions of Khadija, Fatima and 'Ā'isha in Ninth- Century Muslim Sources. — *LEW*, 26, 1990, 130-149.
344. **Spellberg, Denise A.** Nizām al-Mulk's Manipulation of Tradition: 'Ā'isha and the Role of Women in the Islamic Government. — *MW*, 78,no.2,1988,111-117.
345. **Spellberg, Denise A.** *Politics, gender, and the Islamic past: the legacy of 'A'isha bint Abi Bakr.* New York, 1994.

346. **Spies O.**, Mahr. — *EI* ²,VI, 78-80; *EI* ¹, V, 137-138
347. **Stern, Gertrude.** *Marriage in Early Islam.* London,1939.
348. **Stern, Gertrude.** The First Women Converts in Early Islam. — *IC*, 8,1939, 290-305.
349. **Stern, Gertrude.** Muhammad's Bond with the Women. — *BSOAS*, 10, 1940-1942, 185-197.
350. **Stowasser, Barbara Freyer.** *Women in the Qur'an, Traditions, and Interpretations.* New York, Oxford, 1994.
351. **Stowasser, Barbara Freyer.** Women and Citizenship in the Qur'an. — *Women, the Family, and Divorce Laws in Islamic History.* Edited by Amira El Azhar Sonbol. Syracus University Press,1996, 23-38.
352. **Stowasser, Barbara Freyer.** The Status of Women in Early Islam. — *Muslim Women.* Ed. Freda Hussain. London, 1984, 11-43.
353. **Stowasser, Barbara Freyer.** Mary. — *EQ*, III, 288-295.
354. **Strothmann R.**, Nafīsa, al-Sayyida. — *EI* ¹,VII, 879.
355. **Swanson, Mark N.**, A Study of Twentieth-Century Commentary of Sūrat al-Nūr (24):27-33. — *MW*, 74, nos.3-4, 1984, 187-203.
356. **Tesbah H., Bahonar M., and al-Faruqi L.**, *Status of Women in Islam.*Tehran,1985.
357. **The Islamic World.** Edited by William H. McNeill and Marilyn Robinson Waldman. New York, London, 1973.
358. **The Muslim Family.** Tehran, 1988.
359. **The Story of Umm Harám.** Edited in the original Turkish and translated by Claude Deleval Cobham, M.R.A.S., B.C.L., M.A.Oxon., Commissioner of Larnaka, Cyprus.— *JRAS*, 1897, 81-101.
360. **Tritton A.S.**, Notes on the Muslim System of Pensions.— *BSOAS*, 16,1954,170-172.
361. **Tritton A.S.**, *Islam. Belief and Practices.* London,1966.
362. **Tyan I.**, Hilf. — *EI* ², III, Leiden-London, 1071, 388-389.
363. **Vacca V.**, Zainab bint Khuzaima. — *ShEI*, 653.
364. **Vacca V.**, Safīya. — *ShEI*, 487-488.
365. **Vacca V.**, Zainab bint Djahsh. — *ShEI*, 653.
366. **Vacca V.**, Zainab bint Muhammad. — *ShEI*, 653.
367. **Vacca V.**, Sawda bint Zam'a. — *ShEI*, 503-504
368. **Vadet, Jean-Claude.** Une Personalité Féminine du Hiǧāz au Ier /VIIe Siècle: Sukayna, Petite-fille de 'Alī. — *Arabica*, no.4, 1957, 261-287.
369. **Van Ess, Dorothy.** *Fatima and Her Sisters.* New York,1961

370. **Vessia Vaglieri, L.** Fātima. — *EI* ^{2}, II, Leiden-London,1965,841-850.
371. **Vessia Vaglieri, L.** Al-Djamal. — *EI* ^{2}, II , 414-416.
372. **Vessia Vaglieri, L.** Hafsa. — *EI* ^{2}, III, 63-65.
373. **Vogt, Kari.** Etudes relations aux femmes et à leur rôle dans les cultures musulmanes du VIIe au XVe siècle. — Kari Elisabeth Børresen and Kari Vogt, *Women's Studes of the Christian and Islamic Traditions.* Dordrecht, Boston, London,1993,129-151.
374. **Wadud-Muhsin, Amina.** *Qur'an and woman: rereading the sacred text from a woman's perspective.* 2nd ed.New York,Oxford,1999.
375. **Watt, W. Montgomery.** *Islam and Integration of Society.* London,1961.
376. **Watt, W. Montgomery.** *Muhammad Prophet and Statesman.* Oxford,1961.
377. **Watt, W. Montgomery.** *Muhammad at Medina.* Oxford,1956.
378. **Watt, W. Montgomery.** *Muhammad at Mekka.* Oxford,1953.
379. **Watt, W. Montgomery.** The queen of Sheba in Islamic tradition. — *Solomon and Sheba*, ed. J. Vessia. Pritchard. London, 1974, 85-103.
380. **Watt, W. Montgomery.** Khadīdja. — *EI* ^{1},IV, 898.
381. **Watt, W. Montgomery.** 'Ā'isha bint Abī Bakr. — *EI* ^{1}, I, 307-308.
382. **Wensink A. J.,** et al. *Concordance et Indices de la Tradition Musulmane.* Leiden: E. J.Brill, I-VII,1936-1969.
383. **Wensinck A. J.,** *A Handbook of Early Muhammadan Tradition.* Leiden: E.J.Brill, 1927.
384. **Wensinck A. J.,** *The Muslim Creed.* Cambridge,1932.
385. **Wensinck A. J.,** Maryam. — *EI* ^{2}, VI, 1989, 628-632.
386. **Wensinck A. J.,** Rukayiya. — *ShEI*, 476-477.
387. **Wiebke W.,** *Women in Islam.* Trans. C.S.V.Salt. London. Princeton,1993.
388. **Zwemer, Samuel.** *Islam: A Challenge to Faith.* New York,1908.

ინტერნეტით მოპოვებული შრომები

389. **Aishah bint Abu Bakr Siddique.**— http://www.hezb-e-islami.org/women.html
390. **Asmaa bint Abu Bakr.** List of the Sahaabah's biographies.— http://www.usc.edu/dept/MSA/history/biographie.../bio.ASMAA_BINT_ABU_BAKR.htm

391. **Azeem, Sherif Abdel.** Women in Islam. Versus women in the Judaeo-Christian Tradition: The Myth and The Reality. — http://www.usc.edu/dept/MSA/humanrelations/womeninislam/womeninjud_chr.html
392. **Badawi J.A.,** The Status of Women in Islam. http://www.islamfortoday.com/womensrightbadawi.htm
393. **Barakah.** List of the Sahaabah's Biographies. — http://www.usc.edu/dept/MSA/history/biographies/sahaabah/bio.BARAKAH.html
394. **Dagher,Hamdun.**The Position of Women in Islam.1997. http://www.light- of life.com/eng/reveal
395. **Fatima bint Muhammad.** – http://www.jannah.org/sisters/fatimah.html
396. **Gender Equality in Islam.** — http://www.mwlusa.org/publications/positionpapers/gender.html
397. **Al-Hashimi, Muhammad Ali.** The Ideal Muslimah. The True Islamic Personality of the Muslim Women as Defind in the Qur'an and Sunnah. Translated by Nasiruddin Al-Khattab. Saudi Arabia, 1998. — http://www.usc.edu/dept/MSA/humanrelations/womeninislam/idealmuslimah/
398. **Ideals and role models for women in Qur'an,Hadith and Sirah.** — http://www.islamic.org.uk/womright2.html
399. **Important women in Islam.** — http://www.geocities.com/wellesley/7482/women.html
400. **Islamic Inheritance.** — http://www.mwlusa.org/publications/positionpapers/inheritance.html
401. **Kahf, Mohja.** Muslim Women in History- http://www.uh.edu/campus/msa/women/mwom.html
402. **Mut'a.** — http//www.answering-ansar.org/answers/mutah/en/chup5.php
403. **Rafiqul-Haqq M. and Newton P.,** The Place of Women in Pure Islam. — http://debate.domini.org/newton/womeng.html
404. **Rumaisa bint Milhan.** List of Sahaabah's Biographies.— http://www.usc.edu/dept/MSA/history/biographie.../bio.RUMAYSA_BINT_MILHAN.htm
405. **Al-Sheba, Abdulrahman.** Women in the Shade of Islam.Translated by M.S.Dabas.Safir press.1421/2000. — http:www.islamcall.com/woman_right.htm

406. **Spiritual Role of Women.** —
http://www.mwlusa.org/publications/essays/spiritrole.html
407. **Wives of the Prophet Muhammad(SAW).**
http://www.angelfire.Com/on/unmiby1/wives1.hl
408. **Women in Society: Political Participation.** Muslim Women's Leagu. — http://www.mwlusa.org/publications/essays/polirights.html
409. **Women in Society:Legal Rights.** Muslim Women's Leagu. —
http://www.mwlusa.org/publications/essays/legalrights.html
410. **Women in Pre-Islamic Arabia.** Muslim Women's Leagu. —
http://www. mwlusa.org/publications/essays/herstory. html

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ---------- 5

თავი I. ქალის სტატუსი მუსლიმურ საზოგადოებაში ---------- 13
§ 1. ქალის სტატუსი წინაისლამურ ხანაში ---------- 13
§ 2. მუჰამადის მიმდევარი ქალები ---------- 38
§ 3. „ქალთა ფიცი" ადრეულ ისლამში ---------- 53
§ 4. ქალის როლი მუსლიმური თემის რელიგიურ ცხოვრებაში ---------- 64

თავი II. ქალი ყურანსა და ჰადისებში ---------- 87
§ 1. ქალის იდეალი ყურანსა და ჰადისებში ---------- 87
§ 2. მოციქულის ცოლები ---------- 103
§ 3. „მორწმუნეთა დედები" ყურანსა და ჰადისებში ---------- 115
§ 4. ჰიჯაბი ყურანსა და ჰადისებში ---------- 136

თავი III. ქალის უფლებები ისლამში (VII-Xსს.) ---------- 158
§ 1. ქალი და ქორწინება ისლამში ---------- 158
§ 2. მხევალთა ინსტიტუტი ისლამში ---------- 185
§ 3. ქალი და განქორწინება ისლამში ---------- 207
§ 4. ქალი და მემკვიდრეობა ისლამში ---------- 231
§ 5. ქალი და განათლება ისლამში ---------- 247

თავი IV. ქალი და პოლიტიკა ისლამში (VII-Xსს.) ---------- 264
§ 1. ქალთა პოლიტიკური აქტივობა ადრეულ ისლამში ----- 264
ა) ბა'ია ---------- 264
ბ) შურა ---------- 265
გ) მუჰამადი, ჯიჰადი და მუსლიმი ქალი ---------- 275
დ) ქალი და ნადავლის განაწილების წესი (ღანიმა) ----- 283
§ 2. ქალი და ხელისუფლება ისლამში ---------- 291
§ 3. ქალი და პოლიტიკა ადრეულ ისლამში ('ა'იშა და აქლემის ბრძოლა) ---------- 313
§ 4. ქალები უმაიყანთა და 'აბბასიყანთა დინასტიის პოლიტიკურ ასპარეზზე ---------- 322

Summary ---------- 345
შემოკლებანი ---------- 353
ბიბლიოგრაფია ---------- 355

ტირაჟი 300

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge